ნ. ნანიტაშვილი

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945-1989 წწ.)

ნაწ. II, ნაკვეთი I
აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და კუბის რესპუბლიკა

მეორე გადამუშავებული გამოცემა

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია
სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტის
სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „განათლება“

თბილისი—1991

9(ᲛᲬ)7
9(4)9
ᲑᲐ243

წიგნი — ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწ. II, ნაკვეთი I (1945—1989 წწ.)—შედგენილია ახალი პროგრამის შესაბამისად, უახლესი ისტორიის საკითხებზე გამოცემული სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, სტატიების, მრავალი სახის პუბლიკაციის საფუძველზე.

მეორე გამოცემა მნიშვნელოვნად გადამუშავებული და შევსებულია. ნაშრომში ასახულია ახალი აზროვნების დანერგვის შედეგად მომხდარი გარდაქმნები.

სახელმძღვანელო სპეციალური და არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტების გარდა დაეხმარება საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლებსაც.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ისტორიის მეც. დოქტორი გ. მანჯგალაძე;
ისტორიის მეც. დოქტორი, პროფ. ტაბაღუა

Н $\frac{0503010000-562}{М-602(09)90}$;35—91

© ნ. ნახიტაშვილი, 1991

25 გვ. № 5—505—01209—4

I თავი

გარედან თავსმოხვეული

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა

§ 1. განვითარების ეტაპები

გარედან თავსმოხვეული სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა განპირობებული იყო როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებით. საგარეო ფაქტორები შექმნა მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ყველაზე უფრო აგრესიულ და მებრძოლ ძალებს—გერმანიას, იაპონიასა და იტალიას, რის გამოც ეს სამი სახელმწიფო დროებით გამოეთიშა იმპერიალისტურ ბანაკს. ომმა დიდი დარტყმა მიაყენა აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციებს, რის შედეგადაც მსოფლიოში ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა სტალინის გეგმების განსახორციელებლად—თავს მოეხვიათ ოკუპირებული ხალხებისათვის სოციალისტური წყობილების დამყარების საბჭოთა მოდელი.

ომის უკანასკნელ ეტაპზე ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაჩაღდა დაპყრობილი ხალხების ანტიფაშისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქვეყნის განთავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის. ხალხთა ეს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. რის შემდეგაც ფაშისტური ოკუპაციისაგან თავდაღწეულ ქვეყნებში ამ ბრძოლამ ერთდროულად ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ხასიათი მიიღო. ის ქვეყნები, რომლებშიც საბჭოთა ჯარები შევიდნენ, სსრკ-ის გავლენით დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის უტოპიურ გზას, ხოლო ინგლის-ამერიკის მიერ განთავისუფლებულ ქვეყნებში ბურჟუაზიამ შეინარჩუნა ძალაუფლება. ამრიგად, ორივე მხარეს ფაქტობრივად ჯარების მხარდაჭერით ხდებოდა ხელისუფლების დამყარება.

სახალხო-დემოკრატიულმა მოძრაობამ ალბანეთში, ბულგარეთში, უნგრეთში. რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (ყოფილი) გაიარეს ორი ეტაპი—სახალხო-დემოკრატიული და გარედან თავსმოხვეული სოციალისტური.

განვითარების I ეტაპი.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება

აღმოსავლეთ ევროპის განვითარების პირველი ეტაპი მოიცავს 1944 — 1950 წლებს. ამ ეტაპზე ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიულმა ქვეყნებმა გაიარეს განვითარების ორი პერიოდი: სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის პირველ პერიოდში სახალხო-დემოკრატიული რეჟიმები ახორციელებდა ანტიფეოდალურ და ანტიიმპერიალისტურ გარდაქმნებს, რომლებიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათისა იყო. ამ პერიოდმა ძირითადად 1944—1948 წლები მოიცვა.

მეორე პერიოდში კი, რომელიც 1948—1950 წლებს მოიცავს, ხორციელდებოდა სახალხო-დემოკრატიული რეჟიმების სტრუქტურის მსხვრევა, კოალიციური მთავრობიდან დემოკრატიული ძალების გამოძევება, რომლებიც თანამშრომლობდნენ კომუნისტებთან ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისათვის. კომუნისტებმა დაამყარეს პირადი ძალაუფლების რეჟიმები, რომლებსაც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოები უწოდეს.

რევოლუციის პირველი ეტაპი დაიწყო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს. მისი მომწიფება მიმდინარეობდა ფაშისტური ოკუპაციის პირობებში. განსაკუთრებით ომის უკანასკნელ ეტაპზე.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის პირველი პერიოდის დროს ნაციონალიზებულ იქნა მრეწველობის ძირითადი დარგები, ბანკები, სადაზღვევო საზოგადოებები, რის შედეგად სახელმწიფოს ხელში გადავიდა გადამწყვეტი ეკონომიკური პოზიციები. მაგრამ იმისათვის, რომ სახელმწიფო სექტორი სოციალისტურად გადაექციათ კომუნისტებმა დაიწყეს პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლა, რომელიც ძირითადად 1944—1948 წლებში განხორციელდა. კომუნისტურმა პარტიებმა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში ხელში აიღეს ქვეყნის მთელი ძალაუფლება, განდევნეს მთავრობიდან სხვა პარტიები, განახორციელეს იძულებითი გარდაქმნები და 50-იან წლე-

ბში დაიწყო ე. წ. სოციალიზმის მშენებლობა ძალმომრეობის საფუძველზე, ყოველგვარი ობიექტური პირობების გათვალისწინების გარეშე.

ევროპის თითქმის ყველა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანაში ომის დამთავრების პირველ სამ წელიწადს საშინელი მოუსავლიანობა მძვინვარებდა. აშშ-ს მმართველი წრეები მზად იყვნენ მათთვის ეკონომიკური დახმარება გაეწიათ იმ პირობით, თუ ისინი შეავიდოდნენ „მარშალის გეგმაში", უარს იტყოდნენ სოციალიზმის მშენებლობაზე. ამ ქვეყნების საქმიანმა წრეებმა კამპანია გააჩაღეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების „მარშალის გეგმაში" შესვლისათვის. დასავლეთის ქვეყნებმა, პირველ რიგში კი აშშ-მა, ემბარგო შემოიღეს სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში, რომ ხელი შეეშალათ იქ აღდგენითი სამუშაოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ომის დამთავრების შემდეგ ორ წელიწადს ზედიზედ დიდი მოუსავლიანობა იყო, ხოლო ნანგრევებად ქცეული ქალაქები აღდგენას საჭიროებდა და თვითონ დიდ სამეურნეო სიძნელეებს განიცდიდა, საბჭოთა მთავრობამ მაინც გაუწია დახმარება სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს, თავისი პოზიციების შენარჩუნების მიზნით.

ამრიგად, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების შედეგად განვითარების პირველი ეტაპის დროს, რომელიც ქრონოლოგიურად 1944—1950 წლებს მოიცავს, სსრკ-ს ხემოქმედებით, ჩარევით და მხარდაჭერით სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ მონღოლეთთან ერთად: ალბანეთი, ბულგარეთი, გდრ, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ჩინეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელთაც მეორე ეტაპის დროს, 1959 წლიდან, შეუერთდა კუბის რესპუბლიკა. ყველა ეს ქვეყანა შევიდა მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში, რომელიც მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას დაუპირისპირდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა მთავრობას არცთუ უსაფუძვლოდ ეშინოდა მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებისა. ევროპის ცენტრში თავმოყრილი იყო ორიეე მხარის უზარმაზარი შეიარაღებული ძალები და შეიარაღება. მაღე ამის შემდეგ გაჩაღებულ ყბადაღებული „ცივი ომის" ვითარებაში საბჭოთა მთავრობის ღონისძიებები ორმოციანი წლების დამლევს, რომ ძალმომრეობის მეშვეობით დაემსხვრია ომის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბებული მრავალპარტიული მმართველობა და სახალხო-დემოკრატიული რეჟიმების სტრუქტურა და შეექმნა „უშიშროების ზონები", არ პასუხობდა იმ დროის ლოგიკას. განვითარების პირველი ეტაპის პირ-

ველი პერიოდის დროს სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში შეიქმნა კოალიციური მთავრობები, რომლებშიც შედიოდნენ დემოკრატიული ძალები და თანამშრომლობდნენ კომუნისტებთან ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ბუნებრივია, რომ იმ დროისათვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არ შეიძლება ყოფილიყო ხალხთა ერთსულოვნება სოციალისტური არჩევანის სასარგებლოდ. ამიტომ განვითარების პირველ ეტაპზე სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში ბევრად თუ ცოტად ანგარიშს უწევდნენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ეროვნული სპეციფიკა, ტრადიციები (კერძო საკუთრების ელემენტების შენარჩუნება, მრავალპარტიულობა და ა. შ.). მაგრამ შემდეგ ასეთ ტრადიციებს არავითარ ანგარიშს აღარ უწევდნენ და მათი არსებობა ფორმალური ხასიათისა იყო. სსრკ-ის ზეგავლენით თანდათანობით ხდებოდა ეროვნული განვითარების გზიდან გადახვევა და სოციალიზმის მშენებლობაში მთლიანი ერთსახეობის მეთოდებზე გადასვლა. ამის შედეგი ის იყო, რომ ამ ქვეყნებში მთლიანად გადაიღეს სოციალიზმის მშენებლობის ის მოდელი, რომელიც სსრკ-ში იყო დანერგილი. ამიტომ შემთხვევითი არაა ის, რომ ბევრმა ასეთი მოდელი მიიღო, როგორც გარედან შემოტანილი და თავსმოხვეული. ამას ისიც დაერთო, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთობა დანარჩენ ევროპასთან შეწყდა. უკვე პირველი ეტაპის პირველი პერიოდის დამლევს, ე. ი. ძირითადად 1947—1948 წლებში ყველა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანაში დამყარდა ერთპარტიული, უფრო ზუსტად კი კომუნისტთა ლიდერების პირადი ძალაუფლების რეჟიმები, რომლებსაც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოები უწოდეს. კომუნისტების პატარა ჯგუფს მინიჭებული ჰქონდა „მონოპოლიური“ უფლება ჭეშმარიტებაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის განვითარების თავსმოხვეული მოდელი უცხო იყო, არ პასუხობდა ეროვნულ სპეციფიკას. ამავე დროს იგი არაეფექტური გამოდგა როგორც პოლიტიკური. ასევე ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. ამან კი, თავის მხრივ, ურთიერთდაშორება გამოიწვია გამოცხადებულ სოციალიზმის მაღალ იდეალებსა და დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით მიღწეულ უმნიშვნელო შედეგებს შორის. აღმოსავლეთ ევროპის მიღწევების დასავლეთის ქვეყნებთან შედარება, ბუნებრივია, სოციალისტური ქვეყნების უპირატესობას როდი მოწმობს. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური შეჯიბრება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დამთავრდა იმით, რომ ეკო-

ციალისტური ქვეყნები განვითარების დაბალ დონეზე აღმოჩნდნენ.

70-იანი წლების ბოლოს ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის განვითარებაში სულ უფრო აშკარად გამოვლინდა ნეგატიური ტენდენციები. სოციალიზმმა დაკარგა უპირატესობა კაპიტალიზმზე. ეკონომიკური განვითარების ტემპებით დაიწყო ჩამორჩენა განსაკუთრებით ტექნოლოგიის ახალი დარგების ათვისებაში. რა თქმა უნდა, ყველა სოციალისტური ქვეყანა ერთნაირ მდგომარეობაში არ აღმოჩნდა, მაგრამ თუ საერთო სურათს ავიღებთ, იგი ხასიათდება ამ ქვეყნებში საერთო სიძნელეების გაღრმავებით, პოლიტიკური და, განსაკუთრებით კი, ეკონომიკური განვითარების სფეროში, ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების შენელებით. ამის გამო აუცილებელი შეიქმნა, რომ განხორციელებულიყო ღრმა ცვლილებები, სერიოზულად გარდაქმნილიყო 'საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფერო. რატომ შეიქმნა ასეთი ვითარება? უძრაობის პერიოდში წამოყენებული იქნა თეზისი იმის შესახებ, რომ თითქოს სოციალისტური ქვეყნები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას დაადგნენ. ასეთი თეზისი ჯერ კიდევ, 1960 წელს შემდგარმა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირმა წამოაყენა. ამ ფორუმის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამი იყო შემდეგი: „ზოგიერთი სოციალისტური ქვეყანა უკვე შევიდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში". ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გდრ-ში 60-იანი წლების დამდეგს ჩატარებული პარტიების ყრილობების გადაწყვეტილებებში წამოყენებული იყო მცდარი, ცხოვრების საწინააღმდეგო თეზისი იმის შესახებ, რომ თითქოს ეს ქვეყნები განვითარებულ სოციალისტურ 'საზოგადოებას აშენებდნენ, ხოლო სკკპ XXII ყრილობა ხალხს შეჰპირდა კომუნიზმის აშენებას 15—20 წლის განმავლობაში. ამ ნაადრევი და მცდარი თეზისებიდან გამომდინარე და მიღწეულის ცალმხრივი კონსტატაციისა და ხოტბის შესხმის შედეგი ის იყო, რომ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოშორებული იყო მწვავე, მომწიფებული პრობლემების გადაჭრისაგან.

ისტორიაში დროდადრო დგება პერიოდები, როდესაც საზოგადოების განვითარებაში მიღწეული მიჯნების და მისი შემდგომი პერსპექტივების სერიოზული ახლებური გააზრების აუცილებლობა იქმნება. 80იან წლებში სოციალიზმი აღმოჩნდა ახალი ისტორიული გა-

მოწვევის წინაშე, რომელიც მოითხოვდა ღრმა ხარისხობრივ განახლებას, დინამიზმის გაძლიერებას.

სოციალიზმის თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბებისას მთლიანად უარს ამბობდნენ კაცობრიობის, მათ შორის არასოციალისტური ქვეყნების გამოცდილებაზე. საქმე ეხება კაპიტალისტური ქვეყნების არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების შესწავლას, არამედ, აგრეთვე, საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკური პროცესის ორგანიზაციის ფორმებს, მათ შორის მსხვილი და წვრილი საწარმოების, მეურნეობის კოოპერატიული ფორმების, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციის გამოცდილებების გაცნობა-შესწავლა და ჩვენთვის სასიკეთო საქმის გადმოღებას. სერიოზულ გააზრებას მოითხოვს, აგრეთვე, თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა, კერძოდ, მშრომელთა მიერ მიღწეული სოციალური და საერთო დემოკრატიული მონაპოვრების დაცვის საქმეში.

განახლებას მოითხოვდა, აგრეთვე, ჩვენი წარმოდგენები სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ. არც თუ დიდი ხნის წინ სოციალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის პროცესის მთელი სირთულე და მრავალსახეობა დაყვანილი იყო სახელმწიფო საკუთრების განვითარებაზე და ამავე დროს კოოპერატიული და ინდივიდუალური მეურნეობის საკუთრების ხელოვნურ შეკვეცაზე. ფორმალური განსაზოგადოება წარმოსახული იყო როგორც კრიტერიუმი სოციალიზმის გარდაქმნების დასასრულისა. გეგმიური მეურნეობის არსებობა გაიგივებული იყო მმართველობის მკაცრ ცენტრალიზაციასთან, უგულებელყოფილი იყო საწარმოებისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ეკონომიკური განცალკევება. 80-იან წლებში ყველა სოციალისტურ ქვეყანაში უარი თქვეს ეკონომიკის გამგებლობის მკაცრ ცენტრალიზაციაზე და ფართოდ ატარებდნენ ეკონომიკურ რეფორმებს, რომლის ძირითადი არსი იყო წარმოების ზრდის ეკონომიკური სტიმულირების შექმნა და გაძლიერება, მისი ხარისხობრივი სრულყოფა მეცნიერული-პროგრესის დაჩქარების საფუძველზე.

წლების განმავლობაში სახელმწიფოს ხარჯზე ასობით საწარმოო კოლექტივი არსებობდა. სახელმწიფოს დიდი ხარჯების საფასურად უხდებოდა ამ საწარმოების შენახვა. მოქმედებდა სახსრების გადანაწილების პრინციპი მომგებიანი საწარმოებიდან იმ საწარმოებისადმი, რომლებიც უკვე კარგა ხნის განმავლობაში გაკოტრებულნი იყვნენ. ამის შედეგი კი ის იყო, რომ მოწინავე საწარმოს მუშები კარგავდნენ მუშაობისადმი ინტერესს. წამგებიანი საწარმოსათვის სახელმწიფო დოტაციები იმით მართლდებოდა, რომ თითქოს ეს საწარ-

მოები ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პროდუქციას უშვებდნენ. ამასთანავე მხედველობაში არ იღებდნენ იმ გარემოებას, რომ ასეთ პროდუქციას სხვა ქვეყნების საწარმოები მომგებიანად აწარმოებდნენ. მსოფლიო პრაქტიკისათვის—არა თუ უაზრობაა, არამედ დანაშაულიცაა სახალხო მოხმარებისათვის წამგებიანი საქონლის წარმოება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ტარდება ეკონომიკის რადიკალური რეფორმა, რომლის მთავარი პირობაა ნებისმიერი სახალხო მეურნეობის მომგებიანობა. სამეურნეო ანგარიშის ძირითადი საფუძველი ხდება თვითდაფინანსება და ხარჯდაფარვადობა, ანუ ხარჯების თვითმოგება; ხდება საწარმოოს ფონდების ჩამოყალიბება, შემოსავლის მიხედვით განისაზღვრება მათი პერსპექტივები. ამჟამად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მკვეთრად მცირდება წამგებიანი საწარმოების რაოდენობა. ფართოდ ინერგება ერთობლივი საწარმოების შექმნა საზღვარგარეთის ფირმებთან. ასეთი თანამშრომლობის შედეგი ისაა, რომ კოლექტივი არა მარტო თავისი წარმოების გამოსწორების შესაძლებლობას იღებს, არამედ იძენს მოწინავე ტექნოლოგიას, სრულყოფს მართვის პრაქტიკას. იქმნება ისეთი ეკონომიკური პირობები, როდესაც მწარმოებლებს შორის კონკურენციას აქვს ადგილი. ინერგება აგრეთვე დარგობრივობათაშორისო სტრუქტურის კოლექტივების შექმნა: ასოციაციების, კონსორციუმების და სააქციონერო საზოგადოებების სახით, რომლებიც ხელს უწყობენ არა მარტო შემოსავლის სტიმულირებას, არამედ წარმოების მართვის პროცესში დემოკრატიზაციის ჩამოყალიბებასაც. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს აღნიშნული ქვეყნების ბევრი ეკონომისტი მოუმზადებელი შეხვდა და გამოვლინდა ძველი გაგების სრული უსუსურობა საზოგადოებრივი საკუთრების ამ პრობლემებისადმი მიდგომის საკითხში. კერძოდ, ისეთ საკითხებში როგორიცაა იჯარა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, როგორც სოფლის მეურნეობის და მრეწველობის, ასევე მომსახურების სფეროში. იგივე უნდა ითქვას კოოპერაციაზე. კოოპერატიული მეურნეობა და აგრეთვე შრომის ინდივიდუალური ფორმა, როგორც გვიჩვენა დღევანდელმა საქმიანობამ, დასაშვებია არა მარტო წვრილი მეწარმეების საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არამედ ისინი შეიძლება ჩართულ იქნენ საწარმოოს და ეკონომიკური კავშირის ამა თუ იმ რგოლში და მსხვილ წარმოებაშიც კი სხვადასხვა სახის დამხმარე საწარმოების ერთობლივი ორგანიზაციისათვის, აგრეთვე საწარმოო ინფრასტრუქტურის საერთო სამსახურისათვის და ა. შ. სერიოზული და ქმედითი ღონისძიებები ტარდება ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის და დაგეგმვის, ასე-

ვე ბაზრის ურთიერთკავშირის პრობლემების მოსაგვარებლად. ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის გამოყენება გარდაუვალი პირობაა ეფექტური მეურნეობისათვის, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე და გამორიცხავს ბიუროკრატიული და ვოლუნტარისტული მეთოდებით მართვას. ბაზარი ჩვენ პირობებში — შეუცვლელი საშუალებაა წარმოების მოქნილი ეკონომიკური შეთანხმებისა მზარდ, მუდმივად ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნებთან, მნიშვნელოვანი იარაღია საზოგადოებრივი კონტროლისა საქონლის ხასიათზე და მისი წარმოების ხარჯებზე.

პრაქტიკულად აღნიშნულ ქვეყნებში ახლა ტარდება არსებითი გარდაქმნები ხელისუფლებისა და მმართველობის ახალი სისტემის შექმნისათვის, რომელიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიული სისტემის ყოველმხრივი განვითარების პრინციპებზე მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელური როლის გარეშე. თუ გატარებული ღონისძიებებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, აღნიშნულ ქვეყნებში ისეთი პოლიტიკური სისტემა იქმნება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების რეალურ სტრუქტურას, ე. წ. პლურალიზმს, ანუ ყველა სოციალური ჯგუფის და ადამიანების აზრთა სხვადასხვაობისა და მრავალი საზის ინტერესთა ერთობას.

დღეისათვის საერთო-საკაცობრიო საქმეში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, უპირველეს ყოვლისა, კაცობრიობის მოდგმის გადარჩენის უზრუნველყოფას და სწორედ ეს არის საერთაშორისო ურთიერთობაში წინა ხაზზე წამოწეული. სწორედ ასეთი მიდგომაა პოლიტიკური აზროვნების ახალი საფუძველი. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობისადმი სწორედ ასეთი მიდგომა წარმოადგენს ამჟამინდელ საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს.

1989 წლის დიდი მოვლენები

1989 წელი ბობოქარი წელი გამოდგა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. აქ მოხდა ფეთქებადი ხასიათის ძირეული ცვლილებები, რომლებიც დასავლეთის პოლიტოლოგებმა „კომუნიზმის კრახად" გამოაცხადეს. მოვლენები კვლავ განვითარებადია, ამიტომ საბოლოო დასკვნების გამოტანა, ალბათ, ნაადრევი იქნება. სოციალისტური ნორმების და პრინციპების ღრმა დეფორმაციამ მნიშვნელოვნად დაარღვია საზოგადოების ნდობა ამ მმართველი პარტიებისადმი; გამოიწვია ავტორიტარული რეჟიმების კრახი, რეჟიმებისა, რომელნიც ბორკავდნენ ადამიან-

ის თავისუფლებასა და აზროვნებას. ენერგიამ, რომელიც წლების მანძილზე ვერ პოულობდა გამოსავალსა და გამოყენებას, ახლა ისეთი ძალით ამოფეთქა, რომ ძლივს ვასწრებთ მოვლენების მსვლელობისათვის თვალის დევნებას. ხალხთა მასების ძლიერი გავლენის ზემოქმედებით, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შედიან ახალ ისტორიულ პერიოდში, რომელშიც მოქმედებენ ჩვენთვის უცნობი კანონები. ფაქტი ფაქტად რჩება, აქამდე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები უბრალოდ ნაკლებეფექტურნი აღმოჩნდნენ და ისინი ძირეულად უნდა შეიცვალოს. ამიტომაა, რომ ამჟამად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები განიცდიან ყველაფერ ამის მკვეთრ გადაფასებას, რაც ადრე ჰქონდათ და, სახავენ ახალ ამოცანებს. ეს ქვეყნები ფაქტობრივად განზე დარჩნენ იმ ტექნოლოგიური და ცივილიზებული ბუმისაგან, რომელიც დაკავშირებულია საყოველთაო ელექტრონულ ცივილიზაციასთან, ეს პროცესი დასავლეთში 60—70-იან წლებში განხორციელდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ვერ მიიღეს დასავლეთის ქვეყნებიდან ახალი ტექნოლოგია, სსრ კავშირი კი მხოლოდ სამხედრო ტექნოლოგიას აუმჯობესებდა, ამიტომ მოხდა ტექნოლოგიური თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ასეთი მკვეთრი ჩამორჩენა დასავლეთისაგან.

ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპები, ცხოვრების დონის დაცემა, ფართო დემოკრატიული თავისუფლებების უქონლობა იწვევდა მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას, კრიზისს, რომლის გადაწყვეტა ფაქტობრივად გარდაუვალი გახდა. ეკონომიკური და სხვა ხასიათის ბედუკულმართობა, რომელშიც აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, პირდაპირ უკავშირდება საბჭოთა მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელების მიერ გატარებულ „შეთანხმებულ პილიტიკას“, ამ ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის კურსს, საბჭოთა ჯარების შეყვანის გზით ამ ხალხების გამოსვლების ჩახშობას, როგორც ეს იყო უნგრეთში 1956 წელს და ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს. ზოგიერთ ამ ქვეყანაში ანტისაბჭოური განწყობილება გამოწვეულია იმითაც, რომ აქ იყო საბჭოთა ჯარები (1989 წლის დეკემბრის ბოლოსათვის ჩეხოსლოვაკიაში იყო 73 ათასი, უნგრეთში კი 50 ათასი ჯარისკაცი)* და გარდა ამისა, მათ მიაჩნდათ, რომ, ვინაიდან ისინი აღმოჩნდნენ მოწყვეტილი დასავლეთისგან, „უფროსი რუსი ძმა“ ძარცვავდა მათ, უკრძალავდა დასავლეთიდან შედარებით იაფად

* 1991 წლის 1 ივლისისათვის უნგრეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა მთლიანად დამთავრდა. (ავტორის შენიშვნა).

ღირებული საქონლის, მაგალითად, ავტომანქანების შემოტანას; ვერ უზრუნველყოფდა უფრო დაბალი ხარისხის და ძვირად ღირებული საბჭოთა ავტომანქანებითაც კი და სხვა საქონლის მიწოდებას და თავს ახვევდა სსრკ-ში არსებული ხანგრძლივ ვადიან რიგებში დგომას.

ყველაფერი ამის შედეგი ის იყო, რომ დაიწყო ჩახშობასა და ძალადობაზე დაფუძნებული სოციალიზმის მიმართ რწმენის შერყევა.

რა მოელის აღმოსავლეთ ევროპას უახლოეს მომავალში? აქ რაიმე გამზადებული რეცეპტების წინასწარმეტყველება კადნიერება იქნებოდა, მაგრამ უდავოა: მომავალი ათწლედი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იქნება დაძაბული შრომის პერიოდი ბაზრის კანონების ძესაბამისად ეფექტური ეკონომიკური სისტემის ფორმირებისათვის, მაგრამ მისი ყველა დეტალის წინასწარ განჭვრეტა ძალზე ძნელია. ალბათ, კიდევ დიდ ხანს იქნება შენარჩუნებული ყველა ის სიძნელე, რომელიც გამოწვეულია საგარეო ვალებით, ტექნიკური ჩამორჩენილობითა და ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპებით. ამრიგად, სამეურნეო ცხოვრებაში სასწაულები არ მოხდება, ეს ძალზედ რთული პრობლემაა, მაგრამ მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებთან შედარებით ეკონომიკური პრობლემები მაინც ადვილად გადასაჭრელია. ამ ქვეყნებში კომუნისტურმა პარტიებმა დაკარგეს მონოპოლია ხელისუფლებაზე და ცნეს მმართველობის მრავალპარტიული სისტემა. ეს ქვეყნები ალბათ, გადავლენ პარლამენტური დემოკრატიის სისტემაზე. ძველი მმართველი პარტიების პოზიციები ამ ქვეყნებში დასუსტდა, ვინაიდან მათი შინაგანი ორიენტაციის შეცვლა ჩამორჩა საზოგადოებრივი შეგნების ცვლილებებს, ამიტომ კომპარტიების ჩართვა ახალ პოლიტიკურ სისტემაში ძალიან გაძნელდება. ამისათვის მათ დასჭირდებათ თავიანთ პროგრამებში და მოღვაწეობის პრინციპებში ძირეული ცვლილებების შეტანა, მრავალპარტიული სისტემის პირობებში პოლიტიკური ბრძოლის წარმოების, კომპრომისის ხელოვნებისა და ამომრჩევლებისათვის ბრძოლის შესწავლა, მაგრამ არა ჰეგემონიის პოზიციებიდან.

რაც შეეხება უახლოეს პერსპექტივებს, საჭიროა იმ ფაქტების აღიარება, რომ მათ თავიანთი ხელმძღვანელი როლი დაკარგეს. ყოველ შემთხვევაში, კომუნისტების მიერ დაკარგული პოზიციების აღდგენის პროგნოზირება ძალზე რთულია. განიცადეს რა მარცხი, კომუნისტური პარტიები ცდილობენ თავიანთი პოზიციების აღდგენას მორალური გასუფთავების მეშვეობით, რომელიც დაკავშირებულია უსიამოვნო გამოაშკარავებებთან, რაც კიდევ უფრო აშორებს ხალხს მათგან. მაგალითად, რად ღირს ცნობა იმის შესახებ, რომ კომპარტიის ყოფილ ლიდერებს თავიანთი ანგარიში ჰქონდათ გახსნილი

უცხოურ, უპირატესად, შვეიცარიის ბანკში (თ. ჟივკოვს, ნ. ჩაუშესკუს, და სხვებს). ასეთი ცნობები ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამიტომ მარტო მორალური განახლება საქმეს ვერ უშველის. უნდა გადაწყდეს მთავარი საკითხი: აღორძინონ ეკონომიკა და მის განვითარებას მისცენ აუცილებელი დინამიზმი.

ერთი რამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი და ბულგარეთი ხომ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნები იყვნენ და კომუნისტების დამსახურება სწორედ ის არის, რომ მათი ხელმძღვანელობით ხალხმა თავი დააღწია ჩამორჩენილობას და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ამ აღმშენებლობის პერიოდში შეცდომებიც იყო დაშვებული, მათ მექანიკურად გადაჰქონდათ სოციალიზმის მშენებლობის სკკპ-ის გამოცდილება, ხშირად უბრალოდ მის კოპირებას ახდენდნენ თავიანთი ქვეყნის თავისებურებების გაუთვალისწინებლად. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ხშირად. არც თუ უსაფუძვლოდ, ლაპარაკობენ იმაზეც, რომ კომუნისტებმა, ძალმომრეობის გზით, ხალხის სურვილის გარეშე მიიტაცეს ხელისუფლება და ამიტომ ასლა ხალხი ამხობს მათ არ შეიძლება ის ფაქტიც არ გავითვალისწინოთ, რომ, მაგალითად, ი. კადარი უნგრეთის ხელმძღვანელი 30 წელზე მეტ ხანს იყო, გ. ჰუსაკი (ჩეხოსლოვაკია) 20 წელს, ნ. ჩაუშესკუ (რუმინეთი) თითქმის 25 წელს, ფ. კასტრო უკვე 30 წელზე მეტია დგას ხელისუფლების სათავეში, კიმ ირ სენი (ჩრდილოეთ კორეა) — 40 წელზე მეტ ხანს. ამიტომ, სახელმწიფოს სათავეში ყოფნის მტკიცე მაქსიმალური ვადების დადგენა პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობების პირებისათვის ერთ-ერთი მთავარი გადასაწყვეტი ამოცანა იყო. ამით აიხსნება კრიზისი, რომელსაც განიცდიდნენ მმართველი პარტიები და, ამან იმოქმედა არჩევნების შედეგებზეც, რომლებიც 1990 წელს შედგა. ახლად შექმნილი პარტიების რაოდენობა იზრდება და იმათი საქმიანობაც იშლება, რომლებიც ადრეც არსებობდნენ, ხოლო ახლა ჩქარობენ დამოუკიდებლობას მიაღწიონ და უფრო გარკვეული პოლიტიკური პლატფორმა ჩამოაყალიბონ.

1989—1990 წლების მიჯნაზე აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, რომელმაც არსებითად შეცვალა რეგიონის სახე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსალოდნელ ნამდვილ დემოკრატიული ხასიათის არჩევნებს. 1990 წლის პირველ ნახევარში ექვს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში, პირველად 40 წლის განმავ-

ლობაში, მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე ჩატარდა არჩევნები. ამ არჩევნების შედეგებში საერთო ის იყო, რომ ყველგან დამარცხდნენ ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმის მომხრე პარტიები. არჩევნებმა გამოავლინა ახალი ლიდერები, რომელნიც ჩაუდგნენ ქვეყანას სათავეში. ისინი ალბათ აღადგენენ რეგიონში ისტორიული პროცესის ბუნებრივ განვითარებას, რომელიც ძალადატანებით შეჩერდა 40 წლის წინ. პოლიტიკური ძალების განლაგების თვალსაზრისით შემდეგნაირი ვითარება შეიქმნა. უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში გამარჯვებას მიაღწიეს საზოგადოებრივმა ფორმირებებმა, რომელნიც უფრო ელასტიურნი აღმოჩნდნენ თავიანთი პროგრამის მიზნებით და პლურალიზმით (უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი, „სამოქალაქო ფორუმი", „საზოგადოება ძალმომრეობის წინააღმდეგ", „სოლიდარობა"), რომლებშიც ხელმძღვანელობა არასოციალისტური ძალების ხელშია.

ბულგარეთსა და რუმინეთში არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს მემარცხენეებმა და მემარცხენე ცენტრისტულმა გაერთიანებებმა, ბულგარეთში სოციალისტურმა პარტიამ (ყოფილმა კომუნისტებმა), რუმინეთში კი ეროვნული ხსნის ფრონტმა, რომლის სათავეში ყოფილი კომუნისტები იდგნენ. მაგრამ აქაც ოპოზიციური, არასოციალისტური ძალები შეეცადნენ ჩამოეგდოთ არჩევნებში გამარჯვებული ხელმძღვანელები. მოაწყვეს გრანდიოზული გამოსვლები, რომლებიც სისხლსიმღვრელი ბრძოლებით დამთავრდა. რუმინეთში ილიესკუმ შეძლო ხელისუფლების შენარჩუნება, მაგრამ მასობრივმა გამოსვლებმა ბულგარეთში პრეზიდენტად ახლად არჩეული მლადენოვი აიძულა გადამდგარიყო. პრეზიდენტი გახდა ყოფილი დისიდენტი, ბულგარეთის დემოკრატიული ძალების კავშირის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ჟელიო ჟელევი, რომელიც მთლიანად არასოციალისტურ იდეურ და პოლიტიკურ პოზიციებზე დგას. ამრიგად, ბულგარეთში პრეზიდენტი არასოციალისტია, პარლამენტში კი დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა იმყოფება ბულგარეთის სოციალისტური პარტიის ხელში. მალე ამის შემდეგ გადადგა ლუკანოვის (ყოფილი კომუნისტი) მთავრობაც და ერთი თვის კრიზისის შემდეგ მანვე შეიქმნა ერთპარტიული მთავრობა ოპოზიციონერების მონაწილეობის გარეშე.

არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა და სოციალისტურმა პარტიებმა (გარდა ბულგარეთისა), მათ შორის ვერც ახლად აღდგენილმა „ისტორიულმა", სოციალ-დემოკრატიულმა და ვერც კომუნისტურმა პარტიებმა ვერ მიიღეს ამომრჩევე-

ლთა ხმების იმდენი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა მათი წარმატებისათვის. პირიქით, არჩევნებმა ცხადყო, რომ ამ პარტიებმა დაკარგეს გავლენა მასებზე. მაგალითად, უნგრეთში სოციალისტებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს (8,5 პროცენტი ამომრჩეველთა ხმებისა), ხოლო უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ (ე. ი. ყოფილმა კომუნისტებმა), რომელიც 1956 წლიდან იდგა ხელისუფლების სათავეში და „ისტორიულმა“ უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (უსდპ) ვერ გადალახეს 5-პროცენტიანი ბარიერი და ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს პარლამენტში. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები ჩეხოსლოვაკიაში, რომელთა საქმიანობა აღდგა ე. წ. „ხავერდოვანი უსისხლო რევოლუციის“ შემდეგ. მაგრამ იმ დროს მოულოდნელი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიის კპ-ის წარმატება, რომელმაც მიიღო ხმების 14 პროცენტი.

რუმინეთის პარლამენტში „ისტორიულმა“ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ 2 დეპუტატის ადგილი მიიღო, ხუთი კი—ახლად შექმნილმა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ.

უფრო უმნიშვნელო იყო წარმატებები მემარცხენე პარტიებისა ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში პოლონეთში, სადაც სოციალ-დემოკრატებმა ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტზე ნაკლები მიიღეს.

გდრ-ში (სანამ აღმოსავლეთ და დასავლეთი გერმანია გაერთიანდებოდა), სადაც ახლად აღდგენილი სოციალ-დემოკრატიული პარტია დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიდი მცარდაჭერით სარგებლობდა და ბევრი მიმომხილველი მას წარმატებას უწინასწარმეტყველებდა, მან მეორე. დემოკრატიული სოციალიზმის პარტიასთან (ყოფილი კომუნისტები) ერთად უფრო ნაკლები ხმები მიიღო, ვიდრე ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა. ეს ალბათ ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები ფაქტობრივად მოშლილი და ხალხისაგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ, მათ ვერ მოასწრეს ან ვეო შეძლეს ახალი პროგრამების შემუშავება, ბევრგან აწყდებოდნენ აშკარა დისკრიმინაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ძირითადად რადიო-ტელევიზიის გამოყენებისას, დაკარგეს ძველი ფინანსური წყაროები. ამ პარტიებში, მიუხედავად მათი მისწრაფებებისა, რომ განთავისუფლებულიყვნენ წარსულის ნეგატიური მოვლენებისაგან. ბევრი აქტივისტი და რიგითი წევრი ვერ განთავისუფლდა ძველი შეხედულებებისაგან. ყველაფერი ეს კი გავლენას ახდენდა ამ პარტიების საარჩევნო კამპანიებზე. მათი დამარცხების ერთ-ერთ მიზე-

ზად ისიცაა მიჩნეული, რომ ისინი ურთიერთ შორის ეწეოდნენ მძაფრ კონკურენციას, რამაც კიდევ უფრო დაქსაქსა მათი ძალები. განხეთქილების სიღრმეზე მიგვითითებს, მაგალითად, არჩევნების წინ შექმნილი სიტუაცია, სადაც ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის მთავარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ გამოაცხადა დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, მემარჯვენე პარტიებს კი მხოლოდ კონკურენტები უწოდა. უფრო მეტიც, არჩევნების შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის ქონების ნაციონალიზაცია და კითხვის ქვეშ დააყენეს ამ პარტიის არსებობის საკითხიც კი.

მაინც რითი აიხსნება მმართველი პარტიების საყოველთაო დამარცხება, პარტიებისა, რომელნიც 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განაგებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და იმ სოციალ-დემოკრატიული „ისტორიული“ პარტიებისა, რომელნიც აღდგენილ იქნენ დემოკრატიზაციის ვითარებაში. საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში საზოგადოებრივ ცნობიერებაში დისკრედიტირებული აღმოჩნდა თვითონ „სოციალიზმის“ ტერმინიც კი და მასთან დაკავშირებული პრინციპები, იდეები და მიზნები. ამ რეგიონის მოსახლეობის ფართო ფენები სწორედ „სოციალიზმს“ უკავშირებენ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა უყაირათობა, ეკონომიკური უეფექტურობა, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების შებღალვა, შეზღუდული ეროვნული სუვერენიტეტი, სახელმწიფო-პარტიული ზედაფენების გადაგვარება და მორალური გახრწნა. გასაგებია, რომ „სოციალისტური წარსულისადმი“ ე. წ. ალერგია გამოწვეულია იმ პოლიტიკოსებისა და პარტიებისაგან, რომელნიც მათთან გენეტიკურად არიან დაკავშირებულნი და ახლაც იცავენ იმ იდეებს, რომელნიც გარეგნულად მაინც მოაგონებთ წარსულ დროს. სწორედ ამან გამოიწვია მათი ასეთი კატასტროფული დამარცხება. ხალხმა რწმენა დაკარგა სოციალისტური იდეებისადმი. სოციალისტურმა ორიენტაციამ ნდობა დაკარგა, გამოიფიტა, ზოგან კი — მაგალითად, პოლონეთში—არარაობამდე დავიდა. ასეთია საბოლოო ლოგიკური შედეგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში „სოციალიზმის“ მოდელის ძალით თავსმოხვევისა, ბრმად გადაღებისა და ეამკვიდრებისა, ისტორიული და ეროვნული პირობების გათვალისწინების გარეშე. კატასტროფული სისწრაფით მცირდება ყოფილი მმართველი პარტიების წევრთა რაოდენობა. მაგალითად, პოლონეთში ყოფილი გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრთა რაოდენობა 2 მილიონიდან 53 ათასამდე შემცირდა, უნგრეთში 850 ათასი-(ადრე უნგრეთის სოციალისტური პარტია) 50 ათასამდე (ახლა უნგ-

რეთის სოციალისტური პარტია) და 82 ათასი ახალ უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიაში. ამ მონაცემების გაანალიზება ცხადყოფს, რომ ყოფილი მმართველი პარტიების დამარცხება არჩევნებში შემთხვევითი არაა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მემარჯვენე პარტიების მონოპოლია ხელისუფლებაზე დიდხანს არ გაგრძელდება და შეიძლება კვლავ მოხდეს ის, რომ წარმატებას ისევ ყოფილმა მმართველმა, მაგრამ ძირეულად განახლებულმა პარტიებმა მიაღწიონ. მაგრამ ამისათვის დიდი დროა საჭირო.

რანაირნი იქნებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორნი არიან ისინი ახლა? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უკან დაბრუნება აღარ მოხდება. გამორიცხულია ისიც, რომ ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდეს კომპარტიების ცკ-ის შემადგენლობიდან სხვა პირებით. თვით კომპარტიებში ურთიერთობა წყდება იმათთან, ვინც გამოიწვია პარტიის დეფორმაცია და სახელი გაუტეხა როგორც პარტიას, ასევე სოციალიზმის იდეებს. კომუნისტურ პარტიებს ავტორიტეტის აღდგენისათვის, ალბათ, დიდი დრო დასჭირდებათ. მათი მდგომარეობა საზოგადოებაში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ტაქტიკასა და სტრატეგიას შეიმუშავებენ ისინი, როგორ გაითვალისწინებენ ქვეყნისა და ხალხის საჭიროებასა და განწყობას.

აღმოსავლეთ ევროპაში დატრიალებული ბობოქარი ამბების შედეგად, ხალხის ნება-სურვილით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ძალები, ახალი ლიდერები. წინ არის საზოგადოების რადიკალური განახლება, მისი დემოკრატიული ტრადიციების განახლება, ეკონომიკის განთავისუფლება და მისი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

აღმოსავლეთ ევროპის ხალხები დარწმუნებული არიან, რომ სსრ კავშირში არსებული გარდაქმნების წყალობით გამორიცხულია საბჭოთა ინტერვენცია, რომ „ბრეჟნევის დოქტრინა“ საბოლოოდ დასამარად, სსრ კავშირი არ ემუქრება მათ სუვერენიტეტს.

§ 2. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ დასაბამი მისცა ამ ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობას ეკონომიკის განვითარებისა და ბაკუთარი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (შემდგომში საბჭო) შეიქმნა 1949 წლის იანვარს მოსკოვში. მისმა ორგანიზაციამ ობიექტური პირობები შექმნა სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაციისათვის, საბჭოს დამაარსებლები იყვნენ საბჭოთა კავშირი,

ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია. 1949 წლის თებერვალში საბჭოში შევიდა ალბანეთი (1961 წლიდან მან შეწყვიტა საბჭოში მონაწილეობა). 1950 წლის სექტემბრიდან საბჭოში შევიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 1962 წელს საბჭოს XVI რიგგარეშე სესიამ შესაძლებლად ჩათვალა, რომ მასში შესულიყვნენ არაევროპული ქვეყნები, რის შემდეგ საბჭოში შევიდნენ მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა (1962 წ.), კუბის რესპუბლიკა (1972 წ.), ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა (1978 წ.). იუგოსლავია და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოს ზოგიერთ ორგანოში მონაწილეობდნენ. 1964 წლის სექტემბერში საბჭოსა და იუგოსლავიას შორის, რომელსაც ამ დროს უკვე ჰქონდა საბჭოში მეთვალყურის სტატუსი, დაიდო შეთანხმება იუგოსლავიის მონაწილეობის შესახებ საბჭოს ორგანოებში, კერძოდ, შვიდ ორგანოში. შემდეგ იუგოსლავიის მონაწილეობა საბჭოში უფრო გაიზარდა და გავრცელდა სხვა დარგებზეც, რომლის რაოდენობა 1984 წლის ბოლოსათვის აღწევდა 23 დარგს, მათ შორის ელექტრონიკას, ელექტროენერგეტიკას, ატომური ენერგიის გამოყენებას მშვიდობიანი მიზნებისათვის, ნავთობის, ქვანახშირისა და გაზის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, მშენებლობას და ა. შ.

1973 წლის მაისში საბჭოსა და ფინეთს შორის დაიდო შეთანხმება ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რის შემდეგ საბჭოს ქვეყნებსა და ფინეთს შორის საქონლის ბრუნვა გაიზარდა და 1985 წლისათვის შეადგინა 6,5 მლრდ მანეთი (1973 წლისათვის კი მხოლოდ 0,9 მლრდ მანეთს შეადგენდა).

1949 წლიდან 1956 წლამდე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა საბჭოს ხაზით უპირატესად მოიცავდა ვაჭრობის სფეროს და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და ტექნიკური გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

1956 წლიდან ეკონომიკური თანამშრომლობის ცენტრმა გადაინაცვლა წარმოების სფეროში და საბჭოს წევრი ქვეყნები გადავიდნენ სახალხო მეურნეობის გეგმების პირდაპირ შეთანხმებაზე, კონკრეტული დარგების სპეციალიზაციასა და კოოპერირებაზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს საგარეო ვაჭრობის როლის დაცემას, რომელსაც იყენებდნენ თავისი სახალხო მეურნეობრივი გეგმების განხორციელების შედეგად შექმნილი პროდუქციის რეალიზაციისათვის. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმში მნიშნელოვან როლს ასრულებდა შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის რეგულირება, მათ შორის ნებაყოფლობითი კოოპერირება, რომელიც არ გამორიცხავდა ეროვნული ინტერესების შელახვას.

თანამედროვე სტატისტიკით, მსოფლიოში ამჟამად 20 მილიონამდე სხვადასხვა სახეობის საწარმოო პროდუქციისა და სამომხმარებლო დანიშნულების საქონელს უშვებენ, დაწყებული პურის ნაწარმიდან, სახვადასხვა სახის სასმელებიდან და დამთავრებული ელექტროგამომთვლელი მანქანებითა და კოსმოსური ხომალდებით. მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში აწარმოებენ 500 ათასზე მეტი დასახელების მანქანებსა და მექანიზმებს. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი კვლავ სწრაფად იზრდება. ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება წინააღმდეგობანი, ერთი მხრივ, იმის გამო თუ რა შეუძლია ყოველ ქვეყანას საკუთარი ძალებით და სახსრებით აწარმოოს და, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ აუცილებელია მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

გასაგებია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ ცალკეულ ქვეყნებს, თავიანთი საკუთარი ძალებით არ შეეძლოთ ეწარმოებინათ ასეთი რაოდენობისა და ასორტიმენტის საქონელი, ვინაიდან მათი მატერიალური და ფინანსური რესურსები. თუ თითოეულს ცალ-ცალკე ავიღებთ, ამ მხრივ ძალზე შეზღუდულია. პატარა და საშუალო ქვეყნებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ მსოფლიო ტექნიკურ დონემდე ამაღლება.

ამიტომ თვით შემდგომში ეკონომიკური განვითარების მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ეკონომიკის ინტეგრაციის განვითარების საკითხებს. ამ პროცესის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა სტანდარტიზაციას, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას. სტანდარტიზაცია განსაზღვრავს ხარისხობრივ მოთხოვნებს მზა პროდუქციისადმი, ნედლეულისადმი, გასასაღებელი ნაწარმისადმი. იგი აწარმოებს უნიფიცირებას და ზომადობის ერთიანობის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. ყველაფერს ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებისათვის, არამედ, აგრეთვე მსოფლიო ბაზარზე საბჭოში შემავალი ქვეყნების მირ გამოშვებული პროდუქციის კონკურენციის შესაძლებლობისათვის.

საბჭოს წევრი ქვეყნები ერთმანეთს უთანხმებდნენ ცალკეულ ქვეყნებში გამოშვებული ნაწარმის ნომენკლატურის შემცირების მეთოდებსა და საშუალებებს იმ მიზნით, რომ ყოველ ქვეყანაში შეექმნათ მსხვილმასშტაბიანი ნაკადური წარმოება. სახელმწიფოთაშორი-

სო სპეციალიზაცია ნიშნავს ერთდარგოვანი პროდუქციის წარმოების კონცენტრაციას ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში დაინტერესებული ქვეყნების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ტექნიკის დონის ამაღლებას, წარმოების ორგანიზაციასა და მყარი ეკონომიკური კავშირია და ქვეყნებს შორის საწარმოო კოოპერირების დამყარებას.

ამრიგად, ეკონომიკური ინტეგრაცია შრომის საერთაშორისო დანაწილების, ეროვნული მეურნეობის დაახლოებისა და კოოპერირების პროცესი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ერთიანი ძალით ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას. იგი საერთო ინტერესებს ემსახურებოდა და ცდილობდა სამეურნეო კომპლექსის შექმნას.

60-იანი წლების დამლევიდან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები მოკლევადიანი დაგეგმვიდან გადადიან ხანგრძლივვადიან დაგეგმვაზე. 1971 წ. საბჭომ მიიღო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და საბჭოში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამა, რომელიც 20 წლის ვადით იყო გათვალისწინებული. იგი ითვალსწინებდა ერთიანი თანამშრომლობით 200-ზე მეტი მსხვილი ღონისძიების განხორციელებას, ხალხთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას და საბჭოს ქვეყნების საწარმოო ძალების რაოდენობრივ და ხარისხობრივ უფრო სწრაფად განვითარებას. მან დასაბამი მისცა მსხვილმასშტაბიანი პროექტის შექმნასა და განხორციელებას, სპეციალიზებული და კოოპერირებული ელექტრო-გამოთვლითი ტექნიკის წარმოებას. ატომური ელექტრო სადგურების მოწყობილობების წარმოებას. წამყვან დარგებში საინტეგრაციო კავშირის გაფართოებას. ეს გეგმა მთლიანად ვერ განხორციელდა. ხუთწლედიდან ხუთწლედამდე იზრდებოდა საბჭოს ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის მოცულობა. მაგალითად, 1982 წ. საბჭოს ქვეყნების საქონლის ურთიერთბრუნვამ შეადგინა 149,2 მლრდ მანეთი, რაც 10-ჯერ აღემატება 1960 წლის დონეს, ხოლო 1984 წლისათვის საბჭოს ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ შეადგინა 313 მლრდ მანეთზე მეტი. ამ დროის მანძილზე უფრო სწრაფად იზრდებოდა ურთიერთშორის ვაჭრობა.

საბჭოს ქვეყნების ექსპორტის ურთიერთვაჭრობის სტრუქტურაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, გაიზარდა მანქანებით, მოწყობილობებით, სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის ხვედრითი წონა. მაგალითად. თუ 1950 წ. მათი ხვედრითი წონა ექსპორტში შეადგენდა 20,5 პროცენტს, 1960 წელს შეადგინა—31,7, 1978 წელს კი—43.9 პროცენტი. ასეთი სახის ვაჭრობა 80-იან წლებშიც იზრდებოდა.

საბჭოს ქვეყნების გეგმების კოორდინაციამ კაპიტალურ დაბანდებებში საშუალება მისცა მათ მოეხდინათ თავიანთი საინვესტიციო სახსრების კონცენტრირება ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტების ერთობლივ მშენებლობაზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ამ ქვეყნების სახალხო მეურნეობისათვის, კერძოდ, ააგეს ნავთობსადენი „მეგობრობა", გაზსადენები „ძმობა" და „კავშირი". აიგო მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებმაც საბჭოს ევროპულ ქვეყნებს თავიანთი ენერგეტიკული სისტემების გაერთიანების საშუალება მისცეს. საინტეგრაციო ახალმშენებლობათა რუკაზე იყო უსტ-ილიმის ცელულოზის ქარხანა და კიემბაევის ასბესტის კომბინატი, ხმელნიცკისა და სამხრეთ უკრაინის ატომური ელსადგურის სიმძლავრეები, რკინის, კობალტის, ნიკელის მომპოვებელი ობიექტები.

აშენდა კრივოიროგის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი მეტალურგიული მრეწველობისათვის ნედლეულის საწარმოებლად. ხმელნიცკის ატომური ელექტრო-სადგურიდან (მლნ კვმ სიძლიერის პირველი ენერგო-ბლოკი) გაიყვანეს ელექტრო-ხაზი პოლონეთში. საექსპლოატაციოდ ჩაბარდა სამხრეთ-უკრაინის ატომური ელექტროსადგურის ახალი ენერგობლოკი; ერთობლივად გაიყვანეს სისტემათაშორისო ელექტროგადამცემის ხაზი 750 კვტ-ის ძაბვისა რუმინეთსა და ბულგარეთში. მწყობრში ჩადგნენ უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის ატომური სადგურების ახალი ენერგობლოკები. საბჭოს ქვეყნებში მუშავდებოდა პროგრამები ატომური ელექტრო-სადგურებისა და ატომური სადგურების მშენებლობისა 2000 წლამდე. განხორციელდა თანამშრომლობის შეთანხმებული პირობები მაგისტრალური ნავსადენების გაყვანისათვის იამბურგიდან საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრამდე.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მოღვაწეობის შედეგი ის იყო, რომ მასში შემავალ ქვეყნებში შეიქმნა განვითარებული თანამედროვე კომპლექსური მანქანათმშენებლობის დარგები, რადიოელექტრონიკა, ქიმია, მაღალმექანიზებული ავროსამრეწველო კომპლექსი. ინდუსტრიული განვითარების ბაზა იქმნებოდა მონღოლეთში, კუბასა და ვიეტნამში.

თავდაპირველი ფორმიდან, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული პროდუქციის ურთიერთმიწოდებას და ერთმანეთისათვის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის უსასყიდლოდ გადაცემას, თანამშრომლობა ვითარდებოდა ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების გზით. ქვეყნები გადავიდნენ თავიანთი სახალხო-სამეურნეო გეგმების უშუალო კოორდინაციაზე, წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებაზე.

ორმოცი წლის მანძილზე არაერთი დიდი პრიორიტეტული პრობლემა გადაწყდა, რომლებიც სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებთან და ნედლეულთან იყო დაკავშირებული.

ამრიგად, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების სახალხო მეურნეობათა უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, ურთიერთშევსებას და ურთიერთდაკავშირებას ხელი შეუწყო 1971 წელს მიღებულმა ეკონომიკური ინტეგრაციის, თანამშრომლობისა და განკითარების შემდგომი გაღრმავება-სრულყოფის კომპლექსურმა პროგრამამ.

მაგრამ განვლილ წლებში წარმატებებთან ერთად იყო სიძნელეები. 70-იანი წლების შუა პერიოდიდან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს თანამეგობრობის ქვეყნებში დაგროვდა ნეგატიური მოვლენები. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მიერ 70-იან წლებში ერთობლივად მიღებული პროგრამები მხოლოდ ნაწილობრივად შესრულდა. სუსტად ინერგებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, იზრდებოდა დავალიანება, შენელდა სსრ კავშირისა და საბჭოს რიგი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტემპები, ამოიწურა ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობანი, გამწვავდა ეკონომიკური პრობლემები. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა საქონელბრუნვის ურთიერთ დინამიკა, არ ხდებოდა აღნიშნულ ქვეყნებს შორის საწარმოო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შესაძლებლობების მთლიანი გამოყენება. მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საბჭოში შემავალი ევროპის ქვეყნებში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება დასავლეთ ევროპის ქვეყნების დონისაგან.

ყველაფერი ეს, უარყოფითი მოვლენები ერთად აღებული ნიშნავდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს კრიზისს.

ბოლო წლებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებამ დაკარგა თავისი დინამიზმი, შესუსტდა მათი როლი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანობა შემცირდა. როგორც სოფიაში 1990 წლის იანვარში შემდგარ 45-ე სესიაზე აღინიშნა, სულ უფრო შესამჩნევი დაბრკოლებანი ექმნება ერთმანთთან ვაჭრობის ზრდას, გადამმუშავებელი და მანქანათსაშენებელი დარგების პროდუქციის გაცვლის გაფართოებას, სამრეწველო კოოპერაციის გაღრმავებას. თანამშრომლობის მიმზიდველმა ძალამ იკლო. ქვეყნების უმრავლესობა წააწყდა საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას, მსოფლიო საქონელბრუნვაში წილის შემცირებას, საგარეო ვალის ზრდას.

ამ ნეგატიური მოვლენების მიზეზები საკმაოდ რთული იყო და გან-

პირობებულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ხასიათის მთელი რიგი ფაქტორებით. მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ მთავარს: თავად სახელმწიფოთაშორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის სისტემასა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მეტ წილ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს შორის შეიქმნა დიდი შეუსაბამობა, რომელიც სულ უფრო შესამჩნევ უარყოფითს გავლენას ახდენს მათს ეკონომიკურ კავშირურთიერთობაზე.

ამასთან დაკავშირებით 45-ე სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა: „როგორც ყოველივე ეს მოწმობს, ჩვენი ქვეყნები მჭიდროდ მიუახლოვდნენ იმის აუცილებლობას, რომ რადიკალურად გარდაიქმნას ეკონომიკური თანამშრომლობის მთელი სისტემა... გადავიდეთ ეკონომიკურ მეთოდებზე და ფართოდ გამოვიყენოთ საბაზრო ურთიერთობანი, მივუახლოოთ ჩვენი ეკონომიკური კავშირურთიერთობანი მსოფლიო პირობებს“.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 45-ე სესიაზე გადაწყდა, რომ მოკლე ხანში ეს ორგანო ძირფესვიანად გარდაიქმნება.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ჩარჩოებში ეკონომიკური ინტეგრაცია ფაქტობრივად სახელმწიფოთაშორისო საქონლის მოწოდების რეგულირების ორგანოს წარმოადგენდა. ეკონომიკური ურთიერთობა პარტნიორებს შორის იდეოლოგიზირებულ ხასიათს ატარებდა. მათმა ასეთმა ორიენტაციამ, სასაქონლო ფულად ურთიერთობის უგულვებელყოფამ, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ობიექტური კრიტერიებისაგან მოწყვეტამ გამოიწვია ამ ურთიერთობის სტრუქტურის დეფორმაცია, ეკონომიკური ინტერესების დაშორება, ვალის პრობლემები. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო მოძველებული პოლიტიკური სისტემის ტყვეობაში აღმოჩნდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური სისტემის დიქტატისადმი დამორჩილების „შელამაზება“ ხდებოდა იაფი სათბობის და ნედლეულის მიწოდებით საბჭოთა კავშირიდან. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი თავისი გეოპოლიტიკური სტაბილურობისათვის იხდიდა თავისი ბუნებრივი რესურსებიდან, რითაც ფაქტობრივად ხდებოდა განვითარებადი კატეგორიის ქვეყნად.

ამჟამად საკითხი ასე დგას—ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ თავისი მისია შეასრულა, ხელი შეუწყო მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და დაახლოებას, მაგრამ ამჟამად მისი მომავალი იმაზეა დამოკიდებული თუ შესძლებს განთავისუფლებას პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაციისაგან და საგარეო პოლიტიკური კავშირების დამყარებას.. აღნიშნულ კავშირ-

ში შემავალი ქვეყნების პრობლემები მნიშვნელოვნად ისტორიული შეცდომების კანონიერი შედეგია. ამიტომ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები უნდა გამოვიდნენ 'საავაჭრო-ეკონომიკური' კავშირის იდეოლოგიისაგან და დაადგნენ ბუნებრივი განვითარების გზას. რა თქმა უნდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა უნდა შეინარჩუნონ ნამდვილი ურთიერთხელსაყრელი კავშირები, მაგრამ უნდა უფრო ფართოდ გავიდნენ დასავლეთ ევროპის და მსოფლიო ბაზარზე. სწორედ ასეთ პოზიციაზე დგანან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ხელმძღვანელები, რომ გადავიდნენ ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე, ცენტრალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე. ეკონომიკური ურთიერთდახმარების ბოლო 45-ე სეს'იამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ ურთიერთვაჭრობისას გამომდინარეობდნენ მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასებიდან. საბჭოთა კავშირი 1991 წლის იანვრიდან სათბობს გაიტანს მსოფლიოს ფასებზე არსებული ღირებულებით. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ გადაწყვიტა, რათა ამიერიდან უარი თქვა ძველ სტერეოტიპულ შეხედულებებზე და უფრო ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ასპარეზი აირჩიოს მთელი ევროპის მასშტაბით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ამ ბოლო დროს დასავლეთ ევროპასთან დაახლოების ინტენსიური კურსი აიღეს და მტკიცედ დაადგნენ საბაზრო ეკონომიკის შექმნის გზას. „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან სულ უფრო ინტენსიურად ვითარდება ფართო ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის და ინტეგრაციის გზის ძიება. ამრიგად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ცვლიან თავის საავაჭრო ურთიერთობის მარშრუტს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, საერთო ევროპული ბაზრის შექმნისაკენ, რომელშიც გაერთიანდებიან როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ქვეყნებში*.

ამრიგად, ევროპის და მსოფლიოს ურთიერთსაწინააღმდეგო დაყოფის პერიოდში შექმნილმა დახშულმა ადმინისტრაციულ-ბრძანებლურმა ბიროკრატულმა ეკონომიკურმა ბლოკმა, 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ძირეული ცვლილებების შემდეგ, ვერ გაუძლო გამოცდას და მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ დახშულმა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა ორგანიზაციამ, მიუხედავად მისი ზოგიერთ დარგის თანამშრომლობაში მიღწეულმა წარმატებებმა, ვერ გაართვა თავი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ამოცანების გადაწყვეტას. პირიქით მასში შემავალ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში უარყოფითმა

* 1991 წ. ივნისში გაუქმდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელმაც 42 წელი და ექვსი თვე იარსება. (ავტორის შენიშვნა).

და დაძაბულმა მოვლენებმა იჩინა თავი. ამის შედეგად, მათ შორის ვერ შეიქმნა ერთიანი ბაზარი უბაჟო და სხვა პარიერების გარეშე, რეალური კონვერტირებული ვალუტა, ერთიანი საგადასახადო სისტემა, როგორც ეს მოხდა დასავლეთ ევროპაში „საერთო ბაზარში“ შემავალ ქვეყნებს შორის. უკანასკნელ წლებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებს შორის ნამდვილი საბაჟო ომი დაიწყო. ამ ორგანომ, თავისი ორმოცწლიანი არსებობის განმავლობაში ცხადყო თავისი უსიცოცხლობა და უუნარობა მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრირებაში. უკანასკნელ წლებში აღნიშნულ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები ურთიერთ-ვაჭრობაში გადავიდნენ მსოფლიოში არსებულ ფასებზე და თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაზე. ამის შედეგად ძალზედ საშიში სიტუაცია შეიქმნა. უკანასკნელ წლებში მათ შორის საქონლის ურთიერთმიწოდება განახევრდა. საწყობებში უამრავი მსოფლიო ბაზრისათვის კონკრეტული საქონელი დაგროვდა, მაგრამ ძველ პარტნიორებს კი დოლარები არ გააჩნიათ, რათა ერთმანეთთან ივაჭრონ. განსაკუთრებით ეს ეხება საბჭოთა კავშირს, რომელსაც არ გააჩნია ვალუტა, რათა შეისყიდოს უნგრეთისა და პოლონეთის ფარმაცევტული საწარმოებისათვის მიცემული დაკვეთების შედეგად შესრულებული წამლები. თუ ამ ქვეყნებს შორის სხვა გზები არ გამოინახა ურთიერთ ვაჭრობაში, მაგალითად ბარტერული გარიგების განვითარებისათვის, მათ შორის ვაჭრობაში კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნება. ურთიერთ ანგარიშში ასეთი სიტუაცია მარტო ვაჭრობაში როდია. ეროვნული ვალუტის მთლიანმა გაუქმებამ და დოლარზე გადასვლამ დიდი დარტყმა მიაყენა ადამიანთა შორის კონტაქტებს, ტურიზმს, კულტურულ ურთიერთობის განვითარებას. ფასები ავია- და რკინიგზის ბილეთებზე, გაზეთებზე, სხვა ქვეყნების წიგნებზე ხალხისათვის მიუწვდომელი ხდება

ორმოცი წლის განმავლობაში კარგად თუ ცუდად არსებული ეკონომიკური ურთიერთობის დარღვევა აღნიშნულ ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს შორის უარყოფით გავლენას ახდენს მათ ეკონომიკაზე. ამიტომ აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური წრეები ცდილობენ რაღაც საკონსულტაციო ფორუმის შექმნას უკვე ორმოცი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობის გასაგრძელებლად. არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა „სამეულსა“ ერთი მხრივ უნგრეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთს შორის, რომელნიც შორს წავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საქმეში, და მეორე მხრივ კუბას შორის. „სამეული“

მოლაპარაკებას აწარმოებს „საერთო ბაზართან“ მასში ასოცირებულ წევრად გახდომის შესახებ. ამასთანავე „სამეული“ ისწრაფვის შექმნას საკონსულტაციო ხასიათის ორგანიზაცია, მარტო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაწილეობით მონგოლეთის, ვიეტნამის და კუბის მონწილეობის გარეშე. ამას „სამეული“ იმით ხსნის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას აერთიანებს არა მარტო წარსული, არამედ აწმყოც,—ყველა ისინი შედიან საბაზრო ეკონომიკაში, მსოფლიო მეურნეობაში, ყველა გაერთიანებულია საერთო ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, ყველას საერთო პრობლემა აქვს ეკოლოგიიდან დაწყებული ეროვნული ვალუტის შექმნამდე დამთავრებული. ასე რომ ცალ-ცალკე მათი გასვლა არ იქნება მათთვის ხელსაყრელი და ეს ფიზიკურადაც შეუძლებელია. ამიტომ ისინი ეძებენ ურთიერთმოქმედების ახალ ფორმებს თანასწორობის და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

§ 8. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა

1955 წლის 11—14 მაისს ვარშავაში მოიწვიეს ევროპის სოციალისტური ქვეყნების თათბირი ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და უშიშროების შესახებ. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ალბანეთის მთავრობათა დელეგაციები. მასში მეთვალყურის სახით მონაწილეობდა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი.

თათბირმა გააანალიზა საერთაშორისო ვითარება, რომელიც შეიქმნა პარიზის შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. თათბირზე აღინიშნა, რომ დასავლეთ ევროპის სამხედრო ბლოკების შექმნა და ნატოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეყვანა, მიმართულია სოციალისტური ქვეყნების ეროვნული უშიშროების, დამოუკიდებლობისა და, საერთოდ, მშვიდობის შენარჩუნების წინააღმდეგ. ამიტომ სოციალისტური ქვეყნები იძულებულნი არიან მიიღონ ღონისძიებანი, თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფისა და ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. ეს გარემოება აიძულებს მათ იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიულ სამხედრო ძალებს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების მიზნით, დაუპირისპირონ სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული სამხედრო ძალები.

1955 წლის 14 მაისს ვარშავის თათბირის მონაწილეებმა ხელი მო-

აწერეს ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ—სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას შორის[1].

ხელშეკრულება შედგება შესავლისაგან. 11 მუხლისა და დასკვნისაგან, ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1955 წლის 4 ივნისს, როდესაც პოლონეთის მთავრობას, როგორც დეპოზიტორ ქვეყანას, ვარშავის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ქვეყნების მიერ რატიფიცირებული სიგელები ჩაბარდა შესანახად. ხელშეკრულება ოცი წლის ვადით დაიდო, შემდეგ კი იგი გათვალისწინებული იყო, რომ ავტომატურად გაგრძელდება 10 წლის ვადით იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო ერთი წლით ადრე არ აცნობებს პოლონეთის მთავრობას ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოები იყო: პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობა.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის შემადგენლობა, ამოცანები და მოცულობა განისაზღვრა მეექვსე მუხლით და ნაწილობრივ 1955 წლის 14 მაისის სპეციალური გადაწყვეტილებით. ერთგვარი ტრადიცია დამყარდა, რომლითაც კომიტეტზე ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები წარმოდგენილნი იყვნენ მაღალ დონეზე, კერძოდ, მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების პირველი მდივნები, მთავრობის ხელმძღვანელები, საგარეო საქმეთა მინისტრები, თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და შტაბის უფროსი. პოლიტიკურ საკონსულტაციო კომიტეტში ყოველ სახელმწიფოს ერთი ხმა ჰქონდა. სხდომების მოწვევა პერიოდულად, საჭიროების მიხედვით ხდებოდა, როგორც წესი წელიწადში ერთხელ რიგრიგობით ხელშეკრულებაზე ხელმომწერ სახელმწიფოთა დედაქალაქებში. თათბირს თავმჯდომარეობდნენ რიგრიგობით. სხდომებზე იხილავდნენ და წყვეტდნენ საერთაშორისო საკითხებს, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ცალკეულ სახელმწიფოებს ან მთლიანად მათ ეხებათ, აგრეთვე, იხილავდნენ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებული იყო მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასთან და ერთობლივი თავდაცვის ვალდებულებებთან. პო-

---

1 1962 წლიდან ალბანეთი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში აღარ მონაწილეობს.

ლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის გარდა ვარშავის ხელშეკრულების ხაზით ხშირად ეწყობოდა ცკ-ის პირველი მდივნების, მთავრობის თავმჯდომარეების შეხვედრები და თათბირები, აგრეთვე, თათბირები საგარეო საქმეთა მინისტრებისა, თავდაცვის მინისტრებისა დ მათი მოადგილეებისა. ამ თათბირებზე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წარმომადგენლები არა მარტო იხილავდნენ საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და იმუშავებდნენ საერთო პოზიციას, არამედ, აყენებდნენ სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებს.

გაერთიანებული სარდლობის შემადგენლობაში შედიოდნენ გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, მისი მოადგილეები და შტაბი. გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი პერსონალურად ინიშნებოდა მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე. მთავარსარდლის მოადგილეები იყვნენ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები და სხვა სამხედრო ხელმძღვანელები. მათზე დაკისრებული იყო ყოველი მონაწილე სახელმწიფოს იმ შეიარაღებული ძალების სარდლობა, რომელიც გამოყოფილია გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისათვის. მთავარსარდლობასთან შექმნილი იყო გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მონაწილე ქვეყნების გენერალური შტაბების წარმომადგენლები. შტაბის უფროსის და შტაბის ადგილსამყოფელი იყო—მოსკოვი.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისა და ამ მიზნით საერთო ევროპული ხელშეკრულების დადებისა და მისი ძალაში შესვლის შემდეგ ვარშავის ხელშეკრულება დაკარგავს თავის ძალას.

1989 წლის ამბების შემდეგ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, როდესაც ამ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები ხელისუფლების სათავეში ოპოზიციური პარტიებით შეიცვალა და ბევრმა მათგანმა სოციალიზმზე უარი თქვა, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია აღარ იყო „ძმური სახელმწიფოების“ საერთო იდეურ-პოლიტიკურ პლატფორმაზე დაფუძნებული სახელმწიფოების ორგანიზაცია. მათი ინტერესები გაიწმინდა იდეოლოგიის მაცემენტებელი ზემოქმედებისაგან. პირველ ადგილზე წამოიწია „შიშველმა“ პოლიტიკურმა ანგარიშმა, რომელიც, რა თქმა უნდა განამტკიცებდა ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოების სამოკავშირო ვალდებულებებს*.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობდა, რომ უნგ-

* 1991 წლის ივლისს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია დაითხოვეს (ავტ. შენიშ.).

რეთს ერთდროულად შეუძლია იყოს ვარშავის ორგანიზაციის წევრიც და მონაწილეობდეს ნატოს პოლიტიკური ორგანოების მუშაობაშიც. ნატოს შტაბ-ბინაში 1990 წლის დამდეგს ვიზიტით იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ირჟი დინსტბირი. ნატოს ხელმძღვანელობამ ჩეხოსლოვაკიელი სტუდენტებისათვის 60 სტიპენდია დააწესა დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიდრე გერმანიის საკითხი არ იყო გადაწყვეტილი, ჩეხოსლოვაკია და მით უმეტეს პოლონეთი დაინტერესებულნი იყვნენ სტაბილურობის გარანტიებში. ვარშავის ხელშეკრულება კი იძლეოდა ასეთ გარანტიებს. სხვა საქმეა საბჭოთა ჯარების ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ყოფნის საკითხი. საბჭოთა მთავრობამ საერთო შეთანხმების საფუძველზე დაიწყო ამ ქვეყნებიდან ჯარების გამოყვანა. პოლონეთის მთავრობა კი, მიუხედავად სსრკ-ის მთავრობის მზადყოფნისა—იქიდანაც გამოიყვანონ ჯარები, ჯერჯერობით არ აყენებს ასეთ მოთხვნას.

„სამხედრო-ისტორიული ჟურნალი", ხშირად ბეჭდავს ზოგიერთი რიხიანი გენერლის სტატიებს, რომელნიც აშკარა იმპერიული შეხედულებებით ხასიათდებიან. ისინი უარყოფითად. ხშირ შემთხვევაში მტრულადაც კი ეკიდებიან აღმოსავლეთ ევროპის ხალხების განთავისუფლებას ბრძანებლურ-ადმინისტრაციული, დიქტატორული რეჟიმებისაგან მათი ნამდვილი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენას, განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან საბჭოთა ჯარების შემცირებას და ამ ქვეყნიდან მათ მთლიან გამოყვანას. ამ ჟურნალის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით გამოთქმას იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ ევროპა დავთმეთ „უბრძოლველად", რომ აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ცვლილებების შედეგად თითქოს მნიშვნელოვნად დასუსტდა სსრკ-ის თავდაცვისუნარიანობა და უშიშროების სისტემა. აკრიტიკებენ მთავრობასაც. რომ თითქოს სსრკ-ში ეანხორციელებულმა გარდაქმნებმა და საგარეო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია აღმოსავლეთ ევროპის დაკარგვა. ერთი რამ უდავოა. გარდაქმნებმა მართლაც დააჩქარა ფეთქებადი ხასიათის ცვლილებები აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ მრავალათასიანი დემონსტრაციები და გამოსვლები. ამ ქვეყნებში არსებული რეჟიმების წინააღმდეგ. ნათლად ღაღადებენ იმაზეც, რომ ეს რეჟიმები ანტიხალხური ხასიათისა იყო და მასების მხარდაჭერით ვერ სარგებლობდა. სსრ კავშირის მთავრობის მისამართით გამოთქმული კრიტიკა იმ შემთხვევაში იქნებოდა სამართლიანი, მისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ხალხების სურვილის საწინააღმდეგოდ თავის დროზე ამ რეჟიმების შექმნისა და მხარდაჭერისათვის რომ ესაყვედურებინათ.

სსრ კავშირის დასავლეთის საზღვრების უშიშროების გარანტიად

მიჩნეული იყო ერთი იდეოლოგიურ საფუძველზე დაფუძნებული სოციალისტურ სახელმწიფოთა არსებობა და ამ სახელმწიფოებში საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ჯარის ნაწილების ყოფნა.

იმპერიული შეხედულებების გამო, ათეული წლების განმავლობაში, ყოველგვარი განხილვის გარეშე, ერთგვარ აქსიომად იყო მიჩნეული, რომ აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ-ის მეზობლების მაქსიმალური, საკუთარი საზომით განსაზღვრული, იდეოლოგიური სიახლოვე წარმოადგენდა საბჭოთა ქვეყნის უშიშროების საუკეთესო გარანტიას, საერთო-სამხედრო სტრატეგიის შემადგენელ პარიტეტს.

ახლა ყველა აღიარებს, რომ აღმოსავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანაში სოციალიზმი ნებაყოფილობით არ დამკვიდრებულა. მას „ქმნიდნენ", შემდეგ კი ძალისმიერი, ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების, მასობრივი რეპრესიების და საბჭოთა იდეოლოგიურ, თუ სამხედრო მხარდაჭერის წყალობით ინარჩუნებდნენ ასეთ რეჟიმებს.

საერთაშორისო ურთიერთობაში გაბატონებულ შეხედულებად მაშინ დამკვიდრებული იყო სოციალიზმის უშიშროების პრინციპები და უგულვებელყოფილი იყო საყოველთაოდ აღიარებული ისეთი საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპები, როგორიცაა სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის პატივისცემა და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1989 წლის დეკემბერში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ დაგმო უმართებულო აქტი—ჩეხოსლოვაკიის გამოცხადება სოციალისტური ქვეყნების საერთო საზღვრად და 1968 წელს აქ ჯარების შეყვანა. დასაგმობია 1956 წელს საბჭოთა ჯარების უნგრეთში შეყვანა და სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული განცხადება 80-იან წლებში პოლონეთში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით, რომ „მოძმე პოლონეთს ჩვენ განსაცდელში არ დავტოვებთ და არავის არ დავაჩაგვრინებთ!". მაშინ საბჭოთა კავშირის ასეთი პოზიციის საფუძველი იყო „სამართლიანი მშვიდობის საქმისათვისა და ხალხთა უშიშროებისათვის" ბრძოლის აუცილებლობა. თითქოს პოლონეთში მიმდინარე ამბები საშიშროებას უქმნიდა თვით პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ ინტერესებს. თუ შევადარებთ 1968 წლის ამბებს ჩეხოსლოვაკიაში, მოსალოდნელი იყო იგივეს განმეორება პოლონეთის მიმართაც. მაგრამ, საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა.

ორივე ამ ამბავს ჩეხოსლოვაკიის—1968 წლისას და 80-იანი წლების პოლონეთისას, მიუხედავად მათი სხვადასხვა სახით დამთავრებისა, ბევრი საერთო ჰქონდა. ე. წ. მოძმე თუ სხვა ქვეყნებში—მაგალითად ანგოლაში, მოზამბიკში, ეთიოპიაში, ვიეტნამში, კამბოჯაში, ავღანეთში საბჭოთა ჯარის გაგზავნა ხდებოდა „პროლეტარული

ინტერნაციონალიზმის“ და „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის“ ლოზუნგებთ, ხოლო საბჭოთა ჯარისკაცებს კი „ინტერნაციონალისტებს“ უწოდებდნენ.

წარმოდგენილი ჰქონდა რა თანამედროვე სამყარო როგორც კლასობრივი ბრძოლის არენა, საბჭოთა სამხედრო დოქტრინა ორიენტირებული იყო „რევოლუციური მონაპოვრის საიმედო დაცვისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყოველმხრივი განმტკიცებისაკენ“. ბუნებრივია, რომ უშიშროებისადმი ასეთი მიდგომა დიდ საფრთხეს უქმნიდა მსოფლიო მშვიდობას. მოკავშირე ქვეყანაში მომხდარი ნებისმიერი შიდაპოლიტიკური არასტაბილური მოვლენა ცხადდებოდა გარედან ზემოქმედების შედეგად, რაც შესაძლებლობას ქმნიდა შექმნილიყო მითი საგარეო საშიშროების არსებობის შესახებ, სინამდვილეში კი ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში ზემოთ აღნიშნული ამბები საშინაო ხასიათისა იყო და სუვერენულ სახელმწიფოებს არავითარ საშიშროებას არ უქმნიდა.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაში ახალი აზროვნების დამკვიდრების შედეგი ისაა, რომ დაგმობილია სხვა ქვეყნებში ჯარების შეყვანა სოციალიზმის ინტერნაციონალისტური მოვალეობის შესრულების საბაბით და აღიარებულია სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ ერთიანი იდეოლოგია (ე. ი. სოციალისტური თუ არა ესა თუ ის ქვეყანა), ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს მეგობრულ ურთიერთობას. მაგალითად, სოციალისტურ ალბანეთთან 1961 წლიდან დიპლომატიური ურთიერეთობა გვქონდა გაწყვეტილი. ხოლო ჩინეთთან „ცივი“ ომამდეც კი მივიდა საქმე და წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ათასობით კილომეტრიან საზღვარზე დაძაბული მდგომარეობა სუფევდა. თუმცა არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ იდეოლოგიური ერთიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არაა ურთიერთობის განვითარებისათვის. აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ იდეოლოგიური ერთიანობა არ შეიძლება მიჩნეული იყოს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის ერთადერთ გარანტიად. გადამწყვეტი მნიშვნელობა კარგი ურთიერთობის დამყარებისათვის ენიჭება სახელმწიფოთა კონკრეტულ მოქმედებას, მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ჩვენი წარმოდგენებით არსებული იდეოლოგიური ერთიანობა, როგორც 1989—1990 წლების ამბებმა ცხადყო, არ აღმოჩნდა მყარი. აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ამბებმა სულ ერთიანად გამოამზეურა

აქ არსებული ხელისუფლების სტრუქტურის არასტაბილურობა და სისუსტე, ცხადყო თუ რა მცდარ დოგმებზე იყო აგებული ასეთი ხელისუფლების ქვეშ მყოფ ქვეყნებზე დამყარებული სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტის დოქტორინა და სსრკ დასავლეთის საზღვრების უშიშროების დოგმები. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული არასტაბილური მდგომაერობა ადრევე გამომჟღავნდა: 1953 წელს—გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1956 წელს—უნგრეთში, 1968 წელს—ჩეხოსლოვაკიაში, 1980 წელს—პოლონეთში. ეს კრიზისები უკვე მაშინ იძლეოდნენ ნიშანს „უშიშროების ხაზის" სისუსტეზე. მათი დაძლევა ხდებოდა, საბჭოთა ტანკების მეშვეობით (გარდა პოლონეთისა). ყოველი ასეთი ნაბიჯის შემდეგ გარეგნული, მოჩვენებითი „სტაბილიზაციის" დამყარებისთანავე საფუძველი ეყრებოდა ნელი მოქმედების ბომბს, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გამხდარიყო კიდევ ერთ დეტონატორად—ახალ, უფრო ღრმა პოლიტიკურ აფეთქებად, რაც საბოლოო ანგარიშში მოხდა კიდეც.

საბჭოთა ჯარების ყოფნა, მაგალითად, გერმანიაში გასაგები იყო თუნდაც იმის გამაო, რომ ომის შემღეგომ პერიოდში ეს ერთგვარად დაკანონდა პოტსდამის კონფერენციაზე. აქ იმყოფებოდნენ აგრეთვე აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვათა ჯარები, რომელთა გაყვანა გერმანიიდან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდარიყო, მაგრამ არაფრით არ შეიძლებოდა საბჭოთა ჯარების შეყვანის და იქ ყოფნის გამართლება ომიდან და ნატოს შექმნიდან ათეული წლების შემდეგ უნგრეთში (რომელიც ნატოს არც ერთ ქვეყანას არ ესაზღვრება) და ჩეხოსლოვაკიაში. აქ საბჭოთა ჯარების ყოფნას სსრ კავშირის მოწინააღმდეგენი დასავლეთში სრულიად სამართლიანად ხსნიდნენ ამ ქვეყნების შინაური პროცესებით. მაგრამ საქმე მარტო ამაში კი არ იყო. ყოველი ასეთი ძალისმიერი მოქმედება დაკავშირებული იყო დიდ რისკთან. მას შეიძლება გამოეწვია საერთაშორისო კონფლიქტი. გარდა ამისა, დასავლეთის ქვეყნები სსრკ-ის ძალისმიერ მოქმედებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განიხილავდნენ როგორც საბჭოთა აგრესიულობის ზრდას დასავლეთ ევროპის უშიშროების წინააღმდეგ. ამის გამო ათეული წლების განმავლობაში დასავლეთ ევროპაში გაბატონებული იყო აზრი საბჭოთა აგრესიის შესახებ, რაც ხელს უწყობდა ნატოში შემავალი ქვეყნების შეკავშირებას და მათი სამხედრო ღონისძიებების სტიმულირებას. ამას შედეგად მოსდევდა ორივე მხარის გამალებული შეიარაღება და ევროპის ცენტრში უზარმაზარი შეიარაღებული ძალების თავმოყრა, რომელმაც თავის აპოგეას 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია.

მხოლოდ სამხედრო პარამეტრების გზით უშიშროების აბსო-

ლუტიზაცია სულ უფრო მეტად ჰქმნიდა რეალური საშიშროების ვითარებას როგორც სსრ კავშირისათვის, ისე მსოფლიოსთვისაც. ძნელია იმის წარმოდგენა თუ საბოლოოდ რითი დამთავრდებოდა ყველაფერი ეს, რომ არ მომხდარიყო მკვეთრი ცვლილებები საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. ასეთი ცვლილებების შედეგი იყო, ერთი მხრივ, დაძაბულობის განმუხტვა, ომის რეალური საშიშროების თავიდან აცილება, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარი ძირეული ცვლილებები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საგარეო ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან მხოლოდ „კლასობრივი კონცეპციის" დოგმით ხორციელდებოდა.

სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის სისტემა დაფუძნებული იყო სხვადასხვა სოციალური სისტემის ურთიერთ დაპირისპირებაზე. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ორ სისტემას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მკაცრ ხასიათს იღებდა: მსოფლიოში მიმდინარე ყველა მოვლენა ფასდებოდა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გლობალური ურთიერთბრძოლით, ყოველი რეგიონალური კონფლიქტი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ავტომატურად „ორი სისტემის გლობალურ კონფრონტაციად". ამ შეხედულებათა შესაბამისად და მკაცრი ცენტრალიზაციის ვითარებაში სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესები ერთნაირად იხილებოდა, მსოფლიო კი კლასობრივი ბრძოლის ასპარეზის თვალსაზრისით განიხილებოდა. ამის შესაბამისად ხდებოდა დამოკიდებულება უშიშროების საკითხებთან. მისი უზრუნველყოფა გამომდინარეობდა პოლიტიკური კონცეფციებიდან და სამხედრო დოქტრინებიდან, თანაც ძალზედ გამარტივებული. საშიში და სარისკო წარმოდგენის საფუძველზე— რაც, მაშინდელი ხელმძღვანელების გაგებით. მსოფლიოში სოციალიზმის პოზიციებს ამტკიცებდა.

1986 წელს საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პრინციპები. ეს ფაქტობრივად კაცობრიობის უშიშროებისა და მისი გადარჩენის პრინციპებია, რომელიც მოიცავს უშიშროების ყველა ასპექტს—პოლიტიკურს, ეკონომიკურს, ჰუმანიტარულს და საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს ერთობის მატერიალურ გარანტიებს, მთელი კაცობრიობის საერთო უშიშროებას. მსოფლიო კაცობრიობა ერთ ორგანიზმად გადაიქცევა, სადაც საშიშროება რომელიმე მისი ნაწილისადმი გაგებული იქნება როგორც საშიშროება მთლიანად მთელი სამყაროსათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენე-

ბულ „საერთოევროპული სახლის“ იდეას. ამ იდეის ცხოვრებაში განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვანი გარანტია გახდეს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცებისათვის. ამრიგად, საბჭოთა მთავრობამ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაცხადა „საკაცობრიო ღირებულება“ „კლასობრივი ინტერესების“ ნაცვლად. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს!

თ ა ვ ი II

ალბანეთის სოციალისტური რესპუბლიკა[1]

§ 1. ალბანეთი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში

მოკლე ცნობები წარსულიდან

ალბანელები დასაბამიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულის მცხოვრებლად ითვლებიან. ისინი მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. თავისი სტრატეგიული მდგომარეობის გამო ალბანეთს „ადრიატიკის კარებს“ და „ადრიატიკის ზღვის გასაღებს“ უწოდებენ. იგი თავისი სტრატეგიული მდებარეობისა და ბუნებრივი სიმდიდრის გამო არაერთ უცხოელ დამპყრობელს იზიდავდა.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ალბანეთი დაიპყრეს რომაელებმა, შემდეგ ბიზანტიელებმა, VII საუკუნეში კი ბულგარელებმა. XI საუკუნეში ბიზანტიელებმა აქ კვლავ აღადგინეს თავიანთი ბატონობა. XIII—XIV საუკუნეებში ალბანეთის ნაწილი ემორჩილებოდა სიცილიის სამეფოს, ხოლო XV საუკუნის 40-იან წლებიდან იგი თურქი დამპყრობლების უღლის ქვეშ მოექცა. ალბანელი ხალხი არაერთხელ აჯანყდა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება მოხდა ალბანეთის ეროვნული გმირის გიორგი სკანდერბეგის ხელმძღვანელობით. ამ აჯანყებამ წარმატებასაც კი მიაღწია და ქვეყანა განთავისუფლდა (1443—1447 წლებში) თურქი დამპყრობლებისაგან. მაგრამ შემდეგ, ფეოდალურმა შუღლმა და კლასობრივმა წინააღმდეგობამ შესაძლებლობა მისცა თურქებს აქ თავიანთი ბატონობა კვლავ აღედგინათ. ალბანეთის დიდებულებმა მაჰმადიანობა მიიღეს და მისი გავრცელება ხალხშიც დაიწყეს.

ალბანელმა ხალხმა მხოლოდ 1912 წელს შეძლო თურქეთის ბატო-

---

[1] ტერიტორია — 28,7 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 3 მლნ. (1986 წ.) დედაქალაქი—ტირანა (270 ათასი მცხოვრები, 1986 წ.).

ნობის დამხობა და დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაგრამ იგი კიდევ დიდხანს დიდი სახელმწიფოების საათამაშო ბურთად რჩებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1920 წლის 9 ნოემბერს, ალბანეთი დიდმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნეს, მაგრამ იგი იტალიის აგრარულ—ნედლეულის დანამატ ქვეყნად გადაიქცა. 1939 წლის აპრილში იტალიამ ალბანეთის ოკუპაცია მოახდინა და მისი ყოველგვარი დამოუკიდებლობა მოსპო. ფაშისტური იტალიის კაპიტულაციის შემდეგ იტალიელი ოკუპანტები გერმანელმა ოკუპანტებმა შეცვალეს (1943 წლის სექტემბერში).

ანტიფაშისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა

ალბანელი ხალხის ანტიფაშისტურ ბრძოლას სათავეში 1941 წლ-ს 8 ნოემბერს უდგება ალბანელი კომუნისტების ძიერ შექმნილი ალბანეთის კომუნისტური პარტია. კომუნისტებმა შექმნეს პარტიზანული ნაწილები, რომლებიც 1942 წლიდან იწყებენ ბრძოლას ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ქვეყანაში იქმნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი საბჭოები (კშილი), რომლებიც გადაიქცნენ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის ცენტრად. 1942 წლის სექტემბერში ქალაქ პეზაში შეკრებილმა კონფერენციამ შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი. 1943 წლისათვის ალბანეთში შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია. რომელმაც გააერთიანა ქვეყანაში მოქმედი პარტიზანული ნაწილები. იგი თავის რიგებში 1944 წლისათვის აერთიანებდა 70 ათას მებრძოლს. ალბანეთის განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ ჰიტლერელებმა 1943 წლის დამდეგს და 1944 წლის დასაწყისში დაიწყეს დიდი შეტევები, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა.

ალბანელი ხალხის ბრძოლის წარმატებები შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ფაშისტთა ურდოების ძირითადი ჯარები შებოჭილი იყო ინგლის—ამერიკის და საბჭოთა ჯარების მიერ, რაც არ აძლევდა მათ საშუალებას აქ დამატებითი ძალების გადასროლისათვის.

1944 წლის 24 მაისს განთავისუფლებულ ქალაქ პერმეტში მოწვეულმა კონგრესმა შექმნა ალბანეთის ანტიფაშისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი საბჭო, რომელსაც უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციები მიენიჭა. მან შექმნა ანტიფაშისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც თავის ხელში აიღო დროებითი მთავრობის ფუნქციები. 24 მაისი ითვლება ალბანელი ხალხის დღესასწაულად. 1944 წლის ოქტომბერში ქალაქ ბერატე-

ში შემდგარ ეროვნული განთავისუფლების ანტიფაშისტური საბჭოს კონგრესზე ანტიფაშისტურ კომიტეტს დროებითი მთავრობის სახელწოდება მიენიჭა. მთავრობის მეთაური გახდა ენვერ ხოჯა. 1944 წლის 17 ნოემბერს დროებითი მთავრობა გადავიდა განთავისუფლებულ დედაქალაქ ტირანაში. საბოლოოდ გერმანელთა ჯარებისაგან ქვეყნის განთავისუფლება 1944 წლის 29 ნოემბერს დამთავრდა.

ამრიგად, ალბანელი ხალხი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ანტიფაშისტური ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ეს ბრძოლა ატარებდა ანტიფაშისტურ განმათავისუფლებელ ხასიათს და იგი მჭიდროდ იყო გადახლართული სოციალურ ბრძოლასთან. ეს იყო ნამდვილი სახალხო რევოლუცია, რომლის დროსაც ერთდროულად წყდებოდა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ამოცანები. ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად ქვეყანაში დამყარდა დიქტატურა, რომელშიც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა კომუნისტურ პარტიას.

დამფუძნებელი კრების არჩევნები და კონსტიტუციის მიღება

ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ კომპარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა დემოკრატიული ფრონტი, რომელშიც შევიდა ქვეყანაში არსებული ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. 1945 წლის დეკემბერში ჩატარებული დამფუძნებული კრების არჩევნებში დემოკრატიულმა ფრონტმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 95%. 1946 წლის 11 იანვარს ალბანეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო 14 მარტს მიღებულ იქნა რესპუბლიკის კონსტიტუცია. იგი ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ აცხადებდა ერთპალატიან სახალხო კრებას, ხოლო აღმასრულებელ ორგანოდ მინისტრთა საბჭოს. ფაქტობრივად, ქვეყანაში დამყარდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა კომუნისტთა ზედაფენების აღვირახსნილი დიქტატურა.

გარდაქმნითი ღონისძიებანი

ალბანეთი წარმოადგენდა აგრარულ, ჩამორჩენილ ქვეყანას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მოსახლეობის 80% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ქვეყანა განადგურებული და გაძარცული იყო უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობისაგან. ახალმა მთავრობამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ამავე დროს, ვინაიდან ადგილობრივი ბურჟუაზია სუსტი იყო, ალბანეთის კომუნისტებს შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ.

დროებითმა მთავრობამ რიგი ღონისძიებები განახორციელა, რომლის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა და ერთდროულად მსხვილი კაპიტალის ბატონობის ლიკვიდაცია. 1944 წლის დამდეგსა და 1945 წლის დასაწყისში შემდეგი ღონისძიებები განხორციელდა: სახელმწიფო კონტროლი დამყარდა ალბანეთის ბურჟუაზიის ხელში მყოფ ყველა სამრეწველო საწარმოებსა და სააქციონერო საზოგადოებებზე, ალბანეთში არსებული იტალიისა და გერმანიის საკუთრება კონფისკებულ იქნა, საზღვარგარეთის ყველა ბანკი დაიხურა და შეიქმნა ალბანეთის სახელმწიფო ბანკი. ყველა ამ ღონისძიების შედეგი ის იყო, რომ უკვე 1947 წლისათვის კერძო სექტორი მრეწველობაში ლიკვიდირებულ იქნა და შეიქმნა სახელმწიფო სექტორი.

მაგრამ მრეწველობა როდი იყო ალბანეთის ეკონომიკის წამყვანი დარგი. მასზე ხელოსნურ წარმოებასთან ერთად მოდიოდა მთელი ქვეყნის ეროვნული პროდუქციის მხოლოდ 18%. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. ალბანეთი ტიპურ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ძველი ფეოდალური გადმონაშთები. ქვეყნის მთელი მიწების 40% ეკუთვნოდა მემამულეებს და კულაკებს, რომლებიც მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს შეადგენდა. გლეხთა ხელში იყო მთელი მიწების 25%. გლეხობა, რომელიც შეადგენდა მთელი მოსახლეობის 90%-ზე მეტს. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ალბანეთში თურქეთის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ არავითარი აგრარული რეფორმა არ გატარებულა და გლეხობა კვლავ ნახევრად ფეოდალური ხასიათის ჩაგვრას განიცდიდა.

1945 წლის აგვისტოში მიიღეს აგრარული კანონი, რომელიც ტარდებოდა პრინციპით „მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს". 1946 წელს გამოიცა კანონის დამატება, რომლითაც ქვეყანაში ლიკვიდირებული იქნა მემამულეთა და კულაკთა კლასები.

1948 წლის ნოემბერში შემდგარ ალბანეთის კომპარტიის I ყრილობაზე მიიღეს სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობას. ყრილობამ აიღო მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის კურსი. გარდა ამისა, ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კომპარტიის სახელწოდების შრომის პარტიად შეცვლის შესახებ.

საწარმოების ნაციონალიზაციის, აგრარული რეფორმის გატარებისა და მემამულური და კულაკური მეურნეობის ლიკვიდაციის შემდეგ 1951 წლამდე ალბანეთში ხორციელდებოდა მოკლევადიანი გეგმები. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის დახმარებით ტირანაში აშენდა საფეიქრო კომბინატი, სელიტში — კი აგებულ იქნა ელექ-

ტროსადგური, შაქრის კომბინატი—მალიკში. უკვე 1950 წლისათვის ომამდელ დონესთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია 4-ჯერ გაიზარდა. გამოცხადდა, რომ სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლის მშენებლობის ამოცანები ალბანეთში გადაწყვიტეს ორი ხუთწლედის (1951-1955 და 1956-1960 წწ.) განმავლობაში.

უკვე პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ ალბანეთი გამოცხადდა აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად. სამრეწველო წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ ხუთწლედში 22,6% შეადგინა და 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 2,8-ჯერ გაიზარდა. სულ პირველი ხუთწლედის განმავლობაში მწყობრში ჩადგა 150 სამრეწველო ობიექტი. პირველ და მეორე ხუთწლედებში საბჭოთა კავშირმა ალბანეთს მიაწოდა მთელი სამთამადნო და ნავთობის მრეწველობის მოწყობილობების 92%, სატვირთო ავტოტრანსპორტის 90%. ტრაქტორების 80%, სოფლის მეურნეობის მანქანების 65%. საბჭოთა კავშირიდან ალბანეთმა მიიღო დიდი შეღავათიანი კრედიტები. პირველ და, აგრეთვე, მეორე ხუთწლედებში ალბანელი ხალხის მიერ მიღწეული წარმატებები შესაძლებელი გახდა მუშათა და გლეხთა, ყველა ალბანელის თავდადებული შრომის წყალობით. 1949 წლიდან ალბანეთი ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი იყო და აქედან სარგებლობდა ყოველგვარი დახმარებით. მეორე ხუთწლიანი გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 91%-სა 2,1-ჯერ გადიდდა და 25-ჯერ გადააჭარბა 1938 წლის მაჩვენებლებს. 1960 წლისათვის ალბანეთის მრეწველობა 15 დღეში იმდენსავე პროდუქციას აწარმოებდა, რამდენსაც მთელ 1938 წელს.

ორი ხუთწლიანი გეგმის შედეგად ალბანეთმა სოციალიზმის საფუძვლების აშენება გამოაცხადა. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში უდრიდა 90%-ს, მრეწველობის საერთო პროდუქციაში—99%-ს. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის დასრულება 1960 წლისათვის გამოცხადდა. როგორც ვიცით, აგრარული რეფორმის განხორციელება დამთავრდა 1946 წლისათვის. ამ რეფორმის შედეგად გლეხური მიწის ნადელების ოდენობა საშუალოდ 1,8 ჰექტარიდან 2,6 ჰექტარამდე გაიზარდა. გლეხებს მიწა ეძლეოდათ საკუთრებაში. უფასოდ და ეკრძალებოდათ მისი გაყიდვა ან იჯარით გაცემა. აიკრძალა აგრეთვე დაქირავებული შრომის გამოყენება.

სოფლის მეურნეობაში კოოპერაციული მეურნეობის შექმნა დაიწყო 1946 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც 11 სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ფერმებთან ერთად პირველად შეიქმნა 7 სოფლის მეურნეობის კოოპერატივი. ალბანეთში არ იყო სოფლის კოოპერაცი-

ული მეურნეობის ტრადიციები, ამიტომ აქ გადაღებული იქნა საბჭოთა პრაქტიკა, მაგრამ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა ძალზე ნელა მიმდინარეობდა. მხოლოდ 1955 წელს ალბანეთის შრომის პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება კოოპერირების დაჩქარების შესახებ და 1960 წლისათვის კოოპერაციულ მეურნეობაში გაერთიანებული იყო ქვეყნის მიწის ფართობის 84%.

საერთო ეროვნული შემოსავალი მეორე ხუთწლედში თითქმის 48%-ით გადიდდა და 4-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. ორივე ხუთწლედში ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიცვალა ალბანეთის საზოგადოებრი წარმოების სტრუქტურა. 1960 წლისათვის მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში შეიქმნა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ნახევარი.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გარკვეულმა წარმატებებმა მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესების პირობები შექმნა. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გაიზარდა 1,3-ჯერ. 1957 წელს გაუქმდა მოსახლეობის მომარაგების საბარათო სისტემა. შემცირდა ფასები ფართო მოხმარების საქონელზე. დაბალ ხელფასიანი კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს მოემატათ ხელფასი, მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება დაუწესდა. გაუქმდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებები.

ალბანეთის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საბჭოთა მთავრობამ გაანთავისუფლა იგი კრედიტების დაფარვისაგან, რომლის თანხა უდრიდა 400 მლნ მანეთს. ორი წელი ზედიზედ (1959—1960 წწ.) ცუდი ამინდების გამო მოუსავლიანობა იყო, რა მიზეზითაც ვერ შესრულდა გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების (76,5%-ით შესრულდა) დავალება.

§ 3. სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობიდან გადახვევის კურსი

1960 წლიდან ალბანეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა და იგი სულ უფრო დაშორდა სოციალისტურ ბანაკს... ეს აშკარად გამოვლინდა 1960 წელს ბუქარესტისა და მოსკოვის თათბირებზე. ოფიციალურ პარტიულ ხაზად იგი უკვე გადაიქცა შრომის პარტიის IV ყრილობიდან (1961 წლის თებერვალი). ამას მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან (1961 წლის დეკემბერში) და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავება. ალბანეთი გამოვიდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოდან 1961 წ. და ვარშავის

ხელშეკრულების ორგანიზაციიდან 1968 წ. მართალია, ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობა ევროპის სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობასთან შეინარჩუნა, მაგრამ ეს ურთიერთობა ძალზე შეიზღუდა, რის გამოც მან ახალი ბაზრების ძებნაში კაპიტალისტურ ქვეყნებთან იწყო დაახლოება. იტალიის კონცერნმა—მონტეკატინმა ქალაქ ფიერეში ააგო ქიმიური სასუქების ქარხანა.

მესამე ხუთწლიანი გეგმა (1961—1965 წწ.) ალბანეთში ვერ განხორციელდა. საქმე იმაში იყო, რომ ალბანეთის ხელმძღვანელობა დაადგა განსხვავებულ გზას — სოციალიზმის მშენებლობის განხორციელებას უპირატესად, „საკუთარ ძალებზე დაყრდნობით", რომელსაც უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რათა გაემართლებინა ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. ჩინეთთან დაახლოების შედეგი ის იყო, რომ ალბანეთის ხელმძღვანელობა ხშირად მიმართავდა ჩინურ მეთოდებს. აქაც დაიწყო ე. წ. „ნახტომების" პრაქტიკის გამოყენება. ამის გამო გადასინჯული იქნა სოფლის ელექტრიფიკაციის გეგმა. მისი ვადების შემცირების მიზნით, რომელიც ადრე 1985 წლისათვის იყო გათვალისწინებული, ახლა 1971 წლისათვის დაგეგმეს. მთიანი რაიონების ეკონომიკის ამოწევისათვის იქ 1 წლის ვადით იგზავნებოდნენ მუშები, მოსწავლეები, ინტელიგენცია.

განხორციელდა საეკლესიო დაწესებულებების ძალდატანებით დახურვის ღონისძიებები. მარტო 1 წლის განმავლობაში 2169 ასეთი სახის დაწესებულება იქნა ლიკვიდირებული. გატარდა აგრეთვე საშუალო და უმაღლესი სკოლების რეფორმა, რომლის მთავარი მიზანი იყო მთელი ამ სისტემის გასამხედროება. იგი ხორციელდებოდა ლოზუნგით „ბრძოლა დამპალი ინტელექტუალიზმის" წინააღმდეგ. სუბიექტური და ობიექტური შეცდომების შედეგად ალბანეთის ეკონომიკამ რიგი სიძნელეები განიცადა. მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლები ვერ შესრულდა. მეოთხე ხუთწლედის (1966—1970) ბოლოს ალბანეთმა შეძლო იმ სიძნელეების დაძლევა, რომელიც მესამე ხუთწლედში შეიქმნა. მაგრამ თვითიზოლაციის პოლიტიკა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში თანამშრომლობაზე უარის თქმა, არამეგობრული პოლიტიკა იმდროინდელ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მიმართ, თავისი კავშირის ძირითადად ჩინეთზე ორიენტაცია მრავალ სიძნელეს უქმნიდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას.

1971 — 1975 წლებში ალბანეთში დაიწყო მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, რომელიც მიღებული იქნა შრომის პარტიის VI ყრილობის მიერ (1971 წლის ნოემბერი). ამ ყრილობის დირექტი-

ვების მიხედვით სოფლის მეურნეობას მიიჩნევენ სახალხო მეურნეობის საფუძვლად. 1973 წლის დეკემბერში შემდგარ სახალხო კრების სესიაზე მოხსენებით გამოსულმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმედ შეხუმ, აგრეთვე, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ხაჯი ლეშიმ განაცხადეს, რომ 1972 წლის გეგმა ვერ განხორციელდა, ხოლო 1973 წლის გეგმა 105 პროცენტით შესრულდა. შრომის პარტიის სელმძღვანელის ენვერ ხოჯას კურსი უკმაყოფილებას იწვევდა ქვეყანაში, რასაც იგი სასტიკი რეპრესიებით ახშობდა. მაგალითად, 1973 წელს შემდგარმა შპ-ის ცკ-ის IV პლენუმმა ტირანოს რაიკომის მდივანი ფ. პაჩრამი, რადიოსა და ტელეკიზიის დირექტორი და შპ-ს ცკ-ის წევრი ტადუბი გამოაცხადეს „პარტიისა და ხალხის მტრებად". „გაწშენდილი" იქნა აგრეთვე მწერალთა კავშირისა და ხელოვნების მუშაკთა ხელმძღვანელობაც. მაგრამ რეპრესიები ვერ შველოდა საქმეს და ქვეყანაში უფრო ხშირად გაისმოდა მოთხოვნები უარი თქვან არამეგობრულ პოლიტიკურ კურსზე მეზობელ ქვეყნებთან.

ალბანეთის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არ იყო ობიექტური ინფორმაცია იმ პროცესების შესახებ, რომლებიც ამ ქვეყანაში მიმდინარეობდა. ცნობილი გახდა ის, რომ 1967 წელს ყველა მეჩეთი და სხვა რელიგიური დაწესებულებები დაიხურა.

1978 წელს ალბანეთისა და ჩინეთის ხელმძღვანელებს შორის ideოლოგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობების გაღრმავების შედეგად შეწყდა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა პოლიტიკურ. ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა დარგებში. 1978 წლის ივლისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ალბანეთს შეუწყვიტა ეკონომიკური და სამხედრო დახმარება და გაიწვია აქედან ჩინელი მოქალაქეები და სამხედრო სპეციალისტები. ჩინეთის მიერ ალბანეთთან ცალმხრივად თანამშრომლობის შეწყვეტის შედეგად ქვეყნის ეკონომიკამ, ალბანეთის ხელმძღვანელების აღიარებით, დიდი დარტყმა განიცადა. ჩინეთის დახმარებით მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოები ალბანეთში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა—დახმარებისა და სპეციალისტების გარეშე. ამ ობიექტის მთელი ტექნიკური დოკუმენტაცია ჩინელმა სპეციალისტებმა ან მოსპეს, ან თან წაიღეს. ამის შემდეგ, 1979 წლის იანვარში, ალბანეთის შრომის პარტიის ცკ-ის VI პლენუმმა განიხილა რა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში შექმნილი ვითარება, კვლავაც დაამტკიცა პარტიის კურსი „სოციალიზმის მშენებლობის შესახებ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით". შრომის პარტიის წინა ყრილობების მიერ მიღებულ დოკუმენტებშიც და VIII ყრილობაზე (1981 წლის ნოემბერში) და IX ყრილობაზე (1986 წ. ნოემბერში) მიღებულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით ხაზი ეს-

მება იმას, რომ ალბანეთში სოციალიზმის მშენებლობა ხორციელ-
დება „კლასობრივი ბრძოლის პირობებში საშინაო და საგარეო მტრე-
ბთან“—იმპერიალისტურ და რევიზიონისტულ გარემოცვასთან. ქვეყ-
ნის ხელმძღვანელობამ შიდაპოლიტიკური სტაბილურობის უზრუნ-
ველყოფის მიზნით წამოაყენა „ეკონომიკის, თავდაცვის, პარტიისა და
ხალხის ერთობის“ განმტკიცების ამოცანა და „შეიარაღებულ ხალხ-
ზე და არმიაზე“ დაყრდნობის პრინციპი.

1976 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის შესაბამისად
ალბანეთის სახალხო რესპუბლიკამ ალბანეთის სახალხო სოციალის-
ტური რესპუბლიკის სახელწოდება მიიღო. კონსტიტუციაში ნათქვა-
მია, რომ ალბანეთი „პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოა,
რომელიც გამოხატავს და იცავს ყველა მშრომელის ინტერესებს“.
ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადებულია სახალხო კრე-
ბა, რომელიც 250 დეპუტატისაგან შედგება და ირჩევენ 4 წლის ვა-
დით. სესიებს შორის პერიოდში კი სახალხო კრების პრეზიდიუმი
(1982 წლიდან თავმჯდომარეა—რ. ალია, რომელმაც ამ თანამდებობაზე
1953 წლიდან მყოფი ბ. ლეში შეცვალა), უმაღლესი აღმასრულებელი
ორგანოა მთავრობა—მინისტრთა საბჭო (თავმჯდომარეა—ა. ჩარჩანი).

ა. ჩარჩანიმ ეს თანამდებობა 1982 წლის იანვრიდან დაიკავა. მა-
ნამდე კი, 1953 წლიდან 1981 წლის დეკემბრამდე, ეს თანამდებობა
ეკავა მეხმედ შეხუს. 1981 წლის დეკემბერში გამოცხადდა, რომ
„მან თავი მოიკლა“. მის წინაალმდეგ 1981 წლის ნოემბერში გამოვი-
და ალბანეთის შრომის პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა,
რომელმაც მ. შეხუ გამოაცხადა „ალბანეთის ერთ-ერთი უსაშიშრეს
მტრად“, რომ იგი „მასთან დაკავშირებულ შეთქმულთა ჯგუფთან
ერთად ცდილობდა პარტიის და სახალხო ხელისუფლების მოსპობას“
უფრო ადრე კი (სექტემბერში) ალბანეთის შრომის პარტიის ცკ-ის
პოლიტბიუროს წევრი და ცკ-ის მდივანი რ. ალია კი ამტკიცებდა,
რომ „შინაგანი მტრები ცდილობდნენ ქვეყნისათვის ბურჟუაზიული
და რევიზიონისტული ხაზის თავს მოხვევას ეკონომიკის დარგში, სო-
ციალისტური წყობილების ლიკვიდაციას, ხალხისათვის რევოლუციო-
ური მონაპოვრისა და მასთან ერთად თავისუფლებისა და დამოუკი-
დებლობის წართმევას“. 1976 წლის კონსტიტუციით ადგილობრივი
ხელისუფლების ორგანოა—სახალხო საბჭოები, რომელთაც სამი
წლის ვადით ირჩევენ. ალბანეთი 26 ადმინისტრაციულ-ტერიტორი-
ულ ოლქად იყოფა და დედაქალაქ ტირანად (270 ათასი მცხოვრებია).
ერთადერთი მმართველი პარტიაა ალბანეთის შრომის პარტია, რომ-
ლის პირველი მდივანია 1985 წლის აპრილიდან (ენვერ ხოჯას გარ-
დაცვალების შემდეგ) რ. ალია. ქვეყანაში პარტიის ცკ-ის მოწოდებით

გაიმართა მოძრაობა სახელწოდებით „სანიმუშონი ვიყოთ ე. ხოჯა'ს ანდერძის შესრულებაში“. კონსტიტუციის მიხედვით საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის საფუძველია—წარმოების საშუალებებსა და შრომაზე სოციალისტური საკუთრება. კონსტიტუცია სოციალისტურ პრინციპებს აცხადებს შრომის მიხედვით განაწილებაში, მასში არის თეზისი „სოციალიზმის ინტერესებისათვის კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებაზე“, იკრძალება ქვეყანაში უცხოური ან ერთობლივი საზოგადოების შექმნა. აგრეთვე კრედიტების მიღება. გამოცხადებულია, რომ ალბანეთში სოციალიზმის მშენებლობა „ეყრდნობა ძირითადად საკუთარ ძალებს“, რომ „სახელმწიფო არავითარ რელიგიას არ ცნობს“. საყურადღებოა, რომ ალბანეთი 1990 წლამდე ერთადერთ ათეისტურ ქვეყნად რჩებოდა.

1986 წლის 8—9 ნოემბერს ჩატარდა ალბანეთის შრომის პარტიის IX ყრილობა, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა ქვეყნის განვითარების მერვე ხუთწლიანი გეგმა. (პარტია აერთიანებს 147 ათას წევრს). განვლილი მეშვიდე ხუთწლიანი გეგმის შეჯამებისას აღინიშნა მნიშვნელოვანი წარმატებები ქვეყნის სოციალიზმის მშენებლობაში. მეშვიდე ხუთწლედში (1981—1985 წწ.) ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 16 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა—27, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება—13 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა 300-ზე მეტი სამრეწველო და სოციალურ-კულტურული ობიექტი. IX ყრილობის მიერ მოწონებული მერვე ხუთწლიანი გეგმით (1986—1990 წწ.) გათვალისწინებულია 1990 წლისათვის ეროვნული შემოსავლის გაზრდა 35—37 პროცენტით. ეკონომიკის ზრდის საშუალო ყოველწლიური მატების ტემპი 5—7 პროცენტი იქნება. უპირატესობა ეძლევა მრეწველობის ზრდას. სამრეწველო წარმოების ზრდა 29—31 პროცენტით არის გათვალისწინებული უკვე არსებული საწარმოების სიმძლავრის რეკონსტრუქციისა და, აგრეთვე, ახალი საწარმოების მშენებლობის მეშვეობით. პრიორიტეტი ეძლევა ქვეყნის ენერგეტიკული ბაზის გაძლიერებას. აგრეთვე, სამთამადნო მრეწველობის პროდუქციის ზრდას, რომელიც იძლევა ძირითად საექსპორტო პროდუქციას. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა გათვალისწინებულია მოსავლიანობის ამაღლების გზით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების განხორციელება ყრილობამ დასახა შიდა მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯზე „საკუთარ ძალებზე დაყრდნობის“ მკაცრი დაცვით საზღვარგარეთის კრედიტების გამოყენების გარეშე. ყრილობამ ხაზი გაუსვა ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების

აუცილებლობას, საჭიროდ მიიჩნია სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, წარმოების ეფექტურობის ამაღლება შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის ამაღლება, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მატერიალური სტიმულირების ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და სოციალურ სფეროში ღონისძიების გაძლიერება.

განვლილ პერიოდში, 80-იანი წლებისათვის, ალბანეთი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნიდან აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა 1988 წლისათვის 1938 წელთან შედარებით ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება 21 ჯერ გაიზარდა. შეიქმნა და განვითარდა მრეწველობის შემდეგი დარგები: სამთამადნო, ენერგეტიკული, მეტალურგიული, ქიმიური, ხის დამამუშავებელი და ა. შ. ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენს 45 პროცენტს. ალბანეთის გრანდიოზულ მიღწევას მოწმობს ის ფაქტი, რომ ახლა ალბანეთი 2 დღეში იმდენივე პროდუქციას ქმნის, რამდენსაც 1938 წელს მთელი წლის განმავლობაში. მუშათა კლასის რაოდენობა 40-ჯერ გაიზარდა (1938 წ. 15 ათასი მუშა იყო). 1967 წელს დასრულდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სუსტად არის მექანიზებული. ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მასზე მოდის მთელი ეროვნული შემოსავლის 34,1%. ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 5,3-ჯერ გაიზარდა, დასამუშავებელი მიწის ფართობი—2,4-ჯერ. ხოლო მარცვლეულის მოსავლიანობა ომამდელთან შედარებით 5,2-ჯერ გაიზარდა, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას 1976 წლისათვის დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოთხოვნები საკუთარი წარმოებით მარცვლეულზე. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გაზრდის მიზნით 1981 წელს მიღებული იქნა ათწლიანი (1981—1990 წწ.) პროგრამა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიურად გაზრდის შესახებ ნაყოფიერი მიწის დაბლობზე, რომელიც სათესი მიწის ფართობის 16 პროცენტს შეადგენს. ჯერ კიდევ 1970 წელს დამთავრდა ქვეყნის ელექტრიფიკაცია, თვით შორეული მთიანი ზონებისაც კი. ომის შემდეგ გაყვანილი იქნა 500 კმ-ის სიგრძის რკინიგზა. ქვეყანაში ხორციელდება აქტიური საბინაო მშენებლობა. მოსახლეობის 80% ომის შემდგომ აგებულ ახალ ბინებში ცხოვრობს. მნიშვნელოვანი წარმატებებისთვისაა მიღწეული განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

ომამდელი ალბანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხ-

ვის უცოდინარი იყო. 80-იან წლებში ქვეყანაში რვაწლიანი სავალდებულო სწავლება შემოიღეს. დაარსდა უნივერსიტეტი და რიგი უმაღლესი სასწავლებლებისა, მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებები, მეცნიერებათა აკადემია. ამ დროისათვის ქვეყანაში 55 ათასი სპეციალისტი იყო უმაღლესი განათლებით და 230 ათასი საშუალო განათლებით. ყველა მოქალაქე სარგებლობს უფასო სამედიცინო მომსახურებით.

შრომის პარტიამ ალბანელი ხალხის წინაშე მთავარ ამოცანად დაისახა ქვეყნის ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით.

1989 წლის მოვლენებმა თავისი გამოხმაურება ალბანეთშიც ჰპოვა. ათასობით ალბანელმა თავი შეაფარა დასავლეთის საელჩოებს ტირანაში და დატოვა ქვეყანა. ალბანეთის შრომის პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი რამიზ ალია იძულებული გახდა ქვეყნიდან წასვლის მსურველებისათვის ნება დაერთო უცხოეთში გახიზვნაზე.

მიუხედავად რიგი წარმატებებისა ცხოვრების დონე ალბანეთში ძალზედ დაბალია. ქვეყნის ეკონომიკას ისეთივე უარყოფითი მოვლენები ახასიათებს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ალბანეთს არ აქვს ვალები, მაგრამ. სამაგიეროდ აქ გაბატონებულია ავთარქია. ქვეყნის ეკონომიკა ხასიათდება დაბალი შრომის ნაყოფიერებით, მკაცრი გეგმით, მოუქნელი ბიუროკრატიული აპარატით, არაკომპეტენტურობით, გამოშვებული პროდუქციის დაბალი ხარისხით, უინიციატივობით. მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარებით ფართო მოხმარების საგნების წარმოების ხარჯზე. უყაირათობით, კორუპციით და ა. შ.

წარმოების აპარატი მოძველებულია. 1981-1985 და მომდევნო წლების გეგმები მხოლოდ 50 პროცენტით შესრულდა. მშენებლობაში შრომის მექანიზაციის დონე 3-4 პროცენტსაც არ შეადგენს.

კატასტროფული მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაშიც, რომლის ხარჯზე ცხოვრობს მოსახლეობის ორი მესამედი. მოსახლეობის მომარაგება საკვებსათო პროდუქტებით ძალზედ დაბალია და ამ ბოლო დროს უფრო გაუარესდა.

1990 წლის ივლისის დასაწყისში ტირანაში შედგა ალბანეთის შრომის პარტიის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც თანამდებობიდან „კონსერვატორობის“ სარჩულით ერთბაშად ოთხი მაღალი თანამდებობის პირი გაანთავისუფლა, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრი და თავდაცვის მინისტრი. პლენუმმა მხარი დაუჭირა რამიზ ალიას მიერ გამოცხადებულ თანდათანობითი რეფორმების გატარების პროგრამას.

იგი ითვალისწინებს წვრილი ვაჭრობისა და ხელოსნობის საქმიანობისათვის ნებართვის დაშვებას. გაიზარდა ხელფასები 10-20 პროცენტით.

მართალია, 1990 წლამდე ქვეყანაში რაიმე ორგანიზებული ოპოზიცია არ არსებობდა, მაგრამ რ. ალია სულ უფრო ხშირად ხვდება ხალხთა უკმაყოფილებას, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის გაღრმავებას, რომელთა გადაწყვეტა ნაწილობრივ საზღვარგარეთის დახმარებაზეა დამოკიდებული. ამ ბოლო დროს საწარმოებს უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიეცათ. საბინაო პრობლემის გადაჭრის მიზნით ნება დაერთოთ ბინების და საკუთარ სახლების მშენებლობაზე. გლეხებს უფლება მიეცათ თავისი პროდუქციის ბაზარზე გაყიდვისა.

ხდება აგრეთვე ქვეყნის დემოკრატიზაცია. არჩევნებში დაუშვეს ალტერნატიული კანდიდატურის წამოყენება, მაგრამ ერთპარტიული გამგებლობა ქვეყანაში ჯერჯერობით ხელუხლებელი რჩება.

საგარეო პოლიტიკა

ალბანეთის საგარეო ვაჭრობის 45% 1964 წლიდან 1977 წლამდე ჩინეთზე მოდიოდა. ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან ალბანეთი უფრო მეტად ავითარებდა ურთიერთობას იუგოსლავიასთან და რუმინეთთან. მაგრამ ალბანეთმა ხელი მოაწერა ხანგრძლივვადიან შეთანხმებებს საქონელბრუნვის შესახებ გდრ-თან, ბსრ-თან, უსრ-თან, პსრ-თან, ჩეხოსლოვაკიასთან. (1971—1973 წწ.). რუმინეთთან ხელმოწერილი იქნა ოქმი (1973 წლის სექტემბერში) მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ; უნგრეთთან (1973 წლის ოქტომბერში) შეთანხმება სატვირთო გადატანის შესახებ და ა. შ.

ალბანეთი პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობას ახორციელებდა გდრ-თან და კსდრ-თან. 1973 წლის თებერვალში დაიდო შეთანხმება ალბანეთისათვის გდრ-ის მიერ ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ. 1973 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ალბანეთში იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონი. ორიცე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას ვაჭრობისა და გაცვლის შესახებ და ალბანეთის მიერ ვიეტნამისათვის 1974 წელს აუნაზღაურებელი დახმარების გაწევის შესახებ. 1973 წელს ალბანეთში იყო კსდრ-ის წარმომადგენელი, ხოლო ალბანეთის წარმომადგენლები იყვნენ კსდრ-ში.

ალბანეთი ავითარებდა საგარეო ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1971 წელს მან დაამყარა ურთიერთობა საბერძნეთთან, ეთიოპიასთან, ირანთან, ჩილესთან, პერუსთან, ხოლო 1972—1973

წლებში დაიდო სავაჭრო ხელშეკრულებები დანიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, შვეციასთან, ავსტრიასთან და ა. შ.

ალბანეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც უარი თქვა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირში მონაწილეობაზე. ალბანეთის პრესა და რადიო კრიტიკით შეხვდა ჰელსინკის თათბირის შედეგებს, აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების პოზიციას და მნიშვნელობას ამ თათბირის წარმატებების საქმეში, აგრეთვე, ინდოჩინეთის, ახლო აღმოსავლეთისა და განიარაღების საკითხებში.

სოციალისტურ ქვეყნებთან დამოკიდებულებაში ალბანეთი მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობით იზღუდებოდა. ეს ხორციელდებოდა 1981—1990 წლებისათვის დადებული სავაჭრო შეთანხმებების საფუძველზე.

1982 წელს ალბანეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებებს სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ უნგრეთთან (იანვარში), ვიეტნამთან (თებერვალში), პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან (სექტემბერში) და აგრეთვე, იუგოსლავიასთან. ალბანეთ-იუგოსლავიის ურთიერთობაში ერთგვარი დაძაბულობაა ალბანელი ხელმძღვანელების მიერ იუგოსლავიის ავტონომიურ ოლქში კოსოვოში მცხოვრებ ალბანელების მიერ ნაციონალისტური გამოსვლებისათვის მხარდაჭერის გამო. მიუხედავად ამისა, ორივე მხარე დაინტერესებას იჩენს, რომ მათ შორის არ დაირღვეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. რაც შეეხება ალბანეთის ურთიერთობას ჩინეთთან, 1978 წლიდან ამ ორ სახელმწიფოს შორის ორმხრივი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო სფეროებში თანამშრომლობის შეწყვეტის შემდეგ 1984 წლამდე რაიმე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. მაგრამ შემდეგ წლებში მნიშვნელოვნად ფართოვდება ალბანეთის სავაჭრო ურთიერთობა ჩინეთთან და, განსაკუთრებით, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან, აგრეთვე, იუგოსლავიასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ვიეტნამთან, ლაოსთან და კუბასთან. მაგრამ, უპირატესად, ალბანეთი თავის ურთიერთობას ავითარებს მეზობელ ქვეყნებთან—იტალიასთან, საბერძნეთთან და თურქეთთან. 1985 წელს ალბანეთმა და საბერძნეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც ამ ორ ქვეყანას შორის გაიხსნა რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა სასაზღვრო პუნქტებში კაკავიაში. ამავე წელს ალბანეთში იმყოფებოდა საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის დელეგაცია მრავალრიცხოვან საქმიან წრეებთან ერთად. ამ ვიზიტის დროს საფრანგეთის საქმიანმა წრეებმა შექმნეს სამუშაო ჯგუფი ალბანეთსა და საფრანგეთს შორის სავაჭ-

რო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობის შესასწავლად. ალბანეთი ავითარებდა ურთიერთობას სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან—ავსტრიასთან, შვეიცარიასთან, შვეიცარიასთან, აგრეთვე განვითარებად ქვეყნებთან—ალჟირთან, ირანთან. ალბანეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა 1987 წლის ოქტომბერში და იმავე თვეში ალბანეთში ვიზიტით ჩავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. გენშერი, ნოემბერში კი—ბავარიის პრემიერ-მინისტრი, აწ განსვენებული ფ.-ი. შტრაუსი. აშშ-სა და ალბანეთს შორის ადრე გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის სანაცვლოდ ალბანეთის ხელმძღვანელობა რიგ პრეტენზიულ მოთხოვნებს აყენებდა. ინგლისთან ურთიერთობის გაუმჯობესების სანაცვლოდ ალბანეთი მოითხოვდა ქვეყნიდან გაქცეული თავისი ყოფილი მეფის ზოგუს მიერ გატანილი და ინგლისის ბანკში მოთავსებული 36 მილიონი დოლარის ღირებულებით შეფასებული ოქროს ალბანეთისათვის უკან დაბრუნებას.

საბჭოთა კავშირსა და ალბანეთს შორის ურთიერთობა არაა მოგვარებული. საბჭოთა კავშირი გამოდის ალბანეთთან ურთიერთობის აღდგენის მომხრედ, რაც ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება.

1988 წლისათვის ალბანეთს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 110 სახელმწიფოსთან. ალბანეთის შრომის პარტიის IX კონგრესმა მოითხოვა მომდევნო ხუთწლედში (1986—1990 წწ.) მეზობელ კაპიტალისტურ ქვეყნებთან (საბერძნეთთან, იტალიასთან), აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან (საფრანგეთთან, ავსტრიასთან, ესპანეთთან, შვეიცარიასთან), სკანდინავიის ქვეყნებთან, აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება და, მართლაც, მერვე ხუთწლედში რიგ ჩამოთვლილ ქვეყნებთან დაიდო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებები 1986—1990 წლებისათვის.

1990 წლამდე ალბანეთს 116 სახელმწიფოსთან ჰქონდა ურთიერთობა. ევროპაში ყველასთან გარდა საბჭოთა კავშირისა და ინგლისისა. 1990 წელს საბჭოთა კავშირთან დაიდო შეთანხმება ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ, აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც 1961 წლიდან იყო შეწყვეტილი. მიღებულია დეკრეტი ალბანეთის მიერ კარების გაღების შესახებ უცხოური კაპიტალისათვის.

1990 წლისათვის დასავლეთის ქვეყნებს თავისი ელჩები გაწვე-

ული ჰყავდათ ტირანადან 1989 წლის მოძრაობის მიმართ ალბანეთის მთავრობის მიერ თავაშვებული სიმკაცრის გამო.

აშშ-ს ალბანეთთან ურთიერთობა არა აქვს ნორმალიზებული. ვაშინგტონი აცხადებს, რომ, თუ ალბანეთს უნდა დასავლეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, იგი უნდა წავიდეს პლურალიზმის გზით, რომელიც დაფუძნებული იქნება კანონიერებაზე. მაგრამ ალბანეთის მთავრობა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების გზით ცდილობს ქვეყანაში დაძაბული ვითარების შენელებას. 1990 წლის ივლისში მიღებულია გადაწყვეტილება კერძო სექტორის ცნობის შესახებ ხელოსნობისა და წვრილი წარმოების, აგრეთვე მომსახურების სფეროში უცხოური კაპიტალის დაცვისა და შერეული საწარმოების შექმნის შესახებ და ა. შ. მაგრამ პოლიტიკური ცვლილებები ქვეყანაში ძალზედ უმნიშვნელოა. მონოპოლია ხელისუფლებაზე ერთპარტიულია. 1991 წლისათვის ალბანეთის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დაეშვა მრავალპარტიული არჩევნები, მაგრამ გამარჯვება კვლავ კომუნისტებს ხვდათ.

III თავი

ბულგარეთის რესპუბლიკა[1]

§ 6. ერთპარტიული დიქტატურის დამყარება ბულგარეთში

როგორც პირველი, ასევე მეორე მსოფლიო ომების წინ გერმანიის მონოპოლიებმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს ბულგარეთის სახალხო მეურნეობაში. მათ ხელში აღმოჩნდა ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის, ბუნებრივი სიმდიდრეების, ბანკების, უმსხვილესი საწარმოების უდიდესი ნაწილი. ბულგარეთის ბურჟუაზიის დიდი ნაწილი, ე. წ. კომპრადორული ბურჟუაზია, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა გერმანულ კაპიტალსა და შინაურ ბაზარს შორის და ამით დიდ მოგებას ნახულობდა, თანდათანობით შეეზარდა და შეუსისხლხორცდა გერმანულ კაპიტალს. ბულგარეთის ბურჟუაზიის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა გერმანიის კაპიტალის ბატონობას თავის ქვეყანაში, მასთან ერთად გამოდიოდა გერმანიის ორიენტაციის მომხრედ. ამიტომ იგი მხარს უჭერდა ბულგარეთის მონარქიული მთავრობის პროგერმანულ პოლიტიკას. იმ მიზნით, რომ მიეძინებინა ბულგარელი ხალხის სიფხიზლე, აიძულებინა იგი გერმანიის იმპერიალიზმის

[1] ტერიტორია — 111 ათასი კვ. კმ. მოსახელობა—8,99 მლნ (1988 წ. დეკემბერი). დედაქალაქი სოფია (1,2 მლნ მკვიდრები).

მიერ გაჩაღებულ ორივე მსოფლიო ომებში მონაწილეობაზე, აქ ორივე მსოფლიო ომის წინა პერიოდში გაჩაღებული იყო ფართო შოვინისტური „დიდი ბულგარეთის სახელმწიფოს“ შექმნის პროპაგანდა. გერმანიის მთავრობა თავისი ინტერესებისათვის იყენებდა ბულგარეთის ბურჟუაზიის რევანშისტულ ტენდენციებს, რომელიც გაიზარდა ბალკანეთის მეორე ომის, პირველ მსოფლიო ომში ბულგარეთის დამარცხებისა და მასზე კაბალური ზავის თავზე მოხვევის შედეგად. ბულგარეთის ბურჟუაზია გერმანიის მთავრობის წაქეზებით ორივე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ოცნებობდა მთელი ბალკანეთის დაპყრობაზე და გერმანიის მფარველობის ქვეშ „დიდი ბულგარეთის“ სახელმწიფოს შექმნაზე. სწორედ ამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო იყო, რომ ბულგარეთი ორივე მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე გამოვიდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ყოველგვარი ეროვნული უბედურებისა და კატასტროფისა, რომელიც ბულგარელმა ხალხმა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განიცადა, იყო დიდბულგარული შოვინიზმი, დიდბულგარული იდეოლოგია და პოლიტიკა ბალკანეთში ჰეგემონიისა და მეზობელ ხალხებზე ბატონობისა. ამ ნიადაგზე ბულგარეთში წლების განმავლობაში ძალმომრეობდა ფაშიზმი. ამ ნიადაგზე გერმანიის აგენტურამ მეფე ფერდინანდის და მეფე ბორისის დროს მიჰყიდა ბულგარეთი გერმანელებს და გადააქცია იგი გერმანიის იმპერიალიზმის იარაღად თავისი მეზობლების წინააღმდეგ, დასავლეთში და სამხრეთში. „დიდი ბულგარეთის“ სახელით დიდბულგარულმა შოვინისტებმა—სალხის გამყიდველებმა და გერმანელმა აგენტებმა—მესამეჯერ მიიყვანეს თავისი სამშობლო კატასტროფის ზღვარზე და კინაღამ დალუპეს იგი.

მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურის წლები ყველაზე შავბნელი წლები იყო ბულგარეთის ისტორიაში, მისი განთავისუფლების შემდეგ თურქეთის უღლისაგან. ეს იყო ტერორის, თვითნებობის, უკანონობის, ქვეყნის ეკონომიკის გერმანიის მონოპოლიებისადმი მთლიანი დამორჩილების. მზარდი უმუშევრობის და მშრომელთა მასების გაძლიერებული ექსპლოატაციის და გაღატაკების პერიოდი.

აშკარა ფაშისტური დიქტატურა ბულგარეთში 1934 წლის 19 მაისს დამყარდა. ამის შემდეგ ყოველგვარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებების ნარჩენებიც კი გაუქმდა. ყველა პოლიტიკური პარტია, მათ შორის ბურჟუაზიულიც კი, ლიკვიდირებული იქნა. ბულგარეთის მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმი ასახავდა ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს და მხოლოდ მათი ვიწრო კლასობრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. მან თავისი ქვეყანა მთლიანად დაუმორჩილა ჰიტლერული გერმანიის ინტერესებს. 1941 წლის 1

მარტს მეფე ბორისმა და ფაშისტური მთავრობის მეთაურმა ბოგდან ფილოვმა ჰიტლერულ გერმანიასთან მოაწერეს ხელი ბულგარეთის შეერთების შესახებ ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკთან და იმავე დღეს ქვეყანაში ჰიტლერელთა ჯარები შეუშვეს.

ბულგარელი ხალხის ბრძოლა ქვეყნის განთავისუფლებისათვის. 9 სექტემბრის შეიარაღებული აჯანყება

ბულგარეთის მთავრობამ გაითვალისწინა რა თავისი ხალხის მეგობრული დამოკიდებულება რუსი ხალხისადმი, ომი არ გამოუცხადა საბჭოთა კავშირს, მაგრამ სამაგიეროდ ბულგარეთის ტერიტორია გადაქცია გერმანელი ფაშისტების დასაყრდენად სსრ კავშირის წინააღმდეგ თავდასხმისათვის. გარდა ამისა, ბულგარეთის ჯარებმა შეცვალეს გერმანელთა საოკუპაციო ჯარები მაკედონიაში, დასავლეთ თრაკიასა, საბერძნეთსა და იუგოსლავიაში, რითაც შესაძლებლობა მისცეს ჰიტლერს იქ მყოფი გერმანელთა ჯარები გადაესროლათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჰიტლერელები თავის დამქაშებზე, ბულგარელ ფაშისტებზე და ფილოვის ფაშისტურ მთავრობაზე დაყრდნობით უცერემონიოდ ბატონობდნენ ბულგარეთში და სძარცავდნენ ბულგარელ ხალხს. ქვეყნის შიგნით აშკარა ტერორისტული დიქტატურის დამყარება, ადგილობრივი და გერმანელი ფაშისტების თავაშვებულობა ბულგარელი ხალხის დიდ აღშფოთებას და ფართო ანტიფაშისტურ ბრძოლას იწვევდა. ამ ბრძოლის ორგანიზატორად და ინიციატორად გამოდიოდნენ ბულგარეთის პროგრესიული ძალები, რომელნიც ჰიტლერელებისა და ბულგარელი ფაშისტების წინაღმდეგ დაადგესენ შეიარაღებული ბრძოლის გზას.

1941 წლის ზაფხულიდან დაიწყო პარტიზანული რაზმების შექმნა. 1942 წლის ზაფხულში შეიქმნა სამამულო ფრონტი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა ქვეყნის დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს. სამამულო ფრონტში შევიდნენ: ბულგარეთის მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატების მემარცხენეები, ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირის მემარცხენეები, „ზვენოს კავშირი". ეს უკანასკნელი ძირითადად აერთიანებდა ანტიგერმანულად განწყობილ ოფიცრობასა და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას. სამამულო ფრონტმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ფაშისტური რეჟიმის დამხობას და სახალხო დემოკრატიული წყობილების დამყარებას ქვეყანაში, ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას,

საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, ბულგარეთის ჯარების გამოყვანას მეზობელი ქვეყნებიდან, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას, ფაშისტური პარტიის აკრძალვას და ა. შ. სამამულო ფრონტმა აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის. 1943 წლისათვის პარტიზანთა ნაწილები გაერთიანდნენ ერთიან სახალხო-განმათავისუფლებელ არმიად. შეიქმნა არმიის უმაღლესი შტაბი და მთავარსარდლობა. ამის შემდეგ სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ საყოველთაო პარტიზანული ომი გააჩაღა როგორც საკუთარი, ასევე გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, და გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა მათ. ამის საპასუხოდ ბულგარეთის ფაშისტურმა მთავრობამ ჰიტლერელების აქტიური მხარდაჭერით გააძლიერა ბრძოლა ქვეყანაში გაშლილი ანტიფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ყველგან მძვინვარებდა სამხედრო-საველე სასამართლოები, რომელთაც ორი ათასამდე სიკვდილის განაჩენი გამოიტანეს. ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყრილ. იქნა ორმოცი ათასამდე კაცი. წინააღმდეგობის მოძრაობის 30 ათასზე მეტმა კაცმა თავი შესწირა ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

მასობრივი დაპატიმრებები, დახვრეტები, რეპრესიები ვერ აღწევდნენ მიზანს. პირიქით ,ბულგარელი ხალხი კიდევ უფრო აძლიერებდა თავის ბრძოლას შინაური და საგარეო რეაქციის წინააღმდეგ.

ჰიტლერელთა ჯარების დამარცხებები საბჭოთა კავშირში და დასავლეთში და ქვეყნის შიგნით გაშლილი შეუკავებელი საყოველთაო ანტიფაშისტური ბრძოლა ნათელს ხდიდა ფაშისტური რეჟიმის კრახის მოახლოებას გერმანიაში და ბულგარეთში. ამიტომ ბულგარეთის მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმი ეძებდა თავისი დიქტატურის გადარჩენის გზებს. მეფე ბორისი შეეცადა ჰიტლერის აშკარა აგენტის ფილოვის გადაყენებას და ინგლის-აშშ-ის ორიენტაციის მთავრობის შექმნას, რათა ინგლის-ამერიკის დახმარებით გადაერჩინა თავისი ძირმომპალი რეჟიმი. მაგრამ მეფე ბორისის ეს ხრიკები არ გამოეპარა ჰიტლერს, რომელმაც დაუყოვნებლივ მოუხმო ბორისს ბერლინში და უკან დაბრუნებისას, 1943 წლის 28 აგვისტოს, მეფე „უეცრად" გარდაიცვალა. ამის შემდეგ ბულგარეთის მეფედ გამოცხადდა მისი მცირეწლოვანი შვილი და შეიქმნა რეგენტთა საბჭო, რომელშიც შეეიდნენ რეაქციონერები: ფილოვი, გენერალი მიხოვი და მეფის ძმა კირილი. მთავრობის სათავეში კი ჩაყენებულ იქნა ჰიტლერის დამქაში ბულგარელი ფაშისტი ბოჟილოვი, რომელიც 1944 წლის ივნისში ბაგრიანოვის მთავრობამ შეცვალა.

ბულგარეთის რეაქციამ გააძლიერა ბრძოლა ანტიფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ. სახალხო განმათავისუფლებელი არმიის წინა-

ალმდეგ რეაქციამ სპეციალურად გაიოყო 100 ათასიანი რეგულარული არმია. მაგრამ ვერც ეს ახალი ოპერესიები და ვერც მმართველთა ბანაკში მოთავეთა ხმირი ცვლილებები ვერ აღწევდნენ თავის მიზანს. წინააღმდეგობის მოძრაობა. ქვეყანაში საბჭოთა ჯარების შემდგომი წარმატებების გავლენით სულ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის რიგები იზრდებოდა. 1944 წლისათვის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია თავის რიგებში აერთიანებდა 250 ათას კაცს. პარტიზანული ბრძოლის უკეთესი ხელმძღვანელობისათვის ბულგარეთი დაყვეს 12 სამხედრო-ოპერატიულ ზონად. თითოეულ ზონაში შეიქმნა სამხედრო ოპერატიული შტაბი. 5 სექტემბერს კი საბჭოთა მთავრობამ ბულგარეთის მთავრობას წაუყენა ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო: „თუ აქამდე საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევდა იმას, რომ პატარა ბულგარეთს არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა გერმანიისათვის, ამჟამად კი შექმნილ ვითარებაში მოსალოდნელი იყო, რომ ბულგარეთი გაწყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას გერმანიასთან, ვინაიდან ბულგარეთი ეხლაც უარს ამბობს გერმანიასთან ურთიერთობის გაწყვეტაზე, და ადრეც და ეხლაც ომის მდგომარეობაში იმყოფება საბჭოთა კავშირთან, ამიტომ საბჭოთა კავშირიც ომის შემდეგ ომის მდგომარეობაში იქნება ბულგარეთთან".

ბულგარელმა ხალხმა სწორად შეაფასა საბჭოთა კავშირის ეს ნაბიჯი, რომელიც მიმართული იყო ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ. იმავე დღეს ბულგარეთის მუშათა პარტიის ცკ-მა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარმა შტაბმა შეიმუშავეს შეიარაღებული აჯანყების კონკრეტული გეგმა და დაიწყეს აჯანყება. ბევრგან ორგანიზებული იქნა გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლის მსვლელობაში მთელ რიგ ქალაქებში მოხდა აჯანყებები. სამამულო ფრონტის ჯარები ხალხთან ერთად მრავალ რაიონში ამხობდნენ ფაშისტური მთავრობის წარმომადგენლების ხელისუფლებას, თავის ხელში იღებდნენ ძალაუფლებას და ათავისუფლებდნენ პოლიტიკურ პატიმრებს.

8 სექტემბერს საბჭოთა ჯარებმა ვადალახეს საზღვრები და შეიჭრნენ ბულგარეთში, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალების შემჭიდროებას სამამულო ფრონტში და მათი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას. 9. სექტემბერს ხალხთა მასებმა ბულგარეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობითა და სახალხო-განმათავისუფლებელი ჯარებისა და ხალხის მხარეზე გადასული მთავრობის ჯარების მხარდაჭერით დაიწყეს საყოველთაო სახალხო აჯანყება. აჯანყებულებმა გაანადგურეს

რეაქცია; დაამხეს მურავიევის მთავრობა (სექტემბრის დასაწყისში შეცვალა გადამდგარი ბაგრიანოვის მთავრობა) და დააპატიმრეს ფაშისტური მთავრობის წევრები და მეფის რეგენტები. ძალაუფლება გადავიდა სამამულო ფრონტის ხელში და მის ბაზაზე შეიქმნა ახალი დემოკრატიული მთავრობა. მასში შევიდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების)[1] 4 წარმომადგენელი, ოთხ-ოთხი წარმომადგენელი — ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირიდან და „ზვენოდან", 2 სოციალ-დემოკრატი და 2 უპარტიო. მთავრობის მეთაური გახდა „ზვენოს" ორგანიზაციის წარმომადგენელი კიმონ გიორგიევი. ვინაიდან მონარქია კვლავ რჩებოდა, შეიქმნა ახალი რეგენტთა საბჭო სამამულო ფრონტის სამი წარმომადგენლისაგან, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ცნობილი ბულგარელი მეცნიერი, კომუნისტი თოდორ პავლოვი.

1944 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვში ბულგარეთთან ხელი მოაწერეს დაზავებაზე სსრ კავშირმა, აშშ-მა და ინგლისმა, რომლის მიხედვით ბულგარეთი ვალდებულებას იღებდა მონაწილეობა მიეღო ომში გერმანიის წინააღმდეგ, გამოეყვანა თავისი ჯარები საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიიდან და ა. შ. ამის შემდეგ ბულგარეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ბულგარეთის ოთხი არმია 450 ათასი კაცის შემადგენლობით მონაწილეობას ღებულობდა იუგოსლავიის, უნგრეთისა და ავსტრიის განთავისუფლებაში და ომის უკანასკნელ ეტაპზე თავისი წვლილი შეიტანა ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში.

პოლიტიკური და სოციალუ-ეკონომიკური გარდაქმნები

სამამულო ფრონტის მთავრობა ძალაუფლების ხელში აღებისთანავე შეუდგა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას, რომლის მიზანი იყო ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაცია, ფაშისტური სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და სახალხო ხელისუფლების განმტკიცება. ძველი პოლიცია დათხოვნილი იქნა და მის ნაცვლად ბულგარეთის მუშათა პარტიის კონტროლის ქვეშ შეიქმნა სახალხო მილიცია. შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი აპარატი. რამდენიმე დღის განმავლობაში ამ სამინისტროს 30 ათასი მომსახურე ახალი კადრებით შეიცვალა. გარდაქმნები გატარდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. სამამულო ფრონტის კომიტეტების კონტროლის ქვეშ აყენებდნენ სახელმწიფო მოხელეების ახალ კადრებს, აჯანყების დღეებშივე დაიწყო არმიის წმენდა პროფა-

[1] 1944 წლის 9 სექტემბრის აჯანყების შემდეგ ბულგარეთის მუშათა პარტიის სახელწოდებას დემატა ბმპ (კომუნისტებისა).

ფისტური რეაქციონერებისაგან—47 გენერალი და 281 ოფიცერი გაძევებულ იქნა არმიიდან. ბულგარეთის მუშათა პარტიის წინადადებით ოფიცრის წოდება მაშინვე მიენიჭა 718 კაცს, რომლებიც პარტიზანული შენაერთების მეთაურები იყვნენ. პარტიზანთა ყოფილი შენაერთებისაგან შეიქმნა რეგულარული ჯარები. არმიაში შემოიღეს პოლიტ-კომისრების თანამდებობა. დიდი ცვლილებები მოხდა სასამართლო ორგანოებში. სამხედრო დამნაშავეების და ფაშისტების მთელი ქონება, საწარმოები, ძიწები და ა. შ. კონფისკებულ იქნა. ჩატარდა უცხოეთის საწარმოების ნაციონალიზაცია. მთავრობამ თავის ხელში აიღო ქვეყნის მთელი რკინიგზები, ფოსტა-ტელეგრაფი, ელექტროსადგურები, შახტები, გემთსაშენი საწარმოები, დაზღვევის ორგანიზაციები და ბანკების დიდი ნაწილი. ამ ღონისძიებების ჩატარების შედეგად, ჯერ კიდევ ომის დამთავრებისას შეიქმნა სოციალისტური სექტორი. მაგრამ კერძო კაპიტალისტურ სექტორს ეკონომიკაში კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. კერძო საწარმოებზე დამყარდა მუშათა და სახელმწიფო კონტროლი.

„სახალხო კრების" „არჩევნებში" კომუნისტური ძალების გამარჯვება და კომუნისტური დიქტატურის დამყარება

ბულგარეთის ოპოზიციას მთავრობისა და მითუმეტეს ბულგარეთში მყოფი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისათვის ძალები არ გააჩნდა, იგი ბრძოლის ლეგალურ ფორმებზე გადავიდა. ვინაიდან ბულგარეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო და სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში სჭარბობდა წვრილბურჟუაზიული მასა, ოპოზიცია სწორედ ამ მასის მიმხრობით ცდილობდა არ დაეშვა ბულგარეთის სოციალიზმის გზით წასვლა. ქვეყნის ეკონომიკაში სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონა შეადგენდა მხოლოდ 24,8%-ს, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე კი 75,2% მოდიოდა. ბულგარეთის სამრეწველო საწარმოების 80% კუსტარული და ნახევრად კუსტარული ხასიათისა იყო. ქვეყნის მთელ მრეწველობაში დაკავებული იყო 80 ათასი მუშა, რაც შეადგენდა მოსახლეობის 8%-ს, ხოლო მოსახლეობის 80% დაკავებული იყო სოფლის მეურნეობაში.

ბულგარეთის სოფელში ექსპლოატატორული კლასები იყვნენ კულაკები, სპეკულანტები და ვაჭრები. კულაკური მეურნეობა შეადგენდა მთელი მეურნეობის მეათედ ნაწილს, მაგრამ თავის ხელში ჰქონდა მოქცეული მთელი დაბამუშავებელი მიწის მეოთხედი ნაწილი, გამწევი პირუტყვის 70%. კულაკური მეურნეობა იძლეოდა მარცვლეულის მოსავლის ორ მესამედს. ამასთანავე, გლეხთა მეურნეობის ორი მესა-

მედი ფლობდა თითოეული 5 ჰექტარზე ნაკლებ მიწას. 120 ათას გლეხთა მეურნეობას ჰქონდა 1 ჰექტარზე ნაკლები მიწა. არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა კულაკურ-ბურჟუაზიული ოპოზიცია, გემეტო-პეტკოვის მეთაურობით. დოქტორ გემეტოს ეკავა ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირის მდივნის თანამდებობა, ხოლო პეტკოვს ამ პარტიის გაზეთის „მიწათმოქმედების დროშის“ მთავარი რედაქტორის ადგილი. მათ მხარს უჭერდა, აგრეთვე, სამხედრო მინისტრი (1944—1946 წწ.) ველჩევი „ზვეზოს“ კავშირიდან და სოციალ-დემოკრატიული პარტის მემარჯვენე ხელმძღვანელები პასტუხოვი და ლულჩევი. ოპოზიციონერებს ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები სამამულო ფრონტში, მთავრობასა და გავლენიან პოლიტიკურ პარტიებში.

არსებული მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღი არ დაყარეს აგრეთვე, ბულგარელმა ფაშისტებმაც, რომელთა ხელმძღვანელი ცანკოვი ავსტრიაში გაიქცა, იქ შექმნა ე. წ. „ბულგარეთის ეროვნული მთავრობა“ და ბულგარეთში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აგზავნიდა ტერორისტებს, ჯაშუშებსა და დივერსანტებს. ბულგარეთში მოქმედებდნენ ფაშისტების იატაკქვეშა შეთქმულებითი და ტერორისტული ორგანიზაციები „მეფე კრუმი“, „სამხედრო კავშირი“ და სხვები, რომლებიც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ამზადებდნენ შეიარაღებულ შეთქმულებას და ამავე დროს მიმართავდნენ ფართო ტერორს. ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირის მემარჯვენეებმა თავისი გაზეთის ფურცლებზე კამპანია გააჩაღეს ლოზუნგით „მშვიდობა, პური და თავისუფლება“ იმ მიზნით, რათა ჩაეშალათ ბულგარეთის მონაწილეობა ომში. ისინი ქადაგებდნენ აგრეთვე ცრუ „წოდებრივ თეორიას“, რომლის მიხედვით თითქოს ქალაქის „წოდება“ ჩაგრავს სოფლის „წოდებას“, უარყოფდნენ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის თანამშრომლობას და ქადაგებდნენ „დამოუკიდებელი გლეხთა ხელისუფლების“ შექმნის „თეორიას“.

გემეტო-პეტკოვის ოპოზიციონერებმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერით მიზნად დაისახეს კომუნისტების განდევნა მთავრობიდან და საშინაო და საგარეო ძალების მხარდაჭერით ბურჟუაზიული წყობილების შენარჩუნება ქვეყანაში. ოპოზიციონერებს აქტიურ მხარდაჭერას უწევდნენ ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები. ოპოზიციონერებმა მთავრობაში კომუნისტ-მინისტრებთან შეთანხმების გარეშე, 1944 წლის ნოემბერში მიიღეს „დირექტივა № 4“, რომლითაც სამხედრო დამნაშავეებს თავისი დანაშაულის გამოსასყი-

დად უფლება ეძლეოდათ ჯარში დაბრუნებულიყვნენ და ფრონტზე წასულიყვნენ. მაგრამ კომპარტიის დიდი წინააღმდეგობების შედეგად მათი გეგმები ჩაიშალა. 1944 წლის ბოლოს მოეწყო სასამართლო პროცესები ომის მთავარი დამნაშავეების, ფაშისტური ხროვისა და მათი ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ. მეფის ყოფილი რეგენტები ბ. ფილოვი, ნ. მიხოვი, მეფე ბორისის ძმა კირილე და აგრეთვე ბულგარელი ფაშისტების სხვა ხელმძღვანელები, რომელთაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს, მკაცრად დაისაჯნენ. დოქტორი გემეტო მოხსნეს პარტის მდივნის თანამდებობიდან და მალე გარიცხეს კიდეც მ-სი რიგებიდან.

1945 წლის მაისში მიწათმოქმედების პარტიიდან გაირიცხა და ამ პარტიის გაზეთის მთავარი რედაქტორობიდან მოიხსნა ნიკოლა პეტკოვიც. აღნიშნული პარტიის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს სხვა ოპოზიციური ელემენტებიც. ოპოზიციური ხელმძღვანელობისაგან გაიწმინდა სოციალ-დემოკრატიული პარტიაც. მაგრამ ოპოზიციონერები ამის შემდეგაც არ ცხრებოდნენ. 1945 წლის ზაფხულში ნიკოლა პეტკოვმა შექმნა ახალი ე. წ. „მწვანე" მიწათმოქმედების კავშირი და მის რიგებში გააერთიანა ქვეყნის ყველა ოპოზიციონერი. ამ პარტიამ დაიწყო მზადება ომის შემდეგ პირველი საკანონმდებლო კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის და იმედი ჰქონდა, რომ მიიმხრობდა სოფლის მოსახლეობას, ქალაქის წვრილ და საშუალო ბურჟუაზიულ ფენებს. საკანონმდებლო კრების არჩევნები დანიშნული იყო აგვისტოში, მაგრამ ოპოზიციონერებმა იმ მოტივით, რომ მათ არა აქვთ დამთავრებული მზადება არჩევნებისათვის, მოითხოვეს მისი გადადება. ოპოზიციონერების ამ თხოვნას მხარი დაუჭირეს აშშ-ის და ინგლისის მთავრობებმა, რომელთაც ოფიციალურად განაცხადეს, რომ თუ არ დაკმაყოფილდება ოპოზიციონერთა თხოვნა, ისინი არ ცნობენ სახალხო კრების არჩევნებს კანონიერად და ბულგარეთთან ხელს არ მოაწერენ ზავზე.

სახალხო კრების არჩევნები ნოემბრისათვის გადადეს, მაგრამ ეს დრო არ იყო საკმარისი არჩევნების მზადებისათვის, ამიტომ ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. ოპოზიციონერთა წინააღმდეგ მთავრობამ მასობრივ რეპრესიებს მიმართა. ძალმომრეობის პირობებში, 1945 წლის 18 ნოემბერში ორგანიზებულმა სახალხო კრების ეგრეთ წოდებულმა არჩევნებმა წარმატება მოუტანეს კომუნისტების ხელმძღვანელობის ხელში მყოფ სამამულო ფრონტს. ამის შემდეგ დაიწყო კომუნისტების ძალმომრეობით ფალსიფიცირებული რიგი საკანონმდებლო აქტები და სხვა და სხვა ხასიათის მოჩვენებითი ე. წ. „რეფერენდუმი", არჩევნები, კონსტიტუციის „საყოველთაო სახალხო განხილვა", რომელთა მთავარი ამოცანა იყო კომუნისტური

დიქტატურის დამყარება. 1946 წლის 15 სექტემბერს ე. წ. რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ მონარქია გაუქმებულად, ხოლო ბულგარეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა.

დიდი სახალხო კრების თავმჯდომარედ და დროებით პრეზიდენტად არჩეული იქნა კომუნისტი ვასილ კოლაროვი, ხოლო რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ნოემბრის დამლევს გახდა გიორგი დიმიტროვი. 1947 წლის 4 დეკემბერს დიდმა სახალხო კრებამ მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება გადავიდა ერთპალატიან სახალხო კრების ხელში, რომელსაც ირჩევენ 4 წლის ვადით, აღმასრულებელი ხელისუფლება კი მინისტრთა საბჭოს ხელში. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებად ცხადდებოდა სახალხო საბჭოები, რომლებსაც ირჩევდნენ 3 წლის ვადით. კონსტიტუცია სახელმწიფოს ანიჭებდა მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების და ვაჭრობის ნაციონალიზაციის უფლებას, მას სოციალიზმის მშენებლობის კონსტიტუცია ეწოდა.

1947 წლის დეკემბერში დიდმა სახალხო კრებამ კონსტიტუციის შესაბამისად მიიღო კანონი მრეწველობის, ბანკების, რადიო ქსელის და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზაციის ჩატარების შედეგად სახელმწიფოს ხელში გადავიდა ქვეყნის მრეწველობის დაახლოებით 95%.

აგრარული რეფორმა

არსებული რეჟიმის განმტკიცებისათვის გატარდა სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა. ბულგარეთის სოფლად ექსპლოატატორ კლასებად ითვლებოდნენ მსხვილი კულაკები, მევახშეები და ეკლესია; ამიტომ ბულგარეთში აგრარული რეფორმა ანტიფეოდალური კი არა, ანტიკაპიტალისტური ხასიათისა იყო. 85 ათასი კულაკური მეურნეობა, რომელიც მთელი სოფლის მეურნეობის მოსახლეობის 7,7%-ს შეადგენდა, ფლობდა ქვეყნის მთელი დასამუშავებელი მიწების 25,5%-ს, ხოლო მცირემიწის მქონე გლეხთა მეურნეობა, რომელზეც მოდიოდა სოფლის მოსახლეობის 55,7%, ფლობდა მთელი დასამუშავებელი მიწების უფრო ნაკლებს—24,6%-ს. გლეხთა მეურნეობის 25%-ზე მეტს არა ჰყავდა გამწევი სამუშაო ძალა, 12%-ს ჰყავდა მხოლოდ ერთი სამუშაო საქონელი, 21,1 პროცენტს კი არა ჰქონდა სოფლის მეურნეობის ინვენტარი. ამრიგად, გლეხთა მეურნეობის უდიდეს ნაწილს არა ჰქონდა სოფლის მეურნეობის ინვენტარი და ამიტომ კულაკების კაბალაში იყო მოქცეული. 1946 წლის 12 მარტს სახალხო კრებამ მიიღო კანონი აგრარული რეფორმის შესახებ, რომე-

ლიც ტარდებოდა პრინციპით „მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს". კანონი მიწის მფლობელობას ზღუდავდა 20 ჰექტარამდე, ხოლო სამხრეთ დობრუჯუში 30 ჰექტარამდე. იმ პირებს, ვინც მიწათმოქმედებას არ ეწეოდნენ, შეეძლოთ ჰქონოდათ არა უმეტეს 3 ჰექტარი მიწის ფართობი, სამხრეთ დობრუჯუში კი 5 ჰექტარი. დაწესებულ ნორმაზე ზემოთ არსებული მიწები შესყიდვის საფუძველზე სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. ამ კანონით დაახლოებით 130 ათასმა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხმა მიიღო 140 ათასი ჰექტარი მიწა. მიწის დანარჩენი ნაწილი გადაეცა კოოპერატივებს, რომელთა შექმნა დაიწყო უშუალოდ 1944 წლის 9 სექტემბრის რევოლუციის შემდეგ. 1946 წლის აგრარული კანონი, მართალია, ზღუდავდა კულაკურ მეურნეობას, მაგრამ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია მას არ მოუხდენია. კულაკებს და მონასტრებს ჩამოერთვათ დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწა, რაც შეადგენდა 230 ათას ჰექტარს. ამასთან ერთად ტარდებოდა ღონისძიებანი კულაკური ექსპლოატაციის შეზღუდვისათვის. კულაკების ეკონომიკური შეზღუდვა ხორციელდებოდა გადასახადების შეწერით და სახელმწიფოსათვის მტკიცე ფასებში სურსათის ჩაბარების ვალდებულებებით. ამ შემზღუდველი ღონისძიებების შედეგად მაღალმწარმოებლური კულაკური მეურნეობა მოიშალა და ქვეყანაში დაიწყო სასურსათო კრიზისი. კოოპერაციული მეურნეობების შექმნა სოფლად დაიწყო უშუალოდ ქვეყნის განთავისუფლებისთანავე. უკვე 1944 წლის ბოლოს ბულგარეთში იყო 100-ზე მეტი სოფლის მეურნეობის კოოპერატივი, რომელიც აერთიანებდა 7 ათასზე მეტ გლეხთა მეურნეობას. 1945 წლის აპრილში მიღებული კანონით სოფლად კოოპერატიული მეურნეობების შექმნის შესახებ იქმნებოდა ერთი ტიპის სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატიული მეურნეობა. ამასთანავე, კოოპერატივში შეტანილ მიწაზე გლეხი ინარჩუნებდა კერძო მფლობელობის უფლებას. გარდა ამისა, კოოპერატივში გაერთიანებული გლეხის პირად სარგებლობაში რჩებოდა მიწისა და შრომის იარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი.

1945 წლის კანონით კოოპერატივის შემოსავლის 60% ნაწილდებოდა შრომადღეებზე, 40%—კოოპერატივში შეტანილი მიწის ფართობის მიხედვით. საყურადღებოა, რომ ამ დროს კოოპერატივებში კულაკებიც შედიოდნენ. 1948 წლის კანონით, კოოპერატივებში შემსვლელებს საკარმიდამო მიწის გარდა მთლიანად უნდა შეეტანათ თავისი მიწები, სამუშაო გამწევი ძალა და ინვენტარი, ხოლო 1950 წლის კანონით კოოპერატივებში კულაკების მიღება სასტიკად აიკრძალა.

სამშვიდობო ხელშეკრულება

როგორც აღნიშნული იყო, ბულგარეთის მონარქიულ-ფაშისტურმა რეჟიმმა ქვეყანა ჰიტლერული ბლოკის მხარეზე ომში ჩაიბა ხალხის სურვილისა და ნებართვის გარეშე, ამიტომ, ბულგარეთი, ხალხის უნებურად, ომის დამნაშავედ ითვლებოდა. ბულგარელმა ხალხმა თავისი საძულველი ფაშისტური რეჟიმის დანაშაული სისხლით გამოისყიდა და ომის უკანასკნელ ეტაპზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიის განადგურებაში. მშვიდობიანობის დაწყებისთანავე სამამულო ფრონტის მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ანტიჰიტლერულ კოალიციასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. ინგლის-ამერიკა მხარს უჭერდა საბერძნეთის მოთხოვნას, რომ ბულგარეთს საბერძნეთის სასარგებლოდ გადაეხადა 985 მილიონი დოლარი. საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიციის შედეგად ინგლის-ამერიკის ეს ცდები ჩაიშალა. 1947 წლის 10 თებერვალს პარიზში დადებული ზავით ბულგარეთი ინაოჩუნებდა თავის სახელმწიფო საზღვრებს, როგორიც იყო 1941 წლის 1 იანვრისათვის. ბულგარეთი ცნობილ იქნა ომის დამნაშავედ, მაგრამ გაითვალისწინეს მისი დამსახურებაც ომის უკანასკნელ ეტაპზე. მას ეკისრებოდა 8 წლის განმავლობაში გადაეხადა რეპარაციები საბერძნეთის სასარგებლოდ—45 მილიონი დოლარის რაოდენობით, ხოლო იუგოსლავიის სასარგებლოდ—35 მილიონი დოლარის ოდენობით. ბულგარეთს უნდა ჰყოლოდა ქვეითი ჯარის ნაწილები არა უმეტეს—55 ათასი კაცისა, ხოლო სამხედრო საზღვაო ფლოტი—7250 ტონა წყალწყვისა. მოკავშირეთა ჯარები ბულგარეთიდან უნდა გამოყვანილიყო სამშვიდობო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში. სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შედეგად ბულგარეთმა თავი დააღწია იმ პოლიტიკურ იზოლაციას, რომელშიც იგი მოქცეული იყო მონარქიული რეჟიმის დროინდელი ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის კურსის გამო.

ორი პოლიტიკური პარტიის გაერთიანება

სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებიდან ძალით განიდევნენ ამ პარტიის ხელმძღვანელები—პასტუხოვ-ლულჩევის და სხვები, რის შემდეგ პარტიის ხელმძღვანელობა. ხელთ იგდეს კომუნისტებმა და 1948 წლის 11 აგვისტოს ძალდატანებით გააერთიანეს ორივე პარტია, მუშათა პარტია (კომუნისტებისა) და სოციალ-დემოკრატიული

პარტია, რომელმაც 1948 წლის დეკემბერში ამ პარტიის V ყრილობაზე მიიღო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სახელწოდება.

ამის შემდეგ ჩატარდა რეორგანიზაცია სამამულო ფრონტისა, რომელშიც, როგორც უკვე ადრე აღვნიშნეთ, შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და ჯგუფები, ე. ი. ეს იყო სხვადასხვა პარტიების ბლოკი, მაგრამ 1949 წლიდან მის შემადგენლობაში მხოლოდ ორი პარტია დარჩა—ბულგარეთის კომუნისტური პარტია და ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირი[1]. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ეცნო ბულგარეთის კომპარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალიზმის მშენებლობაში.

1949 წელს კომუნისტებმა „ზვენოს“ კავშირი და რადიკალური პარტია აიძულეს, რათა თავისი თავი თვითდათხოვნილად გამოეცხადებინათ.

სამამულო ფრონტი გარდაიქმნა ერთიან საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად საერთო პროგრამითა და წესდებით. შეიქმნა ერთიანი ამორჩეული ხელმძღვანელობა. სამამულო ფრონტმა მიიღო პროგრამა, რომელიც ბულგარეთში სოციალიზმის მშენებლობის პრინციპებს აცხადებდა. აქ მონოპოლია ხელისუფლებაზე კომუნისტების ხელში იყო.

§ 7. ბულგარეთი 1949—1960 წლებში

ახალმა მთავრობამ ძველი რეჟიმიდან მემკვიდრეობით ძალზე ჩამორჩენილი ეკონომიკა მიიღო. ომამდე ბულგარეთი ისედაც ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო ომის დროს ქვეყნის შიგნით არსებულმა მონარქიულ-ფაშისტურმა რეჟიმმა და ჰიტლერული გერმანიის მიერ ბულგარეთის ძარცვამ ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. სამრეწველო წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით 64%-ით დაეცა. ბულგარეთს არ ჰქონდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ქიმიური, სამთო, შავი და ფერადი მეტალურგია, ხოლო რაც ჰქონდა, ისიც სუსტად იყო განვითარებული. ახალი მთავრო-

---

[1] ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირი შეიქმნა 1900 წელს, და იგი მაშინ პირნად ისახავდა ძირითადად გლეხთა საგანმანათლებლო ამოცანებს. 1908 წლიდან კი გადაიქცა წვრილბურჟუაზიულ გლეხთა პარტიად. იგი ასახავდა გლეხთა შეძლებული ფენების ინტერესებს. წინააღმდეგი იყო მუშათა და გლეხთა კავშირისა და ქადაგებდა „გლეხთა დამოუკიდებელი ხელისუფლების“ თეორიას. 1942 წელს ეს პარტია სამამულო ფრონტში შევიდა და აქტიურად მონაწილეობდა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბის მთავარი ამოცანა იყო ამ ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაცია.

19947 — 1948 წლებში განხორციელდა სახალხო მეურ-ურნეობის აღდგენის და განვითარების ორწლიანი გეგმა, რომლის შესრულების შედეგად სამრეწველო წარმოებამ ომამდელ დონეს 79,6%-ით გადააჭარბა, სოფლის მეურნეობამ კი, მიუხედავად გვალ-ვებისა და მოუსავლიანობისა, ომამდელს მიაღწია.

ორწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების შემდეგ ბულ-გარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობამ (1948 წ.) გამოაცხადა კურსი ბულგარეთის მოკლე ხნის განმავლობაში ინდუსტრიულ-აგრა-რულ ქვეყნად გადაქცევისა.

პარტიის V ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითა-რების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1949—1953 წწ.), რომელიც არ ითვალისწინებდა ქვეყნის და ხალხის სურვილებს და შე-საძლებლობებს. პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამო-ცანა იყო სოციალიზმის საფუძვლების აგება ქვეყნის ინდუსტრია-ლიზაციის, ელექტრიფიკაციის, სოფლის მეურნეობის კოოპერირე-ბისა და მექანიზაციის განხორციელების გზით. გეგმა ითვალისწინებ-და უპირატესად მძიმე მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიურის, შავი მეტალურგიის და სხვა. ფაქტიურად ეს დარგები ახლად უნდა შექმნილიყო ან რეკონსტრუირებულიყო. მძიმე მრეწველობის უპირა-ტესად განვითარებას უნდა უზრუნველყო მსუბუქი და კვების მრე-წველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. პირველ ხუთწლედ-ში გათვალისწინებული იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის კოოპერი-რების დაჩქარებული განხორციელება. პირველი ხუთწლიანი გეგმა მთლიანად ოთხ წელიწადში შესრულდა. მრეწველობაში კი კიდევ უფრო ადრე—3 წელიწადსა და 10 თვეში.

პირველ ხუთწლედში აგებულ და რეკონსტრუირებულ იქნა 700-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომელთა შორის აღსანიშნავია ქალაქ დიმიტროვგრადში აგებული სამრეწველო საწარმოების კომპლექ-სი, რომელშიც შედის: ქიმიური კომბინატი, ცემენტის ქარხანა, ელე-ქტროსადგური და ა. შ. აღსანიშნავია აგრეთვე ქალაქ პერნიკში აგე-ბული მეტალურგიული კომბინატი, ე. კოლაროვის სახელობის ელექ-ტროტექნიკური მოწყობილობის ქარხანა და სხვა.

პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად გამოცხადდა, რომ მრეწველობის საერთო პროდუქციამ ოთხჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობამ— 30%-ით. ეროვნული შემოსავალი გადიდდა 52,8%-ით, საგარეო

ვაჭრობა 1,5-ჯერ. 1950 წელი ითვლება ბულგარეთის სოფლის კოოპერირების საქმეში გარდატეხის წლად, როდესაც იძულებითი წესით განხორციელდა კერძო, აუვავებული გლეხთა მეურნეობის კოოპერირება. საყურადღებოა, რომ 1949 წლისათვის საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანებული იყო მთელი გლეხთა მეურნეობის მხოლოდ 7,4%, რომელთა ხელში იყო მთელი დასამუშავებელი მიწების 13,6%, 1952 წლისათვის კი კოოპერატივებში გაერთიანებული იყო ქვეყნის ყველა გლეხთა მეურნეობის ნახევარზე მეტი, რომელთა ხელში იყო დასამუშავებელი მიწების 60,5% და სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის წარმოების 65%. პირველ ხუთწლედში კულაკობა, როგორც კლასი, ლიკვიდირებულ იქნა, მათი საკუთრების ძალდატანებითი ექსპროპრიაციის გზით. კულაკობის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი შესყიდულ იქნა კოოპერატივების მიერ. კულაკებს აეკრძალათ მიწის იჯარით გაცემა ან დაქირავებული შრომის გამოყენება, რის შემდეგ კულაკები იძულებული გახდნენ თავისი მიწების დიდი ნაწილი კოოპერატივებისათვის გადაეცათ, თავისთვის კი იმდენ მიწას იტოვებდნენ, რამდენის დამუშავებასაც თავის საკუთარი ძალებით შეძლებდნენ. 1957 წლის საწარმოო კოოპერატივების ახალი წესდებით გაუქმდა აკრძალვა კულაკების კოოპერატივებში მიღებისა.

ომამდელი ბულგარეთი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყო ევროპაში განათლებისა და წერა-კითხვის უცოდინართა დონით. მაგალითად, ომამდელი ბულგარეთის მოსახლეობის 32% 8 წლის ასაკიდან და ზემოთ წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მამაკაცთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 20%-ზე მეტი, ხოლო ქალთა შორის 43%. სკოლის ასაკის ბავშვთაგან მხოლოდ 48%-ს ჰქონდა შესაძლებლობა რვაწლიანი განათლების მიღებისა. მართალია, არსებობდა კანონი სავალდებულო განათლების შესახებ, მაგრამ ყოველწლიურად 100 ათასზე მეტი მშრომელთა ბავშვი სკოლის გარეთ რჩებოდა იმის გამო, რომ თითქმის 1700 დასახლებულ პუნქტში სკოლები არ იყო, რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, იგი მისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებულთათვის. ახალმა მთავრობამ სკოლის ასაკის ბავშვთათვის შემოიღო სავალდებულო სწავლება. წერა-კითხვის უცოდინარობა ლიკვიდირებულ იქნა 1954 წლისათვის. პირველ ხუთწლედში გაიხსნა მრავალი სკოლა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი. ომამდელ ბულგარეთში მხოლოდ 5 უმაღლესი სასწავლებელი იყო, 1952 წლისათვის კი მისი რიცხვი 20-მდე გაიზარდა.

1954 წელს შემდგარმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ მიიღო მეორე ხუთწლიანი გეგმის (1953—1957) დირექტივები, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ქვეყნის შემდგომი ინდუსტრი-

ალიზაცია, სოფლად კი გლეხთა საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანების დასრულება.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პერიოდში ბულგარეთის პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ იქნა რიგი შეცდომები.

1949 წლის ივლისში გარდაიცვალა დიმიტროვი, ხოლო 1950 წლის იანვარში—მისი უახლოესი თანამებრძოლი ვ. კოლაროვი, რის შემდეგ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1954 წლამდე) და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1956 წლამდე) გახდა ვ. ჩერვენკოვი. მისი პიროვნების კულტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ვ. ჩერვენკოვის პიროვნების კულტის შედეგად გლეხთა მატერიალური დაინტერესებისა და კოოპერატივში ნებაყოფლობით გაერთიანების პრინციპი უხეშად ირღვეოდა. ასევე შემცირდა მძიმე ინდუსტრიის განვითარების ზრდის ტემპები.

1954 წელს ცკ-ის პირველი მდივანი გახდა ტ. ჟივკოვი. 1956 წლის აპრილში მოწვეულმა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგმო ვ. ჩერვენკოვის მიერ დაშვებული შეცდომები და გაათავისუფლა იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან. ეს პოსტი დაიკავა ა. იუგოვმა. ბულგარეთის კომპარტიის VIII ყრილობამ, რომელიც 1962 წელს შედგა, ვ. ჩერვენკოვი გარიცხა პარტიიდან, ხოლო ა. იუგოვი, რომელიც ოპოზიციონერთა დაჯგუფებას ჩაუდგა სათავეში, მოხსნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან და გამოიყვანა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა ტ. ჟივკოვი.

ბულგარელმა ხალხმა მეორე ხუთწლედიც წარმატებით შეასრულა. გამოცხადდა, რომ სამრეწველო წარმოების მოცულობა 76%-ით გაიზარდა, რაც 8-ჯერ მეტი იყო ომამდელ დონესთან შედარებით. სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა მთელი სამრეწველო წარმოების 98% და საცალო საქონელბრუნვის 99%. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის საწარმოო კოოპერატივებში და სახელმწიფო მეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხური მურნეობის 90% და მათზე მოდიოდა მთელი დასამუშავებელი მიწების 93%. ბულგარეთში ყველაზე ადრე სხვა სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან შედარებით, დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოოპერირება და ჩამოყალიბდა მხოლოდ ერთი ტიპის სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივები, რომელმაც თავისი განვითარების ეტაპი განვლო. როგორც ადრე აღინიშნა, კოოპერატივში გაერთიანებული გლეხობა შემოსავალს ღებულობდა არა მარტო გამომუშავებული შრომადღეების, არამედ აგრეთვე კოოპე-

რატივში შეტანილი მიწის ფართობის მიხედვითაც. შემდეგ კი თანდათანობით, თვით კოოპერატივის წევრთა გადაწყვეტილებით. მიწაზე კოოპერატივის შემოსავლის განაწილება მცირდებოდა და საბოლოოდ გაუქმდა. ამრიგად მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის კოოპერატივის შემოსავლის განაწილება მის წევრთა შორის ხდებოდა სოციალისტური პრინციპების საფუძველზე—შრომადღეების მიხედვით.

მეორე ხუთწლედში დიდი იყო წარმატებები აგრეთვე საირიგაციო სისტემის გაფართოების საქმეში: ომამდელ ბულგარეთში სარწყავი მიწების ფართობი აღწევდა 375 ათას დეკარს (დეკარი უდრის 0,1 ჰექტარს), 1957 წლისათვის ეს ციფრი 9 მილიონ დეკარამდე გადიდდა. ბულგარეთის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესაბამისად 1980 წლისათვის სარწყავი მიწების ფართობმა მიაღწია 29 მილიონ დეკარს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბულგარეთში ათვისებულია სარწყავად გამოსადეგი მთელი მიწების 80%-ი. მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შემდეგ დამთავრდა ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტური გარდაქმნა და გამოცხადდა, რომ ბულგარეთი გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად მსხვილი კოოპერირებული სოფლის მეურნეობით. თუ 1948 წელს თანაფარდობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას შორის შეადგენდა 30 : 70, 1958 წელს იგი შეადგენდა 68 : 32. ბულგარეთის სახალხო მეურნეობაში წარმოების საშუალებებზე სოციალისტურმა საკუთრებამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მის ორ ფორმაში—სახელმწიფოებრივსა და კოოპერატიულში.

ბულგარეთის ინდუსტრიალიზაციის განმასხვავებელი თვისება ის იყო, რომ ქვეყანაში ახლად შეიქმნა მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგები: მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და უპირატესად მრეწველობის ენერგეტიკული დარგები. აღმოცენდნენ ახალი ინდუსტრიული ცენტრები—დიმიტროვგრადი, რუდეზემი, მადანი, ბატაკი, კირჯალი, როდოპი და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთი მდიდარია ფერადი ლითონებით—ტყვიისა და თუთიის მარაგით, მეორე მსოფლიო ომამდე მისი წარმოება არ იყო. ახალი რეჟიმის დროს ფერადი მეტალურგიის განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა. ამის შედეგად უკვე 1960 წელს ბულგარეთმა მსოფლიოში ტყვიის წარმოებით მეცამეტე, თუთიის წარმოებით კი მეთექვსმეტე ადგილი დაიკავა. თუ მანამდე ბულგარეთს შემოჰქონდა ფერადი ლითონები, ამის შემდეგ იგი, პირიქით, მის ექსპორტიორად გადაიქცა. კომუნისტური პარტიის VII ყრილობამ, რომელიც 1958 წ. ივნისში შედგა, მიიღო მესამე ხუთწლიანი გეგმის (1958—1962 წწ.) დირექტივები.

§ 8. ბულგარეთი 60—80-იან წლებში

1962 წლის ნოემბერში შემდგარმა ბულგარეთის კომპარტიის VIII ყრილობამ შეაჯამა განვლილი პერიოდის სოციალისტური მშენებლობის შედეგები ქვეყანაში და როგორც ეს მეზობელი ქვეყნების კომუნისტებმა გააკეთეს, საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა, რომ ბულგარეთში წარმატებით განხორციელდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გარდამავალი პერიოდის ამოცანები და უზრუნველყოფილია სოციალიზმის სრული გამარჯვება.

ბულგარელ ხალხს თავისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი. 1963 წლის ოქტომბრისათვის, ე. ი. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის 19 წლის განმავლობაში, საბჭოთა პროექტებით, საბჭოთა მანქანებისა და საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით აიგო მთელი რიგი მსხვილი საწარმოები, კერძოდ, აშენდა 70 სამრეწველო საწარმო და საამქრო, ხოლო 32 საწარმო მშენებლობის დამთავრების პროცესში იყო. მათი აგებისათვის საბჭოთა კავშირმა ბულგარეთს ხელსაყრელ პირობებში მისცა კრედიტი 1200 მილიონი ლევის რაოდენობით. ამ პერიოდში სსრ კავშირიდან მიღებულია დაახლოებით 3000 კომპლექტის რაოდენობის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია, თითქმის 3,500 საბჭოთა სპეციალისტი მუშაობდა ახალ მშენებლობაზე, მონაწილეობას იღებდა მოწყობილობის მონტაჟსა და მის ამუშავებაში.

1971 წლის კონსტიტუციამ[1] ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ზოგიერთი ცვლილებები შეიტანა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, ფორმალურად გაიზარდა და გაფართოვდა სახალხო კრებისა და სახელმწიფო ორგნოების უფლებები, რომელთაც მიენიჭათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მაგრამ ფაქტიურად არაფერი არ შეცვლილა და ყველაფერი კომუნისტური ელიტის კონტროლს ემორჩილებოდა.

1971 წლის ივნისის ბოლოს, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა სახალხო კრებისა და ადგილობრივი სახალხო საბჭოების, აგრეთვე სასამართლოების არჩევნები. ფალსიფიცირებულ არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობამ ხმა მისცა სამამულო ფრონტის კანდიდატებს: სამამულო ფრონტში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, გაერთიანებული იყვნენ კომპარტია, მიწათმოქმედების სახალხო კავშირი, კომკავშირი და უპარტიოები. სახალხო კრებაში არჩეულ 400 დეპუ-

[1] 1971 წლის კონსტიტუციამ შეცვალ 1947 წლის კონსტიტუცია, ამ უკანასკნელში ცალკეული ცვლილებები შეტანილი იქნა 1951, 1965 და 1969 წლებში.

ტატიდან 266 ბულგარეთის კომპარტიის წევრი იყო, 100 მიწათმოქმედების სახალხო კავშირიდანაა და 34 უპარტიო.

1971 წლის ივლისში სახალხო კრების სესიამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია თ. ჟივკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი სტანკო თოდოროვი[1].

მეოთხე ხუთწლედი ბულგარეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში იმითაც აღსანიშნავია, რომ 1964 წლიდან დაიწყო სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და ხელმძღვანელობის სისტემის ექსპერიმენტები. დაგეგმვის ძველმა სისტემამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში, ოთხივე ხუთწლიანი გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, მაგრამ ეს სისტემა უკვე აღარ შეესაბამებოდა ბულგარეთის მაღალ ეკონომიკურ დონეს. გატარდა რიგი ღონისძიებები ხელმძღვანელობის მეტისმეტი ცენტრალიზმის წინააღმდეგ, ფართო განვითარება ჰპოვა საწარმოებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებამ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის.

ბულგარეთი ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნას განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევარში შეუდგა და ამ საკითხს მიუძღვნა კომუნისტური პარტიის ცკ-ის რიგი პლენუმები, რომელთა შორის აღსანიშნავია 1988 წლის დეკემბერში შემდგარი პლენუმი. მან განიხილა ეკონომიკის გარდაქმნის მორიგი პრაქტიკული ნაბიჯები. როგორც ამ პლენუმზე აღინიშნა, ქვეყნის ეკონომიკის დაგეგმვის საბჭოურმა მოდელმა, რომელსაც ბულგარეთში იყენებდნენ და რომლის წყალობითაც ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდებოდა ქვეყანაში, ამოწურა თავისი შესაძლებლობა და ერთგვარ მუხრუჭადაც გადაიქცა მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი პროგრესისათვის. ეკონომიკის შემდგომი განვითარება შესაძლებელი იქნება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმიური ფორმის რეფორმის მეშვეობით.

ბულგარეთში, ისევე როგორც სსრკ-ში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეთაყვანებოდნენ ბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებს, ეკონომიკის განვითარების „ზემოდან" მითითებებს. ზოგჯერ არაკომპეტენტური პიროვნებების მიერ. ახლა გარდაქმნების მთავარი ამოცანა ეკონომიკის რევულირების ზემოდან მოხდენა კი არაა,

---

[1] სტანკო თოდოროვი 1920 წელს დაიბადა. 16 წლისა გახდა მუშა-ახალგაზრდობის კავშირის წევრი, 1943 წლიდან კი ბულგარეთის კომპარტიის წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ანტიფაშისტურ მოძრაობაში. 9 სექტემბრის აჯანყების შემდეგ მას ეკავა ბულგარეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ადგილი. შემდეგ ბკპ-ის ცკ-ში განყოფილების უფროსის, მიწათმოქმედების მინისტრის თანამდებობა. 1961 წლიდან გახდა ბკპ-ის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. მრავალი წლის განმავლობაში იყო ბულგარეთის წარმომადგენლად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში, ბკპ-ის IX ყრილობაზე აირჩიეს ცკ-ის მდივნად.

არამედ ქვემოდან—ხალხის, ჯგუფის, კოლექტივის რეალური ინტერესების მეშვეობით, თვითრეგულირების სისტემის შექმნის გზით.

ბულგარელი სპეციალისტების აზრით, ქვეყანა 10—15 წლით ჩამორჩა წამყვან დარგებში ტექნოლოგიის დონით განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან. ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის ჯერ კიდევ 1983 წელს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ის ინიციატივით მიიღეს ბულგარეთის, უპირველეს ყოვლისა საექსპორტო საქონლის ხარისხის გაუმჯობესების ხანგრძლივვადიანი პროგრამა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბულგარული ელექტრო და მოტოსაქონელი, დაზგები, ავტოსაბურავები და ექსპორტის სხვა საქონელი თავისი დონით ბევრად ჩამორჩება მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს. ამაში ხალხი და წარმოების საშუალებები კი არაა დამნაშავე. სხვათა შორის ბულგარეთში ბევრი ნიჭიერი სპეციალისტი, საუკეთესო ქარხნები და მანქანებია, რომელნიც არ ჩამორჩებიან დასავლეთის მოდელს. ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი გახდა საწარმოო საშუალებების უკვე მოძველებული სისტემა, რომელიც დღევანდელ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. დიდი გამოცდილება დაგროვდა, მაგრამ ძირეული გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი წინსვლა.

ბულგარეთში გარდაქმნის არსი ჩამოყალიბდა სახელმწიფო საბჭოს 56-ე ბრძანებულებაში—სამეურნეო მოღვაწეობის ფირმული ორგანიზაციის შექმნის შესახებ. ბულგარეთში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეკონომიკის გარდაქმნის ქვაკუთხედი უნდა გახდეს ფირმების შექმნა. სწორედ ასეთი გზით უნდა მოხდეს მშრომელის საწარმოო საშუალებებიდან ჩამოშორების დაძლევა. ჯერ კიდევ 1986 წელს მიიღეს გადაწყვეტილება სოციალისტური საკუთრების კოლექტივის ხელში გადაცემისა და მათი მმართველობის შემოღების შესახებ მეურნეობაში. მაგრამ ამით არაფერი არ გამოვიდა. საჭირო გახდა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა საქონლის მწარმოებლისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

1987 წელს ბულგარეთში თითქმის ყველა დარგობრივი სამინისტრო გაუქმდა და მათ ნაცვლად შეიქმნა საწარმოების ნებაყოფლობითი ასოციაციები. საქმე იმაშია, რომ ბულგარეთის ეკონომიკა 80-იან წლებში სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდა. ბულგარეთი ტრადიციულად სსრკ-ის ეკონომიკური კურსის მიმდევარი იყო და, ბუნებრივია, აქაც დაიწყო გარდაქმნები ქვეყნის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროში. „ზემოდან—ქვემოთ“ დიქტატის პრინციპი შეცვალა ასოციაციის საბჭოს მიერ ამორჩეულმა „მრგვალი მაგიდის“ დიალოგმა, რომლის ყოველ მნიშვნელოვან

გადაწყვეტილებას იღებენ დემოკრატიული გზით. სსრკ-ის ანალოგიური სამინისტროები: სახელმწიფო დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო მომარაგების, ფინანსთა, შრომის, ფასების კომიტეტები გაერთიანდნენ ერთიან ეკონომიკისა და დაგეგმვის სამინისტროდ, მაგრამ, არსებითად, ყველა შემადგენელი ელემენტის ამოცანების შენარჩუნებით, უბრალოდ, ძალზედ მკვეთრად შემცირდა მმართველი აპარატი საწარმოების შრომითი კოლექტივების დამოუკიდებლობის გაძლიერებით. ამის შედეგად დადებითი ძვრები არის, მაგრამ მკვეთრი ცვლილებები ეკონომიკაში უკეთესობისაკენ არ მომხდარა. ვინაიდან ასოციაციამ ერთგვარ შუამავალ რგოლად გადაიქცა სამინისტროსა და საწარმოებს შორის, ამიტომ გასაგები იყო, რომ უკეთესი გადაწყვეტის გზა ჯერ არ იყო მიგნებული. 1989 წლის იანვარში გამოიცა ბულგარეთის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულება სახალხო მეურნეობის ფირმების სისტემაზე გადაყვანის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნების რეგულირებას მოახდენს და არა მეურნეობის მმართველის ყოველდღიური საქმიანობით იქნება დაკავებული. ფირმები გადაიქცევიან დამოუკიდებელ სამეურნეო უჯრედებად.

პოლიტიკურმა გარდაქმნებმა დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა უნდა მისცეს ტერიტორიულ სათემო საბჭოებს. ფირმები იქნება როგორც სახელმწიფო, ისე სათემო, კოოპერატიული, ცალკეული მოქალაქეებისა, საზღვარგარეთის ორგანიზაციებისა და პირებისა. სახელმწიფო მათგან აიღებს მყარ გადასახადებს და ხელს შეუწყობს განვითარებას საჭირო მიმართულებით, მაგრამ ფირმები დამოუკიდებელი ცხოვრებით იცხოვრებენ და საბაზრო მექანიზმის წესების შესაბამისად წარმატებებსაც და წარუმატებლობასაც თვითონ გადაიტანენ. ბულგარეთის ეკონომისტების აზრით, კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ მიღწევად მიჩნეულია მსოფლიო ბაზარი, მაგრამ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის ბულგარეთი, იქ სუსტად იყვნენ წარმოდგენილნი. ამიტომ ახლა მიმდინარე გარდაქმნების მთავარი ამოცანა ბულგარეთში ის არის, რომ ის კი არ აწარმოოს და იმით კი არ ივაჭროს რაც მოხვდება, არამედ მსოფლიო ბაზარზე საქონლის საუკეთესო ნაწარმი გაიტანოს და გაყიდული საქონლის საუკეთესო მომსახურებისათვის სათანადო სერვისები შექმნას.

უკვე შექმნილ ფირმებში მუშაობა ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ მასში ყველაფერია თავმოყრილი—მეცნიერება, საკონსტრუქტორო სამუშაოები, წარმოება, ვაჭრობა და ა. შ. სახელმწიფო პოლი-

ტიკის ელემენტად გადაიქცა მშრომელთა მონაწილეობის წესი წარმოების მიერ გამოშვებული აქციების შესყიდვაში, რაც, რა თქმა უნდა, ისაზე უფრო გონივრულია, ვიდრე ფული შემნახველ სალაროში ან შინ იდოს უძრავად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა—50 ლევი (50 მანეთი). ფირმის ყოველ წევრს უფლება აქვს შეიძინოს არა უმეტეს 200 აქცია, მაგრამ ფირმიდან მისი გასვლის შემთხვევაში, ფირმა შეისყიდის მას ნომინალურ ფასებში. პენსიონერები ინარჩუნებენ თავის შრომითს აქციებს, თუ ამ წარმოებაში იმუშავეს არა ნაკლებ 10 წლისა და იღებენ დივიდენდებს სხვასთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, შრომითი აქციები მემკვიდრეობით გადადის.

ახალი ბრძანებით შეიძლება შეიქმნას სუფთა სააქციონერო ფირმები. ასეთი ფირმების მინიმალური საწესდებო ფონდი—1 მლნ ლევია, ხოლო აქციის მინიმალური ღირებულებაა—1 000 ლევი. ყოველი აქცია ერთი ხმის უფლებას იძლევა აქციონერთა კრებაზე. აქციებს იძენენ ორგანიზაციები, ბულგარელი და უცხოელი მოქალაქეები. ყოველწლიურად, 31 მარტამდე, გამგეობის საბჭო ვალდებულია გამოაქვეყნოს გასული წლის ბალანსი, რათა ყველამ იცოდეს, თუ როგორ მიდის საქმე.

სახალხო მეურნეობის ნებისმიერ სფეროში იქმნება ერთპიროვნული კოოპერატიული ფირმები. ასეთ ფირმებში შრომითი შეთანხმების საფუძველზე იმუშავებს ათამდე მომსახურე. სეზონურ სამუშაოებზე საჭირო შემთხვევაში შეუძლიათ ჩააბან განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანები.

საზღვარგარეთის ფირმებს ნება ეძლევათ ბულგარეთში თავიანთი ფილიალები გახსნან, აქციები შეიძინონ, ხოლო საზღვარგარეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ ბულგარული ფირმების მოღვაწეობაში მიიღონ მონაწილეობა, არჩეულ იქნენ მმართველ საბჭოებში. უცხოელების უპირატესობით არსებული ფირმებისა და უცხოელი ფირმების მოგებები იბეგრება 30 პროცენტის გადასახადით. დამოუკიდებლად მომქმედი უცხოელი მოქალაქეების მოგებები კი 40 პროცენტით იბეგრება: ამრიგად, როგორც ვხედავთ, უცხოელების საქმიანობა ქვეყანაში უფრო შეღავათიანია და სასურველი ინვესტატორები არიან ადგილობრივებთან შედარებით. მაგალითად, თუ ისინი თავიანთი საშეურნეო საქმიანობის შემოსავლის რეალიზაციას ქვეყნის შიგნით ახდენენ და არ გააქვთ საზღვარგარეთ, მაშინ მხოლოდ 13%-ს იხდიან. იმ შემთხვევაში კი, თუ თავიანთ დივიდენდებს ახალი აქციების შეძენას ახმარენ, მაშინ საერთოდ თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადებისაგან.

ბულგარეთის დუნაის სანაპიროებზე ქალაქების ვიდინისა და რუ-

სეს ირგვლივ იქმნება ორი უბაჟო ზონა, რომლის მიზანია უცხოური ფირმების მიზიდვა. ამ ზონებში მიღებული მოგებები 5 წლის განმავლობაში არ იბეგრება, შემდეგ კი მხოლოდ 20%-ით დაიბეგრება. თუ უცხოური ფირმები საქმიანობენ ისეთი მაღალი ტექნოლოგიის დარგში, რომლითაც ბულგარეთია დაინტერესებული, მაშინ ისინი საერთოდ თავსუფლდებიან გადასახადებისაგან. უცხოელი პირების ინვესტიციების კონფისკაცია ან ჩამორთმევა ადმინისტრაციული წესით აკრძალულია.

ფირმების მოღვაწეობის დემოკრატიზაციასთან ერთად მკვიდრდება მესაკუთრის როლის გაძლიერება, სულერთია, ვინ იქნება ეს სახელმწიფო თუ აქციონერი. ფირმის მფლობელებს უფლება აქვთ შექმნან გამგებლის საბჭოს აპარატის ნახევარი. ფირმის ხელმძღვანელი შეიძლება გახდეს უცხოელი მოქალაქეც.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ფირმებზე გადასვლის შედეგად სახელმწიფოს როლი იცვლება, იგი ფირმებს თავისი ადმინისტრაციული აპარატის მბრძანებლური მეთოდებით კი ვეღარ განაგებს, არამედ მოქმედებს მხოლოდ საგადასახადო, ხელფასის, ფასების დაწესებისა და სახელმწიფო დაკვეთების სისტემით. თანაც სახელმწიფო დაკვეთები დაწესდება საკონკურსო საფუძველზე და მათ არ უნდა დაიკავონ ფირმის საწარმოო სიძლიერის ორ მესამედზე მეტი. ეს სპეციალურადაა მითითებული ბრძანებულებაში. სახელმწიფო დაკვეთები საჭიროა ბულგარეთის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, უშიშროების უზრუნველყოფისათვის. დაგეგმილი ძირითადი ეროვნული ბალანსის, სოციალური პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის. სახელმწიფო უფლებას იტოვებს მსხვილმასშტაბიანი ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე, მაგრამ უარს ამბობს წვრილ მეურვეობაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფო ახლა უკვე აღარ კისრულობს პასუხისმგებლობას ფირმის მოღვაწეობაზე. ბულგარეთში 1988 წლის ბოლოსათვისაც ბევრი წამგებიანი საწარმო იყო, რომელთაც სახელმწიფო დოტაციებითა და სუბსიდიებით უჭერდა მხარს. სახელმწიფო ასეთ პრაქტიკაზე საერთოდ უარს ამბობს და შეუწყვეტს ყოველგვარ დახმარებას ქვეყნისათვის გამაჩანაგებელ წამგებიან საწარმოებს.

ყველა ფირმა, რომელიც მოღვაწეობას იწყებს, ვალდებულია ოფიციალური რეგისტრაცია გაიაროს ადგილობრივ სასამართლოებში და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოში. თუ ფირმა 60 დღის განმავლობაში არ შეასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს ფულის უქონლობის გამო, მაშინ იგი ცხადდება გადახდისუუნაროდ, რის

შემდეგ ფირმასა და კრედიტორებს შორის ტარდება 1 თვიანი მოლაპარაკება. თუ არაა მიღწეული მოლაპარაკება, მაშინ ბანკი სამი დღის განმავლობაში ვალდებულია აცნობოს საოლქო სასამართლოს, რომელმაც ამის საფუძველზე უნდა აღძრას საქმე ფირმის გადახდისუუნარიანოდ გამოცხადებაზე. ფირმის გაკოტრებულად გამოცხადების შემდეგ სასამართლო ნიშნავს ფირმის ლიკვიდატორს. ფირმა შეიძლება სხვა მფლობელს გადაეცეს, ან ორიენტაცია შეიცვალოს, უფრო წვრილ ფირმებად დაიყოს, ან შეწყვიტოს არსებობა და მისი ქონება გაიყიდოს. ვარიანტები მრავალია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა. რომ იგი სახელმწიფოს არ დააწვება შესანახად. თანამშრომლები კი მიიღებენ შვებულებას ერთდროული დახმარების სახით და დროს კვალიფიკაციის შესაცვლელად. ამრიგად, ბულგარეთმა გაბედულად გადადგა ნაბიჯები ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნისათვის, რომლის საბოლოო შედეგებს მომავალი გვიჩვენებს. ფირმები, რომელნიც გადაიქცევიან თვითმმართველობის ერთეულებად, სრულიად განსხვავებულნი იქნებიან ქარხნების, ფაბრიკებისა დ გაერთიანებების დღევანდელი გაგებისაგან. ფირმების ხელმძღვანელობა გადავა გამგებლობის—საბჭოებისა და არა სახელმწიფოს ხელში, თუმცა ვარაუდობენ, რომ გამგებლობის საბჭოებში, როდესაც ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული, შეიძლება სახელმწიფოს წარმომადგენლის შეყვანა.

აღნიშნულ ბრძანებულებაში გათვალისწინებული იყო 1989 წლის მარტში ინდუსტრიულ-სავაჭრო კავშირის შექმნა. ეს ახალი ტიპის ორგანიზაციაა და თავის გამგებლობაში აერთიანებს ფირმის ინტერესებს, ერთდროულად იგი იქნება სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი და მთავრობის ოპონენტიც. ბულგარელი ხელმძღვანელების აზრით, ასეთი გზით გაუქმდება მმართველობის მრავალსაფეხურიანი და ვეებერთელა პირამიდა: სამინისტრო—ასოციაცია—სამეურნეო გაერთიანება—კომბინატი ან საწარმო. სამაგიეროდ, ბულგარელი სპეციალისტების აზრით, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას ფართო გზა გაეხსნება. ფირმის შოღვაწეობის საფუძველი გახდება ბაზრის მექანიზმი, კონკურენცია. დაფინანსება გათვალისწინებულია ძირითადად მოგებების ხარჯზე: გაკოტრებული ფირმა დაიხურება, გაუქმდება. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭირო გახდება სრულიად ახალი ნორმატიული ბაზა. შემოიღებენ კანონებს ღირებულების დამატებისა და მწარმოებელთა მონოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ა. შ. ბულგარეთში დაიწყო საბითუმო ფასების რეფორმები, რომლის საფუძველია მსოფლიოში არსებული საშუალო ფასების დაწესება. როგორი იქნება სახელმწიფოს როლი? იგი ნება-

ყოფლობით უარს იტყვის მეურვეობაზე, ჩარევაზე და თავის თავზე იტოვებს უფლებას ფირმის მოღვაწეობის ძირითად მაჩვენებლებზე „შემოსავალზე“ და „გასავალზე“. სახელმწიფოსა და ფირმას შორის დაიდება ხელშეკრულება, არსებითად გამარტივდება გადასახადის სისტემა. ადმინისტრაციული იძულებითობა შეიცვლება ნებაყოფლობითობით სახელმწიფო პროექტებში ფირმის მონაწილეობით. ფირმების ორგანიზაცია. კონკურენციები, გადასახადები, მოვებების თავისუფალი გადანაწილება—ყველა ამ საკითხს გადაწყვეტს თვით კოლექტივი გამგებლობის—საბჭოების მეშვეობით—რა არის მათთვის ხელსაყრელი და რა არა. გამორიცხული იქნება ზემოდან პარტიის ან მთავრობის მოწოდებები, მკაცრი ბრძანებები და დადგენილებები. სისტემა თვითონ იმუშავებს პრინციპით: საღდება საქონელი— ე. ი. არის ხარისხი. არ იყიდება საქონელი—ე. ი. ხარისხი არ ვარგა. ბულგარელი სპეციალისტების აზრით, ახლი ტიპის ფირმებს ძირეულად შეუძლიათ შეცვალონ სურათი სოფლადაც, სადაც 80-იან წლებში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. სოფელი ძველდება. უკაცრიელი ხდება. მარტო ადმინისტრაციული ბერკეტებით მისი წამოწევა შეუძლებელი ხდება. მაღაზიებში და ბაზარში ამის გამო შეფერხებებია. სპეცალისტების აზრით სოფლადაც ფირმების შექმნის გზით მოხდება მდგომარეობის გამოსწორება. როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების. ასევე მისი გადამუშავების სფეროში.

როგორ იმოქმედებს ფირმების შექმნა უკვე შექმნილ ერთობლივ, მათ შორის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ საწარმოებზე. თვით საბჭოთა და ბულგარელი სპეციალისტების აზრით. რომელნიც თანამშრომლობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირ-ბულგარული ერთობლივი საწარმოებიდან, პლოვდივის „ავტოელექტრონიკის“ გარდა, ჯერჯერობით ეს გაერთიანებები უფრო პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს, ვიდრე ეკონომიკური ტიპის გაერთიანებაა. არც ერთობლივი კაპიტალი, არც საწარმოო პროგრამა, არც სამუშაო ძალა მათ არ გააჩნიათ. ასე რომ აქ ნამდვილი ერთობლივი საწარმოო-კომერციული მოღვაწეობა ჯერჯერობით არ არის გაშლილი, მაგრამ გათვალისწინებულია, რომ 2 000 წლამდე საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხანგრძლივვადიანი თანამშრომლობის პროგრამის განხორციელების დროს თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანას შორის ერთობლივი საწარმოების შექმნის საქმეში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ფირმების შექმნა, ბულგარელი სპეციალისტების აზრით, გზაა ღია ეკონომიკისაკენ, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობისაკენ, უძრაობისაგან ეკონომიკის გამოყვანისაკენ. წარმოების ფირმულ ორგანიზაციაში განსაკუთრებული როლი მიე-

კუთვნება „ადამიანის ფაქტორს“. ბოლო მოეღება კადრების წინ წაწევის ადრინდელ ნომენკლატურულ მანქანას, გზა გაეხსნება ორგანიზატორულ ნიჭს, ინიციატივიან და შემოქმედებით ადამიანებს. ისე, როგორც ყველა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში, ბულგარეთშიც გარდაქმნების მოწინააღმდეგეა ბიუროკრატია, რომელიც ებღაუჭება თავის თანამდებობას, პრივილეგიებსა და შემოსავალს. წარმოების ფირმული ორგანიზაცია კი, რომლის ძირითადი პრინციპია თავისუფალი ბაზარი, თავისუფალი კონკურენცია და სრული დამოუკიდებლობა ბიუროკრატიას ვერ შეეწყობა. ფირმები ცკ-ისა, პარტიული კომიტეტებისა, სახალხო კრებებისა და მინისტრთა საბჭოს სახელითა და მათი რეკომენდაციებით კი არ შეიქმნა. ინიციატორები არიან სამეურნეო ორგანიზაციები, ბანკები, კოოპერატივები, ცალკეული მოქალაქეები.

თუ როგორი ეფექტი ექნება ეკონომიკის თვითრეგულირების სისტემას, ამას დრო გვიჩვენებს. მთავარი ისაა, რომ ბულგარეთში უკვე აქტიურად დაიწყო ბრძოლა ეკონომიკურ ცხოვრებაში უძრაობის დამკვიდრების წინააღმდეგ.

§ 9 1989 წლის ამბები ბულგარეთში

ზემოთ აღნიშნულმა ღონისძიებებმა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ვერ გამოიღო სწრაფი და მოსალოდნელი შედეგები. ქვეყანაში უარესდებოდა ეკონომიკური მდგომარეობა. მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე ამბებმა გამოძახილი ბულგარეთშიც პოვა. 1989 წლის ნოემბერი ძალზედ ბობოქარი გამოდგა ბულგარეთში. ტ. ჟივკოვი, რომელიც ხელისუფლების სათავეში შეუცვლელად იდგა 35 წლის განმავლობაში, იყო ბულგარეთის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ჯერ აიძულეს, რომ გადამდგარიყო და მადლობაც კი გამოუცხადეს „ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის“, იგი იყო ბულგარეთის სოციალისტური შრომის გმირი და ორგზის ბსრ-ის გმირი, ასევე საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი. ტ. ჟივკოვი გადაყენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაირიცხა პარტიიდან თავის შვილთან ვლადიმერ ჟივკოვთან ერთად (ვ. ჟივკოვი ცკ-ის წევრი და ცკ-ის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი იყო) ტ. ჟივკოვს მრავალი ბრალდება წაუყენეს. ეს ბრალდებებია: ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილი, ვოლიუნტარიზმი, ოჯახურობა, შეურიგებლობა კრიტიკისადმი, უმართებულო რეპრესიები, შეცდომები ეკონომიკურ რეფორმებსა და თურქი უმცირესობისადმი დამოკიდებულებაში, რომლის შედეგად ბულგარეთიდან 300 ათასი თურქი გაიქცა.

ბკპ-ის ცკ-ის პირველი მდივანი გახდა პ. მლადენოვი. ახალი ხელ-

მძღვანელობა დაადგა პარტიის განახლების გზას. ოპოზიციის დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ახალი ხელმძღვანელობის ღონისძიებებს. მაგრამ ბულგარეთის მოსახლეობის ნაწილი, სადაც კომპაქტურად დასახლებული თურქები ცხოვრობენ, არ დაეთანხმა მუსულმანების საკითხში მთავრობის გადწყვეტილებას, მრავალი ხალხმრავალი მიტინგი გამართა და გაფიცვა მოაწყო. გადაწყვიტეს ამ სიტუაციით ესარგებლათ იმ პირებს, ვინც დამნაშავე იყო ეროვნული შუღლის გაღვივებაში და შეეცადნენ ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ ახალი ხელმძღვანელობის ღონისძიებები. მაგრამ აშკარა შეტაკება თავიდან იქნა აცილებული.

ახალი ხელმძღვანელობა დიდი ენერგიით შეუდგა ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძოლას, გატარდა ღონისძიებები პარტიისა და სახელმწიფო აპარატის დემოკრატიზაციისათვის.

1990 წლის იანვრის ბოლოს და თებერვლის პირველ დღეებში ბულგარეთში მიმდინარე ბობოქარ ამბებს შორის ცენტრალური მოელენა იყო ბულგარეთის კომპარტიის რიგგარეშე XIV ყრილობა, რომელიც შედგა ქვეყნის ისტორიის გარდატეხის მომენტში, სამ თვეზე ოტა ნაკლები დროის შემდეგ თ. ჟივკოვის 35 წლიანი მმართველობის დასასრულიდან. ყრილობაზე გამოსულ ცკ-ის პირველი მდივნის პეტრე მლადენოვის მოხსენების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ „კომუნისტები არ არიან პროგრესისა და ახალი საზოგადოების ერთადერთი მატარებლები. ეს გვავალებს შემოვბრუნდეთ სოციალ-დემოკრატიული მოაზროვნეებისა და პოლიტიკოსებისაკენ, რომელთაც მდიდარი გამოცდილება აქვთ და განავითარეს მარქსიზმი XX საუკუნის მაღალმწარმოებლურ და დემოკრატიზებულ პირობებში“. ყრილობამ—დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი „როგორც პრინციპი, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე დემოკრატიულ მიზნებს, საერთო სახალხო წარმოდგენებს პარტიაზე“, შეცვალა „დემოკრატიული ერთობის“ პრინციპით. იგი დაფუძნებული იქნება აზრთა პლურალიზმზე და იდეურ მიმდინარეობაზე, მასში ჩაქსოვილია იდეა კომუნისტების პირველად ორგანიზაციებში თვითორგანიზაციასა და თვითმმართველობაზე. მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „პარტიას არ შეუძლია განსაზღვროს სახელმწიფოს, საზოგადოების და თავისი წევრების ბედი პლენუმების, კრებებისა და ყრილობების გადაწყვეტილებების საფუძველზე... ჩვენი მუშაობის ძირითად პრინციპად და სტილად უნდა გახდეს დიალოგი და დისკუსია, თანხმობის მიღწევა“. ყრილობაზე აღინიშნა იმის აუცილებლობა, რომ შემოიღონ მრავალპარტიული სისტემა, რომელიც ასახავს მრა-

ვალრიცხოვან სოციალურ, ჯგუფურ, პროფესიულ და სხვა ინტერესებს, რომ „ოპოზიციის არსებობა ბუნებრიკი და აუცილებელია", მათ შორის პარტიის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, შენარჩუნებისათვის. ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტში აშკარად არის ასახული პარტიის ხელისუფლების შენარჩუნებისადმი მისწრაფება. მასში ლაპარაკია: ბკპ—ეროვნული თანხმობის, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკის, სოციალური დაცვის, უფლებრივი წესებისა და თავისუფლებების, სულიერ სფეროში პროგრესის, მშვიდობის, ბულგარეთის ევროპულ სახლში შესვლის, დემოკრატიული ბულგარეთის შენარჩუნების და სხვა საკითხზე.

ყრილობამ ბკპ-ის ცკ შეცვალა უმაღლესი პარტიული საბჭოთი, რომელშიც 153 კაცი შევიდა. შეიქმნა უმაღლესი პარტიული საბჭოს პრეზიდიუმი 17 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი ალექსანდრე ლილოვი) მას ორი მოადგილე ჰყავდა. ალექსანდრე სტრეზოვი და გეორგი პირინსკი. პრეზიდიუმის წევრებს შორის იყვნენ—დობრი ჯუროვი, ანდრეა ლუკანოვი, პეტრე მლადენოვი და სხვები. მანიფესტით, რომლითაც მიმართა ბკპ-ამ ქვეყნის ყველა კომუნისტს და მოქალაქეს, განაცხადა, რომ გამოდის როგორც ახალი ტიპის პარტია—დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, რომელიც უარს არ ამბობს თავის ისტორიაზე, თავის მემკვიდრეობაზე. ყრილობაზე მიღებულ წესდებაში ნათქვამია, რომ პარტია თავის გადაწყვეტილებებს მიიღებს ფართო, ღია, თავისუფალი დისკუსიის საფუძველზე. პარტიაში დაშვებულია სხვადასხვა იდეური მიმართულებები, მათ შორის, გაერთიანებები.

ყრილობის დასრულებისთანავე შედგა სახალხო კრების სესია, რომელმაც ახალი მინისტრთა საბჭო აირჩია ა. ლუკანოვის მეთაურობით. მან განაცხადა: მთავრობის მთავარი ამოცანა იქნება სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავება. მშრომელთა დაცვა ამ პროგრმის განხორციელების აუცილებელი შედეგებისაგან, ფასების ზრდისაგან და ა. შ.

მაგრამ მოძრაობა ბკპ-ის წინააღმდეგ არ წყდება. ამ მოძრაობის სათავეში დგას დემოკრატიული პარტია, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს ახალგაზრდებში. ის აწყობს მასობრივ დემონსტრაციებს ლოზუნგებით—„ძირს ბკპ ". ბკპ-ამ ოპოზიციას შესთავაზა დიალოგი, მაგრამ ის ამაზე უარს ამბობს და მოითხოვს, რათა სახალხო კრების არჩევნები საერთაშორისო კონტროლის საფუძველზე ჩატარდეს. ბკპ დათანხმდა.

1990 წლის ივნისში ბულგარეთში ჩატარებულმა თავისუფალმა არჩევნებმა მნიშვნელოვნად შეცვალა წარმოდგენები იმაზე, რომ ყველა სოციალისტურ ქვეყანაში კომუნისტებისადმი ოპოზიციური

მემარჯვენე პარტიები აიღებენ მთლიან ძალაუფლებას, ხოლო კომუნისტები საბოლოოდ დამარცხდებიან. მაგალითად, ბულგარეთში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული პლენუმიდან, რომელმაც ბოლო მოუღო თ. ჟივკოვის რეჟიმს, შვიდი თვის შემდეგ, 1990 წლის ივნისში ორ ტურად (15 და 17 ივნისს) ჩატარდა პირველი, ომის შემდეგ, როგორც აქ თვლიან, ბულგარეთის დიდი კრების (პარლამენტის) თავისუფალი არჩევნები. ამ არჩევნებმა წარმატება მოუტანა „ბულგარეთის სოციალისტურ პარტიას“ (ბსპ), ყოფილ ბკპ-ს, რომელმაც 400 ადგილიდან 211 დეპუტატის ადგილი მიიღო, ოპოზიციურმა დემოკრატიული კავშირის ძალებმა (ხელმძღვანელი ჟ. ჟელევი)—144 ადგილი. „უფლებებისა და თავისუფლებისათვის მოძრაობამ“—23 ადგილი, მწვანეთმოქმედების სახალხო კავშირმა—16. ბსპ-ის ესოდენ დიდი წარმატებების მიზეზად შემდეგი მიაჩნიათ: ჟივკოვის გადაყენების შემდეგ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ახალი გენერალური მდივნის, შემდეგ კი ბულგარეთის პრეზიდენტის პეტრე მლადენოვის მიერ გამოცხადებული დაპირებები, რომ საჯაროობა და დემოკრატია სიტყვით კი არა საქმით იქნება, რომ პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყურადღების ცენტრში დადგება ადამიანი და საკანონმდებლო გზით გადაწყდება ყველა საკითხი—პიროვნების თავისუფლებისა, პლურალიზმისა და ა. შ. მმართველ პარტიას. რომ სწრაფად არ გარდაექმნა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გამგებლობა, ალბათ არჩევნების შედეგები სხვანაირი იქნებოდა. ცენტრალური აპარატის 90 პროცენტი და ადგილობრივის 60 პროცენტი შეიცვალა. რაც მთავარია, მმართველობას სათავეში მოექცნენ ახალი იდეებისა და ახალი სტილით გამგებლობის მომხრეები. ახალმა ხელმძღვანელებმა გააუქმეს ჟივკოვის მიერ გამოცხადებული თურქული მოსახლეობის ქვეყნიდან გასახლების ან ძალით გაბულგარების კურსი. უარი თქვეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ერთპარტიულ გამგებლობაზე, დაუშვეს მრავალპარტიულობა. ბკპ-მ თავის უკანასკნელ XIV ყრილობაზე (თებერვალი 1990 წ.) და შემდეგ პლენუმებზე შეიცვალა სახელწოდება და ბულგარეთის სოციალისტური პარტიის სახელწოდება მიიღო. ანდრეა ლუკანოვის მთავრობამ განახორციელა რიგი ღონისძიებანი ქვეყნის ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანისათვის—გაუქმდა შეზღუდვები წვრილ წარმოებებზე. ფასები ძირითად პროდუქტებზე გაიყინა. იმპორტი შეიზღუდა, მიღწეულია შეთანხმება საგარეო ვალის გადახდის გადავადებაზე და ა. შ. ამიტომ მიუხედავად ოპოზიციონერების მიერ წამოყენებული ლოზუნგებისა: „ბკპ—მაფიაა“, „წითლებისათვის არ ვიმუშავებთ“, „ჩვენი დრო დადგა“, „ბულგარეთის ინტერესები ყვე-

ლაზე მაღალია“ და ა. შ. გამარჯვება მაინც ყოფილ კომპარტიას ხვდა. მაგრამ არჩევნების შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს დემოკრატიულმა წრეებმა, რომელთაც მოაწყვეს გრანდიოზული გაფიცვები, გამოსვლები და სხვა სახის პოლიტიკური აქციები და აიძულეს მლადენოვი გადამდგარიყო. პ. მლადენოვის წინააღმდეგ მოწყობილი აქციები მთელი 6 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ აქციების ხელმძღვანელად და ორგანიზატორად გამოდიოდა ოპოზიციური დემოკრატიული ძალების კავშირი. პრეზიდენტის კანცელარიის ფანჯარასთან ოპოზიციამ სტუდენტთა საგაფიცვო კომიტეტების მხარდაჭერით მოაწყო შიმშილობის აქციები, მჯდომარე გაფიცვები, დემონსტრაციები. ამ გამოსვლების საბაბი გახდა შემდეგი: 1989 წლის 14 დეკემბერს, როცა პარლამენტის შენობის წინ 300 ათასიანი უმართავი ბობო იყო, რომელიც ყვიროდა: „მკვლელებო“, „ბაფია“, ხოლო პარლამენტში კანონმდებლები იხილავდნენ საკითხს კონსტიტუციიდან კომპარტიის ხელმძღვანელური როლის მუხლის ამოღების შესახებ, ალეთ ვითარებაში პ. მლადენოვს წამოცდენია ფრაზა: „უკეთესი ხომ არ იქნებოდა ტანკები გამოგვეძახებინა“. ეს სავალალო ფრაზა ვიდეოზე ჩაიწერა და ერთი თვის შემდეგ აჩვენეს წინასაარჩევნო დემოკრატიული ძალების კავშირის ვიდეოფილმში, რამაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. გრანდიოზული გაფიცვები და დემონსტრაციები მოეწყო პ. მლადენოვის გადაყენების მოთხოვნით, რასაც საბოლოოდ მისი გადადგომაც მოჰყვა. ახლად არჩეულმა პარლამენტმა მიიღო პ. მლადენოვის გადადგომა და მოაწყო პრეზიდენტის ახალი არჩევნები. რამოდენიმე ტურის შემდეგ 1990 წლის აგვისტოს დამდეგს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა დემოკრატიული ძალების კავშირის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე-(55 წლის ასაკის) ჟელიო ჟელევი. იგი ყოფილი კომუნისტია, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორია, პარტიიდან გარიცხულია, რეპრესირებულია, დგას არასოციალისტური იდეურ და პოლიტიკურ პოზიციაზე. როგორც ვიცით, პარლამენტში დეპუტატთა ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა ბულგარეთის სოციალისტური პარტიის ხელშია, პრეზიდენტი კი არასოციალისტია. ახალ პრეზიდენტს ძალზე მძიმე საშინაო ვითარებაში უხდება მოღვაწეობის დაწყება: ავადმყოფი ეკონომიკით, რთული დემოგრაფიული, ეთნიკური და ეკოლოგიური პრობლემებით. სადაც ბევრი უკვე გადაეჩვია ნამდვილ შრომას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ბურსათით მომარაგებაში. არასაკმარისია პირველი მოთხოვნის სასურსათო და სამრეწველო საქონელი, რის გამოც მთავრობამ უკვე 1990 წლის დასაწყისში შემოიღო სასურსათო ბარათები შაქარზე, საპმლის ზეთზე, ხორცზე, კარაქზე, სარეცხის ფხვნილზე, ხოლო 1

სექტემბრიდან კი ბარათები შემოიღეს სხვა ძირითად საქონელზეც, მაგრამ, თვით მთავრობის განცხადებით, ვერც ეს ღონისძიებები გამოასწორებენ მდგომარეობას, რადგან ხშირად არასაკმარისია საქონლის ფონდი, ხოლო გამოყოფილი ფონდების დიდი ნაწილი (80%) ვერ ხვდება მაღაზიების თაროებზე და გადამყიდველების ხელშია ჩავარდნილი. ეკონომიკურ სიძნელეებს მოჰყვა უკმაყოფილების ზრდა ქვეყანაში, რომლის შედეგია პოლიტიკური ვითარების გამწვავება. შექმნილი ვითარების მთავარ დამნაშავედ ხალხი, არც თუ უსაფუძვლოდ, კომუნისტებს მიიჩნევს. ამიტომ ანტიკომუნისტური გამოსვლები ბულგარეთში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომელიც ხშირად ოპოზიციის წაქეზებით ექსტრემისტულ გამოსვლებში გადადის. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლა იყო, მაგალითად, 1990 წლის 26 აგვისტოს, როდესაც სოფიაში ექსტრემისტულად განწყობილი ახალგაზრდები, ძირითადად სტუდენტები, თავს დაესხნენ სოციალისტური პარტიის შენობას დედაქალაქში, დაარბიეს და ცეცხლი წაუკიდეს მას.

1990 წლის სექტემბერში ხელისუფლებას, უკვე მეორედ, 1989 წლის 10 ნოემბრიდან, როდესაც ტ. ჟივკოვი ჩამოაშორეს ქვეყნის გამგებლობას, სათავეში ჩაუდგა ერთპარტიული მთავრობა ბულგარეთის სოციალისტური პარტიიდან ანდრეი ლუკანოვის მეთაურობით, 21 სექტემბერს პარლამენტში ჩატარებული კენჭისყრის დროს ა. ლუკანოვს მეორე კაბინეტს მხარი დაუჭირა 234 დეპუტატმა, 104 კი წინააღმდეგი გამოვიდა. ალტერნატიული კანდიდატურა არ წამოუყენებიათ. მთავრობაში შეყვანილია ახალი კადრები. პრეზიდენტმა ჟ. ჟელევმა ა. ლუკანოვს მთავრობის შედგენა დაავალა 1990 წლის აგვისტოს ბოლოს და ვარაუდობდენ, რომ კოალიციური მთავრობა შეიქმნებოდა, მაგრამ დემოკრატიული ძალების კავშირმა და მიწათმოქმედების სახალხო კავშირმა უარი თქვეს მთავრობაში შესვლაზე და გაანაცხადეს, რომ მათ არ უნდათ გაიზიარონ კომუნისტების მიერ ქვეყანაში შექმნილი კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებებზე პასუხისმგებლობა. მაგრამ, ა. ლუკანოვმა განაცხადა, რომ ოპოზიციასთან ბილწეულობა შეთანხმება, მთავრობის ღონისძიებების შესაბამ ქვეყნის მძიმე კრიზისიდან გამოყვანის თაობაზე. მთავრობას გათვალისწინებული აქვს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: ცენტრალური აპარატის შემდგომი შემცირება, ბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით მართვის სრული ლიკვიდაცია, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების თანმიმდევრული დემოკრატიზაცია. მთავრობის ღონისძიებებში გათვალისწინებულია სახელმწიფო და სახალხო კონტროლის გაუქმება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაცია და კორუპციის, სპეკულაციისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის თანმიმდევრობით განხორციელება.

ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა

ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები იურიდიულად დაკანონებული იყო კონსტიტუციით, რომლის მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ „ბულგარეთის სახელმწიფო ემსახურება ხალხს, აწესრიგებს ეროვნული დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, ავითარებს მეგობრობას, თანამშრომლობას და ურთიერთდახმარებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ახორციელებს ურთიერთგაგების პოლიტიკას ყველა ქვეყანას და ხალხთან“.

ბულგარეთი ახორციელებდა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური და პოლიტიკური აქციების მუდმივ კოორდინაციას. გარდა ამისა, ბულგარეთის საგარეო პოლიტიკაში იმ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოციალისტურ ქვეყნებთან დადებულ ორმხრივ პოლიტიკურ ხელშეკრულებებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ასეთი ხელშეკრულებების ვადის გასვლის შემდეგ ხდებოდა მათი განახლება. მაგალითად, 60-70-იან წლებში ბულგარეთმა თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან განაახლა ორმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ბულგარეთის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა მეზობელ ქვეყნებთან და, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობა და თანამშრომლობა, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ჩარჩოებში.

1974 წელს დამთავრდა გაზსადენის—სსრკ-ბულგარეთის მშენებლობა, რომლითაც სსრ კავშირი 1975 წლიდან ყოველწლიურად ბულგარეთს აწვდის 3 მილიარდ კუბომეტრ ბუნებრივ გაზს. 1967 წლიდან მწყობრში ჩადგა ელექტროგადამცემი ხაზი ბიოჩონოვეი—კრაიოვა 220 ათასი ვოლტის ძაბვით, რომლის მეშვეობით ბულგარეთი ჩაერთო გაერთიანებულ ენერგოსისტემა „მშვიდობას“. 1972 წელს გაიხსნა ელექტროგადამცემი მოლდავეთის სსრ—ბსრ, რომლითაც ბულგარეთი ყოველწლიურად იღებს 3-4 მილიარდ კილოვატ საათ ელექტროენერგიას. სათბობი სსრ-დან შეღავათიან ფასებში მოდიოდა. 1974 წელს ბულგარეთმა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან (უსრ, გდრ, პსრ, სსრკ, ჩსსრ) ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას „ვინიცა — ალბერტერშეს (უსრ.)“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და

ექსპლოატაციაში თანამშრომლობის შესახებ. ამ ხაზის სიმძლავრე 750 ათასი ვოლტია.

ბულგარეთის ნედლეულის ბაზის გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას სსრ კავშირთან, ქდანოვის მეტალურგიული ქარხანა „აზოვსტალთან“ ფოლადის ბლოკებისა და სამსხმელო თუჯის წარმოებაში დამატებითი სიძლიერის შექმნის შესახებ. ბულგარეთი სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად მონაწილეობდა უსტ-ილიმსკის ცელულოზის კომბინატისა და კიემბაევის აზბესტ სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაში. ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ ქვეყნებთან წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებაში. სახელმწიფო მეურნეობრივი გაერთიანება „ბალკანკარის“ პროდუქციის 95% განკუთვნილია ექსპორტისათვის. 1974 წლისათვის ბულგარეთს მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა ამწე-ტრანსპორტის მანქანების წარმოებით. დიდია მიღწევები საავტომობილო მრეწველობის სპეციალიზაციასა და კოოპერირებაში. ბულგარეთი პოლონეთთან და უნგრეთთან ერთად მსუბუქი მანქანების ვოქსკის ქარხანას აწვდის 60 ლასახელების დეტალს. ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებულია შეთანხმება მძიმე სატვირთო მანქანების „შკოდას“ წარმოებაში მონაწილეობის შესახებ. 1972 წელს ბულგარეთსა და პოლონეთს შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებს 100 ათასი ტონა ტვირთმზიდი ტანკერების სერიული მშენებლობის კოოპერირებას.

1971 წელს მიღებული კომპლექსური პროგრამის საფუძველზე ბულგარეთი სპეციალიზებულია 129 ტიპისა და სახეობის (374-დან) მოწყობილობების წარმოებაში კვების მრეწველობისათვის. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციის განვითარების შემდეგ დარგებში: ავტომატური ტელეფონების, ელექტროგამომთვლელი, ქიმიური მრეწველობის და ა. შ.

ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების საერთაშორისო სამეურნეო გაერთიანებებში, რომლებიც იქმნებოდა პერსპექტიული წარმოების დარგებში. ბულგარელი მეცნიერები მონაწილეობდნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მიერ დაგეგმილ ბევრ სამეცნიერო კვლევებში და ამ მიზნით თანამეგობრობის ქვეყნებთან 38 მრავალმხრივი შეთანხმებაა დადებული მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. ბულგარელი მეცნიერები მონაწილეობდნენ ქ. დუბნის ბირთვულ გაერთიანებულ კვლევით ინსტიტუტში, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრში და ა. შ. ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში

შემავალი ქვეყნების სახალხო მეურნეობების განვითარების გეგმების კოორდინაციაში 1976—1980 წლებსა და გრძელვადიან გეგმებში 1990 წლამდე. თანამედროვე ბულგარეთის, როგორც ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნის, ექსპორტში ჭარბობს სამრეწველო საქონლის ხვედრითი წონა, ამასთანავე იგი არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმსხვილესი მიმწოდებელი. განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდება მანქანებისა და მოწყობილობების ექსპორტი. 1950 წლისათვის ბულგარეთს საერთოდ არ გაჰქონდა ასეთი სახის საქონელი. 1972 წლისათვის მანქანა-მოწყობილობების ექსპორტის ხვედრითი წონა საერთო ექსპორტში შეადგენდა 34,1%-ს, 1985 წლისათვის კი მიაღწია 53%-ს. საყურადღებოა, რომ 1973 წელს განვითარებად ქვეყნებში ბულგარეთის ექსპორტის მეხუთედ ნაწილს მანქანები და მოწყობილობები შეადგენდა. ბულგარეთის მრეწველობის ისეთ ნაკეთობებზე, როგორიცაა ელექტროკარები, საზღვაო გემები, ტრაქტორები და მრავალი სხვა, დიდი მოთხოვნილება იყო არა მარტო სოციალისტურ და განვითარებად, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

ბულგარეთი ითვლებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმსხვილეს მიმწოდებელ ქვეყნად ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. დიდი მოთხოვნილებაა ბულგარულ ხილზე, ყურძენზე, პამიდორსა და კონსერვებზე. 1990 წლისათვის ბულგარეთს 129 ქვეყანასთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა, ოთხთან კი—საკონსულო ურთიერთობა, რომელთაგან 2/3 ახლად განთავისუფლებული, ახალგაზრდა სახელმწიფოები არიან. ბულგარეთი ყოველმხრივ მხარს უჭერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ბულგარეთი მხარს უჭერს არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლას და მოითხოვს, რათა ისრაელმა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანაზე 1967 წელს მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან და პალესტინელი არაბი ხალხის უფლებებისა და ინტერესების აღდგენას.

ბულგარეთი დიდ დახმარებას უწევდა ინდოჩინეთის ხალხების სამართლიან ბრძოლას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და უსასყიდლოდ აწვდიდა მათ სურსათს და იარაღს. ბულგარეთს სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობა აქვს ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებთან და ეს ურთიერთობა მუდმივად ფართოვდება. 1988 წლისათვის ბულგარეთი თანამშრომლობდა 100-ზე მეტ განვითარებად ქვეყანასთან. ურთიერთობა ამ ქვეყნის ნახევარზე მეტთან აგებულია ხანგრძლივვადიანი ან მოკლევადიანი ორმხრივი სამთავრობო შეთანხმებების საფუძველზე, ვაჭრობასა და მეცნიერულ-ტექნიკური თა-

ნამშრომლობის შესახებ. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქონელბრუნვა ამ ქვეყნებთან 10-ჯერ გაიზარდა. ბულგარეთმა ამ ქვეყნებს (სირია, ეგვიპტე, ერაყი, ალჟირი, ტუნისი, ირანი, ინდოეთი, გვინეა, მალაია და სხვ.) მისცა კრედიტი საწარმოო მიზნებისათვის. 1988 წლისათვის ამ ქვეყნებისათვის მიცემული კრედიტი შეადგენს 1056 მილიონ დოლარს. 8 ათასზე მეტი ბულგარელი სპეციალისტი მონაწილეობდა აღნიშნული ქვეყნების ახალი მშენებლობის პროექტების შემუშავებასა დ განხორციელებაში, ეხმარებოდა მათ უკვე მწყობრში ჩამდგარი ობიექტების ათვისებაში. გარდა ამისა, ბულგარეთი მათ ეხმარება მეცნიერულ-ტექნიკური კადრების აღზრდაში. მრავალი ბულგარელი პედაგოგი, ექიმი და სხვა სპეციალისტი მუშაობს აღნიშნულ ქვეყნებში, ხოლო ბულგარეთში 1500-ზე მეტი ახალგაზრდა იღებს განათლებას ინსტიტუტებში და სამეცნიერო დაწესებულებებში აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან. განვითარებად ქვეყნებში ბულგარელი მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მუშაობენ სამრეწველო საწარმოების, გზების, წყალსაცავებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობაში.

ბულგარეთი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა იმ საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტაში, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება. ოვი მონაწილეობდა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის მომზადებასა და გატარებაში მის პირველ და მეორე ეტაპზე. მის პირველ ეტაპზე ჰელსინკში (1973 წლის ივლისში) ბსრ-ის დელეგაციამ ჰსრ-ის დელეგაციასთან ერთად განსახილველად შეიტანა დოკუმენტის პროექტი „კულტურული თანამშრომლობის, კონტაქტებისა და ინფორმაციის გაცვლის განვითარების ძირითადი მიმართულებანი“.

ბულგარეთი 1970—1980 წწ. მიჯნაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ატარებდა მშვიდობიანი თანამშრომლობის კურსს და ავითარებდა თანამშრომლობას როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ასევე საერთაშორისო ურთიერთობის დარგში. ამ ტენდენციების გამოვლენა იყო, მაგალითად, 1973 წელს ს. თოდოროვის ვიზიტი ფინეთში (აპრილში), ტ. ივიკოვისა—ავსტრიაში (ოქტომბერში), პ. მლადენოვისა — საფრანგეთში (ნოემბერში), აგრეთვე ბულგარეთში ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის რ. კირხშლეგერის (თებერვალში) ჩამოსვლა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პ. მესმერის და საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ჟობერისა (ივლისში).

ბულგარეთსა და აშშ-ს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის, ხოლო 1973 წლის 21 დეკემბერს დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა ბულგა-

რეთისა და გფრ-ს შორის. 1975 წელს ბსრ-ამ გააფართოვა ურთიერთობა ავსტრიასთან, იტალიასთან, გფრ-თან. 1978 წელს ტ. ჟივკოვის ვიზიტ-ს შედეგად იაპონიაში (მარტში) მიღწეული იქნა შეთანხმება შერეული ეკონომიკური კომისიის დაარსებაზე და ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში თანამშრომლობაზე.

1980 წლის მარტში სოფიაში შედგა შეხვედრა ბულგარეთსა და განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების საერთო ბაზრის, აშშ-ის, კანადის და იაპონიის სახელმწიფოების საქმიანი წრეებისა და ბულგარეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე.

ამავე 1980 წელს ბულგარეთში იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრები: ფინეთისა და ესპანეთისა (მარტში). ესპანეთთან ბულგარეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას კულტურულ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობის შესახებ. ამავე წლის ოქტომბერში ბულგარეთში ჩამოვიდა საბერძნეთის პრეზიდენტი.

1981 წელს ავსტრიის კანცლერის ბ. კრაისკის ვიზიტის დროს ბულგარეთში (მაისში) დაიდო შეთანხმება ხუთი წლის ვადით კომპლექსური მოწყობილობებისა და მანქანების ურთიერთმიწოდების შესახებ. ბულგარეთში ვიზიტით ჩამოვიდნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრები: ავსტრიისა (იანვარში), გფრ-ის (ივლისში), დანიისა (ოქტომბერში).

ფართოვდებოდა და ვითარდებოდა ურთიერთობა დასავლეთის სხვა ქვეყნებთანაც. 1981 წ. სოფიაში შედგა შეხვედრა (ივნისში) დასავლეთის 40 ფირმასა და ბულგარეთის სამეურნეო ორგანიზაციებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე, მათ შორის დაიდო მრავალი შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ. ასევე იაპონიასთან შეთანხმების საფუძველზე (მარტში) შეიქმნა ბულგარეთ-იაპონიის შერეული ორგანიზაცია „ატლასიკინჯერინგი", რომლის ამოცანაა კონსულტაციის შესწავლა მანქანათმშენებლობის დარგში, კომპლექსური მოწყობილობების დაპროექტება და შექმნა.

1982 წ. ბსრ-ში იმყოფებოდნენ ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (თებერვალში) და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (მაისში). ფართოვდებოდა ურთიერთობა და თანამშრომლობა იაპონიასთან. (ბსრ-ში შედგა საერთაშორისო სიმპოზიუმი აღმოსავლეთელ და დასავლეთელ პარტნიორებს შორის (ვარნაში), 1982 წლის მაისში) სამრეწველო კოოპერირების საკითხებზე.

1983—1986 წლებში ბსრ ურთიერთობას აფართოებდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ავსტრიასთან,

გფრ-თან, იაპონიასთან. რაც შეეხება აშშ-ს და იტალიას, ამ ქვეყნებთან ბსრ-ის ურთიერთობა გაუარესდა, რაზეც ერთგვარი ნეგატიური გავლენა მოახდინა დასავლეთის ქვეყნების მიერ გაჩაღებულმა ცილისმწამებლურმა კამპანიამ ბულგარელი ბოქალაქის მიმართ შეთითხნილ ე. წ. „ანტონოვის საქმესთან" დაკავშირებით. 1982 წლის ნოემბერში ანტონოვი უკანონოდ დააპატიმრეს რომში წინასწარ შეთითხნილი ბრალდებით იმაზე, რომ თითქოს იგი მონაწილეობდა რომის პაპზე პავლე II-ზე თავდასხმაში. როგორც შემდეგ საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ეს საქმე განზრახ ორგანიზებული და შეთითხნილი იყო ამერიკა-ინგლისის დაზვერვის მიერ.

„ანტონოვის საქმის" პროცესი რომში 1985 წლის მაისში დაიწყო და 1986 წლის მარტში დასრულდა ს. ანტონოვის გამართლებითა და განთავისუფლებით „დამამტკიცებელი საბუთების უკმარისობის გამო". ბსრ მიუხედავად მისდამი მტრული კამპანიისა, მაინც ავითარებდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას.

70-80-იან წლებშიც საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთს შორის ხორციელდება ფართო კავშირი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, სამხედრო და სხვა დარგებში. თითქმის ყოველწლიურად ხდებოდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე. საგარეო ვაჭრობაში სსრ კავშირს ბსრ-ან (1973—1986) წწ.) კვლავ პირველი ადგილი ეკავა (55% მისი საერთო-ლბრუნვისა სსრ კავშირზე მოდიოდა), მაგალითად, 1978 წელს შეადგინა 6141.8 მლნ მანეთი (1977 წელს კი—5153,3 მლნ მანეთი), ხოლო სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში ბულგარეთს მეოთხე ადგილი უკავია. ბსრ-ის ექსპორტმა სსრ კავშირში 1977 წელს შეადგინა 3144,4 მლნ მანეთი, იმპორტმა სსრ კავშირიდან კი 2997.4 მლნ. მანეთი.

1975 წელს სსრ კავშირმა და ბულგარეთმა ხელი მოაწერეს რიგ მნიშვნელოვან შეთანხმებებს, რომელთა შორის აღსანიშნავია სსრ კავშირის მიერ ბულგარეთისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის შეთანხმება 1976—1980 წლებში სამრეწველო საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე, ატომური ელექტროსადგურებისათვის მოწყობილობების მიწოდებაზე და ბულგარეთისათვის დახმარების გაწევაზე დუნაისპირა დაბლობში სარწყავი არხების მშენებლობაზე. აგრეთვე დაიდო შეთანხმება რიგი სამრეწველო დარგების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ. ორი ქვეყნის ყოველმხრივი ინტეგრაციისა და ეკონომიკის დაახლოების მიზნით ხელმოწერილია შესაბამისი დოკუმენტები, კერძოდ, ხელმოწერილია შეთანხმებაზე სსრ კავშირსა და ბსრ-ის შორის 1976—1980 წწ. სამეურნეო გეგმების კოორდინაციის შე-

1985 წლის ოქტომბერში სოფიაში შედგა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა, ხოლო ნოემბერში კი ასეთივე სხდომამ დელეგაციებთან ერთად ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაციას რ. რეიგანთან შეხვედრის შესახებ. 1986 წელს მ. ს. გორბაჩოვი ვიზიტით იყო ბსრ-ში (ოქტომბერში). ამ ვიზიტის დროს ძირითადი საკითხი მოლაპარაკებისა იყო სსრ კავშირ-ბსრ-ს შორის ურთიერთობის შემდგომი გაფართოება და განვითარება. კერძოდ, ყურადღება გამანვილდა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის დაჩქარებაზე, თითოეული მათი ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობისა და შიდა რესურსების მაქსიმალურ და შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების უპირატესობის გამოყენებაზე, აგრეთვე შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე და ამ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირის შემდგომი გაღრმავების სტრატეგიის დამუშავებაზე. იმავე წელს მოსკოვში ორივე მხარემ ხელი მოაწერა სსრ კავშირსა და ბსრ-ას შორის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ხანგრძლივვადიან პროგრამას 2000 წლამდე პერიოდისათვის. სოფიაში დადებული ერთობლივი სამთავრობოთაშორისო შეთანხმების პროგრამის რეალიზაციის მიზნით დაარსდა ორი ერთობლივი სსრკ-ბსრ მეცნიერულ-საწარმოო გაერთიანება ჩარხმშენებლობის დარგში, რაც უდავოდ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია პირდაპირი საწარმოო კავშირის დამყარების საქმეში ამ ორ ქვეყანას შორის. გაიშალა ორმხრივი—ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა დარგობრივი პროგრამის განხორციელებისათვის. ბსრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პ. მლადენოვის ვიზიტის დროს მოსკოვში (დეკემბერში) ორივე მხარემ ხელი მოაწერა 1986—1990 წწ. კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გეგმას, აგრეთვე 1986—1990 წწ. სახელმწიფო გეგმების კოორდინაციის შეთანხმებას.

1986 წლის ივნისში ბულგარეთის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირში. თათბირმა შეიმუშავა წინადადება ორივე დაჯგუფების ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების 25%-ით შემცირების შესახებ ლამანშიდან ურალამდე. 70—80-იან წლებში ისევ დიდი ყურადღება ეთმობოდა ბალკანეთის ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას. ბსრ თანამიმდევრულად მოითხოვდა ბალკანეთის უბირთვო ზონად გამოცხადებას. ბულგარეთის და რუმინეთის მთავრობებმა მიმართეს ბალკანეთის ქვეყნების სახელმწიფოებს და

სახებ, რომლის შესაბამისად ხუთწლედში საქონლის ბრუნვა ორ ქვეყანას შორის გაიზარდა 1,7-ჯერ წინა ხუთწლედთან (1971—1975 წწ.) შედარებით და შეადგინა 24,1 მლრდ მანეთი.

1978 წლის აპრილში ბულგარეთმა და სსრ კავშირმა სოფიაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორი ნავსადგურის—ილიიჩევსკსა (სსრ კავშირი) და ვარნას (ბსრ) შორის ბორნით გადაყვანის ერთობლივი ექსპლოატაციის შესახებ, ხოლო ნოემბერში შედგა მისი გახსნა, რამაც კარგი პირობები შექმნა ორივე ქვეყანას შორის საქონლის გადატანისათვის. 1978 წლის ბოლოს დამთავრდა გაზსადენ „კავშირის“ (ორენბურგის—სსრ კავშირის დასავლეთ საზღვარზე), აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზის ვინიცა-ალბერტირშას გაყვანა, რომელთა შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა ბულგარეთიც. ამ ხაზების მშენებლობის დამთავრებით გაიზარდა გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდება სსრ კავშირიდან ბსრ-ში.

1980 წლის იანვარში პ. მლადენოვის მოსკოვში ჩამოსვლის დროს დაიდო შეთანხმება ორ ქვეყანას შორის 1990 წლამდე სპეციალიზაციისა და კოოპერირების გენერალური სქემის ცხოვრებაში განხორციელების შესახებ. ხელი მოაწერეს 36 დარგობრივ პროგრამას სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ.

1982 წელს შემდგარ საბჭოთა და ბულგარელ ხელმძღვანელთა შეხვედრების დროს იხილებოდა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ამ შეხვედრების შედეგად დაისახა ახალი მიმართულებები ორი ქვეყნის დასაახლოებლად ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში; შეიქმნა წანამძღვრები ბსრ-ს და სსრ კავშირს შორის კოოპერატიული კავშირის შემდგომი განვითარებისა და სამინისტროებს, საწარმოებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარების განვითარებისათვის.

ბულგარეთი ახორციელებდა მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცების კურსს სხვა ქვეყნებთანაც, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა ბულგარეთის ხელმძღვანელების ოფიციალური საქმიანი ვიზიტებით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში.

1985 წ. აპრილში ბკპ-ის დელეგაცია მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრთა პარტიებისა და სახელმწიფო ხელმძღვანელების შეხვედრაზე ვარშავაში, სადაც ხელი მოაწერეს ოქმს ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის ვადის გაგრძელებაზე, რომლის ხელშეკრულებას, დადებულს 1955 წლის 14 მაისს ვარშავაში, ვადა გაუვიდა.

მთავრობის მეთაურებს განცხადებით, რომელშიც მოუწოდებდნენ, რათა ბალკანეთი გადაექციათ ქიმიური იარაღისაგან თავისუფალ ზონად.

დღევანდელი ბულგარეთი თავისი მშრომელი ხალხის მეცადინეობითა და სულიერი შესაძლებლობების წყალობით გადაქცეულია სამრეწველო და თანამედროვე სოფლის მეურნეობის მოწინავე ქვეყნად, რომელსაც აქვს განვითარებული კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სახე. ქვეყანა ვითარდებოდა მაღალი ტემპებით; შეიქმნა სრულიად ახალი დარგები მრეწველობაში, რომელიც უცნობი იყო ომამდელი ბულგარეთისათვის. მაგრამ ბულგარეთმა ვერ აიცილა თავიდან დეფორმაცია და უხეში დამახინჯებანი, მკვეთრი კოლიზიები მეცნიერული სოციალიზმის სინამდვილესა და იდეალებს შორის. ტექნოლოგიის დონით წამყვან დარგებში, თვით ბულგარელი სპეციალისტების აღიარებით, ქვეყანა 10—15 წლით ჩამორჩება განვითარებულ სახელმწიფოებს. ბულგარეთის ელექტრო და მოტოკარები, დაზგები, ავტოსაბურავები და ექსპორტის სხვა საქონელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო ნიმუშებს. საქმე იმაშია, რომ ბულგარეთში, ისე როგორც სსრკ-ში, ძალზედ დიდხანს იყო გაბატონებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული „ზემოდან“ მბრძანებლობის მეთოდები ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში. ამრიგად, ხალხი კი არაა ამ ჩამორჩენილობის მიზეზი (ბულგარეთში ბევრი მოიძებნება ნიჭიერი და განთლებული სპეციალისტი ან და წარმოების საშუალებები, ამ ქვეყანაში საკმარისია ტექნიკა, რომელიც არ ჩამორჩება უცხოურს), არამედ უკვე თანდათან მოძველებული საწარმოო ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დღეისათვის ვეღარ ამართლებს.

ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზად რჩება მისწრაფებები, იმისა, რომ ხელი შეუწყოს ახალი პოლიტიკური აზროვნების გამარჯვებას. ვენის თათბირის გადაწყვეტილების შესაბამისად, ბულგარეთში მიღებულია ახალი კანონები, რომელთაც ფართოდ გახსნეს საზღვრები უცხოეთში წასვლის მსურველთათვის. 1989 წლის ივნის-აგვისტოში ამ ახალი კანონებით ისარგებლა 300 ათასმა ბულგარული წარმოშობის მაჰმადიანმა, რომელთაც ეს სარწმუნოება ძალით მიაღებინეს. თურქებმა ამ ქვეყანაში ბატონობის დროს, ისინი გადავიდნენ თურქეთში დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად. ახლა უკვე ცნობილი გახდა, რომ ბულგარელი მაჰმადიანების თურქეთში განდევნის ორგანიზატორი იყო ტ. ჟივკოვი. ბულგარეთში მცხოვრებ მუსულმანთა ეთნიკური ჯგუფების გამო ურთიერთობა ბულგარეთსა და თურქეთს შორის ძალზედ დაიძაბა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა პირდაპირ მოუწოდა თა-

ვის მთავრობას დაეძრათ თავისი ჯარები ᲡᲝᲤᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ. მაგრამ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა არა ორაზროვნად აკრძალნინეს თურქეთს, რომ ბულგარეთი მარტო არ იქნებოდა. ასეთმა პოზიციამ დააცხრო თურქეთის მხედრიონის მუქარა.

IV თ ა ვ ი

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ 1949-1989 ᲬᲬ.

§ 10 ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲬᲧᲝᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

გერმანიაში ძალზე მძიმე ვითარება შეიქმნა ომის დამთავრებისას. ნაციზმმა გერმანელი ხალხი ძალზედ შორს გადაისროლა უკან. მან დატოვა ნანგრევები, სულიერი გაპარტახება და მორალური გახრწნილობა, გერმანია მანამდეც დამარცხებულა, მაგრამ ასეთი მთლიანი და გამანადგურებელი დარტყმა არასდროს არ მიუღია. ფაშიზმის განადგურება გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის მარტო ერთ-ერთი ფორმის კრახს კი არ ნიშნავდა. ფაშიზმის განადგურება ნიშნავდა გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ კრახსაც. ეს კანონზომიერი მოვლენა იყო, ვინაიდან გერმანიის ფაშიზმი მიზნად ისახავდა მსოფლიოს ხალხებს დამონებასა და ფიზიკურ განადგურებას. ეს არარეალური ამოცანა იყო და საამისო სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი გერმანიის ფაშიზმს არ გააჩნდა. ამიტომ იგი თავიდანვე განწირული იყო დასაღუპად და დაღუპა კიდეც.

გერმანიის ფაშიზმის კრახმა მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო.

გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ცდა, რომ ჰიტლერის თვითმკვლელობის წინ მის მიერ დანიშნული მემკვიდრის გროს-ადმირალ კ. დენიცის მიერ ქალაქ ფლენსბურგში[1] შექმნილი „მთავრობა“ გამოეყენებინა ომის შემდგომ გერმანიაში თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად, კრახით დამთავრდა. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ქვეყნის გაბატონებული კლასები მთლიანად განიარაღებული აღმოჩნდნენ. მათ განკარგულებაში აღარ იყო სახელმწიფო აპარატი, არმია, პოლიცია, პრესა, რომლებმაც შეწყვიტეს არსებობა. ძალზე

[1] ფლენსბურგი დანიის საზღვართანაა.

შერყეული იყო გერმანიის ბურჟუაზიის პოზიციები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მოგვიანებით ჩატარებული აღწერით დადგინდა, რომ ომის დროს წარმოებული დაბომბვების შედეგად დაზიანდა ქვეყნის ინდუსტრიალური პოტენციალის მხოლოდ 15%. სამრეწველო წარმოება ომამდელ დონეზე მაღალი იყო, მაგრამ ნედლეულისა და ენერგიის უქონლობის გამო მთელი სამრეწველო ცხოვრება შეწყდა. ქვანახშირის უქონლობისა და უწყლობის გამო პარალიზებული იყო აგრეთვე სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა. მკვეთრად დაეცა მარკის კურსი. შავ ბაზარზე ურთიერთ გაცვლის, ან ყიდვის ერთეულად გადაიქცა სიგარეტები, ვისკი, პენიცილინის ამპულები, ან ამერიკული დოლარი.

ამრიგად, ომის დამთავრებისას გერმანიაში გაბატონდა სამეურნეო ქაოსი. სამეურნეო ნგრევამ გამოიწვია უმუშევრობა, უსახლკარობა, შიში და შიმშილი. გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში შენობების 50% დანგრეული იყო, არ მოქმედებდა წყალსადენი, გაზის საწარმოები და ელექტროსადგურები, შეწყვეტილი ან არასაკმარისი იყო ქალაქების მომარაგება სურსათ-სანოვაგით. 1936 წლის დონესთან შედარებით გერმანიის ეროვნული სიმდიდრე 1/3-ით, სამუშაო ძალა კი 15-20%-ით შემცირდა.

გერმანიის ბურჟუაზიის ეკონომიკური პოზიციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ძალზე შერყეული იყო და მას თავისი საკუთარი ძალებით არ შეეძლო დამოუკიდებელი მოქმედება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გერმანიის ბურჟუაზია, როგორც კლასი განადგურდა, ან მისი ეკონომიკური სიძლიერე მოისპო.

გერმანელი ხალხის ფართო ფენები მორალურ-პოლიტიკური, ღრმა ფსიქოლოგიური დეპრესიის და გაცბუნების მდგომარეობაში. ხოლო ბურჟუაზიის არამონოპოლისტური და მოსახლეობის საშუალო ფენები სრულიად დემორალიზებული იყვნენ. ჰიტლერელებმა შეძლეს ხალხის დარწმუნება იმაში, რომ მათი პარტიის იდეები გერმანელი ერის მიზნებს ემსახურებოდა და ამიტომ ფაშიზმის კრახი მათ „ერის იდეოლოგიის“ კრახად, ხოლო ფაშისტური რაიხის განადგურება „გერმანიის დასასრულად“ მიიჩნიეს. ბევრი მათგანისათვის დამახასიათებული იყო შინაგანი გაპარტახება, გაღიზიანებული სიძულვილი პოლიტიკისადმი და დიდი შიში მომავლისადმი. ბევრი მათგანი წლების განმავლობაში ფაშისტური პროპაგანდის მომშხამავი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური აგიტაციის შედეგად სიძულვილით იყო განწყობილი საბჭოთა კავშირისა და კომუნისტებისადმი საერთოდ.

მილიტარიზაციისა და რასიზმის შხამით მოწამლული იყო მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ამას ისიც დაერთო, რომ ომის დროს

მუშათა რიგებში მოხდა მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები, მთავარი პროლეტარული ბირთვი შემცირდა.

ფაშიზმის კრახისა და გერმანიის ოკუპაციის შემდეგ ხალხი მალე დარწმუნდა, რომ არავინ არ აპირებდა გერმანელების ფიზიკურად მოსპობას.

1945 წლის 5 ივნისს ბერლინში მარშალმა გ. ჟუკოვმა, გენერალმა დ. ეიზენჰაუერმა, ფერდმარშალმა ბ. მონტგომერიმ და გენერალმა დელარტ დე ტასინიმ ხელი მოაწერეს გერმანიის დამარცხების დეკლარაციას და ოთხივე სახელმწიფოს მიერ გერმანიაში უმაღლესი ხელისუფლების ხელში აღების შეთანხმებას.

კაპიტულაციის აქტისა და გერმანიის დამარცხების დეკლარაციის საფუძველზე გერმანიის მმართველობა საოკუპაციო ხელისუფლების ხელში გადადიოდა.

გერმანიის დაყოფა ზონებად და მოკავშირეების გადაწყვეტილება გერმანიის შესახებ

გერმანია დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად—საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შევიდა აღმოსავლეთ გერმანია—მეკლენბურგი, საქსონია, ტიურინგია-საქსონიის პროვინცია და ბრანდენბურგი. ეს უკანასკნელი 1947 წელს გადაკეთდა საქსონია-ანგალტის მიწებად. ზონის მთავარი ქალაქი ბერლინი[1].

ამერიკის ზონაში შევიდა გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; ჰესენი, ბავარია, ვიურტენბერგი-ბადენი და ბრემენი. ზონის მთავარი ქალაქი მაინის ფრანკფურტი.

ინგლისის ზონაში შევიდა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი; შლეზვიგ-ჰოლშტეინი, ქვედა საქსონია, ჩრდილოეთ რაინი-ვესტფალია და ჰამბურგი. მთავარი ქალაქი ჰამბურგი. საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში შევიდა: რაინლანდ-ფვალცი, ბადენი, ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლერნი. ზონის მთავარი ქალაქი—მაინცი. ბერლინიც დაყოფილი იქნა ოთხ საოკუპაციო ზონად. აღმოსავლეთ ბერლინი შევიდა საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონაში, ხოლო დასავლეთ ბერლინი კი აშშ-ს, ინგლისის და საფრანგეთისაში. დასავლეთის სახელმწიფოს ზონებში შევიდნენ გერმანიის მრეწველობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებული რაიონები. აქ წარმოებდა მთელი ომამდელი გერმანიის ქვანახშირის ამოღების 82%, მანქანათმშენებლობის 58%, მეტალურგიის

---

[1] აღმოსავლეთ გერმანიის საოკუპაციო ზონის ტერიტორია აღმოსავლეთ ბერლინთან ერთად შეადგენდა—108,2 ათას კვ. კმ. მოსახლეობა—17.3 მლნ კაცს. 1987 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გდრ-ში ცხოვრობდა—16,661 ათასი კაცი, აღმოსავლეთ ბერლინში—1261 ათასი კაცი.

90%. 1945 წლისათვის დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა 43,4 მლნ კაცი.

ყირიმის და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებების საფუძველზე ომის შემდგომ გერმანიაში უნდა აღმოფხვრილიყო ნაციზმი, ფაშიზმი, შოვინიზმი, მილიტარიზმი და შექმნილიყო პირობები, რომ გერმანიას აღარასოდეს დაერღვია მშვიდობა. ამ მიზნით უნდა გატარებულიყო ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, უზრუნველყოფილიყო გერმანიის გაერთიანება მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით. აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიის ნაწილი, ქალაქ კენინგსბერგითურთ, რომელსაც გერმანია ყოველთვის აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში აგრესიის ბაზად იყენებდა, გადაეცა საბჭოთა კავშირს. გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილის საზღვარი პოლონეთთან მდინარეებზე ოდერსა და ნოისზე დაწესდა. პოლონეთს უბრუნდებოდა სილეზია, პომერანიისა და აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი ქალაქ დანციგით (გდანსკი). ეს საზღვრები მომავალ საზავო კონფერენციას უნდა დაემტკიცებინა. საყურადღებოა აქვე აღინიშნოს, რომ პოლონეთისათვის დაბრუნებული მიწებიდან გერმანელი მოსახლეობა უნდა გასახლებულიყო[1].

უმაღლესი ხელისუფლება ყოველ ზონაში უნდა განხორციელებულიყო ოთხი სახელმწიფოს მთავარსარდლობის მიერ. ზონების მთავარსარდლები ადგენდნენ საკონტროლო საბჭოს, რომელსაც ცხოვრებაში უნდა გაეტარებინა ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებანი. საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებისათვის დაწესდა ერთხმივობის პრინციპი. მის ადგილსამყოფელად მიჩნეული იქნა ბერლინის საბჭოთა საოკუპაცო ზონა. საბჭოთა ზონის მთავარსარდლად დაინიშნა მარშალი გ. ჟუკოვი. შეიქმნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო რომელსაც აღნიშნული კონფერენციების გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა შეემუშავებინა სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასთან.

იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებები. გფრ-ის შექმნა

იალტისა და პოტსდამის გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა შეაჩერეს დასავლეთ გერმანიაში დემილიტრიზაციის პროცესი და დაადგნენ გერმანიის გათიშვის გზას.

---

[1] პოლონეთისათვის დაბრუნებული მიწებიდან გაიქცა, ან გასახლებულ იქნა 5 მილიონამდე გერმანელი.

ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც რომ საბჭოთა ჯარებისა და შეიარაღების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე.

გერმანიის გათიშვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ინგლისის და აშშ-ის საოკუპაციო ზონების გაერთიანება 1946 წლის დეკემბერში და ე. წ. ბიზონიის შექმნა თავის ეკონომიკური და ადმინისტრაციული ორგანოებით. 1949 წლის ივლისში დასავლეთ გერმანიაში გატარდა ფულის სეპარატული რეფორმა. იმავე წლის ზაფხულში „ბიზონიას" შეუერთდა საფრანგეთის საოკუპაციო ზონა. ხოლო სექტემბერში შეიქმნა ე. წ. „საპარლამენტო საბჭო", რომელსაც დაევალა კონსტიტუციის შემუშავება დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოსათვის. გფრ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მიღება 1949 წლის მაისში, ბუნდესტაგის (პარლამენტის) არჩევნების ჩატარება 1949 წლის აგვისტოში და დასავლეთ გერმანიის მთავრობის შექმნა 1949 წლის სექტემბერში ნიშნავდა დასავლეთის სახელმწიფოების სამ საოკუპაციო ზონაში გფრ-ის სახელმწიფოს შექმნას, რამაც დაამთავრა გერმანიის გათიშვა ორ ნაწილად დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიად. გფრ-ის შექმნა მთლიანად პასუხობდა, რაოდენ ღასავლეთის სახელმწიფოების წრეების ინტერესებს, რომლებიც ფიქრობდნენ დასავლეთ გერმანიის გამოყენებას თავისი აგრესიული მიზნებისათვის, ასევე დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებისა და რევანშისტების ინტერესებს.

დემოკრატიული გარდაქმნები აღმოსავლეთ გერმანიაში და ანტიფაშისტური დემოკრატიული ფრონტის შექმნა

საბჭოთა საოკუპაციო ზონის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ნორმალიზაცია. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მიღებულ იქნა ზომები მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით რეგულარულად მომარაგების უზრუნველყოფისა და ქალაქის განადგურებული მეურნეობის აღდგენისათვის. საბჭოთა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დახმარებით აღსდგა ელექტროსადგურები, კანალიზაცია, წყალსადენი, ქალაქის ტრანსპორტი, სასურსათო მაღაზიები, მომსახურების სფერო და კულტურული დაწესებულებები. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზების მიზანთ გამოსცა განკარგულება, რომლითაც ანტიფაშისტური პარტიებს და ორგანიზაციებს თავისუფალი მოღვაწეობის უფლება მიეცათ. საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოები გერმანიაში.

მიზნად ისახავდნენ, ქვეყნის გამგებლობაში აღარ დაეშვათ ფაშისტური ძალები.

1945 წლის 11 ივნისს გერმანიის კომპარტიის ცკ-მა, რომელმაც გადაწყვიტა გაძლიერებულიყო ომის ჯარების ყოფნის გაძლ ქვეყანაში შექმნილი ხელსაყრელი ვითარება თავისი გავლენის გასაძლიერებლად გამოაქვეყნა ოწოდება. იგი გეორგანელ ხალხს ძოუწოდებდა 1848 წლის რევოლუციის ბიეო დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების დამთავრებას, პოტსდამის გადაწყვეტილებების საფუძველზე ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას და გეორგანიის დემოკრატიული პარლამენტური რესპუბლიკის შექმნას. მოწოდება ძირითადად ძუშათა კლასს ორის ერთიანობა დამყარებულიყო და ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ფრონტი შექმნილიყო, რომელიც უნდა გამხდარიყო განახლებული დემოკრატიული გერმანიის მამოძრავებელი ძალა. ამ დროისათვის, გერმანიის კომუნისტებს უშუალოდ ანტიფაშისტური წყობილების დამყარებისაკენ ჰქონდათ აღებული გეზი, რომელიც მათი პროგრამის ძირეულად უნდა გამხდარიყო აუცილებელი გარდამავალი ეტაპი სოციალისტური წყობილებისაკენ. ამავე დროს კომუნისტური პარტიის მოწოდება პარლამენტურ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექნაზე არ ნიშნავდა ძველი, ვაიმარის ტიპის რესპუბლიკისაკენ დაბრუნებას, ოდენ უნდა დამყარებულიყო კომუნისტური პარტიის დიქტატურა, რომელიც გაიყოლიებდა მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას. კომუნისტური მოწოდება ანტიფაშისტური, დემოკრატიული გარდაქმნების პირველი ეტაპის მთავარ ამოცანად შემდეგ ღონისძიებებს სახავდა: ნაცისმის ძალიანი აღმოფხვრა, დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, სამხედრო დამნაშავეებისა და მსხვილი ნაცისტების ქონების კონფისკაცია, აგრარული რეფორმის გატარება მსხვილ მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის საფუძველზე, მონოპოლიების ლიკვიდაცია, მუშათა კონტროლის დამყარება წარმოებაზე და ა. შ.

ამრიგად, მოწოდება მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობისა და მონოპოლიების ლიკვიდაციას მოითხოვდა. ამასთანავე, იგი იძლეოდა დაპირებას, რომ კულაკური მეურნეობა და კერძო წარმოება ხელუხლებელი დარჩებოდა.

ბერლინში ძალი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დროებითი ხელმძღვანელობა ხელში აიღო მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სათავეში იდგნენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები ოტო გროტეოლი, მაქს ფეჰნერი, ჰელმუტ ლემანი და სხვები, რომლებიც გამოვიდნენ კომუნისტებთან ერთიანი მოქმედებისა და ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების მომხრედ.

15 ივნისს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკ-მა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს კომუნისტური პარტიის მოწოდებას და მზად არის, იბრძოლოს გერმანიის განახლებისათვის მუშათა კლასის ორგანიზებული ერთიანობის საფუძველზე

19 ივნისს ბერლინში კომუნისტური პარტიის მოწოდების პროგრამული მოთხოვნების საფუძველზე შეიქმნა ორივე მუშათა პარტიის ერთიანი მოქმედების ორგანო—ცკ, სადაც წარმომადგენლობა ორივე პარტიის პარიტეტულ უფლებებზე იყო აგებული. მუშათა ორივე პარტიამ განაცხადა თავისი გადაწყვეტილება ერთიანი ანტიფაშისტური ბლოკის ჩარჩოებში სხვა დემოკრატიულ პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ. 1945 წლის ივნის-ივლისში ბერლინში ორი ბურჟუაზიული პარტია შეიქმნა: ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. ორივე ამ პარტიის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ბურჟუაზიულმა ჯგუფებმა. მათში შედიოდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებიც, მემარჯვენე პროფკავშირების ლიდერები და კონსერვატორული შეხედულებების წარმომადგენლები. მაგრამ, მემარჯვენეების საქმიანობა ამ ორივე პარტიაში თავიდანვე აღიკვეთა.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი თავის გამოქვეყნებულ მანიფესტში მხარს უჭერდა აგრარული რეფორმის, ნაციონალიზაციის და გეგმიური ეკონომიკის განხორციელების მოთხოვნებს.

გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია მეწარმეთა კავშირის დატოვების მომხრედ გამოდიოდა. რაც შეეხება მსხვილ მემამულეთა მიწამფლობელობასა და მონოპოლიებს, მათზე მხოლოდ „საზოგადოებრივი კონტროლის“ დამყარების მომხრე იყო. საყურადღებოა, რომ ბერლინში შექმნილი ყველა პარტია თავის თავს სრულიად გერმანიის პარტიებად თვლიდნენ, მაგრამ გარდა კომუნისტური პარტიისა ისინი არ იქნენ ცნობილი დასავლეთ გერმანიის შესაბამისი პარტიების პოლიტიკური მოღვაწეების მიერ და მათი რწმუნებები მხოლოდ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში გავრცელდა.

1945 წლის 14 ივლისს ბერლინში შეიქმნა ოთხი პოლიტიკური პარტიის ბლოკი ერთიანი მოქმედების კოორდინაციისა და ერთიანი პოლიტიკის გატარების მიზნით. ამ ბლოკის მიერ შექმნილ ერთიან კომიტეტში, სადაც ერთხმივობის პრინციპი შემოიღეს, შევიდნენ შემდეგი პარტიები: გერმანიის კომუნისტური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი და ლიბე-

რალურ-დემოკრატიული პარტია. ეს ბლოკი წარმოადგენდა მუშათა კლასის კავშირს მმრომელთა საშუალო ფენებთან, საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიულ ელემენტებთან. მუშათა ორივე პარტიის თანამშრომლობამ უზრუნველყო ამ ბლოკში კომუნისტების ხამყვანი როლი. ეს ბლოკი გადაიქცა მარქსისტული ძალების საფუძვლად დემოკრატიული გერმანიის შექმნის საქმეში. ამრიგად, აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა სახალხო ანტიფაშისტური ბლოკი, რომლის სათავეში გერმანელი კომუნისტები მოექცნენ.

დემოკრატიული გარდაქმნების გატარება

ქვეყანაში წესრიგის დაცვისათვის მუშებისაგან შეიქმნა პოლიციის ნაწილები. ანტიფაშისტურ ბლოკში შემავალი პარტიის წარმომადგენლებისა და უპარტიოებისაგან ყველგან იქმნებოდა თვითმმართველობის ორგანოები, პროვინციული და საოლქო მმართველობა. თვითმმართველობის ორგანოები თავისი ხასიათით ადგილობრივი დიქტატურა იყო კომუნისტების ხელმძღვანელობით. 1945 წლის ივლისში კოალიციური პარტიების წინადადებით საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გერმანიაში საბჭოთა ზონის ხუთ ოლქში, საქსონიაში, ტიურინგიაში, საქსონია-ანგალტში, ბრანდენბურგსა და მეკლენბურგში დაამტკიცა პრეზიდენტებისა და ვიცე-პრეზიდენტების ადმინისტრაცია. ხუთიდან სამი პრეზიდენტი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან იყო, 1 ლიბერალური დემოკრატიული პარტიიდან, 1 კი უპარტიო იყო. ხუთი პრეზიდენტის გარდა 18 ვიცე-პრეზიდენტი იყო, რომელთაგან 6 კომუნისტი, 4 სოციალ-დემოკრატი, 5 ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელი და 1 უპარტიო იყო. თავის მოღვაწეობაში თანამდებობების პირები ეყრდნობოდნენ ანტიფაშისტურ ბლოკს.

1945 წლის ოქტომბერში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს განკარგულებების გამოცემის უფლება მისცა. მნიშვნელოვანი იყო მუშათა კონტროლის შემოღება ს.-წ.-რმოებზე და მუშათა მონაწილეობა წარმოების მართვაში.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გერმანიაში განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ძველი ბანკები დახურა და მათ ნაცვლად გახსნა ახალი ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გამოცემულ 1945 წლის ოქტომბრის ბრძანებით, მის დროებით მმართველობაში გადადიოდა ფაშისტური სახელმწიფოს, ნაცისტური პარტიის და აქტიური ფაშისტების მთელი ქონება.

პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით გერმანიას დაეკავა ლა იმ დიდი ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურება, რომელიც მან მიაყენა მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებს. ეს სარეპარაციო თანხა 20 მილიარდი დოლარით განისაზღვრება. ამ თანხის 50% უნდა მიეღოთ საბჭოთა კავშირს და პოლონეთს, რომელნიც ყველაზე უფრო დაზარალდნენ გერმანიის აგრესიისაგან. სარეპარაციო ანგარიშში საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო, როგორც სამრეწველო მოწყობილობები, აგრეთვე, წარმოების პროდუქცია. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სარეპარაციო გადასახადი ძირითადად უნდა ამოღებულიყო საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან და 25% დასავლეთის ზონიდან. 676 საწარმოდან, რომელნიც დემონტირებულ იქნა საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან, 600 იყო სუფთა სამხედრო ხასიათის საწარმო. 200- მდე საწარმო, რომელიც უნდა დემონტირებულიყო აღმოსავლეთ გერმანიაში, საბჭოთა კავშირმა დატოვა გერმანელი მუშების თხოვნით. ეს საწარმოები თავდაპირველად საბჭოთა საკუთრებაში ერთიანერო საზოგადოების ფორმით საბჭოთა კავშირის საკუთრება იყო და ამ საწარმოების მიმდინარე პროდუქცია რეპარაციების ანგარიშზე მუშაობდა. 1947 წლის დასაწყისში ამ საწარმოების მესამედი საბჭოთა კავშირმა აუნაზღაურებლად გადასცა გერმანელ ხალხს, ხოლო 1954 წლისათვის მთელი ეს 200 საწარმო მთლიანად ანაზღაურების გარეშე დაუბრუნდა მათ.

საბჭოთა საოკუპაცო ხელისუფლებამ 1945 — 1948 წლებში დენაციფიკაციის გატარების პროცესში ძველი სახელმწიფო აპარატი საბოლოოდ დაამსხვრია. სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან, დაწესებულებებიდან გააძევეს 520 ათასი ნაცისტი, რომელთა ადგილები ანტიფაშისტებმა დაიკავეს.

1946 წლის 30 ივნისს საქსონიაში ჩატარდა ფალსიფიცირებული რეფერენდუმი სამხედრო დამნაშავეების, ფაშისტური პარტიის და აქტიური ნაცისტების ქონების ექსპროპრიაციის საკითხზე, რომლის შემდეგ საქსონიაში სამხედრო დამნაშავეების, აქტიური ნაცისტების და მსხვილი მონოპოლიების ქონება აუნაზღაურებლად იქნა კონფისკებული. საქსონიის მსგავსად ეს ღონისძიებები აღმოსავლეთ გერმანიის სხვა ოლქებშიც გატარდა. სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა სათემო, სარაიონო და საოლქო (ლანტაგების) წარმომადგენელთა ორგანოების ე. წ. არჩევნები. გამოცხადდა, რომ ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ მიიღო ხმების 50%.

1947 წელს წარმომადგენელთა ორგანოებმა მიიღეს კანონები მაღაროებისა და სასარგებლო წიაღისეულის ნაციონალიზაციის შესახებ, რომელიც ადრე ჩატარებული ექსპროპრიაციისაგან განსხვავებით ითვალისწინებდა კომპენსაციას.

ამ ძალმომრეობითი ღონისძიებების ჩატარების შედეგად 1948 წლის შუა პერიოდში სოციალისტური სექტორი იძლეოდა საერთო პროდუქციის 40%-ს, საბჭოთა სააქციონერო საზოგადოებასთან ერთად კი 61%-ს. ამ ღონისძიებების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში მსხვილი კაპიტალისტური საკუთრება მოისპო.

აღმოსავლეთ გერმანიის მრეწველობაში სოციალისტური სექტორის შექმნის შედეგად კომუნისტებმა დააყენეს საკითხი მისი განვითარებისა და გეგმიურ წარმოებაზე გადასვლისათვის. ამ მიზნით საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ დემოკრატიულ ბლოკში შემავალი პარტიების მოთხოვნის შესაბამისად, ჯერ კიდევ 1947 წელს სათათბირო ხმის უფლებით შექმნილ გერმანიის ეკონომიკურ კომისიას 1948 წლის მარტის კანონით მიანიჭა განკარგულებების გამოცემის უფლება.

1948 წლის აპრილში საწარმოო პრინციპების საფუძველზე შეიქმნა მთავარი სახალხო გაერთიანებული სამმართველო. მიღებულ იქნა აღმოსავლეთ გერმანიის სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი გეგმა (1949—1950 წწ.).

ორწლიან გეგმას წინ უძღოდა ნახევარწლიანი გეგმა (1948 წლის ივლისი-დეკემბერი,) ორწლიანი გეგმით 1950 წლისათვის 1948 წელთან შედარებით წარმოება უნდა გაზრდილიყო 37%-ით. ეს გეგმა საფუძვლიანად განიხილეს ბლოკში შემავალმა ანტიფაშისტურ-მა-დემოკრატიულმა პარტიებმა და მიიღო გერმანიის ეკონომიკურმა კომისიამ, რომლის შემდეგ იგი ძალაში შევიდა.

ამრიგად, აღმოსავლეთ გერმანიაში ე. წ. ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების შედეგად ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ლიკვიდირებულ იქნა მსხვილი მონოპოლიების დ მსხვილი იუნკრულ-მემამულური მიწათმფლობელობის ხელისუფლება. შეიქმნა სახელმწიფო სექტორი, რის შემდეგ დემოკრატიული ძალები გადავიდნენ თავისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმიურ წარმოებაზე, რომელიც ბრძანებლურ-ადმინისტრაციულ გამგებლობაზე იყო დაფუძნებული.

ღონისძიებანი კულტურისა და განათლების დარგში

დიდი ღონისძიებები გატარდა კულტურის და განათლების დარგში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა განათლების საქმის დემოკრატიზაციას, კერძოდ სახალხო განათლების ორგანოების გაწმენდას ნაცისტებისაგან. საყურადღებოა რომ გერმანელი ახალგაზრდობის აღზრდა უკვე მცირეწლოვანებიდანვე ემსახურებოდა სხვა

ხალხებისადმი სიძულვილისა და დამპყრობლურ მიზნებს. მასწავლეელთა 3/4 ნაწილი იყვნენ ფაშისტური პარტიის წევრები და ნაცისტურ ტრადიციებზე აღზრდილნი. ნაცისტური იდეოლოგიის აღმოფხვრა სკოლაში შეუძლებელი იქნებოდა ძველი პედაგოგებით. მათი შეცვლისათვის საჭირო იყო 40 ათასი მასწავლებლის სწრაფად მომზადება, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

1946 წლის 1 სექტემბრიდან საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ძალაში შევიდა კანონი სკოლის დემოკრატიზაციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ერთიანი დემოკრატიული სასკოლო სისტემის შექმნას. შემოღებულ იქნა 8-წლიანი სავალდებულო სწავლება. ის, ვინც რვაწლედს წარმატებით დაამთავრებდა, შეეძლო გაეგრძელებინა სწავლა საშუალო სკოლაში, შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებელში. 1945 წლის ზაფხულიდან ლაიფციგის სტამბამ დაიწყო სკოლის ახალი სახელმძღვანელოების ბეჭდვა. 1945 წლის ოქტომბერში იენაში გაიხსნა ფ. შილერის სახელობის უნივერსიტეტი, 1946 წლის დამდეგს კი სხვა უნივერსიტეტები.

აგრარული რეფორმა

ომის მთავარ დამნაშავეთა შორის იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც წარმოადგენდნენ ყველაზე უფრო რეაქციულ, მილიტარისტურ, აგრესიულ კლასს. აქედან გამოდიოდნენ სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწენი, ოფიცრობა და გენერალიტეტი, დიპლომატები და ა. შ., რომლებიც ქმნიდნენ და ახორციელებდნენ რეაქციულ საშინაო და აგრესიულ საგარეო პოლიტიკას. მათ მსხვილ მონოპოლისტებთან ერთად გამოკვებეს და ხელისუფლების სათავეში დააყენეს ფაშისტები. ისინი მჭიდროდ შეერწყნენ პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც მსხვილ მონოპოლისტურ კაპიტალს.

იუნკრების ხელში იყო დიდი ლატიფუნდიები, მამულები და ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხებს. აღმოსავლეთ გერმანიაში 6 ათას მემამულეს ერთნახევარჯერ მეტი მიწა ჰქონდა, ვიდრე 300 ათას წვრილ და საშუალო გლეხს ერთად. გლეხთა ძირითადი მასა უმიწო, ან მცირე მიწის მქონე იყო. აგრარულ რეფორმას ბოლო უნდა მოეღო იუნკრების მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობისათვის ქვეყანაში. აგრარული რეფორმის აუცილებლობას ბურჟუაზიული წრეებიც კი სთვლიდნენ. ისინი ვერ ბედავდნენ რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლას. აგრარულ კანონმდებლობას საფუძვლად დაედო გერმანიის კომპარტიის მიერ შემუშავებული და ანტიფაშისტურ ბლოკში შემავალი პარტიების მიერ მოწონებული აგრარუ-

ლი პროექტი .იგი ითვალისწინებდა გლეხთა კერძო-მესაკუთრულ ტენდეციებს მიწისადმი და მიზნად არ ისახავდა მიწის ნაციონალიზაციას.

1945 წლის სექტემბერში აღმოსავლეთ გერმანიის პროვინციული მთავრობების მიერ გამოქვეყნებული აგრარული რეფორმა იმ მემამულეთა მიწების აუნაზღაურებელ ექსპროპრიაციას ახდენდა, ვისაც 100 ჰექტარზე მეტი მიწა ჰქონდა, ამასვე ექვემდებარებოდა სამხედრო დამნაშავეებისა და აქტიური ნაცისტების მთელი მიწები. რეფორმის გატარებისას გლეხთა შორის მიწის განაწილების ოდენობა დადგინდა 5 ჰექტარის რაოდენობით. მიწას პირველ რიგში იღებდნენ. მოჯამაგირეები, ანტიფაშისტები და ახლად ჩამოსახლებულნი, ხოლო მცირე მიწის მქონეებს მიწას უმატებდნენ იმდენი ოდენობით, რომ მათი მეურნეობა არ აჭარბებდა დადგენილ ნორმას. გლეხები მიღებული მიწის საფასურად იხდიდნენ მასზე მოწეული ჰექტარის ერთი საშუალო მოსავლის ფასს, ისიც 10-20 წლის განმავლობაში. რეფორმის გასატარებლად აირჩიეს კომისიები, რომელშიც შევიდა 40 ათასი კაცი. ესენი იყვნენ: გლეხთა, მოჯამაგირეთა, მუშათა და ანტიფაშისტურ ბლოკში შემავალი პარტიების წარმომადგენლები.

აგრარული რეფორმის გატარება საბოლოოდ დამთავრდა 1950 წლისათვის. სულ კონფისკებულ იქნა 3,3 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა. 300 ათასზე მეტმა მოჯამაგირემ და გლეხმა მიიღო 2 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა. გლეხთა ახალ მეურნეობებს საშუალოდ ჰქონდათ 7-8 ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, 180 ათასმა მუშამ, ხელოსანმა და მოსამსახურემ შეიძინა 0,5 ჰექტარის ოდენობით ნაკვეთი ბაღ-ბოსტნისათვის და 40 ათასამდე საშუალო გლეხთა ფენებმა ტყის ნაკვეთები საშუალოდ 1,5 ჰექტარის რაოდენობით.

გლეხებმა მიწის გარდა მიიღეს 260 ათასი სხვადასხვა სახის სოფლის-მეურნეობის ინვენტარი, 6 ათასი ტრაქტორი, 180 ათასი ბი- და სხვადასხვა ნაგებობა, 450 ათასი სული პირუტყვი. აგრარული რეფორმის გატარების მსვლელობაში შეიქმნა გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტები, რომელშიც შევიდნენ ღარიბი და საშუალო გლეხები. კომიტეტებმა თავის განკარგულებაში მიიღეს ექსპროპრირებული მანქანებისა და ინვენტარის ნაწილი, აგრეთვე მერძევეობის ფერმები, ხახელოსნოები და ა. შ. კომიტეტებმა ბევრ ადგილას შექმნეს მანქანებისა და ინვენტარის გაქირავების პუნქტები. კომიტეტები გაერთიანდნენ გლეხთა ურთიერთდახმარების გაერთიანებაში, რომელიც თავის რიგებში ნახევარ მილიონამდე წევრს ითვლიდა.

მთელი დასამუშავებელი მიწების ნახევარზე მეტი გადავიდა წვრილი და საშუალო გლეხების ხელში. რეფორმის გატარების შემდეგ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილის მთავარი ფენა გახდა საშუალო გლეხი. ბუნებრივია, რომ აგრარული რეფორმის გატარება ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. იუნკერები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რეფორმის გატარებისათვის. მაგრამ კომუნისტებისა და საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ზეგავლენით ეს წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნა

1946 წლის 21 აპრილს მოწვეულ იქნა გერმანიის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელმაც ეს ორივე პარტია გაერთიანებულად გამოაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სახელწოდებით. ორივე პარტიის ლიდერის ვილჰემ პიკისა და ოტო გროტეოლის ხელის ჩამორთმევით დადასტურდა ყრილობის გადაწყვეტილება.

ყრილობამ მიიღო ახალი პარტიის პროგრამა პარტიის გაერთიანებაზე—„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პრინციპების და მიზნების“ სახელწოდებით. პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პროგრამა მინიმუმისაგან და პროგრამა მაქსიმუმისაგან. პროგრამა მინიმუმი აყენებდა პარტიის უახლოეს ამოცანებს—ანტიფაშისტური, დემოკრატიული გარდაქმნების დამთავრებას. პროგრამა მაქსიმუმი კი სოციალიზმის აშენებას. თავმჯდომარეებად ორივე ყოფილი პარტიის ხელმძღვანელები აირჩიეს: ვ. პიკი და ო. გროტეოლი. პარტიის ცკ-ში აირჩიეს ორივე პარტიის წარმომადგენლები პარიტეტულ საფუძველზე 40 ყოფილი კომუნისტი და ამდენივე ყოფილი სოციალ-დემოკრატი.

გერმანელი ხალხის ბრძოლა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის

ორივე გერმანიის კომუნისტებმა, მოსკოვის მითითებით, გადაწყვიტეს ქვეყნის გაერთიანების ინიციატივა თავის ხელში აეღოთ და გაერთიანებულ გერმანიასაც თვითონ მოქცეოდნენ სათავეში.

1947 წლის დეკემბრის დამდეგს ბერლინში ერთიანი სოციალისტური პარტიის ინიციატივით მოწვეულ იქნა გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავის პირველი „საერთო გერმანული“ სახალხო კონგრესი, რომელმაც შექმნა მუდმივი კომიტეტი. მუდმივმა კომიტეტმა თავის წინაშე დაისახა ორივე მხარის გერმანიის მშრომელთა მასების ბრძოლის მობილიზაციის ამოცანა, ერთიანი, დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შესაქმნელად. მუდმივმა კომიტეტმა გაატარა

მთელი რიგი ღონისძიებები ერთიანი გერმანიის სახელმწიფოს შექმნის მიზნით. 1948 წელს მან მთელ გერმანიაში ჩაატარა რეფერენდუმი, რომელმაც მოითხოვა ერთიანი დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ მალე ცნობილი გახდა, რომ მუდმივი კომიტეტი გერმანელი კომუნისტებისა და საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერით მოქმედებდნენ და მიზნად ისახავდნენ გაერთიანებულ გერმანიაში კომუნისტური რეჟიმის გავრცელებას. ამის გამო აღმოსავლეთ გერმანიაში არსებულ ბურჟუაზიულ პარტიებში—ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირისა და ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელები გამოვიდნენ ანტიფაშისტური ბლოკის ღონისძიებების წინააღმდეგ, ცდილობდნენ მის დაშლას, ერთიანი სოციალისტური პარტიის იზოლირებას და აღმოსავლეთ გერმანიაში კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებას. ისინი აღმოსავლეთ გერმანიაში მძიმე ინდუსტრიის უპირატესად განვითარების წინააღმდეგაც გამოდიოდნენ, და მოითხოვდნენ მსუბუქი მრეწველობის უპირატესად განვითარებას, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო კერძო კაპიტალის პოზიციები. მემარჯვენეები გერმანიის სახალხო კონგრესის მოწვევის წინააღმდეგაც. გამოდიოდნენ. ფრაქციული ბრძოლის შედეგად ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელობაში დიდი უთანხმოება ჩამოვარდა, მაგრამ მისმა მემარცხენე ლიდერებმა ო. ნუკშეს. და ჰ. ჰეტინგის მეთაურობითა და კომუნისტების აქტიური მხარდაჭერის შედეგად შეძლეს მემარჯვენეების ჩაპოშორება ხელმძღვანელობიდან და 1948 წელს აღნიშნული პარტიის ახალი ხელმძღვანელობის არჩევა. მაგრამ ანტიფაშისტურმა ბლოკმა დროებით შეწყვიტა თავისი არსებობა.

1948 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ გერმანიაში კიდევ ორი ახალი პარტია შეიქმნა: გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტია და გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ორივე პარტიაში გაერთიანდნენ წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის რიგითი წევრები. ეს ორივე პარტია შევდა ანტიფაშისტურ ბლოკში, რომელმაც კვლავ განაახლა მუშაობა; იგი გაფართოვდა აგრეთვე, ხუთი პოლიტიკური პარტიის გარდა, შემდეგი მასობრივი ორგანიზაციების შესვლით: გერმანიის პროფკავშირების გაერთიანება, თავისუფალ ახალგაზრდათა კავშირი, დემოკრატიულ ქალთა კავშირი, გლეხთა ურთიერთდახმარების გაერთიანებული კომიტეტები, კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა ორგანიზაციითა და ა. შ. ყველა ეს ჩამოთვლილი ორგანიზაცია კომუნისტების გავლენაში იყვნენ და მათი მითითებით მოქმედებდნენ.

1948 წელს დასავლეთ გერმანიაში სეპარატული ფულის რეფორმის ჩატარების საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ შემოიღო ტრანსპორ-

ტის მიმოსვლის და ეკონომიკური კავშირის შეზღუდვები აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიასა და აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინის, საოკუპაციო ზონებს შორის. საბჭოთა მთავრობის ამ ღონისძიებებმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია გერმანიაში.

1949 წლის მაისში საბჭოთა მთავრობამ მოხსნა ეს შეზღუდვები და წინადადებით მიმართა დასავლეთის სახელმწიფოებს, რათა განეხილათ გერმანიასთან ზავის დადების საკითხი. დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდნენ საკითხის განხილვას. პარიზში 1949 წლის 23 მაისიდან 20 ივნისამდე მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მორიგი სესია, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. ამ სესიის მიერ მიღებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ ისინი გააგრძელებენ მოლაპარაკებას გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური მთლიანობის აღდგენისათვის და კონსულტაციებს ბერლინში. ამასთანავე საოკუპაციო ხელისუფლებებს თავის ზონებში წინადადება ეძლეოდათ ამ საკითხის ირგვლივ მოეწვიათ გერმანელი ექსპერტები და სათანადო ორგანიზაციები გერმანიის ერთიანობის აღდგენის ირგვლივ მოლაპარაკებისათვის. ამ კომუნიკედან ჩანს, რომ გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმე ძირითადად გერმანელ ხალხზეც იყო დამოკიდებული. ამ დროისათვის, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ გერმანიაში არსებობდნენ პასუხისმგებელი პოლიტიკური ორგანოები, პარტიები და მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც, მართალია, თავისი სოციალური მდგომარეობით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამოდიოდნენ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეეძლოთ აქტიურად ებრძოლათ მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოს შექმნისათვის.

1949 წლის მაისში, ამ მიზნით აღმოსავლეთ გერმანიაში ჩატარდა კომუნისტების მიერ ინსცენირებული გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის დელეგატების არჩევნები.

ინსცენირებული არჩევნების შედეგად შეკრებილმა გერმანიის მესამე სახალხო კონგრესმა 1949 წლის მაისის დამლევს დაამტკიცა დემოკრატიული გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, კონსტიტუციაში აღნიშნული იყო, რომ „ყველაფერი ხალხისაგან გამომდინარეობს, ყველაფერი ხალხისათვისაა“. კონსტიტუციაში დაკანონებული იყო მონოპოლიებისათვის, ბანკირებისათვის, მსხვილი მიწათმფლობელებისა და იუნკრებისათვის პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა. აქვე აღნიშნული იყო მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი და სხვა დემოკრატიულ თავისუფლებათა შესახებ.

გერმანიის მესამე კონგრესმა აირჩია გერმანიის სახალხო საბჭო[1], რომელსაც დაევალა გერმანიის გათიშვის წინააღმდეგ ბრძოლა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა შუმახერის მეთაურობით მტრული პოზიცია დაიკავეს აღმოსავლეთ გერმანიაში გატარებულ გარდაქმნებისადმი, უარი თქვეს კომუნისტებთან მუშათა ერთიანი, ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნაზე და ხელი შეუწყვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოს შექმნას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ 1949 წლის ოქტომბერს გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმმა და დემოკრატიულმა ბლოკმა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ არჩეული სახალხო საბჭო გარდაექმნათ დროებით სახალხო პალატად (პარლამენტად) და შეექმნათ აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფოს მთავრობა.

1949 წლის 7 ოქტომბერს ბერლინში დროებითმა სახალხო პალატამ საზეიმოდ გამოაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. პრემიერ-მინისტრად აირჩიეს ოტო გროტეოლი, რომელმაც შექმნა მთავრობა. მასში შევიდნენ ყველა პარტიის წარმომადგენლები. პრემიერ-მინისტრის მოადგილეებად დანიშნეს ჰერმან კასტნერი (გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან), ოტო ნუშკე (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან) და ვალტერ ულბრიხტი. მთავრობაში შევიდნენ ერთიანი სოციალისტური პარტიის 8 წარმომადგენელი, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის 4 წარმომადგენელი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის 3 წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი გლეხთა დემოკრატიული პარტიისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. 11 ოქტომბერს საოლქო ლანდტაგებისა და დიდი ბერლინის დემოკრატიული ბლოკის მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი პალატა, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს რაინგოლდ ლობედანცი (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიიდან).

---

[1] გერმანიის სახალხო საბჭოს დემოკრატიულ ბლოკში შეთანხმების საფუძველზე შევიდა: 90 წარმომადგენელი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიიდან, 45 ქრისტიანულ-დემოკრატული კავშირიდან, 45 ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან, 15 გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტიიდან და ა. შ. გერმანიის სახალხო საბჭოს შემადგენლობა დაამტკიცა აღმოსავლეთ გერმანიაში არჩეულმა 2 ათასმა დელეგატმა და დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ორგანიზაციების და გაერთიანებების 528 დელეგატმა, რომლებიც ძირითადად დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები იყვნენ კომპარტიის ან მისი გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციებიდან.

დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კი აირჩიეს იოჰანეს დიკმანი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან).

11 ოქტომბერს ორივე პალატამ გაერთიანებულ სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ვილჰელმ პიკი[1].

1949 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასცა მთელი ადმინისტრაციული ფუნქციები, რომელსაც მანამდე ასრულებდა საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია. იმ გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი, რომელიც გერმანიას ეხებოდა, გადაეცა საბჭოთა საკონტროლო კომისიას.

1949 წლის ოქტომბერში დროებითმა სახალხო პალატამ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც მანამდე დამტკიცებული იყო გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ. ამ კონსტიტუციით ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა სახალხო საბჭო. პრემიერ-მინისტრის კანდიდატს აყენებდა მხოლოდ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, რომელიც მმართველ პარტიად ცხადდებოდა და პალატაში ყველაზე ძლიერ ფრაქციას წარმოადგენდა. პრემიერ-მინისტრი პალატაში შემავალ ფრაქციებიდან რაოდენობის შესაბამისად ქმნიდა მთავრობას.

§ 11. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 40—50 წლებში

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიქტატურის დამყარება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა სიტყვით პროლეტარიატის, საქმით კი პარტიის ზედა ფენების დიქტატურის გადაზრდა სახელმწიფო ხელისუფლებაში, რომელიც ფაქტობრივად კომუნისტების დიქტატურის ფუნქციას ასრულებდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხუთი პოლიტიკური პარტიის არსებობა იყო ფიქტიური პოლიტიკური ფორმა მუშათა კლასის კავშირისა მოსახლეობის არაპროლეტარულ ფენებთან, რომლებიც თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩააბეს „სოციალისტურ მშენებლობაში“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით დაიწყო ანტიფაშისტური, დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურში, მაგრამ არა მთელ გერმანიაში, არამედ მის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში. სოციალიზმის მშენებლობისათვის საჭირო იყო სოციალის-

[1] ვ. პიკის გარდაცვალების შემდეგ 1960 წლიდან პრეზიდენტის პოსტი გაუქმდა და შეიქმნა სახელმწიფო საბჭო.

ტური სექტორის განმტკიცება და მსხვილი მრეწველობის უპირატესად განვითარება.

1949—1950 წლებში დროებითმა სახალხო პალატამ გამოსცა რიგი კანონები, რომელიც მიზნად ისახავდა კომუნისტური ხელმძღვანელობის ხელისუფლების განმტკიცებას. გამოიცა კანონი შრომის შესახებ, სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის დაცვის შესახებ და ა. შ.

ამნისტირებულ იქნენ ნაცისტური პარტიის ის რიგითი წევრები, რომელთაც სამხედრო დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი.

მაგრამ ახალგაზრდა სახელმწიფოს განმტკიცება მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლის პირობებში. დასავლეთის პრესა ობიექტურ პროპაგანდას ეწეოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამტკიცებდა, რომ იგი უკანონოდ, ხალხის არჩევნების და მათი სურვილის გარეშე არის შექმნილი. მათ მხარი აუბეს აგრეთვე აღმოსავლეთ გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის შემარჯვენეებმა, რომლებიც მოითხოვდნენ დემოკრატიული გარდაქმნების და ომის შემდეგ დადგენილი საზღვრების გადასინჯვას, სახალხო პალატის არჩევნების ჩატარებას. გარდა ამ მოთხოვნებისა, ისინი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ფარულად, მაგალითად, ყოფილი ფინანსთა მინისტრები რონერი საქსონიაში და მოოგი ტიურინგიაში ერთი მხრივ აქეზებდნენ კერძო კაპიტალისტური საწარმოების მფლობელებს, რომ გადასახადი არ გადაეხადათ, მეორე მხრივ კი პროვოკაციულად ავიწროებდნენ ხელოსნებსა და წვრილ მეწარმეებს, რათა მათი უკმაყოფილება გამოეწვიათ. მათ მიზნად დაისახეს არ დაეშვათ აღმოსავლეთ გერმანიის განვითარება სოციალიზმის გზით და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ აშკარა შეთქმულების გზას დაადგნენ .1949 წლის ბოლოსათვის აღმოჩენილ იქნა ყოფილი ნაცისტების შეიარაღებული იატაკქვეშა და ჯაშუშური ჯგუფები ბრადენბურგში, მეკლენბურგში და საქსონია-ანგალტში. ამ უკანასკნელის მთავრობის 10 ხელმძღვანელი მუშაკი დაკავშირებული იყო მათთან და დასავლეთ გერმანიის მეწარმეებთან, მათ აწვდიდა პატენტებს, საწარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას და დასავლეთ გერმანიაში გადაიტანა 10 მლნ მარკის ფასეულობა. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიასა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა გაწმენდილ იქნა მემარჯვენეებისაგან, რის შემდეგ ორივე ეს პარტიის თანდათანობით მორჩილ პარტიებად გადაიქცნენ.

გერმანიის სახალხო კონგრესის ბაზაზე შეიქმნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი, რომელმაც შეიმუშავა ერთიანი წინასაარჩევნო პროგრამა და წარმოაყენა ერთიანი სია კანდიდატებისა

1950 წლის 15 ოქტომბერს დანიშნული სახალხო პალატისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში, რომელშიც ეროვნულმა ფრონტმა გამარჯვებას მიაღწია. ეროვნული ფრონტის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს, ოფიციალური ცნობით, ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 99,7%.

პირველი ხუთწლიანი გეგმა (1951—1955 წწ). სოციალიზმის მშენებლობის გამოცხადება

1948 წელს მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმა (1948—1950 წწ.), რომელიც წარმატებით ვადაზე ადრე, წელიწადნახევარში შესრულდა. 1950 წლის ბოლოსათვის სამრეწველო წარმოებამ 1936 წლის დონესთან შედარებით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 81%-ისა 103% შეადგინა.

1950 წლისათვის მარცვლეულისა და კარტოფილის მოსავლიანობამ ომამდელ დონეს მიაღწია, მაგრამ სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების წარმოებამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. ამ მხრივ წარმატება იყო მხოლოდ შესვილფეხა საქონლის სულადობაში. 1950 წლისათვის აღმოსავლეთ გერმანიაში, მოსახლეობის გადმოსახლების გამო, ომამდელთან შედარებით 3 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობდა, ამიტომ ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ბევრად დაბალი იყო ომამდელთან შედარებით.

1950 წლისათვის სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა მრეწველობაში 54,5% შეადგენდა. მაგრამ, კერძო საწარმოების რიცხვი ჯერ კიდევ დიდი იყო. 17543 კერძო კაპიტალისტურ საწარმოში 0,5 მილიონზე მეტი მუშა-მოსამსახურე იყო, ხოლო სოფლად კერძო კაპიტალისტური მეურნეობის ხელში იყო დასამუშავებელი მიწების თითქმის მეოთხედი ნაწილი. ასევე კერძო საბითუმო ვაჭრობა რესპუბლიკაში შეადგენდა თითქმის მთელი ვაჭრობის ნახევარს.

ამრიგად, აღმოსავლეთ გერმანიას მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელი ბაზა არ გააჩნდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის აღმოსავლეთ გერმანიაში იყო მხოლოდ 1 მეტალურგიული ქარხანა და ისიც 4 მოძველებული ბრძმედით, დასავლეთ გერმანიაში კი იყო 121 თანამედროვე ბრძმედი. ომამდელ გერმანიაში აღმოსავლეთ ნაწილზე მოდიოდა თუჯის წარმოების 1,3, ქვანახშირის წარმოების 2 და ფოლადის წარმოების 7%, ელექტროენერგიის წარმოების 25% და ა. შ. ქვეყანაში იგრძნობოდა ენერგეტიკული ბაზის დიდი ნაკლებობა.

რესპუბლიკაში სიძნელეების შექმნას ცდილობდა საშინაო და საგარეო რეაქცია, აწყობდნენ აფეთქებებსა და სხვა დივერსიულ აქტებს, რომლის ამოცანა იყო სახალხო მეურნეობის დეზორგანიზაცია და ეკონომიკური სიძნელეების შექმნა, განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მიიღო ფერადი ლითონების ძარცვამ. 1950 წლის მარტში უშიშროების ორგანოებმა მოახდინეს 5,5 მლნ კგ ფერადი ლითონების კონფისკაცია, რომლის გადატანას დამნაშავეები დასავლეთ გერმანიაში აპირებდნენ.

გარდა ამისა, ეკონომიკური ბლოკადის გამო, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები 1947 წლიდან სოციალისტური ქვეყნების მიმართ ახორციელებდნენ, დაირღვა ტრადიციული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთ გერმანიისა დასავლეთ გერმანიასთან და, ამავე დროს, პირველი მათგანი მოწყვეტილი აღმოჩნდა რურისა და რაინის ნედლეულისა და მრეწველობისაგან. ამიტომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III ყრილობის (1950 წ. ივლისი) მიერ მიღებული პირველი ხუთწლიანი გეგმის (1951—1955 წწ.) მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. იგი ითვალისწინებდა: გერმანიის გათიშვის შედეგად შექმნილი დისპროპორციის ლიკვიდაციას, საკუთარი მეტალურგიული, მძიმე მანქანათმშენებლობისა და ნედლეულის ბაზის შექმნას. გეგმით სამრეწველო პროდუქცია ომამდელთან შედარებით უნდა გაზრდილიყო ორჯერ. გეგმის მთავარი ამოცანა იყო ომის შედეგების საბოლოო ლიკვიდაცია. პარტიის III ყრილობამ მიიღო ახალი წესდება, შემოიღო პარტიული სწავლება და დაადგინა პარტიული ბილეთების გამოცვლა. თავის მოქმედების პროგრამაში ყრილობას არ დაუსახავს სოციალიზმის გეგმიურ მშენებლობაზე დაუყოვნებლივ გადასვლა. მისი ამოცანა იყო ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრების შექმნა სოციალისტური გარდაქმნებისათვის.

სოციალიზმის მშენებლობის კურსის გამოცხადება

1952 წლისათვის სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა მთელი ქვეყნის საერთო წარმოებაში შეადგენდა 62%. მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა სახელმწიფო სექტორს. სოფლად პარტიის ინიციატივით შეიქმნა საწარმოო კოოპერატიული მეურნეობები.

1952 წლის 26 მაისს ბონში ადენაუერის მთავრობის მიერ დასავლეთის სახელმწიფოებთან საერთო ხელშეკრულებით და ხელშეკრულებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ევროპის თავდაცვით

გაერთიანებაში შესვლის შესახებ, გერმანიის გაერთიანების შესაძ-ლებლობა გართულდა.

1952 წლის ივლისში მოწვეული იქნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის II კონფერენცია, რომელმაც მიიღო დირექტივები გდრ-ში სოციალიზმის საფუძვლების შექმნის შესახებ და შეიმუშავა ხელისუფლების ამოცანები სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. ეს ამოცანები მიზნად ისახავდა შრომის ნაყოფიერების გეგმაზომიერ აღმავლობას სოციალისტურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნასა და ყველა მშრომელის ცხოვრების დონის განუხრელად ამაღლებას. პარტიულმა კონფერენციამ ხაზი გაუსვა იმას, რომ პარტია მიზნად არ ისახავს წვრილი და საშუალო მეწარეების ექსპროპორციას, რომლის შესახებ დასავლეთის პროპაგანდა ამინებდა საზოგადოების ამ ფენებს.

II კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაში შეიტანეს რიგი ცვლილებები.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში შემორჩენილი იყო ძველი იმპერიის დროინდელი ადმინისტრაციული დაყოფა ქვედა (მაზრებად) და საშუალო (მიწებად) ორგანოებად.

ახალი კანონის საფუძველზე ძველი ადმინისტრაციული დაყოფა გაუქმდა. 5 მიწის ნაცვლად 14 (შემდეგ 15) ოლქი შეიქმნა, ხოლო 132 მაზრის ნაცვლად 217 რაიონი შეიქმნა. ეს დაყოფა განხორციელდა უკვე ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრუქტურის შესაბამისად. ამის შედეგად გაძლიერდა დემოკრატიული ცენტრალიზმი, ანუ ერთპარტიული დიქტატურა.

1953 წლის გამოსვლების ჩახშობა

სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის გამოცხადებას დასავლეთ გერმანის მმართველმა წრეებმა უპასუხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით. 1952 წელს ბონში შეიქმნა სპეციალური „კვლევითი საბჭო გერმანიის გაერთიანებისათვის“, რომელმაც შეიმუშავა აღმოსავლეთ გერმანიაში „ხელისუფლების აღების გენერალური გეგმა“. ეს საბჭო ემორჩილებოდა საერთო გერმანული საკითხების სამინისტროს, რომელიც აფინანსებდა მას და ხელს უწყობდა მისი საქმიანობის გაშლას.

1952—1953 წლებში დაშვებული იქნა რიგი შეცდომები. ხშირად ირღვეოდა მატერიალური დაინტერესების პრინციპები, ზრდიდნენ გამომუშავების ნორმებს მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, კერძო

საწარმოების მფლობელებს ბეგრავდნენ დამატებით გადასახადებით, კონფისკაციას უკეთებდნენ მათ ნედლეულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, არ აძლევდნენ სასურსათო ბარათებს, რამაც გამოიწვია წინააღმდეგობები ეროვნულ ფრონტში.

გარდა ამისა, დისპროპორცია ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული, კერძოდ ნედლეულის მომარაგებაში, რამაც გამოიწვია საწარმოო პროცესის დარღვევა და სერიოზული სიძნელეები სახალხო მეურნეობაში. მაგალითად, ბუჯის ნაკლებობის გამო ყოვნდებოდა მძიმე მრეწველობის საწარმოების მშენებლობა, რომლებიც აწარმოებდნენ ენერგეტიკულ მოწყობილობებს, ელექტროსადგურებისა და ელექტრომომარაგების სისტემისათვის. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ენერგიის წარმოების შეზღუდვას მოჰყვა წარმოების შეზღუდვა და საწარმოების შეჩერებაც.

სახელმწიფო ორგანოები დისპროპორციის ლიკვიდაციის დაჩქარებას ცდილობდნენ მძიმე მრეწველობის ფორსირებული განვითარების გზით. პირველი ხუთწლიანი გეგმის ბოლო წლისათვის გათვალისწინებული ზოგიერთი დავალებანი 1953 წლის გეგმაში შეიტანეს, მაშინ როდესაც ამ წლის გეგმით გათვალისწინებული დავალებაც პირველი კვარტალისათვის არ შესრულდა. ასიგნების გაზრდამ მძიმე მრეწველობაში გამოიწვია მსუბუქი მრეწველობისა და მოხმარების საგნების მრეწველობის განვითარების ტემპების დაყოვნება. დაგეგმილი კაპიტალური დაბანდება აღემატებოდა ბიუჯეტის შესაძლებლობებს. ახალი სახსრების ძიებას მოჰყვა სოციალური მიზნებისათვის გათვალისწინებული ასიგნების შემცირება, შესუსტდა მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები.

სასამართლო ორგანოებმა რიგი შეცდომები დაუშვეს. ხშირად ისინი უგულებელყოფდნენ სოციალისტური მართლმსაჯულების აღმზრდელობით ფუნქციებს და ვერ ხედავდნენ განსხვავებას რესპუბლიკის აშკარა მტრებსა და მშრომელთა მასების ხშირად მცდარ მოქმედებას შორის, ერთიანი სიმკაცრით უდგებოდნენ ორივეს, რაც მხოლოდ უკმაყოფილოთა რიცხვს ზრდიდა.

ბუნებრივია, რომ კერძო მეწარმეები დიდი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს მრეწველობაში სახელმწიფო სექტორის პოზიციის ზრდას, იმედს კარგავდნენ კაპიტალიზმის რესტავრაციაზე აღმოსავლეთ გერმანიაში, ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სოციალისტური მშენებლობისათვის, დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მოსახლეობის მომარაგებაში, თავს არიდებდნენ გადასახადების გადახდას, ეწეოდნენ სპეკულაციას და ა. შ. წვრილბურჟუაზიული ფენებისა და მუშათა კლასის ნაწილიც კი თავის დამოკიდებულებაში სახალხო რეჟიმისადმი ერთგვარ

უნდობლობას იჩენდა. საქმე იმაში იყო, რომ თვით მუშათა კლასის შემადგენლობაში ამ დროს ცვლილებები მოხდა წარმოების მუშაობაში ჩაბმულ იქნენ წვრილი და თვით საშუალო ბურჟუაზიის ფენებიდან, აგრეთვე ყოფილი ნაცისტებიდან, მოხელეებიდან გამოსული პირები, რომლებიც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მიეღოთ სახელმწიფოსაგან თვითონ კი ნაკლები გაეკეთებინათ. ეს ფენები არა თუ არ ფიქრობდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, არამედ პირიქით, აყოვნებდნენ მას, უხარისხო საქონელს უშვებდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ წარმოების პროცესის გაუმჯობესებისათვის.

კოოპერატიული მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა აგრეთვე სოფლადაც. კულაკები და მათი მომხრეები ბურჟუაზიულ პარტიებში ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გლეხების კოოპერატივებში შესვლაზე, აშინებდნენ მათ, რომ დაკარგავდნენ მიწას და ხშირად მათ წინააღმდეგ ტეროორისტულ აქტებსაც კი მიმართავდნენ. ამასთანავე აქაც დაშვებული იქნა შეცდომები, გლეხთა კოოპერაციულ მეურნეობებში გაერთიანებისათვის დარწმუნების მეთოდების ნაცვლად ხშირი იყო ადმინისტრირების მეთოდები. პარტიის II კონფერენციამ, ეხებოდა რა გლეხთა კოოპერაციულ მეურნეობაში გაერთიანების საკითხს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმას, რომ „სოფლის მეურნეობის კოლექტიურ წარმოებაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ გლეხთა დარწმუნების გზით, ამიტომ დაუშვებელია ადმინისტრირების და მით უმეტეს იძულებითი ღონისძიებებისათვის მიმართვა“. ყველაფერი ამის გამო გაიზარდა მოქალაქეთა გადასვლა აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ ბერლინსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

პარტიამ და მთავრობამ აშკარად, საჯაროდ განაცხადეს დაშვებული შეცდომების შესახებ. სახალხო მეურნეობის გეგმაში ახალი შესწორებები იქნა შეტანილი, გადაწყდა, რომ რამდენიმედ შეემცირებინათ მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპები და აქედან სახსრები გადაესროლათ მსუბუქ მრეწველობაში, ფართო მოხმარების საგნების მასობრივად წარმოებისათვის. ამ ღონისიძებების მთავარი ამოცანა იყო მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობის სწრაფად გაუმჯობესება. მეტი ყურადღება დაეთმოთ ვაჭრებს, ხელოსნებს, ინტელიგენციას ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობებს. დაისახა ღონისძიებანი კერძო ინიციატივის განვითარებისათვის. კერძო სექტორს მიეცა სახელმწიფო კრედიტი 49 მლნ მარკის ოდენობით. კრედიტი მიეცა აგრეთვე გლეხებს, განსაკუთრებით ახალ გადმოსახლებულებს. განხორციელდა ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ამასთანავე მთავრობამ განაცხადა, რომ არ დაუშვებს

კაპიტალის კონცენტრაციას და დაწესებს საზღვრებს კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების განვითარებისათვის. პარტიის და მთავრობის ყველა ამ ახალ ღონისძიებას ეწოდა „ახალი კურსი". 1953 წლის ივნისში დასავლეთ ბერლინში და სხვა ქალაქების მოსახლეობის ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა და მუშაობა შეწყვიტა, მაგრამ მუშაობა შეწყვიტა მხოლოდ მუშათა 5,5%. გაფიცულებმა აიყოლიეს აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის ნაწილი, მოაწყვეს დემონსტრაცია, დაარბიეს, ცეცხლი წაუკიდეს, დაანგრიეს და ააფეთქეს დემოკრატიული ორგანიზაციები და მაღაზიები. პრემიერ-მინისტრის მოადგილე ო. ნუშკე ძალით გაიყვანეს დასავლეთ ბერლინში. მაგრამ ოპოზიციონერებმა 10 ათასი თემიდან მხოლოდ 272 თემში, შეძლეს უწესრიგობის გამოწვევა.

დემოკრატიული გერმანიის მთავრობამ მოსახლეობის ერთი ნაწილის მხარდაჭერითა და საბჭოთა ჯარების ძალებით ჩაახშო გამოსვლები. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არავითარი პირობებით არ დაუშვებს დასავლეთის ჯარების, ან გფრ-ის ბუნდესვერის შეჭრას გდრ-ში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის შიგნით შეიქმნა ოპოზიციური ჯგუფი რ. ჰერნშტადტისა და ვ. ცაისერის ხელმძღვანელობით, რომლებიც ცდილობდნენ, განსაკუთრებით ამბოხების დროს ხელთ ჩაეგდოთ პარტიული ხელმძღვანელობა და შეეცვალათ „ახალი კურსი". ოპოზიციონერები მოითხოვდნენ აგრეთვე სოციალიზმის ზრდის ტემპების შენელებასაც.

1953 წლის 21 ივნისს პარტიის ცკ-ის პლენუმზე შეიმუშავეს დემოკრატიული ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

1953 წლის დეკემბერში გდრ-ის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მუშათა კლასის შრომის, ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და პროფკავშირთა უფლებების გაფართოების შესახებ. ამ დადგენილების შესაბამისად გაფართოვდა დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, სასადილოების ქსელი და საბინაო მშენებლობა.

ამ საგანგაშო დღეებში საბჭოთა კავშირმა დახმარება აღმოუჩინა დემოკრატიული გერმანიის მშრომელებს. 1953 წლის აგვისტოში მოსკოვში ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის დაიდო შეთანხმება საბჭოთა კავშირიდან გდრ-ში საქონლის მიწოდების მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ, რომლის საფუძველზე დემოკრატიულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირიდან დამატებით მიიღო ხურსათი, რკინა, ქვანახშირი, სხვა სახის ნედლეული და კრედიტი 48,5 მლნ მანეთის

ოდენობით. 1952—1954 წლებში საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უსასყიდლოდ გადასცა რეპარაციების ანგარიშზე აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა კავშირის საკუთრებაში მყოფი 99 საწარმო. 1950 წელს საბჭოთა მთავრობამ გდრ-ან მისაღები სარეპარაციო თანხა, რომელიც მას 15 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა 50%-ით შეამცირა, ხოლო 1953 წელს დარჩენილი სარეპარაციო გადასახადი 5,7 მლრდ დოლარის ოდენობით გააუქმა.

ოფიციალური ცნობით. საბჭოთა მთავრობის ასეთმა დახმარებამ და გდრ-ის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად აამაღლა მშრომელთა მასების ცხოვრების დონე.

პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგები

პირველი ხუთწლიანი გეგმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით განახორციელეს, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმანაც, რომ გდრ 1950 წლის სექტემბერში შიიღეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში. მართალია, მძიმე მრეწველობამ მთლიანად ვერ მიაღწია ხუთწლედში თავდაპირველად დადგენილ დონეს, მაგრამ მიუხედავად ამისა წარმატებები მაინც გრანდიოზული იყო. სამრეწველო წარმოება ომამდელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში შეიქმნა საკუთარი მძიმე მრეწველობა, ქვანახშირის, მეტალურგიული ბაზა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ძველი მეტალურგიული ქარხნები. აიგო ორი ახალი მეტალურგიული გიგანტური ხასიათის კომბინატი „ოსტი“ წელიწადში 500 ათასი ტონა თუჯის წარმოების სიმძლავრისა, რომელიც მუშაობს საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებულ რკინის მადანზე და „ვესტი“ კალბეში, ესაა პირველი მეტალურგიული ქარხანა, სადაც პირველად მსოფლიოში გამოყენებულ იქნა გდრ-ის მეცნიერების მიერ შემუშავებული გამოდნობის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოიყენონ ღარიბი რკინის მადანი. ამ კომბინატის მუშაობის წყალობით აღმოსავლეთ გერმანია გათავისუფლდა დასავლეთ გერმანიაში თუჯის შესყიდვის აუცილებლობისაგან. მეცნიერთა კოლექტივმა შეიმუშავა მურა ნახშირიდან კოქსის მიღება, რომელიც მანამდე დასავლეთ გერმანიიდან შემოჰქონდათ. ეს უკანასკნელი ხშირად განზრახ შლიდა აღმოსავლეთ გერმანიისათვის კოქსის მიწოდებას, რათა ქვეყნის ეკონომიკაში სიძნელეები გამოეწვია. პირველ ხუთწლედში აიგო ახალი გემთსაშენი ქარხნები. 1952 წელს ქალაქ როსტოკში აიგო პირველი საოკეანო სავაჭრო გემი.

ახალი კომბინატების აგებისა და ძველის მოდერნიზაციის შედეგად გდრ-ში თუჯის გამოდნობა ხუთწლედში 4.5-ჯერ გაიზარდა, ფოლადის

გამოდნობა 2,5-ჯერ, ნაგლინისა—44%-ით გადიდდა. მნიშვნელოვნად შემცირდა დისპროპორციები მრეწველობაში.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოებამ ხუთწლედის ბოლოს 66%-ით ვადააჭარბა ომამდელს, შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის ბოლოს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 47%-ით, რომლის ხარჯზე მიიღეს სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 62%.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ხუთწლედში 25%-ით გადიდდა, ხოლო ომამდელთან შედარებით ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა 1/5 მაღალი იყო. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში თუ შეადგენდა 1950 წელს 5,7%-ს, 1955 წლისათვის იგი 27,3%-მდე გადიდდა. სახელმწიფო თითქმის მთლიანად უწევდა კონტროლს საბითუმო ვაჭრობას. საცალო საქონელბრუნვა ნაცვლად კეგმით გათვალისწინებული 59%-ისა 83%-ით გაიზარდა. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 3-ჯერ გადიდდა, რომლის 3/4 სოციალისტურ ქვეყნებზე მოდიოდა.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხთა მასების მატერიალური მდგომარეობა. მოხმარების საგნებზე ფასები შემცირდა 32%-ით, ცხოვრების ღირებულება 37,8%-ით, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ნაცვლად კეგმით გათვალისწინებული 116%-სა გაიზარდა 144%-ით.

1955 წლის 20 სექტემბერს საბჭოთა კავშირსა და გდრ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით გამოცხადდა, გდრ-მა მთლიანი სუვერენიტეტი მიიღო თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტაში, როგორიცაა ორივე გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების საკითხი. ხელშეკრულება აცხადებდა ორივე ქვეყნის თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, სუვერენიტეტის და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს.

§ 12.. გდრ 50-80 წლებში

გარდაქმნების ფორმები

50-იანი წლების შუა პერიოდში, განსაკუთრებით 1956—1957 წლებში დაიწყო წვრილი და კაპიტალისტური წარმოების სოციალისტურ ყაიდაზე თანდათანობით და მშვიდობიანი გარდაქმნის გზების გამონახვა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის 25-ე ყრილობაზე (1955 წ. თებერვალში) პირველად განიხილეს სახელმწიფოს მო-

ნაწილეობის საკითხი კერძო კაპიტალისტურ საწარმოებში. 1956 წლის თებერვალში დაბრკოლებების და შეზღუდვების თავიდან აცილების მიზნით რვა კერძო საწარმოს მეწარმეებმა სურვილი გამოთქვეს იმაზე, რათა სახელმწიფო გამხდარიყო მათი საწარმოების თანამფლობელი. ამის შემდეგ იქმნებოდა შერეული, ნახევრად გასახელმწიფოებრივებული კერძო კაპიტალისტური საწარმოები, სადაც ფართოდ ინერგებოდა ახალი მანქანები და მოწყობილობები, რომლის შედეგად პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ხელოსნების საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანების დროს იქმნებოდა ორი ტიპის კოოპერატივი. პირველი ტიპის კოოპერატივში გაერთიანებული იყო მხოლოდ შრომა, საწარმოო საშუალებანი კი ხელოსნის საკუთრებაში რჩებოდა; კოოპერატივის შემოსავლის ნახევარი მიდიოდა მანქანებისა და ნედლეულის შესასყიდად, დანარჩენი ნაწილდებოდა შრომადღეების მიხედვით.

მეორე ტიპის გაერთიანებაში შემოსავალი ნაწილდებოდა შრომა დღეების მისედვით. წარმოების საშუალებანი კოოპერატივის ხელში გადადიოდა. პირველი ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ათავისუფლებდა ხელოსნების კოოპერატივებს ყოველგვარი გადასახადებისაგან და აძლევდა შეღავათებს კრედიტის მიღებაში.

ვაჭართა ფენებს ეძლეოდათ შესაძლებლობა საკომისიო ხელშეკრულებების დადებისა სახელმწიფო საბითუმო დაწესებულებებთან. ვაჭრებიც თავისუფლდებოდნენ სავაჭრო ბრუნვისა და საწარმოო გადასახადებისაგან. თავისი შრომისათვის ვაჭრები იღებდნენ სავაჭრო ბრუნვისაგან საკომისიოებს 6-8%-ის ოდენობით. 50-იანი წლების დასაწყისში დაიწყო სოფლის ინდივიდუალური გლეხთა და კულაკთა მეურნეობების სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის ფორმების და მეთოდების შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება იგი ითვალისწინებდა მიწაზე კერძო საკუთრების შენარჩუნებას. რეკომენდებული იყო გლეხთა სამი ტიპის საწარმოო კოოპერაციული მეურნეობების შექმნა. პირველი ტიპის კოოპერატივში საერთო სარგებლობაში მხოლოდ მიწა გადადიოდა, რაც შეეხება მანქანებს. გამწევ ძალას და ა. შ. რჩებოდა ინდივიდუალურ საკუთრებაში: შემოსავლის 60% შრომადღეების მიხედვით ნაწილდებოდა, დანარჩენი კი კოოპერატივში შეტანილი მიწისა და ინვენტარის მიხედვით. მეორე ტიპის კოოპერატივში წევრების საერთო გამოყენებაში გადადიოდა სოფლის მეურნეობის მანქანები და გამწევი საქონლის ნაწილი; შემოსავლის 70% შრომადღეებზე ნაწილდებოდა. მესამე ტიპის კოოპერატივებში ერთად იყენებდნენ მიწასა და ინვენტარსაც, შემოსავლის 80%-ის განაწილება შრომადღეების მიხედვით ხდებოდა. ამრიგად, სოფლად იქ-

მნებოდა გარდამავალი ეტაპის დაუმთავრებელი სოციალისტური ტიპის საწარმოო ურთიერთობანი. ამრიგად, მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის უკვე შემუშავდა კერძო კაპიტალისტური სექტორის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის მცდარი ფორმები.

1956 წლის მარტში ბერლინში შედგა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III კონფერენცია, რომელმაც მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა (1956—1960 წწ.), რომლითაც სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა უნდა გაზრდილიყო 55%-ით. მეორე ხუთწლიან გეგმაში ახალი ის იყო, რომ მისი ძირითადი მაჩვენებლები კოორდინირებული იყო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხანგრძლივვადიანი სახალხო მეურნეობის გეგმებთან. მეორე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის ბრძოლა. გეგმა ითვალისწინებდა სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის გაზრდას მრეწველობაში (90%-ით), სოფლის მეურნეობაში და ვაჭრობაში, მშრომელთა მასების ცხოვრების დონის ამაღლებას და კულტურული რევოლუციის შემდგომ განხორციელებას.

ხუთწლედის კაპიტალური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტები იყო მურა ნახშირის („შვარცე პუმპე") კომბინატის მშენებლობა როსსენდორფში (დრეზდენთან). ეს უკანასკნელი აშენდა უკვე 1957 წელს საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით.

დროებითი სიძნელეები და მათი დაძლევა. III ხუთწლიანი გეგმის შედეგები

1954 წლის პარიზის შეთანხმების რატიფიკაციის, გფრ-ის ნატოს შემადგენლობაში შესვლის და მასთან დაკავშირებით ბუნდესვერის შექმნის საპასუხოდ 1956 წლის 18 იანვარს სახალხო პალატამ მიიღო კანონი ეროვნული სახალხო არმიის შექმნის შესახებ. თავდაცვის მინისტრად დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ვილი შტოფი. გდრ-ის ჯარები შევიდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

1956 წელს გდრ სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, რომელიც ერთი მხრივ გამოწვეული იყო საერთაშორისო დაძაბული ვითარებით, რომელმაც უარყოფითი შედეგები გამოიღო აღმოსავლეთ გერმანიისათვის და მეორე მხრივ, შიდა-პოლიტიკური მიზეზებით.

1956 წლის შემოდგომაზე გამოსვლებმა უნგრეთში და ამასთან

დაკავშირებით პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებამ პოლონეთში დროებით დაარღვია გდრ-ის კავშირი ამ ქვეყნებთან. კერძოდ, შეწყდა პოლონეთის ქვანახშირის მიწოდება გდრ-ში, რის შედეგად გაძნელდა რიგი საწარმოების ნორმალური მუშაობა. ამას ზედ დაერთო მკაცრი ზამთარი და ყოველივე ამასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯები. გდრ-შიც დაწყო გამალებული შეიარაღების ზრდა, რამაც დამატებით სახსრები მოითხოვა აგრეთვე არმიის გაძლიერებისათვის.

ქვეყნის შიგნითაც გამოცოცხლდნენ ოპოზიციური ელემენტები, განსაკუთრებით იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს შორის. პარტიის III კონფერენციის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გაილაშქრეს შირდეკან-ვოლვებერ-ცილერის ჯგუფმა. კარლ შირდეკანი პარტიის ცკ-ის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი იყო, ერნსტ ვოლვებერი გდრ-ის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გერჰარდ ცილერი პარტიის ცკ-ის მდივანი. ამ ჯგუფს არ აშინებდა გფრ-ის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით ახლად შექმნილი სიტუაცია, მოითხოვდა სოციალისტური მშენებლობის ტემპების შენელებას და სთვლიდა, რომ ასეთი გზით შეიძლებოდა დასავლეთის ქვეყნებიდან დათმობების მიღწევა გერმანიის გაერთიანების საქმეში. ის აყენებდა სოციალისტური გარდაქმნების სტრუქტურულობის თეორიას, მისი განვითარების ტემპების შენელებას იმ მიზნით, რომ არ გაღრმავებულიყო უფსკრული გერმანიის ორივე სახელმწიფოს შორის გაერთიანების საქმეში. ამ ჯგუფის შეხედულებანი პარტიამ უარყო. მაგრამ ამ ჯგუფმა არ სცნო პარტიის კრიტიკა და ისევ ძველ შეხედულებებზე დარჩა. ეს ჯგუფი ილაშქრებდა პარტიის ცკ-ის ოცდამეათე პლენუმის (1956 წლის 1.1-1.11). განცხადების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ პირობით, თუ გფრ-ში გატარდება დემოკრატიული გარდაქმნები და თუ მის საზოგადოებრივ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს ის ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მშვიდობის შენარჩუნებისა და ურთიერთგაგების საქმეში.

აღნიშნული დაჯგუფება პარტიის ცკ-ის პლენუმმა გარიცხა ცენტრალური კომიტეტიდან.

ფილოსოფოსმა ბლოჰმა გაილაშქრა მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი რევიზია. ინტელიგენციის ერთი ნაწილი მიემხრო ამ ოპოზიციონერებს და გამოვიდა პარტიული ჩარევის წინააღმდეგ მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. 1956 წლის ოქტომბერში ბერლინში შეიქმნა სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფების არალეგალური ცენტრები, რომელთაც თავისი მომხრეები ჰყავ-

დათ მრავალ სამრეწველო დაწესებულებასა და რიგ ქალაქში. იყო ცდები მთავრობის საწინააღმდეგო სტუდენტთა დემონსტრაციების მოწყობისა, რათა შემდეგ იგი აჯანყებაში გადაზრდილიყო. დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა ინტერვენციის მოწყობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გდრ-ის მთელ რიგ ქალაქებში გაფიცვებისა და აჯანყებების მოწყობას, ახალი მთავრობის შექმნას და ნატოს ქვეყნებისათვის დახმარების თხოვნას. ამ მიზნით დასავლეთის დაზვერვამ აღმოსავლეთ გერმანიაში აამოქმედა გდრ-ის მოწინააღმდეგენი.

ჰარიპას ჯგუფი მაგალითად. ქვეყნის ოპოზიციური ძალების და უცხოეთის მხარდაჭერით შეეცადა გამოსვლების მოწყობას და მოითხოვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია ჩამოეშორებინათ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან, გდრ-ს შეეცვალა თავისი ორიენტაცია, ე. ი. გაეწყვიტა კავშირი საბჭოთა კავშირთან და დასავლეთის ორიენტაცია აეღო, მაგრამ ეს გამოსვლები უშედეგოდ დამთავრდა.

1959 წელს გდრ-ამ სამრეწველო განვითარებით მეორე ადგილი დაიკავა ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის, ხოლო საერთოდ ევროპაში მეექვსე ადგილზე გამოვიდა (სსრ კავშირის, ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა, საფრანგეთის და იტალიის შემდეგ) სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით. ხოლო ელექტროენერგიის წარმოების დონით ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. გდრ-ის ეკონომიკურ წარმატებებზე დადებით გავლენას ახდენდა შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში გდრ-ის მონაწილეობამ საშუალება მისცა მას განვითარებინა მრეწველობის ის დარგები, რომლის სათანადო პირობები იყო ქვეყანაში, კერძოდ, ენერგეტიკული, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ფართო მოხმარების საგნების წარმოება და ა. შ.

1960 წელს ძირითადად დამთავრდა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირება, რის შედეგად სოფლად გაიმარჯვა კოოპერატიულმა ურთიერთობამ. ყოფილმა კულაკებმა მიიღეს შესაძლებლობა შესულიყვნენ კოოპერატიულ მეურნეობებში, როგორც სრულუფლებიანი წევრები, მაგრამ მათ მიერ კოოპერატივებში ხელმძღვანელი ადგილების დაკავება შეიზღუდა. 1960 წელს კოოპერატივში შესულ 265 ათას ერთპიროვნულ გლეხთა შორის 14 ათასი მსხვილი გლეხთა მეურნეობა იყო, რომელთაც თითოეულს 20 ჰექტარზე მეტი მიწა ჰქონდა. სულ 23 ათასი ყოფილი კულაკი შევიდა კოოპერატივში, რომელთა

შორის ბევრი სოფლის მეურნეობის საქმის კარგი მცოდნე იყო და შემდეგ ხელმძღვანელი ადგილებიც კი დაიკავეს. ზოგიერთი ყოფილი კულაკი წინ აღუდგა კოოპერატიული მეურნეობების შექმნას და ცდილობდა ჩაეშალა იგი. მათ წინააღმდეგ მთავრობამ მასობრივი რეპრესიებს მიმართ.

შვიდწლიანი გეგმის მიღება, პარტიის ახალი პროგრამა. მართვისა და დაგეგმვის ახალ მეთოდებზე გადასვლა

პარტიის V ყრილობის (1958 წლის ივლისი) დირექტივების საფუძველზე შემუშავებულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. რომლის მთავარი ამოცანა იყო კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ლიკვიდაცია და სოციალისტური საწარმოო ურთიერთობათა მთლიანი გამარჯვება.

მეორე ხუთწლიანი გეგმით მის ორ უკანასკნელ წელზე (1959—1960 წწ). გათვალისწინებული დავალებანი, არა უბრალოდ ჩართეს შვიდწლიან გეგმაში, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდეს.

შვიდწლიანი გეგმა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა ენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის იმ დარგების განვითარებას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის მთელ სახალხო მეურნეობაში. შვიდწლედში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა დაწეოდა და გაესწრო დასავლეთ გერმანიისათვის ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების ოდენობის მიხედვით, რაც სრულიად არარეალური ამოცანა იყო და უფრო პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავდა.

მრეწველობის პროდუქციის საშუალო ყოველწლიური მატების ტემპი 1959—1965 წლებში უნდა ყოფილიყო 9,5%. ხოლო სამრეწველო წარმოება შვიდწლედის ბოლოსათვის 88%-ით უნდა გაზრდილიყო. სამრეწველო წარმოების თითქმის მთელი მატება შრომის ნაყოფიერების ხარჯზე უნდა მიღებულიყო.

იმ მოტივით რომ დასავლეთის სადაზვერვო ცენტრები დივერსიულ აქტებს აწყობდნენ გდრ-ის წინააღმდეგ 1961 წლის 13 აგვისტოს გდრ-ის შეიარაღებულმა ძალებმა მუშათა კლასის საბრძოლო ჯგუფებთან ერთად თავისი კონტროლი დაამყარეს გდრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის არსებულ ღია საზღვრებზე. გდრ-ის მთავრობის ეს გადაწყვეტილებანი შეთანხმებული იყო ვარშავის ხელშეკრულების სოციალისტურ ქვეყნებთან. ბრანდერბურგის კარებთან და ქალაქის მთელ სასაზღვრო ხაზზე რკინა-ბეტონის კედელი აღიმართა, რომლის

დაცვის სამსახურზე 250 ათასი კაცი ჩააყენეს. ბერლინის კედლის აგებამ გააღრმავა უფსკრული ორივე გერმანიას შორის და დაძაბა ვითარება ევროპაში.

1963 წლის იანვარში შედგა პარტიის VI ყრილობა. მან მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელმაც განსაზღვრა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების ძირითადი პრინციპები. გამოცხადდა, რომ ყრილობამ გადაწყვიტა ეკონომიკური პოლიტიკის ახალ პრინციპებზე გადასვლა და ეკონომიკური სტრუქტურა ისე გარდაექმნა, რომ უზრუნველეყო იმ დარგების განვითარება, რომელიც განსაზღვრავდა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. სახალხო მეურნეობის მმართველობის ახალ სისტემაზე გადასვლის მიხედვით უნდა გაზრდილიყო საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და მათი ეფექტური მუშაობის საზომად უნდა გამხდარიყო არა საერთო, არამედ სასაქონლო პროდუქცია, ხელფასის ფონდი, შრომის ნაყოფიერება და თვითღირებულება, მოგება, მატერიალური სტიმულირება, კაპიტალური დაბანდებანი, ახალი ტექნიკის დანერგვა. მაგრამ ყველაფერი ეს ქაღალდზე დარჩა. ეკონომიკის მართვა ისევ ბიუროკრატიის ხელში რჩებოდა.

სახელმწიფო მრეწველობის მართვის ძირითად ორგანოებად გადაიქცნენ ერთნაირი დარგის საწარმოთა გაერთიანებანი, რომლებიც გეგმავდნენ და წარმართავდნენ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოების განვითარებას. საწარმოთა გაერთიანებებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა პროდუქციის გამოშვებაზე და მის ხარისხზე.

შვიდწლიანი გეგმის შედეგები

გდრ-ის სახალხო მეურნეობა ვითარდებოდა ახალი კრედიტების გარეშე. პირიქით, მან დაიწყო საბჭოთა კავშირიდან ადრე მიღებული კრედიტების გადახდა. შვიდწლიანი გეგმის მიხედვით აიგო უმნიშვნელოვანესი, ევროპაში გიგანტური ელექტროსადგურები ლუბენაუში და ფეჩაუში, რომლებიც მურა ნახშირზე მუშაობდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ელექტროენერგიით ქვეყნის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი.

შვიდწლედში რეკონსტრუირებულ იქნა მეტალურგიული კომბინატი „ოსტი“, ნახევარგამტარების ქარხანა ოდერის ფრანკფურტში, ქიმიური კომბინატი „ლეინა 11“ და ა. შ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გდრ-ის სახალხო მეურნეობისათვის „ნავთსადენ მეგობრობის“ უკანასკნელ პუნქტში ოდერის შვედტეში აგებულ უდიდეს ნავთობის გადამამუშავებელ კომბინატს.

1965 წელს გდრ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობამ თითქმის 4,3-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1950—1964 წლებში სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური მატების ტემპმა 10% შეადგინა. განსაკუთრებით ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფდნენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, კერძოდ ელექტროენერგეტიკის, ქიმიური და მანქანათმშენებლობის მრეწველობა. 1965 წლისათვის აღნიშნული დარგების ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოებაში 51%-ზე მეტს შეადგენდა. 1965 წლისათვის ქვეყანაში 2,7-ჯერ მეტი ელექტროენერგია იქნა გამომუშავებული, ვიდრე 1950 წელს. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებით გდრ-მა გაუსწრო გფრ-სა და საფრანგეთს და მეექვსე ადგილზეა ევროპაში. ილუსტრაციისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ გდრ უფრო მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს ვიდრე ჰოლანდია, ბელგია, დანია და ფინეთი ერთად აღებული.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გდრ-ის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოებაში, მოსავლიანობის ზრდაში და ა. შ. წარმატებებმა მრეწველობაში უზრუნველყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე გადასვლა. 1965 წელს სოფლად მუშაობდა 124,3 ათასი ტრაქტორი, 14.5 ათასი კომბაინი და ა. შ. 1965 წლისათვის საკუთარი რესურსებით იფარებოდა ქვეყნის მოთხოვნა ხორცზე 96,6%, კარაქზე 90,3% და ა. შ.

ოფიციალური მონაცემებით, შვიდწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა მასების მატერიალური და კულტურული დონე.

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობამ, რომელიც 1967 წლის აპრილში შედგა, მიიღო „პერსპექტიული გეგმა 1970 წლამდე". იგი მოიცავდა 1966—1970 წლებს.

აღნიშნულ პერიოდში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 22%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

1971 წლის 3 მაისს შედგა პარტიის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც დააკმაყოფილა ვ. ულბრიხტის თხოვნა ხანდაზმულობის გამო ცკ-ის პირველი მდივნობიდან მისი განთავისუფლების შესახებ. მისი დამსახურების ნიშნად ვ. ულბრიხტი აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ[1].

---

[1] 1960 წლის სექტემბერში ვ. პიკის გარდაცვალების შემდეგ პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი გახდა ვ. ულბრიხტი. სახალხო პალატამ გააუქმა პრეზიდენტის პოსტი და მისი ფუნქციები გადავიდა სახელმწიფო საბჭოს ხელში, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ულბრიხტი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს ერიჰ ჰონეკერი.

1973 წლის პირველ აგვისტოს გარდაიცვალა ვ. ულბრიხტი. 3 ოქტომბერს გდრ-ის სახალხო პალატამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ვ. შტოფი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი ჰორსტ ზინდერმანი.

გდრ-ში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახალხო განათლების სისტემის სრულყოფის საქმეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო სახალხო პალატის მიერ 1965 წელს მიღებული კანონი განათლების ერთიანი სისტემის შემოღების შესახებ, რომელიც მოიცავდა სწავლების ყველა ეტაპს სკოლამდელიდან დაწყებული უმაღლესი სკოლით დამთავრებული. ამ კანონის საფუძველზე ერთმანეთთან შერწყმულია ზოგადი და სპეციალური სწავლება. უმაღლესი განათლების დარგში გატარდა სამი ოეფორმა. მესამე რეფორმის გატარების პროცესში განხორციელდა უმაღლესი სკოლის რეორგანიზაცია, შემუშავდა სასწავლო გეგმები მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში, რომელიც ძალაში შევიდა 1969 წლის სექტემბრიდან.

1969/70 სასწავლო წლიდან შეიქმნა 10 საინჟინრო უმაღლესი სასწავლებელი, სტუდენტთა საერთო რაოდენობა 122 ათას კაცამდე გაიზარდა. გაიზარდა კვლევითი მოღვაწეობის კოოპერირება. ხელშეკრულებების საწყისებზე უმაღლეს სასწავლებლებსა და მრეწველობას შორის კვლევითი პოტენციალი გადაჯგუფდა და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა კვლავწარმოების საზოგადოებრივ პროცესს.

ჯერ კიდევ 1971 წლის დეკემბერში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება კერძო და ნახევრად-სახელმწიფო საწარმოებისა და სახელმწიფო კოოპერატივების შესყიდვის შესახებ. 1972 წლის განმავლობაში შესყიდულ იქნა 11 ათასი წვრილი და საშუალო საწარმო, სადაც 0,5 მლნ მუშა მუშაობდა. ამ საწარმოების მფლობელთა დიდი ნაწილი (85%) გახდა შესყიდული საწარმოების დირექტორი. კერძო საწარმოები რჩებოდა მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში, მაგრამ შემდგომ წლებში ესენიც შეისყიდა სახელმწიფომ. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდა კაპიტალისტური ურთიერთობის ლიკვდაციას. მაგრამ, მან უარყოფითი გავლენა მოახდინა მასობრივი მოხმარების საგნების წარმოებაზე.

1974 წელს განხორციელდა შვებულების მინიმალური ხანგრძლივობა 15 დღიდან 18 დღემდე, გაეზარდათ ხელფასი ზოგიერთი კატეგორიის მშრომელებს. სუფთა ფულადი შემოსავალი 4.8%-ით გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო დახმარება—7%-ით.

1972 წლის აპრილში გაეზარდა პენსიები და სოციალური უზრუნველყოფის სხვა გადასახადები 3,9 მილიონ მოქალაქეს, გაუმჯობესდა მცირეწლოვან ბავშვთა დედების, ახლად დაქორწინებულების მდგომარეობა, შემცირდა ბინის გადასახადები მუშებისათვის, გადაწყდა ბინის ქირის ხელფასის შესაბამისობაში მოყვანა. 1974 წლის ოქტომბერში ძალაში შევიდა ცვლილებები და დამატებები 1968 წლის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის VI მუხლში ნათქვამია, რომ გდრ-„სამარადისოდ და შეუქცევადად არის დაკავშირებული სსრ კავშირთან და წარმოადგენს სოციალისტური სისტემის შემადგენელ ნაწილს“.

1976 წლის მაისში შედგა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა გდრ-ის სახალხო მეურნეობის განვითარების დირექტივები 1976—1980 წლებისათვის. გეგმით გათვალისწინებული იყო 1980 წლისათვის ეროვნული შემოსაელის გაზრდა 27—30%-ით, შრომის ნაყოფიერებისა მრეწველობაში—30—32%-ით, მოსახლეობის სუფთა ფულადი შემოსავალი—20—22%-ით.

IX ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შშენებლობის პრინციპები. ამ ყბადაღებულმა და გერმანელი ხალხის ერთობის წინააღმდეგ მიმართულმა პროგრამამ, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანელი ერის დაყოფის ფილანტროპიულ ე. წ. თეორიულ დასაბუთებას და ამით გათიშულობის დასამარებას, გამოიწვია ორივე გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენის საყოველთაო აღშფოთება.

პროგრამაში მითითებულია, რომ „გდრ-ში სოციალისტური გერმანელი ერი ვითარდება როგორც ანტაგონისტური წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი ერი, იგი სტაბილურია მეგობრული კლასების გაერთიანებით, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და მისი მარქსისტულ-ლენინური პარტია. ერთიანი გერმანიისა და ერთიანი გერმანული ერის შექმნა შეუძლებელია იმის გამო, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებობს სხვა გერმანელი ერი — ბურჟუაზიული. ამასთანავე, გდრ-ის ხალხმა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ააგო სოციალიზმი, რითაც განახორციელა თავისი სოციალურ-ეკონომიკური, სახელმწიფო და ეროვნული თვითგამორკვევის უფლება“.

IX ყრილობამ პარტიის ცკ-ის გენერალურ მდივნად კვლავ ე. ჰონეკერი აირჩია. 1976 წელს ე. ჰონეკერი აირჩიეს. აგრეთვე, გდრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა ვილი შტოფი.

გდრ-ის სოფლის მეურნეობა ხასიათდება ინტენსიურობისა და მექანიზაციის მაღალი დონით, წარმოების სპეციალიზაციით. 1984 წ. გდრ-ში იყო 1229 მემცენარეობისა და 3335 მეცხოველეობის სოფლის მეურნეობის კოოპერატივი, სახალხო მამულები და წვრილკოოპერატიული გაერთიანებები. 1985 წ. მიღებულია 11,6 მლნ ტონა მარცვლეული. ამავე წელს მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 46 ცენტნერს 1 ჰექტარზე (1981—1985 წწ.), კარტოფილისა—256 ცენტნერს (1981—1985 წწ.), საშუალოდ 249 ცენტნერს 1 ჰექტარზე, შაქრის ჭარხლისა—316 ცენტნერს 1 ჰექტარზე. 1985 წ. ქვეყანაში იყო მსხვილფეხა საქონელი—5,8 მლნ სული, აქედან 2 მლნ-მდე ძროხა; 13,2 მლნ ღორი, 2,5 მლნ ცხვარი. ქვეყანა მთლიანად უზრუნველყოფილია ხორცით, რძით, კვერცხით.

მაგრამ გდრ განზე დარჩა იმ ტექნოლოგიური ბუმისაგან, რომელიც დაკავშირებულია საყოველთაო ელექტრონულ ცივილიზაციასთან და იწყო ჩამორჩენა თავისი განვითარების ტემპებით დასავლეთ გერმანიისაგან. ამის შედეგი იყო განვითარების ტემპების დაცემა და მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუარესება, მათი უკმაყოფილების ზრდა და მასობრივი გამოსვლები არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო არსებითი გარდაქმნების განხორციელება, მაგრამ რეფორმების განხორციელების აუცილებლობა ვერ შეიგნო ჰონეკერმა. მან ისიც კი განაცხადა— „მეზობელი თუ თავის სახლში რემონტს აკეთებს, ეს არ ნიშნავს რომ შენც უნდა გააკეთო“.

საგარეო პოლიტიკა

გდრ-ის შექმნის პირველივე დღიდან სცენეს და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა. 1950 წელს გდრ მიიღეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში.

1950 წელს, როდესაც დასავლეთ სახელმწიფოებმა აშკარად აიღეს გფრ-ის რემილიტარიზაციის კურსი, ამის საპასუხოდ გდრ-ის მთავრობამ შეიმუშავა გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა იმას, რომ არ დაეშვა გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი ნატოს ბლოკში ჩაბმა. პარიტეტულ საწყისებზე შეექმნათ საერთო გერმანული დამფუძნებელი საბჭო, საერთოგერმანული დროებითი მთავრობის შექმნის მოსამზადებლად. 1951 წელს გდრ-ის მთავრობამ წამოაყენა წინადადება ეროვნული კრების თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ. გფრ-ის მთავრობა თანახმა

იყო საყოველთაო არჩევნების ჩატარებაზე მხოლოდ საზღვარგარეთის და, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის სახელმწიფოების კონტროლით, რაც ამ პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა იქნებოდა. მაგრამ გდრ-ის მთავრობამ განაცხადა, რომ ასეთი სახით არჩევნების ჩატარება თითქოს მათ შინაურ საქმეებში ჩარევას გამოიწვევდა. საბჭოთა მთავრობამ გდრ-ის შექმნის შემდეგ აღნიშნა, რომ გერმანიის გაერთიანება თვით გერმანელების საქმეა. გდრ-ის მთავრობამ დემაგოგიური მიზნით არაერთხელ მიმართა ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს წინადადებით, რათა დაეჩქარებინათ სამშვიდობო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან. გდრ-ის მთავრობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობის მიერ 1952 წლის 4 მარტს წამოყენებულ სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტს. 1954 წელს ბერლინში, ხოლო 1955 წელს ჟენევაში მიმდინარე საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დროს გდრ-ის მთავრობამ კვლავ წამოაყენა წინადადება გერმანიის გაერთიანების შესახებ ორივე გერმანიაში საყოველთაო არჩევნების ჩატარების გზით, მაგრამ საზღვარგარეთის კონტროლის გარეშე. როდესაც გფრ შეერთიანდა ნატოში, გდრ გახდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი, მაგრამ მას უფლება ეძლეოდა ერთიანი დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში გამოსულიყო ვარშავის ორგანიზაციიდან.

გფრ-ის ნატოში შესვლისა და პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ გერმანიაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ამის შემდეგ გდრ-ის მთავრობამ 1957 წელს გერმანიის საკითხზე შეიმუშავა ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ორივე გერმანული სახელმწიფოს განვითარებაში არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების შექმნის გამო მათ შორის მშვიდობიანი თანარსებობის პოლიტიკის გატარებას. თავისუფალი არჩევნების გზით გერმანიის გაერთიანების საკითხი, რომლის ჩატარების შემთხვევაში გდრ-ი აშკარად დამარცხდებოდა, მოიხსნა დღის წესრიგიდან. ამის ნაცვლად გდრ-ის მთავრობამ წამოაყენა ორი გერმანული სახელმწიფოს თანდათანობითი დაახლოების უბადალებული გეგმა. ეს უნდა ყოფილიყო საერთო გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნა საერთაშორისო ხელშეკრულების ბაზაზე. ამ მიზნით პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების დადება გერმანიის ტერიტორიაზე ატომური იარაღის წარმოებისა და შენახვის აკრძალვაზე, ორივე სახელმწიფოს გამოსვლა სამხედრო ბლოკიდან, სამხედრო ვალდებულებების გაუქმება და ა. შ.

1961 წელს გდრ-ის სახალხო პალატამ მიიღო გერმანიის მშვიდობის გეგმა, რომლის მთავარ ამოცანას გფრ-ის რემილიტარიზაციის გა-

მო თითქოს წარმოადგენდა ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან დემოკრატიული სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. გდრ-ის მთავრობა მოძველებულ წლებშიც, უფრო პროპაგანდისტული მიზნებით, აყენებდა გფრ-თან ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის მოთხოვნებს ორ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე. გფრ-ის მთავრობა სრულიად სამართლიანად უარს ამბობდა ეკნო გდრ-ის საერთაშორისო უფლებრივობა, პრეტენზიებს აცხადებდა მთელი გერმანიის წარმომადგენლობაზე, აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ ახორციელებდა მისი გფრ-თან ძალით შერწყმის კურსს. ამ მიზნით გფრ ფართოდ იყენებდა დასავლეთ ბერლინის ტერიტორიას. გფრ-თან შეერთების მომხრედ გამოდიოდნენ გდრ-ის მოსახლეობის ფართო ფენები. ამის საპასუხოდ გდრ-ის მთავრობამ 1961 წლის აგვისტოში დასავლეთ ბერლინის ირგვლივ აღმართა ბეტონის მაღალი კედელი, გერმანიის გათიშვის სიმბოლო.

გდრ-ის მმართველი წრეების მიერ ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება. გდრ-ის შექმნის პირველივე დღიდან საბჭოთა კავშირი მას ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას უწევდა. სსრ კავშირმა 1950 წელს 50%-ით შეამცირა გდრ-დან მისაღები სარეპარაციო გადასახადი, ხოლო 1953 წელს კი მთლიანად გაუქმა იგი და უარი ამბა გდრ-ს გადასცა მის ტერიტორიაზე არსებული რეპარაციების ანგარიშზე კონფისკებული ფაშისტთა სამხედრო საწარმოები. 1955 წელს დაიდო „სსრ კავშირსა და გდრ-ს შორის ურთიერთობის ხელშეკრულება“, რომლითაც გდრ-მა მიიღო შეუზღუდველი სუვერენული უფლებები, გაუქმდა უმაღლესი კომისრის აპარატი და მის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება. 1964 წლის ივლისში სსრ კავშირსა და გდრ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ.

გდრ-ის მთავრობა სისტემატურ ბრძოლას აწარმოებდა მისი საერთაშორისო-უფლებრივი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოდ ცნობისათვის. 1969 წლის 17 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა გფრ-ის პრეზიდენტს გ. ჰაინემანს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გერმანულ სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის საჭიროა ურთიერთობის ფორმირება საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო უფლებრივი ნორმების საფუძველზე. მიმართვასთან ერთად გაიგზავნა სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებული პროექტი „ხელშეკრულების თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ გდრ-სა და გფრ-ს შორის“.

1970 წლის 19 მარტს, შემდეგ კი მაისში, გდრ-ის ინიციატივით, ჰოეწყო შეხვედრა გფრ-ის კანცლერ ვ. ბრანდტსა და გდრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფს შორის. ეს შეხვედრები ოცი წლის განმავლობაში პირველი იყო ორივე გერმანული სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შორის მარტში ერფურტში (გდრ), მაისში კასელში (გფრ). ვ. შტოფმა განაცხადა, რომ გდრ მზად არის სასწრაფო წესით ჰოამზადოს და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას თანასწორუფლებიანი ურთიერთობის შესახებ, ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის. ამ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შორის შეხვედრები მოეწყო აგრეთვე 1970 წლის ნოემბრის ბოლოს ბერლინსა და ბონში.

საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს შორის 1970 წლის აგვისტოში დადებულ შეთანხმებას, ომის შემდგომ დადგენილი საზღვრების ცნობის შესახებ და ოთხმხრივ შეთანხმებას (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი), რომელიც 1971 წლის სექტემბერში დაიდო დასავლეთ ბერლინის შესახებ, გდრ-ის მთავრობა მიესალმა მას, ვინაიდან იგი ახანგრძლივებდა მის არსებობას. ამ ხელშეკრულების დადებისას აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა პირველად, ვალდებულებების სახით აღნიშნეს გდრ-ის, ცნობის შესახებ. გდრ, გფრ და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც გდრ-ის ინიციატივით 1971 წლის გაზაფხულზე დაიწყო, დეკემბერში დამთავრდა მათ შორის შეთანხმების დადებით სამოქალაქო პირების და ტვირთის სატრანზიტო მიმოსვლის შესახებ დასავლეთ ბერლინსა და გფრ შორის. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 1972 წლის 3 ივნისს.

1972 წლის 26 მაისს ბერლინში, გდრ-ის ინიციატივით გფრ-თან დაიდო სატრანსპორტო შეთანხმება. ეს არის პირველი სახელმწიფო შეთანხმება გდრ-სა და გფრ-ს შორის.

1972 წლის 21 დეკემბერს ბერლინში გდრ-სა და გფრ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ. ეს ხელშეკრულება შემობრუნების პუნქტია ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში. იგი ძალაში შევიდა 1973 წლის 21 ივნისს ორივე ქვეყნის პარლამენტის მიერ რატიფიკაციის შემდეგ. ხელშეკრულება აგვარებდა ამ ორ ქვეყანას შორის როგორც სუვერენულ სახელმწიფოების ურთიერთობას, სცნობდა ორივე გერმანული სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორუფლებიანობას. მათ დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას.

1973 წელს გდრ მიღებულ იქნა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში, ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოში, ხოლო 18 სექტემბერს იგი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. 1973 წელს მიმდინარეობდა გდრ-ის ურთიერთობა

ნორმალიზაცია კაპიტალისტურ ქვეყნებთან. დიდმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა და მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ სცნო გდრ, დაამყარა მასთან დიპლომატიური, სავაჭრო, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობა. 1974 წლისათვის გდრ დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან. 1974 წლის 14 მარტსა და ივნისში ვენაში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გდრ და გფრ შორის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ აკრედიტირებული იქნენ მათი მუდმივი წარმომადგენლები სახელმწიფოს მეთაურებთან.

ამრიგად ,ამ ორ გერმანულ სახელმწიფოებს შორის თანასწორუფლებიანობისა და სუვერენული უფლებების საფუძველზე დამყარდა დიპლომატიური და სხვა სახის ურთიერთობანი.

საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობაში გდრ ახორციელებდა ინტენსიურ საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას დაძაბულობის შენელების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მომზადებასა და გატარებაში. თათბირის პირველი ეტაპის დროს გდრ-ის და უნგრეთის წარმომადგენლებმა შეიტანეს ერთობლივი დოკუმენტის პროექტი თანამშრომლობის განვითარების შესახებ ეკონომიკის, ვაჭრობის, მეცნიერების, ტექნიკის, გარემოს დაცვის საკითხებში. გდრ მონაწილეობდა ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების, შეიარაღების შემცირების შესახებ და სსრ კავშირთან, პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან ერთად მან შეიტანა შეთანხმების ერთობლივი კონკრეტული პროექტი.

გდრ-ის მთავრობის ხელმძღვანელები ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებისათვის აწყობდნენ ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებს. მონაწილეობდნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა ყრილობებ-ს, კონფერენციების და სხვა მნიშვნელოვანი ფორუმების მუშაობაში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიებსა და სხდომებში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებსა და შეხვედრებში და ა. შ.

გდრ ახდენდა თავისი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინაციას სოციალისტურ ქვეყნებთან უპირველეს ყოვლისა. საბჭოთა კავშირთან, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. 1975 წლის 7 ოქტომბერს მოსკოვში საბჭოთა კავშირმა და გდრ-მა ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას მეგობრობისა, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, ხოლო 1979 წ.—პროგრამას ამ ორი ქვეყ-

ნის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ. მაგრამ ყველა ეს შეთანხმება პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა და ფაქტობრივად ქაღალდზე დარჩა. 1984 წ. ოქტომბერში სსრ კავშირმა და გდრ-მა ხელი მოაწერეს, ბერლინში გდრ-ის 35 წლისთავის ზეიმის დროს, ხანგრძლივვადიან პროგრამას—2000 წლამდე მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების დარგში თანამშრომლობის შესახებ—1986 წ. ივნისში მოსკოვში შემდგარ გდრ-სა და სსრ კავშირს შორის მთავრობათაშორისო კომისიის 38-ე სესიაზე ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ხელი მოაწერეს 19 შეთანხმებას თანამშრომლობაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებებით, ხოლო 39-ე სესიაზე ბერლინში (დეკემბერში) განისაზღვრა ღონისძიებანი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების 2000 წლამდე გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის საკითხებზე. 1986. წ. ნოემბერში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება პირდაპირი კავშირს დამყარების შესახებ გდრ-სა და სსრ კავშირის გაერთიანებებსა, კომბინატებსა და ორგანიზაციებს შორის და ერთობლივი კოლექტივების სპეციალისტების შექმნის შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო კოოპერაციებს შორის. აღნიშნული შეთანხმებების დადება ზარ-ზეიმის ვითარებაში ხდებოდა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოტყუებისათვის იყო გათვალისწინებული.

გდრ მონაწილეობდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში. 1985 წლისათვის გდრ-ის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა შეადგენდა 180 მლრდ სავალუტო მარკას, საიდანაც 119 მლრდ სოციალისტურ ქვეყნებზე მოდიოდა, მათ შორის საბჭოთა კავშირზე—15,2 მლრდ სავალუტო მარკა (1981 წ. მოდიოდა 10,7 მლრდ, 1982 წ. 12,2 მლრდ. 1983 წ. 13,4 მლრდ, 1984 წ. 14,8 მლრდ, 1985 წ. კი 15,2 მლრდ, 1986 წ. 15,5 მლრდ). გდრ-ის სახალხო მეურნეობისათვის ხელსაყრელი იყო ის, რომ 40% ექსპორტისა რეალიზებულია ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შესახებ.

მწვავე კონკურენციის პირობებში გდრ ყოველწლიურად აფართოებდა ვაჭრობას ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, როგორიცაა საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ავსტრია, იაპონია, შვეცია, ფინეთი, საბერძნეთი და ა. შ. ფართო სავაჭრო ურთიერთობა დამყარებული იყო ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის.

გდრ აუმჯობესებდა ურთიერთობას დასავლეთ ბერლინთან. 1983 წლის დეკემბერში გდრ-მა ხელი მოაწერა დასავლეთ ბერლინის

სენატთან ქალაქის რკინიგზის შესახებ. ეს რკინიგზა, რომელიც გდრ-ის საკუთრებაა, შეთანხმების მიხედვით გდრ-მა გადასცა სენატს ექსპლოატაციის უფლებით.

1985 წლის ივნისში გდრ-მა, ჩეხოსლოვაკიასთან ერთად, პროპაგანდისტული მიზნით წამოაყენა წინადადება ევროპაში ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ და ასეთი წინადადებით მიმართა გფრ-ის მთავრობას. გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა ბელგიის, დანიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის ელჩებს მიმართა, რათა მხარი დაეჭირათ მათ ამ წინადადებისათვის. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გფრ-ის სოციალ-დემოკრატიული პარტიას შორის მოლაპარაკების შედეგად 1986 წ. ოქტომბერში ორივე პარტიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი „ცენტრალურ ევროპაში უბირთვო კორიდორის შექმნის პრინციპების შესახებ“, რომელიც შემუშავდა „პალმეს კომისიის“ რეკომენდაციების საფუძველზე და ითვალისწინებდა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის უბირთვო ზონის შექმნას 150 კმ-ის სიგანით ორივე მხარის საზღვრიდან.

ყოველმხრივ ავითარებდა თავის ურთიერთობას გდრ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, ფართო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მათთან დამყარებული. ორმხრივ კონტაქტებს სხვადასხვა დონეზე მოჰყვა ურთიერთობის გაფართოება გდრ-სა და განვითარებად ქვეყნებს შორის სავაჭრო ეკონომიკურ და სხვა დარგებში—(კადრების მომზადება, კულტურული ურთიერთობის გაფართოება ალჟირთან, ეგვიპტესთან, ინდოეთთან, ერაყთან, ირანთან, იემენის არაბულ რესპუბლიკასთან, კამერუნთან, კოლუმბიასთან, ტუნისთან და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთან.

§ 13. 1989 წლის ამბები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

გდრ-ში 1989 წლის ზაფხულიდან მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებასთან დაკავშირებით, დაიწყო მოქალაქეების, ძირითადად საუკეთესო სპეციალისტების მასობრივი გადასვლა გფრ-ში, რაც აშკარა მაჩვენებელია გდრ-ში შექმნილი მძიმე ვითარებისა. ამავე დროს ქვეყანაში დაიწყო მასობრივი გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები. ასეთი დემონსტრაციები ეწყობოდა ყველა ძირითად ცენტრში, ზოგჯერ ეროსაც ხალხი მოითხოვდა არსებული რეჟიმის შეცვლას.

ე. ჰონეკერმა წერილობითი ბრძანება გასცა ესროლათ დემონსტრანტებისათვის ლაიფციგში — ეს აღიარეს დაზვერვის ყოფილმა ხელ-

მძღვანელმა მ. ვოლფმა და სხვებმა. ტრაგედიის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მაღალი რანგის ოფიცრებმა, რომელთაც ცივილიზებული პოზიცია დაიკავეს და უარი განაცხადეს ასეთი შემზარავი ბრძანების შესრულებაზე. ცნობა ჰონეკერის ბრძანების შესახებ სწრაფად გავრცელდა ქვეყანაში, რასაც მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები ბერლინში, მოთხოვნით, ე. ჰონეკერის გადადგომის შესახებ. 18 ოქტომბერს ჰონეკერი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ე. ჰონეკერის გადადგომის შემდეგ პარტიის გენერალური მდივანი გახდა ე. კრენცი, მაგრამ, 8 ნოემბერს, მასების ზეგავლენით, პარტიის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა გადადგა და ახალი შემადგენლობა აირჩიეს. 13 ნოემბერს მთავრობის მეთაურად აირჩიეს ჰ. მოდროვი. 2 დეკემბერს გდრ-ის სახალხო პალატის სესიამ გააუქმა პარტიის ხელმძღვანელი როლის მუხლი. 3 დეკემბერს პარტიის ცკ გადადგა, პარტიიდან გარიცხეს ე. ჰონეკერი და სხვა წევრები. 8—9 დეკემბერს, პარტიის საგანგებო ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს 41 წლის გ. გიზი. სპეციალობით ადვოკატი მაგრამ მოძრაობა პარტიის ლიკვიდაციისა და მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორებისათვის კვლავ გრძელდებოდა. მოძრაობის სათავეში იდგა ახალი ფორუმი. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია შემდეგ გადაიქცა პოლიტიკურ ორგანიზაციად.

გდრ-ის მოსახლეობის მოთხოვნით დაიწყო ბერლინის კედლის—ჟერმანიისა და ევროპის გათიშვის სიმბოლოს—ნგრევა. ამ კედელთან ერთად დაინგრა უნდობლობის, დოგმატიზმისა და ძველი გადმონაშთების რწმენა.

22 დეკემბერს ბერლინში გდრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰანს მოდროვმა და გფრ-ის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა ბერლინის ორივე ნაწილის ბურგომისტრებთან ერთად თავისუფალი მიმოსვლისათვის საზეიმო ვითარებაში გახსნეს ბრანდენბურგის კარიბჭე, რომელიც 200 წლის განმავლობაში ქალაქის სიმბოლო იყო. დამსწრე გერმანელები ოვაციებით შეხვდნენ ამ „ისტორიულ მომენტს“. ეს უკვე 24-ე გასასვლელია ბერლინის კედელში. 25 დეკემბრიდან საერთოდ გაუქმდა ვიზები ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის. კოლმა თქვა, რომ „ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა მის ცხოვრებაში“.

უკვე 1989 წლის მიწურულს 3—4 თვით ადრე დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება შორეული მომავლის საქმეა. 1990 წლის დასაწყისისათვის კი გერმანიის გაერთიანების საკითხი დღევანდელი პოლიტიკის დღის წესრიგში მოექცა.

გდრ 1989 წელსა და 1990 წლის დამდეგს ძალზედ სერიოზულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ერთი მხრივ, იმსხვრევოდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა და ხდებოდა დემოკრატიულ-ჰუმანიტარული ფასეულობის აღდგენა მეორე მხრივ კი იზრდებოდა ნეგატიური მოვლენები. 1989 წლის ზაფხულიდან დაწყებული კვალიფიციური მუშახელის ოჯახებითურთ აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში მუდმივ საცხოვრებლად მასობრივი გადასვლა არ ცხრებოდა და ჩვეულებრივ ხასიათს ატარებდა. ამის შედეგად რიგი ქარხნები და ფაბრიკები დაიხურა ან ნაწილობრივ მუშაობდა, რის გამოც დახურვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა საწარმოები. ასეთი ვითარება ყოველდღიურად აუარესებდა ხალხის მდგომარეობას, რაც კიდევ უფრო ზრდიდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის განწყობილებას. უმეტესობას ასეთი მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა გერმანიის სწრაფად გაერთიანება.

გდრ-ში არსებული ყველა გავლენიანი პარტია თუ პოლიტიკური ძალები გამოდიოდნენ გფრ-თან დაახლოების მომხრედ. მაგრამ თუ როგორი ტემპით ან ფორმით უნდა წარმართულიყო ეს გაერთიანება და, რაც მთავარია როგორი იქნებოდა მისი საბოლოო მიზანი, აქ არ იყო აზრთა შორის თანხმობა. დემოკრატიული სოციალიზმის პარტიას (ყოფილ ერთიან სოციალისტურ პარტიას ე. ი. კომუნისტებს), ეჩაჩნდა, რომ გერმანიის დაუყოვნებლივი გაერთიანება შეუძლებელია. რომ უნდა მომხდარიყო ეტაპობრივი დაახლოება ორი გერმანიისა გდრ-ის საქმეებში ჩაურევლად და მისი დამოუკიდებლობისათვის პატივისცემის გზით. საბოლოო ჯამში უნდა შექმნილიყო „პროგრესული, სოციალური, დემოკრატიული, ჰუმანური და თანმიმდევრობით ანტიფაშისტური გერმანია". რაც შეეხება გდრ-ში არსებულ სხვა პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს, მათი უმრავლესობა გფრ-ის კონცეფციების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

გფრ-ის წამყვან პოლიტიკურ ძალებს მიაჩნდათ, რომ უკვე არ არსებობდა გაერთიანების ხელშემშლელი ფაქტორები და მოითხოვდნენ გფრ-ის არსებული კონსტიტუციის უბრალოდ გავრცელებას გდრ-ზე.

იქმნებოდა საშიშროება, რომ ვიდრე დასავლეთისა და აღმოსავ-

ლეთის დაინტერესებული მხარეები შეთანხმდებოდნენ და იპოვნიდნენ ურთიერთ მისაღებ პირობებს, გერმანიის გაერთიანების პროცესი უფრო სწრაფად წავიდოდა წინ, ხოლო უშიშროების ძველი სტრუქტურები დაიშლებოდა. გერმანია თუ დაინტერესებული მხარეებთან წინასწარი შეთანხმებების გარეშე გაერთიანდებოდა, ევროპის ცენტრში შეიქმნებოდა სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო და ერთ მშვენიერ დღეს იგი წაუყენებდა ტერიტორიულ და სხვა სახის პრეტენზიებს მეზობელ სახელმწიფოებს. მოვლენების ასეთი მიმართულებით განვითარებას შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა. დიდი ბრიტნეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანება ისეთი ტემპებით უნდა მიმდინარეობდეს, რომელიც ჩვენ პრობლემების მოგვარების დროს მოგვცემს, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფრის დესტაბილიზაციას გამოიწვევს. გერმანელი ხალხის მისწრაფებებმა, რომ ბოლო მოეღოს მათი ქვეყნის დაყოფას და მიაღწიონ გაერთიანებას, არ უნდა შეუქმნას საშიშროება სხვა ქვეყნებს".

გდრ-ის პრემიერ-მინისტრმა ჰ. მოდროვმა წამოაყენა გდრ-ის და გფ-რის სამხედრო ნეიტრალიტეტის კონცეფცია ფედერაციის შექმნამდე და თვით გერმანიის დემილიტარიზაციაც. მაგრამ ეს იდეები მაშინვე უარყვეს გფრ-ისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა როგორც არარეალური. ზოგიერთ პოლიტიკოსს (მაგ. ჯ. ბუშს) მიაჩნდა, რომ გაერთიანებული გერმანია ნატოში უნდა იყოს. მაგრამ საკითხის ასე დაყენება საბჭოთა კავშირმა თავდაპირველად მიუღებლად მიიჩნია.

ჰ. მოდროვის წინადადება ითვალისწინებდა: ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის ეროვნულ დიალოგს გაერთიანების საკითხზე, ხელშეკრულების დადებას თანამშრომლობასა და კეთილმეზობლობაზე, რომელსაც ექნებოდა კონფედერაციის ელემენტები, ისეთები, როგორიცაა ეკონომიკური, სავალუტო და სატრანსპორტო კავშირი; გდ-ისა და გფრ-ის კონფედერაციის შექმნას ერთიანი ორგანოებით, როგორც, მაგალითად, პარლამენტის კომიტეტი, საოლქო პალატა, ერთობლივი აღმასრულებელი ორგანოები განსაზღვრულ სფეროებში: ორივე სახელმწიფოს სუვერენიტეტის უფლებათა კონფედერაციის ხელისუფლების ორგანოებისათვის გადაცემას; ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნას გერმანიის ფედერაციის ან გერმანიის კავშირის სახით კონფედერაციის ორივე ნაწილში არჩევნების ჩატარების გზით და ერთიანი პარლამენტის მოწვევას, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ერთიანი კონსტიტუციის მიღებასა და ერთიანი მთავრობის შექმნაზე, რომლის ადგილსამყოფელი იქნება ბერლინი; ოთ-

ხი სახელმწიფოს (სსრ კავშირი, აშშ, ინგლისი და საფრანგეთი) ინტერესებისა და უფლებების, ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების უშიშროებისა და ხელშეუხებლობის მტკიცე დაცვას, გდრ-ის და გფრ-ის სამხედრო ნეიტრალიტეტს. გერმანიის გაერთიანების პროცესი განხორციელდებოდა გდრ-ისა და გფრ-ის პარლამენტებს შორის მოლაპარაკების გზით. ყველა მხარე აღიარებდა დემოკრატიული და არაძალადატანებითი ფორმების გზით პოლიტიკური დავის გადაწყვეტას და ამ მიზნით შექმნიდა აუცილებელ გარანტიებს, მათ შორის რეფერენდუმების გზით.

ჯერ კიდევ 1989 წლის 28 ნოემბერს გფრ-ის კანცლერმა ჰ. კოლმა წამოაყენა გერმანიის გაერთიანების თავისი გეგმა, რომელიც ცხრა პუნქტისაგან შედგებოდა, მაგრამ იგი უარყო აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობამ იმის გამო, რომ ფაქტობრივად ითვალისწინებდა გდრ-ის ყოველგვარი ინტერესების გათვალისწინების გარეშე მის შერწყმას გფრ-თან.

დასავლეთ გერმანიის ყველა მეზობელი შეეგუა იმას, რომ ორივე გერმანული სახელმწიფო გაერთიანდებოდა და გფრ-ის მოკავშირეები უკვე დეთანხმნენ ამ აზრს. მაგრამ ისინი შეშფოთებულნი იყვნენ იმით, თუ როგორ ფორმას მიიღებდა ეს გაერთიანება და როგორი სიმართულებით განვითარდებოდა იგი. მათ აშინებდათ ის, რომ გაერთიანებული გერმანია თავისი მტკიცე კავშირებით იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, რომ ყველა კონტინენტზე უპირატესობას მოიპოვებდა. ზოგიერთს ისიც მიაჩნდა, რომ გაერთიანებულმა გერმანიამ შეიძლება მთელი თავისი ყურადღება იმდენად მიაპყროს აღმოსავლეთ ევროპაში თავისი გავლენის გაძლიერებას და აქ არსებული უდიდესი სიმდიდრის ხელში ჩაგდებას. რომ დაკარგოს ინტერესი დასავლეთ ევროპის ფედერაციის შექმნის გეგმებისადმი, რითაც საბოლოო ჯამში ჩაიშლება უდიდესი დასავლეთევროპული სახელმწიფოს შექმნის გეგმები.

ყველაზე რთული საკითხი ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივებში—ეს არის გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს დამოკიდებულება ორ არსებულ სამხედრო დაჯგუფებებისადმი. ვ. ს. გორბაჩოვმა ამ საკითხზე თავისი გამოსვლისას 1990 წლის 30 იანვარს ხაზი გაუსვა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს ერთობლივ საგულდაგულო მომზადებას. გერმანიის გაერთიანებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს მეზობელ ქვეყნებს. იგივე აზრი მ. ს. გორბაჩოვმა გაიმეორა გფრ-ის კანცლერ ჰ. კოლთან შეხვედრის დროს, რომ გერმანიის გაერთიანებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს საერთოევროპულ პროცესს. ჰ. კოლი დაეთანხმა ამ აზრს. როგორი იყო დასავლეთის სახელ-

მწიფოების თვალსაზრისი ამ საკითხზე? აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა განიარაღების დარგში ახალი ინიციატივით გამოსვლისას წინადადება შისცა მოსკოვს ცენტრალურ ევროპაში განლაგებული საბჭოთა და ამერიკული ჯარების ძალზედ სერიოზული შემცირების შესახებ (195—195 ათასამდე დაყვანაზე), ეს კი ნიშნავს ძირითადად ორივე გერმანიის ტერიტორიაზე ჯარების მკვეთრად შემცირებას. მაგრამ ისმოდა კითხვა: გაერთიანებული გერმანია გამოვიდოდა ორივე დაჯგუფებიდან და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, თუ დარჩებოდა რომელიმე დაჯგუფებაში?

ჯ. ბუშის ეს ახალი წინადადებები უარყოფს მის 1989 წლის მაისში წამოყენებულ წინადადებებს ევროპაში განლაგებული ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ჯარების 275 ათასამდე შემცირებაზე თითოეულის მიერ. ეს იმას ნიშნავდა, რომ აშშ-ს დასავლეთ გერმანიასა და მის მეზობელ ქვეყნებში ეყოლება 195 ათასი, საბჭოთა კავშირს— ასეთი რაოდენობის ჯარები ეყოლებოდა აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. გარდა ამისა, აშშ-ს ექნება უფლება დაიტოვოს 30 ათასი სამხედრო მოსამსახურე სხვა სახელმწიფოებში (დიდ ბრიტანეთში, თურქეთსა და იტალიაში). ამრიგად, მთლიანად ევროპის კონინენტზე დარჩებოდა ამერიკის 225 ათასი ჯარისკაცი, საბჭოთა კავშირისა კი—მხოლოდ 195 ათასი.

ერთი ცხადზე უცხადესია, რომ გერმანიის გაერთიანება არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ოთხი დიდი სახელმწიფოსა და ევროპული ხალხის უშიშროების გაუთვალისწინებლად. არც ის არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ გაერთიანებული გერმანიის ერთი ნაწილი ნატოში დარჩენილიყო, მეორე კი ვარშავის ხელშეკრულებაში. ასეთი გადაწყვეტილება არ იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი და გამოიწვევდა ევროპაში დესტაბილიზაციას. გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰენშერმა თავდაპირველად უარყო გფრ-ის რომელიმე სამხედრო დაჯგუფებაში დარჩენა და ფაქტობრივ ნეიტრალური გერმანიის ვარიანტს იცავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი პოზიცია სასტიკად გააკრიტიკეს მისმა კოლეგებმა მმართველ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან, ჰენშერმა დააზუსტა თავისი პოზიცია: მან ხაზი გაუსვა გფრი-ს ერთგულებას ნატოს დაჯგუფებისადმი და გამოვიდა გდრ-ის ტერიტორიის „ნატოს სტრუქტურაში“ ჩართვის წინააღმდეგ, აგრეთვე, ნატოს გაფართოებაზე აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიის მიმართულებით იმისდა მიუხედავად, „როგორ მოხდება ვარშავის ხელშეკრულების შეცვლა“ ე. ი. ჰენშერი არ უარყოფდა ვარშავის ხელშეკრულებიდან აღმოსავლეთ გერმანიის გამოსვლას,

მაგრამ წინააღმდეგი იყო აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე დასავლეთის ჯარების განლაგებისა.

თვითონ იდეა იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანელების მისწრაფებები დასავლეთი გერმანიასთან გაერთიანებაზე დააყენებდა საკითხს ვარშავის ხელშეკრულებიდან გამოსვლასა და გდრ-ის ტერიტორიაზე მყოფი ჩვენი 400 ათასიანი არმიის გამოყვანაზე დიდ შეშფოთებას იწვევდა. საბჭოთა მთავრობას ასეთ შემთხვევაში სხვა გზა არ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ საპასუხო ღონისძიებად დააყენებინა საკითხი დასავლეთის ჯარების გაყვანაზე გფრ-დან, რაც გერმანიის ნეიტრალიტეტს ნიშნავდა. გერმანიის ნეიტრალიტეტის შესახებ არა ორაზროვნად დააყენა საკითხი ბრიუსელში 1989 წლის დეკემბრის ბოლოს ე. ა. შევარდნაძემ, 1990 წლის იანვარში კი, ვენაში მიმდინარე ევროპის ცენტრში არსებული შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირებისადმი მიძღვნილ თათბირზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა გრინევსკიმ პირდაპირ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა 5 წლის განმავლობაში გაიყვანოს ჩვენი ჯარები გდრ-იდან, თუ იგივეს გააკეთებს დასავლეთ გფრ-ში.

ასეთ ვითარებაში პრეზიდენტ ბუშის წინადადება აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ჯარების 195—195 ათასამდე დაყვანაზე ძალზედ მნიშვნელოვანი წინადადებაა, მაგრამ ბუშმა შემდეგ გამოსვლაში დააზუსტა, რომ აშშ არ აპირებს ევროპიდან მთლიანად წასვლას, რომ გაერთიანებული გერმანია ნატოში დარჩება. ამასთანავე, მისი წინადადება არ ითვალისწინებდა აშშ-ისა და საბჭოთა ჯარების რაოდენობის პარიტეტს.

საბჭოთა მთავრობამ 1990 წლის დასაწყისში შესთავაზა დასავლეთ გერმანიის მთავრობას გერმანიის გაერთიანების საკითხში საერთოევროპული რეფერენდუმის ჩატარების შესახებ აშშ-სა და კანადის მონაწილეობით მაგრამ გფრ-ის კანცლერმა ჰ. კოლმა გდრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ჰ. მოდროვთან შეხვედრის შემდეგ უარყო საბჭოთა წინადადება და განაცხადა, რომ ეს გერმანელების პრობლემაა, რომ თვითგამორკვევა ხალხთა ძირითადი უფლებაა, იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაშია დაფიქსირებულია.

გერმანიის გაერთიანების საკითხი დიდ შეშფოთებას იწვევდა მეზობელ ქვეყნებში—საფრანგეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვაგან. მაგალითად, როდესაც ჩეხებმა და უნგრელებმა მოითხოვეს საბჭოთა ჯარების გაყვანა მათი ტერიტორიიდან, ლეხ ვალენსამ ხალისით დაუჭირა მხარი ამ მოთხოვნას, მაგრამ პრემიერ-მინისტრმა მაზოვეცკიმ მაშინვე გაუსწორა ვალენსას და ხაზგასმით აღნიშნა,

რომ საბჭოთა ჯარების გაყვანაზე ლაპარაკი პოლონეთიდან ნაადრევია, რომ პოლონეთი უფრო მეტად არის შეშფოთებული, ვიდრე საბჭოთა კავშირი, გერმანიის უკონტროლო გაერთიანებით. საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მოთხოვნაზე ამ ქვეყნიდან ჯარების ეტაპობრივად მთლიან გაყვანაზე და, აგრეთვე, უნგრეთიდან ასეთი გამოყვანა დაიწყო კიდეც*. საბჭოთა მთავრობამ არაორაზროვნად განაცხადა, რომ მოსკოვი მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება პოლონეთთან აქ მყოფი საბჭოთა ჯარების გამოყვანაზე. რაც შეეხება გდრ-ას, აქ და გფრ-ში მყოფი საზღვარგარეთის ჯარის გარნიზონების საკითხი—ეს საგანგებო განხილვის ობიექტია, რომელიც დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ ოთხ სახელმწიფოს ვალდებულებებთან და მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ დაინტერესებული სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად.

საფრანგეთში გერმანიის გაერთიანების პერსპექტივა უფრო დიდ შეშფოთებას იწვევდა, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. გავიხსენოთ: საფრანგეთი ხომ სამჯერ გახდა გერმანიის აგრესიის მსხვერპლი (1871 წ, 1914—1918, 1939—1945 წწ.). საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეისათვის დასავლეთი გერმანია უდავოდ დემოკრატიულია და აგერ უკვე 40 წელია თავშეკავებულობას იჩენს. ასე თუ გაგრძელდა, საეჭვოა, რომ გერმანიამ ახალი ჰიტლერი წარმოშვას. მისი ეკონომიკური პოზიციები დასავლეთ ევროპაში და მთელ მსოფლიოში დიდია. მაგრამ იგი არ ცდილობს, რომ ამის გამო გაბატონებული მდგომარეობა დაიკავოს, თუმცა, ფაქტობრივად, დასავლეთ ევროპაში მას უკვე უკავია ასეთი მდგომარეობა, მაგრამ ამით არავინ არ ზარალდება. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება გაერთიანებული გერმანიის საშიშროების გადაფასება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გერმანიის გაერთიანება არავითარ საშიშროებას არ უქმნის მეზობელ ქვეყნებს. წინ შესაძლოა გაუთვალისწინებელი ამბები გველის. ამიტომ გერმანიის გაერთიანება უნდა მომხდარიყო მტკიცე გარანტიების სისტემის შექმნის საფუძველზე, რომლითაც მეზობელ ქვეყნებს ღრმა რწმენა და გარანტიები ექნებოდათ იმისა, რომ გაერთიანებული გერმანია მათ საზღვრებს საშიშროებას არ შეუქმნის. მაგრამ ერთი ცხადზე უცხადესია, რომ გერმანიის გაერთიანებამ ევროპის ცენტრში ახალი ზესახელმწიფო შექმნა, დაარღვია წონასწორობა ევროპაში და მეზობელ ქვეყნებში ახალი პრობლემები წარმოშვა. გაერთიანებულ გერმანიაში დემოკრატიული მმართველობის ფორმების მტკიცედ შენარჩუნების შემთხვევაშიც კი, იგი აიძულებს მეზობელ ქვეყნებს, რომ ანგარიში გაუწიონ მის სურვილებს. ყველაზე მეტი საშიშროება მაინც

* 1991 წლის 1 იელისისათვის საბჭოთა კავშირმა მთლიანად გაიყვანა თავისი ჯარები უნგრეთიდან და ჩეხეთ-სლოვაკეთიდან.

პოლონეთს მოელის. საეჭვოა, რომ გაერთიანებული გერმანია კითხვის ქვეშ არ დააყენებს პოლონეთის დასავლეთის საზღვრებს ოდერსა და ნოისზე.

1990 წლის 12—14 თებერვალში ბონში შემდგარი შეხვედრის დროს (ჰ. კოლსა და ჰ. მოდროვს შორის) ჰ. კოლმა პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ განაცხადა, რომ მას არა აქვს უფლება მომავალი გაერთიანებული გერმანიის მთავრობის სახელით ილაპარაკოს. ამ შეხვედრის დროს ორივე გერმანიის ხელმძღვანელი შეთანხმდა ერთობლივი კომისიის შექმნაზე ორივე გერმანული სახელმწიფოს ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის მომზადებისათვის. ამ იდეის რეალიზაცია, რომელიც ჰ. კოლმა წამოაყენა, როგორც ამტკიცებენ, დაეხმარება გდრ-ას ეკონომიკის სტაბილიზაციაში. მაგრამ ორივე გერმანული სახელმწიფოს პოლიტიკოსები და ფინანსისტები ამ საქმეში ასეთი აჩქარების გამო გაფრთხილებას იძლეოდნენ და თვლიდნენ, რომ სათანადო მომზადების გარეშე დასავლეთ გერმანიის მარკის მოქმედების სფეროს გაფართოება გამოიწვევდა ინფლაციის ზრდას გფრ-ში, ხოლო გდრ-ში—ანაბრების გაუფასურებას და სხვა არახელსაყრელ შედეგებს. იყო, აგრეთვე, ამ საქმის პოლიტიკური მხარე. გდრ-ამ თავისი საკუთარი ვალუტის გარეშე უფრო ადრე დაკარგა თავისი სუვერენიტეტის დიდი ნაწილი, ვიდრე მიაღწევდა შეთანხმებას გერმანიის ერთიანობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. გერმანიის „ვალუტის გაერთიანებისადმი“ შეშფოთებას გამოთქვამდნენ გფრ-ისა და „საერთო ბაზრის“ ქვეყნებიც. რაც შეეხება ჰ. კოლის გამონათქვამს, რომ მას არა აქვს უფლება გაერთიანებული გერმანიის მთავრობის სახელით ილაპარაკოს პოლონეთის დასავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობაზე—ასეთი განცხადების სიყალბეს მოწმობს თუნდაც ის, რომ იგივე ჰ. კოლი ბუშთან შეხვედრის შემდეგ კემპ-დევიდში (1990 წ. თებერვალში) პრეზიდენტს შეუთანხმდა, რომ „გაერთიანებული გერმანია უნდა ნატოში დარჩეს“, ამრიგად, ახლა უკვე ლაპარაკობს მომავალი გაერთიანებული გერმანიის მთავრობის სახელით, რომ „გაერთიანებული გერმანია ნატოს წევრად დარჩება“.

ჰ. კოლის უარმა გაერთიანებული გერმანიის სახელით აღიაროს პოლონეთის დასავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობა ძალზედ დიდი შეშფოთება გამოიწვია. ხომ ცნობილია, რომ გაერთიანებული გერმანიის სახელით არ დადებულა ზავი გამარჯვებულ სახელმწიფოებთან. ამიტომ ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელები ვარაუდობდნენ ასეთი ზავის გადასინჯვის საკითხს. ამიტომ გერმანიის შეკავების ყველაზე კარგ საშუალებად მიაჩნდათ, ერთი მხრივ, გერმანიის დატოვება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში, სადაც მისი თერ-

თმეტი პარტნიორი მას ნებას არ მისცემს მარტო თავისი ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს და, მეორე მხრივ, გერმანიის დატოვება ნატოში, სადაც ასევე მოიქცევა გერმანიის 15 პარტნიორი, რომ ნატო უნდა იყოს ძლიერი და სტაბილური, თუნდაც გერმანიის შესაკავებლად. ამრიგად, უარესი იქნება, თუ გერმანია „ნეიტრალურ“ ქვეყნად გადაიქცევა. მაშინ მას, დასავლეთის პოლიტოლოგების აზრით, უფრო მეტი თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა ექნებოდა, მაგრამ არც ის ივარგებდა, რომ გერმანია გარემოცული ყოფილიყო ეკვიანობით და შეზღუდულიყო იურიდიული წესებით. ეს საბოლოო ჯამში გერმანიას დამოუკიდებელი მოქმედებისაკენ უბიძგებდა, რომელიც შეიძლება მსოფლიოსათვის საბედისწერო გამოდგეს. მშვიდობისა და სტაბილურობის ყველაზე უფრო დიდ გარანტიად მიაჩნიათ ამერიკის ჯარების დატოვება დასავლეთ ევროპაში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთის ქვეყნებს გაერთიანებული გერმანიის ნატოში შეყვანა ისეთნაირად უნდათ წარმოადგინონ, რომ თითქოს ეს ვარიანტი პასუხობს საბჭოთა კავშირის ინტერესებს იმის გამო, რომ გაერთიანებულ გერმანიას მომავალში თავის ნებაზე, უკონტროლოდ არ მიუშვებენ.

საბჭოთა მხარეს თავდაპირველად აცხადებდა. რომ მას ასეთი ვარიანტი არ აწყობდა თუნდაც იმის გამო. რომ გაერთიანებული გერმანიის ნატოში შეყვანა თავისთავად დაარღვევდა სამხედრო-სტრატეგიულ ბალანსს ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებას შორის. საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა, რომ უნდა შეიქმნას ისეთი მტკიცე გარანტიები და პირობები. რომლებიც გერმანიის ტერიტორიიდან ერთხელ და სამუდამოდ გამორიცხავს ომის საშიშროებას.

1990 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ოტავაში შემდგარ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე გადაწყდა, რომ გდრ-ისა და გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრები აშშ-ის, სსრ კავშირის, ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად განიხილავენ ერთიანი გერმანიის შექმნის საგარეო ასპექტებს—ე. ი. გაერთიანებული გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტს.

გერმანიის გაერთიანების პროცესს ხელი შეუწყო შემდეგმა მოვლენებმა. ბევრ ფაბრიკაში, ქარხანასა და ხელოსნურ საწარმოებში მკვეთრად მცირდებოდა პროდუქციის გამოშვება სამუშაო ძალის ნაკლებობის გამო. მარტო 1989 წ. ბოლოს ქვეყანას დააკლდა 12 მილიარდი მარკის პროდუქცია. აღარ იგრძნობოდა ბიუროკრატიის მტკიცე ხელი გეგმის შესრულებისათვის, მაგრამ საბაზრო ეკონომიკასაც ჯერ არ დაუწყია მუშაობა. 1989 წლის ბოლოსა და 1990 წლის დამდეგს გდრ-ის მთელ რიგ ქალაქებში ასიათასობით მოქალაქე აწყობდა დე-

მოსტრაციებს, მიტინგებსა და გაძაფრთხილებელ გაფიცვებს მოთხოვნით—„ერთიანი გერმანული მამული“. 1990 წლის დამდეგისათვის გდრ-ის ათიათასობით მოქალაქემ (მარტო იანვარში გდრ დატოვა 58 ათასმა კაცმა) დაკარგა იმედი სწრაფი რეფორმების შედეგებზე თავის ქვეყანაში და გადასახლდა გფრ-ში. პრესის ცნობით მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტი, „ჩემოდნებზე ხსედან“ გფრ-ში გასამგზავრებლად. ასე თუ გაგრძელდა სულ მოკლე ხანში გდრ-ას დატოვებს ორიდან-სამ მილიონამდე კაცი.

ჰ. მოდროვის მთავრობაში შემავალმა ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა გაიწვია თავისი სამი წარმომადგენელი მთავრობიდან, მათ შორის ამ პარტიის თავმჯდომარე და მოდროვის მთავრობაში შემავალ სხვა პარტიებსაც მისცა წინადადება, რომ მისი მაგალითისათვის მიებაძათ. მაგრამ ამ პარტიებმა—ლიბერალურ-დემოკრატიულმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა და დემოკრატიულ გლეხთა პარტიებმა უარი თქვეს მთავრობიდან გამოსვლაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჰ. მოდროვის მთავრობასა და ოპოზიციას შორის „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ მიმდინარეობდა მოლაპარაკება, მაინც გაძლიერდა მათ შორის წინააღმდეგობანი, ვინაიდან ძალზედ ყოვნდებოდა გარდაქმნები—არ ხორციელებოდა უშიშროების სამსახურის ლიკვიდაცია, საბაზრო ეკონომიკის დანერგვა და მმართველობის ორგანოების დემოკრატიზაცია. ჰ. მოდროვი არა თუ არ ეწინააღმდეგებოდა მთავრობაში ოპოზიციის შეყვანას, არამედ პირიქით, ეხვეწებოდა მათ, რომ შესულიყვნენ მთავრობაში და მასთან ერთად გაეზიარებინათ პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვაზე. ამასთანავე, ჰ. მოდროვი თავის გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ემსახურება მხოლოდ ხალხს და არა პარტიას“. მაგრამ ოპოზიცია თავს იკავებდა ჰ. მოდროვის მთავრობაში შესვლაზე დ მისგან მოითხოვდა, რათა მთავრობამ დაუყოვნებლივ და ოპოზიციის კონტროლის გაწევით დაითხოვოს უშიშროების ორგანოების ძველი აპარატი, მოახდინოს გერმანიის ერთობის წინააღმდეგობების ლიკვიდაცია, დააჩქაროს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ვინაიდან გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ დაკარგა თავისი ყოველგვარი გავლენა, ამ პარტიამ 1990 წლის დამდეგს გადაირქვა სახელი და მიიღო დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის სახელწოდება, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. გიზი. პარტიის ძველი ხელმძღვანელობა გაირიცხა პარტიიდან. ახალმა პარტიამ უარი თქვა ხელისუფლების მონოპოლიაზე, ბიუროკრატიულ გამგებლობაზე. ეს პარტია 1990 წლის თებერვლისათვის თავის რიგებში აერთიანებდა 700 ათას წევრს და ითვლებოდა ყველაზე მსხვილ პარტიად, მაგრამ, მიუხედავად ამისა

(1989 წლის ოქტომბერში კი აერთიანებდა 2,3 მილიონ წევრს), მას იმედი არ ჰქონდა, რომ 1990 წ. მარტში ჩასატარებელ არჩევნებში წარმატებას მიაღწევდა. ამის წინ ჩატარებული საზოგადოების აზრის გამოკითხვისას მას მხოლოდ 12 პროცენტმა დაუჭირა მხარი. დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ უარი თქვა თავისი წინაპრის პარტიის დოგმაზე, რომელიც თავის თავს უწოდებდა მუშათა კლასის პარტიას, სინამდვილეში კი დაპირისპირებული იყო რესპუბლიკის მშრომელებისადმი. დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ თავის თავი უკლასო პარტიად გამოაცხადა რომ „იგი ღიაა ხალხის ყველა ფენისათვის, რომელნიც იბრძვის სოციალური სამართლიანობის საზოგადოებისათვის და ადამიანური ურთიერთობისათვის". პროგრამაში ნათქვამია, რომ პარტია განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობა მუშათა ინტერესებს, მაგრამ იგი არ გახდება კლასის ან საზოგადოების ავანგარდი, ე. ი. სხვა პარტიებთან ერთად იბრძოლებს თავისი პროგრამული მიზნებისა და იდეალებისათვის მომავალ არჩევნებში. ეკონომიკის დარგში პროგრამა აცხადებდა, რომ იბრძოლებდა საბაზრო ეკონომიკისათვის, ე. ი. იმისათვის, რომ უკეთ იმუშაონ სახელოსნოში თუ კოოპერატივში ან საწარმოში და გახდნენ თავისუფალი მეწარმე, მესაკუთრე. საგარეო პოლიტიკაში პარტიის მიზანია—დემილიტარიზებული, გაერთიანებული ევროპა მის ყოველ ეროვნულ, სოციალურ, კულტურულ და რეგიონალურ მრავალფეროვნებაში. გერმანიის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს საერთოევროპულ პროცესში. პარტია მომხრეა ორი გერმანული სახელმწიფოს შერწყმისა.

ჰ. მოდროვის მთავრობაში შესვლაზე ოპოზიციამ ერთხანს თანხმობაც კი განაცხადა და უპორტფელო მინისტრების ადგილი დაიკავა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაჯგუფება „გაერთიანებულმა მემარცხენეებმა" უკან გაიძახეს თავისი წარმომადგენლები და უარყვეს ჰ. მოდროვის კონცეფცია გერმანიის გაერთიანების საქმეში. ისიც აღსანიშნავია, რომ გდრ-ში ახალი პარტიები სოკოებივით აღმოცენდნენ და ბევრმა მათგანმა გფრ-ში არსებული პარტიების მხარდაჭერით დაიწყეს მოღვაწეობა და მათ პირდაპირ გავლენაშიც მოექცნენ.

1990 წლის თებერვალში ლაიფციგში შედგა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო პარტიის პროგრამა, აგრეთვე წინასაარჩევნო პროგრამა. სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ საერთო გერმანული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნისა და განვითარების მომხრედ, რომელიც ხელს შეუწყობდა ორი გერმანული სახელმწიფოს შერწყმას. სოციალ-დემოკრატების აზრით, გერმანიის ერთიანობის პირველი ნაბიჯი იქნება მარტში ჩასატარებელი არჩევნები გდრ-ის სახალხო პალატაში.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს 45 წლის იბრაჰიმ ბემე, საპატიო თავმჯდომარედ — გფრ-ის ცნობილი მოღვაწე სოცინტერნაციონალის თავმჯდომარე ვილი ბრანტი, რომელიც ყირიმის სტუმარი იყო. საყურადღებოა, რომ ლაიფციგში მიწვეული იყო დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიდი ჯგუფი.

1990 წლის 18 მარტს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა სახალხო პალატის არჩევნები. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი ხმა — 48,65 პროცენტი—მიიღეს კონსერვატიული „გერმანიისათვის კავშირის" კანდიდატებმა. ეს ბლოკი შეიქმნა 1990 წლის 5 თებერვალს გფრ-ის კანცლერ ჰ. კოლის თანდასწრებით გდრ-ში და მასში შედიან „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი" (140 ათასი წევრით), „დემოკრატიული წინგაჭრა" (55 ათასი წევრი). ეს ალიანსი დიდი ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერით სარგებლობდა გფრ-ში არსებულ მმართველ „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" მხრივ. ამ ალიანსს იყენებენ გდრ-ში ახლად შექმნილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპირისპირო ძალად. ალიანსმა მიიღო 193 მანდატი პარლამენტში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 21,84 პროცენტმა, დემოკრატიული სოციალიზმის პარტიას — 16,33 პროცენტზე მეტმა. ამ პარტიებს სახალხო პალატაში ეყოლებათ შესაბამისად 87 და 65 წარმომადგენელი არჩევნების მონაწილე 24 პარტიიდან, მოძრაობიდან და დაჯგუფებიდან. ამათ შემდეგ ლიდერობენ თავისუფალ დემოკრატთა კავშირი (5,28%), „კავშირი-90" (2,9%), დემოკრატიული გლეხთა პარტია (2,19%).

არჩევნებში მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 11,5 მილიონზე მეტი მოქალაქე. ანუ ამომრჩეველთა 93,32 პროცენტი.

რითი აიხსნება კონსერვატორების გამარჯვება გდრ-ში. მათ მთლიანად გამოიყენეს ჰონეკერის რეჟიმის მიერ დაშვებული შეცდომები. ე. ჰონეკერი უარს ამბობდა გარდაქმნების განხორციელებაზე. ე. ჰონეკერი ჯიუტად გაიძახოდა, რომ: „ჩვენ სოციალიზმი ავაშენეთ", „ჩვენ არავითარი კორექტივები არ გვჭირდება", „ჩვენ სწორი გზით მივდივართ", „ყველა სოციალური პრობლემა ჩვენთან გადაჭრილია". ჰონეკერი ვერ გრძნობდა თავისი ხალხის განწყობილებას. ამის გამო რეფორმების გატარების ინიციატივა ხელიდან იქნა გაშვე-

ბული, რასაც ჰონეკერის რეჟიმის კრახი მოჰყვა. შექმნილი ვითარება კი მემარჯვენეებმა გამოიყენეს.

არჩევნების შემდეგ შეიქმნა ე. წ. კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ—„გერმანიისათვის კავშირის“ კანდიდატების ალიანსის გარდა, ლიბერალები და სოციალ-დემოკრატები. მთავრობის მეთაური გახდა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ლიდერი ლოტარ დე მეზიერი. ახალი მთავრობის ხელმძღვანელმა აიღო გერმანიის სწრაფი გაერთიანების კურსი. ივლისში ძალაში შევიდა ფულის ერთიანი სისტემა. აღმოსავლეთ გერმანია ფულის ეროთეული გაუქმდა და აქ გავრცელდა დასავლეთ გერმანიის მარკა, დაიდო საგალუტო ეკონომიკური და სოციალური კავშირი. აგვისტოს ბოლოს ორივე გერმანულმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა გერმანიის გაერთიანების ხელშეკრულებას, რომელმაც მოახდინა ამ გაერთიანების კონსტიტუციურ-უფლებრივი ასპექტების დაკანონება. ოთხმა სახელმწიფომ აშშ, სსრკ, ინგლისი, საფრანგეთი, ორივე გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად (ოთხი პლიუს ორი) დაიწყეს მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ, თუ მანამდე წინააღმდეგი იყო გაერთიანებული გერმანიის ნატოს დაჯგუფებაში ყოფნისა, ამ მოლაპარაკების დროს შეცვალა თავის პოზიცია და დათანხმდა გაერთიანებული გერმანიის ნატოში და „საერთო ბაზრის“ შემადგენლობაში დარჩენაზე, მაგრამ გერმანიის შეიარაღებული ძალების და შეიარაღების მკვეთრად შემცირების საფუძველზე. გერმანიამ უარი უნდა სთქვას ბირთვული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოებაზე და საკუთარ ტერიტორიაზე მათ განლაგებაზე. გაერთიანებული გერმანია ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი უნდა გახდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის. გერმანიის გაერთიანების დაჩქარებამ რიგი სიძნელეები შექმნა ორივე გერმანიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში.

აგვისტოს დამდეგს გდრ-ის პრემიერ მინისტრმა დე მეზიერმა, გფრ-ის კანცლერ ჰ. კოლთან შეთანხმების შემდეგ, წამოაყენა წინადადება ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების დაჩქარებაზე, რომ გდრ-ის სახალხო პალატამ არჩევნების წინ, თავის სპეციალურ სხდომაზე, უნდა განაცხადოს გდრ-ის გფრ-თან გაერთიანებაზე და ამ მიზნით საერთო გერმანული არჩევნები უნდა ჩატარდეს არა 2 დეკემბერს, არამედ 14 ოქტომბერს. დე მეზიერმა თავისი განცხადების არგუმენტად მოიყვანა შემდეგი: „ჰ. კოლის მ. გორბაჩოვთან შეხვედრის შემდეგ და ჩატარებული მოლაპარაკების შედეგად“ „ოთხი პლიუს ორის“ ჩარჩოებში საერთო გერმანული არჩევნების ჩატარება თავისუფალი გახდა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ გერმანიის გაერთი-

ანების დაჩქარება აღმოსავლეთ გერმანიის სტაბილიზაციას გამოიწვევს. ამ განცხადებამ გამოიწვია განხეთქილება დად კოალიციაში (აგვისტოს მეორე ნახევარში), რომელმაც მხოლოდ 130 დღე იარსება. სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ კოალიციიდან და უარი სთქვეს თავის თავზე აეღოთ პასუხისმგებლობა იმ სიძნელეებისა, რომლებიც გაერთიანების პროცესს მოჰყვება. მიუხედავად ამისა, დე მეზიერმა შეათანხმა პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარეებთან გერმანიის გაერთიანების გრაფიკი, რომლის თანახმად 9 ოქტომბერს სახალხო პალატა თავის სპეციალურ სხდომაზე გამოაცხადებს გდრ-ის შესვლას გფრ-ის შემადგენლობაში 14 ოქტომბერს. ამის შემდეგ გდრ-ის ხუთი ოლქი „ხუთი მიწის" სახელწოდებით შევა გფრ-ის შემადგენლობაში და ჩატარდება საერთო გერმანული არჩევნები, რომელიც დააკანონებს გერმანიის გაერთიანებას. 14 ოქტომბერს ჩატარდება გდრ-ის ადგილობრივი ოლქების ლანტაგების (საკანონმდებლო კრების) არჩევნები და შეიქმნება გდრ-ის ყოფილ-ტერიტორიაზე ხუთი მიწა, (ადმინისტრაციული დაყოფა) თითოეულ მათგანს თითო-თითო წარმომადგენელი ეყოლება ბუნდესტანგში საერთო გერმანული არჩევნების ჩატარებამდე, ხოლო საერთო გერმანული არჩევნების შემდეგ გდრ-ის პარლამენტი და მთავრობა შეწყვეტს თავის არსებობას. ამით დასრულდება გდრ-ის ისტორია.

გდრ-ის ხელმძღვანელებმა აგვისტოს ბოლოს კიდევ შეიტანეს კორექტივები აღმოსავლეთ გერმანიის დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანების საკითხში. გდრ-ის გფრ-თან გაერთიანების დღედ სახალხო პალატამ გამოაცხადა 1990 წლის 3 ოქტომბერი.

ამრიგად, 3 ოქტომბერს ევროპის ცხოვრებაში მოხდა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. გეოგრაფიული რუკიდან მშვიდობიანი და უსისხლო რევოლუციის შედეგად გაქრა მთელი სახელმწიფო. ამბები, რომლებიც ამ სახელმწიფოს გაქრობას უძღოდა წინ, რაღაც ერთი წლის ნაკლები ხნის განმავლობაში ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა, რომელსაც გერმანიის გაერთიანების ყველაზე თავგამოდებული მომხრეებიც კი არ მოელოდნენ და საკმარისი იქნებოდა ათეული წლების ისტორიისათვის. საქმე კი იმით დაიწყო, რომ 1989 წლის ნოემბერში გდრ-ში ხმა გავრცელდა, რომ ჰონეკერმა ბრძანება გასცა ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაზე. რასაც ხალხის გრანდიოზული გამოსვლები მოჰყვა და ჰონეკერის რეჟიმმა კრახი განიცადა, ამას შემდეგ ბერლინის კედლის დაცემა, ბრანდერბურგის ჭიშკრის გაღება და მთელი რევოლუცია მოჰყვა. გერმანიის გაერთიანების ასეთ სწრაფ პროცესზე ბონს ოცნებაც კი

არ შეეძლო. ალბათ გერმანელები ასე მეტის მეტად იმის შიშით ჩქარობდნენ. რომ მოსკოვში რაიმე ისეთი ცვლილებები არ მომხდარიყო, რომელიც საერთოდ ხელს შეუშლიდა გერმანიის გაერთიანებას. ჯერ იყო და აღმოცენდა. ჰ. მოდროვის „გაერთიანების შეთანხმების“ პროექტი და ჰ. კოლის გეგმა 10 პუნქტისაგან, შემდეგ 1989 წ. დეკემბერში მოეწყო ორივე ლიდერის—მოდროვისა და კოლის შეხვედრა დრეზდენში, შემდეგ 1990 წლის თებერვალში კოლისა და ჰენშერის ვიზიტი მოსკოვში, მარტში გდრ-ის სახალხო პალატის არჩევნები და ახლად შექმნილი დე მეზიერის მთავრობის აქტიური საქმიანობა გერმანიის გაერთიანების საქმეში. მოლაპარაკებები ფორმულით „ორი პლუს ოთხი“, ბონში სახელმწიფო შეთანხმება გდრ-სა და გფრ-ს შორის საგალუტო, ეკონომიკური და სოციალური კავშირის შესახებ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გერმანიის ორივე პარლამენტის მიერ პოლონეთის დასავლეთის საზღვრების ხელუხლებლობის ცნობა, კოლის შეხვედრა გორბაჩოვთან, გდრ-ის კოალიციური მთავრობის დაშლა, გაერთიანების ხელშეკრულების და არჩევნების შესახებ მომზადება—ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისა, რომელიც იურიდიულად ამტკიცებს გაერთიანების პროცესს. დაბოლოს, 23 აგვისტოს—გდრ-ის პარლამენტის მიერ ისტორიული გადაწყვეტილების მიღება გფრ-ის კონსტიტუციის 23-ე მუხლის გამოყენების შესახებ. რომლის შედეგად 3 ოქტომბერს მოხდა გაერთიანება. ასეთია გერმანიის გაერთიანების მოკლე კალენდარი. ამრიგად გდრ-მა, როგორც სოციალისტურმა სახელმწიფომ, შეწყვიტა თავისი არსებობა. სოციალისტური ექსპერიმენტი გერმანიის მიწაზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში არ გამოვიდა. სადაც, როგორც უკვე ვიცით, მესამე რაიხის კრახის შემდეგ, აღმოსავლეთ გერმანიაში ანტიფაშისტური და დემოკრატიული ძალები გულწრფელად ესწრაფოდნენ ახალი, სოციალისტური სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის საზოგადოების აგებას. მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში სოციალიზმის მშენებლობა გერმანიაში ხორციელდებოდა ერთპარტიული დიქტატურის, რეპრესიის აპარატისა და სპეცსამსახურის საქმიანობის ვითარებაში. ხალხთა პირველი უკმაყოფილება 1953 წლის 17 ივნისს გამოვლინდა, რომელიც საბჭოთა ტანკების მეშვეობით იქნა ჩახშობილი, მაგრამ ამას მოჰყვა აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში მოსახლეობის მასობრივი ლტოლვა. მეორე კრიზისი 1961 წელს მოხდა, მაგრამ ერთპარტიულმა რეჟიმმა ძალაუფლება იმის წყალობით შეინარჩუნა, რომ დასავლეთ ბერლინს მაღალი რკინა-ბეტონის კედელი შემოავლო და ამით გაუძნელა აღმოსავლეთ გერმანელებს დასავლეთ

გერმანიისადმი ლტოლვა. ამრიგად, ომის შემდეგ აღმოცენებული ორი გერმანული სახელმწიფოდან—აღმოსავლეთში სოციალისტური და დასავლეთში კი კაპიტალისტური—სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა დასავლეთ გერმანია, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრები 16 მილიონიანი თანამემამულეებისადმი ზრუნვაზე, უშიშროებასა და კეთილდღეობაზე. აღმოსავლეთ გერმანიაში არსებული ერთ დროს აყვავებული და მაღალგანვითარებული ეკონომიკა პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში ერთბაშად მოიშალა. მაგრამ იმედია, რომ იგი სწრაფად აღდგება და მნიშვნელოვნად წავა წინ და ალბათ მოკლე ხანში გაუტოლდება დასავლეთ გერმანიის მაღალგანვითარებულ, სიცოცხლისუნარიან და აღმავალ ეკონომიკას. ამის გარანტიები არის. დასავლეთ გერმანიის მეწარმეებმა კაპიტალის შეუზღუდავად დაბანდების უფლება მიიღეს აღმოსავლეთ გერმანიაში. გფრ-ის მოხელეების კავშირი პირობას იძლევა სწრაფად შექმნას ქმედუნარიანი ადმინისტრაცია აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ გერმანელი ხალხის უდიდეს შრომისმოყვარეობას, დისციპლინას და დასახული მიზნისადმი სწრაფვის თანმიმდევრობას, ეჭვგარეშეა რომ წარმატების ნაყოფს მალე მოიმკიან. ამ საქმეში აღმოსავლეთ გერმანიას დახმარებას პირდება აშშ-იც.

პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა გააუქმა ყველა ის შეზღუდვა აშშ გდრ-ის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, რომლებსაც ითვალისწინებდა ეგრეთ წოდებული ჯექსონ-ვენიკის შესწორება 1974 წლის სავაჭრო კანონში. როგორც ცნობილია, ეს შესწორება მიმართულია იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ზღუდავენ ემიგრაციის თავისუფლებას.

ჯ. ბუშის გადაწყვეტილება, რომლის შესახებ გამოაცხადა თეთრმა სახლმა, 1990 წლის აგვისტოში გდრ-ს უფლებას ანიჭებდა მიეღო სესხი ამერიკის საექსპორტო-საიმპორტო ბანკში, აგრეთვე კერძო კრედიტები, რომელთა დაფარვის გარანტიას ამერიკის მთავრობა იძლევა. შეზღუდვების გაუქმება ამერიკის კომპანიებს საშუალებას აძლევს „კომერციულად დამკვიდრდნენ“ გაერთიანებული გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში.

ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმება ასევე ნებას რთავს პრეზიდენტს გდრ-ს მიანიჭოს უპირატესი ხელწყობის სტატუსი ამერიკასთან ვაჭრობაში. თუმცა ტ. ბუშს ეს არ გაუკეთებია. როგორც მისი ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა დააზუსტეს, ეს იმით აიხსნება, რომ გერმანიის გაერთიანებამდე რამდენიმე თვე იყო დარჩენილი.

ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება გერმანელი ხალხის

არა მარტო კანონიერი უფლებებისა და იმედების რეალიზაციაა, არამედ პოლიტიკაში რეალიზმის გამარჯვებაა. მთავარი ახლა ისაა, რომ ამ პროცესმა გზა გაუკაფოს ერთიან საერთოევროპული გაერთიანების შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთმოქმედებაზე. ბუნებრივია, რომ ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნა დღის წესრიგში აყენებს ევროპის მრავალი დაგროვილი პრობლემის გადაჭრის საკითხს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთიანი გერმანიის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების საკითხი, რომელიც ყველა მისი უშუალო თუ დაშორებული მეზობლის სამართლიან შეშფოთებას იწვევს. მოსკოვში მ. გორბაჩოვსა და ჰ. კოლს შორის გამართული მოლაპარაკების დროს მიღწეული იქნა შეთანხმება გაერთიანებული გერმანიის შეიარაღებული ძალების შეზღუდვაზე 370 ათას კაცამდე. საბჭოთა კავშირი თანახმაა ნატოს წინადადებაზე, რომ გაერთიანებული გერმანია ნატოს შემადგენლობაში დარჩეს, მაგრამ ორივე დაჯგუფებამ თანაბრად შეამციროს და გაიყვანოს ევროპის ცენტრიდან თავისი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები.

1990 წლის სექტემბრის დამდეგს ბერლინში ორივე გერმანიის მთავრობამ ხელი მოაწერა მეორე ხელშეკრულებას—დოკუმენტს გდრ-ის გფრ-ის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. თუ პირველი, ბონში დადებული ხელშეკრულებით, ორივე ქვეყანა შეთანხმდა სავალუტო-ეკონომიკური კავშირის შექმნაზე, მეორე ხელშეკრულებით უკვე გდრ უნდა საბოლოოდ გაერთიანდეს გფრ-თან და როგორც სახელმწიფომ შეწყვიტოს თავისი არსებობა. 12 სექტემბერს დასრულდა მოლაპარაკება „ორი პლიუს ოთხი“.

გაერთიანებულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირთან უნდა დადოს „დიდი ხელშეკრულება“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გაითვალისწინებს საბჭოთა ჯარების სამი ოთხი წლის განმავლობაში გამოყვანას გერმანიიდან. ეტაპობრივად იქ ყოფნის და გამოყვანის ხარჯებს აკრეთვე დემობილიზებული ჯარის კონტიგენტისათვის. საბინაო მშენებლობის ხარჯების პრობლემის გადაჭრას, გაერთიანებულ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიკური ურთიერთობის საკითხების მოგვარებას.

შვიდი თვე გავიდა ოტავაში მიღებული შეთანხმებიდან გერმანიის გაერთიანების საკითხზე მოლაპარაკების მექანიზმის შექმნის შესახებ „ორი პლიუს ოთხი“. და აი, 12 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე დასკვნითი შეხვედრა გერმანიის ერთი-

ანობის საგარეო ასპექტების მშენებლობის მოწესრიგებისათვის შექმნილ „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკების მექანიზმის ფარგლებში. ზეხვედრის დამთავრების შემდეგ გაიმართა გერმანიის ერთიერთობათა საბოლოო მოწესრიგების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა.

1990 წლის 12 სექტემბერი ისტორიაში შევა როგორც მნიშვნელოვანი შემოტრიალება ომისშემდგომი ევროპის განვითარების გზაზე, ვინაიდან ამ დღეს ექვსი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა, პრეზიდენტ მ. ს. გორბაჩოვის თანდასწრებით ხელი მოაწერეს გერმანიასთან ურთიერთობის საბოლოო მოგვარების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს გერმანიის გაერთიანებისა და ერთობის საგარეო ასპექტების გადაწყვეტილების მთელ კომპლექსს. მოლაპარაკება, „ორი პლუს ოთხი", რომელსაც შედეგად მოჰყვა ერთიანი გერმანიის შექმნა, საკმაოდ დაძაბულად, მთელი 7 თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

ხელშეკრულება საფუძვლიანი პოლიტიკური პრეამბულისაგან და 10 მუხლისაგან შედგება. ხელშეკრულებაში საკმაოდ საიმედოდ არის რეგულირებული საზღვრების ყველა ასპექტი. განსაზღვრულია გაერთიანებული გერმანიის საზღვრები, ფიქსირებულია ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა[1]. გფრ-ის და გდრ-ის მთავრობებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ გერმანიის ტერიტორიიდან აღარასოდეს არ წარმოიშობა ომი და გერმანია მხოლოდ მშვიდობის ბურჯი ქვეყანა იქნება; იგი უარს ამბობს მასობრივი მოსპობის იარაღის (ბირთვულის, ქიმიურის, ბიოლოგიურის) წარმოებაზე, მფლობელობასა და გამგებლობაზე. გერმანიამ 3-4 წლის განმავლობაში უნდა შეამციროს გაერთიანებული გერმანიის შეიარაღებული ძალების რაოდენობა 370 ათას კაცამდე.

ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ საბჭოთა კავშირი და გაერთიანებული გერმანია მოაგვარებენ შეთანხმების წესით გდრ-ში მყოფი საბჭოთა ჯარების ყოფნისა და აგრეთვე 1994 წლამდე მათი მთლიანად გამოყვანის პირობებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა ჯარების გამოყვანამდე გდრ-ის დღევანდელ ტერიტორიაზე განლაგდება გერმანიის მხოლოდ ისეთი ნაწილები, რომელნიც არ არიან ნატოში ინტეგრირებული; საბჭოთა ჯარების გამოყვანის შემდეგ კი აქ განლაგდება გერმანიის ჯარების ნებისმიერი ფორმირებები, მაგრამ ბირთვული იარაღის გარეშე. უცხოეთის ჯარები ან ბირთვული იარაღი ან მათი მატარებლები არ უნდა გან-

---

[1] საყურადღებოა, რომ საბჭოთა მხარემ ამ ხელშეკრულების ტექსტი პირადად გადასცა პოლონეთს.

ლაჯდეს აღმოსავლეთ გერმანიაში. ჩვენი ჯარების გამოყვანა აღმოსავლეთ გერმანიიდან უნდა დამთავრდეს 1994 წლის 31 დეკემბერს. ხელშეკრულება ითვალისწინებს გერმანიის მთავრობის მიერ მონაწილეობას ჩვენი ჯარების აღმოსავლეთ გერმანიაში ყოფნის, გამოყვანისა და ჩვენ ტერიტორიაზე განლაგების ხარჯებს, მათ შორის სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩვენი სამხედრო პერსონალისათვის საბინაო მშენებლობაში მონაწილეობას. ამ მიზნით ხელშეკრულებით გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ იკისრა ვალდებულება საბჭოთა კავშირს 1994 წლის ბოლომდე გადაუხადოს 12 მილიარდი მარკა. ამ თანხიდან 7,8 მილიარდი განკუთვნილია სამშობლოში მიმავალი სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დასაფინანსებლად. 3 მილიარდს გფრ-ის მთავრობა გაიღებს საბჭოთა ჯარების შესანახად 1991-დან 1994 წლამდე პერიოდისათვის, 1 მილიარდი განკუთვნილია ჯარების გამოყვანასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად. ზემოაღნიშნული თანხის გარდა საბჭოთა კავშირს მიეცემა უპროცენტო კრედიტი—3 მილიარდი მარკა ხუთ წლამდე ვადით.

გაერთიანებული გერმანია ძალზე მნიშვნელოვნად შეცვლის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო თანაფარდობას კონტინენტზე. მარტო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას—გდრ-ს გარეშე — მესამე ადგილი უკავია (აშშ-სა და იაპონიის შემდეგ) მსოფლიოში საერთო ეროვნული პროდუქტის მოცულობით. გფრ აწარმოებს 1,5 ტრილიონი მარკის ოდენობის პროდუქციას. გფრ-ზე მოდის მსოფლიოს ვაჭრობის მეოთხედი. 1989 წელს გფრ მეორე იყო მსოფლიოში (იაპონიის შემდეგ) როგორც კრედიტორი სახელმწიფო; მისი აქტივინეტტო შეადგენდა 427 მილიარდ მარკას. ახლა ადვილად წარმოსადგენია თუ რა გახდება გერმანია გფრ-სა და გდრ-ს გაერთიანების შემდეგ. გდრ ხომ მაღალ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა იყო და მას ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეორე ადგილი ეკავა. შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ცენტრში წარმოიშობა მესამე ზესახელმწიფო, რის გამოც შეიძლება უფრო რთული ვითარება შეიქმნას ევროპაში და მსოფლიოშიც კი.

V თავი

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა[1]

§ 14. სახალხო რევოლუციის გამარჯვება და განმტკიცება

იუგოსლავიის ხალხის განმათავისუფლებელი ომი დამპყრობლების წინააღმდეგ

1941 წლის 6 აპრილს ჰიტლერული გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა იუგოსლავიას. გერმანელებთან ერთად იუგოსლავიაში შეიჭრნენ იტალიის, ბულგარეთისა და უნგრეთის ჯარები. მტრის ჯარები ორჯერ სჭარბობდნენ იუგოსლავიის ჯარებს. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიის ჯარებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს, მაგრამ ქვეყნის შიგნით მალე თავი იჩინა გამყიდველობამ. იუგოსლავიის ჯარების ზურგში ამბოხება მოაწყეს ადგილობრივმა ფაშისტებმა, ხოლო ხორვატიაში გენერალმა პაველიჩმა წინააღმდეგობა შეწყვიტა. ასევე გენერალმა ნედიჩმა ჯერ ბულგარეთის ფრონტი მოშალა, 18 აპრილს კი გერმანელებს ბელგრადი ჩააბარა. გენერლების მიერ გაყიდული იუგოსლავიის ჯარები განადგურდა. სიმოვიჩი და მეფე პეტრე II საზღვარგარეთ გაიქცნენ.

იუგოსლავია ჰიტლერმა დაანაწილა თავის მოკავშირეთა შორის. სლოვენიის ნაწილი მესამე რაიხის შემადგენლობაში შეიყვანა, ხორვატია „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ" გამოცხადდა, იტალიამ მიიტაცა დალმაციის დიდი ნაწილი, დალმაციის სანაპიროს ყველა კუნძული და ჩერნოგორია. უნგრეთს მიაკუთვნეს სლოვენიისა და ვოევოდინის ტერიტორიების ნაწილი, ბულგარეთმა მიიტაცა მაკედონია და სერბის პომორავიე. ბელგრადში შეიქმნა სერბიის მარიონეტული მთავრობა გამყიდველ ნედიჩის მეთაურობით.

იუგოსლავიელი ხალხი პირველსავე დღიდან ჩაება ორგანიზებულ შეიარაღებულ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. ფართოდ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში ჩადგა იუგოსლავიის მუშათა კლასი და მთელი მშრომელები. სწორედ ამიტომ იყო რომ ამ ბრძოლამ თავიდანვე მიიღო არა მარტო ეროვნული, არამედ აგრეთვე სოციალური განთავისუფლების ხასიათი და მისი დარტყმა მიმართული იყო როგორც დამპყრობლების, ასევე ქვეყნის ინტერესების გამყიდველი ზედა ფენების წინააღმდეგაც. მათი

---

[1] ტერიტორია—255,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—23,42 მილიონი კაცი (1986 წლის იანვარი), დედაქალაქი ბელგრადი, გარეუბნებიანად 1.5 მილიონი მცხოვრები (1986 წ).

დიდი უმრავლესობა კოლაბორაციონიზმის ჭაობში აღმოჩნდა და ფაშისტებთან თანამშრომლობდა. ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას დაადგა აგრეთვე მემამულეთა დიდი ნაწილი. ბურჟუაზიისა და მემამულეების ის ნაწილი კი, რომელიც ჰიტლერელებთან არ თანამშრომლობდა. მომხრე იყო ლონდონში ემიგრირებული მთავრობისა და ინგლის-ამერიკის მხარდაჭერით ფიქრობდა მის უკან დაბრუნებას.

მაგრამ მშრომელი მასები მოითხოვდნენ, რომ ომის შემდგომ არ დაეშვათ ძველი რეჟიმის აღდგენა, რეჟიმისა, რომელმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. იუგოსლავიის ოკუპაციის უკვე პირველივე დღიდან იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი, რომლის ძირითად ძალას წარმოადგენდა პროლეტარული ბრიგადები. ომის ბოლოს ამ ბრიგადებში გაერთიანებული მებრძოლები თავის რიგებში 800 ათას კაცს ითვლიდნენ. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე იქმნებოდა სახალხო-განმათავისუფლებელი კომიტეტები, რომლებიც უკვე 1941 წლის სექტემბერში აღმოცენდა და დემოკრატიული ძალების ხელმძღვანელობით ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისა და ადგილობრივი სახალხო ხელისუფლების ორგანოებად გადაიქცა. რაც უფრო მეტად იზრდებოდა ამ კომიტეტების რაოდენობა, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა მათი ერთიან სისტემად გაერთიანება. 1942 წლის ნოემბერში შეიქმნა საერთო იუგოსლავური პოლიტიკური ორგანო—იუგოსლავიის ხალხის განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩე და მისი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა სახალხო განმათავისუფლებელი კომიტეტების საქმიანობისათვის. 1942 წლის 26—27 ნოემბერს ქალაქ ბიხაჩში შემდგარმა ანტიფაშისტური ვეჩეს პირველმა სესიამ დააკანონა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტები სახალხო იუგოსლავიის ახალ რევოლუციურ ხელისუფლებად. ერთი წლის შემდეგ, 1943 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ იაიცეში შემდგარმა ანტიფაშისტური ვეჩეს მეორე სესიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტიურად გახდა სოციალისტური იუგოსლავიის საფუძველი. ამ გადაწყვეტილების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ანტიფაშისტური ვეჩე სახალხო-განმათავისუფლებელი ომის დროს გარდაიქმნა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობის, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოდ.

სახალხო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანო გახდა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, ფაქტიურად იუგოსლავიის პირველი სახალხო მთავრობა, იუგოსლავიის კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის, სახალხო-განმათა-

ვისუფლებელი არმიის მთავარსარდლის იოსებ ბროზ ტიტოს[1] მეთაურობით, რომელსაც ანტიფაშისტური ვეჩეს სესიამ მარშალის წოდება მიანიჭა. ამრიგად, მეორე სესიის გადაწყვეტილებამ პოლიტიკური საფუძველი ჩაუყარა იუგოსლავიას. მან დაადგინა, რომ ახალი იუგოსლავია იქნება თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა დემოკრატიული სახელმწიფო. იგი ორგანიზებული იქნება ფედერაციის საფუძველზე, ქვეყნის ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის პრინციპებზე. ემიგრანტულ მთავრობას ჩამოერთვა პოლიტიკური უფლებები. მეფე პეტრე II კარაგეორგევიჩს აეკრძალა ქვეყანაში დაბრუნება ომის დამთავრებამდე.

იუგოსლავიელი ხალხი თავის ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებაში ეყრდნობოდა საბჭოთა კავშირის და ანტიჰიტლერული კოდიციის სახელმწიფოების მორალურ, მატერიალურ და სამხედრო მხარდაჭერას, საყურადღებოა, რომ იუგოსლავიის განმათავისუფლებელმა არმიამ 1941—1945 წლებში 35 ფაშისტური დივიზია გაანადგურა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის დამარცხების საერთო საქმეში. იუგოსლავიის ჯარებმა გაათავისუფლეს თავისი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათი ეს წარმატებები იმის შედეგიც იყო, რომ ფაშისტური გერმანიის ჯარები საბჭოთა და დასავლეთის სახელმწიფოების ჯარების მიერ იკო შებოჭილი და საშუალება არ ჰქონდა იუგოსლავიის პარტიზანების წინააღმდეგ დამატებითი ძალების გამოყენებისა.

1944 წლის სექტემბერში საბჭოთა ჯარები ბულგარეთზე გავლით იუგოსლავიას მიადგნენ და სახალხო-განმათავისუფლებელ ჯარებთან ერთად გაათავისუფლეს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი, 20 ოქტომბერს ბელგრადში შევიდნენ. იუგოსლავიის სახალხო არმიამ 1945 წლის მაისში დაამთავრა ქვეყნის განთავისუფლება უცხოელთა ჯარებისაგან. იგი ნიშნავდა სახალხო რევოლუციის გამარჯვებასაც. მისი თავისებურება, როგორც უკვე ვიცით, ის იყო, რომ ქვეყნის

---

[1] **იოსებ ბროზ ტიტო** 1892 წელს დაიბადა გლეხის ოჯახში. ახალგაზრდობაში ზეინკალ-მექანიკოსად მუშაობდა. პირველი მსოფლიო ომის წინ გაიწვიეს ავსტრია-უნგრეთის არმიაში, 1915 წელს ტყვედ ჩავარდა რუსეთში. სამხედრო ტყვეებს შორის ეწეოდა ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას. 1920 წელს ტიტო იუგოსლავიაში დაბრუნებისთანავე კომპარტიაში შევიდა. აქტიური რევოლუციური მოღვაწეობისათვის არაერთხელ იმყოფებოდა პატიმრობაში. 1921—1928 წწ. იყო საქალაქო კომიტეტის მდივანი ზაგრებში, 1937 წლიდან იკპ ცკ-ის, შემდეგ კი პოლიტბიუროს წევრია. 1935 წელს მონაწილეობდა კომინტერნის VII კონგრესის მუშაობაში. 1940 წლიდან ტიტო იკპ ცკ-ის გენერალური მდივანია. 1941-1945 წწ. ტიტო სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და პარტიზანული ნაწილების მთავარსარდალია. 1943 წლიდან ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარეა. ომის ბოლოს მთავრობის სათავეშია. შემდეგ პრეზიდენტი, 1966 წლიდან კი—იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე.

განთავისუფლებისათვის ბრძოლა დამპყრობლებისაგან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალურ განთავისუფლებასთანაც. ამრიგად, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ერთდროულად წყდებოდა არა მარტო ანტიფაშისტური, არამედ დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებიც. ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისას განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები, იღებდნენ რა ხელისუფლებას თავის ხელში, ახორციელებდნენ რიგ დემოკრატიულ გარდაქმნებს—ახდენდნენ სამშობლოს გამყიდველთა ქონების კონფისკაციას, ხოლო საზღვარგარეთის კაპიტალისტების საკუთრებას ადებდნენ სეკვესტრს, რაც ფაქტობრივად მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციის დასაწყისი იყო.

§ 16. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა

1945 წლის აგვისტოში შედგა ერთიანი სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის პირველი ყრილობა, რომელმაც შექმნა იუგოსლავიის სახალხო ფრონტი კომპარტიის ხელმძღვანელობით. მასში კომპარტიის გარდა შევიდნენ: პროფკავშირები ,ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კავშირი, ქალთა ანტიფაშისტური ფრონტი, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აგრეთვე ის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც მონაწილეობდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახალხო ფრონტი ქვეყანაში ერთადერთ საერთო სახალხო პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაიქცა. ყრილობამ მიიღო სახალხო ფრონტის პროგრამა და წესდება.

1945 წლის აგვისტოში სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო—იუგოსლავიელი ხალხის განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს III სესიის გადაწყვეტილების საფუძველზე გარდაიქმნა დროებით სახალხო სკუპშჩინად (პარლამენტად), რომელშიც ყირიმის კონფერენციის რეკომენდაციების საფუძველზე შევიდნენ აგრეთვე ომამდელი სკუპშჩინის ის დეპუტატებიც, რომელთაც თავი არ ჰქონდათ შერცხვენილი ფაშისტებთან თანამშრომლობით.

1945 წლის ნოემბერში ჩატარდა დამფუძნებელი სკუპშჩინის არჩევნები, სადაც ამომრჩეველთა ხმების 90% მიიღეს სახალხო ფრონტის დეპუტატებმა. 29 ნოემბერს შეკრებილმა დამფუძნებელმა სკუპშჩინამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც იუგოსლავიას ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკად აცხადებდა. ეს დღე ითვლება რესპუბლიკის, სახელმწიფოს დღესასწაულად.

1946 წლის 31 იანვარს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო, როგორც გამოცხადდა, საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგად მოწონებ-

ლი, რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას აცხადებდა ფედერაციულ სახელმწიფოდ. მასში შეიდა ექვსი თანასწორუფლებიანი სახალხო რესპუბლიკა: სერბია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მაკედონია და ჩერნიგორია. სერბიის რესპუბლიკაში მოსახლეობის რთული და ეროვნული შემადგენლობის გამო შეიქმნა ვოევოდინას ავტონომიური მხარე და კოსოვოსა და მეტოხიას ავტონომიური ოლქები.

ფედერაციული სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა სახალხო სკუპშჩინა, ხოლო მისი სესიებს შორის პერიოდში კი—სახალხო სკუპშჩინის პრეზიდიუმი. სახალხო სკუპშჩინა ორი თანასწორუფლებიანი პალატისაგან შედგებოდა—საკავშირო ვეჩესა და ეროვნებათა ვეჩესაგან. ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოა ფედერალური მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია სახალხო სკუპშჩინისა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

კონსტიტუცია სახელმწიფო სექტორს აცხადებდა სახალხო მეურნეობის სისტემის საფუძვლად. მიწის შესახებ კონსტიტუცია აცხადებდა, რომ „იგი ეკუთვნით იმათ ,ვინც მას ამუშავებს". კერძო საკუთრება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ რჩებოდა და სახელმწიფო ორგანოებს უფლება ეძლეოდათ განეხორციელებინათ კერძო საკუთრების შემდგომი ნაციონალიზაცია და ექსპროპრიაცია.

სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნები, სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება

იუგოსლავიელ ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ძალზე ძვირი დაუჯდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომს თავი შესწირა 1,706 ათასმა კაცმა, ანუ იუგოსლავიის მოსახლეობის 10,8 პროცენტმა, რაც უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფოების მიერ ერთად აღებული ცოცხალი ძალის ზარალი მეორე მსოფლიო ომში. იუგოსლავია მეხუთე ადგილზე გამოდის მსოფლიოში ომის დროს გაღებული მსხვერპლით. ასევე დიდია ომისაგან მიყენებული მატერიალური ზარალიც. რომელმაც შეადგინა 46,9 მილიარდი დოლარი, ანუ მთელი ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა მატერიალური ზარალის 17%. ოკუპანტებმა გაანადგურეს ქვეყნის მთელი მეტალურგიული, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები, ააფეთქეს 200-ზე მეტი შახტი და მაღარო. მოსახლეობის მეოთხედი ნაწილი უბინაოდ დარჩა. სოფლის მეურნეობამაც უდიდესი ზარალი განიცადა. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ

ომამდელი იუგოსლავია ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა (მოსახლეობა თითქმის 80% სოფლად ცხოვრობდა), გასაგები იქნება, თუ რაოდენ ჩამორჩენილი და გაპარტახებული ეკონომიკა მიიღო მემკვიდრეობით ახალმა ხელისუფლებამ.

ჯერ კიდევ ომის დროს დაწყებული სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელება ტარდებოდა კონსტიტუციის მიღებამდეც. 1945 წლის აგვისტოში დროებითმა სკუპშჩინამ მიიღო აგრარული კანონდ, რომლითაც მიწისმფლობელობის მაქსიმალურ ზომად დაწესდა 45 ჰექტარი მიწა, რომლის ზემოთ უნდა ჩამორთმეოდათ. ამ რეფორმის შედეგად კონფისკებულ იქნა 1,5 მლნ ჰექტარი მიწა, რომლის დიდი ნაწილი, 800 ათასი ჰექტარი უფასოდ დაურიგდათ გლეხებსა და ყოფილ პარტიზანებს, დანარჩენ მიწებზე კი შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები. რეფორმამ მიწის ნაციონალიზაცია და მასზე კერძო საკუთრების მოსპობა არ მოახდინა, მაგრამ მიწის ყიდვა-გაყიდვა შეზღუდა. 1953 წელს მიღებული ახალი კანონით მიწის მფლობელობა 10—15 ჰექტარამდე შეიზღუდა. დროებითმა სკუპშჩინამ მიიღო აგრეთვე კანონი ფულის რეფორმისა და ფასებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ.

კონსტიტუციის საფუძველზე სახალხო სკუპშჩინამ განახორციელა რიგი გარდაქმნები, რომლებიც მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში ტარდებოდა. 1946 წლის სექტემბერში მიღებული კანონით ჩატარდა ბანკებისა და მთელი საკრედიტო სისტემის ნაციონალიზაცია. დეკემბრის კანონით ჩატარდა საერთო საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია, რომლის განხორციელების შედეგად უკვე 1947 წლისათვის სახელმწიფო სექტორის ხელში იყო აღნიშნული ხასიათის მსხვილი მრეწველობის 100%. ტრანსპორტიც და საბითუმო ვაჭრობაც ასევე სახელმწიფოს ხელში გადავიდა. საგარეო ვაჭრობაზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი. დაწესდა პროგრესული საგადასახადო სისტემა. ამ ღონისძიებების შედეგად სახელმწიფო სექტორმა ეკონომიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა. კერძო კაპიტალის ხელში დარჩა მხოლოდ კუსტარული სახელოსნოები და წვრილი სავაჭრო საწარმოები.

აღდგენითი სამუშაოები ქვეყანაში ხორციელდებოდა უკვე ომის დროს და ომის დამთავრებისთანავე, რის შედეგად 1947 წლის დასაწყისში ომამდელ დონეს ძირითადად მიაღწიეს. 1947 წლის აპრილში მიღებულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1947—1951 წლებისათვის), რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური და ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, სახელმწიფო სექტორის მრეწველობის განვითარება და

მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. გეგმით სამრეწველო წარმოება 5-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობა კი 1,95-ჯერ უნდა გაზრდილიყო ომამდელ დონესთან შედარებით. უპირატესად უნდა განვითარებულიყო მძიმე ინდუსტრია. უნდა შესუსტებულიყო განვითარების დონის უთანასწორობა ცალკეულ რესპუბლიკებს შორის. მაგრამ გეგმის ამოცანები აღემატებოდა ქვეყნის შესაძლებლობას. ამიტომ ის მაღალი ტემპი და წამოწყებული გრანდიოზული საწარმოების და ელექტროსადგურების მშენებლობა ძალზე გაძნელდა. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ერთხანს დიდ დახმარებას უწევდნენ იუგოსლავიას.

იუგოსლავიელი კომუნისტების იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათის შეხედულებები და ურთიერთობის გამწვავება სოციალისტურ ქვეყნებთან

იუგოსლავიელმა კომუნისტებმა, თავიანთ მოღვაწეობაში, დამოუკიდებელი პოზიცია დაიკავეს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებში, რასაც მოჰყვა უთანხმოება საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან.

1948 წლის ივნისში კომუნისტურმა და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიურომ მიიღო რეზოლუცია „იკპ ზედგომარეობის შესახებ", სადაც საერთოდ დაგმობილი იყო იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელობის მთელი მოღვაწეობა.

ამის პასუხად 1948 წლის ივლისში მოწვეულმა იუგოსლავიის კომპარტიის V ყრილობამ უარყო ინფორმბიუროს კრიტიკა და უარი სთქვა ინფორმბიუროში მუშაობაზე. ყრილობამ იუგოსლავიის სახალხო რევოლუცია დაახასიათა, როგორც სოციალისტური ხასიათისა და მიიღო პროგრამა, რომელიც აცხადებდა, რომ სოციალიზმის მშენებლობა იუგოსლავიაში მიმდინარეობს მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა კავშირის და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.

1949 წლის ნოემბერში ინფორმბიუროს მიერ მიღებული მეორე რეზოლუციაში „იუგოსლავიის კომპარტიის შესახებ" ბრალდებები იყო წამოყენებული იმის შესახებ, რომ თითქოს იგი გადავიდა იმპერიალიზმის ბანაკში და აღარ წარმოადგენს სოციალისტურ სახელმწიფოს. მართალია, ეს რეზოლუცია უფრო გვიან გაუქმდა, მაგრამ მან გაამწვავა ურთიერთობა იუგოსლავიასა, საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის, რის გამოც ადგილი ჰქონდა ურთიერთ უმართებულო კრიტიკას, ბრალდებებს, არასწორ პოლიტიკას. საბჭოთა მთავრობამ გააუქმა იუგოსლავიასთან ჯერ კიდევ

1945 წლის აპრილში დადებული ხელშეკრულება მეგობრობისა, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა კავშირის მაგალითს მიბაძეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც. რამაც იუგოსლავიასა ერთის მხრივ და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეორე მხრივ დაძაბული ვითარება შეიქმნა.

სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ იუგოსლავია დაუახლოვდა კაპიტალისტურ ქვეყნებს და მათგან ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის დახმარებების მიღება დაიწყო. 1952 წელს იუგოსლავიასა და აშშ-ს შორის დაიდო შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. კაპიტალისტური ქვეყნებიდან იუგოსლავიამ მიიღო ფინანსური და ეკონომიკური დახმარებები.

ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მმართველობაში

1950—1954 წლებში ქვეყნის ეკონომიკაში რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი, რომლის შედეგადაც ერთი მხრივ შესუსტდა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა ეკონომიკისადმი, მეორე მხრივ კი საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს ფართო უფლებები მიეცათ. რათა დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის საკითხები. საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაზე სახელმწიფოს კონტროლი მხოლოდ საგადასახადო და საკრედიტო-საფინანსო საქმეებით შეიზღუდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი ხუთწლიანი გეგმა მძიმე მრეწველობის ობიექტებისა და მთავარი ელექტროსადგურების მშენებლობის საქმეში შესრულდა. ბევრი მსხვილი საწარმოც რეკონსტრუირებული იქნა.

საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო მამულებში შეიქმნა მუშათა თვითმმართველობის ორგანოები—მუშათა საბჭოები, რომლებმაც ფაროო რწმუნებები მიიღეს, რომლის შედეგად იუგოსლავიის ხელმძღვანელთა შეფასებით გაფართოვდა მშრომელთა მონაწილეობა წარმოების მართვაში, მათი დაინტერესება ეკონომიკურ მოღვაწეობაში. ყოველივე ამან დადებითი შედეგები გამოიღო. ამასთანავე ამ ღონისძიებას გააჩნდა თავისებური მხარეებიც. რომელიც გამოიხატა საწარმოებს შორის თანამშრომლობის დამყარებასთან ერთად მოგებების გამოკიდებაში. ადგილი ჰქონდა საკონკურენციო ბრძოლას, ირღვეოდა აგრეთვე ფასებიც.

სოფლად შემდეგნაირი მდგომარეობა შეიქმნა. 1952 წლამდე ხორცელდებოდა სოფლის გარდაქმნა, გლეხთა შრომითი კოოპერატივების შექმნის მიზნით და უკვე 1951 წლისათვის დაახლოებით 7 ათასი

კოოპერაციული გაერთიანება არსებობდა, რომლის განკარგულებაში იყო 2,3 მლნ ჰექტარი მ-წა. იგი 400 ათას გლეხთა მეურნეობას აერთიანებდა.

1953—1959 წლებში გატარდა სოფლის მეურნეობის კოოპერატივების რეორგანიზაცია. გადაწყდა, რომ სოფლის მეურნეობა თავისუფალი ყოფილიყო ყოველგვარი ადმინისტრაციული ხასიათის ხელმძღვანელობისაგან. კოოპერატივის წევრებს უფლება მიეცათ კოოპერატივიდან გამოსვლისა. ამან გამოიწვია კოოპერაციული მეურნეობების დაშლა და სოფლად გაბატონებული მდგომარეობა კერძო, წვრილსასაქონლო სექტორმა დაიკავა, მიწის კერძო მფლობელობა 10 ჰა-ით შეიზღუდა. ამასთანავე მიღებულ იქნა კანონი, რომლითაც მიწის თავისუფალ გაყიდვაზე არსებული შეზღუდვები მოიხსნა. სოფლად კოოპერაციის ძირითად ფორმად გადაიქცა საერთო ტიპის სოფლის მეურნეობის კოოპერატივები, რომელშიც შედიან ინდივიდუალური გლეხთა მეურნენი და ამავე დროს ინარჩუნებენ მიწაზე კერძო საკუთრებას. არსებობს აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მამულები და აგროკომბინატები, რომლებიც იუგოსლავიის სოფლებში ასრულებენ მნიშვნელოვან როლს. 1972 წლისათვის საზოგადოებრივ სექტორზე მოდიოდა მთელი დასაბუშავებელი მიწის 15% და სასაქონლო პროდუქციის ნაწარმის თითქმის ნახევარი. სასაქონლო პროდუქციის დანარჩენ ნაწილს იძლევა კერძო სექტორი, რომელიც ითვლის 2,6 მლნ ინდივიდუალურ მეურნეს.

განხორციელდა აგრეთვე პოლიტიკური გარდაქმნებიც. 1952 წლის ნოემბერში შემდგარმა კომპარტიის VI ყრილობამ გააუქმა ადრინდელი პროგრამა და წესდება და მიიღო ახალი წესდება, ხოლო პროგრამის შესამუშავებლად შეიქმნა კომისია. იუგოსლავიის კომპარტიამ კომუნისტთა კავშირის სახელწოდება მიიღო, კომუნისტთა კავშირის პროგრამა მიიღო VII ყრილობამ, რომელიც შედგა 1958 წლის აპრილში, ხოლო ახალი წესდება მიიღო IX ყრილობამ (1969 წ.). მასში ნათქვამია: „იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი წარმოადგენს მუშათა კლასისა და მთელი მშრომელების რევოლუციურ, ორგანიზებულ და წამყვან იდეურ პოლიტიკურ ძალას სოციალიზმისათვის ბრძოლაში, უკლასო კომუნისტური საზოგადოების შექმნა წარმოადგენს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ისტორიულ ამოცანას და საბოლოო მიზანს“.

1953 წელს გარდაიქმნა აგრეთვე სახალხო ფრონტიც, რომელმაც მიიღო ახალი სახელწოდება იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირისა, რომლის წესდებაში ნათქვამია, რომ მისი მი-

ზანია სოციალისტური წყობილების მშენებლობა.

1953 წლის იანვარში მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ძველ კონსტიტუციაში. მუშათა თვითმმართველობა გამოცხადდა საზოგადოებრივი წესის საფუძვლად. ეროვნებათა ვეჩეს ნაცვლად დაწესდა მწარმოებელთა ვეჩე, რომლის დეპუტატებს ირჩევდნენ მხოლოდ ის მშრომელები, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში იყვნენ დაკავებულნი. საკავშირო ვეჩეს დეპუტატების ნაწილს, რომლებსაც ირჩევდნენ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში, აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლოთ ეროვნებათა ვეჩეს შექმნა.

კონსტიტუცია აწესებდა სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურის პრეზიდენტის თანამდებობას, რომელსაც დიდი უფლებები ენიჭებოდა. პრეზიდენტი გახდა კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბროზ-ტიტო, რომელმაც ქვეყანაში ერთპიროვნული დიქტატურა დაამყარა.

1963 წლის 7 აპრილს იუგოსლავიამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ქვეყანა გამოაცხადა სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკად. 1974 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა ახალი, ომის შემდეგ რიგით უკვე მეოთხე კონსტიტუცია, რომელიც კომუნისტთა კავშირს ახასიათებს სოციალიზმის მშენებლობაში და იუგოსლავი ხალხების ერთიანობის და ძმობის, მშრომელთა სოლიდარობის განხორციელებაში, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელების წამყვან იდეურ-პოლიტიკურ ძალად. ახალმა კონსტიტუციამ არსებითი ცვლილებები შეიტანა სკუპჩინას შექმნის წესში, რომელთა შორის მთავარია ე. წ. დელეგატთა სისტემა.

ყოველ კოლექტივში, რომელიც წარმოადგენს თვითმმართველობის პირველად უჯრედს, მშრომელები პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ დელეგატებს ოთხი წლის ვადით. კანდიდატების წამოყენება ხდება იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის ჩარჩოებში. ყოველი დელეგატი ან კოლექტივების რამოდენიმე დელეგაცია რომლებიც ერთიანდებიან შრომისა ან სხვა ხასიათის ინტერესებით აგზავნიან დელეგატს სკუპშჩინაში. დელეგატი შეიძლება გაიგზავნოს დელეგაციის ან მთელი რწმუნების ვადით, ან მხოლოდ განსაზღვრული საკითხების გადასაჭრელად. ასეთი წესით ირჩევენ სათემო, ავტონომიური ოლქებისა და რესპუბლიკების სკუპშჩინებს. ყოველი სკუპშჩინა პრინციპში სამი ვეჩესაგან (ე. ი. პალატისაგან) შედგება: 1. გაერთიანებული შრომის ვეჩეს ფორმირება ხდება შრომითი კოლექტივებისა და მშრომელთა სხვა გაერთიანებისაგან, 2. ადგილობრივი თანამეგობრობის ვეჩე შედგება მოქალქეთა საცხოვრებელი ადგილე-

ბის მიხედვით, ტერიტორიული გაერთიანებისაგან, 3. საზოგადოებრივ პოლიტიკურ ვეჩეს სათემო სკუპშჩინაში ირჩევენ თემის მოქალაქეები საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

1974 წლის კონსტიტუციამ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ, საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფედერაცია გამოაცხადა სკუპშჩინა რომელიც ხუთი ვეჩესაგან კი არ შედგება, როგორც ეს 1963 წლის კონსტიტუციით იყო, არამედ ორი ვეჩესაგან—რესპუბლიკებისა და მხარეების ვეჩესაგან, ყველა რესპუბლიკა თანაბარი რაოდენობით აგზავნის თავის დელეგატებს (პირველში 30—30, მეორეში 12—12-ს). დელეგატებს ირჩევენ რესპუბლიკისა და მხარეების სკუპშჩინები. სკუპშჩინის ყოველ ვეჩეს თავისი განსაკუთრებული კომპეტენციები აქვს და ერთად მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებს იხილავენ.

დელეგატთა სისტემამ, როგორც იუგოსლავიის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, უნდა უზრუნველყოს მშრომელთა ფართო მონაწილეობა ხელისუფლებაში, საზოგადოებრივ თვითმმართველობაში და დელეგატების უფრო მჭიდრო კავშირი მასებთან.

სკუპშჩინები ქმნიან თავის პოლიტიკურ ორგანოებს—საკავშირო აღმასრულებელ ვეჩეს. იგი შედგება თავმჯდომარისა და წევრებისაგან, რომელთაც რესპუბლიკები ირჩევენ თანასწორი წარმომადგენლობის საფუძველზე.

კონსტიტუციამ შეამცირა სახელმწიფოს პრეზიდიუმის შემადგენლობის რაოდენობა, სადაც შევიდა რესპუბლიკის მხოლოდ თითო წარმომადგენელი და კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე.

წარმატებები ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში

მიუხედავად რიგი ეკონომიკური სიძნელეებისა იუგოსლავიელმა ხალხმა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საკმარისია აღინიშნოს რომ სამრეწველო წარმოება 30 წლის განმავლობაში 14-ჯერ გაიზარდა. 1952—1972 წლებში, ე. ი. 20 წლის განმავლობაში, მრეწველობის სიძლიერე გაიზარდა 5-ჯერ, მრეწველობაში დაკავებულთა რაოდენობა 2,8-ჯერ, შრომის ნაყოფიერება 2,6-ჯერ. ერთი თვის განმავლობაში ქვეყანა უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე მთელ 1939 წელს. საერთო წარმოებაში გაიზარდა როლი ისეთი დარგებისა როგორიცაა ქიმიური. ელექტროტექნიკური. ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, გემთმშენებლობა, რომელთა ხვედრითი წონა საერთო წარმოებაში 21 პროცენტიდან (1952 წ.) გაიზარდა 39 პროცენტამდე (1971 წ.). სოფლის მეურნეობის წარმოება გაიზარდა 2-ჯერ მეტად.

იუგოსლავიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. 1947—1972 წლებში აშენდა 2 მლნ ბინა. ამ პერიოდში საცხოვრებელი ფონდის 60% ახალი ბინებისაგან შედგებოდა. 8-წლიან განათლებას იღებს საკოლო ასაკის ბავშვთა 90%. „მივაღწიოთ 1980 წლისათვის საყოველთაო რვაწლიან სწავლებას", ასეთი მიზანი დაისახეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკებმა. მათ წამოაყენეს 1980 წლამდე 1000 ახალი სკოლის აგების პროგრამა. ომამდე კი ეს მხარე თითქმის მთლიანად უწიგნურად ითვლებოდა. 1975 წლისათვის სასწავლო პროცესში ჩაბმული იყო ბავშვთა 88%. რესპუბლიკაში გახსნილია 30 ათასზე მეტი სკოლა, მაგრამ ჯერ კიდევ არის ისეთი რაიონები, განსაკუთრებით შორეულ მთიან ადგილებში, სადაც მოსწავლეები 10—20 კმ დაშორებით დადიან სკოლაში.

1975 წლისათვის იუგოსლავიაში 18-ჯერ მეტი სტუდენტი იყო, ვიდრე ომამდე. ამრიგად, იუგოსლავიამ წარმატებებს მიაღწია თავისი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურული ცხოვრების სფეროში.

1974 წლის კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელდა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა. სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოები ახორციელებდნენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისათვის. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმის ინიციატივით ქვეყნის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ერთად შემუშავდა 1976—1980 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და იუგოსლავიის განვითარების კონცეფცია 1985 წლამდე. 10 წლიანი კონცეფციით გათვალისწინებული იყო, რომ 1985 წლისათვის ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მიაღწევს 2000 დოლარს (ამ დროისათვის კი 900 დოლარი იყო). 1985 წლისათვის იუგოსლავიას უნდა მიეღწია დასავლეთ ევროპის მაღალ განვითარებული სამრეწველო ქვეყნების დონისათვის.

პირველი სამი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ყოველწლიური ტემპების ზრდას 6 პროცენტით. ამასთანავე ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში ძალზე რთული და სერიოზული იყო ისეთი არახელსაყრელი ტენდენციების გამო სახალხო მეურნეობაში როგორიცაა ფასების მუდმივი ზრდა, გასავლის მნიშვნელოვანი უპირატესობა შემოსავალთან შედარებით, საგარეო ვაჭრობისა და საგადასახადო ბალანსის დეფიციტის განუწყვეტელი ზრდა.

კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პლენუმებზე (ივნის-ივლისი, 1979 წ.) დაგმობილ იქნა შემოსავლის გაზრდა გაუმართლებელი ფასების ზრდით, ხელფასის დონეში დიდი განსხვავება, როდესაც „მუშათა კლასის ერთი ნაწილი პრივილეგირებულ, ხოლო მეორე კი დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია". ფასების ზრდის შეჩერების მიზნით 1979 წლის 3 აგვისტოს აღმასრულებელმა საკავშირო ვეჩემ მიიღო გადაწყვეტილება — მისი დროებითი გაყინვის შესახებ ივლისში არსებულ დონეზე, რათა წლის ბოლომდე საცალო ფასები სამრეწველო საქონელზე არ გაიზარდოს 13 პროცენტზე, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კი—18 პროცენტზე მეტად. აღინიშნა რა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დადებითი ასპექტები (სამრეწველო წარმოების დინამიური ზრდა, დასაქმების ზრდა), საკავშირო ვეჩემ მიუთითა იმაზე, რომ „სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი ძირეული პრობლემაა, რომელიც გადაიქცა განვითარების შემზღუდველ ფაქტორად", ხოლო „ქვეყნის საგარეო დავალიანებამ კი ისეთ დონემდე მიაღწია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაიზარდოს". 1978 წლის ბოლოს დასაქმებული იყო 5.4 მლნ. 1979 წლის ბოლოს კი 7.6 მლნ კაცი, საზღვარგარეთ დროებით სამუშაოებზე იყო 800 ათასი იუგოსლავიელი მოქალაქე. უმუშევართა რაოდენობა შეადგენდა 762 ათას კაცს. ინფლაციის დონემ მიაღწია 25 პროცენტამდე, ცხოვრების ღირებულება 20 პროცენტით გაიზარდა. რეალური ხელფასი კი ძველ დონეზე დარჩა (ნომინალური ზრდაა—20%).

ბროზ ტიტოს გარდაცვალების შემდეგ (1980 წლის 4 მაისს) ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა კოლეგიური მუშაობის სრულყოფის საკითხებმა პარტიულ და სახელმწიფო მექანიზმის ყველა რგოლში. ეს საკითხი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში დააყენა ი .ბროზ ტიტომ 1978 წლის ნოემბერში. 1974 წლის კონსტიტუციით და კომუნისტთა კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებით ი. ბროზ ტიტო იყო ქვეყნის პრეზიდენტი და პარტიის თავმჯდომარე განუსაზღვრელი რწმუნების ვადით.

ი. ბროზ ტიტოს გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობა გაუქმდა. ჯერ კიდევ 1979 წლის მაისში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება თავის სამუშაო რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომლის შესაბამისად პარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის მდივნად ყოფნა ორი წლის ვადით. თავმჯდომარედ კი ერთი წლის ვადით განისაზღვრა, ხოლო იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის თავმჯდომარედ რიგრიგობით ირჩევენ რესპუბლიკებისა და ოლქების წარმომადგენლებს ერთი წლის ვადით.

ქვეყანამ თავის განვითარებაში განსაზღვრულ შედეგებს მიაღწია. 1978—1981 წლებში დასაქმება ყოველწლიურად 3,6% იზრდებოდა, რის წყალობითაც დამატებით 1,3 მლნ კაცი იქნა დასაქმებული, მაგრამ უმუშევრობა კვლავ მნიშვნელოვანი იყო და იგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. 1978—1981 წწ. ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ყოველწლიურმა მატებამ შეადგინა 4,5%, მაგრამ სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდა ეცემოდა.

იუგოსლავია მანამდე მთლიანად 30 წლის განმავლობაში თვითმმართველობის საფუძველზე ეკონომიკური კანონზომიერების პრინციპების აღიარების შედეგად საკმაოდ წარმატებით უძღვებოდა სახალხო მეურნეობის განვითარებას, მაგრამ 80-იანი წლების დამდეგიდან ქვეყნის ეკონომიკა აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში, რაც თვით იუგოსლავიის ცნობილ ეკონომისტების (კირო გრიგოროვიჩი და სხვები) აღიარებით, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მიერ 1958 წ. მიღებული პროგრამიდან გადახვევის გამო შეიქმნა. ეს, მათი აზრით, იმით გამოიხატა, რომ დავიწყებას მიეცა ეკონომიკური კანონზომიერება, მას უგულვებელყოფდნენ, იზრდებოდა სამეურნეო საქმეში ადმინისტრაციული ჩარევა, როგორც ფედერაციის დონეზე, ასევე უფრო მეტად დეცენტრალიზებულ ისტრუქტურის დონეზე (ე. ი. რესპუბლიკებისა და ოლქების დონეზე). ყველაფერ ამას კი მოჰყვა თვითმმართველობის გამოდევნა ეკონომიკური ცხოვრებიდან, საწარმოების დამოუკიდებლობის სერიოზული შეზღუდვა. ბაზრის შეზღუდვა, გადაწყვეტილების მიღებაში ვოლუნტარისტული მეთოდების დანერგვა. ამავე პერიოდში შეიქმნა დიდი საგარეო დავალიანება. მაგრამ მიღებულ სესხებს არა საკმაოდ მოფიქრებულად იყენებდნენ. კაპიტალურმა დაბანდებებმა არ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები. ხოლო უცხოეთიდან მიღებული კრედიტებისადმი ვალდებულებები ზღუდავდა შემდგომ განვითარებას. ცხოვრების დონის ამაღლებას. ეკონომიკაში დაიწყო მოდუნების პერიოდი და ქვეყანა მოიცვა ინფლაციამ.

პარტიისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ მთელ რიგ დოკუმენტებში ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიზეზებად დასახელებულია უცხოეთიდან შემოსატან ნედლეულზე დამყარებული დამამუშავებელი მრეწველობის ფორსირებული განვითარება, უგულვებელყოფა ნედლეულის ბაზაზე არსებული მრეწველობის და ენერგეტიკული ბაზის განვითარებისა, ყველა სახის მოხმარების გაზრდაზე ხანგრძლივი ორიენტაცია. რაც აღემატება ქვეყნის მატერიალურ შესაძლებლობებს. სახალხო მეურ-

ნეობაში გამწვავდა სტრუქტურული დისპროპორცია, კერძოდ, დამამუშავებელი და სათბობის მომპოვებელ დარგებში, გაიზარდა მრეწველობის დამოკიდებულება ნედლეულის იმპორტზე, გაიზარდა რეგიონალური უანცალკევება ქვეყნის რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის, დაირღვა იუგოსლავიის ბაზრის მთლიანობა. დესტაბილიზებულ ფაქტორად გადაიქცა ინფლაციის სწრაფი ზრდა, შეფერხებები ბაზრის მომარაგებაში პირველი მოთხოვნის საქონლით. მძიმე უღლად აწვევს ქვეყნის ეკონომიკას საგარეო ვალების (1978 წ. 11,8 მლრდ დოლარს შეადგენდა) პროცენტული გადასახადი. მაგალითად, 1982 წელს იუგოსლავიამ კაპიტალისტურ ქვეყნებს ვალების, კრედიტებისა და პროცენტების დასაფარავად გადაუხადა 5,6 მლრდ დოლარი შექმნილი ვითარება საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარემ მ. პლანინცმა სკუბშჩინის სხდომაზე (1982 წლის 30 დეკემბერს) შემდეგნაირად დაახასიათა—„ჩვენი სტრატეგიული შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად მოხმარების გაზრდისაკენ იყო მიმართული... ფაქტები დაბეჯითებით მოწმობენ უკანასკნელ წლებში დიდი დარღვევის შესახებ საზოგადოებრივი და პირადი მოხმარების დონესა და რეალურ მატერიალურ შესაძლებლობებს შორის. ვიღებდით რა წლების განმავლობაში უცხოეთის დამატებით კრედიტებს, ჩვენ შესაძლებელი სახსრების გარეშე ვცხოვრობდით“.

ქრონიკული ეკონომიკური სიძნელეების პიზეზების გაანალიზება მოახდინა საკავშირო ვეჩემ. რომელმაც აღნიშნა არახელსაყრელი საგარეო ეკონომიკური კონიუნქტურა, აგრეთვე თვითმმართველობის განვითარებაში მოდუნების ტენდეციები, ხაზი გაუსვა იუგოსლავიის ეკონომიკის საგარეო დამოკიდებულების შემცირების მნიშვნელობას ქვეყნის მატერიალურ პოტენციალთან პირადი და საზოგადოებრივი მოხმარების შესაბამისობაში მოყვანას; დაგმო ეკონომიკურად გაუმართლებელი ხელფასების მომატების ფართო პრაქტიკის არსებობა, რომელიც აღემატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს. ვეჩემ მოიწონა ეკონომიკური სტაბილიზაციის ხანგრძლივვადიანი და ანტიინფლაციური პროგრამის ძირითადი მიმართულებები და დასახა, კერძოდ, ინფლაციის შემცირების ამოცანა 40 პროცენტიდან 1981 წელს—25 პროცენტამდე 1982 წლისათვის და 10 პროცენტით—1985 წლის ბოლოსათვის. ინფლაციის თავიდან აცილების მიზნით საკავშირო სკუპშჩინას ვეჩემ მიიღო გადაწყვეტილება ფასების გაყინვაზე 1982 წლის ბოლომდე და შემოიღო მკაცრი შეზღუდვები ელექტროენერგიაზე, ბენზინზე, მაზუთზე, ქვანახშირზე. ამასთანავე გატარდა დინარის დე-

ვალვაცია 20% ასეთი დევალვაცია არაერთხელ გატარდა: 1952, 1961, 1965 წწ., 1971 წლის იანვარსა და დეკემბერში და 1980 წ.) საკავშირო სკუპშჩინაზე მიღებული ეკონომიკური სტაბილიზაციის ხანგრძლივვადიანი პროგრამა ითვალისწინებდა თვითმმართველობისა და ბაზრის კანონზომიერების თანამიმდევრულ რეალიზაციას, ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფად რეაგირებას. ყოველ.. საწარმოს პასუხისმგებლობას თავის საქმიანობაში, მათი უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოებას. ქვეყნის ეკონომიკის შემობრუნებას მსოფლიო ბაზრისაკენ. ყველაფერი ეს აუცილებელი პირობაა მაღალპროდუქტიული და ხარისხიანი მეურნეობის განვითარებისათვის. გარდაქმნები უკვე დაიწყო იუგოსლავიაში, მაგრამ იგი ხვდება გარკვეულ წინააღმდეგობებს, განსაკუთრებით, ისეთი პირებისაგან, რომელნიც ქვეყნის ექსტენსიურ მეთოდებით განვითარების მომხრენი არიან.

პარტიის ცკ-ის 1983 წლის ივლისის პლენუმზე გამოსვლისას ცკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. მარკოვიჩმა, რომელმაც ივნისში შეცვალა ამ ადგილზე მ. რიბაჩიჩი (ყოველწლიური როტაციის სისტემის საფუძველზე) ხაზი გაუსვა იმას, რომ სკუპშჩინაზე ამავე წლის ივლისში მიღებული „ეკონომიკური სტაბილიზაციის ხანგრძლივვადიანი პროგრამა“ ითვალისწინებს მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო სრულყოფილად გამოყენებას, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, ქვეყნის რეალური შესაძლებლობის შესაბამისობაში ყველა სახის მოხმარების მოყვანას, მკაცრი ეკონომიის განხორციელებას, სახალხო მეურნეობის სტრუქტურის გადაყვანას „საკუთარ ძალებზე დაყრდნობის პოლიტიკაზე“. 1983 წლის ივლისში ეს დოკუმენტი დაამტკიცა ქვეყნის სკუპშჩინამ და საფუძვლად დაედო ახალი 1986—1990 წწ. ხუთწლიან გეგმას.

1983 წელს ძალზე მწვავედ იდგა საკითხი ქვეყნის საგარეო ვალების გადახდისუნარიანობის შესახებ. რამდენიმე თვის განმავლობაში იუგოსლავიის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ახალი მსხვილი ფინანსური და სავაჭრო კრედიტების მიღების თაობაზე. 15 კაპიტალისტურმა ქვეყანამ (დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები, აშშ და იაპონია) და, აგრეთვე, 600-მდე კომერციულმა ბანკმა იუგოსლავიას მისცა 4 მლრდ დოლარი სესხი, აგრეთვე, გაფაუვადა ძველი ვალების გადახდა. ივლისში ბემდგარ სკუპშჩინის სხდომაზე საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარემ მ. პლანინცმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: ჩვენ იძულებული ვავხდით მიგვეღო ეს „მძიმე, პასუხისმგებლური, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილება“. 1984 წლის ნოემბერში სკუპშჩინამ მიიღო კანონი .უგოსლავიის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის თავისუფლად და-

ბანდების შესახებ. ნოემბერში სკუპშჩინამ მიიღო ვალების გადახდის ხანგრძლივვადიანი პროგრამა (1990 წლამდე), რომელიც ითვალისწინებს საგარეო ვალების (1984 წლისათვის უდრიდა 19,2 მლრდ დოლარს) მომავალი 6 წლის განმავლობაში 3 მლრდ დოლარამდე შემცირებას. 1984 წლისათვის იუგოსლავიის ვალდებულებები საგარეო ვალების გადახდაზე აღემატებოდა 5 მლრდ დოლარს, გადაიხადა კი 3,1 მლრდ დოლარი.

1984 წლის მარტსა და ოქტომბერში საკავშირო სკუპშჩინამ განიხილა „ეკონომიკური სტაბილიზაციის ხანგრძლივვადიანი პროგრამის" განხორციელების მსვლელობის საკითხი და აღიარა, რომ ცხოვრებაში მისი წარმატებით გატარება ყოვნდება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის შიგნით არსებულ აზრთა სხვადასხვაობის გამო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის შესახებ, რაც ხელს უშლის სამეურნეო სისტემაში ცვლილებების შეტანას.

1985 წელი (1981—1985 წწ.) ხუთწლედის დამამთავრებელი წელი იყო, მაგრამ მან ვერ ვოიტანა მოსალოდნელი სამეურნეო აქტივობის ზრდა. 1986 წ. თებერვალში ჩატარებულმა პარტიის პლენუმმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 80-იანი წლების პირველი ნახევრის პერიოდი ხასიათდებოდა ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებით, რომელმაც მოიცვა მთელი საზოგადოებრივი წარმოება. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია საკმაოდ ვერ იქნა შეცნობილი საზოგადოებაში და პარტიაში, რის გამოც ეკონომიკური პრობლემები, ადეკვატური ღონისძიებისა და აქციების უქონლობის გამო, გამწვავდა და დაგროვდა. 1985 წელს შენელდა ეკონომიკური განვითარების ტემპები. გაიზარდა ინფლაცია, რის გამოც ეკონომიკური და სოციალური ვითარება ქვეყანაში კვლავ გამწვავდა. 1985 წ. ყოველმა მეთორმეტე საწარმომ ზარალით დაამთავრა წელი. 1985 წელს ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3%-ით ზრდისა, 0,2%-ით გაიზარდა, ხოლო მთელი ხუთწლედის განმავლობაში 1% შეადგინა. საზოგადოებრივ სექტორში კი შრომის ნაყოფიერება 1,5% შემცირდა. ცუდი ამინდის—ხანგრძლივი გვალვის გამო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 7,5%-ით შემცირდა. მარცვლეული 11% ნაკლები აღეს წინა წელთან შედარებით, ფასები გაიზარდა 76%, მთელ ხუთწლედში კი საშუალოდ 48.6% შეადგინა. ხელფასის ზრდა ბევრად ჩამორჩა ფასების ზრდას. ცხოვრების ღირებულება 74% გაძვირდა 1985 წლის იანვრიდან სექტემბრამდე იუგოსლავიაში რეგისტრირებულია 400-ზე მეტი გაფიცვა (1984 წ. კი—384) საგარეო ვალი პრო-

ცენტების გადასახადთან ერთად 24 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. საგარეო ვალის გადახდა ნთქავს ქვეყნის სავალუტო შემოსავლის 45% და ეროვნული შემოსავლის 5%. 1985 წლის განმავლობაში ჩატარდა პარტიის რვა პლენუმი, აქედან ექვსზე განიხილეს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა. პლენუმზე დაგმეს რესპუბლიკათაშორისო წინააღმდეგობათა არსებობის გამო საერთო იუგოსლავიის საკითხების გადაწყვეტის გაჭიანურების პროცედურა. 1985 წ. ივლისში მიიღეს იუგოსლავიის ხანგრძლივვადიანი განვითარების გეგმა საუკუნის ბოლომდე, დეკემბერში კი სკუპშჩინამ მოიწონა 1986—1990 წლების ახალი ხუთწლიანი გეგა. მთელი 1985—1988 წლების განმავლობაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საკითხები იყო უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ყურადღების ცენტრში. 1986 წლის 25—28 ივნისს ფედერალურმა მთავრობამ ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის ბრძოლა გამოაცხადა როგორც მთავარი ამოცანა უახლოეს წლებში. მთავრობამ ღონისძიებების სამი „პაკეტი" წამოაყენა, რომელიც მიზნად ისახავს წარმოებაში მოდუნების დაძლევას, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესაბამისობაში მოყვანას, ინფლაციის ზრდის აღკვეთას, ფასების რეგულირებას. კერძოდ, ყველა რესპუბლიკურ და ავტონომიურ ოლქს—წინადადება მიეცათ უკან დააბრუნონ შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც 1986 წ. 30 ივნისამდე მიიღეს დაგეგმილ დონეზე ზემოთ და ეს თანხები გადასცენ ექსპორტის განვითარების ფონდში; საწარმოებს ჩამოერთვათ ის ნაწილი შემოსავლისა, რომელიც მიიღეს პროდუქციაზე ფასების გაზრდით. დაისახა სხვა ამოცანებიც, მაგრამ, როგორც მთავრობის 1986 წლის დეკემბრის სხდომამ აღიარა, მიუხედავად მეურნეობის ერთგვარი გამოცოცხლებისა, გარდატეხა ეკონომიკურ განვითარებაში არ მომხდარა. ინფლაციამ 1986 წ. მიაღწია 88,1% (მისი შეზღუდვის ამოცანა კი დასახული იყო 50%-მდე). კვლავ მწვავედ იდგა უმუშევრობის საკითხი (1,1 მლნ კაცი). 1986 წლის განმავლობაში ჩატარდა 700 გაფიცვა.

1986 წ. იუგოსლავიამ საზღვარგარეთის კრედიტორებს გადაუხადა თავისი ვალიდან 3 მლრდ დოლარი. აპრილში იუგოსლავიასა და დასავლეთის 15 ქვეყანასა და კუვეიტს შორის დაიდო ხელშეკრულება იუგოსლავიის ვალებიდან 1,3 მლრდ დოლარის გადახდის 9 წლით განვადების შესახებ.

1987—1989 წლებშიც იუგოსლავიის ეკონომიკა, მიუხედავად რიგი დასახული ღონისძიებებისა, რომლებიც ნელა ტარდებოდა, კრიზისულ მდგომარეობაში იყო. განსაკუთრებით მძიმე იყო 1988 წლის ზაფხული. მოუსავლიანობამ ძალზედ გაამწვავა ისედაც მძიმე

ეკონომიკური მდგომარეობა. მთავრობა ფასების გაზრდით ცდილობ-და შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავ-ს დაღწევას. 1988 წლის 1 ივნისიდაან ჩატარდა დინარის მორიგი დევალვაცია 23,9 პროცენტით. ამის შედეგი ის იყო, რომ ფასები ხორცზე ერთბაშად 100 პროცენ-ტით გაიზარდა, გადასახადი საბავშვო ბაგებსა და ბაღებში 70, ავიაბილეთებზე—127 პროცენტით.

§ 10. 1988 წლის ამბები იუგოსლავიაში

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ინფლაცია 366 პროცენ-ტით გაიზარდა, რამაც მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუარეს-ება, მათი უკმაყოფილების ზრდა და საყოველთაო გამოსვლები გა-მოიწვია. ამ გამოსვლებმა ფართო ხასიათი 1988 წლის შემოდგომაზე მიიღო. ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველების აზრით, ისეთი მასობრივი ხასიათის გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებიც იუგოსლავიის როგორც დიდ, ასევე პატარა ქალაქებს მოედო, ჯერ არ ახსოვს ამ ქვეყანას. განსაკუთრებით დაძაბული ვი-თარება შეიქმნა ვოევოდინასა და ჩერნოგორიაში. ხალხი მოითხოვდა შექმნილი ვითარების გამოსწორებას.

საკავშირო აღმასრულებელმა ვეჩემ, ჯერ კიდევ ივნისში, მდგომა-რეობის გამოსწორებისათვის სამი პუნქტი წამოაყენა ეკონომიკის ე. წ. ლიბერალიზაციის მიზნით: პირადი შემოსავლის შეზღუდვა, ფა-სების თავისუფალი დაწესება, უცხოეთიდან საქონლის თავისუფალი შემოტანა. 1988 წლის 1 ივნისიდან დაიწყო მოქმედება თავ-ს უფალ-მა სავალუტო ბაზარმა—ე. ი. ყველას შეეძლო დინარის თავისუფ-ლად გაცვლა ვალიუტაზე. ამ ღონისძიებებმა ვითარება ქვეყანაში კი-დევ უფრო გაართულა. ეკონომიკის „ლიბერალიზაციას“ მოჰყვა მო-სახლეობის ფართო ფენების ყიდვისუნარიანობის კიდევ უფრო და-ცემა, ფასების შემდგომი ზრდა, უცხოეთიდან საქონლის მოზვავება და დინარის მასობრივად გაცვლა ვალიუტაზე იმის შიშით, რომ, თუ მისი ახალი დევალვაცია მოხდებოდა, მდგრად ვალიუტას გადაცვლი-დნენ სტაბილიზებულ დინარზე. ყოველივე ამან გამოიწვია ცხოვრე-ბის დონის კატასტროფულად დაცემა. ფასები არნახული სისწრაფით იზრდებოდა, ხელფასი კი ერთ ადგილზე იყო გაყინული. შედეგი ამისა იყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მდგომარეობის უკიდუ-რესად გაუარესება, შრომის ნაყოფიერების მკვეთრად დაცემა, ინ-ფლაციის ქრონიკული ხასიათი, უმუშევრობის მაღალი დონე. ივნის-ში სერბიაში ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოთხსულიანი ოჯახის ნორმალური არსებობისათვის საჭირო იყო მი-ნიმუმ 350—400 ათასი დინარი, საშუალო ხელფასი კი არ აღემატება 300 ათას დინარს. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა მოსახლეობის აბ-

სოლუტური უმრავლესობა, რომელთა პირადი შემოსავალი მინიმუმზე დაბალი იყო, ხოლო შემოდგომაზე ფასების კატასტროფულად ზრდასთან დაკავშირებით ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ახლა ცხოვრების მინიმუმისათვის 500 ათასი დინარიც კი არ იყო საკმარისი. 17 ივლისს ბელგრადში სოფლის მეურნეობის მანქანების ქარხნის მუშები გაიფიცნენ და შეიკრიბნენ სკუპშჩინის შენობის წინ. ასინი აღშფოთებული იყვნენ თავიანთი პირადი შემოსავლის შემცირებით. ამ ქარხანაში საშუალო ხელფასი გახდა 265 ათასი დინარი. ამასთან, ფასების ზრდის გამო მუშათა რეალური შემოსავალი მკვეთრად დაეცა. მათ მოითხოვეს მდგომარეობის გამოსწორება. მუშათა ამ მოთხოვნებს მხარი დაუჭირეს ქალაქის მცხოვრებლებმა, სტუდენტებმა და ა. შ. მათ აღშფოთება გამოთქვეს ფასების განუწყვეტელი ზრდის გამო. ამ ქვეყანაში მაღაზიები საზოგადოებრივი და კერძოა. საზოგადოებრივი მაღაზიები მუშაობენ თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, სავსეა ადგილობრივი თუ უცხოური საქონლით. რიგები არ არის. მაგრამ ხალხს აბსოლუტური უმრავლესობისათვის საქონლის ეს მდიდარი ასორტიმენტი მიუწვდომელია. 1988 წლის ოქტომბრის მონაცემებით საბანკო ანაბრების 80 პროცენტზე მეტი ეკუთვნის მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს. სწორედ აი ესენი ცხოვრობენ კარგად. უნებურად იბადება კითხვა: თუ თვითმმართველობის სოციალიზმის მშენებლობის იუგოსლავური გამოცდილება 40 წლის განმავლობაში წარმატებით ხორციელდებოდა, მაშ რა მოხდა ახლა? შესაძლოა თვითმმართველობის სოციალიზმის იუგოსლავური გამოცდილება შეცდომაა? სწორედ ამ კითხვაზე პასუხი გასცა 1988 წლის ოქტომბერში შემდგარმა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის XVII პლენუმმა. პარტიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ სტიპე შუვარმა შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში ბრალი დასდო კომუნისტებს ხელმძღვანელობიდან დაწყებული უბრალო ფუნქციონერებით დამთავრებული. „ყოველმა კომუნისტმა—განაცხადა ს. შუვარმა—პასუხი უნდა აგოს მუშათა კლასის წინაშე“ .რატომაა რომ ამ ბოლო დროს იუგოსლავიაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება გართულდა და უკვე კარგა ხნის განმავლობაში აპრობირებულ სოციალიზმის თვითმმართველობის სისტემას, რომლის დროსაც ყველაფერი მუშების ხელშია—დირექტორისა და მთელი ადმინისტრაციულ-მმართველობის აპარატის არჩევნებიდან დაწყებული და წარმოებით და განაწილებით დამთავრებული,—ბზარი გაუჩნდა? ამ კითხვაზე ს. შუვარმა შემდეგნაირად გასცა პასუხი: მუშებს კი გადასცეს მთელი წარმოების გამგებლობა, მაგრამ მათი შემოსავალი თავის ხელში აიღო ქვეყ-

ნის პროფესიულმა პოლიტიკურ-მმართველობის ფენამ, რომელსაც ძალზე ძლიერი პოზიცია, პრესტიჟი და ავტორიტეტი აქვს ქვეყანაში. ეს მმართველი ფენა ჩამოყალიბდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ანტიფაშისტური ომის დროს, შემდეგ კი გაძლიერდა ქვეყანაში თვითმმართველობის იდეოლოგიის ცხოვრებაში დანერგვის პერიოდში. მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა წარმატებებმა, რომლებიც თავის დროზე ჰქონდა იუგოსლავიას, გააძლიერა ნდობა და გავლენა სახელმწიფო „ეტატისტური", როგორც აქ უწოდებენ, აპარატისა და, აი, სწორედ ეს აპარატი გადაიქცა წარმოებაში სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების ბიუროკრატიულ მუხრუჭად. ამ პრივილეგირებულ ბიუროკრატიულ აპარატს საკუთარი ინტერესები გაუჩნდა. ეს მმართველი, პრივილეგირებული ფენა დაინტერესებულია ხელისუფლების არსებული სტრუქტურის შენარჩუნებით, თუნდაც იმიტომ, რომ მას ამის წყალობით დიდი შემოსავალი აქვს და ამიტომ იგი ყოველგვარ დაბრკოლებებს ქმნის რაიმე ცვლილებების გზაზე. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია თვითმმართველობის კრიზისი და სიძნელეები ეკონომიკაში. იგივე სურათია სსრ კავშირში.

XVII პლენუმმა შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად სამი გადაუდებელი ამოცანა დასახა: რეფორმები ეკონომიკაში, პოლიტიკურ სისტემასა და პარტიაში. თითოეული მათგანი, ხაზი გაესვა პლენუმზე, კომპლექსურად უნდა გადაიჭრას. უნდა მოხდეს სოციალისტური თვითმმართველობის არა მმართველობის, არამედ, პირიქით, მისი შემდგომი დემოკრატიზაციის, საწარმოებისათვის სრული თავისუფალი მოქმედების უფლების გადაცემის გზით, მათი პასუხისმგებლობის გაზრდით. ისინი უნდა დამოუკიდებლად ეწეოდნენ მეურნეობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში და გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე. პარტიის XVII პლენუმი თვლის რომ მხოლოდ ასეთი გზით გახდება შესაძლებელი მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან თავის დაღწევა.

თვითმმართველობის სრულყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორ სხვა რეფორმასთან: პოლიტიკური სისტემისა და პარტიის გამგებლობის დარგში, რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზუსტად უნდა გაყონ ერთმანეთისაგან პარტიისა და სახელმწიფოს ფუნქციები, დაწყებული ზემოდან და ქვემოთ დამთავრებული. ამჟამად მუშავდება პარტიის წესდება, რომელსაც განსახილველად გაიტანენ პარტიის XIV ყრილობაზე. პარტიამ თავისი გავლენა უნდა განახორციელოს არა სახელმწიფო ხელისუფლების პოზიციით, არამედ თვითმმართველობის სტრუქტურის შიგნიდან. XVII

პლენუმზე აღინიშნა, რომ უნდა აღმოიფხვრას „საკადრო პრაქტიკა“, რომელსაც ეწოდნენ კაბინეტებში.

ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამწვავების ვითარებაში იუგოსლავიაში გაძლიერდა ოპოზიციური და ნაციონალისტური ელემენტების საქმიანობა, როელნიც ცდილობდნენ კონსტიტუციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის შეცვლას, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის როგორც მმართველი პარტიის და წამყვანი იდეურ-პოლიტიკური ძალის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას და აყენებენ მოთხოვნებს ქვეყანაში ერავალპარტიული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გამგებლობის აღდგენაზე. ამ ბოლო დროს ოპოზიციურმა ელემენტებმა მონარქიის აღდგენის მოთხოვნებიც კი წამოაყენეს.

მთავრობის რიგმა სხდომებმა 80-იანი წლების მეორე ნახევარში დიდი ყურადღება დაუთმეს იუგოსლავიელი ხალხების ერთობის განმტკიცების საკითხს, ბრძოლას ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც განსაკუთრებით აქტუალური ხასიათი მიიღო 80-იანი წლების დასაწყისში კოსოვოს ავტონომიურ მხარეში მომხდარ ნაციონალისტურ გამოსვლებთან დაკავშირებით, სადაც მიღებული ზომების მიუხედავად, მდგომარეობის სტაბილიზება დღესაც არ მომხდარა. კერძოდ, ყურადღება ეთმობოდა აქ, სხვა რაიონებთან შედარებით, განვითარების დაბალი დონისა და ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეს (კოსოვოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე შეადგენს იუგოსლავიაში არსებული საშუალო დონის 26%), აქ მცხოვრებ ალბანელებს, სერბებსა და ჩერნოგორიელებს შორის ნდობის აღდგენისათვის და აქედან სლავთა (სერბების, ჩერნოგორიელების) ქვეყნის სხვა რაიონებში გასახლების შეჩერებას. სასტიკად დაგმობილი იქნა აშკარა ნაციონალისტური ლოზუნგი, რომელიც წამოყენებულ იქნა აქ მცხოვრებ ალბანელი მოსახლეობის მიერ კოსოვოს სუფთა ეთნიკური რაიონის შექმნის შესახებ. ალბანელები აქ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (70%). მარტო 1981 წლიდან 1988 წლამდე კოსოვო დატოვა 40,6 ათასმა სერბმა და ჩერნოგორიელმა და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება. კოსოვოში ცხოვრობს 2,1 მლნ კაცი.

კოსოვოს ალბანელმა ნაციონალისტებმა დაიწყეს აქ მცხოვრები სლავების შევიწროება, მათზე თავდასხმები. ადგილი ჰქონდა ტერორსაც, რასაც მსხვერპლი მოჰყვა და იუგოსლავიის მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მთავრობამ კოსოვოში მილიციისა და ჯარის დამატებითი ნაწილები გააგზავნა. კოსოვოში მომხდარმა ამბებმა მთელი იუგოსლავიელი ხალხის ყურადღება მიიპყრო.

1988 წ. ზაფხულში მომხდარი გამოსვლების დროს წინა პლანზე იყო წამოწეული კოსოვოს ამბები. იუგოსლავიელები თავიანთ სოლიდარობას უცხადებდნენ კოსოვოს არაალბანელ მოსახლეობას, მთავრობისაგან მოითხოვდნენ გადამწყვეტი ზომების მიღებას აქ მცხოვრები არაალბანელი მოსახლეობის უშიშროებისა და ნორმალური ცხოვრების პირობების დასაცავად. გაისმოდა მოთხოვნები იუგოსლავის მეტისმეტი დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ, რაც სახელმწიფოში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქების მოსახლეობის განცალკევებას იწვევს. ყველა საკუთარი კუთხის ინტერესებით იზღუდება. წამოყენებული იქნა ლოზუნგები ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის განმტკიცებისათვის იუგოსლავიის ერთიანი ეკონომიკური სისტემის აღდგენისათვის, ცენტრალიზებული ხელისუფლების რწმუნებების გაზრდისათვის. მაგრამ მალე ნაციონალისტური ლოზუნგები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებმა დაფარეს. განსაკუთრებით 1988 წლის შემოდგომიდან, როდესაც ვითარება გართულდა ვოევოდინასა და ჩერნოგორიაში, სადაც სექტემბერ-ოქტომბერში არა ერთხელ გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაციები ლოზუნგებით: „გვიხელმძღვანელონ საღად მოაზროვნე ადამიანებმა!“, „ძირს ბიუროკრატია!“, „გეყოფათ ჩვენი მოტყუება“. ჩერნოგორიაში ფასები გაიზარდა 181, ხოლო ხარჯები 188,8 პროცენტით. მარტო აგვისტო-სექტემბერს გამოსვლებში მონაწილეობდა 3 მილიონი კაცი.

პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა არათანამიმდევრობამ, შეცდომებმა, უნაყოფო ქაღალდობანობამ რწმენა დაუკარგა ხალხს. მთავრობისა და პარტიის შემადგენლობაში არც ის განუწყვეტელი ყოველწლიური ცვლილებები შველოდა საქმეს.

1988 წლის ზაფხულიდან დაწყებული მომდევნო თვეებში იუგოსლავიაში თითქმის ყოველდღე იმართებოდა გაფიცვები, დემონსტრაციები, მიტინგები. ხალხი იკრიბებოდა ქარხნებში, ფაბრიკებში, დაწესებულებებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში, დიდი და პატარა ქალაქების ქუჩებში. მარტო 1988 წ. აგვისტო-სექტემბერში ზასობრივ გამოსვლებში მონაწილეობდა 3 მილიონი კაცი. ამ გამოსვლების კულმინაციური წერტილი იყო ქალაქ ნოვი-საღში (ვოევოდინას ავტონომიური მხარე) და ტიტოგრადში (ჩერნოგორის რესპუბლიკა) მომხდარი ამბები. აქ მრავალათასიანმა შეკრებილმა ხალხმა, რომელმაც ვერ მიაღწია პარტიისა და მთავრობის მეშვეობით მდგომარეობის გამოსწორებას, ულტიმატიური ფორმით მოითხოვა ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ შეცვლა და მიაღწია კიდეც თავისას. ხალხმა თვითონ ერაასახელა შექმნილი ვითარების დამნაშავენი და შესაბამისმა ორგა-

ნოებმა სამართლიანად სცნეს ხალხის ეს მოთხოვნა. ხალხმა გაილაშქრა იმ ბიუროკრატების წინააღმდეგ, რომელნიც ხელოვნურად აფერხებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული კრიზისიდან გამოსვლის გეგმების განხორციელებას. შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება ბოლო წლებისათვისაა დამახასიათებელი. განვლილ პერიოდში კი იუგოსლავიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან იგი გადაიქცა საშუალო-განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად. ომის შემდგომ 43 წლის განმავლობაში (1988 წლისათვის) სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 23 ჯერ გაიზარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა—თითქმის 3 ჯერ; პროდუქტების წარმოების 87 პროცენტი მოდის საზოგადოებრივ სექტორზე. მასში დაკავებულია 6,5 მლნ კაცი (1985 წ.), მათ შორის მატერიალური წარმოების სხვადასხვა სფეროში—5,4 მლნ კაცი. ინტენსიურ განვითარებას მიაღწია მრეწველობის ისეთმა დარგებმა, როგორიცაა ელექტროტექნიკა, ქიმია, საავტომობილო, გემთმშენებლობის, მანქანათმშენებლობის, რადიოელექტრონიკის დარგები.

იუგოსლავიის მოსახლეობის 60 პროცენტი ცხოვრობს საარსებო მინიმუმის ზღვარზე ან მასზე დაბლა. 1,1 მლნ კაცი (1988 წლისათვის) უმუშევარი იყო.

1988 წლისათვის უცხოურმა ვალმა 20 მლრდ დოლარს გადააჭარბა. იუგოსლავიის მთავრობამ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ იმას მიაღწია, რომ უცხოელ კრედიტორებთან — საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, დასავლეთ ევროპის რიგ მთავრობებთან, ბანკებთან და ფინანსურ ორგანიზაციებთან დადო შეთანხმება. 11 მლრდ დოლარის (ე. ი. თითქმის ნახევარი ვალის) გადახდის განვადების შესახებ.

1989 წლისათვის დაძაბულობის მთავარი წყარო, მიუხედავად მიღებული ზომებისა, იყო კოსოვოს ავტონომიაში (შედის სერბიის რესპუბლიკაში) შექმნილი მდგომარეობა. 1981 წლიდან აქ გამოავლინეს 9 იატაკქვეშა ორგანიზაცია და 90 ჯგუფზე მეტი სეპარატისტები და ნაციონალისტები. 1989—1990 წლებშიც კოსოვოდან გარბოდნენ სერბები და ჩერნოგორელები, რომლებიც ალბანელი ნაციონალისტების მხრივ განიცდიან დევნას. 1988—1989 წლებში კოსოვო დატოვა 30 ათასმა სერბმა და ჩერნოგორელმა, რომელთა წილი აქ მცხოვრებ მოსახლეობაში 8 პროცენტამდე შემცირდა. „გაქრა" სერბებისა და ჩერნოგორელების 600-მდე სოფელი.

სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული და პოლიტიკური ვითარების კრიზისმა გააუარესა ხალხის ისედაც მძიმე მდგომარეობა და გა-

მოიწვია მათი უკმაყოფილების ზრდა. მარტო 1988 წლის პირველ ნახევარში მოხდა 900 გაფიცვა, რომელშიც 180 ათასი კაცი მონაწილეობდა. წინა გაფიცვებისაგან განსხვავებით ახლა გაფიცულები ეკონომიკურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებენ.

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში მთავარი დანაშაული მიუძღვის კომუნისტებს, ისინი კი გადადგომის ნაცვლად ე. წ. კოსმეტიკური ღონისძიებებით ცდილობდნენ ხალხის კვლავ მოტყუებას და ხელისუფლების შენარჩუნებას.

ამ მიზანს ისახავდა XVII და XVIII პლენუმები რომლებიც 1 საათის ინტერვალით ჩატარდა, თანაც XVII პლენუმი 3 დღეს გრძელდებოდა. XVII პლენუმმა მთავარი ყურადღება დაუთმო პარტიის ამოცანებს არახელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას, XVIII პლენუმმა კი—ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხებს.

პარტიის გარდაქმნა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ შენარჩუნებული იქნება ერთობა და ავტორიტეტი ცკ-ის ხელმძღვანელი ორგანოსი—პრეზიდიუმისა და მხარდაჭერა ცკ-თან. ამიტომ თვითონ პრეზიდიუმმა XVII პლენუმზე დააყენა საკითხი—ფარული კენჭისყრის საფუძველზე ჩატარებულიყო პრეზიდიუმის ნდობის საკითხი. გათვალეს უნიჭოთ შედგენილი სცენარი. რომელიც ისევ ხალხის მოსატყუებლად იყო გათვალისწინებული. ცკ-ის 158 წევრიდან კენჭის ყრაში მონაწილეობდა 146. პრეზიდიუმის შემადგენლობა 40 წევრისაგან შედგება, თითოეულ მათგანს არა ნაკლები 80 ხმა უნდა მიეღო. ხმის მიცემის შედეგების მიხედვით პრეზიდიუმის ყველა წევრმა, ერთის გარდა, მიიღო საჭირო ხმა—მათ აქტიურია 120 ხმა. ერთმა—სერბიის წარმომადგენელმა დუშან ჩკრებიჩმა კი მიიღო 68 ხმა და იგი გადადგა. XVII პლენუმმა დაადგინა, რომ ცკ-ის ახალი წევრების არჩევნები ჩატარდება პრინციპით: ორი და მეტი კანდიდატი ერთ ადგილზე.

ორივე პლენუმზე ხაზი გაესვა იმას, რომ აუცილებელია გავთავისუფლდეთ იდეოლოგიური და თეორიული დოგმებისაგან, მცდარი გადაწყვეტილებებისაგან. XVII პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირში გარდაქმნების გასატარებლად იმ მიზნით, რათა სრულყონ მისი მოღვაწეობის ფორმები და მეთოდები, გამოავლინონ მიზეზები იმისა, თუ რატომაა, რომ პარტიის პროგრამისა და წესდების მოთხოვნების მთლიანი რეალიზაცია არ ხდება. ამ კომისიის ამოცანა კომუნისტთა კავშირის განმტკიცების საკითხების განხილვა, კადრების პოლიტიკის დემოკრატიზაცია, არჩი-

ვითი ორგანოების სრულყოფა. პლენუმმა ცვლილებები მოახდინა პარტიის ხელმძღვანელობაში, დაამტკიცა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმის რიგი წევრების გადადგომა. პლენუმმა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის შემადგენლობიდან გამოიყვანა კოსოვის ავტონომიური მხარის ხელმძღვანელები.

იუგოსლავიაში 1988 წლის დამლევსა და 1989 წლის დასაწყისში კომუნისტთა კავშირის როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი და მთავრობის რიგი ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ გადამდგარიყვნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთი ყოფილი ხელმძღვანელი პარტიიდანაც კი გარიცხეს თანამდებობის ბოროტად გამოყენების, ნაციონალიზმის, ხალხისაგან მოწყვეტის ან უინიციატივობის გამო. პრაქტიკულად იუგოსლავიის ფედერაციულ სახელმწიფოში არ დარჩენილა არცერთი რესპუბლიკა, არცერთი ავტონომიური ოლქი თუ მხარე. სადაც ხალხი არ მოითხოვდეს ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების კადრების შეცვლას და აღწევს კიდეც თავისას. კოლექტიური გადადგომა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელობისა და ცალკეული პირების პარტიის რიგებიდან გარიცხვა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ყოფილ ლიდერებზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ფულის ინფლაცია და ფასების არნახული ზრდა 1989 წლის დამდეგსაც გრძელდებოდა. მარტო 1989 წლის იანვარში ფასები გაიზარდა—პროდუქტებზე 195%-ით, პურზე და პურის ნაწარმზე—233, ფართო მოხმარების საგნებზე—201, კოსმეტიკაზე—100 პროცენტით. ზოგიერთ დიდი მოთხოვნის ფართო მოხმარების საგნებზე კი ფასები 700%-ით გაიზარდა. ე. ი. მარტო 1 თვის განმავლობაში ფასები შვიდჯერ გაიზარდა! ამ ფონზე იუგოსლავიაში სულ ახალი და ახალი კორუპციის, მექრთამეობისა და აშკარა ქურდობის ფაქტები გაიხსნა. რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდნენ პარტიისა და სახელმწიფოს მაღალი და საშუალო ხელმძღვანელები.

ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია ე. წ. „ნეუმის აფიორამ". ადრიატიკის ზღვის მყუდრო უბეში, ქალაქ ნეუმის მახლობლად, პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელებმა, რომელთაც მაღალი თანამდებობები ეკავათ, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ააგეს ძვირფასი საკუთარი ვილები. მათ შორის იყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარე მილანკო რენოვიცი. მას და აგრეთვე სხვებსაც ვილები ჩამოართვეს. დაავალეს დახარჯული „კრედიტების" უკან დაბრუნება. ამ დანაშაულის ყველა მონაწილე თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და პასუხისგებაში მისცეს. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ერთეულები როდია. ამიტომაა, რომ იუ-

გოსლავიის რიგითმა კომუნისტებმა მოითხოვეს პარტიის ყველა ხელმძღვანელის, თვით პარტიის ცკ-ისა და პრეზიდიუმის წევრების შემოსავალზეც კონტროლის დაწესება, მათი ხელფასის ოდენობის საჯაროდ გამოცხადება და მათი ყველა პრივილეგიის ლიკვიდირება. პრესაში არც თუ იშვიათად იბეჭდება მამხილებელი წერილები მრავალ პარტიულ დ სახელმწიფო ხელმძღვანელზე იმის შესახებ, რომ ზოგიერთი კომუნისტი, მოხერხებული და უპრინციპო, ანუ კარიერისტი ხელმძღვანელ ადგილებზე იმიტომ კი არ მიილტვის, რომ ხალხის გაჭირვების გამოსწორებაზე იზრუნოს, არამედ იმისათვის, რომ ხელისუფლება ჩაიგდოს ხელთ და იოლად დაუსჯელად გამდიდრდეს.

„იუგოსლავიის სოციალიზმის მოდელი" იმიტომ კი არ დამუხრუჭდა, რომ მან არ გაამართლა, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთ ხელმძღვანელს არ უნდა შეელიოს თავის პრივილეგიებს და ხელს უშლის რეფორმების გატარებას ეკონომიკის დარგში, პოლიტიკურ და პარტიულ სისტემაში და თვით კომუნისტთა კავშირის შიგნით. ხალხი დარწმუნდა იმაში, რომ ყველა ეს გარდაქმნა შეუძლებელია პარტიულ ხელმძღვანელობაში ძირეული ცვლილებების, პარტიული ხელმძღვანელების ყველა პრივილეგიის გაუქმების გარეშე, ხალხის კეთილდღეობაზე (და არა პირად კეთილდღეობაზე) ზრუნვის გარეშე.

1989 წლის 30 იანვარს იუგოსლავიაში არ იყო არც ცენტრალური მთავრობა და არც ადგილობრივი მთავრობა ორ ავტონომიურ მხარესა და ორ რესპუბლიკაში, ასევე გადამდგარი იყო ხელმძღვანელობა. იუგოსლავიის ფედერაციის პრეზიდიუმი, კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმი მთელი შემადგენლობით არ მუშაობდა. ამრიგად, ბიუროკრატია ისე ღაეცა, რომ ჯერჯერობით ერავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა ცკ-ს XX პლენუმი რომლის მუშაობა სამ დღეს გაგრძელდა. ფაქტობრივად აქ ლაპარაკი იყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმის ყოფნა არყოფნის საკითხზე და საერთოდ იუგოსლავიის ფედერაციის არსებობის თუ არ არსებობის შესახებ. თანაც პლენუმის მუშაობა ღიად მიმდინარეობდა, მთელი ქვეყნის წინაშე—მილიონობით იუგოსლავიელი უსმენდა რადიოს და ტელევიზიის შეუწყვეტელ როგორც პირდაპირ, ასევე ჩაწერილის გადაცემას სხდომის დარბაზიდან. XX პლენუმი ძალზე მძიმე ვითარებაში მიმდინარეობდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პლენუმის მუშაობის მესამე დღეს, ძალზე შეუფერებელ დროს, 1 თებერვალს, გამოცხადდა ცნობა ფასების ახალი მნიშვნელოვანი მომატების შესახებ ელექტროენერგიაზე, ქვანახშირსა და რკინიგზაზე. ინფლაცია არნახული მასშტაბებით იზრდება, რაც

ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. პლენუმზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სტიპე შუვარი, მაგრამ ძირითადი მოხსენების გარდა მას არაერთხელ მოუხდა ტრიბუნაზე გამოსვლა განმარტებებისათვის, დამატებებისა და წინადადებებისათვის. საყურადღებოა, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე, ვოევოდინაში, (საიდანაც არის ს. შუვარი) შემდგარმა კონფერენციამ წინადადება წამოაყენა დაკავებული თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების, „კოსოვის პრობლემის“ გამწვავებისა და ტიტოგრადში მიმდინარე ხახალხო ფორუმის მიმართ უპატივცემლო დამოკიდებულების გამო. ამ ფორუმს შუვარმა „ქუჩა“ უწოდა. ს. შუვარმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მას არასოდეს არ უხმარია ასეთი გამოთქმა ხალხის მიმართ და უარყო მის მიმართ გამოხდომები. ს. შუვარმა განაცხადა, რომ მძიმე პოლიტიკური კრიზისიდან ქვეყნისა და პარტიის გამოსვლა პარტიის რიგებსა და ხელმძღვანელობაში კონფრონტაციის გაძლიერებით კი არა, შეკავშირებითა და ერთობითაა შესაძლებელი.

XX პლენუმზე ბევრმა გამოსულმა აღნიშნა — „სოციალიზმის იუგოსლავიური მოდელი“ სამი ათეული წელია რაც ხორციელდება და ჯერჯერობით იგი ექსპერიმენტია, მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ 1986 წელს შემდგარი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XIII ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი აი უკვე ორი წელია ქაღალდზე რჩება. ქაღალდზე რჩება ეკონომიკური, პოლიტიკური სისტემის რეფორმები და თვით იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის რეფორმა. მისი მთავარი არსი კი, როგორც XX პლენუმზე აღინიშნა, იმაში მდგომარეობს, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი უნდა გახდეს არა მარტო გარდაქმნების წამყვან ძალად, არამედ თვითონაც უნდა გარდაიქმნეს, რომ საჭიროა შეჩერდეს პარტიის ფედერალიზაციის ტენდენციები და გაძლიერდეს დღეისათვის აუცილებელი დემოკრატიული ცენტრალიზმი. XX პლენუმზე ყველა გამოსული ხაზს უსვამდა იმას, რომ ძირეულად უნდა შეიცვალოს პარტიის ხელმძღვანელი კადრები.

პლენუმმა დაამტკიცა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრების ვიდეო ჟარკოვიჩისა და მარკო ორლანდიჩის გადადგომა და გამოიყვანა ისინი ცენტრალური კომიტეტის წევრობიდან. პარტიულ ხელმძღვანელობაში კადრების ცვლილებებთან დაკავშირებით ცკ-ის შემადგენლობიდან გამოიყვანეს 15 წევრი. გარდა ამისა, ცკ-ის 10 წევრი გამოიყვანეს მისი შემადგენლობიდან პარტიული და სახელმწიფო ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით. მათ

შორის არიან—ბრანკო მიკულიჩი, ლაზარ მოისოვი, სინან ჰასანი და სხვები, რომელთაც ერთ დროს მაღალი პარტიული თანამდებობები ეკავათ.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი არა ჰგავს დღეისათვის იმ ორგანიზაციას, რომელიც უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში იყო. სოციალიზმის მშენებლობის იუგოსლავური მოდელი უკვე დიდი ხანია მოძველდა და კრახი განიცადა. მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ბედი აღარაა დამოკიდებული იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირზე და დღეისათვის არც ერთ პოლიტიკურ პარტიაზე არ იქნება დამოკიდებული. კომუნისტთა კავშირი, რომ კრიზისს განიცდის, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1990 წლის 20 იანვარს ბელგრადში შემდგარი კომუნისტთა კავშირის XIV ყრილობა, რომლის მუშაობა ჩაიშალა. სლოვენია დიდი ხანია იბრძვის თავის ავტონომიური უფლებების არა მარტო გაფართოებისათვის, არამედ დამოუკიდებლობისათვისაც კი. XIV ყრილობის მუშაობა სწორედ იმის გამო ჩაიშალა, რომ სლოვენიის კომუნისტებმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ცარილ რიბაჩიჩს სიტყვებით რომ ვთქვათ: „სლოვენის კომუნისტებმა აღარ ისურვეს პარტიის აგონიაში მონაწილეობა“. XIV ყრილობა სლოვენის მთელმა დელეგაციამ დატოვა, შემდეგ კი სლოვენის კომუნისტებმა თავისი თავი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირიდან გამოსულად გამოაცხადეს. მათ არც იუგოსლავიის ფედერაციაში არ უნდათ დარჩენა. ისინი კონფედერაციის მომხრენი არიან.

ამავე ყრილობაზე იუგოსლავიის კომუნისტებმა თითქმის ერთსულოვნად უარი თქვეს კონსტიტუციურ გარანტიებზე თავისი პარტიის მონოპოლიური მდგომარეობის შესახებ საზოგადოებაში. მაგრამ არავის ამ ყრილობაზე არ უარყვია იუგოსლავიელი კომუნისტების ისტორიული დამსახურება, ისევე როგორც მათი პასუხისმგებლობა დღევანდელი მძიმე მდგომარეობის გამო ქვეყანაში.

1989—1990 წწ. სეპარატიული მოძრაობა სლოვენიაში, ხორვატიაში, ჩერნოგორიაში სულ უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობს. 1990 წლის ზაფხულში სლოვენიის სკუპშჩინამ მიიღო დეკლარაცია რესპუბლიკური სლოვენიის სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესახებ, მაგრამ ეს დოკუმენტი იუგოსლავიის პრეზიდიუმმა ფედერალური კონსტიტუციის ანტიკონსტიტუციურ აქტად სცნო. ამის საპასუხოდ სლოვენიის სკუპშჩინამ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება გამოაცხადა მოძველებულად, რომელიც აღარ პასუხობს საზოგადოებრივი პროგრესისა და დემოკრატიის განვითარებას და დააყენა საკითხი ფედერაციული წყობილების კონფედე-

რაციული შეცვლის შესახებ. სლოვენიის მიერ წამოყენებულ კონ-ფედერაციის შექმნის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ხორვატიამ*, ხოლო ჩერნოგორია, მაკედონია, ბოსნია და ჰერცოგოვინა კი გამოვიდნენ ფედერაციის მოთხოვნით და მოითხოვეს „ცენტრისათვის" შემდეგი რწმუნებების გადაცემა: სახელმწიფო უშიშროების, საგარეო პოლიტიკის, უცხოეთთან ეკონომიკური ურთიერთობის, ერთიანი საკრედიტო-ფინანსური, საბაჟო და საგადასახადო სისტემის დაწესების და სხვ. კონფედერაციის წინააღმდეგ გამოვიდა ყველაზე უფრო დიდი რესპუბლიკა სერბია, რომლის სკუპშჩინამ განაცხადა, რომ არავის არა აქვს უფლება ფედერაციის კონსტიტუციის შეცვლისა არაკონსტიტუციური გზით, და რომ ყველა საშუალებით დაიცავენ ერთიანი იუგოსლავიის ინტერესებს. ამრიგად, ორი რესპუბლიკა: სლოვენია და ხორვატია კონფედერაციის მომხრედ გამოდის და იმუქრება, რომ თუ მათი წინადადება არ იქნა მიღებული გამოვლენ ფედერაციიდან და სრულ დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ, ხოლო ოთხი რესპუბლიკა ფედერაციის მომხრეა, მაგრამ მოითხოვენ გარდაქმნების განხორციელებას ქვეყნის დემოკრატიზაციის მიზნით. შემდეგ მაკედონიაც გადავიდა კონფედერაციის მოთხოვნის პოზიციაზე. ამრიგად, სამი სამის წინააღმდეგ, მაგრამ უმრავლესობა მაინც ფედერაციის მხარეზეა იმ თვალსაზრისით, რომ კავშირში შემავალი ყველაზე დიდი რესპუბლიკა სერბია ფედერაციის მომხრეა. სერბიის კომუნისტთა კავშირი (აერთიანებს 900 ათას წევრს) თავის საგანგებო XII ყრილობაზე (1990 წლის ივლისში) გაერთიანდა რესპუბლიკის მეორე მასობრივ ორგანიზაციასთან—სერბიის მშრომელი ხალხის სოციალისტურ კავშირთან და მიიღო ახალი სახელი—სერბიის სოციალისტური პარტიისა. სექტემბრეში კი ახალი სახელწოდება მიიღო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმა—იუგოსლავიის სოციალისტური პარტიისა. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ქვეყანაში არსებული სოციალისტური ძალების გაერთიანებას, რათა თავიდან აიცილონ ის მარცხი, რომელიც განიცადეს ალტერნატიულ არჩევნებში (1990 წ. ნაფხულზე) სლოვენიისა და ხორვატიის კომუნისტებმა, სადაც ისინი, „ხელისუფლების და სამუშაოს გარეშე დარჩნენ" და მათ წინააღმდეგ ნამდვილი ანტიკომუნისტური კამპანიაა გაჩაღებული. ფაქტობრივად იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი დაიშალა. ამასთანავე მწვავდება ეროვნული შუღლი. კოსოვოში შეჩერებულია ავტონომია და დათ-

* სლოვენიაში და ხორვატიაში ფედერალურმა მთავრობამ 1991 წლის ივლისში და შემოდგომაზე ჯარები გაგზავნა, რასაც ნამდვილი სამოქალაქო ომი მოჰყვა.

ხოვნილია ოლქის სკუპშჩინა. ხორვატიაში მცხოვრები სერბები მოითხოვენ ავტონომიას*.

იუგოსლავიამ ფაქტობრივად უარი თქვა „რეალური სოციალიზმის“ პრინციპებზე. მაგრამ თავი დააღწია ინფლაციას (1989 წლის დეკემბერში იგი 63,4 პროცენტს შეადგენდა, 1990 წლის მაისში კი მხოლოდ 0.4 პროცენტს) და მთავრობის მეთაურის ანტე მარკოვიჩის მეთაურობით (იგი ხორვატია) ენერგიულად და ეფექტურად იღწვოდა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დანერგვისათვის. მის კურსს აგრძელებს იფსრ-ის პრეზიდიუმის ახალი თავმჯდომარე (1990 წლის ივლისიდან) ბორის იოვიჩი (წარმოშობით სერბიელი). მან პარლამენტში განაცხადა, რომ მრავალპარტიულობა, ქვეყანაში რეალობად იქცა (ამ დროისათვის ქვეყანაში 200-მდე პოლიტიკური პარტია იყო) და რომ ალტერნატიული არჩევნები ჩატარდება წლის ბოლომდე. მან ისიც აღნიშნა, რომ ეკონომიკურ წარმატებებთან და ასევე წარმატებით განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად ქვეყანაში რთული პოლიტიკური და ეროვნული სიტუაციაა—განსაკუთრებით გამწვავდა ეროვნებათაშორისო წინააღმდეგობები, ფედერალური მოწყობის ცალმხრივი ტენდეციები, ანტიიუგოსლავიური და ანტისოციალისტური განწყობილების ზრდა. ყველაფერი გადაწყდება 1990 წლის დეკემბერში ალტერნატიული არჩევნების დროს. ალბათ სოციალისტური პარტიები ამ არჩევნებში დამარცხდებიან. ასეთ დასკვნას იქიდან გამომდინარე ვაკეთებთ, რომ 200-მდე აღმოცენებული პარტიიდან მხოლოდ ორი-სამი თუა სოციალისტური, დანარჩენი აშკარა ანტიკომუნისტური და ანტისოციალისტური პარტიებია. იმდენად გაუტყდა სახელი რეალური სოციალიზმის იდეებს. მაგრამ მცდარად უნდა მივიჩნიოთ ის აზრი, რომ თითქოს სოციალიზმმა თავისი დრო მოჭამა. სოციალიზმი მარქსისა და ლენინის გამონაგონი კი არა, იგი ყველა კეთილშობილური იდეების სინთეზია დაწყებული კაცობრიობის აღმოცენებიდან: თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა, უფლებრიობა—აი ეს არის სოციალისტური იდეების არსი.

1990 წლის აგვისტოში ხორვატიაში მცხოვრებმა სერბებმა ჩატარეს რეფერენდუმი. სერებების ავტონომიის აქტს ხორვატიაში ხელისუფლება აფასებს როგორც ხორვატიაში მცხოვრები სერბების წაქეზების აქტს ანტიკონსტიტუციური მოქმედებისაკენ. ბელგრადის ხელმძღვანელობა კი აცხადებს: განა შეიძლება სერბების მიერ გამოცხადებული ავტონომია ჩაითვალოს უკანონოდ, თუ ხორვატია

* ხორვატიაში 1991 წლის ივნის-სექტემბერში ნამდვილი ომი გაჩაღდა იქ მცხოვრებ სერბებსა და ხორვატელებს შორის.

თვითონ აცხადებს სუვერენიტეტს ფედერაციისაგან. მითუმეტეს ეს გამოცხადდა ფედერაციისა და კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ. ხორვატიაში მცხოვრები სერბები აცხადებენ, რომ თუ ხორვატია დარჩება ფედერაციაში კონფედერაციის პრინციპებზე, ისინი მოითხოვენ კულტურულ ავტონომიას, ხოლო თუ გადაწყვეტს ფედერაციიდან მთლიანად გამოყოფას, მაშინ სერბები მოითხოვენ მთლიან ავტონომიას. ხორვატიაში 100 ათასზე მეტი სერბი ცხოვრობს. ამრიგად, იუგოსლავიაში 80-იანი წლების ბოლოს მწვავე ეროვნებათაშორისი ვითარება შეიქმნა. ამის გამო საკანონმდებლო სკუპშჩინაში იმუშავებენ ახალი კონსტიტუციის პროექტს იუგოსლავიის მომავალი ფედერაციის შესახებ.

საგარეო პოლიტიკა

1953 წლიდან სკკპ-ის ინიციატივით აღსდგა 1949 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური, შემდეგ კი ეკონომიკური ურთიერთობა იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

1955 წლის მაის-ივნისში საბჭოთა მთავრობის დელეგაცია იმყოფებოდა იუგოსლავიაში, სადაც 2 ივნისს ხელმოწერილი იქნა ბელგრადის დეკლარაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერობის ნორმალიზაციაში. ამის შემდეგ ურთიერთობა სსრ კავშირსა, იუგოსლავიასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის სწრაფად განვითარდა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, 1958 წელს შემდგარმა კომუნისტთა კავშირის VII ყრილობამ მიიღო ახალი პროგრამა, რომლის ძირითადი დებულებები მიმართული იყო სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ შემუშავებული და მიღებული დეკლარაციის მთავარი მიმართულებების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ყველა მარქსისტულმა პარტიამ დაგმო ეს დებულებები. მაგრამ ამ კრიტიკას და უთანხმოებას იდეოლოგიურ საკითხებში ხელი არ შეუშლია სახელმწიფოებრივი ხაზით განვითარებულიყო ურთიერთობანი იუგოსლავიასა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის. ურთიერთობა იუგოსლავიის კომუნისტებსა, მოძმე ქვეყნების კომუნისტებსა და მუშათა პარტიებს შორის პარტიული ხაზითაც ვითარდებოდა. ი. ბროზ-ტიტომ მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და ბუდაპეშტის (1967 წ.) კომუნისტური და მუშათა პარტიების, ასევე სოციალისტური ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირში ახლო აღმოსავლეთის საკითხზე, 1972 წელს ივლისში პარიზში შემდგარ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე ვიეტნამიის შესახებ და 1973

წლის თებერვალში მოსკოვში ასეთივე დონის შეხვედრაში, რომელმაც განიხილა ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხი.

ამ ორი ქვეყნის პარტიული და სახელმწიფოებრივი ხაზით ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ბროზ-ტიტოს ვიზიტს საბჭოთა კავშირში (1972 წლის ივნისში და 1973 წლის ნოემბერში) და ამ ვიზიტების შედეგად მიღებულ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივ კომუნიკეს.

იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს წარმოადგენს მიუმხრობლობის კურსის განხორციელება, მაგრამ იგი აქტიურად მონაწილეობს მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობაში, იბრძვის მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის, განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

კომუნისტთა კავშირის X ყრილობამ ქვეყნის ხანგრძლივვადიან საგარეო პილიტიკის საფუძვლად გამოაცხადა მიუმხრობლობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა, როგორც მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის მოწესრიგებაში, თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფასა და თანამშრომლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა მაღალ დონეზე შეხვედრამ და ერთობლივად შემუშავებულმა, 1955 წელს მიღებულმა ბელგრადის დეკლარაციამ, 1956 წელს მიღებულმა მოსკოვის დეკლარაციამ და 1971 წელს ბელგრადში მიღებულმა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის განცხადებამ. აღნიშნულ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის თანამშრომლობა აგებულია მათი ისტორიული ბედის სიახლოვეზე, სოციალური წყობის ერთიანობაზე, საერთაშორისო პრობლემებისადმი მსგავს მიდგომაზე, საერთაშორისო თანამშრომლობაში თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელი პრინციპების დაცვაზე და ა. შ.

ამის შემდეგ ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის სწრაფად ვითარდებოდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ხაზით. შეხვედრები, აზრთა გაზიარება ორმხრივი თანამშრომლობის და საერთაშორისო პრობლემების საკითხებზე ამ ორ ქვეყანას შორის განუხრელად ხორციელდება.

1974 წლის კონსტიტუციის საფუძველზე იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია მიუმხრობლობის კურსზე, ეროვნული სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, შინაურ საქმეებში ურ-

თიერთჩაურევლობის პრინციპებზე. იუგოსლავია აქტიური მონაწილეა მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობისა, იბრძვის დაძაბულობის შენელებისათვის, აქტიურად მონაწილეობს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში, მხარს უჭერს მესამე სამყაროს ქვეყნების სამართლიან ბრძოლას თავიანთი ქვეყნების სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში.

იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირსა და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას. იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის თანამედროვე ურთიერთობისათვის დამახასიათებელია მასშტაბურობა, მრავალმხრიეობა, სტაბილურობა, ფართო და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა მთელ რიგ დარგებში. 1975 წლიდან საბჭოთა კავშირი პირველი პარტნიორია იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობაში. ამ ორ ქვეყანას შორის საქონლის ურთიერთბრუნვა ყოველ ხუთწლედში მკვეთრად იზრდებოდა: 1971—1975 წწ.—5,9 მლრდ დოლარი შეადგინა, 1976—1980 წლებში—18.1. 1981—1985 წლებში—35 მლრდ დოლარი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. 1971—1975 წლებში საქონლის ბრუნვამ ერთნახევარჯერ გადააჭარბა დაგეგმილს და 6 მლრდ დოლარამდე ავიდა.

საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარების შედეგად იუგოსლავიაში 100-ზე მეტი საწარმოსა და ობიექტის მშენებლობა განხორციელდა ელექტროენერგეტიკის, შავი და ფერად მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობისა და სხვა დარგებში და ყველა ისინი მწყობრში ჩადგა.

საერთაშორისო ავტომატური სატელეფონო სადგურები, რომელნიც ნიკოლა ტესლის სახელობის ზაგრების ქარხნებშია დამზადებული—დაიდგა ლენინგრადში, ვოლგოგრადში, დონეცკსა და თბილისში. ბელგრადის და ზაგრების მშენებლები მონაწილეობდნენ ჩვენს მუშებთან ერთად უმსხვილესი სასტუმროების აგებაში იალტასა და სოჭში.

ვითარდება აგრეთვე საწარმო-კოოპერაციული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. ჯეშურ ჯაკოვიჩის სახელობის იუგოსლავიის ქარხნების გაერთიანება „ენერგოინვესტმა“ „იოგოტურბინამ“, „ლიტოსტროიმ“ ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყეს კოოპერაცია საბჭოთა საწარმოებთან და ერთობლივ აწარმოებენ მოწყობილობებს ატომური ელექტროსადგურებისათვის. ორმოცდაათზე მეტი საბჭოთა და ამდენივე იუგოსლავიის ინსტიტუტი მუშაობს ერთიანი სამუშაო გეგმით და ერთობლივ ძიებას ეწევიან ისეთ დარგებში რო-

გორიცაა ავტომატიკა, ენერგეტიკა, ქიმია, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა და ა. შ.

ფართო ურთიერთობაა დამყარებული სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის კულტურის დარგში: ეწყობა საბჭოთა კულტურის დღეები იუგოსლავიაში და იუგოსლავიის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში. ეს ორივე სახელმწიფო მჭიდროდ თანამშრომლობს აგრეთვე საერთაშორისო ცხოვრების რიგ საკითხებში. ტრადიციად იქცა ამ ორ ქვეყანას შორის უმაღლეს დონეზე და აგრეთვე პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა, პარლამენტის წევრებისა და კულტურის წარმომადგენლების შეხვედრები.

აღსანიშნავია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მოცულობის ზრდა განსაკუთრებით 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხასიათდებოდა ცალმხრივობით. მანამდე კი საბჭოთა საქონლის ექსპორტი იუგოსლავიაში შედგებოდა მზა პროდუქციისაგან. 70-იანი წლებში საბჭოთა კავშირის მიერ იუგოსლავიაში გატანილ საქონელს შორის მანქანებმა და მოწყობილობებმა შეადგინა 10%. დანარჩენი კი იყო ნედლეული, მათ შორის 50%—ნავთობპროდუქტები. იუგოსლავიიდან ჩვენთან ნახევარზე მეტი შემოდიოდა სამრეწველო პროდუქცია, 30% კი სახალხო მოხმარების საქონელი. 1973 წელს ფასები ნავთობზე მკვეთრად გაიზარდა არაბულ ქვეყნებში ისრაელის აგრესიის გამო და ამ ქვეყნების მიერ ნავთობის ევროპისათვის მიწოდების მკვეთრად დაცემასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა მეტად სარფიან საქმედ იქცა.

საბჭოთა ნავთობის ექსპორტი იუგოსლავიაში მკვეთრად გაიზარდა და 80-იანი წლების დამლევს საბჭოთა აქტიური სალდო იუგოსლავიასთან შეადგენდა 1 მლრდ დოლარს. ამ ფულით საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლები იუგოსლავიაში ყიდულობდნენ ფართო მოხმარების და სხვა სახის საქონელს, რომელიც საკმაოდ მაღალხარისხოვნებით ხასიათდება. მაგრამ ნავთობპროდუქტებზე ფასების დაცემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა ექსპორტის სტრუქტურა იუგოსლავიაში გაღარიბდა და ექსპორტიც დაეცა, იზრდებოდა დავალიანება იუგოსლავიისადმი და მან 1988 წლის შუა პერიოდში 1,5 მლრდ დოლარამდე მიაღწია. ამ ვალის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი გახდა სსრკ-ში საქონლის შემოტანის შემცირება, რამაც იუგოსლავია მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საქმე იმაშია, რომ იუგოსლავიის ეკონომიკის რიგი დარგები მთელი ოცი წლის განმავლობაში საბჭოთა ბაზრისათვის იყო ორიენტირებული, სადაც იუგოსლავიის საქონელზე დიდი მოთხოვნები იყო. ამიტომ იუგოსლავიის რიგი საწარმოებისათვის სსრკ-ას ბაზარი ძირითადი იყო ზოგიერთისათვის კი — ერთად-

ერთი. იუგოსლავიის საქონლის შემოტანის შემცირებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დარგები. სსრკ-ის მანქანა-მოწყობილობების ექსპორტის გაზრდა იუგოსლავიაში უპერსპექტივოა თუნდაც იმის გამო, რომ იქ კონკურენცია როგორც დასავლეთის ფირმების მხრივ, ასევე ადგილობრივი საწარმოების მაღალხარისხოვანი პროდუქციის წყალობით, ბაზაზე დიდია. იუგოსლავიის ორგანიზაციებმაც უარი თქვეს რიგი საბჭოთა საქონლის შესყიდვაზე, რომელიც საქონელბრუნვის შეთანხმებითაა გათვალისწინებული. ამიტომ იუგოსლავიასთან ვაჭრობაში სსრკ-ის ვალების ზრდასთან დაკავშირებით საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციები იძულებული გახდნენ 1987 წლიდან მკვეთრად შეემცირებინათ იუგოსლავიის საქონლის შესყიდვა, რის გამოც ურთიერთვაჭრობა წინა წელთან შედარებით 20 პროცენტით დაეცა. გარდა ამისა, სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის საგადასახდელო შეთანხმებით დისბალანსის აღმოფხვრამდე მეორეს წინადადება მიეცა შეზღუდოს საქონლის შემოტანა სსრკ-ში.

ამის გამო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას საშიშროება შეექმნა. 1988 წლის მარტში, მ. ს. გორბაჩოვის იუგოსლავიაში ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს ამ ორ ქვეყანას შორის 2000 წლამდე ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამას, რომელიც საეჭვოა, რომ გამოიყვანს ჩიხიდან ამ ორ ქვეყანას შორის შექმნილ საგარეო ვაჭრობას. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს მიღწეული ეკონომიკური თანამშრომლობის მაღალი დონის აღდგენას და შენარჩუნებას. ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაში შექმნილ საბჭოთა ვალის შესახებ მიღწეულია შეთანხმება, რომლითაც საბჭოთა ვალის ნახევრის დაფარვის განვადება მოხდა განსაზღვრული პროცენტის გადახდით. ეს შეთანხმება ნაწილობრივ ამცირებს მწვავე პრობლემას, მაგრამ მთლიანად ვერ წყვეტს მას. ორივე მხარე ეძებს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს. 1988 წლის ზაფხულში იუგოსლავიის სამეურნეო პალატამ საბჭოთა მხარეს გადასცა დოკუმენტი, რომელიც 200-მდე წინადადებას აყენებს ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის. ამ დოკუმენტით გათვალისწინებულია საწარმოო კოოპერატივების შექმნისათვის 100-მდე წინადადება, 50-მდე წინადადებაა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოების შექმნისა, 15—ერთობლივი კაპიტალის დაბანდებებისა იუგოსლავიის ეკონომიკაში. რიგი წინადადებანი წამოაყენა საბჭოთა მხარემაც. კერძოდ, იგი ითვალისწინებს ერთობლივი საწარმოების შექმნას. ასეთი პირველი ერთობლივი საწარმო უკვე შეიქმნა ფირმა „ენხა", რომელიც შეიქმნა უკვე არსებულ „ნავთობ-

ქიმვატომატიკის“ ბელგოროდის გაერთიანების ბაზაზე, მისი პარტნიორი გახდა სარაევოს „ენერგოინვესტი“, რომელიც დიდი ხანია სსრკ-თან წარმატებით თანამშრომლობს. მეორე ერთობლივი საწარმოა „სოვპოლიუპლასი“, რომელმაც უნდა აწარმოოს 15 ათასი ტონა პლასტმასი წელიწადში. ერთობლივ საწარმოს მშენებლობას ახორციელებს ორივე ქვეყანა საბჭოთა ბანკების მიერ გაცემული სახსრებით. ორი ერთობლივი საწარმოს შექმნა არ ნიშნავს ახალ ფორმაზე მკვეთრად გადასვლას. მაგრამ, რაც მთავარია, საქმე უკვე დაწყებულია და იმედია იგი შემდგომში უფრო განვითარდება. თუმცა სიძნელეებმა უკვე ამ ეტაპზეც იჩინა თავი, ვინაიდან იუგოსლავიის წინადადებები ითვალისწინებს ისეთი ერთობლივი საწარმოების შექმნას, რომელთა პროდუქცია საბჭოთა ბაზრისათვისაა გათვალისწინებული, ეს კი ნიშნავს იუგოსლავიის არაპირდაპირი იმპორტის გაზრდას. საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციები კი წინადადებას იძლევიან ასეთი ერთობლივი საწარმოების პროდუქციის 40 პროცენტის ან იუგოსლავიის, ან მესამე ქვეყნის ბაზარზე რეალიზაციას.

რთული ვითარებაა საწარმოო კოოპერაციების შექმნის საქმეში. ჯერჯერობით მათზე მოდის ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური კავშირის საერთო მოცულობის 5 პროცენტი. ეს მაშინ, როცა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ამ ორი ქვეყნის სამთავრობოთაშორისო დოკუმენტებში არაერთხელ აღნიშნულია აუცილებლობა კოოპერაციისა და სპეციალიზაციის გაფართოების შესახებ; მაგრამ ეს კარგი სურვილები ჯერჯერობით ქაღალდზე რჩება. 1971 წლიდან იუგოსლავიის საწარმო „ცრვენა ზასტავა“ აწვდის საბჭოთა „ავტო ვაზის“ გაერთიანებას ავტომანქანების დეტალებს და სანაცვლოდ იღებს მზა მანქანებს. მაგრამ არსებული პრაქტიკა დეტალების მიწოდებისა მზა პროდუქციის სანაცვლოდ ზღუდავს კოოპერაციის შესაძლებლობებს. კვლავ დგება საკითხი მზა პროდუქციის მესამე ქვეყნის ბაზრებზე გატანის შესახებ.

ბოლო დროს ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობაში იგეგმება საწარმოებს შორის პირდაპირი კავშირი. ორივე ქვეყნის საწარმოებს შორის ხელმოწერილია 50-მდე შეთანხმება. თანამშრომლობის ასეთი ფორმა მეტად პერსპექტიულია, ვინაიდან საწარმოები ურთიერთშორის პირდაპირ შეთანხმებას დებენ. ადრე კი ამ მიმართულებით იუგოსლავიის ფირმების რიგი წინადადებები გადაულახავ ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებს აწყდებოდა საბჭოთა ქვეყნის სამინისტროებისა და უწყებების მხრივ.

საბჭოთა მხარეც პერსპექტიულ პროექტებს ახორციელებს იუგოსლავიაში, კერძოდ, გაჰყავს გაზსადენები, დაგეგმილია მეტროს

მშენებლობა ბელგრადში, რომელიც განხორციელდება საბჭოთა საწარმოებთან თანამშრომლობით. სხვათა შორის იუგოსლავიამ მეტროს მშენებლობის წინადადებები მიიღო საფრანგეთისაგან, კანადისა და იაპონიისაგან. სსრ კავშირთან მიღწეული შეთანხმებით საბჭოთა მხარე იუგოსლავიას მიაწვდის მეტროს მშენებლობის სათანადო მოწყობილობებს სამშენებლო მუშაობას კი განახორციელებენ იუგოსლავიის ფირმები. ეს მშენებლობა უკვე 1988 წლისათვის უნდა დაწყებულიყო, მაგრამ იუგოსლავიის ფინანსური სიძნელეების გამო ეს საქმე ყოვნდება. სამაგიეროდ წარმატებით განხორციელდა ვორონეჟში იუგოსლავიის მაღაზია „მორავას" გახსნა, რომელიც უკვე დიდი ხანია ვაჭრობს თავისი ქვეყნის საქონლით, მაგრამ ყოვნდება ასეთივე სახის ჩვენი მაღაზიის „ვოლგის" გახსნა ბელგრადში იმის გამო, რომ, როგორც იუგოსლავიის სავაჭრო წარმომადგენელი ზ. ტოდოროვი აღნიშნავს, საბჭოთა მხარის მიერ წამოყენებული ასორტიმენტი ძალზედ ღარიბია. „საბჭოთა მხარემ ჩვენ შემოგვთავაზა 300 სახელწოდების პროდუქცია, მაგრამ მაღაზიის გახსნაზე ფიქრიც არ შეიძლება, როგორც მინიმუმი, 700—800 დასახელების საქონლის გარეშე". ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭიროა ახალი ურთიერთობის ფორმაზე გადასვლა, მაგრამ ასეთი გადასვლისათვის დიდი დროა საჭირო. ამჟამად კი იუგოსლავიასთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის და დავალიანების ლიკვიდაციისათვის საჭიროა ჩვენი ექსპორტის გაზრდა ამ ქვეყანაში. 1988 წლის ივლისში დაინტერესებულმა საბჭოთა ორგანიზაციებმა იუგოსლავიასთან ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების მიზნით შექმნეს იუგოსლავიასთან საქმიანი თანამშრომლობის ასოციაცია „სლავია". მისი მიზანია ეფექტური და მიზანდასახული გახადოს ეკონომიკური თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის.

1988 წელს ორივე მხარის დიდი ღონისძიებების შედეგად მათმა ურთიერთვაჭრობამ შეადგინა 5,7 მილიარდი დოლარი, მაგრამ იგი მაინც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დონეს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ საბჭოთა მხარემ ვერ დააკმაყოფილა იუგოსლავიის გაზრდილი მოთხოვნები ნედლეულით. ამის გამო, 1988 წლის ბოლოსათვის, იუგოსლავიის დადებითი სალდო საბჭოთა კავშირთან აღემატებოდა 2 მლიარდ დოლარს, რაც ძალზედ უარყოფით გავლენას ახდენდა იუგოსლავიის ფინანსიურ ბაზარზე. 1988 წლის ბოლოსა და 1989 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის დავალიანება იუგოსლავიისადმი შემცირდა იმის ხარჯზე, რომ მისი ერთი ნაწილი 555 მილიონი დოლარი კრედიტად გადააქციეს, რომელიც საბ-

ჭოთა კავშირს მიეცა შესაბამისი პროცენტების გადახდით. დისბალანსი ამის წყალობით 1,2 მილიარდ დოლარამდე დაიყვანეს, მაგრამ შემდეგ, მიუხედავად ორივე მხარის ყოველგვარი ცდებისა, საბჭოთა დავალიანება იუგოსლავიისადმი გაიზარდა და 1990 წელს შეადგინა 1,6 მილიარდი დოლარი, რამაც ახალი სიძნელეები შექმნა ორივე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მოცულობაში. მიუხედავად ამისა, 1989 წლის ბოლოსათვის მთლიანმა საგარეო ვაჭრობის მოცულობამ ორივე მხარეს შორის შეადგინა 6,5 მილიარდი დოლარი.

1990 წლისათვის ხელმოწერილი ოქმი საქონელ ბრუნვის შესახებ ითვალისწინებს ამ ორი სახელმწიფოს ვაჭრობის ზრდას, ასევე ერთობლივი საწარმოების შექმნას და ა. შ.

იუგოსლავიას ფართო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან. 70-იან წლებში ყოფილ სოციალისტური ქვეყნების წილი იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობაში შეადგენდა 30 პროცენტს. 1974 წელს იუგოსლავიამ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან ხელი მოაწერა შეთანხმებას ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ 10 წლის ვადით, რის შედეგად ამ ორ მხარეს შორის მოკლე ხანში საქონელბრუნვა 3-ჯერ გაიზარდა. ამავე წელს იუგოსლავიასა, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ხელმოწერილია შეთანხმება ნავთსადენის „ადრიატიკის“ ერთობლივი მშენებლობის შესახებ, რომლითაც ნავთობს იუგოსლავია იღებს და გადასცემს ამ სამივე ქვეყნის სამრეწველო ცენტრებსაც. 1976 წელს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება თანამშრომლობის გაფართოებაზე სოფლის მეურნეობის დარგშიც, იუგოსლავიის ამ ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების მიზნით ელექტროტექნიკურ მრეწველობაში—„ინტერელექტროში“—მის შესვლაზე. იუგოსლავიასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ვითარდება კონტაქტები უმაღლეს დონეზე შეხვედრების მოწყობის გზით. ჩვეულებრივ პრაქტიკად გადაიქცა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების ვიზიტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა საპასუხო ვიზიტები იუგოსლავიაში. მთელი 60—70-იან, შემდეგ კი 80-იან წლებში ინტენსიურად ვითარდებოდა იუგოსლავიის ურთიერთობა ჩინეთთან, როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ, ასევე პარტიული ურთიერთობის დარგში. ურთიერთ- ვიზიტები ამ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის სისტემატურად ხორციელდებოდა. საქონელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის სტაბილურია და ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1976 წელს იგი შეად-

ენდა 50 მლნ დოლარს, 1985 წლისათვის შეადგინა 192,7 მლნი დოლარი.

იუგოსლავიისა და ალბანეთის ამ ორი მეზობელი ქვეყნის, ურთიერთობა წლების განმავლობაში დაძაბული ხასიათისა იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობას. მაგალითად, 1984 წლისათვის სავაჭრო მოცულობა ამ ქვეყნებს შორის შეადგენდა 80 მლნ დოლარს, 1985 წელს 120 მლნ დოლარს, შემდეგ წელს კი შეადგინა 92.7 მლნ დოლარი. იუგოსლავიამ არაერთხელ განაცხადა თავისი მზადყოფნა ალბანეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შესახებ. 1985 წლის ნოემბერში ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას მათ შორის საქონელ ბრუნვის გაზრდაზე, 1986—1990 წწ., რკინიგზის ტვირთბრუნვის გაფართოებაზე ტიტოგრადსა (იუგოსლავია) და შკოდრეს შორის (ალბანეთი). 1986 წლის აგვისტოში გაიხსნა მუდმივი მიმოსვლა რკინიგზის ხაზზე ტიტოგრადსა და შკოდერს შორის.

იუგოსლავია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ დარგში თანამშრომლობას განვითარებად ქვეყნებთან— ინდოეთთან, ბანგლადეშთან, არაბულ ქვეყნებთან, აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებთან, რომლებზეც 70-იანი წლების შუა პერიოდში მოდიოდა იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობის 70%. ხშირი იყო ვიზიტები ამ ქვეყნებში იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეებისა და განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელთა ვიზიტები იუგოსლავიაში. იუგოსლავიის მთავრობა მუდმივად მონაწილეობს მიუმხრობელი ქვეყნების თათბირებში. კონფერენციებში და ა. შ. 1974 წლის სექტემბერში ბელგრადში შედგა მიუმხრობელი ქვეყნების თათბირი საკითხზე „მიუმხრობელ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ". 1975 წლის მაისში ბელგრადში შედგა მიუმხრობელი ქვეყნების საკონსულტაციო თათბირი ინფორმაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ, ხოლო აგვისტოში კი იუგოსლავია მონაწილეობდა ასეთსავე თათბირში, რომელიც ლიმაში ჩატარდა. ი. ბროზ ტიტო 1979 წელს ვიზიტით. იყო ერაყში, კუვეიტში, სირიაში, იორდანიაში, ალჟირში, ლიბიაში, მალტაში, ხოლო მთავრობის ხელმძღვანელები კი აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში. ასეთივე ინტენსიური პოლიტიკური კონტაქტები და მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა იუგოსლავიასა და განვითარებად ქვეყნებს შორის გრძელდებოდა 1980—1988 წლებშიც.

იუგოსლავიის ურთიერთობა კაპიტალსტურ ქვეყნებთან აგებული, მშვიდობიანი თანაარსებობის, დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელი პრინციპების საფუძველზე.

70-იანი წლების შუა ხანებში განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე მოდიოდა იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობის 55%. იუგოსლავიის სახელმწიფოს ხელმძღვანელების შეხვედრები და თათბირები განვითარებული კაპიტალისტურ ქვეყნების ხელმძღვანელებთან ატარებს სისტემატურ ხასიათს. ასევე სისტემატურად ეწყობა მათი ურთიერთსაქმიანი ვიზიტები. გაუმჯობესდა ურთიერთობა იუგოსლავიასა და იტალიას შორის, რომელთა ურთიერთობა წლების განმავლობაში არახელსაყრელი იყო. 1975 წლის ნოემბერში ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მოგვარდა ისეთი ღია საკითხები, როგორიცაა მათ შორის არსებულ სახელმწიფო საზღვრები ტრიესტის რაიონში, აგრეთვე, ეროვნული უმცირესობების საკითხი და ა. შ. ამასთანავე დაიდო შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

1979 წლის ოქტომბერში ბელგრადში ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესია. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, გარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისა, იუგოსლავია ავითარებდა, აგრეთვე, ფინანსურ-კრედიტულ ურთიერთობას, ხდებოდა უმაღლეს დონეზე შეხვედრები იუგოსლავიის ხელმძღვანელებისა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან. იუგოსლავია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებას. მასზე მოდიოდა იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობის დიდი ნაწილი. 1983 წლის იანვარში „საერთო ბაზრის“ ქვეყნების პარლამენტებმა რატიფიცირება მოახდინეს 1980 წელს იუგოსლავიასთან დადებული ახალი შეღავათიანი ხანგრძლივვადიანი შეთანხმებისა ეკონომიკური, ტექნიკური და სავაჭრო თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნულ გაერთიანებასა და იუგოსლავიას შორის რეგულარულად ეწყობა სპეციალური თათბირები იუგოსლავიასთან ურთიერთობის საკითხებზე „საერთო ბაზრის“ ქვეყნებისა. მაგალითად, მორიგი ასეთი თათბირი მოეწყო 1989 წლის ივნისში ლუქსემბურგში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომლის დროსაც განიხილეს აღნიშნულ გაერთიანებასა და იუგოსლავიას შორის კოოპერატიული კავშირების აქტივიზაციის საკითხები ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის დარგებში ერთობლივი ვაჭრობის განვითარება მესამე ქვეყნებთან.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა თანამშრომლობას ნეიტრალურ ქვეყნებთან—ავსტრიასთან, შვეიცარიასთან, ფინეთთან და შვეციასთან. გაფართოვდა იუგოსლავიის ურთიერთობა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან.

ასეთი ფართო სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის შედეგი ისაა, რომ იუგოსლავიამ გაადიდა თავისი საგარეო ვაჭრობის მოცულობა, რომელიც 70—80-იან წლებში 3 მლრდ დოლარიდან 12 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

თ ა ვ ი VI

კუბის რესპუბლიკა

§ 17. კუბელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის რევოლუციის გამარჯვება

ბრძოლა დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის მეორე მსოფლიო ომის შედეგად. ბატისტას დიქტატურა

1941 წლის დეკემბერში კუბამ აშშ-თან ერთად ომი გამოუცხადა ვერმანიას, იტალიას და იაპონიას. 1942 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასა და სსრ კავშირს შორის. 1943 წელს კუბელი კომუნისტები შედიოდნენ კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში. ჯერ კიდევ 1939 წელს კომპარტია და „რევოლუციური კავშირი" გაერთიანდნენ და შეიქმნა რევოლუციური კომუნისტური კავშირი, რომელმაც 1944 წელს მიიღო სახალხო-სოციალისტური პარტიის სახელწოდება.

ომის შემდეგ პერიოდში მსოფლიოში მოთხოვნილება და ფასები შაქარსა და თამბაქოზე, რომლებიც წარმოადგენდა ქვეყნის მეურნეობის წამყვან დარგებს, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის შედეგად კუბის ეკონომიკისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. საყურადღებოა, რომ ომის დროს კუბაში გაიზარდა სოფლის მეურნეობის საწარმოები და მასში მოწინავე ტექნიკის დანერგვა. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აგრეთვე მრეწველობამ, კერძოდ სამთამადნო და ენერგეტიკულმა. მაგრამ კუბის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა აშშ-ის კაპიტალს ეკავა, ამერიკის მონოპოლიების კონტროლის ქვეშ იყო სამთამადნო და ენერგეტიკული მრეწველობა, მთელი სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზი, ნავთობის საბადოები, ტრამვაის და საავტომობილო ტრანსპორტი, რკინიგზის ხაზების ნახევარზე მეტი, შაქრის ქარხნების 2/3, შაქრის ლერწმის პლანტაციების ფართობის 80%-ზე მეტი. ამრიგად, კუბის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ამერიკის კაპიტალს ეკავა, რომელიც ქვეყნის მშრომელებს ექსპლუატაციის გზით აურაცხელ მოგებებს ნახულობდა. კუბა მუდმივად იმყოფებოდა აშშ-ის ფინანსურ დამოკიდებულებაში.

---

[1] მდებარეობს ვესტ-ინდოეთში, კუნძულ კუბასა და მის ახლომდებარე კუნძულებზე კარიბის ზღვის აუზში. ტერიტორია—110,9 ათასი კვ. კმ მოსახლეობა 10,2 მლნ (1986 წ.). დედაქალაქი ჰავანა (2 მილიონამდე მცხოვრები. 1986 წ.). მოსახლეობის 70% ევროპიდან გადასახლებულნი, ძირითადად ესპანელები, არიან დანარჩენია: ზანგები, მულატები და მცირე ნაწილი აზიიდან გადასულნი. სახელმწიფო ენა ესპანურია.

1939—1955 წლებში მარტო რვა ამერიკული შაქრის კომპანიის შემოსავალი შეადგენდა 261,5 მლნ დოლარს, რაც 5-ჯერ აღემატებოდა მათ მიერ დაბანდებულ კაპიტალს.

ომის შემდგომ კუბაში გაიზარდა ხალხთა მასების რევოლუციური და ეროვნული მოძრაობა, რომელშიც ათი ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. რევოლუციური აღმავლობით დაშინებულმა ქვეყნის გამბატონებულმა კლასებმა აშშ-ის მხარდაჭერით 1952 წლის 10 მარტს მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და დაამყარეს სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა გენერალ ბატისტას მეთაურობით. დემოკრატიული თავისუფლებები გაუქმდა, სახალხო-სოციალისტური და სხვა დემოკრატიული პარტიები და პროგრესული ორგანიზაციები აიკრძალა. არმია გადაიქცა დიქტატურის დამსჯელ აპარატად. 1952 წელს ბატისტამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. გენერალ ბატისტას დიქტატურის დასაყრდენს წარმოადგენდა მსხვილი ბურჟუაზია, მსხვილი პლანტატორები და აშშ-ის მონოპოლიები. 1952 წელს გაუქმებულად გამოცხადდა 1940 წლის კონსტიტუცია და მის ნაცვლად შემუშავდა „რესპუბლიკის კონსტიტუციური სტატუსი", რომლითაც სამხედრო-პოლიციური კონტროლი დაწესდა ქვეყანაში არსებულ ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებისადმი. არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის ან უბრალო პროპაგანდისათვის სიკვდილით სასჯელი დაწესდა. 1953 წელს გამოცემული კანონით ქვეყანაში სასტიკად იკრძალებოდა კომუნისტური მოღვაწეობა. პროფკავშირებზე მთავრობის კონტროლი დამყარდა. კუბის მშრომელთა კონფედერაციას რადიკალური ხელმძღვანელები ჩამოაშორეს და მის სათავეში ჩააყენეს ბატისტას აგენტი მუჰალი, რომელმაც პროფკავშირები მუშათა კლასზე კონტროლისა და მეთვალყურეობის ორგანოდ გადააქცია.

საგარეო პოლიტიკაში ბატისტას რეჟიმი მხარს უჭერდა აშშ-ის საგარეო კურსს, მონაწილეობდა ამერიკის იმპერიალიზმის მიერ 1954 წელს ორგანიზებულ ინტერვენციაში გვატემალას წინააღმდეგ.

გამოსვლები მონკადაში. რევოლუციური ბრძოლის გაძლიერება

ბატისტას ტერორისტული რეჟიმი ხალხის დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამ რეჟიმმა ქვეყანა გადააქცია აშშ-ის მონოპოლიების გამდიდრების ობიექტად. ბატისტა სულ ახალ და ახალ კონცესიებს აძლევდა ამერიკის მონოპოლიებს და მათთან გარიგების მეშვეობით კუბელი ხალხის ძარცვა-გლეჯვით თვითონაც მდიდრდებოდა. აშშ-ის

მონოპოლიებისაგან ყოველ კონცესიაზე ბატისტა ღებულობდა უზარმაზარ ფულად ქრთამს და აქციების 50%-ს. იგი გახდა 40 სხვადასხვა კომპანიის მსხვილი აქციონერი. 7 წლის განმავლობაში ბატისტამ მიითვისა 400 მილიონი დოლარი და ყველაზე მდიდარი კაცი გახდა კუბაში. ერთი მუჭა მონოპოლიების და დიქტატურული რეჟიმის ბრბოს გამდიდრება ხდებოდა არა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის გზით, არამედ მოსახლეობის გაძლიერებული ექსპლოატაციით. მაგალითად, მარტო 1953 წელს წინა წელთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 100 მილიონი პესოთი შემცირდა.

ბატისტას რეჟიმით უკმაყოფილო იყო არა მარტო ხალხთა მასები, არამედ ეროვნული ბურჟუაზიაც, რომელიც საკუთარ ბაზარზე და ქვეყნის ეკონომიკაში ამერიკის მონოპოლიების მოძალების შედეგად დიდ შევიწროებას განიცდიდა. მაგრამ, ბურჟუაზიული ოპოზიცია არ იყო საშიში, ვინაიდან იგი ხალხთა მასების რევოლუციური ბრძოლის გაშლის შიშით პასიური ბრძოლის ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა ეროვნული ბურჟუაზია და მათი პარტიები არ ცნობდნენ ბატისტას რეჟიმს, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვნად ავიწროებდა დიქტატურის სოციალურ დასაყრდენს.

ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის გზას დაადგა სახალხო-სოციალისტური პარტია, რომელმაც მკაცრი ტერორისა და რეპრესიების პირობებში შეიმუშავა ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალების გაერთიანებისა და ერთიანი ეროვნული ფრონტით ბრძოლის სწორი ტაქტიკა. 1953 წლის ოქტომბერში ჰავანაში უკვე მოქმედებდა სახალხო-სოციალისტური პარტიის მიერ შექმნილი 100 იატაკქვეშა ერთობის კომიტეტი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა მუშებს, მოსამსახურეებს, ვაჭრებს, ინტელიგენციას, სტუდენტობას და დიქტატორის მოწინააღმდეგეთა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს. ამ კომიტეტების ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ ბურჟუაზიისაგან განსხვავებით იგი ხალხს ეყრდნობოდა. კომიტეტებში ძირითადად ახალგაზრდობა იყო გაერთიანებული და მათი აღიარებული ხელმძღვანელი მალე ფიდელ კასტრო გახდა[1]. თავისი რევო-

[1] ფიდელ კასტრო რუსი 1926 წელს დაიბადა ორიენტეს პროვინცია დაბა ბირანში, მაქონის პლანტაციების მფლობელის მდიდარ ოჯახში. ჰავანის უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი ხდება სტუდენტთა მოძრაობის ხელმძღვანელი. 1951 წელს აქთავრებს უნივერსიტეტს და მალე იღებს სამართლისმცოდნეობის დოქტორის ბარისხს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ადვოკატად მუშაობდა. ბატისტას რეჟიმის დამყარების შემდეგ ჩაება ბრძოლაში ამ რეჟიმის წინააღმდეგ და მალე იგი რევოლუციური ბრძოლის აღიარებულ ხელმძღვანელად გადაიქცა. იგი 1951 წ. შევიდა „კუბის სახალხო პარტიაში“ (ორთოდოქსებში) და სათავეში ედგება მის რადიკალურ ფრთას.

ლუციური მოღვაწეობის დასაწყისში იგი ჯერ არ იყო მარქსისტი, უფრო ანარქიზმით იყო გატაცებული. მისი ხელმძღვანელობით დაახლოებით 200 რევოლუციონერმა 1953 წლის 26 ივლისს იერიში მიიტანა ორიენტეს პროვინციაში კარგად გამაგრებულ სამხედრო დასახლების სიმაგრე „მონკადაზე". ამ სიმაგრეს იცავდა 3 ათასი ჯარისკაცი. რევოლუციონერები იმედოვნებდნენ ციხესიმაგრის აღებას მოულოდნელი შეტევით, უაზარმების ხელში ჩაგდებას და ჯარისკაცების განიარაღებას სისხლის ღვრის გარეშე. **უაზარმაში ბევრი** იარაღი იყო და კასტრო და მისი მომხრეები იმედოვნებდნენ ამ იარაღის ხელში ჩაგდებას, ხალხის შეიარაღებას და ბატისტას რეჟიმის დამხობით რევოლუციის დაწყებას. რევოლუციონერებს ჰქონდათ შემუშავებული სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა: მემამულეთა მიწების კონფისკაციას და გლეხთა შორის მის უფასოდ განაწილებას, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უფლების მინიჭებას იმ საწარმოების მოგებების 30%-ის მიღებაზე. სადაც ისინი მუშაობდნენ და ა. შ.

ციხესიმაგრე „მონკადაზე" თავდასხმასთან ერთად რევოლუციონერთა მეორე ჯგუფმა აბელ სანტამარიას ხელმძღვანელობით ხელთ ჩაიგდო სამოქალაქო ჰოსპიტალი, ხოლო 10 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა კასტროს უმცროსი ძმის რაულ კასტროს მეთაურობით მართლმსაჯულების სასახლე დაიკავა. მაგრამ ბატისტას ჭარბმა ძალებმა ადვილად შეძლეს მცირერიცხოვან აჯანყებულთა რაზმების დამარცხება. ასამდე კაცი მოკლული და ტყვედ იქნა წაყვანილი. კასტრო რამდენიმე ამხანაგთან ერთად გაიქცა და მთებს შეაფარა თავი, მაგრამ მთავრობის ჯარები მძინარე, ქანცგამოლეულ რევოლუციონერებს თავს წააწყდნენ და დაატყვევეს.

ბატისტას ბრბო სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს. დაახლოებით 90 ტყვედ ჩავარდნილი. მათ შორის აბელ სანტამარია. გასამართლების გარეშე დიდი წამების შემდეგ ციხეში დახოცეს, 21 სექტემბერს მოეწყო აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ სამხედრო ტრიბუნალის სასამართლო. 122 კაცი წარსდგა სასამართლოს წინაშე, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში. აჯანყებულებს უშიშრად ეჭირათ თავი სასამართლო პროცესზე. მათ ბრალი დასდეს და გამოააშკარავეს ბატისტას ტერორისტული რეჟიმი. 29 კაცს, მათ შორის კასტროს და მის ძმას რაულ კასტროს მიესაჯათ 15 წლის პატიმრობა. სასამართლო პროცესზე კასტრომ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ თავისი მკაცრი ბრალმდებელი გამოსვლის დროს ნათელყო თუ ვის ინტერესებს ემსახურებოდა ბატისტას ტერორისტული დიქტატურა და იგი

დააძთავრა სიტყვებით—„ისტორია მე გამამართლებს“. მან მოუწოდა ხალხს გაეძლიერებინათ ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მანამ სანამ არ დაემხობოდა იგი.

„ხუთი რევოლუციური კანონიდან“, რომლის გატარებას „მონკადის„ გმირები ხელისუფლების ხელში აღების შემთხვევაში აპირებდნენ ოთხი—ეკონომიკური ხასიათის იყო. პირველი კანონი ითვალისწინებდა 1940 წლის კონსტიტუციის აღდგენას. მეორე კანონით მიწის საკითხი გლეხთა სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, იგი ითვალისწინებდა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის „მიწის უფასოდ და მუდმივ საკუთრებაში გადაცემას“. მესამე კანონით მუშები და მოსამსახურეები მიიღებდნენ უფლებებს მსხვილი მრეწველობიდან, ვაჭრობიდან, სამთამადნო საწარმოებიდან მოგების 30%-ზე. მეოთხე კანონით, ყველა ისინი ვინც არაკეთილსინდისიერად გამდიდრდა. სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობები თავისი პირადი გამდიდრებისათვის გამოიყენა, მათი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში უნდა გადასულიყო. 1940 წლის კონსტიტუცია, რომლის აღდგენის დაპირებასაც იძლეოდნენ „მონკადის“ გმირები, ითვალისწინებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობაში კოოპერატიული სექტორის შექმნას, ეკონომიკის დაგეგმვას და მართვას. ამის ბაზაზე სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში, საბინაო და სხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და ა. შ. ბატისტას ბრბომ მონკადის ამბების შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. ქვეყანაში შემოიღო საალყო მდგომარეობა, რომელიც ერთ წელიწადს გრძელდებოდა. დიქტატორული რეჟიმის მოწინააღმდეგე ყველა ეპვმიტანილს აპატიმრებდნენ. იატაკქვეშა რევოლუციური ორგანიზაციების დიდი ნაწილი დარბეულ და განადგურებულ იქნა. 10 ნოემბერს გამოცემული დეკრეტით „კომუნისტური მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ“, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აპატიმრებდნენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ ავრეთვე მშვიდობის მომხრეებს, პროფკავშირებისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციის წევრებსაც. ყველაზე დიდ დევნას განიცდიდა სახალხო-სოციალისტური პარტია. დამსჯელთა და ჯაშუშთა მრავალრიცხოვანი ბრბო მთელ ქვეყანას მოედო და ცდილობდა შიში დაეთესა ყველგან. აშშ-ის იმპერიალისტები კმაყოფილნი იყვნენ ბატისტას რეჟიმით და მხარს უჭერდნენ მას. მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა, ბატისტას უწოდა ანარქიზმისა და კომუნიზმის მტერი და „დემოკრატიის დამცველი“ ამერიკის კონტინენტზე. მასობრივი რეპრესიები ვერ აღწევდა საწადელს, პირიქით, იგი მშრომელი ხალხის ზიზღს და სიძულვილს იწვევდა.

„26 ივლისის მოძრაობა“ თავისი ხასიათით თავდაპირველად წვრილბურჟუაზიული, ანტიიმპერიალისტური რევოლუციური მოძრაობა იყო, რომელიც უმთავრესად სტუდენტ-ახალგაზრდობას ეყრდნობოდა. „მონკადის“ ამბების შემდეგ ეს ანტიიმპერიალისტური მოძრაობა გაფართოვდა და მასში მშრომელთა მასების ფართო ფენებიც ჩაებნენ. სახალხო-სოციალისტური პარტია და „26 ივლისის მოძრაობა“ თავდაპირველად ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, მაგრამ ისინი ერთმანეთს ავსებდნენ და საბოლოოდ ერთიანი რევოლუციური გზით წავიდნენ. სახალხო-სოციალისტური პარტია ეყრდნობოდა ხალხთა ფართო მასებს და იბრძოდა ქვეყანაში არსებული დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ.

„26 ივლისის“ ამბების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან საერთო გამოხმაურება ჰპოვა მთელს ქვეყანაში, გამოაცოცხლა ხალხი და დაარწმუნა, დიქტატორული რეჟიმის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაში. ასეთ პოზიციებზე იდგნენ „26 ივლისის“ მოძრაობა და სახალხო-სოციალისტური პარტია. სწორედ ამან განაპირობა გამარჯვების შემდეგ მათი გაერთიანება კუბის ერთიან კომუნისტურ პარტიად.

კასტროსა და მისი მომხრეების წინააღმდეგ მიღებულმა მკაცრმა გაწაჩენმა საყოველთაო საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია ქვეყანაში. ამიტომ 1954 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბატისტა იძულებული გახდა პოლიტიკური პატიმრების, მათ შორის „26 ივლისის“ ამბების მონაწილეთა ამნისტია გამოეცხადებინა. კასტრო და მისი მომხრეები გაანთავისუფლეს, რის შემდეგ ისინი მექსიკაში წავიდნენ, სადაც შექმნეს „26 ივლისის მოძრაობის“ ორგანიზაცია. მალე ეს ორგანიზაცია ბევრი პატრიოტი ემიგრანტი კუბელით შეივსო და საკმაოდ მრავალრიცხოვან შეიარაღებულ პარტიზანულ ნაწილებად გადაიქცა. პატრიოტები ემზადებოდნენ კუბაში ექსპედიციის მოწყობისათვის ბატისტას რეჟიმის დასამხობად. თვითონ კუბაშიც შეიქმნა მრავალი იატაკქვეშა რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური ორგანიზაცია, რომლებიც თავის მხრივ ემზადებოდნენ დიქტატორული რეჟიმის დამხობისათვის. ამ საქმეში, ქვეყნის შიგნით, დიდ როლს თამაშობდა სახალხო-სოციალისტური პარტია. 1955 წლის 27 ნოემბერს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა პატივისცემის ტრადიციულ დღეს, სახალხო-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელს კუბაში მოეწყო სტუდენტთა დემონსტრაცია. ისინი მოითხოვდნენ ბატისტას დიქტატურის დამხობას.

1956 წლის 29 აპრილს, ახალგაზრდა რევოლუციონერთა ჯგუფი

რაინალდ გარსიას მეთაურობით ქალაქ მატანსაში თავს დაესხა „გოიკორიის“ ყაზარმას. მაგრამ თავდამსხმელებმა მარცხი განიცადეს 17 კაცი დაიღუპა, დანარჩენები დააპატიმრეს და წამებით დახოცეს. სახალხო-სოციალისტური პარტიისა და ხოსე ეჩევერიას მეთაურობით არსებულ „რევოლუციური სტუდენტების დირექტორატის“ ხელმძღვანელობით მთელ კუბას მოედო გრანდიოზული დემონსტრაციები და გაფიცვები სტუდენტობისა და მშრომელი მასებისა ლოზუნგით „ძირს ბატისტას დიქტატურა“. რევოლუციურ გამოსვლებს ბატისტას რეჟიმი მასობრივი რეპრესიებით პასუხობდა, მაგრამ იგი ვერ აღწევდა მიზანს და პირიქით სულ ახალ და ახალ გამოსვლებს იწვევდა.

1956 წლის ივლისში „26 ივლისის მოძრაობის“ ხელმძღვანელმა კასტრომ და „რევოლუციური სტუდენტობის დირექტორატმა“ ხოსე ეჩევერიას ხელმძღვანელობით დადეს პაქტი ერთიანი მოქმედებისა და საყოველთაო გაფიცვის მომზადების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ 8 სექტემბერს მოწყობილ გაფიცვას მხარი არ დაუჭირეს რეფორმისტებმა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან დააჩქარა ქვეყნის შიგნით და გარეთ მყოფი რევოლუციური ძალების შეთანხმებული მოქმედება. „26 ივლისის მოძრაობამ“ შეიმუშავა შეთანხმებული მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა 1956 წლის 30 ნოემბერს კასტროს მიერ მომზადებული პარტიზანების გადასხმას კუბაში და ერთდროულად ქალაქ სანტიაგოში აჯანყების დაწყებას. „26 ივლისის მოძრაობის“ იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელის ფრანკ პაისის მეთაურობით.

ამ მიზნით ფიდელ კასტროს პარტიზანებმა შეიძინეს ორანძიანი ნავი „გრანმა“. მაგრამ 82 კაცისაგან გადატვირთული „გრანმა“ ქარიშხალის ამოვარდნის გამო სამი დღის დაგვიანებით მიადგა კუბის ნაპირს არა დათქმულ ადგილას და წააწყდა მთავრობის ერთგულ ბატალიონს. გრიგალისაგან გაწამებული და გადაღლილი პარტიზანები ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში მთავრობის ჯარებთან. უმრავლესობა დაიღუპა, 20 კაცი კი ტყეედ ჩავარდა. გადარჩენილნი 3—5 კაციან ჯგუფებად დაიყვნენ და სერა მაესტრას მთას შეაფარეს თავი. გადარჩენილთა შორის იყო ორივე ძმა ფიდელ და რაულ კასტრო. აქ გლეხების დახმარებით იწყეს ახალი პარტიზანული ჯგუფების შექმნა. 1956 წლის 30 ნოემბერს, ე. ი დათქმულ დროს სანტიაგოში მოხდა სტუდენტობისა და მუშათა მცირე ჯგუფის შეიარაღებული გამოსვლა ფრანკ პაისის მეთაურობით. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს პოლიციის შენობა, სამხედრო-საზღვაო, ნაწილების ყაზარმები, ტელეგრაფი და რადიოსადგური. მაგრამ, ეს გამოსვლა იზოლირებული აღ-

მოჩნდა. მან ვერ ჰპოვა მხარდაჭერა, კასტროს პარტიზანებმა კი, როგორც აღვნიშნეთ, დაიგვიანეს. ამიტომ მთავრობის ჯარებმა საღამოსათვის ეს გამოსვლა ჩაახშეს. პაისი ტყვედ ჩავარდა და იგი სიკვდილით დასაჯეს. კასტროსა და მისი მომხრეების შეთქმულებითი და ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკა ვერ აღწევდა დასახულ მიზანს, მაგრამ იგი მაინც დიდ გამოხმაურებას პოულობდა მთელ კუბაში და იწვევდა მასობრივ მოძრაობაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმას. რა თქმა უნდა, რევოლუციონერთა მცირე ჯგუფით არ შეიძლებოდა დიქტატორული რეჟიმის—პოლიციურ-ბიუროკრატული აპარატისა და მისი 50 ათასიანი არმიის განადგურება. კასტრო და მისი ჯგუფი მალე დარწმუნდნენ ანარქისტული და შეთქმულებითი ტაქტიკის სრულ უსუსურობაში, იგი ვნებდა რევოლუციას, ამიტომ შეცვალეს ტაქტიკა და მალე დაადგენენ მასობრივ მოძრაობაში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმის გზას.

ამასთანავე სერა მაესტრას მთებში თავშეფარებული კასტროს მომხრეები თანდათანობით ძალებს იკრეფდნენ და თავისი გმირული საქმიანობით მთელი კუბის მოსახლეობის ყურადღებას იპყრობდნენ. ისინი რეგულარულად, რადიოგადამცემით მოუწოდებდნენ ხალხს ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ ბატისტას დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ.

სერა მაესტრას მთებისაკენ მიეშურებოდნენ ქვეყნის პატრიოტული ძალები. სახალხო-სოციალისტური პარტია პირველივე დღიდან მხარს უჭერს კასტროს პატრიოტული ძალების ბრძოლას, მოუწოდებდა ხალხს, რათა ქვეყნისათვის თავდადებული მებრძოლებისათვის მხარი დაეჭირათ და მათთან ერთად საბრძოლველად გაერთიანებულიყვნენ დიქტატორული და პროიმპერიალისტური რეჟიმის დასამხობად. ეს გადაცემა დიდი პოპულარობით სარგებლობდა კუბაში და მას ასი ათასობით კაცი უსმენდა. კასტროს პარტიზანებში თავი მოიყარა მრავალმა სტუდენტმა მოხალისემ, რომელთაგან ბევრი უბრალო მებრძოლი ან შენაერთების მეთაური იყო. ასე თანდათანობით ხდებოდა ამ ორი ძალის ურთიერთ შერწყმა და ქვეყნის განთავისუფლებისათვის ერთიანი ძალით ბრძოლის დაწყება.

1958 წლის მარტში რაულ კასტრომ, 86 თანამებრძოლთან ერთად ბრძოლით გაიარა ბატისტის ჯარების კონტროლის ქვეშ არსებული გზა სერა მაესტრას ბანაკიდან სერა დელ კრისტალის მთებამდე და შექმნა „ორიენტეს მეორე ფრონტი". ეს „მეორე ფრონტი" გადაჭიმული იყო 15 ათას კვ კმ-ის ფართობზე ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. „ორივე ფრონტის" ტერიტორიაზე შეიქმნა ხელისუფლების ორგა-

ნოები და მრავალრიცხოვანი რევოლუციური ჯარები, რომლის ძირითად მასას, სტუდენტებთან, კომუნისტებთან და მუშებთან ერთად გლეხობა შეადგენდა. ეს უკანასკნელნი კმაყოფილნი იყვნენ რევოლუციური ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული რეფორმით, მემამულეთა მიწების მათ შორის განაწილებით, მხარს უჭერდნენ „26 ივლისის მოძრაობას“ და ხალისით შედიოდნენ პარტიზანულ რაზმებში. მალე „ორივე ფრონტის“ ტერიტორიაზე შეიქმნა ძლიერი რევოლუციური ჯარები, რომელიც გაძლიერებით ემზადებოდა ბატისტის რეჟიმის დამხობისათვის.

თვითონ ქვეყნის შიგნით მრავალი სხვადასხვა სახის იატაქვეშა მოქმედი ორგანიზაციები და სახალხო-სოციალისტური პარტია კასტროს მებრძოლებს ყოველ მხრივ დახმარებას და მხარდაჭერას უწევდნენ. ბატისტას წინააღმდეგ მებრძოლთა ძალებმა ისეთ საშიშ მასშტაბებს მიაღწია, რომ ბატისტას დიქტატურა ვეღარ ართმევდა თავს მათ წინააღმდეგ ბრძოლას. ქვეყანაში ძლიერდებოდა საგაფიცვო მოძრაობა.

რევოლუციის გამარჯვება

ჯერ კიდევ 1957 წლის 25 ოქტომბერს კუბის ბურჟუაზიული პარტიების ხელმძღვანელები, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ პატრიოტული ძალების გავლენის ზრდითა და მათი ბრძოლის წარმატებებით, შეიკრიბნენ მაიამაში (აშშ) და დადეს „მაიამას პაქტი“, ვითომცდა ბატისტას რეჟიმსა და ფიდელ კასტროს მომხრეებს შორის შუამავლის როლის შესრულებისათვის. ასეთი გზით ბურჟუაზიული პარტიის ლიდერებს უნდოდათ ხელში აეღოთ მოძრაობის ხელმძღვანელობა და აშშ-ის მთავრობა დაერწმუნებინათ იმაში, რომ ბატისტას რეჟიმი განწირული იყო და თითქოს მათ მიერ ხელისუფლების ხელში აღებით ქვეყანას დაამშვიდებდნენ და ბურჟუაზიულ წყობილებას გადაარჩენდნენ. მაგრამ ფიდელ კასტრომ „26 ივლისის მოძრაობის“ სახელით სასტიკად დაგმო ეს აქტი და გამოააშკარავა მისი პროამერიკული ხასიათი. ბურჟუაზიული პარტიების ლიდერების გეგმები ჩაიშალა.

1958 წლის ივლისში, ვენესუელას ქალაქ კარაკასში შეიკრიბნენ კუბის ოპოზიციონერთა წარმომადგენლები, რომელშიც მონაწილეობდნენ „26 ივლისის მოძრაობის“ წარმომადგენლები, სტუდენტთა ორგანიზაციები და სხვები. აქ შეიქმნა „სამოქალაქო რევოლუციური ფრონტი“, რომელიც ბატისტას დამხობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში უნდა ჩამდგარიყო. პრეზიდენტად აირჩიეს ბატისტას მიერ

კუბიდან განდევნილი ზომიერი ბურჟუაზიული რესპუბლიკელი. იურისტი მანუელ ურუტია. ამ ფრონტს მხარი დაუჭირა აგრეთვე სახალხო-სოციალისტურმა პარტიამ.

ბატისტას დამსჯელი ჯარების განადგურების შემდეგ 1958 წლის ივლისიდან პარტიზანთა არმია, რომელთა რიგები თითქმის 10 ათასამდე გაიზარდა, გადადის შეტევაზე და მოკლე ხნის განმავლობაში დიდ წარმატებებსაც აღწევს. ეს წარმატებები უპირველეს ყოვლისა ხალხის საყოველთაო მხარდაჭერის შედეგი იყო. „26 ივლისის მოძრაობის" მიერ განთავისუფლებულ რაიონებში განხორციელებული სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნითი ღონისძიებები ხალხთა მასებს არწმუნებდა, რომ ფიდელ კასტროს მომხრეები მიზნად ისახავდნენ ქვეყნის არა მარტო ეროვნულ, არამედ სოციალურ განთავისუფლებასაც. 1958 წლის 10 ოქტომბერს კასტრომ სიერა მაესტრეში ხელი მოაწერა № 3 კანონს „მიწაზე გლეხთა უფლებების შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა გლეხთა შორის მიწების დანაწილებას და 1940 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ლატიფუნდიების ლიკვიდაციას. ამ კანონის გამოცემის შემდეგ გლეხობა „26 ივლისის მოძრაობის" აქტიური მხარდამჭერი გახდა.

1958 წლის ნოემბერ-დეკემბერში აჯანყებულები უკვე გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდნენ მთელი კუბის ტერიტორიაზე. დეკემბრის ბოლოსათვის მათ ხელთ ჩაიგდეს ჰავანის გზაზე მდებარე ქალაქი სანტა-კლარა. კუბის რეაქცია შეეცადა პატრიოტთა ჯარების დედაქალაქში შესვლისათვის ხელის შეშლას. ამ მიზნით ბატისტას ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა კანტალონიმ მოლაპარაკება გამართა კასტროსთან და დათანხმდა ბატისტას დაპატიმრებასა და კაპიტულაციაზე, მაგრამ მან ბატისტა ჰავანიდან გააპარა, თვითონ სამხედრო გადატრიალება მოაწყო და დროებითი ხუნტა შექმნა.

ამის საპასუხოთ კასტრომ გასცა ბრძანება ჰავანაზე იერიშის დაწყების შესახებ. ხოლო დედაქალაქის მოსახლეობას მოუწოდა დაეწყოთ საყოველთაო გაფიცვა. მართლაც, ჰავანაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა, ხოლო პატრიოტებმა იერიში მიიტანეს მასზე და 1959 წლის 2 იანვარს დედაქალაქში შევიდნენ.

კუბის რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციის ხელმძღვანელები ახლოს არ იდგნენ მარქსიზმთან. ისინი ნამდვილი მარქსისტები არ იყვნენ. არც მუშათა კლასი, განსაკუთრებით სამრეწველო პროლეტარიატი, არ იყო რევოლუციის ჰეგემონი. იგი რევოლუციის სხვა მამოძრავებელ ძალებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში,

მაგრამ პროლეტარიატი ამ რევოლუციის ხელმძღვანელ, ჰეგემონის დონემდე არ ამაღლებულა. ამ რევოლუციაში ბრძოლის ძირითადი ფორმა იყო პარტიზანული და შეიარაღებული გამოსვლები. აჯანყებას ძირითადად ხელმძღვანელობდა რევოლუციურ დემოკრატიული ინტელიგენცია და სტუდენტობა, ხოლო პარტიზანული ნაწილების საფუძველს წარმოადგენდა მუშათა კლასი და გლეხობა. ამ რევოლუციის თავისებურება ბოლოს ისიც იყო, რომ ბრძოლის ფორმებად რევოლუციონერები იყენებდნენ აგრეთვე ინდივიდუალური ბრძოლის ტაქტიკას, მაგრამ იგი შერწყმული იყო მასების აქტიურ მხარდაჭერასთან და გამოსვლებთან.

დემოკრატიული გარდაქმნები

ჰავანაში რევოლუციური ჯარების შესვლის შემდეგ ბატისტას რეჟიმის დროს მოწვეული კონგრესი დაითხოვეს, დიქტატურის მომხრეები და აგრეთვე ე. წ. დროებითი მთავრობის წევრები დააპატიმრეს, პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლეს და გამოცხადდა სიტყვის, პრესის, კავშირებისა და პარტიების თავისუფლება. ლიკვიდირებულ იქნა ბატისტას რეჟიმის დროს შექმნილი რეპრესიის ორგანოები. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ბატისტას რეჟიმთან თანამშრომლობდნენ აიკრძალა, ხოლო ბატისტას ჯალათები, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ ათასობით პატრიოტების დაჯაში, რევოლუციურმა სასამართლომ გაასამართლა და სათანადო სასჯელი დაადო. პოლიტიკური უფლებები 30 წლის ვადით აეყარა ყველა იმათ, ვინც ადგილობრივ მმართველ ორგანოებში ბატისტას რეჟიმს ემსახურებოდა.

ძველი სახელმწიფოს პოლიციურ-ბიუროკრატიული აპარატი ლიკვიდირებულ იქნა, ძველი არმია დაითხოვეს. იგი გაიწმინდა რეაქციული ოფიცრობისაგან. შეიქმნა ახალი რევოლუციური შეიარაღებული ძალები, რომელიც მხოლოდ მშრომელთა მასებისაგან შედგებოდა. პოლიციის ნაცვლად შეიქმნა სახალხო მილიცია. გაიწმინდა სასამართლო და ადმინისტრაციული აპარატი. გატარდა ღონისძიებანი მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, გაეზარდათ ხელფასი დაბალხელფასიან კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს. მკვეთრად შემცირდა ბინის ქირისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებსი ტარიფები. გლეხებს გადაეცათ ბატისტასა და მისი მომხრეების მფლობელობაში კონფისკებული და აგრეთვე სახელმწიფო

მიწები. გადაისინჯა ბატისტასა და მანამდე არსებული რეჟიმის მიერ ამერიკის ფირმებთან ღადებული არახელსაყრელი კონტაქტები.

მაგრამ ეს ღონისძიებები შეზღუდული იყო და იგი მკვეთრად ვერ აუმჯობესებდა მშრომელთა მასების მატერიალურ მდგომარეობას. რევოლუციის პირველ დღეებში, 1959 წლის 19 თებერვლამდე მთავრობის და სახელმწიფოს სათავეში იდგნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

კარაკასის პაქტის საფუძველზე რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ურუტიამ, რომელმაც პრემიერ-მინისტრად დანიშნა ადვოკატი მირო კორდონა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად—აგრამ ონტა. ყველა ესენი აშშ-ის ორიენტაციის მომხრენი იყვნენ. კასტრო არმიის მთავარსარდლად დაინიშნა.

ორივე მხარეს შორის თავიდანვე მტრული, ანტაგონისტური ურთიერთობა დამყარდა. თვით „26 ივლისის მოძრაობის" ორგანიზაციაში და „რევოლუციურ დირექტორატში" იყვნენ ისეთი ხელმძღვანელებიც, რომლებსაც როგორც შემდეგ გამოირკვა, სოციალისტური წყობილებისადმი მტრული პოზიცია ეკავათ.

ფაქტიურად ქვეყანაში დამყარდა ორხელისუფლებიანობა—ბურჟუაზიული კაბინეტი და რევოლუციური არმიის ხელმძღვანელობა. ამ უკანასკნელში უმრავლესობას წარმოადგენდნენ ანტიიმპერიალისტები და დემოკრატები, რომლებიც ქვეყნის მთლიანი განთავისუფლებისა და ღრმა გარდაქმნების მტკიცე პოზიციებზე იდგნენ. თავიდა-პირველად ორხელისუფლებიანობა ხელსაყრელი გამოდგა. ვინაიდან აშშ-ი იმედოვნებდა ბურჟუაზიული კაბინეტის არსებობის ვითარებაში თავისი პოზიციებისა და კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებაზე კუბაში. ამიტომ აშშ მაშინვე არ ჩაერია კუბის საქმეში.

ორხელისუფლებიანობა მალე დამთავრდა. 1959 წლის 19 თებერვალს პრემიერ-მინისტრი კორდონა გადადგა იმ მოტივით, რომ იგი არ იყო თანახმა რევოლუციური გარდაქმნებისა. მისი ადგილი დაიკავა კასტრომ. ივლისში გადადგა—პრეზიდენტი ურუტია და მისი ადგილი დაიკავა ოსვალდო დორტიკოს ტორრადომ. ამის შემდეგ ქვეყანაში დამყარდა ფ. კასტროს და მისი ჯგუფის დიქტატურა, რომელიც დაადგა ღრმა სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდაქმნითი ღონისძიებების განხორციელების გზას. ამ გზამ განვლო სამი ეტაპი: საერთო დემოკრატიული რევოლუციურ-დემოკრატიული, და სოციალისტური.

რევოლუციის გამარჯვებისას სახელმწიფო სექტორი სუსტი იყო და ძირითადად ეკავა შემდეგი დარგები—ბანკები, რკინიგზის ტრანსპორტი, საზღვაო ნავსადგურები. წარმოების სფეროს ყველა დარგში

გაბატონებული მდგომარეობა ეკავა საზღვარგარეთისა და ეროვნულ კაპიტალს. ახალმა ხელისუფლებამ ეემკვიდრეობით მიიღო განიავებული სახელმწიფო ხაზინა.

სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო სექტორის შექმნისა და გაფართოებისათვის ერთგვარ საწყის ბაზად გადაიქცა ბატისტას, მისი მომხრეების და აგრეთვე იმ პირების ქონების კონფისკაცია, რომლებიც არაკეთილსინდისიერი გზით, ან თანამდებობების გამოყენებით გამდიდრდნენ. ამ მიზნით შეიქმნა არაკეთილსინდისიერი გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევის სამინისტრო, რომელმაც განახორციელა ზემოთ ჩამოთვლილთა ქონების კონფისკაცია. ამ ღონისძიების გატარების შედეგად სახელმწიფო გადაიქცა მთლიან მესაკუთრედ ან საქმიან მონაწილედ ეკონომიკის ძირითად დარგებში—შაქრის ლერწმის პლანტაციებისა და შაქრის წარმოებისა, საბანკო საქმის, მომსახურეობის სფეროსი და ა. შ.

ფ. კასტროს მთავრობა უკვე 1959 წლის გაზაფხულიდან შეუდგა მრეწველობის წამყვან დარგებში სახელმწიფო საწარმოების შექმნასა და განვითარებას.

1959 წლის ნოემბერში შეიქმნა კუბის ნავთობის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო: ნავთობის ძიება, მოპოვება, გადამუშავება, განაწილება, ტრანსპორტირება, ყიდვა და გაყიდვა; ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარება; ყველა იმ საწარმოების მართვა, რომლებიც აღნიშნულ ამოცანებს ახორციელებდნენ. 1960 წლიდან იწყება მეტალურგიული საწარმოების რეკონსტრუქცია და გაფართოება.

ეს პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე ნავთობის ძიებისა და მოპოვების საქმის გაფართოების კონცესიონერების მიერაც იმ პირობით, თუ ისინი შეასრულებდნენ კანონით დადგენილ ნორმატივებს. კონცესიების ნაწილობრივ შენარჩუნება საშუალებას იძლეოდა უზრუნველყოფილიყო ნავთობის მრეწველობის აღმავლობა, წარმოების დაცემის თავიდან აცილება ორგანიზაციული საქმიანობის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა გარდამავალ პერიოდს. რევოლუციური მთავრობა ასეთნაირად უდგებოდა სახელმწიფო სექტორის შექმნის საქმეს მრეწველობის სხვა დარგებშიც.

რევოლუციური მთავრობის გეგმაში თავდაპირველად არ შედიოდა მრეწველობაში კერძო სექტორის გასახელმწიფოებრივება. იმ პერიოდში მთავარი ამოცანა ის იყო, რომ მოსპობილიყო მშრომელთა ექსპლოატაციის პირობები და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ყოფილიყო წარმოების ურთიერთობანი, ე. ი. ურთიერთობანი შრომასა და კაპიტალს შორის.

1960 წლის ოქტომბერში მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაციის დროს გამოცხადდა, რომ წვრილ და საშუალო საწარმოებს აუცილებლად უნდა მიეცეს გარანტიები და სხვადასხვა საშუალებით ხელი შეეწყოს მის ნორმალურ განვითარებას, რაც უნდა შეესაბამებოდეს ერის ინტერესებს. ჯერ კიდევ 1959 წლის თებერვალში კასტრომ მოუწოდა კერძო კაპიტალს ეთანამშრომლა სახალხო მთავრობასთან და შერიგებოდა იმ გარდაქმნებს, რომელიც ქვეყანაში ტარდებოდა. კასტრომ განაცხადა: „ვინც არ შეურიგდება, ის დაიღუპება“.

კასტრომ პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებისას განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ, განვახორციელოთ ყოველგვარი დაცვითი ღონისძიება,—რომელიც საჭირო იქნება, მხოლოდ ერთი პირობით: საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ მუშათა მაღალი ხელფასი“. 1959—1960 წლებში მთავრობის მიერ მიღებული ყველა კანონი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ეროვნული კერძო კაპიტალის მოღვაწეობისათვის. ეროვნული მრეწველობის დაცვა ხორციელდებოდა იმპორტის რეგულირების მეშვეობით და მთელი რიგი სხვა ღონისძიებებით. მაგრამ კერძო კაპიტალის მიზიდვა რევოლუციურ მთავრობასთან თანამშრომლობაში არ ნიშნავდა მისი მოღვაწეობის შეუზღუდავ გაფართოებას კუბის ეკონომიკის კერძო სექტორში. ამასთანავე, რევოლუციურმა მთავრობამ პირველსავე დღეებში განაცხადა, რომ იგი ითანამშრომლებს მხოლოდ საშუალო და წვრილ საწარმოებთან. კერძო მონოპოლიები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კანონგარეშედ გამოცხადდა.

1959 წლის 7 თებერვლის კანონით გაუქმდა ყველა მანამდე მიღებული კანონი და განკარგულება, რომლებიც მონოპოლიების ან წარმოებისა და ვაჭრობის ისეთ რეგულირებას ახდენდა, რაც მონოპოლიების შექმნასა და მონოპოლიური კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას იწვევდა. ამ კანონის შესაბამისად რევოლუციურმა მთავრობამ ეროვნულ ინდუსტრიალიზაციისა ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებდა აშშ-ის მონოპოლიების ბატონობის მოსპობას მრეწველობასა და საბანკო საქმეში. შემოღებულ იქნა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია. 1960 წლის აგვისტოში ნაციონალიზებულ იქნა უცხო კაპიტალის ხელში მყოფი ელექტროენერგიისა და ტელეფონის კომპანიები, ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები, 36 უმსხვილესი შაქრის ქარხანა და 26 სხვადასხვა სახის კომპანია. კუბის მთავრობა წინადადებას იძლეოდა ნაციონალიზებული საწარმოების საკუთრება აენაზღაურებინა 30 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდებით და აშშ-ის შაქრის მიყიდვისაგან 25 პროცენტის ოდენობით.

მაგრამ აშშ-ის მთავრობამ უარყო კუბის მთავრობის ეს წინადადე-

ბა და შეწყვიტა შაქრის შესყიდვა და მისთვის ნავთობის მიწოდება. ამის საპასუხოდ კუბის მთავრობამ მოახდინა აშშ-ის ყველა ბანკის ფილიალების ნაციონალიზაცია.

1960 წლის 19 თებერვალს აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კუბაში ექსპორტი მთლიანად შეეწყვიტა, რაც კუბის რესპუბლიკის ეკონომიკური ბლოკადის დაწყებას ნიშნავდა. ამის საპასუხოდ კასტროს მთავრობამ მოახდინა კუბაში არსებული აშშ-ის ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების ნაციონალიზაცია. ამის შედეგად კუბის სახელმწიფოს ხელში გადავიდა ქვეყანაში არსებული აშშ-ის მონოპოლიების მთელი ქონება, რომელიც 1 მლრდ დოლარის საერთო ღირებულებას შეადგენდა.

1959 წლის 17 მაისს მიღებული კანონი აგრარული რეფორმის შესახებ ითვალისწინებდა მემამულეთა ლატიფუნდიების ლიკვიდაციას, საზღვარგარეთის მონოპოლიების მიწის საკუთრების კონფისკაციას და აშშ-ის კაპიტალის განდევნას სოფლის მეურნეობიდან. მიწები, რომლებიც ჩამოერთვათ მემამულეებსა და საზღვარგარეთის მონოპოლიებს, უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს გადაეცათ უფასოდ. ჩამორთმეულ მიწებზე იქმნებოდა გლეხთა წვრილი მეურნეობა და კოოპერატივები. წვრილ გლეხთა მეურნეობის „მინიმალურ სასიცოცხლო" მფლობელობად დაწესდა 2 კაბალიერო მიწა[1].

კანონი ითვალისწინებდა საშუალო გლეხთა მეურნეობის განმტკიცებას და მათთვის 5 კაბალიერო (ე. ი. 67 ჰექტარი) მიწის მფლობელობას აწესებდა. ორივე გლეხთა მეურნეობის, წვრილისა და საშუალოს ხელში იყო მიწების 24,1% და შეადგენდა ქვეყნის კერძო მეურნეობის 89%-ს.

მთავრობამ მსხვილი სოფლის მეურნეობის ფერმები მხოლოდ შეზღუდა იმ მიზნით, რომ არ შემცირებულიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და უზრუნველეყოთ ქალაქი და მრეწველობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და ნედლეულის მომარაგებით. კანონი ლატიფუნდიების მიწის მაქსიმალურ ოდენობად აწესებდა 30 კაბალიეროს, ე. ი. 400 ჰექტარამდე მიწას. ხოლო დანარჩენი უნდა ექსპროპრიირებულიყო. ასეთი კაპიტალისტური ფერმები შეადგენდა ქვეყნის მთელი კერძო ფერმების 2,8%-ს. აგრარული რეფორმით ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო დაშვებული იყო უფრო მსხვილი ფერმების შენარჩუნებაც—100 კაბალიეროს, ე. ი. 1340 ჰექტარის ფართობით, თუ რა თქმა უნდა, იგი ეკონომიკურად

[1] ერთი კაბალიერო უდრის 13,4 ჰექტარს.

მიზანშეწონილი იყო. მაგრამ ასეთი მსხვილი ფერმები რჩებოდა იმ შემთხვევაში, თუ მფლობელები არ იყვნენ ბატისტას მომხრენი და თავი არ ჰქონდათ შერცხვენილი მასთან თანამშრომლობით, მიწა უკანონოდ არ ჰქონდათ შეძენილი და ითანამშრომლებდნენ რევოლუციურ მთავრობასთან. გარდა ამისა, მსხვილ ფერმებს ეძლეოდათ მიწის დამუშავებისას დაქირავებული შრომის გამოყენების უფლება, მაგრამ უკრძალებოდათ მიწის იჯარით გაცემა ან სხვა პირებისათვის გადაცემა.

აგრარული რეფორმის გატარების შედეგად მსხვილ ლატიფუნდიებს ჩამოერთვათ ქვეყნის დასამუშავებელი მიწების 57%. აგრარული რეფორმის გატარება უშუალოდ კანონის გამოცემისთანავე დაიწყო და 1960 წლის დამლევისათვის ძირითადად დამთავრდა, რომლის შედეგად რეაქციის ბატონობის მთავარი დასაყრდენი კუბაში — ლატიფუნდიზმი ლიკვიდირებულ იქნა. სოფლად მოისპო აგრეთვე კერძო შუამავლობა, იჯარის სხვადასხვა ფორმები და სხვადასხვა ნახევრად ფეოდალური გადმონაშთები.

აგრარული რეფორმის გატარების დროს ექსპროპრირებული მიწების ნაწილზე იქმნებოდა სოფლის მეურნეობის კოოპერატივები. სოფლის მეურნეობის საწარმოები და აგრეთვე კომპლექსური მეურნეობები. თავდაპირველად ისინი კოოპერატივების, შემდეგ სახალხო მამულებისა და კოოპერატივების სახელწოდებას ატარებდნენ. ეს მეურნეობები იყო სახელმწიფო სექტორი სოფლად.

აგრარული რეფორმის გატარების შემდეგ სოფლად მეურნეობის შემდეგნაირი სტრუქტურა შეიქმნა: სახელმწიფო სექტორის ხელში იყო ქვეყნის სახნავი და საძოვარი მიწების 41 პროცენტი, წვრილ და საშუალო გლეხთა მეურნეობის ხელში იყო მიწების 39%, ხოლო მიწების 20% კი ეკუთვნოდა დანარჩენ მესაკუთრეებს.

ლატიფუნდიებისა და აშშ-ის მონოპოლიების პოზიციების ლიკვიდაციამ ქვეყნის ეკონომიკაში დიდი შეშფოთება გამოიწვია კუბის სამრეწველო და საავაჭრო ბურჟუაზიულ ფენებს შორის, რომლებიც ერთდროულად მსხვილი კაპიტალისტებიც და მსხვილი მემამულეებიც იყვნენ და. რაც მთავარია, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აშშ-ს მონოპოლიებთან. კუბის ბურჟუაზია თავდაპირველად მთავრობის დეკრეტებს საბოტაჟს უცხადებდა, შემდეგ კი აშკარა ბრძოლაზე გადავიდა. მთავრობის გეგმაში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, თავდაპირველად, გარდა მსხვილი მონოპოლიების ბატონობის ლიკვიდაციისა, არ შედიოდა კერძო მრეწველობის გასახელმწიფოებრივება, მაგრამ

შექმნილმა ვითარებაც აიძულა მთავრობა, 1960 წლის ოქტომბერში მიეღო კანონი მსხვილი ეროვნული კაპიტალის კუთვნილებაში მყოფი 382 საწარმოს, მათ შორის 105 შაქრის ქარხნის ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზებულ იქნა რკინიგზები, ელექტროსადგურები, კერძო ბანკები, მსხვილი მაღაზიები.

ეს ახალი ღონისძიებები, ადრე გატარებულ ღონისძიებებთან ერთად, გამოდიოდა საერთო დემოკრატიული გარდაქმნების ჩარჩოებიდან.

ურთიერთობის გამწვავება აშშ-სა და კუბას შორის

აშშ-ის მონოპოლიების პოზიციების ლიკვიდაციას კუბაში ამერიკის მთავრობამ უპასუხა ძირგამომთხრელი მოქმედებით და აშკარა ძალის გამოყენებით ფ. კასტროს მთავრობის წინააღმდეგ. 1961 წლის იანვარში აშშ-მა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან და შეუდგა ინტერვენციისათვის აშკარა მზადებას. აშშ-ში შეიქმნა კუბის ემიგრანტული მთავრობა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ძირო კორდონას მეთაურობით. ამერიკის ცენტრალური დაზვერვის სამმართველომ შეიმუშავა კუბის წინააღმდეგ ინტერვენციის მოწყობის გეგმა გვატემალასა და ნიკარაგუას ტერიტორიიდან. ამ მიზნით ამ ქვეყნებში თავი მოუყარეს კუბიდან გაქცეულ და განდევნილ ყველა ჯურის პიროვნებას და, შეაიარაღეს რა ისინი თავიდან ფეხებამდე, დაიწყეს მათი ინტენსიური მზადება კუბაში გადასასხმელად.

1961 წლის 15 აპრილს ამერიკის ბომბდამშენებმა, იმ მიზნით, რომ დეშინებინათ და დაძაბული ვითარება შეექმნათ კუბის რესპუბლიკაში, დაბომბეს ჰავანა და სხვა მრავალი ქალაქი, ხოლო 17 აპრილს შეიარაღებული კუბელი ემიგრანტები ამერიკის თვითმფრინავებისა და გემების მეშვეობით გადასხეს პლაია იდარგასა და პლაია ჰირონის ყურეში. 72 საათის გააფრთებული ბრძოლების შემდეგ კუბის ჯარებმა გაანადგურეს მომხდურები. მაგრამ ამ მარცხგმა როდი შეაჩერა აშშ-ი, პირიქით გააძლიერა მათი ბრძოლა ფ. კასტროს რეჟიმის წინააღმდეგ. აშშ-ის კონგრესმა ძალიან გადაწყვეტილება, რომლითაც ამერიკა იმუქრებოდა, რომ იგი იმოქმედებდა ყოველგვარი საშუალებით, თვით იარაღის გამოყენებამდე. აშშ-ის პრესამ გააჩაღა პროპაგანდა კუბის წინააღმდეგ. 1962 წლის იანვარში აშშ-ის წინადადებით მოიწვიეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის თათბირი, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო ამ ორგანიზაციიდან კუბის გარიცხვის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ დიდი დახმარება გაუწია კუბას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. აშშ-ის მთავრობამ კუბას მთელი რიგი

მოთხოვნები წაუყენა, რომლებითაც ცდილობდა შეეზღუდა კუბის თავდაცვის საშუალებები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ომით იმუქრებოდა. 1962 წლის ოქტომბერში აშშ-ის მთავრობამ გამოაცხადა კუბის სამხედრო-საზღვაო ბლოკადა, რაც მის უფლებათა ფარგლებს სცილდებოდა და ამიტომ კონფლიქტმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. შეიქმნა ატომური ომის საშიშროება, მაგრამ საბჭოთა კავშირისა და მაშინდელი სოციალისტური ქვეყნების პოზიციამ და კუბელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ ებრძოლათ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, აიძულა აშშ უკან დაეხია. მაგრამ ეს როდის ნიშნავდა, რომ მან ხელი აიღო კუბელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაზე. აშშ-ის მითითებით 1964 წელს კუბასთან ურთიერთობა გაწყვიტა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანამ, გარდა მექსიკისა.

რევოლუციის გამარჯვების შედეგად ბევრს ეგონა, რომ ქონების განაწილებით კუბაში შეიქმნებოდა „კეთილდღეობის უსაზღვრო წყარო" და დამყარდებოდა სანატრელი ცხოვრება. საყურადღებოა, რომ „26 ივლისის მოძრაობის" პროგრამაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ეკონომიკის განუხრელად ზრდა, „წარმოების პოლიტიკის" რეალიზაცია. აქვე აღნიშნული იყო: „თუ ჩვენ არ განვვითარდებით ეკონომიკურად ჩვენს ახლანდელ რესურსებს საშიშროების ქვეშ დავაყენებთ, რომ შემოსავლის და ქონების გადანაწილება მნიშვნელოვნად ვერ გაზრდის ვერც მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვერც ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს".

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციურმა მთავრობამ პირველივე დღიდან მნიშვნელოვნად გაზარდა ხელფასის მინიმუმი, ცალკეული პროფკავშირები მოითხოვდნენ ამ მინიმუმის შემდგომ ზრდას შრომის ნაყოფიერების აღმავლობის გარეშე, კასტრომ ამის შესახებ განაცხადა: „მე მომიხდა საუბარი შაქრის მრეწველობის მუშაებთან. და იძულებული ვიყავი მათთვის მეთქვა, რომ წინადადება, რომელსაც ისინი წუთების განმავლობაში ტაშს უკრავდნენ, ჩემი შეხედულებით, ეკონომიკური თვალსაზრისით უსაფუძვლოა. არ შეიძლება ეხლა გამოდიოდეს დღეში ოთხსაათიანი სამუშაო დღისა და კვირაში ოთხი სამუშაო დღის მოთხოვნით, როგორც ამას ისინი მოითხოვენ. დღეს ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ, ბევრი ვიმუშაოთ, რომ გადავარჩინოთ რევოლუცია, დავაგროვოთ სიმდიდრე და გამოვიყენოთ იგი, რათა ხალხმა მიიღოს შრომის ნაყოფი"[1].

---

[1] ჟურნ. «Мировая экономика и международные отношения», 1963. № 8, გვ. 39.

§ 18. კუბა 60-80-იან წლებში

სოციალური გარდაქმნები

1962—1963 წლებში გატარდა რიგი ღონისძიებანი კერძო კაპიტალისტური სექტორის შეზღუდვისა და აკრძალვისათვის საშინაო ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში. 1962 წლის დეკემბრის კანონით ნაციონალიზებულ იქნა 5 ათასზე მეტი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქავეულობის და პირადი მოხმარების საგნების საცალო ვაჭრობის დაწესებულებები. 1963 წლის ოქტომბრის კანონით ნაციონალიზებულ იქნა ისეთი კულაკურ-კაპიტალისტური მეურნეობა, რომლის მიწის ფართობი 5 კაბალიეროს (67 ჰექტარს) აღემატებოდა. ასეთი მეურნეობის ხელში თავმოყრილი იყო ქვეყნის მსხვილფეხა საქონელი და 2 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც სახალხო მამულებად გარდაიქმნა. ეს კანონი ამდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას მეორე აგრარული რეფორმა უწოდეს. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზია ლიკვიდირებულ იქნა, მაგრამ შემდეგ თავი იჩინა სიძნელეებმა ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში.

1968 წელს მოხდა წვრილი საცალო ვაჭრობისა და კუსტარული მრეწველობის ნაციონალიზაცია. აღნიშნული ღონისძიების გატარების შედეგად სახელმწიფო სექტორმა წარმოებისა და გაცვლის ყველა სფეროში — მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე. საშინაო და საგარეო ვაჭრობასა და მოხმარების სფეროში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

რევოლუციურმა მთავრობამ გარდამავალ პერიოდში ორი ეკონომიკური პრობლემიდან: „გადანაწილების პოლიტიკა“ თუ „წარმოების პოლიტიკა“, უკანასკნელი გზა აირჩია. მაგრამ ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა მეთოდებმა შეფერხებები გამოიწვია მოსახლეობის მომარაგებაში.

1959—1963 წლებში კუბის რევოლუციურმა მთავრობამ აიღო ქვეყნის ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის კურსი, რომელიც იმ ეტაპზე აღემატებოდა ქვეყნის შესაძლებლობას. 1963 წლის ბოლოს კუბის მთავრობამ გადასინჯა განვითარების ეს გზა და დაადგა რეალურ-ტრადიციული დარგების განვითარების გზას. ქვეყნის პირობების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე, 1963 წელს შემუშავდა

ეკონომიკური განვითარების პროგრამა უახლოეს 10—15 წლისათვის. რომლის მთავარი მიზანი იყო შაქრის ლერწმისა და მეცხოველეობის პროდუქციის განვითარება. ამასთან დაკავშირებით კასტრომ განაცხადა „ამ ათწლეულსა და შესაძლებელია მომავალშიც კუბის ეკონომიკის ბაზად დარჩება სოფლის მეურნეობა... ჩვენ პირველ რიგში განვავითარებთ შაქრის ლერწმის წარმოებას, შემდეგ კი მეცხოველეობას. ამის შესაბამისად უნდა განვითარდეს ქიმიური სასუქების წარმოება და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა"[1].

ინდუსტრიალიზაციის ასეთი გზა ნიშნავდა მთელი სახალხო მეურნეობის მსხვილ მანქანურ წარმოებაზე გადასვლას. იგი უნდა დაეწყოთ არა დარგობრივი მრეწველობის შექმნით, არამედ სოფლის მეურნეობის წარმოებაში თანამედროვე ტექნიკის დანერგვით.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ასეთი გზა განაპირობა შემდეგმა ურთიერთდამაკავშირებელმა ფაქტორებმა. სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკის ძირითად და გადამწყვეტ დარგს, სადაც თავმოყრილი იყო მუშათა კლასის და ტექნიკური დარგების ძირითადი მასა: ქვეყანაში არსებობდა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. ამ დარგში სახელმწიფო სექტორს ეკავა გაბატონებული მდგომარეობა. ამიტომ სახელმწიფო თვითონ წარმართა მისი განვითარება. ვიდრე სოციალისტური სისტემა არსებობდა კუბას მუდმივი და მყარი ბაზარი გააჩნდა თავისი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებისათვის და ქვეყნისათვის და ქვეყნისათვის საჭირო სამრეწველო საქონლის მისაღებად.

1964 წელს შემუშავდა შაქრის წარმოების განვითარების გეგმა 1965—1970 წლებისათვის. იგი ითვალისწინებდა შაქრის წარმოების და მისი ექსპორტის მოცულობის ზრდას. ნათესების გაფართოებას, ლერწმის ხარისხის გაუმჯობესებას, სასუქების გამოყენებას, სარწყავი სისტემის შექმნას და შაქრის ქარხნების სიმძლავრის აღმავლობას. ხუთწლიანი (1965—1970 წწ.) და 10—15 წლიანი გეგმები ითვალისწინებდნენ იმ დარგების განვითარებას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყო შაქრის წარმოებასთან, კერძოდ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ქიმიურის, სოფლის მეურნეობის ტექნიკის, ჰიდრომშენებლობისა და სხვათა აღმავლობას. ამ მიზნებს ისახავდა ელექტროენერგეტიკული მრეწველობის (1964—1971 წწ.) და ცემენტის წარმოების (1965—1970 წწ.) განვითარების გეგმები.

---

[1] ჟურნ. «Мировая экономика и международные отношения», 1963, № 8, გვ. 39.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის განვითარების კურსი, ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა პირველი ნაბიჯებიდანვე ნიშნავდა არა მარტო შაქრის წარმოებასა და სოფლის მეურნეობის მთლიან ან ცალკეული მისი დარგების ზრდას, არამედ მრეწველობის საერთოდ მნიშვნელოვან განვითარებას, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

ამ საქმეში კუბის რესპუბლიკა დიდ დახმარებას და მხარდაჭერას პოულობდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან. მაგალითად 1959—1970 წლებში კუბამ სოციალისტურ ქვეყნებში შეიძინა 60 ათასი ტრაქტორი, 8 ათასზე მეტი ავტოსატვირთავი, მრავალი თვითმფრინავი და სხვა ტექნიკა სოფლის მეურნეობისათვის.

ძლიერი ტექნიკის მეშვეობით კუბამ მოკლე პერიოდში შეძლო დიდი სამუშაოები ჩაეტარებინა მიწის გაწმენდისა და ახალი სათესი ფართობის ათვისებისათვის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისა, გზების გაყვანისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის.

მიწის გაწმენდის შედეგად ადრე უვარგისი ნაკვეთები სათეს ფართობად იქცა. 1968 წლისათვის 100 ათასი კაბალიეროს რაოდენობის ახალი სათესი ფართობი აითვისეს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისათვის.

მნიშვნელოვანი წარმატებებია ჰიდრომშენებლობაში. 1972 წელს წყალსაცავების მოცულობამ მიაღწია 3,0 მლრდ კუბურ მეტრს. ეს დაახლოებით 100-ჯერ მეტია იმ წყალსაცავთა მოცულობასთან შედარებით, რომელიც 1958 წლისათვის არსებობდა კუბაში. 1972 წლისათვის სარწყავი ფართობი უკვე შეადგენდა 600 ათას ჰექტარს, რაც 3.5-ჯერ მეტია, ვიდრე 1959 წელს იყო.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კუბამ სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში. მიუხედავად იმისა, რომ შაქრის ლერწმის წარმოება ყველაზე რთული დარგია მექანიზაციის საქმისათვის, აქაც მნიშვნელოვანი წარმატებები აღინიშნა, მაგალითად შაქრის ლერწმის დატვირთვის მექანიზაციაში. 1967 წლისათვის თუ მექანიზებული იყო სამუშაოების 53%, 1973 წლის ბოლოსათვის მან 100% მიაღწია.

მთლიანად მექანიზებულია ბრინჯის წარმოება. ბრინჯი მოსახლეობის ძირითად საკვებს წარმოადგენს. მის შემოტანაზე სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს. მაგალითად. 1968 წელს ბრინჯის შემოტანაზე დაიხარჯა 34,7 მლნ პესო[1]. ამიტომ მთავრობამ დიდი ყუ-

---

[1] ათი პესო უდრის 90 კაპიკს.

რადღება დაუთმო ბრინჯის წარმოების ზრდას. 1968 წელს წარმოებული იქნა 68,4 ათასი ტ. ბრინჯი, 1971 წელს კი—75,2 ათასი ტონა.

დიდი წარმატებები აღინიშნა მეცხოველეობის, მეფრინველეობის, თამბაქოს და კარტოფილის წარმოების მექანიზაციაში.

შედარებით რთულია მდგომარეობა შაქრის ლერწმის მოჩეხვის მექანიზაციის საქმეში, სადაც ხელით სამუშაოებზე დაკავებულია 100 ათასობით ადამიანი. ამ საქმის მექანიზებაზე მუშაობდნენ საბჭოთა და კუბელი ინჟინრები. 1975 წლისათვის დაგეგმილი იყო ამ სახის მუშაობის მექანიზმების 40%.

შაქრის წარმოების მნიშვნელოვანი სამუშაოების მექანიზაციისა და ახალი მიწების ათვისების შედეგად მკვეთრად გაიზარდა შაქრის წარმოება. მაგალითად, 1965 წლისათვის მისი წარმოება შეადგენდა 6,5 მლნ ტონას, რაც 55%-ით მეტი იყო, ვიდრე 1963 წელს, ხოლო 1970 წელს ამ რიცხვმა 8,5 მლნ ტონას მიაღწია, რაც რეკორდული იყო ქვეყნის ისტორიის მანძილზე. მთლიანად სოფლის მეურნეობის წარმოება 1966 წლიდან 1970 წლამდე გაიზარდა 1,3-ჯერ, აქედან ბრინჯის წარმოება 4-ჯერ, კვერცხის—5-ჯერ, თევზის რეწვა—7-ჯერ და ა. შ.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მძიმე მრეწველობაში. მაგალითად, 1971 წლისათვის წინა წელთან შედარებით მრეწველობის მოცულობა გაიზარდა 18%-ით, მსუბუქ მრეწველობაში შესაბამისად 20%-ით. შემდგომი ზრდა აღინიშნა შაქრის მრეწველობაშიც 1965—1970 წწ. მოდერნიზაციისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის შედეგად შაქრის ქარხნების საერთო სიმძლავრე 25%-ით გაიზარდა. დიდია წარმატებები ელექტროენერგიის წარმოებაში. 1958 წელს იგი შეადგენდა 1795 მლნ კვტ საათს, ხოლო 1972 წელს 4212 მლნ კვტ საათამდე გაიზარდა.

1972 წლისათვის კუბის ისტორიაში ცემენტის წარმოებამ პირველად მიაღწია 2 მლნ ტონას. სწრაფად ვითარდება საამშენებლო, ქიმიური, ნიკელის მრეწველობა, ფოლადის და სოფლის მეურნეობის მანქანების წარმოება.

1975 წლისათვის სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობის ზრდა დაგეგმილი იყო 1.33—1.40-ჯერ. 1971—1975 წლებში შაქრის წარმოება მნიშვნელოვნად დაეცა, რაც ეამოწვეული იყო არახელსაყრელი კლიმატური პირობებით. მართალია, 1972 წელს წარმოებულ იქნა 4,5 მლნ ტონა, 1973 წელს 5,3 მლნ ტონა შაქარი, მაგრამ 1970 წელთან შედარებით მაინც ნაკლები იყო. ცუდმა ამინდმა უარყოფითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებაზეც, რის გამოც მოსახლეობის მომარაგება კვების

პროდუქტებით და ფართო მოხმარების საგნებით ნორმირებული გახდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება ბრინჯით. 1970 წლის აპრილიდან ერთ სულზე ბრინჯის გაცემა ყოველთვიურად 4-დან 6 გირვანქამდე გაიზარდა. ამავე წელს ნორმაზე მეტს აძლევდნენ ახალ თევზს და კვერცხს, მაგრამ შემცირდა მოსახლეობის მომარაგება ბოსტნეულით, ხილით, ხორცით, ქონით, ლობიოთი და სხვა პროდუქტებით. დაწესდა ნორმები თამბაქოს გაცემაზე. არასაკმარისი იყო მზა ტანსაცმლის, თეთრეულის, ქსოვილების, ფეხსაცმლის და სხვა წარმოება. მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა და ეკონომიკის მთავრობის მიერ რეგულირების კურსმა არც კუბაში არ გაამართლა და დაძაბულობა შექმნა სურსათით მომარაგებაში.

კუბაში გაბატონებული ტენდენცია იყო მატერიალური სტიმულირების უარყოფა. მაგრამ ეს მცდარი ტენდენცია ყრილობაზე გამოსვლისას კასტრომ დაგმო და განაცხადა: „პრინციპი თითოეულს თავისი უნარისა და თავისი შრომის მიხედვით სოციალიზმის აუცილებელი კანონია". თუ ადრე ხორციელდებოდა სწრაფი ფორსირებული განვითარება, რომელიც ხშირად, როგორც კასტრომ აღნიშნა, „კუბის შესაძლებლობებს აღემატებოდა და თან ახლდა გარკვეული შეცდომები, შემდეგში ჩვენ გვიხდებოდა ამ შეცდომების გამოსწორება[1]". ამ ბოლო დროს კუბაში მეტ ყურადღებას უთმობენ შრომის მიხედვით ანაზღაურების პრინციპს.

1971 წლის მარტში მიიღეს კანონი, რომელიც სავალდებულოს ხდიდა შრომის უნარიანთა სახალხო მეურნეობაში ჩაბმას. ვინც შრომას თავს აარიდებდა. მათ წინააღმდეგ მკაცრი ღონისძიებები ტარდებოდა („კანონი უსაქმურობის წინააღმდეგ ბრძოლისა"). ამ კანონის საფუძველზე წარმოებაში 100 ათასზე მეტი კაცი ჩაეგება, რომლებიც ადრე არ მუშაობდნენ. სამუშაო ძალების უკეთ მობილიზაციის მიზნით 14 წლის ასაკს მიღწეულნი აღრიცხვაზე აჰყავდათ. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გამოჯანსაღების შემდეგ შესაძლებელი გახდა მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ზოგიერთი ფორმის შემოღება. შემცირდა საზოგადოებრივი მოხმარების ფონდის გადაჭარბებული ზრდა და უფასო მატერიალური და კულტურული დახმარების გაცემა. ფინანსური ურთიერთობის გამოსწორების მიზნით 1972 წელს ბრუნვიდან ამოიღეს ზედმეტ- ფული, რის შედეგად იგი 600 მლნი პესოთი შემცირდა.

---

[1] შემოიღეს პრინციპები: „ყველასაგან უნარისა—ყველას შ-ომის მიხედვით, ხელფასის გაცემის დამოკიდებულება სამუშაო ნორმების შესრულებაზე. საზოგანაკეთო მუშაობის ანაზღაურება და ა. შ.

სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა მინისტრთა საბჭოს რეორგანიზაცია. 1972 წელს შეიქმნა მინისტრთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს მეთაურობით. აღმასრულებელ კომიტეტში შევიდნენ პრეზიდენტი ოსვალდოს დორტიკოსი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრ: რაულ კასტრო და პრემიერ მინისტრის შვიდი მოადგილე, ხოლო მინისტრთა საბჭოში 27 სამინისტროსა და უწყებების ხელმძღვანელი. ამაღლდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების როლი. 1973 წლის თებერვალში გაფართოვდა კუბის კომპარტიის ცკ-ის სამდივნო, მიღებულ იქნა ზომები ცკ-ის აპარატის და სხვა პარტიული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების განაწილებას.

1973 წელს ძალაში შევიდა კანონი „ეროვნული ეკონომიკის წინააღმდეგ დანაშაულობის შესახებ“, რომლითაც ცრუ ინფორმაციისათვის წარმოებაში ტექნიკის მდგომარეობის, გეგმის შესრულების, შრომისა და ტექნიკის უშიშროების დარღვევისათვის სასჯელი დაწესდა, ხოლო მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა.

1971—1975 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა კუბელმა ხალხმა წარმატებით შეასრულა. ხუთწლედში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ შეადგენდა 10%-ზე მეტს. 1966—1970 წწ. კი—მხოლოდ 3,9%.

1974 წლის 1 იანვარს კუბამ საზეიმოდ აღნიშნა რევოლუციის გამარჯვების 15 წლისთავი და 1974 წელს კუბაში, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, „თხუთმეტი წლისთავის წელი“ ეწოდა. ამ წლის დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ პარტიული, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, კუბის საერთაშორისო პოზიციები განმტკიცდა, მისი მჭიდრო კავშირი საბჭოთა კავშირთან უფრო გაძლიერდა. სსრკ-ას ასეთი კავშირი კუბასთან ყოველწლიურად 4 მილიარდი დოლარი უჯდებოდა.

კუბის კომპარტიის ჩამოყალიბება

კუბის რევოლუციის განვითარების პროცესში შეიქმნა ქვეყნის რევოლუციური ძალების ერთობა. ეს ერთობა თავდაპირველად გამოიხატებოდა სამი ძირითადი რევოლუციური ორგანიზაციის—„26 ივლისის მოძრაობის“, სახალხო სოციალისტური პარტიის და „13

მარტის რევოლუციური დირექტორატის"[1]—სტუდენტთა რევოლუციური ორგანიზაციის ერთობლივ მოქმედებაში. შემდეგ ეს სამი რევოლუციური ორგანიზაცია გაერთიანდა და შექმნა კუბის გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაცია, რომელმაც 1963 წელს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის სახელწოდება მიიღო, ხოლო 1965 წ. კი კუბის კომუნისტური პარტიისა, რომლის ცკ-ის პირველი მდივანი გახდა ფ. კასტრო. ამ დროს კომპარტია აერთიანებდა 50 ათას წევრს, ხოლო ამ პარტიის I ყრილობაზე, რომელიც 1975 წლის 17—22 დეკემბერში შედგა კომპარტია თავის რიგებში 203 ათას კაცს, 1985 წლისათვის კი 0,5 მლნ წევრს აერთიანებდა. კუბის კომპარტია ერთადერთი მმართველი პარტიაა ქვეყნისა. კომპარტიის I ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში განსაზღვრულია პარტიისა და ხალხის ძირითადი ამოცანები, ხოლო საზოგადოების მშენებლობაში კუბის კონკრეტული პირობების საერთაშორისო ვითარებისა ფაქტობრივად კი სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების გამოყენების გზით. ყრილობამ მიიღო პარტიის წესდება, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე. მასში დაფიქსირებულია, რომ პარტიის ყრილობები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ჩატარდება, პლენუმები კი—არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ. ყრილობამ ცკ-ში აირჩია 112 წევრი და 12 კანდიდატი. პოლიტბიუროში 13 კაცი აირჩიეს, პირველ მდივნად კი—ფ. კასტრო.

გამოცხადდა, რომ ყრილობამ მოიწონა კუბის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც იურიდიულად ამტკიცებს კუბის სახელმწიფოს სოციალისტურ ხასიათს, ეს პროექტი 1976 წლის თებერვალში ფორმალურად ჩატარებულმა რეფერენდუმმა დაამტკიცა და 24 თებერვლიდან ძალაში შევიდა. კონსტიტუციამ კუბის რესპუბლიკა მუშების, გლეხებისა და მთელი მშრომელების სოციალისტურ სახელმწიფოდ გამოაცხადა. კონსტიტუცია კომუნისტურ პარტიას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალად აცხადებს. კონსტიტუცია მოქალაქეებს გარანტიას აძლევს შრომაზე, დასვენებაზე, განათლებაზე, სოციალურ დაზღვევაზე, უფასო სამედიცინო დახმარებაზე და ა. შ.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ კონსტიტუციამ დააკანონა სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეა, რომელსაც ხუთი წლის ვადით ირჩევენ. ეროვნული ასამბლეა ირჩევს სახელმწიფო საბჭოს, რომლის თავმჯდომარე ერთდროულად სახელმწიფოს

---

[1] ეს სახელწოდება წარმოდგა პრეზიდენტის სასახლეზე 1957 წლის 13 მარტს. ახალგაზრდა პატრიოტთა თავდასხმის აღსანიშნავად.

და მთავრობის მეთაურია, ამ თანამდებობაზე აირჩიეს ფ. კასტრო. პრეზიდენტის თანამდებობა გაუქმდა. პრეზიდენტი ო. დორტიკოსი გადადგა. ამრიგად, კონსტიტუციით, ფაქტობრივად, ფ. კასტროს ერთპიროვნული დიქტატურა დამყარდა.

ყრილობამ დაამტკიცა 1976—1980 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდუსტრიალიზაციის ტემპების გაზრდას, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. საერთო ეროვნული პროდუქტი ყოველწლიურად წელიწადში საშუალოდ 6%-ით გაიზრდება.

1979 წლის 1 იანვარს კუბელმა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა კუბის რესპუბლიკის 20 წლისთავი, ოცი წლის განმავლობაში კუბელმა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია საწარმოო ძალების განვითარებაში. განვლილ პერიოდში საერთო საზოგადოებრივი პროდუქტი 250%-ით გაიზარდა (მოსახლეობა 45%-ით—1958 წ. 6,7 მლნ მცხოვრები იყო, 1979 წ. 9,8 მლნ. 1985 წ.—10,15 მლნ მცხოვრები).

1980 წ. დეკემბერში შედგა კუბის კომპარტიის II ყრილობა, რომელმაც შეაჯამა პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგები, რომლის შესრულება მნიშვნელოვნად გართულდა მთელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების გამო. მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზე კუბის ძირითად საექსპორტო საქონელზე ფასები შაქარზე და კალაზე მკვეთრად დაეცა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საგალუტო-ფინანსურ მდგომარეობაზე. სამხედრო საშიშროება აშშ-ის მხრივ და საერთაშორისო დაძაბული ვითარება, აიძულებდა კუბას სულ უფრო მეტი სამხედრო ხარჯები, მატერიალური და შრომითი რესურსები გაეღო თავდაცვითუნარიანობის ამაღლების მიზნით. ამერიკამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკური ბლოკადა კუბის მიმართ. ამას ზედ დაერთო არახელსაყრელი ამინდები (ციკლონები. წყალდიდობა დასავლეთის პროვინციებში). მიუხედავად ამისა I ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლები შესრულდა. 1981 წელს შაქრის წარმოება შეადგენდა 7.4 მლნ. ტ. (1970 წ. რეკორდული მოსავალი—იყო 8,5 მლნ. ტ.). საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 6,4%-ით.

კომპარტიის II ყრილობაზე მიღებულ იქნა II ხუთწლიანი გეგმა (1981—1985 წწ.), რომელიც ითვალისწინებდა საერთო საზოგადოებრივი პროდუქტის ყოველწლიურად 2,5 პროცენტით გაზრდას.

კუბაში დამკვიდრებული ტრადიციის საფუძველზე 1983 წელი გამოცხადდა „მონკადის ყაზარმაზე იერიშის 30 წლისთავად", 1984 წელი „რევოლუციის გამარჯვების 25 წლისთავად. 25 წლის განმავლობაში (1959—1984 წწ.) საერთო ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპები ყოველწლიურად საშუალოდ შეადგენდა 4,7%. ამ ხნის გან-

მავლობში კუბაში ააგეს 1100 სამრეწველო, 2700 სოფლის მეურნეობის ობიექტი, 150 მსხვილი სამედიცინო და 1700 საერთო საგანმანათლებლო დაწესებულება.

მეორე ხუთწლიანი გეგმა კუბაში წარმატებით განხორციელდა, საერთო საზოგადოებრივი პროდუქტი ხუთწლედში 70%-ით გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად შრომის ნაყოფიერების გაზრდის შედეგადაა მიღწეული, რომელიც 42% გაიზარდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 51%. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ყოველწლიური ზრდა შაქრის გარეშე შეადგენდა 3,8%. საგარეო ვაჭრობის მოცულობა ხუთწლედში 65% გაიზარდა ექსპორტი კი— 58%-ით. ერთვიური საშუალო ხელფასი 269% გაიზარდა. ამასთანავე იყო მრავალი ნაკლოვანებანი და შეცდომა. კუბის კომპარტიის III ყრილობაზე (1986 წ ოქტომბერვალში) ფ. კასტრომ შემდეგ ნაკლოვანებებზე მიუთითა: ტრადიციული საქონლის ექსპორტის სიძნელეებზე კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტურ ქვეყნებთან დადებული კონტაქტების შეუსრულებლობა ზოგიერთი საქონლის მიწოდებაში, ეკონომიკური განვითარების დაგეგმისას კომპლექსური მიდგომის გაუთვალისწინებლობა და განსაკუთრებით—ინვენსტიციური პროცესის განხორციელებისას, ტრანსპორტის მუშაობაში არა საკმარისი ეფექტურობა. აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ შაქრის მრეწველობაში განვითარება შესაძლებლობაზე დაბალი იყო, თუ გავითვალისწინებთ აქ ამ მიზნით დაბანდებული კაპიტალის რაოდენობას (1985 წ. წარმოებულ იქნა 8 მლნ. ტ., 1984 წ. კი—8,2 მლნ. ტ.). შაქრის ლერწმის მოსავლის მექანიზებული აღების შედეგად მჩეხავების (მაჩეტოროსების) რიცხვი 72 ათასამდე შემცირდა (1980 წ. იყო—138 ათასი). მწყობრში ჩადგა 66 სამრეწველო ობიექტი. სახელმწიფოს მიერ აგებულ იქნა 28 ათასი ბინა, მოსახლეობამ კი ააგო—48 ათასი ბინა.

კულტურული რევოლუცია

რევოლუციამდელ კუბაში განათლების და აღზრდის სისტემა სოციალურ უთანასწორობაზე და რასობრივ დისკრიმინაციაზე იყო დაფუძნებული. პრივილეგიურ კლასებს თავისი საკუთარი სასწავლებლები ჰქონდათ, სადაც კარები ჩაკეტილი იყო დაბალი კლასის წარმომადგენლებისათვის. იყო სკოლები დაბალი ფენებისათვის, მაგრამ ძალზე მცირე ბიუჯეტით. საკლასო ოთახების დიდი ნაკლოვანებებისა და მოსახლეობის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო 800 ათასამდე ბავშვი განათლების გარეშე რჩებოდა. ახალგაზრდობის 85% ვერ შედიოდა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ეს მაშინ,

როდესაც ქვეყანაში 9 ათასი უმუშევარი მასწავლებელი იყო, მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა რევოლუციის შემდეგ.

ფ. კასტროს მთავრობამ არსებობის პირველ დღიდანვე ძირფესვიანად შეცვალა სახალხო განათლების სისტემა. გაუქმდა ბურჟუაზიული კერძო სკოლები და რელიგიური სასწავლებლები. 1961 წელს ქვეყანაში დიდი კამპანია გაჩაღდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და განათლების ფართო ქსელის შესაქმნელად, რის შედეგად ერთი წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მოისპო. განათლების ქსელის გაფართოებისათვის დიდი საამშენებლო სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ ეს დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ. რევოლუციურმა მთავრობამ სკოლებისათვის დროებით დაიკავა სამხედრო დასახლებები, ყაზარმები, პოლიციის შენობები, ადვილობრივი და საზღვარგარეთის კაპიტალისტებისა და ლატიფუნდიის მფლობელთა სასახლეები, რეზიდენციები და ა. შ. მასობრივი კამპანია გატარდა საყოველთაო ექვსწლიანი და ტექნიკური განათლების განხორციელებისათვის. შეიქმნა მუშურ-გლეხური ფაკულტეტები, გატარდა განათლების რეფორმა უნივერსიტეტებში, დაწესდა უფასო დაწყებითი სავალდებულო სწავლება, სადაც განათლებას, კვებას, ტანსაცმელს, წიგნებს, ბინას, მედიკამენტებს ბავშვები უფასოდ ღებულობდნენ. 1973 წლისათვის სხვადასხვა სახის სასწავლებლებში 2690 ათასი ახალგაზრდა ირიცხებოდა. ეროვნული შემოსავლის 7% იხარჯებოდა განათლების საქმეზე.

1970 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნებში განათლების საქმეს ბიუჯეტის 0.8% ხმარდებოდა. 70-იანი წლების დამდეგისათვის ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ფართო გავრცელება ჰპოვა ახალი ტიპის სკოლების შექმნამ—ინტერნატებისა და ნახევრად ინტერნატების სახით, სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებლით. ასეთი ტიპის სკოლებში 1973 წლისათვის სწავლობდა ნახევარმილიონამდე მოსწავლე. ინტერნატებში სწავლა და საწარმოო პრაქტიკა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. 1972—1975 წლების პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებდა 300 საშუალო სკოლა-ინტერნატისა და 500 დაწყებითი სკოლის გახსნას. გეგმის ძირითადი ნაწილი შესრულდა. მარტო 1972/73 სასწავლო წელს სოფლის რაიონებში გაიხსნა 40 ახალი საშუალო სკოლა-ინტერნატი, სადაც 20 ათასი მოსწავლე სწავლობს. 1972 წლის აპრილში ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის II ყრილობაზე კასტრომ აღნიშნა, რომ 1975 წელს საშუალო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 300 ათასით გაიზრდება, 1980 წელს კი 1 მლნ-მდე.

მომავალი 10—15 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო სკოლა-ინტერნატების ახალი ქსელის გახსნა, რომელმაც მოიცვა ქვეყნის მთელი მოზარდი თაობა. უმაღლესი განათლების მთავარი მიზანი გახდა სპეციალისტების მომზადება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 1968/69 სასწავლო წელს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გამოშვება გაიზარდა 2-ჯერ ინჟინერ-მექანიკოსებისა 5-ჯერ, ინჟინერ-ქიმიკოსებისა—2,5-ჯერ, სამთო ინჟინრებისა—9-ჯერ.

სახალხო განათლებაში კუბელ ხალხს დიდ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა კავშირი და ყოფილი სოციალისტური ქვეყნები. საბჭოთა კავშირის დახმარებით ჰავანაში აშენდა საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის სახელობის მანქანათმშენებლობის ცენტრი, ოლგინში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ცენტრი, ორიენტეს პროვინციაში ვ. ი. ლენინის სახ. სამთამადნო მრეწველობის ცენტრი. ამ სასწავლებლის მიერ გამოშვებულთა რიცხვი აღწევს ორი ათას კაცს. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის რიგი დარგების სწრაფმა განვითარებამ ქვეყანაში გამოიწვია კვალიფიციური და არა კვალიფიციური მუშახელის მწვავე ნაკლებობა. კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ქვეყნის სპეციალისტების დიდი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა.

კადრების პრობლემის გადაწყვეტა კულტურული რევოლუციის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი გადაწყვეტის პირველი ნაბიჯი გახდა წერა-კითხვის უცოდინარობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია. შეიქმნა სპეციალური სკოლები და ტექნიკუმები, სადაც მზადდებოდა სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სასწავლებლად ათასობით ახალგაზრდა გაიგზავნა სოციალისტურ ქვეყნებში, ხოლო ამ ქვეყნებიდან მრავალი სპეციალისტი მიიწვიეს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კადრების საკითხის თანდათანობით გადაწყვეტას. მუშახელის „შიმშილის" გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა შრომაში ქალების მასობრივად ჩაბმამ. ქალები კი კუბაში მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს. რევოლუციამდელ კუბაში ქალი უუფლებო ცხოვრებას მოწყვეტილი იყო და სიღატაკეში ცხოვრობდა. ქალის ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ და საწარმოო მოღვაწეობაში, მარტო რევოლუციის პოლიტიკური და მორალური პრინციპების განხორციელების მიზნით კი არ ხდებოდა, იგი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დამატებითი ძალის ეკონომიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა. მამაკაცები ბევრ ისეთ ადგილას მუშაობდნენ, რომლის სამუშაოს შესრულება ქალსაც

შეეძლო. ქვეყანაში კამპანია გაიშალა, რათა სადაც შესაძლებელი იყო მამაკაცის შრომა ქალის შრომით შეცვლილიყო. ქალის ქვეყნის ცხოვრებაში ჩაბმის საქმეში დიდი როლი შეასრულა კუბის ქალთა ფედერაციამ. 1972 წლისათვის წარმოების სფეროში უკვე ჩაება 500 ათასი ქალი.

მნიშვნელოვანია მიღწევები ეროვნული კულტურის განვითარებაში. წიგნი რევოლუციამდელ კუბაში წელიწადში გამოდიოდა 1,5 მლნ ტირაჟით, რომლის წაკითხვა, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, არ შეეძლო მოსახლეობის ერთ მესამედს. 1972 წლისათვის წიგნების საერთო ტირაჟმა მიაღწია 16 მლნ-ს, რომელთაგან 75% სახელმძღვანელო იყო, რაც ნათლად მეტყველებს საყოველთაო სწავლა-განათლების მკვეთრ გარდატეხაზე. რევოლუციური მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი რევოლუციის შემდეგ 10-ჯერ გაიზარდა. ექიმის დიპლომი მიიღო 5,5 ათასმა კაცმა, ამ დროს სამედიცინო სასწავლებლებში სწავლობდა 15 ათასი კაცი. სამედიცინო კადრებს უპირველეს ყოვლისა სოფლად გზავნიან. 1972 წლისათვის ექვაღლესი და საშუალო სამედიცინო კადრი კუბაში 88 ათას კაცს შეადგენდა, რაც 11-ჯერ მეტი იყო ვიდრე რევოლუციამდე. ბევრად გაიზარდა საავადმყოფოების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები.

70—80-იან წლებში სწავლების სხვადასხვა ფორმაში ჩაება 3,2 მლნ კაცი. აქედან სახელმწიფოს მთლიან უზრუნველყოფაზე ინტერნატებში იყო 543 ათასი მოსწავლე. ქვეყანაში 240 ათასი სტუდენტი იყო. ჯანმრთელობის დარგში კუბამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ მაჩვენებლებს 2000 წლამდე, ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა 5-ზე მეტი საავადმყოფოს საწოლი, ყოველ 443 კაცზე—ერთი ექიმი.

კუბის კომპარტიის III ყრილობამ მიიღო მესამე ხუთწლიანი გეგმა (1986—1990 წწ.) და პერსპექტიული გეგმა 2000 წლამდე. აღინიშნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსის შემდგომი გაგრძელების აუცილებლობა და ყურადღება გაამახვილეს მრეწველობის იმ დარგების განვითარებაზე, რომელნიც ექსპორტზეა ორიენტირებული

ყრილობამ განიხილა კუბის კომპარტიის პროგრამის პროექტი. შესწორება შეიტანა 114 პუნქტში და დაამატა 16 ახალი პუნქტი. რომლებიც ყრილობამ დაამტკიცა 1986 წლის 2 დეკემბერს. შესწორებები შეიტანეს წესდებაშიც. ცკ-ის პირველ მდივნად კვლავ ფ. კასტრო აირჩიეს.

ქვეყანაში გაიშალა ბრძოლა იმ არახელსაყრელი ნეგატიური მოვლენებისა და შეცდომების დასაძლევად, რომელიც შეიქმნა სახალხო მეურნეობაში და დაისახა ღონისძიებები. „კუბის სახელმწიფოს საერთაშორისო მოღვაწეობაში,—ხაზი გაუსვა ფ. კასტრომ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში საბჭოთა კავშირთან მეტად ხელსაყრელ ურთიერთობაზე. — დიდი პრიორიტეტი ეძლევა და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას. ეს სანიმუშო ურთიერთობა არა მარტო მუდმივ პოლიტიკურ მხარდაჭერაში და სამხედრო დახმარების გაწევაში ვლინდება, რომელიც უსრუნველყოფს კუბის დაცვას, არამედ, როგორც არა ერთხელ აღნიშნა, იმაშიც რომ სარ კავშირმა კუბასთან ისეთი ეკონომიკურ ურთიერთობას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესი, რომელიც პასუხობს მსოფლიოს სუსტად განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებს“.

1987 წლისათვის, ე. ი. 30 წლის განმავლობაში კუბაში, რევოლუციამდელ დონესთან შედარებით, ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 7-ჯერ, ფოლადის წარმოება 17-ჯერ, ნიკელისა—2-ჯერ, ცემენტისა 5-ჯერ, ციტრუსების მოსავალი—13-ჯერ, ბრინჯისა—3-ჯერ, კვერცხისა—8-ჯერ, თევზჭერა—1-ჯერ. შეიქმნა ახალი დარგები—მანქანათმშენებლობის და ელექტრონიკისა. ქვეყანაში კვლავ გრძელდება ინდუსტრიალიზაციის განხორციელება—ძირითადად იმ დარგებისა, რომელნიც საქონლის იმპორტის შემცვლელი იქნება. ახლა უკვე სათადარიგო ნაწილების 45% ქვეყნის შიგნით მზადდება. კუბაში უმჯობესდება ელექტრო-გამოთვლითი ტექნიკის კომპონენტების წარმოება. ფართოვდება ფერადი ტელევიზორების გამოშვება. 1988 წლის პირველ ნახევარში დაიწყო საკუთარი წარმოების ფერადი ტელევიზორების გამოშვება საბჭოთა კომპონენტების იმპორტის ბაზაზე. გაუმჯობესების ტენდენცია დაეტყო სოფლის მეურნეობასაც. სადაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ე .ი. 1984—1988 წლებში ხელსაყრელი ამინდი იყო მოსავლისათვის. რამაც კარგი პირობები შექმნა მაღალი მოსავლის მიღებისათვის. ბოსტნეულის მოსავლიანობა 80 პროცენტით გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, ბრინჯისა—26, თამბაქოსი—39 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ციტრუსების მოსავალი.

ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს შაქრის ლერწამი, რომლის წლიური წარმოება 7 მილიონ ტონაზე მეტს შეადგენს, მისი გაყიდვა კი საზღვარგარეთ ქვეყანას აძლევს ვალუტის 70 პროცენტს. კომბაინების გამოყენების შედეგად შაქრის ლერწმის მჩეხავების რი-

ცხვი 350 ათასიდან 70 ათასამდე შემცირდა. მოსავლის მექანიზირებული აღება ხდება მთელი ფართობის 65 პროცენტზე.

კუბაში ფართოდ არის გაშლილი მშენებლობა: თუ 1958 წელს მშენებლობის ღირებულება შეადგენდა 200 მილიონ პესოს, ამჟამად ერთი თვის განმავლობაში იმდენივეს აშენებენ, რამდენსაც მთელი წლის განმავლობაში რევოლუციამდელ კუბაში. კაპიტალდაბანდებები სახალხო მეურნეობაში თუ 1961—1970 წლებში ორჯერ ეაიზარდა, 70-იან წლებში იგი 5.5-ჯერ გადიდდა, აქედან 10-ჯერ მეტად გაიზარდა მრეწველობაში, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 3,5-ჯერ. 1988 წლისათვის კაპიტალდაბანდებების მოცულობამ შეადგინა რეკორდული ციფრი—5 მილიარდი პესო. კაპიტალდაბანდებების დიდი ნაწილი მოდის ელექტროენერგეტიკის, ნავთობმოპოვებისა და ნავთობგადამამუშავებელი, ნიკელის და შაქრის მრეწველობაზე, შავმეტალურგიასა და სოფლის მეურნეობაზე.

30 წლის განმავლობაში (1959—1989 წწ.) რესპუბლიკაში სახელმწიფოს ხარჯზე აგებულია 700 ათასზე მეტი ბინა, მოქალაქეების სახსრებით კი — 200 ათასი. სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტი იხარჯება განათლებაზე (23%), სოციალურ დახმარებაზე (14%). ჯანმრთელობის დაცვაზე (12%). ბინათმშენებლობაზე (7%). წარმატებით გადაწყდა რევოლუციური პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა—ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა. ამას მოწმობს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება 4-ჯერ, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა 74 წლამდე და ისეთი დაავადებების ლიკვიდაცია, როგორიცაა პოლიომელიტი და ტუბერკულოზი 60-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში სამი ათასი ექიმი იყო, 1989 წელს კი—31 ათასი. ანუ ერთი ექიმი 307 მცხოვრებზე. სახალხო ხელისუფლების წლებში მომზადდა 200 ათასი პედაგოგი. ყოველი მესამე კუბელი სწავლობს. შემოღებულია სკოლის სავალდებულო ათწლიანი განათლება. რევოლუციამდელ კუბაში სამი უმაღლესი სასწავლებელი იყო, ახლა 50-მდეა, სადაც 250 ათასი სტუდენტი სწავლობს.

რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღიდან კუბა იღებდა და იღებს საბჭოთა კავშირისა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დახმარებას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დახმარებით კუბაში შაქრის ლერწმის, ბოსტნეულის, ციტრუსების მოსავლიანობის პროგრამა იქნა მიღებული. ასევე კუბას დახმარებას უწევენ ნიკელ-კობალტის პროდუქციის სიძლიერის გაზრდაში, მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებულ განვითარებაში, ელექტრომრეწველობის ზრდაში.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დახმარებით აეე-

ბულ ელექტროსაწარმოებზე მოდის მთელი ქვეყნის ელექტროწარმოების 70%.

კუბის უმსხვილესი ეკონომიკური პარტნიორია საბჭოთა კავშირი. 1981—1985 წლებში ტვირთბრუნვამ ამ ორ ქვეყანას შორის შეადგინა—34 მლრდ მანეთი. საბჭოთა კავშირის დახმარებით კუბაში აგებულია 360 სახალხო მეურნეობის ობიექტი და ამჟამად კიდევ 130 აგებენ, ხოლო 130 შაქრის ქარხანას, 7 საფეიქრო საწარმოს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. სსრ კავშირის დახმარებით. ჰარაგუაში შენდება კუბაში პირველი ატომური ელექტროსადგური. საბჭოთა კავშირმა ქალაქ პუნტაგორდაში ააგო ნიკელის კომბინატი წელიწადში 30 ათასი ტონა ნიკელ-კობალტის კონცენტრატის წარმოებით. მაგრამ 1989 წლის ამბების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპიდან ასეთი დახმარება შეწყდა, ხოლო სსრკ-დან მკვეთრად შემცირდა. საბჭოთა ხალხს მეგობრობა კუბასთან ყოველწლიურად 4 მილიარდი დოლარი უჯდებოდა.

საგარეო პოლიტიკა

კუბის რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღიდან აშშ-ს მმართველი წრეები განუწყვეტლივ ბრძოლას ეწეოდნენ ფ. კასტროს დიქტატურის წინააღმდეგ. ამერიკის მთავრობამ კუბის წინააღმდეგ, პირველ რიგში, მიმართა ქვეყნის ბლოკადას, რომელშიც ჩაითრია სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც. მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით კუბის ბლოკადამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1975 წლის დასაწყისში კუბას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 60 სახელმწიფოსთან და ითვლებოდა ოცზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად.

კუბის ხელმძღვანელები თავის გამოსვლებში ყოველთვის ხაზს უსვამენ მას, რომ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მორალურ-პოლიტიკური ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა დაეხმარა კუბას გაეძლო უძლიერესი სახელმწიფოების შემოტევისათვის, უზრუნველყო მშვიდობიანი პირობები და მატერიალური შესაძლებლობანი ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადის გარღვევისათვის.

1964 წლიდან ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანამ მექსიკის გარდა შეწყვიტა ურთიერთობა კუბასთან და მონაწილეობდა მის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ ორგანიზებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკადაში. 70-იანი წლებიდან კი ამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში რადიკალური ცვლილებები ხდება. 1975 წლის დასაწყისში უკვე ათმა ლათინურმა ქვეყანამ უარი თქვა პოლიტიკურ ბლოკადაზე და კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

1974 წლის ნოემბერში ეკვადორის დედაქალაქ კიტოში შედგა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა გამოვიდა კუბის მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების წინააღმდეგ და მოითხოვა მათი გაუქმება, მაგრამ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში არსებული პროცედურული წესების გამო კუბისადმი მხარდამჭერი რეზოლუციის გამოტანა არ მოხერხდა. მაგრამ, სამმა ქვეყანამ—ვენესუელამ, კოლუმბიამ და კოსტა-რიკამ განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია.

ვენესუელამ და კოლუმბიამ უკვე დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან

კუბას მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა აქვს პერუსთან, არგენტინასთან, მექსიკასთან და ლათინურ ამერიკის სხვა ქვეყნებთან. 1973 წელს არგენტინასა და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისთანავე ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც არგენტინამ კუბას 5 წლის ვადით მისცა 1200 მლნ დოლარის კრედიტი არგენტინის საქონლის, მათ შორის 44 ათასი ავტომანქანის შესასყიდად.

კუბის მიერ ბლოკადის გარღვევის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან და, აგრეთვე, იაპონიასთან და კანადასთან. იგი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 70-იანი წლების დამდეგიდან. მაგალითად, 1966 წელს კუბის ვაჭრობის მოცულობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეადგენდა 303 მილიონ დოლარს, 1973 წლისათვის კი იგი 715 მილიონ დოლარამდე, ე. ი. 2-ჯერ გაიზარდა. ამჟამად კუბა იაპონიას აწვდის 1 მლნ ტონა შაქარს, ე. ი. იაპონიის მიერ ამ პროდუქტის იმპორტის 40%-ს.

1974—1986 წლებში კუბამ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი შეთანხმება დადო ევროპის ქვეყნებთან, რომლითაც კიდევ უფრო გააფართოვა მათთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა. მაგალითად, 1974 წლის დეკემბერში კუბაში ესპანეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ვიზიტის დროს ორივე მხარემ ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლითაც კუბამ ესპანეთისაგან მიიღო 900 მილიონი დოლარის კრედიტი 1975—1977 წლებში შემდეგი საქონლის შესასყიდად: გემების, ცემენტის ქარხნისა და საავტომობილო, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის მოწყობილობათა შესასყიდად ესპანეთ-

ში. თავის მხრივ, კუბამ ვალდებულება იკისრა, ესპანეთს ყოველწლიურად მიაწოდოს 200 ათასი ტონა შაქარი და აგრეთვე თამბაქო, ხღვის პროდუქტები და ნიკელი.

1975 წლის იანვარში შედგა კუბის პრემიერ-მინისტრის მოადგილის როდრიგესის ვიზიტი საფრანგეთში, რომელმაც პრემიერ-მინისტრ ჭირაკთან ხელი მოაწერა ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებას. კუბაში რევოლუციური გამარჯვების შემდეგ ეს იყო ისეთი სახის პირველი ვიზიტი, რომელმაც კარგი საფუძველი შექმნა ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. სავაჭრო ურთიერთობა კუბასა და საფრანგეთს შორის განუხრელად ფართოვდება. მაგალითად, 1973 წელს კუბის სავაჭრო ბრუნვა საფრანგეთთან შეადგენდა 179 მლნ დოლარს, 1974 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში კი 310 მლნ დოლარი შეადგინა.

პარიზში მოლაპარაკების დროს განიხილეს კუბისადმი საფრანგეთის მიერ 1 მლრდ დოლარის კრედიტის მიცემის, მინერალური სასუქების, სატვირთო მანქანების ქარხნების მშენებლობის, აეროდრომების მოდერნიზაციის, ჰავანის ნავსადგურის გაფართოებისა და სხვა საკითხები.

1975 წლის იანვარში კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომელიც გაწყვეტილი ჰქონდა 1963 წლიდან, მას შემდეგ რაც კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. გფრ-ის მიერ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენამ კუბასთან ახალი დარტყმა მიაყენა კუბის იზოლირების პოლიტიკას და ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ აშშ-მა კრახი განიცადა კუბის პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლირების პოლიტიკაში.

კუბასა და მაშინდელ სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარდა ძმური ურთიერთობა, ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებული იყო სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემასა, ურთიერთსარგებლობასა და ურთიერთდახმარების პრინციპზე.

1960 წლის თებერვალში ჰავანაში ხელი მოაწერეს კუბა-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას, რომლითაც უკანასკნელმა ვალდებულება იკისრა 5 წლის განმავლობაში შეესყიდა კუბაში 1 მლნ ტონა შაქარი და მისი ღირებულების 20% ვალუტით გადაეხადა. 1960 წლის დეკემბერში, როცა აშშ-მა უარი თქვა კუბის შაქრის ყიდვაზე, საბჭოთა მთავრობამ ვალდებულება აიღო 2.7 მლნ ტონა შაქარი ეყიდა მისგან მსოფლიოში არსებულ ფასებზე მეტი ღირებულებით. კუბის შაქ-

რის შესყიდვა გაზარდეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც. 1961 წელს კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც 1962—1965 წლებში ჩვენს ქვეყანას კუბაში ყოველწლიურად უნდა შეესყიდა 4,8 მლნ ტონა შაქარი. სსრ კავშირმა კუბას მისცა სესხად 25 მლნ. დოლარი.

1965 წლის იანვარში მოსკოვში კასტროს მეორე ვიზიტის დროს დაიდო ხანგრძლივი საგაჭრო შეთანხმება კუბის შაქრის შესყიდვაზე 1965—1970 წლებში. საბჭოთა კავშირზე მოდის კუბის მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50%. თუ რევოლუციამდელი კუბის საგარეო ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა, ამჟამად იგი შეადგენს 75%-ს.

კუბა საბჭოთა კავშირიდან სისტემატურად იღებდა ნავთობსა და ნავთობის პროდუქტებს, ავტომანქანებს, შავ ლითონებს და მრავალ სხვა საჭირო მასალას.

საბჭოთა სპეციალისტები კუბას ეხმარებიან გეოლოგიური ძიების სამუშაოებზე, ჰიდროტექნიკური სისტემის ნაგებობის მშენებლობაზე. მეთევზეობის განვითარებასა და შაქრის ქარხნების რეკონსტრუქციაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და კადრების მომზადებაში. განუხრელად ვითარდება მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის.

1967—1971 წლებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებიდან კუბაში მუშაობდა 7,5 ათასი სპეციალისტი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კუბის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებისათვის.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დახმარებით კუბაში აიგო ქარხნები, ფაბრიკები, მრავალი სხვადასხვა სახის ნაგებობა.

ყოველწლიურად იზრდებოდა საბჭოთა კავშირ-კუბის ვაჭრობა. 1974 წ. ჰან 1,6 მილიარდ მანეთს მიაღწია (1973 წ.—1,1 მლრდ შეადგენდა), 1975 წ.—2.6 მლრდ. 1981 წ.—4.5 მლრდ. 1982 წ.—5.5 მლრდ. 1983 წ. — 7,2 მლრდ, 1985 წ.—8 მლრდ, 1986 წ.—7,6 მლრდ მანეთი. ყოველწლიურად იზრდებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარება კუბისადმი. საბჭოთა კავშირი დაეხმარა კუბას 240 სამრეწველო საწარმოს და სხვა ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში, რომელთაგან 1975 წ. რიგში ჩადგა 197 საწარმო. ასეთი თანამშრომლობა შემდგომ წლებშიც იზრდებოდა. 1975 წლის სექტემბერში მოსკოვში პირველად მოაწერეს ხელი ოქმს კუბისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინაციის შესახებ (1976—1980 წწ.). ოქმით გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის მიერ კუბისათვის ეკონომიკური და

ტექნიკური დახმარების გაწევის და, აგრეთვე, საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გაზრდა. დაიდო რიგი შეთანხმებებიც ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ. 1981 წელს საბჭოთა კავშირის დახმარებით კუბაში დაიწყო მსხვილი ატომური ელექტროსადგურისა და, აგრეთვე, მსხვილი მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა 1 მლნ ტონაზე მეტი ფოლადის წარმოების სიმძლავრისა. 1982 წლისათვის კუბაში უკვე მოქმედებდა საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებული 150 სამრეწველო საწარმო. 1984 წლის ოქტომბერში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიაზე ჰავანაში, კუბასა და სსრ კავშირს შორის ხელმოწერილ იქნა ხანგრძლივვადიანი პროგრამა ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ. დაიდო შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ კულტურისა და განათლების დარგში.

წარმატებით ხორციელდება კუბის ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან. კუბასა და მრავალ ქვეყანას შორის ხელმოწერილია ხანგრძლივვადიანი შეთანხმებები და პროგრამები ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში თანამშრომლობის შესახებ. მეგობრული ურთიერთობის დარგში და ა. შ. კუბა აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტურ ქვეყნებთან შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. წევრი იყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსი და მონაწილეობდა მის ყველა საქმიანობაში.

მიუხედავად ყოველგვარი ცდებისა, ყოველწლიურად უმჯობესდება ურთიერთობა კუბასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის. 1974 წ. აგვისტოში კუბასა და პანამას, ხოლო დეკემბერში კუბასა და ვენესუელას შორის აღსდგა დიპლომატიური ურთიერთობა. დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასა და ბაგამას შორის, გაუმჯობესდა ურთიერთობა პერუსთან, არგენტინასთან, მექსიკასთან. ამავე წლის აპრილში მეხიკოში გაიმართა თათბირი, რომელშიც კუბა მონაწილეობდა ლათინური ამერიკის 22 ქვეყანასთან ერთად. ეს თათბირი მიეძღვნა აღნიშნულ ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

1975 წლის მარტში აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასა და კოლუმბიას შორის. ეს უკვე მეთერთმეტე ქვეყანაა ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნებისა, რომელთაც უგულვებელყვეს 1961 წლიდან აშშ-ის მიერ თავსმოხვეული ანტიკუბური სანქცი-

ები. კუბამ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთან ერთად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა ნიკარაგუელ ხალხს სომოსის დიქტატურის დამხობაში. მაგრამ შემდეგ ხელი შეუწყო დანიელ ორტეგას დიქტატურის განმტკიცებაში, რომელსაც აწვდიდა იარაღს, აგზავნიდა სამხედროებს. ინგლისსა და არგენტინას შორის წარმოებული ომის დროს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისათვის კუბამ დაგმო ინგლისის სამხედრო აქციები და მოუწოდა მეომარ მხარეებს, რათა ეს საკითხი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ.

1983 წ. აღსდგა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასა და ბოლივიას შორის. რომელიც გაწყვეტილი იყო 1964 წ. კუბა ავითარებდა ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობას მექსიკასთან. 1984 წ. კუბასა და მექსიკას შორის დაიდო შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ მეცნიერებისა და ტექნიკის, ტურიზმისა და ვაჭრობის დარგში. ამავე წელს დაიდო შეთანხმება არგენტინასთან ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკური, ფინანსურ და თევზჭერის დარგებში თანამშრომლობის შესახებ. გაფართოვდა თანამშრომლობა კუბასა და გაიანას შორის ვაჭრობის, ეკონომიკისა და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში. ავითარებდა ურთიერთობას კუბა ურუგვაისთან, პერუსთან და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებთან, ბოლივიასთან; 1986 წ. კუბასა და მექსიკას შორის დაიდო შეთანხმება 1986—1989 წლებში ამ ორ ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ განათლებისა და კულტურის დარგში.

კუბა ავითარებდა ურთიერთობას აზიისა და აფრიკის ქვეყნებთანაც. იგი აქტიურად მონაწილეობდა მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობაში. 1974 წლის მარტში კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. როა მონაწილეობდა ალჟირში გამართული მიუმხრობელი სახელმწიფოების საკოორდინაციო კომიტეტის მუშაობაში .1975 წ. მარტში ჰავანაში. კუბის მთავრობის ინიციატივით შედგა მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის საკოორდინაციო ბიუროს თათბირი, ხოლო აგვისტოში ლიმაში გამართულ მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე კუბა გამოვიდა ამ მოძრაობის ანტიიმპერიალისტური მიმართულების გაძლიერების მოთხოვნით. კუბის წარმომადგენელმა ამ ფორუმებზე დაგმო ცდები განვითარებადი ქვეყნების დაპირისპირებისას იმ დროს სოციალისტურ ქვეყნებისადმი და უარყო თეზისები „ორი იმპერიალიზმის შესახებ“ (აშშ და სსრ კავშირი).

კუბამ უკვე 1974 წ. დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა აფრიკის ცხრა სახელმწიფოსთან.

1975 წლის 11 ნოემბერს პორტუგალიის უკანასკნელმა სამფლო-

ბელომ აფრიკაში—ანგოლამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. კუბამ მაშინვე სცნო ანგოლა, დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინა ანგოლელ კომუნისტებს ხელისუფლების ხელში ჩაგდებაში, კომუნისტური დიქტატურის დამყარებაში და ფაქტობრივად სამოქალაქო ომის გაჩაღებაში, რომელიც 1990 წლამდე გრძელდებოდა. კუბამ ჯერ კიდევ 1975 წელს ანგოლაში გააგზავნა 50 ათასიანი ჯარი „ინტერნაციონალისტობის" ნიღბით, რომლის გამოყვანის შესახებ კუბამ რამოდენიმეჯერ განაცხადა, მაგრამ სხვა და სხვა მოტივით ეს ჯარები ჯერაც არაა მთლიანად გამოყვანილი. მომდევნო წლებში კუბამ დაამყარა დიპლომატიური, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანასთან. უკვე 1979 წ. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 28 ქვეყანაში მუშაობდნენ კუბის სპეციალისტები, მათ შორის ექიმები. კუბის მთავრობამ 6 ათას მოსწავლეს ანგოლიდან, ეთიოპიიდან, მოზამბიკიდან და ნამიბიიდან, რომელნიც სპეციალურ განათლებას იღებდნენ კუბაში, სტიპენდიები დაუნიშნა. ეთიოპიასა და კუბას შორის რიგი შეთანხმებები დაიდო მეცნიერულ, ტექნიკურ და ეკონომიკურ დარგებში თანამშრომლობის შესახებ.

1979 წლის 3—8 სექტემბერს ჰავანაში მოეწყო მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების VI კონფერენცია. მომდევნო (1982 წელს) კონფერენციამდე კუბა გახდა მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის თავმჯდომარე. კუბამ დაგმო აშშ-ის შეჭრა გრენადაში, რომლის დროსაც ამერიკის ჯარები თავს დაესხნენ აქ მომუშავე კუბელ მუშებს და სპეციალისტებს, რომელნიც გრენადაში აგებდნენ აეროდრომს და სხვა სამხედრო ობიექტებს. ავითარებდა რა აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან ურთიერთობას, კუბა განუხრელად მხარს უჭერდა და სოლიდარობას უცხადებდა ამ ქვეყნების ბრძოლას თავიანთი სუვერენული უფლებებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, დახმარებას უწევდა მათ შესაძლებლობის ფარგლებში ეკონომიკის განვითარებაში, კადრების მომზადებაში.

კუბის კომპარტიის III ყრილობაზე აღინიშნა, რომ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ კუბა, მიუხედავად არსებული საზოგადოებრივი წყობისა, ხელმძღვანელობდა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობით. კუბის მეზობელ ყველაზე უფრო დიდ ქვეყანასთან—აშშ-თან მთელი 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული 80-იანი წლების თითქმის ბოლომდე ურთიერთობა ყოველთვის დაძაბული იყო. და ეს დაძაბულობა კიდევ უფრო გაძლიერდა რ. რეიგანის მთავრობის დროს. აშშ-მა მთელი რიგი შეზღუდვები

დაწესა კუბასთან ეკონომიკურ ურთიერთობაში და კუბის კომპანიებთან კომერციულ ოპერაციებში არა მარტო ამერიკაში, არამედ მესამე ქვეყნებში არსებულ ამერიკულ კომპანიებთან. აშშ-ში კვლავინდებურად არ უშვებდნენ კუბის ოფიციალურ წარმომადგენლებს. რაც შეეხება სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს, კუბა ავითარებდა აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებთან—იაპონიასთან, ინგლისთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, კანადასთან, შვეიცარიასთან, ესპანეთთან. 1974 წელს კუბამ ხელი მოაწერა კანადასთან შეთანხმებას ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1974-1976 წწ., შეთანხმებას კუბასა და შვეიცარიას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის გახსნის შესახებ, შეთანხმებას ესპანეთთან, რომლითაც ესპანეთმა კუბას 900 მლნ დოლარი მისცა სესხად ქარხნების, გემების, ტრანსპორტის საშუალებებისა და ხელსაწყოების შესასყიდად. 1975 წელს კუბამ ხელი მოაწერა საფრანგეთთან შეთანხმებას ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ და აგრეთვე შეთანხმებას თანამშრომლობაზე სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ სფეროში. საფრანგეთმა კუბას მისცა კრედიტი 300 მლნ დოლარის ოდენობით ქიმიური საწარმოს და სხვათა დაფინანსებისათვის. ინგლისთან დაიდო შეთანხმება ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ. ინგლისმა კუბას მისცა კრედიტი 250 მლნ გირვანქა სტერლინგის ოდენობით მანქანა-მოწყობილობების შესაძენად. იტალიასთან ხელმოწერილია შეთანხმება მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. 1975 წელს დაიდო აგრეთვე შეთანხმება კუბასა და კანადას შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. კანადამ კუბას 100 მლნ დოლარი მისცა სესხად. 1976 წ. იანვარში აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასა და გფრ-ს შორის, რომელიც გაწყვეტილი იყო 1963 წ კუბის მიერ გდრ-ის ცნობის გამო. 1975 წლისათვის კუბას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 96 ქვეყანასთან ამრიგად. აშშ-ის ცდები—კუბის საერთაშორისო იზოლაციაზე—ჩაიშალა, ამან აიძულა 1975 წელს ნაწილობრივ შეეზღუდა ემბარგო კუბასთან ვაჭრობაზე. აშშ-ის მთავრობა დათანხმდა კუბისათვის სავაჭრო ოპერაციებისათვის ლიცენზიები მიეცა ამერიკის ფირმების ფილიალებისათვის, რომელნიც მესამე ქვეყანაში იყვნენ. მაგრამ, როგორც ამერიკის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა—„ეს არ ნიშნავდა ორმხრივ ურთიერთობაში აშშ-სა და კუბას შორის ცვლილებებს, ვინაიდან ეს ეხება მხოლოდ მესამე ქვეყნებს“. მაგრამ უკვე დეკემბერში კუბის მიერ ანგოლისათვის სამხედრო მხარდაჭერისა და კუბის მიერ პუერტო-რიკოს განთავისუფლებისათვის სოლიდარობის გამოცხადების გა-

მო აშშ-მა შეწყვიტა კუბასთან ურთიერთობის გაუმჯობესების ნაბიჯები. 1978 წლის სექტემბერში აშშ-მა გააჩაღა ანტიკუბური კამპანია, რომლის საბაბი გახდა კუბაში საბჭოთა სამხედრო პერსონალის ყოფნა, როგორც ამასთან დაკავშირებით, ფ. კასტრომ განაცხადა, საქმე ეხებოდა 1962 წლიდან საბჭოთა სამხედრო სასწავლო ცენტრის არსებობას, სადაც საბჭოთა სპეციალისტები მუშაობდნენ. კუბის სანაპიროებთან ხშირად ეწყობოდა აშშ-ის სამხედრო მანევრები (ჯარების გადასხმით) ბაზა გუანტანამოში. 1983 წ. ოქტომბერში სენატმა მიიღო კანონი სპეციალური „კუბის სამსახურის" „ამერიკის ხმის" შექმნის შესახებ ძირგამომთხრელი ანტიკუბური გადაცემების მოსაწყობად. განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა აშშ-სა და კუბას შორის გრენადაში აშშ-ს შეიარაღებული ინტერვენციის მოწყობის გამო. 1984 წ. აშშ-მა უფრო გააძლიერა ეკონომიკური, სავაჭრო და ფინანსური ბლოკადა კუბის მიმართ და კვლავაც ცდილობდა კუბის იზოლირებას. აშშ-ის მასობრივი ინფორმაციების საშუალებანი არა წყვეტენ ანტიკუბის კამპანიას და ბრალს დებდნენ მას დასავლეთ ნახევარსფეროში „ძირგამომთხრელ საქმიანობაში". 1984 წლის ოქტომბერში რეიგანის ადმინისტრაციამ აკრძალა კუბის კომპარტიისა და მთავრობის წარმომადგენლების ჩასვლა აშშ-ში. 1986 წ კი ვაშინგტონმა აკრძალა ფინანსური ოპერაციები კუბასა და აშშ-ს შორის და ასევე ყოველგვარი ურთიერთობა კუბასთან ამერიკის კომპანიებისა, რომელნიც მესამე ქვეყანაში მოქმედებენ. რაც შეეხება სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, კუბა, მიუხედავად აშშ-ის ყოველგვარი ცდებისა კუბის იზოლირებაზე, კვლავაც წარმატებით ავითარებდა ურთიერთობას იაპონიასთან, ინგლისთან, საფრანგეთთან, გფრ-თან, იტალიასთან, განსაკუთრებით, ესპანეთთან და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

თ ა ვ ი VII

პოლონეთის რესპუბლიკა[1]

§ 10. დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება პოლონეთში

პოლონეთის განთავისუფლება ჰიტლერული უღლისაგან და საერთო დემოკრატიული რევოლუციის ეტაპი

1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს და დაამყარა იქ სისხლიანი ფაშისტური საოკუპაციო რეჟიმი. ომამდელი ბურჟუაზიული პოლონეთის მმართველი წრეების რეაქციულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც საფუძვლად ედო კავშირი საერთაშორისო რეაქციასთან პოლონეთი სექტემბრის კატასტროფამდე მიიყვანა. პოლონელ ხალხს ძალზე ძვირად დაუჯდა ასეთი „დაშოუკიდებელი" პოლიტიკა. ტერორისტული უღლის ქვეშ პოლონელი ხალხი გმინავდა ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ჰიტლერელებმა მათ მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ტერიტორიაზე შექმნეს მასობრივი მოსპობის ბანაკები და სატუსაღოები, სადაც ახორციელებდნენ პოლონელი ხალხის მასობრივ ფიზიკურ განადგურებას. ჰიტლერელ ჯალათთა მსხვერპლი გახდა მილიონობით ადამიანი. პოლონელი მოსახლეობა აღმოჩნდა ფიზიკური მოსპობის საშიშროების წინაშე. განადგურდა პოლონეთის ხალხის საუკუნეობით მოპოვებული ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი. კულტურის ძეგლები, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებანი. ყველაფერი, რაც ხყო ეროვნული, განიცდიდა ნგრევას და განადგურებას.

პოლონეთის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის ერთი ნაწილი ჰიტლერული გერმანიის პოლონეთზე თავდასხმისთანავე საზღვარგარეთ გაიქცა და თავისი ქვეყანა ბედის ანაბარა მიატოვა, ხოლო პოლონეთის მმართველი წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგალითად, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლეონ კოზლოვსკი, ელჩი გერმანიაში ვისოცკი, მინისტრი გეტელი და სხვები, აშკარად გადაბარგდნენ ჰიტლერელთა ბანაკში.

1939 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის ქალაქ ანჟერში შეიქმნა ემიგრანტული მთავრობა გენერალ სიკორსკის მეთაურობით,

---

[1] ტერიტორია—312,7 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა—37,5 მლნ. (1987 წლის მაისი) დედაქალაქი—ვარშავა (1987 წლის მაისისათვის ცხოვრობდა 1700 ათასი კაცი). მოსახლეობის 98,5%-ს შეადგენენ პოლონელები. ეროვნული უმცირესობანი (უკრაინელები, ბელორუსები, სლოვაკები, ლიტველები, ებრაელები, გერმანელები) შეადგენენ მოსახლეობის 1,2%-ს.

ხოლო საფრანგეთში გერმანელების შეჭრის შემდეგ აღნიშნული მთავრობა ლონდონში გაიქცა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი პოლონეთის არმია გენერალ ანდერსის მეთაურობით არ ღებულობდა მონაწილეობას საომარ ოპერაციებში.

სტალინგრადთან ბრძოლის დროს პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის მითითებით გენერალმა ანდერსმა თავისი არმია ახლო აღმოსავლეთში გაიყვანა და ანტისაბჭოთა კამპანია გააჩაღა. საბჭოთა მთავრობამ ამის შემდეგ გასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან და ლიკვიდაცია უყო მათ მრავალრიცხოვან წარმომადგენლობას საბჭოთა კავშირში. პოლონეთის დემოკრატიულმა წრეებმა საბჭოთა კავშირში შექმნეს და მალე ჩამოაყალიბეს თადეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზია. ეს მალე პოლონეთის არმიად გადაიქცა და საბჭოთა ჯარებთან ერთად ომის უკანასკნელ დღემდე იბრძოდა ფაშისტების განადგურებისათვის.

საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა პოლონეთის დემოკრატიულ ძალებს, განსაკუთრებით კომუნისტებს, როგორც თვით პოლონეთში, ასევე მის გარეთ ბრძოლაში ქვეყნის განთავისუფლებისათვის ფაშისტური უღლისაგან. დემოკრატიული და პატრიოტული ძალების ხელმძღვანელად ქვეყნის შიგნით გახდა პოლონეთის მუშათა პარტია[1] (პმპ), რომელიც 1942 წლის იანვარში მოსკოვის თაოსნობით შეიქმნა ღრმა იატაკქვეშ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე .1943 წლის თებერვალში პმპ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალგაზრდათა ბრძოლის კავშირები.

პმპ სათავეში ჩაუდგა პოლონელი ხალხის ეროვნულ, ანტიფაშისტურ, განმათავისუფლებელ ბრძოლას. პმპ, ანტიფაშისტური, განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლისა და გაფართოების მიზნით ქმნის ჯერ პარტიზანულ ნაწილებს რომლებიც შემდეგ ერთიანდებიან ლუდოვოს გვარდიაში (სახალხო გვარდია). ლუდოვოს გვარდია შემდეგ ლუდოვოს არმიად გადაიქცა. უკვე 1942 წლის მაისიდან დაწყებული თვით პოლონეთის განთავისუფლებამდე პოლონეთის პარტიზანები

---

[1] 1918 წელს „პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია" გაერთიანდა „პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენეებთან" და შექმნა პოლონეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც 1938 წლამდე იარსება. ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში პოლონეთში 1939-1940 წლებში აღმოცენდნენ იატაკქვეშა კომუნისტური ორგანიზაციები. სსრ კავშირთან შეგობრობის საზოგადოება. „სახალხო პოლონეთი" და სხვები. 1942 წელს ამ ორგანიზაციების ბაზაზე შეიქმნა პოლონეთის მუშათა პარტია.

განუწყვეტლივ და თავგანწირულ ბრძოლას ეწეოდნენ ფაშისტების წინააღმდეგ და ვამანადგურებელ დარტყმას აყენებდნენ მათ. 1944 წლის იანვარში ვარშავაში მპ-ის ინიციატივით დემოკრატიული ჯგუფებისა და პარტიების არალეგალურ კრებაზე შეიქმნა „კრაიოვა რადა ნაროდოვა“ ანუ პოლონეთის ეროვნული საბჭო. მან მიზნად დაისახა ქვეყნის ყველა ანტიფაშისტური ძალის გაერთიანება. მასში პმპ-თან ერთად შეევიდნენ: მემარცხენე სოციალისტები, სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების მემარცხენეები, იატაკქვეშა პროფკავშირული ორგანიზაციები, საზოგადოებრივი და შეიარაღებული ჯგუფების და პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომდგენლები, რომლებიც იბრძოდნენ ჰიტლერების წინააღმდეგ. 1944 წლის ზაფხულში საბჭოთა არმია შეიჭრა პოლონეთში. კრაიოვა რადა ნაროდოვამ შექმნა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, რომელმაც განთავისუფლებულ ტერიტორიაზე საბჭო ჯარების ხელმძღვანელობის ხელშეწყობით აიღო დროებითი მთავრობის ფუნქციები. საბჭოთა მთავრობამ სცნო აღნიშნული კომიტეტის ხელისუფლება განთავისუფლებულ ტერიტორიაზე. პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი 1944 წლის 31 დეკემბრიდან გარდაიქმნა დროებით მთავრობად.

პოლონეთის დროებითი მთავრობის მთავარი პროგრამა იყო პეგკ-ის მანიფესტი, რომელიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1944 წლის 22 ივლისს. მანიფესტი მოითხოვდა პოლონეთის ხალხის ყველა ძალის მობილიზაციას ჰიტლერელების წინააღმდეგ საბრძოლველად, დამოუკიდებელი, ძლიერი და დემოკრატიული პოლონეთის შექმნისათვის. მანიფესტი პოლონეთის ეროვნულ საბჭოს აცხადებდა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად, რომლის კონსტიტუციურ საფუძვლად, დამფუძნებელი სეიმის მოწვევამდე, ცხადდებოდა 1921 წლის კონსტიტუცია. 1935 წლის ფაშისტური კონსტიტუცია გაუქმებულად ცხადდებოდა. დამფუძნებელი სეიმის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

მანიფესტი მოითხოვდა პოლონეთის დასავლეთის ძველი მიწების უკან დაბრუნებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გერმანელების მიერ იყო მიტაცებული, კერძოდ—პოლონეთის პომორიეს, სილეზიის, აღმოსავლეთ პრუსიისა და პოლონეთისათვის ზღვაში ფართო გასასვლელის მიცემას. პოლონეთის დასავლეთის საზღვრები უნდა გასულიყო ოდერსა და ნოისზე, აღმოსავლეთი კი უნდა გადაწყვეტილიყო საბჭოთა კავშირთან შეთანხმებით—პოლონეთის მიწები პოლონეთს უნდა გადასცემოდა, უკრაინის, ბელორუსიის და ლიტ-

ვის კი შესაბამისად—საბჭოთა უკრაინას, საბჭოთა ბელორუსიას და საბჭოთა ლიტვას.

კრაიოვო რადა ნაროდოვას ხელში გადადიოდა სსრ კავშირში მყოფი პოლონეთის არმიისადმი უმაღლესი ხელისუფლება. პოლონეთის არმია და ლუდოვოს არმია ერთიანდებოდა ერთიან პოლონურ არმიად. მანიფესტი მოითხოვდა სამშობლოს ყველა გამყიდველისა და გერმანელი დაძნაშავეების დასჯას, პოლონეთისათვის ომისა და ოკუპაციისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

მანიფესტი დღის წესრიგში აყენებდა აგრეთვე თვით განთავისუფლების მსვლელობაში ძირფესვიანი გარდაქმნის ჩატარებას.

პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა აგრარული რეფორმის გატარება.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის მიწების უდიდესი ნაწილი მსხვილი მემამულეების ხელში იყო. მაგალითად, მსხვილი მემამულეები, რომელთა ხელში იყო 100 ჰექტარზე მეტი მიწა, შეადგენდა მთელი მიწათმფლობელთა 0,5 პროცენტს. მათ ხელში იყო მთელი მიწების 31 პროცენტი, მაშინ, როდესაც მიწათმფლობელთა 64.4 პროცენტს. რომლის მიწის ნაკვეთი არ აღემატებოდა 5 ჰექტარს, ეკავა მთელი მიწების 14 პროცენტი.

კანონი აგრარული რეფორმის შესახებ მიღებულ იქნა 1944 წლის სექტემბერში. ივი ითვალისწინებდა მსხვილი მიწათმფლობელების ლიკვიდაციას და მიწების მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის გადაცემას.

მანიფესტი ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის პროგრამა გახდა. აგრარული რეფორმის განხორციელება დაიწყო პოლონეთის განთავისუფლების მსვლელობაში, რომლის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა მემამულეთა მიწათმფლობელობა. 6 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა უფასოდ გადაეცა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს. ომის მსვლელობაში ქვემოდან, ხალხის მიერ ტარდებოდა აგრეთვე ნაციონალიზაცია. მსხვილი მრეწველობა, ბანკები, რკინიგზები, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი გადავიდა სახელმწიფოს ხელში. შემოღებულ იქნა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური ფაშისტური სახელმწიფო აპარატი დამსხვრეულ იქნა და მის ნაცვლად შეიქმნა ახალი სახალხო-დემოკრატიული მმართველობის სახელმწიფო აპარატი. ბუნებრივია, რომ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნამ, მისმა, პროგრამამ და დემოკრატიულმა გარდაქმნებმა ემიგრანტული მთავრობის დიდი შეშფოთება გამოიწვია. ივი სარგებლობდა აშშ-ის და ინგლისის მმარ-

თველი წრეების მხარდაჭერით და გადაწყვიტა ხელთ ჩაეგდო ძალაუფლება. ამ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ემიგრანტული მთავრობა დაადგა ნამდვილ ავანტიურისტულ გზას. იმის შიშით, რომ ვარშავაში საბჭოთა ჯარები შევიდოდნენ. 1944 წლის 1 აგვისტოს, კრაიოვოს არმიის სარდლობამ, რომელიც ლონდონის ემიგრანტულ მთავრობას ემორჩილებოდა, აჯანყება დაიწყო დედაქალაქში. ეს აჯანყება მისი ორგანიზატორების აზრით, პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის ძალების ერთგვარი დემონსტრაცია უნდა ყოფილიყო. კრაიოვოს არმიას ვარშავაში თავმოყრილი ჰყავდა 15 ათასიანი კაცისაგან შემდგარი იატაკქვეშა ძალები. რომელთაგან მხოლოდ 2,5 ათას კაცს ჰქონდა იარაღი. ვარშავაში კი ამ დროს ჰიტლერელებს 20 ათასიანი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული გარნიზონი ჰყავდა. გარდა ამისა, გერმანელებს ყოველ წუთში შეეძლოთ ახლობელი რაიონებიდან დამატებითი ჯარების თავმოყრა. ეს აჯანყება ემიგრანტული მთავრობის მეთაურს მიკოლაიჩიკს იმისათვის სჭირდებოდა, რომ იგი ამ დროს მოსკოვში მიემგზავრებოდა საბჭოთა მთავრობასთან და პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად და ფიქრობდა, რომ ვარშავის აჯანყება ამ მოლაპარაკების დროს მის პოზიციებს გააძლიერებდა.

აჯანყებულებმა ვერ შეძლეს ვარშავის სტრატეგიული პუნქტების ხელთ ჩაგდება. აჯანყებულთ ვარშავის მთელმა მოსახლეობამ დაუჭირა მხარი,. მაგრამ სამწუხაროდ ეს მხარდაჭერა სტიქიურ და არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ვარშაველებმა არაფერი არ იცოდნენ ამ აჯანყების მზადების შესახებ. ისინი მასში ჩაებნენ ოკუპანტების წინააღმდეგ დიდი სიძულვილის გამო. აჯანყებაში ჩაება აგრეთვე ლუდოვოს არმიაც და ამრიგად, მან საყოველთაო ხასიათი მიიღო.

საბჭოთა სარდლობა თავს იმართლებს იმით. რომ თითქოს არაფერი არ იცოდა ამ აჯანყების შესახებ, რომ საბჭოთა ჯარები ზაფხულის დიდი შეტევის შედეგად თითქოს დაქანცულნი იყვნენ და ამავე დროს მოწყვეტილნი იყვნენ ზურგიდან და საჭიროებდნენ დასვენებასა და შევსებას. ამიტომ საბჭოთა სარდლობას ამ დროისათვის არ ჰქონდა გეგმაში ვარშავაზი შეტევის დაწყება. საბჭოთა მფრინავები აჯანყებულებს თვითმფრინავიდან უყრიდნენ საომარ მასალას, იარაღს, სურსათს. ამასთანავე საბჭოთა ჯარები პოლონეთის ჯარებთან ერთად სწრაფი შეტევებით 14 სექტემბერს დაეუფლნენ ვარშავის მარჯვენა სანაპიროს, მაგრამ მარცხენა სანაპიროზე გადასვლა. სადაც მიმდინარეობდა აჯანყება. ვერ შეძლეს.

ჰიტლერელებმა ვარშავის გარეუბნებიდან თავი მოუყარეს დედაქალაქში დიდძალ ჯარებს, შეავიწროვეს აჯანყებულები, მოწყვიტეს ვისლას და ალყა შემოარტყეს მათ ქალაქის დასავლეთ რაიონებში. 2 ოქტომბერს კრაიოვოს არმია სარდალ კომოროვსკის მეთაურობით ჰიტლერელებს ჩაბარდა.

ვარშავის აჯანყება ერთ-ერთი უდიდესი ანტიფაშისტური აჯანყებაა ომის დროს, მან დიდებისა და გმირობის ფურცლები ჩაწერა პოლონელი ხალხის ბრძოლის ისტორიაში ფაშიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ვარშაველებს ძალზე ძვირად დაუჯდათ ეს ცუდათ ორგანიზებული და სრულიად მოუმზადებელი უიარაღო ხალხის აჯანყება. ამ აჯანყებისას 250 ათასამდე ვარშაველი დაიღუპა. ჰიტლერის პირადი ბრძანებით მთელი ქალაქი დანგრეული იქნა, ხოლო მისი მცხოვრებნი საკონცენტრაციო ბანაკებში გარეკეს, სადაც უმრავლესობა დაიღუპა. დედაქალაქის თაობიდან თაობამდე შექმნილი მატერიალური და კულტურული ძეგლები და უძვირფასესი ფასეულობა ნანგრევებსა და ცეცხლში ჩაიფერფლა.

ასეთია შედეგი ამ ავანტიურისტული და მოუფიქრებელი გამოსვლისა.

1944 წლის 6-7 აგვისტოს მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლებსა და მიკოლაიჩიკის ემიგრანტულ მთავრობას შორის. მიკოლაიჩიკმა უარი თქვა ეცნო 1921 წლის კონსტიტუცია და მოითხოვდა 1935 წლის კონსტიტუციის შენარჩუნებას. მან დაგმო აგრეთვე ის სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები, რომელიც პოლონეთში განთავისუფლების მსვლელობაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკება მათ შორის ჩაიშალა. ამის შემდეგ მიკოლაიჩიკმა საბჭოთა მთავრობისაგან მოითხოვა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტისათვის მხარდაჭერის შეწყვეტა, სადაც ძირითადად კომუნისტები იყვნენ მოკალათებულნი, რაზეც საბჭოთა მთავრობამ უარით უპასუხა.

საბჭოთა ჯარებმა ვარშავა 1945 წლის 17 იანვარს გაანთავისუფლეს, ხოლო 1 თებერვალს ქალაქ ლუბლინიდან პოლონეთის დროებითი მთავრობა ვარშავაში გადავიდა. მისი მეთაური ანუ პრემიერი გახდა ვ. ოსუბკა-მორავსკი, პირველი მოადგილე—ვ. გომულკა.

პოლონეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1945 წლის 21 აპრილს საბჭოთა კავშირ-პოლონეთს შორის მოსკოვში ხელმოწერილ ხელშეკრულებას მეგობ-

რობის, ურთიერთდახმარებისა და ომის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

სამი სახელმწიფოს მეთაურთა ყირიმის კონფერენციაზე, საბჭოთა კავშირის დაჟინებით მოთხოვნის შედეგად აშშ და ინგლისი იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ პოლონეთისათვის მისი კუთვნილი დასავლეთის მიწების უკან დაბრუნებაზე. პოტსდამის კონფერენციამ საბოლოოდ დაადასტურა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილება და დაადგინა პოლონეთის დასავლეთის საზღვრები. ამის მიხედვით პოლონეთის დასავლეთის საზღვარი შემდეგნაირად დადგინდა: ბალტიის ზღვიდან სვინემუნდის ცოტა დასავლეთით და იქიდან მდინარე ოდერის გასწვრივ დასავლეთ ნოისეს შესართავამდე და დასავლეთ ნოისედან ჩეხოსლოვაკიამდე. პოლონეთის საზღვრებში შევიდა აღმოსავლეთ პრუსიის სამხრეთი ნაწილი. პოლონეთი ღებულობდა ბალტიისპირეთში ფართო ზოლს მსხვილი საპორტო ქალაქებით დანციგით (ამჟამად გდანსკი) და შტეტინით (ამჟამად შეცინი). პოლონეთისათვის დაბრუნებული ტერიტორიიდან გერმანელი მოსახლეობა უნდა გასახლებულიყო გერმანიაში. ყირიმის კონფერენციაზე გადაწყდა პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების საკითხიც, რომელიც უნდა გასულიყო „კერზონის ხაზის“ გასწვრივ, ზოგიერთ ადგილებში ჩვენი საზღვრებისაკენ 5—8 კილომეტრის გადახრით პოლონეთის სასარგებლოდ.

1945 წლის 16 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების შესახებ. ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილების მიხედვით საზღვარი ამ ორ სახელმწიფოს შორის დაწესდა ე. წ. კერზონის ხაზის მიხედვით საბჭოთა საზღვრებისკენ 17—30 კმ-ის გადახრით პოლონეთის სასარგებლოდ. საბჭოთა კავშირმა პოლონეთის სასარგებლოდ უარი თქვა პრეტენზიებზე გერმანიის იმ საწარმოებსა და აქციებზე, რომლებიც პოლონეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა თავისი რეპარაციების ხვედრიდან, რომელიც მას გერმანიიდან უნდა მიეღო, პოლონეთს დაუთმო: მთელი რეპარაციების მიწოდების 15% საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან, და 15% დასავლეთის ზონიდან.

ერთპარტიული დიქტატურის დამყარება

ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის ზაფხულში პოლონეთში დაბრუნდა პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა მიკოლაიჩიკის მეთაურობით. მიკოლაიჩიკი და მისი მომხრეები სარგებლობდნენ ინ-

გლის-ამერიკის მხარდაჭერით და მიზნად ისახავდნენ ომამდელი რეჟიმის აღდგენას პოლონეთში. 1945 წლის ივნისში შეიქმნა ეროვნული ერთობის მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შეიყვანეს მიკოლაიჩიკი და მისი მომხრეები[1].

მიკოლაიჩიკმა მთავრობაში დაიკავა მეორე ვიცე-პრემიერის პოსტი. მიკოლაიჩიკის ჯგუფი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა მრეწველობის, ვაჭრობის, ბანკებისა და ტრანსპორტის ნაციონალიზაციისათვის, რომელიც როგორც ვიცით, ჯერ კიდევ განთავისუფლების მსვლელობაში ტარდებოდა. მიუხედავად მიკოლაიჩიკის და მისი ჯგუფის წინააღმდეგობისა 1946 წელს კრაიოვო რადა ნაროდოვამ მიიღო კანონი მრეწველობის, ბანკების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზებულ იქნა საწარმოები, სადაც 20 კაცზე მეტი მუშაობდა. წარმოების ნაწილი გადავიდა კოოპერატივების ხელში. ამ რეფორმის შედეგად მთელი მსხვილი და საშუალო მრეწველობა ნაციონალიზებულ იქნა. წვრილი საწარმოები ხელუხლებელი რჩებოდა. მათ ხელში რჩებოდა საწარმოების 16%. საბანკო სისტემა მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მსხვილი, საშუალო მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციის შედეგად ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ სტრუქტურაში ძირეული ცვლილებები მოხდა. ეკონომიკური საფუძველი გამოეცალა სანლვარგარეთის კაპიტალისა და ადგილობრივი მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ბატონობას ქვეყანაში. მრეწველობის ნაციონალიზებას ღაემთხვა აგრეთვე აგრარული რეფორმის გატარებაც.

მიკოლაიჩიკი და მისი ჯგუფი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ აღნიშნული გარდაქმნების გატარებას. მიკოლაიჩიკმა ჯერ კიდევ 1945 წლის აგვისტოში მოახერხა გლეხთა პარტიის სტრონიცტვო ლუდოვოს გათიშვა, მიიმხრო ამ პარტიის მემარჯვენე ელემენტები და შექმნა პარტია პოლსკოე სტრონიცტვო ლუდოვოს (პსლ) სახელწოდებით. მასში გაერთიანდნენ ქვეყნის ყველა ბურჟუაზიული ძალები. კომუნისტებმა სოციალისტებთან და პროფკავშირებთან ერთად ერთიანი საარჩევნო ბლოკი შექმნეს.

1946 წლის 30 ივნისს, ზოგიერთი კონსტიტუციური საკითხის გადასაჭრელად, ჩატარდა საერთო-სახალხო რეფერენდუმი, რომელიც

---

[1] ყირიმის კონფერენციაზე აშშ-ის და ინგლისის მთავრობებმა მოითხოვეს. პოლონეთში შექმნილიყო მთავრობა ემიგრანტული მთავრობის ბაზაზე მიკოლაიჩიკის მეთაურობით და სახალხო წარმომადგენლების მონაწილეობით. დასავლეთის სახელმწიფოები ფიქრობდნენ, რომ მიკოლაიჩიკი ასეთ შემთხვევაში შეძლებდა ძალაუფლების შენარჩუნებას საშინაო და საერთაშორისო ძალების მხარდაჭერის გზით. ისინი ემიგრანტული მთავრობის ბაზაზე მთავრობის შექმნას მოითხოვდნენ ეროვნული ერთიანობის შენარჩუნების მოტივით.

ფორმალურად ტარდებოდა. გამოცხადდა, რომ ხალხმა ხმა მისცა სენატს გაუქმებას. კომუნისტების მიერ შექმნილ საარჩევნო ბლოკში ოთხი პარტია გაერთიანდა: პოლონეთის მუშათა პარტია, პოლონეთის სოციალისტური პარტია, გლეხთა პარტია, დემოკრატიული პარტია და აგრეთვე პროფკავშირები. მათი პროგრამა მოითხოვდა ქვეყნის ღრმა გარდაქმნით ღონისძიებებს და ძლიერი და დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნას. მიკოლაიჩიკის პარტიას მხარს უჭერდნენ დასავლეთის სახელმწიფოები. ამავე დროს საკანონმდებლო სეიმის არჩევნების დროს, რომელიც 1947 წლის 19 იანვარს ჩატარდა, ინგლის-ამერიკის მთავრობა ცდილობდა პოლონელ ამომრჩევლებზე ზეგავლენა მოეხდინა მიკოლაიჩიკის სასარგებლოდ. აღნიშნული მთავრობის წარმომადგენლებმა თავიანთ განცხადებებში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს პოლონეთის დასავლეთის საზღვრები. თუ პოლონელი ამომრჩევლები ხმას მისცემდნენ კომუნისტებს, რამაც უკურეაქცია გამოიწვია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიკოლაიჩიკის გლეხთა მემარჯვენე პარტიამ და მისმა მომხრე სხვა მემარჯვენე ჯგუფებმა დემოკრატიული ბლოკის დემაგოგიურ პროგრამას ვერაფერი საპასუხო ვერ დაუპირისპირეს. მემარჯვენეებს მხარს უჭერდნენ ანტიკომუნისტური იატაკქვეშა ბანდები, რომელნიც თავს ესხმოდნენ და ხოცავდნენ დემოკრატიულ მოღვაწეებს. მათთან უშუალო კავშირის საბაბით მიკოლაიჩიკის პარტიის 22 საარაიონო ორგანიზაცია დაიხურა.

აღნიშნულ არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია კომუნისტების მიერ შექმნილმა ბლოკმა, რომელმაც 444 ადგილიდან 384 ადგილი მიიღო. მიკოლაიჩიკი და მისი ჯგუფი დარწმუნდნენ თავის წარუმატებლობაში და საზღვარგარეთ გაიქცნენ. 1947 წლის 5 თებერვალს შეიქმნა ახალი მთავრობა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ბოლესლავ ბერუტი. სეიმმა მიიღო ოსუბკა-მორავსკის მთავრობის გადადგომა[1]. მთავრობის შედგენა დაევალა უ. ცირანკევიჩს.

1947 წლის 19 თებერვალს მიღებულ იქნა ე. წ. მცირე კონსტიტუცია — „საკონსტიტუციო კანონი პოლონეთის რესპუბლიკის სტრუქტურისა და უმაღლესი ორგანოების კომპეტენციების შესახებ“,

---

[1] ოსუბკა-მორავსკი პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი მემარჯვენე ლიდერი იყო. მან წამოაყენა „თეორია“, რომელიც აცხადებდა სოციალისტური, კაპიტალისტური და წვრილსაკუთრული სექტორების პარალელური განვითარების შესაძლებლობას პოლონეთის ეკონომიკაში. ამ თეორიიდან გამომდინარე დასკვნა „მესამე ძალის“ კონცეფციის შესახებ, პოლონეთის მუშათა-პარტიასა და მიკოლაიჩიკის გლეხთა პარტიას შორის, რაც არ მოეწონათ, არც მოსკოვსა და არც ადგილობრივ კომუნისტურ ხელმძღვანელობას

ხოლო 22 თებერვალს სამოქალაქო უფლებების და თავისუფლების შესახებ. აღნიშნული კანონებით საკანონმდებლო ხელისუფლება გადავიდა საკანონმდებლო სეიმის, ხოლო აღმასრულებელი—პრეზიდენტის, სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ხელში. ცხადდებოდა დემოკრატიული თავისუფლებები. მაგრამ ეს ყველაფერი ქაღალდზე დარჩა.

1944—1946 წლებში ჩატარებული გარდაქმნები, ძირითადად, კომუნისტური ხასიათისა იყო.

1947 წლის სეიმის არჩევნებში დემოკრატიული ძალების გამარჯვებით პოლონეთში იწყება განვითარების ახალი, კომუნისტური დიქტატურისა და სოციალიზმის საფუძველის მშენებლობის პერიოდი.

§ 20. პოლონეთი XX-იანი წლების ოცლოს და XX-იან წლებში

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის შექმნა

1947 წლისათვის ძირითადად დამთავრდა აგრარული რეფორმისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის გატარება. განადგურებულ იქნა ყველა ბურჟუაზიული პარტია. კომუნისტებმა თავისი ხელისუფლების განმტკიცების და ერთპარტიული დიქტატურის დამყარების მიზნით განიზრახეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია. ამ პარტიის ლიდერების დაპატიმრებისა და ფიზიკური განადგურების ან ქვეყნიდან განდევნის შემდეგ, 1948 წლის დეკემბერში, შედგა აღნიშნული პარტიების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელზეც შეიქმნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია (პგმპ) მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე. ყრილობამ მიიღო პროგრამა და წესდება, წესდებაში მითითებული იყო, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მიზანია სოციალისტური წყობილების აშენება, რომელშიც მოისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

პარტიის ერთიან ეროვნულ ბლოკში გაერთიანება

1949 წელს გაერთიანდა „სტრონიცტვო ლიუდოვო“ და მიკოლაიჩიკის მიერ შექმნილი, მაგრამ ამჯერად უკვე ბურჟუაზიული ელემენტებისაგან გაწმენდილი „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვო“ და შეიქმნა გლეხთა გაერთიანებული პარტია.

1950 წლის ივლისში გაერთიანდა კიდევ ორი პარტია—დემოკრატიული პარტია (იგი აერთიანებდა პროგრესულად განწყობილ ინტელიგენციას და ხელოსნებს) და „შრომის პარტია“ („სტრონიცტვო

პრაცი", აერთიანებდა ქალაქის ხელოსნებსა და ვაჭრებს). ამ ორი პარტიის გაერთიანების შემდეგ მან მიიღო დემოკრატიული პარტიის სახელწოდება. სამივე პარტია სცნობდა პგმპ-ის ხელმძღვანელ როლს. 1951 წელს პგმპ-ის ინიციატივით შეიქმნა „ხალხთა" ეროვნული ფრონტი, რომლის შემადგენლობაში შერეკეს ყველა პოლიტიკური პარტია და მასობრივი ორგანიზაცია—პროფკავშირები, სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი, სოფლის ახალგაზრდობის კავშირი, პოლონელი სტუდენტების კავშირი. არსებული პოლიტიკური პარტიების მიერ პგმპ-ის ხელმძღვანელი როლის ცნობამ, დაბოლოს, ყველა პარტიის და ორგანიზაციის გაერთიანებამ ერთიან ეროვნულ ბლოკში ხელი შეუწყო პოლონეთში პგმპ-ის დიქტატურის განმტკიცებას. ომამდელი პოლონეთი ღარიბი და ეკონომიკურად ჩამორჩენილი იყო. მისი სამრეწველო პოტენციალი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის სამჯერ ნაკლები იყო ვიდრე ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჰიტლერულმა ოკუპაციამ დიდი ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ეროვნული სიმდიდრის თითქმის 40% განადგურდა. პოლონეთი წარმოადგენდა ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას. მსხვილი და საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ სახელმწიფოს ხელში გადავიდა 15 ათასი სამრეწველო საწარმო, სადაც შრომობდა წარმოებაში დაკავებული მუშათა 78%.

1947 წელს მთავრობამ გაატარა „ბრძოლა ვაჭრობისათვის". რომლის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ დაეხურათ ყველა ის არხი, რომლითაც კაპიტალისტური ელემენტები სახელმწიფო საწარმოებში წარმოებული პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის ხელში ჩაგდებით და გაყიდვით ხელს ითბობდნენ. ეს ღონისძიება წარმატებით ჩატარდა. უკვე 1948 წლისათვის სახელმწიფო საცალო ვაჭრობა 10-ჯერ გაიზარდა. სოციალისტური სექტორის წილი საბითუმო ვაჭრობაში შეადგენდა 80—85%. საგარეო ვაჭრობის მოცულობამ ომამდელს გადააჭარბა.

ომის დამთავრებისთანავე მთავრობა სათავეში ჩაუდგა პოლონეთის ძველი დასავლეთის მიწების აღორძინების საქმეს. ჰიტლერელებმა ამ მიწებიდან უკან დახევის დროს წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურეს. ამ მიწებზე ადრე მცხოვრები გასახლებული ბერმანელების ნაცვლად მთავრობამ იწყო უფრო მჭიდროდ დასახლებული სხვა რაიონებიდან პოლონელების ჩასახლება. სოფლები და ქალაქები იქ სულერთიანად გადაბუგული და ყველაფერი ახლიდან ღასაწყები იყო. ამიტომ მოსახლეობა თავს არიდებდა იქ ჩასახლებას

ხალო ჩასახლებულნი უკან ბრუნდებოდნენ. მთავრობას დიდი ენერგიისა და სახსრების დახარჯვა დასჭირდა იმისათვის, რათა გადაეჭრა დასავლეთის მიწებზე ხალხის დასახლება, სოფლის მეურნეობისა და წარმოების აღდგენა. ამ მიზნით იქ დიდი თანხები ბანდდებოდა. 1948 წელს დასავლეთის მიწებზე მოდიოდა მთელი სახელმწიფოს დაბანდების საერთო თანხის 38%. 1949 წლისათვის დასავლეთის მიწებზე უკვე 6 მილიონი კაცი ცხოვრობდა. პოლონელი ხალხის აღმშენებელ მუშაობას დასავლეთის ოლქებში დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი.

პოლონეთის მუშათა პარტიამ შეიმუშავა სამწლიანი გეგმა (1947—1949), რომლის ძირითადი ამოცანა იყოს სახალხო მეურნეობის აღდგენა, ომამდელი დონისათვის მიღწევა და მისი შემდგომი განვითარება. გამოცხადდა, რომ სამწლიანი გეგმის შესრულების შედეგები ის იყო, რომ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით პოლონეთმა ომამდელ დონეს გადააჭარბა.

ექვსწლიანი გეგმის (1950—1955 წწ.) მთავარ ამოცანად გამოცხადდა პოლონეთში სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა. მისი განხორციელების დაწყების წინ სოციალისტურ სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტი ადგილი ეკავა. განსაკუთრებით მრეწველობაში, სადაც იგი შეადგენდა 89%. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ შემდეგნაირი მდგომარეობა იყო. 1949 წლიდან პოლონეთში დაიწყო საწარმოო კოოპერატივების შექმნა. მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწების ნაწილზე შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები. არსებობდა აგრეთვე მანქანა-ტრაქტორების სადგურები, რომლებიც დახმარებას უწევდნენ სახელმწიფო კოოპერაციულ და გლეხთა მეურნეობებს.

სამწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ პოლონეთმა კი გადააჭარბა ომამდელ დონეს, მაგრამ ომამდე ხომ იგი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, ამიტომ ექვსწლიანი გეგმა მიზნად ისახავდა ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, მძიმე ინდუსტრიის, როგორც კაპიტალური მშენებლობის, უპირატესად განვითარებას. გეგმით გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გაზრდა.

ექვსწლიანი გეგმის მსვლელობის პერიოდში პოლონელმა ხალხმა დიდ წარმატებას მიაღწია თავისი ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: საავტომობილო, საავიაციო, გემთსაშენი, სატრაქტორო, დაზგათსაშენი, აიგო ძლიერი ელექტროსადგურები, აღმოცენდა ახალი სამრეწველო ცენტრები: ლუბ-

ლინი, ჟეშუვი, კრაკოვი და სხვ. ექვსწლიანი გეგმის შესრულების შედეგად პოლონეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

1952 წლის კონსტიტუცია

ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის მშენებლობის პროცესში ხდებოდა ცვლილებები აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ცვლილებები დაკანონდა და განმტკიცდა 1952 წლის კონსტიტუციით, რომლის პროექტი მიიღო სეიმმა აღნიშნული წლის დასაწყისში და დაამტკიცა 22 ივლისს ხალხის მიერ საყოველთაო განხილვის შემდეგ. კონსტიტუციით დაკანონდა ქვეყანაში მომხდარი ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილება. კონსტიტუცია ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აცხადებდა ერთპალატიან სეიმს და სახელმწიფო საბჭოს. სეიმს ირჩევნდენ ოთხი წლის ვადით. მისი რწმუნებები ფიქტიური ხასიათისა იყო. სახელმწიფო საბჭოს ირჩევდა სეიმი და მას სეიმის სესიებს შორის პერიოდში უფლება ჰქონდა გამოეცა კანონები. ადგილობრივ ხელისუფლებას ახორციელებდნენ სახალხო საბჭოები, ანუ როგორც პოლონეთში უწოდებენ „რადი ნაროდოვები". პრეზიდენტის პოსტი გაუქმდა და მის ნაცვლად დაწესდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ გამოცხადდა მინისტრთა საბჭო, რომელიც მხოლოდ ფორმალურად იყო პასუხისმგებელი სეიმის წინაშე. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იღებდა 18 წლის ასაკის ყველა მოქალაქე. ახალი კონსტიტუციის საფუძველზე 1952 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა სეიმის არჩევნები. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე ზავადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ—კვლავ ი. ცირანკევიჩი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VIII პლენუმი და მისი გადაწყვეტილებები

როგორც უკვე აღინიშნა, ექვსწლიანი გეგმის განხორციელების დროს წარმოიშვა სიძნელენი ქვეყნის ეკონომიკურ და მშრომელთა მატერიალურ ურთიერთობაში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში გრანდიოზულ წარმატებებთან ერთად პოლონელი ხალხი აღმოჩნდა მთელი რიგი სიძნელეების წინაშე. საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის გამო დიდი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო მნიშვნელო-

ბის მრეწველობის განვითარებას, რის გამოც აქ გაწეული იქნა გაუთვალისწინებელი დამატებითი ხარჯები, მრეწველობის ზოგიერთმა დარგებმა (ქვანახშირის, ცემენტის და ა. შ.) ვერ შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული ამოცანები და სხვა დარგების განვითარებასთან შედარებით ჩამორჩენა იწყეს. ამასთანავე, სოფლის მეურნეობამ ვერ შეასრულა ექვსწლიანი გეგმით დასახული ამოცანები. სკკპ-ის XX ყრილობაზე პიროვნების კულტის კრიტიკამ დიდი გავლენა მოახდინა პოლონეთზე. გაძლიერდა სოციალისტური მშენებლობის დროს დაშვებული შეცდომების კრიტიკა. კომუნისტური პოზიციებიდან გამომდინარე სწორ კრიტიკასთან ერთად ქვეყნად არსებულმა ბურჟუაზიულმა და ოპოზიციურმა ელემენტებმა გააჩაღეს, საერთოდ, სოციალისტური წყობილების, პარტიის დიქტატურის და ქვეყანაში გატარებული სოციალური გარდაქმნების წინააღმდეგ კრიტიკა. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც აიდეალებდნენ პოლონეთში ადრე არსებულ ფაშისტურ რეჟიმს და მოითხოვდნენ მის აღდგენას. ამას ისიც დაემთხვა, რომ 1956 წლის მარტში გარდაიცვალა პგმპ-ის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი. შექმნილი ვითარება გამოიყენეს ქვეყნის შიგნით არსებულმა იატაკქვეშა ძალებმა, რომლებმაც წინასწარ შედგენილი გეგმით დაიწყეს მოქმედება. მათ 1956 წლის 28 ივნისს პოზნანში, სადაც მიმდინარეობდა საერთაშორისო ბაზრობა, მოაწყვეს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. აჯანყებულები თავს დაესხნენ სამხედრო პროკურატურის შენობას, რადიოსადგურს, ბანკს, ვაგზალს, ციხეს და გამოუშვეს პატიმრები. ეს გამოსვლები მთავრობამ მეორე დღესვე ჩაახშო.

1956 წლის ოქტომბერში პოლონეთში პოლიტიკური ვითარება კვლავ გამწვავდა. პარტიის მიერ საჯაროდ გატარებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გამოყენებას ოპოზიციონერები თავის სასარგებლოდ ცდილობდნენ. „სტალინელების“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მათ გააჩაღეს კამპანია მთელი პარტიის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ისეთივე ამბების მოწყობას, როგორსაც ადგილი ჰქონდა უნგრეთში. შექმნილმა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა ხელი შეუწყეს იმას, რომ გაძლიერდა პოლონეთის საშინაო და საგარეო ძალების ერთობლივი მოქმედება პგმპ-ის დიქტატურის დასამხობათ. ამ დროს მიმდინარეობდა ინგლის-ისრაელის ინტერვენცია ეგვიპტის წინააღმდეგ, აჯანყება უნგრეთში და დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გაჩაღებული ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ასეთ ვითარებაში 1956 წლის ოქტომბრის დამლევს ჩატარდა პგმპ-ის ცკ VIII პლენუმი. პლენუმმა სასტიკად გააკრიტიკა წარსულის შეცდომები, კანონმდებლობის დარღვევანი, სოცია-

ლიზმის მშენებლობის მანკიერი მეთოდებით ხელმძღვანელობა და დასახა ღონისძიებანი სოციალიზმის მშენებლობაში შექმნილი სიძნელეების სწრაფი ლიკვიდაციისათვის.

გადაწყდა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილიყო კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების მიზნით. შეიცვალა აგრეთვე სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეთოდები და ხელმძღვანელობა. გაიზარდა სამრეწველო საწარმოების უფლებები. წარმოებაში მშრომელთა როლის გაზრდის მიზნით შეიქმნა მუშათა თვითმმართველობის ორგანოები, რომელთაც ფართო რწმუნებები მიეცათ. პლენუმმა ბგმპ-ის პირველ მდივნად აირჩია ელადისლავ გომულკა, რომელიც უკანონოდ იყო რეპრესირებული. პლენუმმა სასტიკად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ერთპარტიული დიქტატორული რეჟიმის ლიკვიდაციას და ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების აღდგენას. პლენუმზე გადაწყდა ლიკვიდაცია მოეხდინათ ნაკლებად რენტაბელურ კოოპერატივებისათვის რომლებიც სახელს უტეხდნენ სოფლის მეურნეობის კოოპერირების საქმეს და მხარი დაეჭირათ ძლიერი კოოპერაციული მეურნეობისათვის. შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავალდებულო ჩაბარებანი, ფასები კი ზოგიერთ პროდუქტებზე გაიზარდა, გაუმჯობესდა სოფლის მომარაგება სასუქებით, საამშენებლო მასალებით, გაიზარდა დახმარება კოოპერატივებისათვის. ამ პოლიტიკამ შემდგომშიც ჰპოვა განვითარება, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და გაიზარდა მოსახლეობის ცხოვრების დონე[1].

პლენუმმა განაცხადა, რომ პარტია ყოველგვარ ზომებს მიიღებს მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მშრომელებს გაეზარდათ ხელფასი, პენსიები და დახმარება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სეიმისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებების გაზრდის შესახებ. მაგრამ ეს დაპირებები ქაღალდზე დარჩა.

შეკრებილმა სეიმმა, 1957 წლის 20 თებერვალს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ალექსანდრე ზავადსკი აირჩია, ხოლო მთავრობის შედგენა ისევ ცირანკევიჩს დაევალა.

---

[1] პირველი უთწლიანი გეგმა (1956—1950) ითვალისწინებდა ქვეყნის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას, სოფლად სოციალისტური მშენებლობის შემდგომ გაფართოებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდას 25%-ით. მშრომელთა შემოსავლისას კი—30%-ით. სამრეწველო წარმოება უნდა გაზრდილიყო 49,1 პროცენტით.

ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება 60-იან წლებში და 70-იანი წლების დამდეგს

1959 წლის მარტში შედგა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა-პარტიის III ყრილობა, რომელმაც მოახდინა პირველი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადასინჯვა დაგეგმილის გადიდების მიზნით. გამოცხადდა, რომ პირველი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა—სამრეწველო წარმოება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 49.1 პროცენტისა გაიზარდა 58,8%-ით. სამრეწველო პროდუქციის წამოების ტემპების ყოველწლიური ზრდა პირველ ხუთწლედში შეადგენდა 9,9%-ს, ეროვნული შემოსავლისა—6,5%. ხოლო ეროვნულ შემოსავალში კაპიტალური დაბანდების ხვედრითმა წონამ ხუთწლედში შეადგინა 15,4%. საყურადღებოა, რომ სამრეწველო პროდუქციის მატების 3/4 მიღებულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. ეს უკანასკნელი ხუთწლედში კი 45%-ით გაიზარდა. მშრომელთა რეალური შემოსავალი ხუთწლედში 29%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში უფრო მეტი საცხოვრებელი ბინა აშენდა, ვიდრე მთელ ომამდელ პოლონეთში.

1960 წელს სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა პოლონეთის მრეწველობის საერთო პროდუქციაში უდრიდა 99,4 პროცენტს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში—10,6, ხოლო საქონელბრუნვაში—97,8 პროცენტს. პოლონეთი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად, რომლის საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს ცვლილებები საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში. მაგალითად, ომამდელ პოლონეთში, 1938 წლისათვის მთელი ექსპორტის 1,4% მოდიოდა მანქანებსა და ტრანსპორტის საშუალებებზე, 1960 წლისათვის კი 28%.

ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა აგრეთვე პოლონეთის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიულ მიმართულებაში. ომამდელი პოლონეთი ძირითადად ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობდა, ქვეყნის მთელი ვაჭრობის მხოლოდ 0,5% მოდიოდა საბჭოთა კავშირზე. 1960 წლისათვის პოლონეთის მთელი საგარეო ვაჭრობის 62,3% მოდიოდა სოციალისტურ ქვეყნებზე, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებზე კი მოდიოდა 55,2%. მაგრამ პოლონეთის ეკონომიკური ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან მარტო ვაჭრობით კი არ იყო შემოფარგლული. როგორც უკვე ვიცით, სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარდა ახალი ეკონომიკური ურთიერთობა — შრომის სოცი-

ალისტური დანაწილება, სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაცია, სამრეწველო ობიექტების ერთობლივი მშენებლობა, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება. პოლონეთმა აღნიშნულ პერიოდში თავისი საგარეო ვაჭრობა გააფართოვა, აგრეთვე ევროპის ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანასთან.

1959 წლის გაზაფხულზე შემდგარმა პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიის III ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები (1961—1965 წწ), რომელიც 1961 წლის თებერვალში დამტკიცა სეიმმა. გამოცხადდა, რომ მეორე ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მასების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების პროგრამას.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო წარმოების გაზრდას 52%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისას—22%-ით, ეროვნული შემოსავლისას—40,6%-ით, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა რეალური შემოსავლისას—23%-ით. ქვეყნის ტერიტორიაზე ძალთა განლაგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ოთხი ახალი სამრეწველო რაიონის შექმნას. მაგრამ ბევრი რამ ამ რეკლამირებული ციფრებიდან ქაღალდზე დარჩა.

მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს პოლონელი ხალხი მთელი რიგი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. 1962—1963 წლებში ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, დიდი მოუსავლიანობა იყო, ე. წ. „საუკუნის ზამთრის“ შედეგად, რასაც მოჰყვა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების მკვეთრი შემცირება. იმპორტის ზრდის გამო ექსპორტთან შედარებით სიძნელეები შეიქმნა საგარეო ვაჭრობაშიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, მეორე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის წარმატებები მაინც დიდი იყო: სამრეწველო წარმოება 50,9%-ით გადიდდა, აქედან მანქანათმშენებლობის — 88%-ით, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის — 71%-ით, ტრაქტორების რიცხვი გაიზარდა 89%-ით. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა მეორე ხუთწლედის ბოლოს ომამდელ დონესთან შედარებით 9-ჯერ გაიზარდა. პოლონეთის მრეწველობამ ხუთწლედის ბოლოს 3-ჯერ მეტი ქვანახშირი, 5,5-ჯერ მეტი ფოლადი, 27-ჯერ მეტი რკინიგზის ვაგონები აწარმოვა. მარტო 1964 წელს მწყობრში ჩადგა 100-ზე მეტი ახალი ქიმიური საწარმო. დიდი ქიმიის საფუძველს პოლონეთში წარმოადგენს ნავთობის გადამამუშავებელი ქარხანა ქალაქ პილცკში, რო-

მელიც მუშაობს „მეგობრობის“ ნავთსადენიდან მიღებულ ნავთობზე. პოლონეთი მეორე ხუთწლედში გადაიქცა ევროპის წამყვან გემთსაშენ სახელმწიფოდ.

სახელმწიფო საბჭოსა და სეიმის გადაწყვეტილებით 1960—1966 წწ. გამოცხადდა პოლონეთის სახელმწიფოს შექმნიდან ათასი წლისთავის იუბილედ. ამ ღირსშესანიშნავი იუბილეს დღესასწაულმა პოლონელ ხალხში დიდი პატრიოტული მოძრაობა გამოწვია. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიამ თავისი გავლენის გაზრდის მიზნით მრავალი წამოწყების ინიციატორი გახდა, რათა ქვეყანაში პატრიოტული მოძრაობა გამოეწვია. დევიზით „ერი—თავისი ახალგაზრდობისა“ საზოგადოებრივ სახსრებზე აგებულ 1200-ზე მეტი „სკოლა ათასი წლისთავისა“, საავადმყოფოები, სტადიონები, კულტურული დაწესებულებები: გაიყვანეს ათასი კილომეტრის გზა. ათასი წლისთავის იუბილეს დღესასწაულის დროს აღინიშნა აგრეთვე პოლონელი ხალხის სხვა ღირსშესანიშნავი თარიღი: გრიუნვალდის ბრძოლის 550-ე წლისთავი, 1863 წლის აჯანყების ასი წლისთავი, სახალხო პოლონეთის შექმნის 20 წლისთავი.

1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მსვლელობაში მიმდინარეობდა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება. ხალხის ენერგიული შრომითი საქმიანობის შედეგად მესამე ხუთწლედით გათვალისწინებული ძირითადი მაჩვენებლები შესრულდა. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 34%-ით. 1970 წლისათვის წარმოებული იქნა: ელექტროენერგია 64,5 მლრდ კვ. საათი, ქვანახშირი 140.1 მლნ ტონა; ფოლადი 11,79 მლნ ტონა; აზოტური სასუქები 1031,4 ათასი ტონა; აგებულ იქნა საზღვაო გემები 2518,5 ათასი ტონა დედვეიტით[1], გამოშვებულ იქნა 67.9 ათასი მსუბუქი ავტომანქანა. მესამე ხუთწლედში შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები 1,5 მლნ კაცისათვის. აღმოცენდა ახალი სამრეწველო რაიონები: ლეგნიც-გლუტოვო, ტუროშოვი, პლოცკი, კონინსკი. აგებულ იქნა და ექსპლოატაციაში გადაეცა მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბაზა. 1965 წელთან შედარებით ძირითადი ფონდები სოფლის მეურნეობაში 22%-ით გაიზარდა და შეადგინა 530 მლრდ ზლოტი. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა 50%-ით.

მაგრამ, ამ დიდ წარმატებებთან ერთად, მესამე ხუთწლედში ერთგვარი სიძნელეებიც შეიქმნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში,

---

[1] დედვეიტი ნიშნავს გემის მთლიან ტვირთმზიდაობას, მათ შორის ცხოვრებისათვის ყველა აუცილებელი მარაგით (სათბობით, წყლით და სხვ.).

რომლის მიზეზად პოლონეთის ეკონომისტები 1970 წლის მკაცრ და გახანგრძლივებულ ზამთარს ასახელებენ. ზოგიერთ საოლქოში სეზონურად დაზიანდა ზამთრის ნათესები, რის გამოც ერთ მილიონზე ჰექტარი დათესილი მიწა ხელახლა გადახნეს. ამის შედეგად ქვეყნის საერთო სათესი ფართობი შემცირდა 400 ათასი ჰექტარით, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ვერ შესრულდა. 1970 წელს წინა წელთან შედარებით მარცვლეულის მოსავალი 2 ცენტნერით შემცირდა და შეადგენდა 19,6 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო ქვეყნის მთლიანი მოსავალი შეადგენდა 15.4 მლნ ტონა მარცვლეულს (შემცირდა 13,8%). შემცირდა აგრეთვე მსხვილფეხა საქონლის და ღორების საერთო რაოდენობა (შესაბამისად, 210 ათასი და 900 ათასი სული). ამის შედეგად ხორცის წარმოება დაეცა 2.1%-ით.

წინა ხუთწლედთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის ტემპების ყოველწლიური ზრდა 1966—1970 წლებში უფრო დაბალი იყო და საშუალოდ შეადგენდა—8,4%. ასევე ბევრად დაბალი იყო ეროვნული შემოსავლის ტემპების ზრდაც წინა ხუთწლედებთან შედარებით. კვლავ ირღვეოდა პროპორცია წარმოების წესის წარმოებასა და სახალხო მოხმარების საგნების განვითარებას შორის, დაბალი იყო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობაც. მაგალითად. თუ 1961—1963 წწ. პოლონეთს ეროვნული შემოსავლის ყოველწლიური ტემპების ზრდით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებს შორის, 1966—1970 წწ. იგი ამ მაჩვენებლით ბოლოდან მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაზე აღინიშნა, რომ მიღწევებმა წარმოების სფეროში ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაში. რეალური ხელფასი საცალო ფასების ზრდასთან დაკავშირებით 1966—1970 წლებში საზოგადოებრივ სექტორში მხოლოდ 10%-ით გაიზარდა. გლეხთა რეალური შემოსავალი კი—მხოლოდ 3%-ით. საშინაო ბაზარზე კვების პროდუქტების არასაკმაო წარმოების გამო იგრძნობოდა მნიშვნელოვანი დაძაბულობა. საბინაო და კომუნალური მშენებლობის ტემპები შემცირდა.

ამ შეცდომებზე იმსჯელა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცკ-ის VI ყრილობამ, რომელზეც აღინიშნა, რომ ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგი იყო, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის არაკომპლექსურად და ზერელედ უდგებოდნენ. ყოველწლიური დირექტივებით კორექტივები შეჰქონდათ ხუთწლედში, რაც იმაში გა-

მოიხატებოდა, რომ კაპიტალური დაბანდებების მოცულობის გადასინჯვა ხდებოდა მისი გაზრდის გზით, იმ მიზნით, რათა უპირატესად გაეზარდათ სახალხო მეურნეობის ხან ერთი და ხან მეორე დარგი ხშირად არარეალურ დავალებებს მექანიკურად კარნახობდნენ. ასეთი პრაქტიკა საწარმოოს კოლექტივებს შორის არასტაბილურ და მერყეევ ატმოსფეროს ქმნიდა. სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სისტემაში ფართოდ პროპაგანდირებული ღონისძიებანი ეხებოდა ძირითადად კერძო საკითხებს, ხოლო მთავარ საკითხს სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფის საქმეს გვერდს უვლიდა, რამაც ასევე სიძნელეები გამოიწვია.

1970 წლის 12 დეკემბერს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საცალო ფასებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ფასების გაზრდა შეეხო სახალხო მოხმარების საქონლის დიდ ნაწილს, უპირველეს ყოვლისა, სასურსათო საქონელს—ხორცს და ხორცის ნაწარმს, თევზს, ფქვილს, ბურღულს და ა. შ., ხოლო შემცირება სამრეწველო საგნებზე შეეხო—ტელევიზორებს, რადიომიმღებებს, მაცივრებს, ხელოვნურ ბოჭკოებს, ქსოვილებს და ა. შ.

ფასების შეცვლა მოტივირებული იყო ამ საქონელზე მოთხოვნილებისა და მიწოდების გათანაბრების, მოხმარებისა და წარმოების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობით. ფასების გაზრდამ მცირეხელფასიანი და მრავალშვილიანი ოჯახების მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია, ამას მოჰყვა მუშების დიდი უკმაყოფილება და იგი უშუალო მიზეზი გახდა ბალტიისპირა ქალაქების გდანსკის, გდინის, შეცინის და ელბლონგის მშრომელების გამოსვლისა ამ ღონისძიებების წინააღმდეგ. აღნიშნულ ქალაქებში მოხდა შეტაკებანი, რომელსაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. ამ ტრაგიკულმა ამბებმა ხალხის დიდი შეძრწუნება გამოიწვია.

1970 წლის 20 დეკემბერს შედგა პგმპ-ის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით. პლენუმმა მიიღო ვ. გომულკას განცხადება ცკ-ის პირველი მდივნობიდან მისი გადადგომისა და პოლიტბიუროს წევრობიდან გამოსვლის შესახებ.

პგმპ-ის ცკ-ის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ედვარდ გერე-

კი[1]. პლენუმმა ცვლილებები მოახდინა აგრეთვე პგმპ-ის ცკ-ის საქმიანობისა და პოლიტბიუროს შემადგენლობაში. პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი განახლება მოხდა აგრეთვე სავოეოდოშიც.

პოლონეთის სეიმმა 1971 წლის 23 დეკემბერს დააკმაყოფილა ი. ცირანკევიჩის თხოვნა მისი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან განთავისუფლების შესახებ. ე. ცირანკევიჩი დაინიშნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. სეიმმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა პეტრე იაროშევიჩი[2].

1971 წლის 15 იანვარს პოლონეთის პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს პლენუმმა თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა ი. ლოგა-სოვინსკი და მის ნაცვლად თავმჯდომარედ აირჩია პგმპ-ის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი ვ. კრუჩეკი. ამრიგად, ზედა ფენებასეთი ცვლილებებით ცდილობდნენ ხალხის უკმაყოფილების ჩამოშორებას შიდა ამბებიდან.

პგმპ-ის ცკ-ის პლენუმისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ყველაზე დაბალი ხელფასების გაზრდის, მშრომელთა დაბალი ხელფასის მქონე ზოგიერთი ჯგუფებისათვის ხელფასებზე წანამატების, ოჯახური დახმარებების და აგრეთვე მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიების გაზრდის შესახებ.

1971 წლის 9 იანვარს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ორი წლის ვადით სასურსათო საქონელზე ფასების გაყინვის შესახებ.

1971 წლის 6—7 თებერვალს შედგა პგმპ-ის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც შეაფასა დეკემბრის ამბები და განიხილა პარტიის აქტუა-

---

[1] ე. გ ე რ ე კ ი დაიბადა 1913 წელს. იგი პოლონეთის მუშათა აჯანყებაში მონაწილეობის შემდეგ ბურჟუაზიული თავრობისგან დევნის გამო ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთსა და ბელგიაში, სადაც 17 წლის განმავლობაში მეშახტედ მუშაობდა. 1931 წელს შეიდა საფრანგეთის კომპარტიაში, შემდეგ კი აქტიურ მონაწილეობას ეწეოდა ბელგიის კომპარტიაში და ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1948 წელს იგი პოლონეთში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო პგმპ-ის ცკ-ში. 1954 წლიდან იგი პგმპ-ის ცკ-ის წევრია, ხოლო 1956 წლიდან პარტიის VI პლენუმმა იგი ცკ-ის მდივნად აირჩია. იმავე წლის VII პლენუმმა ცკ-ის პოლიტბიუროს წევრია. 1957 წლიდან გ. გერეკი პგმპ-ის კატოვიცის საოეოდოს კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

[2] ჰ. ი ა რ ო შ ე ვ ი ჩ ი 1909 წელს დაიბადა. 1944 წელს იგი შეიდა პოლონეთის მუშათა პარტიაში. 1948 წლის დეკემბრიდან პგმპ-ის ცკ-ის წევრია. 1964 წლიდან ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. 1952 წლიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომაოის მოადგილე. ამავე დროს ბოლო წლებში იგი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი იყო. პგმპ-ის ცკ-ის VII პლენუმმა (1970 წ.) იგი პოლიტბიუროს წევრად აირჩია.

ლური ამოცანები. პლენუმის მიერ მოწონებულ ე. გერეკის მოხსენებაში აღინიშნა, რომ დეკემბრის ამბების მთელი მიზეზები და წყაროები იყო პარტიის სწორი პოლიტიკური ხაზიდან, მისი მოღვაწეობის სწორი ნორმებიდან გადახვევა. პარტიის ხელმძღვანელობით პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის გენერალური ხაზი, ჩვენი ხალხის ისტორიული ბედის შეფასების თვალსაზრისით, რჩება ურყევ სწორ ხაზად.

საბჭოთა კავშირმა პოლონეთს ამ სიძნელეების დროსაც დიდი დახმარება გაუწია კრედიტებით, სასურსათო საქონლით და ა. შ. ამიტომ 1971 წლის 15 თებერვალს პგმპ-ის ცკ-ის პოლიტბიურომ და მინისტრთა საბჭომ გააუქმეს 1970 წლის 12 დეკემბრის დადგენილება ფასების ცვლილებების შესახებ და 1971 წლის 1 მარტიდან კვლავ დაადგინეს ფასები ისეთივე დონეზე, როგორიც ის იყო 1970 წლის 13 დეკემბრისათვის. ამასთანავე ძალაში დარჩა 13 დეკემბრის დადგენილება ფასების შემცირების შესახებ ზოგიერთ საქონელზე და პგმპ-ის ცკ-ის VII პლენუმის დადგენილება მშრომელთა შემოსავლის გაზრდისა და სოციალური დახმარების შესახებ. 10%-ით გაიზარდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობის გეგმა.

კორექტივები შეიტანეს აგრეთვე ადრე შემუშავებულ 1971 — 1975 წწ. ხუთწლიან გეგმაში, რომელიც ითვალისწინებდა მოხმარების საგნების წარმოების გაზრდას 42%-ით, მაშინ როდესაც, წინა ხუთწლედებში იგი 36%-ით გაიზარდა. წარმოებების საშუალებების წარმოების გაზრდა კი დაიგეგმა 52%-ით.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ქვეყნის ფაშიზმისაგან განთავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თეზისებში მითითებულია, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში პოლონეთის სამრეწველო წარმოება გაიზრდა 10-ჯერ, რომ პოლონეთი აწარმოებს 10-ჯერ მეტ ფოლადს. მარტო 1974 წელს პოლონეთში მწყობრში ჩადგა 100-მდე სამრეწველო საწარმო. პოლონეთის ხვედრითი წონა სამრეწველო პროდუქციის მსოფლიო წარმოებაში 2-ჯერ გაიზარდა. პოლონეთში 1973 წელს წარმოებულ იქნა: 14,1 მილიონი ტონა ფოლადი, 15.5 მილიონი ტონა ცემენტი, 84,3 მლრდ კილოვატსაათი ელექტროენერგია, 156,6 მლნ ტონა ქვანახშირი.

პოლონეთი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან თანამშრომლობდა სხვადასხვა დარგში და მისი ბევრი მშენებლობა დაკავშირებულია მოძმე ქვეყნების საწარმოებთან. 1975 წლის დასაწყისში დამთავრდა პსრ-ისა და გდრ-ის ერთობლივი ბამბის სარ-

თავი საწარმოს მშენებლობის პირველი რიგი ქალაქ ზავერცეში, პოლონეთის სამ საზღვაო ნავსადგურს გდანსკს, გდინს და შეცინს მოკლე ხანში დაემატა ახალი დიდი ნავსადგური ჩრდილოეთი. ომამდელ პოლონეთს კი საერთოდ არ გააჩნდა არც ერთი ნავსადგური, ხოლო დღევანდელი ნავსადგურები ნანგრევებად იყო ქცეული. ვარშავის მსგავსად მთლიანად დანგრეული იყო ქალაქ-ნავსადგური შეცინი. გებელსმა ერთ-ერთ უკანასკნელ სიტყვაში ამ ქალაქის შესახებ თქვა, რომ „ვერავინ და ვერასოდეს ვერაფერს ვერ შეძლებს ამ ტოტალურ საფლავზე". 1946 წლის გაზაფხულზე შეცინში მხოლოდ ხუთი ათასი მცხოვრები იყო, მაგრამ პოლონეთმა მალე მოიშუშა ჭრილობები და აღადგინა განადგურებული ქალაქები, მათ შორის შეცინიც. პოლონეთი ამჟამად ერთ-ერთი მსხვილი საზღვაო სახელმწიფოა. მისი საზღვაო საზღვრები ბალტიისპირეთში სუთას კილომეტრზეა გადაჭიმული სვინოუისცედან-ბრანევომდე. 150 ათასი პოლონელი ასე თუ ისე დაკავშირებულია თავის ცხოვრებით ზღვასთან—თევზის სარეწაოებთან, საზღვაო სამსახურთან, გემთმშენებლობასთან. პოლონეთის გემთსაშენში აგებული ბევრი გემი მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ზღვაში დაცურავს.

სამრეწველო აღმავლობამ სერიოზული გავლენა მოახდინა აგრეთვე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდაზე. მისი წარმოება გაიზარდა 2-ჯერ. 1974 წელს სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა შეადგენდა 20%, ხოლო ინდივიდუალური გლეხთა მეურნეობისა—80%. პირველში შედის სახელმწიფო მეურნეობები და სოფლის მეურნეობის კოოპერატივები, პოლონეთში 5800-მდე სახელმწიფო მეურნეობა იყო, რომელსაც ეკავა 3 მლნ. ჰექტარი მიწა, რაც მთელი სავარგული მიწების 12%-ია. იყო აგრეთვე დაახლოებით 1200 სოფლის მეურნეობის კოოპერატივი, რომელიც აერთიანებდა 25 ათასამდე გლეხთა ოჯახს. გარდა ამისა, პოლონეთის სოფლად არსებობდა აგრეთვე გლეხთა ორგანიზაციის ტრადიციული საზოგადოებრივ-სამეურნეო ფორმა, სოფლის მეურნეობის წრეები, რომლებიც ინარჩუნებენ კერძო საკუთრებას მიწაზე. მასში გაერთიანებული იყო პოლონეთის გლეხების 80%-ზე მეტი. მაგრამ მარცვლეულით ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, ყოველწლიურად პოლონეთი საზღვარგარეთ ყიდულობდა 2 მლნ ტონა მარცვლეულს.

დიდი იყო წარმატებები კულტურისა და, აგრეთვე, სოციალური კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით. კულტურული რევოლუცია ქვეყანაში დაიწყო უკვე დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისთანავე

და ატარებდა საყოველთაო სახალხო ხასიათს. ოცდაათი წლის განმავლობაში პოლონელმა ხალხმა დიდ შედეგებს მიაღწია. 1973 წლისათვის 730 ათასზე მეტმა კაცმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, 4 მლნ-მა კაცმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიული სკოლები, ხოლო 8 მლნ. სწავლობდა სხვადასხვა სასწავლებლებში.

ასეთივე მნიშვნელოვანია მიღწევები სოციალურ სფეროში. მოსახლეობის 3/5 ქალაქად ცხოვრობს, ქალაქად აიგო 2,5 მლნ. ბინა, სოფლად კი 1 მლნ. მოსახლეობა ომის შემდეგ 10 მილიონი კაცით გაიზარდა, რომელთა შორის უმრავლესობა 20—30 წლის ასაკის ახალგაზრდები არიან.

§ 22. პოლონეთის რესპუბლიკა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან 80-იანი წლების ბოლომდე

სოციალისტური გზით განვითარების წლებში პოლონეთი, ოფიციალური ცნობით, გადაიქცა მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნად. დაკავებული ტერიტორიის ფართობით პოლონეთს 62-ე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ 23-ე ადგილი უკავია მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოებს შორის, ხოლო თავის სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობით პოლონეთი შედის პირველ ათ განვითარებულ სახელმწიფოთა რიგებში. 70-იანი წლების შუა პერიოდამდე პოლონეთში ეროვნული შემოსავალი 85%-ით გაიზარდა, სამრეწველო წარმოება—2,3-ჯერ, მშრომელთა რეალური შემოსავალი—50%-ით: აიგო ახალი 450 მსხვილი საწარმო, შეიქმნა 2,5 მლნ ახალი სამუშაო ადგილი.

მაგრამ 1975 წლიდან სამრეწველო წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის ტემპების ზრდა პოლონეთში მნიშვნელოვნად მცირდებოდა. სამრეწველო წარმოება კი შეადგენდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ორ მესამედს. 1979 წლისათვის ეროვნულმა შემოსავალმა 40—42 პროცენტის მატების ნაცვლად შეადგინა მხოლოდ 13,3 პროცენტი, 1980 წლისათვის კი კიდევ 4 პუნქტით დაეცა. ამის მიზეზად მიჩნეულია სამრეწველო წარმოების მუდმივი ზრდა, მხოლოდ 3 პროცენტით, მატება—ნაცვლად ყოველწლიური 10 პროცენტისა. წარმოების ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა გამოწვეული იყო კაპიტალური დაბანდებების შემცირებით, რომელიც 18,4 პროცენტიდან (1970—1975 წლებში) დაეცა 4 პროცენტამდე (1976—1979 წლებში).

მიუხედავად ამ საერთო განვითარების უარყოფითი ხასიათისა, სო-

ციალური პროგრამის ძირითადი მიზნები მაინც ხორციელდებოდა. 70-იანი წლების მეორე ნახევარში გაიზარდა მინიმალური ხელფასი, დაწესდა პენსიები მოხუცებულობის გამო ერთპიროვნულ-გლეხთა მეურნეობაზეც, გაიზარდა დახმარება მშობიარეთათვის. საბინაო მშენებლობამ მიაღწია რეკორდულ დონეს. 1980 წლის თებერვალში შემდგომმა პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიის VIII ყრილობამ მემდეგნაირად დაახასიათა 70-იანი წლების მეორე ნახევრის ეკონომიკური მდგომარეობა: ეკონომიკური პირობების სერიოზული გაუარესება—როგორც საგარეო, ასევე საშინაოსი. „რამოდენ-მე წლის განმავლობაში ზედიზედ მოუსავლიანობამ და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად დაცემამ აუცილებელი გახადა მარცვლეულისა და საქონლის საკვების შემოტანის გაზრდა, რომლის გამო ადგილობრივ მეურნეობა დამატებითი ხარჯებით დამძიმდა“. ამას ზედ დაერთო ადრე აღებული კრედიტების გადასახადი. ამის გამო იყო, რომ პარტიის VIII ყრილობამ მოითხოვა, რათა მნიშვნელოვნად შეეცვალათ იმპორტი როგორც „განვითარების ფაქტორი“ ქვეყნის ეკონომიკის „ინტენსიფიკაციის ფაქტორით“. ამ წინადადების წამოყენება 6 წლით დააგვიანეს და აი რატომ. 1973—1974 წლებში კაპიტალისტურ სამყაროს მოედო ყველაზე უფრო დიდი ეკონომიკური კრიზისი ომის შემდგომ პერიოდში, რომელიც შემდეგ შეიცვალა განვითარების დაბალი ტემპებით, ამის გამო პოლონეთის ექსპორტი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 1973 წლიდან დაწყებული განუხრელად ეცემოდა, ხოლო იმპორტი კი ჩვეულებრივ დონეზე იყო და პირიქით იზრდებოდა კიდეც. აქაც დაშვებულ იყო მთელი რიგი შეცდომები. დასავლეთის ქვეყნებში ხშირად მოძველებული ტექნოლოგიის ლიცენზიებს ყიდულობდნენ. რის გამოც პოლონეთის სამრეწველო საქონლის ექსპორტი კაპიტალისტურ ქვეყნებში ვერ უძლებდა კონკურენციას. პოლონეთი იქ ასაღებდა მხოლოდ ნედლეულს—ქვანახშირს, სპილენძს, გოგირდს—და, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რომლითაც თვითონ პოლონელი მოსახლეობის მოთხოვნები ვერ კმაყოფილდებოდა. მაგრამ ვალიუტის მოღების გამო გაჰქონდათ საზღვარგარეთ. მითუმეტეს, რომ სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნებს თავისი ჩამოორჩენილობის გამო. ცნობილია, რომ პოლონეთში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამუშავებისათვის სასარგებლო მიწების 75 პროცენტი, 3 ½ მილიონი, ერთპიროვნულ მეურნე გლეხის ხელშია, აქედან ორ მესამედს, ე. ი. 67%-ს გლეხთა მეურნეს აქვს ხუთ ჰექტარზე ნაკლები მიწა, რომელთა რენტაბელობა დაბალია. საყურადღებოა, რომ მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავალი პოლონეთის სახელმწიფო სო-

ფლის მეურნეობის საწარმოებში უფრო მაღალია ვიდრე ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობაში. მაგრამ სახელმწიფო მეურნეობაში გაერთიანებულია ქვეყნის დასამუშავებელი მიწების მხოლოდ 25 პროცენტი. საზოგადო შეცდომა იქნებოდა დადებითად განგვეხილა პოლონეთის სოფლის მეურნეობის თავისებურება სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. სინამდვილეში გლეხთა ასეთი კერძო მეურნეობა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული.

70-იან წლებში იზრდება პოლონეთის ეკონომიკური დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებისადმი. პატარა ქალაქების გარეუბნებში წამოიჭიმა გულდასმით აგებული საწარმოების კორპუსები, რომელნიც დასავლეთის ლიცენზიებით აიგო. სულ 428 ლიცენზია შეიძინეს, მაგრამ საექსპლოატაციოდ ისიც ძალზედ დაგვიანებით, მხოლოდ ნახევარი გადაეცა, 86 კი საერთოდ არარენტაბელური აღმოჩნდა. აშშ-ის, საფრანგეთის, გფრ-ისა და სხვა ქვეყნების კაპიტალისტები პოლონეთს ხშირად უკვე მოძველებული ტექნოლოგიის საწარმოებს აძლევდნენ. ამასთანავე, ყოველ შეთანხმებაში იყო მოთხოვნა, რომ პოლონეთის გამოშვებული პროდუქციის დეტალების ნაწილი ან მთელი კომპონენტები შეესყიდა იმ ფირმას, რომლისაგანაც მიიღო ლიცენზია.

ახალ საწარმოებში მოვიდნენ ნაკლებად გამოცდილი მუშები, რის გამოც გამოშვებული პროდუქცია დაბალი ხარისხისა იყო. 1983 წლისათვის სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ წარმოების მთლიანი ათვისებისათვის უნდა გამოინახოს 170 მილიარდი ზლოტი, მაშინ კი 70-იან წლებში სიტყვა „დასავლეთის კრედიტორს“ ენთუზიაზმით ამბობდნენ, ვინაიდან საშინაო ბაზარზე ბევრი ახალი საქონელი გამოჩნდა. ამასთანავე, პოლონეთი ყოველწლიურად სულ უფრო ღრმად ეფლობოდა დასავლეთის სახელმწიფოების ვალებში. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ბანკები პოლონეთს ახალ და ახალ, ხშირად, მოკლევადიან კრედიტებს აძლევდნენ მაღალპროცენტიანი გადასახადით, ხოლო მიღებული კრედიტების აუცილებელ პირობად აყენებდნენ ქვეყნის „ლიბერალიზაციის“ მოთხოვნებს, რაც ნიშნავდა ოპოზიციური ძალების საქმიანობის თავისუფლებას, ე. ი. დემოკრატიზაციას.

1976 წლის ივნისში პოლონეთის მთავრობამ მოულოდნელად გამოაცხადა, რომ კვების პროდუქტებზე ფასები მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ალბათ ასეთი ღონისძიება აუცილებელი იყო, მაგრამ საზოგადოება ამისათვის არ იყო მომზადებული. ვარშავის გარეუბნის, სატრაქტორო ქარხანა „ურსუსში“ და ქალაქ რადომში მოხდა მღელ-

ვარება, დაიწყეს მალაზიების დარბევა. მთავრობამ იმავე საღამოს გააუქმა ფასების გაზრდა. დარბევის ხუთი ორგანიზატორი დააპატიმოეს. ყველაფერი ეს ერთგვარ საბაბად გადაიქცა ახლად აღმოცენებული „პროფკავშირული“ ორგანიზაციების გამოსვლისათვის, რომელმაც „კორის“ („მუშათა დაცვის კომიტეტი“), შემდეგ კი „კოსის“ („საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტი“) სახელწოდება მიიღო და „კოს-კორის“ სახელწოდებითაა ცნობილი. კომიტეტში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ ერთ დროს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, მსახიობები და მწერლები. „კოსის“ ორგანიზატორები.

70-იანი წლების ბოლოს პოლონეთში 40-მდე არალეგალური ორგანიზაცია არსებობდა. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ისეთი რადიკალური დაჯგუფებები, როგორიცაა „მოძრაობა ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო უფლებების დასაცავად“, საერთაშორისო ორგანიზაციის განყოფილებები „ემნისტი ინტერნეშნლ“, „სტუდენტთა სოლიდარობის კომიტეტები“ „კოს-კორის“, და სხვები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „კოს-კორის“ ორგანიზაცია. ორგანიზაცია „კორი“, ანუ „მუშათა დაცვის კომიტეტი“ შეიქმნა 1975 წლის შემოდგომაზე. მის ორგანიზებაში მთავარი როლი შეასრულა პოლონეთის დისიდენტების ჯგუფმა, რომელმაც იაცეკ კურონის ხელმძღვანელობით ჟენევაში შექმნა „კორის“ ორგანიზაცია. ი. კურონი ჯერ კიდევ 50-იან წლებში ცდილობდა ახალგაზრდათა ორგანიზაციის შექმნას 12—15 წლის ბავშვებისაგან, რომელიც მისი პირადი გვარდია უნდა გამხდარიყო.

კურონმა 1965 წელს დიდი მეცადინეობის შემდეგ შექმნა მებრძოლი უჯრედი „კომანდოსი“, რომელიც 200 კაცს აერთიანებდა. 1968 წლის მარტში ვარშავაში ამ ორგანიზაციაზე დაყრდნობით კურონმა მოაწყო გამოსვლები, რის გამოც იგი დააპატიმრეს. 1970 წლის დეკემბერში გდანსკში მომხდარი გამოსვლების დროს, ფასების გაზრდასთან დაკავშირებით, „კომანდოსის“ წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ და უკვე მაშინ დაამყარეს პირადი კონტაქტები მუშებთან და მათ ოჯახებს უწევდნენ მატერიალურ დახმარებას.

1976 წლის სექტემბერში კურონი გახდა „კორის“ ხელმძღვანელი, ხოლო მისი მოადგილე კი—ადამ მიხნიკი. 34 წევრიდან, რომელნიც თავდაპირველად გაერთიანდნენ „კორში“, არაც ერთი არ იყო მუშა. მაგრამ მათ მუშებზე აიღეს ორიენტაცია და მოუწოდებდნენ მათ ვარშავასა და სხვა სამრეწველო ცენტრებში გამოსვლებისათვის ფასების გაზრდასთან დაკავშირებით. მალე ამის შემდეგ თავის ორგანიზაციას საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტი უწოდეს („კოსი“) და მან საბოლოოდ „კოს-კორის“ სახელწოდება მიიღო.

„კოს-კორის“ ლიდერები თავს არიდებდნენ ლაპარაკს საზოგადოებრივი წყობის კლასობრივი სტრუქტურის, ხელისუფლების კლასობრივი მექანიზმისა და საკუთრების ფორმების შესახებ. მაგრამ სოციალიზმის მშენებლობის პრინციპებისა და პრაქტიკის ყოველგვარ დარღვევის ფაქტს ააშკარავებდნენ. ე. წ. „მფრინავ უნივერსიტეტებში“ და „დისკუსიის კლუბებში“ ისინი ამზადებდნენ თავიანთი ორგანიზაციის კადრებს. 1977 წლის ბოლოსა და 1978 წლის დასაწყისში „კოს-კორმა“ პოლონეთის თითქმის ყველა მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრში შექმნა იატაკქვეშა ჯგუფების მთელი ქსელი, რომელზე დაყრდნობით ფართო მუშაობა გააჩაღა ე. წ. „თავისუფალი პროფკავშირების“ შექმნისათვის.

1978 წლის თებერვალში კატოვიცეში „კოს-კორის“ ლიდერებმა იასავლეთის მხარდაჭერით შექმნეს „თავისუფალი პროფკავშირების კომიტეტი“, ხოლო აპრილში—„ზღვის სანაპიროს თავისუფალი პროფკავშირების კომისია“ (სოლიდარობის წინარმორბედი). „კორსა“ და არალეგალურ პროფკავშირებს შორის არა მარტო კავშირი იყო მტკიცე, არამედ „კორის“ ლიდერები მალე მათ ლიდერებად გადაიქცნენ და ერთობლივი არალეგალური გაზეთის „სანაპიროს მუშის“ გამოშვება დაიწყეს. ამ გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა ათასნაირი ცნობა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებზე, მოწოდებები მუშათა გაფიცვების მოწყობაზე.

1980 წლის აგვისტოში გდანსკში მოწვეული ორი პროფორგანიზაცია — „ზღვის სანაპიროს თავისუფალი პროფკავშირების კომისია“ და „თავისუფალი პროფკავშირების კომიტეტი“ გაერთიანდნენ და შექმნეს პროფგაერთიანება „სოლიდარობა“.

„სოლიდარობის“ ლიდერი გახდა გდანსკის ელექტრომონტიორი ლეხ ვალენსა. მოკლე ხნის განმავლობაში „სოლიდარობის“ რიგები, მათივე მონაცემებით, 10 მილიონამდე გაიზარდა და მასში გაერთიანდნენ მუშები და მოსამსახურეები.

1981 წლისათვის „სოლიდარობას“ უკვე 40 ათასზე მეტი საშტატო მუშაკი ჰყავდა — ოთხჯერ მეტი, ვიდრე ყოფილ პროფკავშირთა კავშირების ცენტრალურ საბჭოს აპარატს.

„კოს-კორის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ი. კურონმა 1981 წლის 14 მარტს ვროცლავის ქარხანა „დოლმელში“ გამოსვლისას, ერთ-ერთ კითხვაზე პასუხი შემდეგნაირად გასცა: 1956, 1968, 1970 და 1976

წლების განმავლობაში პრინციპული ხასიათის შეცდომები დავუშვით, კერძოთ, ამ გამოსვლების დროს მთელი ძალები მიმართული იყო ეკონომიკური და უფლებრივი პრობლემების გადაჭრაზე და არა მთავრობის წინააღმდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე. დღეს უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ პარტიას წავართვათ ხელისუფლების მონოპოლია. ამის ეფექტურად მიღწევა შეიძლება წარმომადგენელთა ორგანეოსში თავისუფალი არჩევნების ჩატარებით. ასეთი არჩევნები ერთადერთი გზაა, რომელიც გამორიცხავს საგარეო ინტერვენციას და შესაძლებელი გახდება მივაღწიოთ დასახულ მიზანს. ჩვენთვის აუცილებელია ორპალატიანი პარლამენტი—ჩვენი თვითმმართველი პალატით. მას დაემორჩილება სახელმწ ფო ადმინისტრაცია". გარდა ამისა, იგი ამტკიცებდა, რომ მიაღწევენ გავლენას წესრიგის სამსახურის ორგანოებზე. პარტია შეინარჩუნებს მონოპოლიას მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში, აგრეთვე. შეიარაღებულ ძალებზე.

„კოს-კორის" კონცეფცია პროფგაერთიანება „სოლიდარობის" პირველმა ყრილობამ ოფიციალურად აღიარა და მათი ექსპერტებისათვის იგი თეზისებად გადაიქცა არჩევნების ახალი დებულების პროექტის მომზადებისათვის. მთავრობის წინააღმდეგ და ხელისუფლებისათვის ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა იმით უნდა გამოხატულიყო, რომ დაემტკიცებინათ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის უუნარობა, რომ მას არ შეუძლია უხელმძღვანელოს ქვეყანას და მთელი ძალაუფლება გადასულიყო „სოლიდარობის" ხელში. არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ერთდროულად სახალხო საბჭოებშიც და სეიმშიც. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა „სოლიდარობის" ხელმძღვანელობას. თავისი მოკავშირეების ე. წ. „დემოკრატული ოპოზიციის" მიმართ მას უნდა გადაეწყვიტა დეპუტატების კანდიდატების საკითხი. 1981 წლის სექტემბერში „კოს-კორმა" თავისი თავი თვითდათხოვნილად გამოაცხადა. მისი წევრები გაერთიანდნენ „სოლიდარობაში" და ფაქტობრივად ამ პროფგაერთიანების მთავარ ხელმძღვანელებად და მრჩევლებად დარჩნენ. „კოს-კორის" ხელმძღვანელს. 47 წლის იაცეკ კურონს უნდოდა შეენარჩუნებინა ე. წ. „დემოკრატიული ოპოზიციის" იდეოლოგიისა და „სულიერი მამის" როლი პოლონეთში. ვდანსკში ამ დროისათვის (1981 წლის სექტემბერში) მოწვეულ „სოლიდარობის" I ყრილობაზე ი. კურონმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა გაერთიანებული მუშათა პარტიის წინადადებისა „ეროვნული განმათავისუფლების კომიტეტის" შექმნის შესახებ, რომელშიც უნდა შესულიყვნენ ეკლესიის, მთავრობისა და პარტიების წარმომადგენლები.

დასავლეთის ქვეყნების პრესამ ფართო პროპაგანდისტული მუშაო-

ბა გააჩაღა ლეხ ვალენსას პიროვნების განდიდებისათვის. ლ. ვალენსას იწვევდნენ საზღვარგარეთ—იტალიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში. მას მიანიჭეს საზღვარგარეთის რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი, იგი გახდა რამდენიმე პრემიის ლაურეატი. მათ შორის მიიღო ნობელის პრემიაც. მას შეარქვეს „პოლონეთის ჰეროსტრატე", „ამერიკელი გდანსკიდან" და სხვ.

დასავლეთის ქვეყნები და პროფკავშირები „სოლიდარობის" ლიდერებს უგზავნიდნენ დოლარებს, პოლიგრაფიულ ხელსაწყოებს, სამრავლებელ ტექნიკას, ქაღალდს, საღებავებს, მაგნიტოფონს, კასეტებს, რაციებს... ასეთ დახმარებას უწევდნენ შრომის ამერიკული ფედერაცია, გფრ-ის, იაპონიის, შვეიცარიისა და კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირები.

ოპოზიციურმა ძალებმა ერთხანს მიაღწიეს იმას, რომ მათ ხელში აღმოჩნდა კინომრეწველობა, თეატრი, გამომცემლობა. ზოგიერთ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში გამოცხადდა ფაკულტატიური სწავლება, ე. ი. არასავალდებულოდ მარქსიზმი და. აგრეთვე. რუსული ენა.

„სოლიდარობამ" აღმოცენების პირველსავე დღიდან თავისი თავი გამოაცხადა მუშათა კლასის ინტერესების დამცველად და მთავრობის წინააღმდეგ საგაფიცვო ბრძოლა გააჩაღა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების გაზრდის მოთხოვნით. 1980 წლის შემოდგომამ ჩაიარა სწორედ ასეთი დაძაბული გაფიცვების ვითარებაში. აშკარა ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის პოლონეთში მიმდინარეობდა 585 დღე, აქედან 398 პროფგაერთიანება „სოლიდარობის" ხელმძღვანელობით. ეკონომისტებს დიდი მუშაობა დასჭირდათ იმისათვის, რომ ეანგარიშათ. თუ რამდენი ზარალი მიაყენა ამ 398 დღის ყოველმა დღემ ქვეყანას. გაუთავებელმა გაფიცვებმა, რომლებსაც „სოლიდარობა" აწყობდა ხელფასების მომატების მოთხოვნით. დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის წამყვან დარგებში პროდუქციის გამოშვება 25 პროცენტით შემცირდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მომარაგების დეზორგანიზაციის გამო და პასუხისმგებლობას ამისთვის მთავრობას აკისრებდა. 1980 წლის აგვისტოდან 1981 წლის ოქტომბრამდე „სოლიდარობამ" მოაწყო 120 ადგილობრივი მნიშვნელობისა და საერთო პოლონური ხასიათის გაფიცვა.

„სოლიდარობის" წესდების ოფიციალური რეგისტრაცია მოხდა 1980 წლის ნოემბერში, რომლითაც „სოლიდარობა" ვალდებულებას კისრულობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე ემოქმედა როგორც პროფკავშირულ ორგანიზაციას პარ-

ტიის ხელმძღვანელი როლის ცნობის საფუძველზე საზოგადოებაში. ძაგრამ „სოლიდარობის“ მიერ პირველ ყრილობაზე (1981 წლის სექტემბერ-ოქტომბერში) მიღებულ პროგრამაში ეკონომიკურ დარგში მთავარ ამოცანად ცხადდებოდა მეურნეობის გეგმური სისტემის ლიკვიდაცია, ეკონომიკის მთლიანი დეცენტრალიზაცია და საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა, სახელმწიფო საკუთრების ლიკვიდაცია და საწარმოების გამგებლობის გადაცემა თვითმართველობის ორგანოებისათვის.

პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროში პროგრამა აცხადებდა პლურალიზმის პრინციპის გავრცელებას. პროგრამის № 19 თეზისში ცხადდებოდა: „პლურალიზმი მსოფლმხედველობით, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული გახდება რესპუბლიკის დემოკრატიისა და თვითგამორკვევის საფუძველზე“.

„სოლიდარობა“ თავის თავს აცხადებდა არსებულ კანონებზე მაღლა და თავის დაცვაში იღებდა ყოველ ანტისამთავრობო ორგანიზაციას. საყურადღებოა, რომ ამ დროს პოლონეთში უკვე არსებობდა 20-მდე მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაცია და დაჯგუფება. მათ შორის აღსანიშნავია „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაცია“ და „სტუდენტთა დამოუკიდებელი კავშირი“.

„დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაცია“ (დპკ) შეიქმნა 1979 წლის სექტემბერში, რომელიც აქ ადრე არსებული „თავისუფლება და დამოუკიდებლობის“ ორგანიზაციის მსგავსი იყო და პოლონეთში ომის დამთავრების შემდეგ ერთხანს მოქმედებდა ფარულად. დპკ-ის ხელმძღვანელი იყო 50 წლის ასაკის ლეშეკა მოჩულსკი. 1980 წლის 15 სექტემბერს ჟურნალ „შპიგელისადმი“ მიცემულ ინტერვიუში ლ. მოჩულსკიმ განაცხადა: „ჩვენი მთავარი ამოცანაა მივაღწიოთ დამოუკიდებელი, სუვერენული პოლონეთის შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნებოდა საბჭოთა ბატონობისაგან და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ტოტალიტარული დიქტატურისაგან“.

დპკ-ის პოლიტიკური პროგრამა მიზნად ისახავდა პოლონეთში არსებული სოციალისტური წყობილების დამხობას. ამ მიზნით ისინი მოითხოვდნენ უარი ეთქვათ მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებაზე და ცდილობდნენ დაძაბული მდგომარეობა შეექმნათ ქვეყანაში. დპკ-ამ თავისი მიზნების მისაღწევად, აირჩია „სოლიდარობა“, რათა შემდეგ ის თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. დპკ-ას კავშირი ჰქონდა, აგრთეევ, ლონდონში არსებულ ემიგრანტულ რეჩ-პოსპოლიტას მთავრობასთან.

დპკ-ის ხელმძღვანელების წინააღმდეგ გამოძიება და სასამართლო დიდხანს გრძელდებოდა. 1982 წლის 8 ოქტომბერს ვარშავის სამხედ-

რო ოლქის სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: ლ. მოჩულსკის 7 წელი მიესაჯა, რ. შერემეტიევს და ტ. სტანსკის—5—5 წელი, ტ. იანჯიშავს—2 წელი.

„სტუდენტთა დამოუკიდებელი კავშირი" (სდკ) შეიქმნა 1981 წლის აპრილს კრაკოვში მოწვეულ სდკ-ის I ყრილობაზე. თვით ამ კავშირის მონაცემებით იგი აერთიანებდა 70—80 ათას სტუდენტს, ე. ი. მთელი სტუდენტების 15—20 პროცენტს. ყრილობაზე ითქვა, რომ სდკ-ის შექმნისათვის მოძრაობა დაიწყო 1977 წელს „კოს-კორის" ინიციატივით და 1977 წლის მაისში კრაკოვში შეიქმნა „სოლიდარობის სტუდენტთა კომიტეტი", შემდეგ „ახალგაზრდა პოლონეთის მოძრაობა" და სხვ. სდკ-ში გაერთიანებული იყო ახალგაზრდობა 15-დან 29 წლის ასაკამდე. საყურადღებოა, რომ ამ ასაკისაა პოლონეთში 9,3 მლნ კაცი, ე. ი. მოსახლეობის მეოთხედი. სდკ აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ დემონსტრაციებისა, რომლებიც „კოს-კორის" და „სოლიდარობის" მიერ ეწყობოდა. ამიტომ 1981 წლის 13 დეკემბერს შემოღებული სამხედრო მდგომარეობისთანავე ამ ორგანიზაციის საქმიანობა აიკრძალა. მაგრამ ეს ორგანიზაცია განაგრძობდა ფარულ საქმიანობას და ამის შემდეგაც მოაწყო დემონსტრაციები, კერძოდ, 1982 წლის 31 აგვისტოს ვარშავაში ამ გამოსვლის საბაბი გახდა ჯერ კიდევ 1981 წლის ნოემბერში მწვავე კონფლიქტი რექტორთან რადომსკის უმაღლეს საინჟინრო სკოლაში და ვარშავის სახანძრო სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან. სტუდენტების მხარეზე კონფლიქტში ჩაერია „სოლიდარობა". სტუდენტთა მღელვარება გრძელდებოდა სამხედრო მდგომარეობის შემოღების შემდეგაც. 1982 წლის ზაფხულის განმავლობაში, ვარშავის ცენტრში—გამარჯვების მოედანზე, იქ სადაც 1979 წელს სიტყვით გამოვიდა რომის პაპი პავლე II, ჯვართან, რომელიც შეკონილი იყო ცოცხალი ყვავილებისაგან, განუწყვეტლივ ირეოდა ახალგაზრდობის ტალღა. რელიგიური ფანატიკოსები და „სოლიდარობის" „კოს-კორის", სდკ-ის, დპკ-ას წევრები შეუსვენებლივ იკრებდნენ ახალგაზრდებს. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ამ გამოსვლების დემონსტრაციებსა და უწესრიგობაში გადაზრდა. ამ მიზნით ცდილობდნენ გამოეყენებინათ კათოლიკური ეკლესიაც. პოლონეთის კათოლიკური ეკლესის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა კრაკოვის კარდინალის კ. ვოიტილის რომის პაპად—იოანე პავლე II სახელწოდებით არჩევისა (1978 წელს) და 1979 წელს მისი ვიზიტის შემდეგ პოლონეთში.

ეკლესიის მსახურთა რაოდენობით პოლონეთის სახალხო რესპუბ-

ლიკას, იტალიის შემდეგ, მეორე ადგილი უკავია კათოლიკურ სამყაროში. ერთი მღვდელი ითვლის 1750 კაცზე. 1981 წლისათვის პოლონეთში იყო 20,6 ათასამდე მღვდელი, აქედან 15,6 ათასი ეკლესიებზე, ხოლო 5 ათასი მონასტრებსა და რელიგიურ ორდენებზე მოდიოდა. ერთი გარდაცვლილი მღვდლის ადგილას ორ მღვდელს ნიშნავენ და ისინი დიდის გულმოდგინეობით ეწევიან პოლონეთის საზოგადოების აღზრდას ღმერთისადმი და ახლობლისადმი სიყვარულის გრძნობით. პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის განკარგულებაშია 2400 ქალთა და 500 მამაკაცთა მონასტერი. ქვეყანაში 14 ათასზე მეტი ეკლესია და სამლოცველოა (1987 წ. კი იყო 7257). ახალი ეკლესიების მშენებლობა პოლონეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უფრო იზრდებოდა, ვიდრე ომამდე იყო, მარტო 1981 წლისათვის სახელმწიფომ 331 ნებართვა გასცა ეკლესიების მშენებლობაზე, გაფართოებასა და აღდგენაზე, 1982—1983 წწ. კი—206 ნებართვა ეკლესიებისა და 20 სამლოცველოს მშენებლობაზე.

პოლონეთის ეკლესიის ცნობით 37 მილიონიანი მოსახლეობის 90% კათოლიკეა. აქედან სამი მეოთხედი დადის ეკლესიაში ან ასრულებს ამა თუ იმ რელიგიურ წესებს. დღევანდელ პოლონეთში უფრო დიდი რელიგიური აქტივობა შეიმჩნევა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ამის მიზეზი ისაა, რომ პოლონეთის ეკლესიას მაღალ დონეზე აქვს დაყენებული პროპაგანდისტული აპარატი, რაც შესაძლებლობას აძლევს მას გაავრცელოს თავისი გავლენა ყველა სოციალურ ფენაზე.

პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის დიდი ავტორიტეტი მისი ისტორიული დამსახურებითაა გამოწვეული კულტურის, პოლიტიკური მემკვიდრეობის, ეროვნული სულისკვეთების კონსოლიდაციის შენარჩუნების საქმეში. ავსტრიის, გერმანიისა და რუსეთის მიერ, პოლონეთის სახელმწიფოს დანაწილების შემდეგ, პოლონეთის ეკლესია სახელმწიფოს მაგიერ შემსრულებელ ორგანოდ და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ორგანიზატორის როლში გამოდიოდა. ამიტომ უცხოელთა ბატონობის დროს პოლონეთის ეკლესია გახდა პოლონელების ერთობის ფაქტორად, მათი ეროვნული თვითშეგნების დასაყრდენად. თუ ტრადიციულ კათოლიკურ ქვეყნებში საფრანგეთსა და ესპანეთში რომის პაპის გავლენა შესუსტდა, იგი ურყევი დარჩა პოლონეთში, მაგრამ ეკლესიის მსახურნიც მსხვილ მემამულეებად გადაიქცნენ და პოლონეთის სახელმწიფოების აღდგენის შემდგ (1918—1939 წწ.) ისინი დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ გლეხობისადმი და იწყეს თავიანთი გავლენის დაკარგვა, მაგრამ 1939—45 წწ.,

ე. ი. ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპაციის დროს, პოლონეთის ეკლესიამ არა მარტო მხარი დაუჭირა ანტიფაშისტურ მოძრაობას, არამედ თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა მასში. ყოველი მეექვსე მღვდელი დაიღუპა ჰიტლერელი ჯალათების წინააღმდეგ ბრძოლაში, რის წყალობითაც ეკლესიამ პატრიოტული ძალის სახელი დაიმკვიდრა. ნაცისტებმა 3 მილიონი პოლონელი კათოლიკე და 3 მილიონი ებრაელი მოსპეს.

პოლონეთის კათოლიციზმის ავტორიტეტი იმითაც იყო ძლიერი, რომ იგი ყოველთვის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იყო. მაგალითად, როდესაც 1945 წელს წყდებოდა პოლონეთის დასავლეთის მიწების საკითხი, ეკლესია პოლონეთის მთავრობის მხარეზე დადგა. ამ დროისათვის იგი განთავისუფლდა მსხვილი მიწათმფლობელობიდანაც, მაგრამ აქტიურად უჭერს მხარს წვრილ გლეხთა საკუთრებას.

როდესაც პსრ-ში სოციალიზმის მშენებლობა გაჩაღდა, პოლონეთის ეკლესია გამოვიდა ამ ცვლილებების წინააღმდეგ და 1946 წელს განაცხადა, რომ თანამშრომლობა „ეკლესიასა და კომუნიზმს“ შორის შეუძლებელია და პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის მხარეზე დადგა. მხოლოდ 1950 წელს ეკლესია შეუთანხმდა მთავრობას დავალდებულება იკისრა პატივი ეცა სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. მაგრამ 1956, 1968, 1970 ,1976 და 1980—82 წლების გამოსვლებისას პოლონეთის ეკლესია ცდილობდა აეძულებინა მთავრობა ეკლესიის ისედაც ფართო უფლებების შემდგომ გაფართოებაზე, ხოლო 80-იანი წლების დასაწყისის ამბების გამოყენებას ცდილობდა იმისათვის, რომ მიეღწია სახელმწიფოს ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში თავისი წარმომადგენლობის გაზრდისათვის.

საყურადღებოა, რომ ათი წლის განმავლობაში 1971—1981 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა სემინარიაში გაიზარდა 4088-დან 6174-მდე. ლუბლიანში არსებობს კათოლიკური უნივერსიტეტი, ხოლო ვარშავის, კრაკოვის, პოზნანისა და ვროცლავის უნივერსიტეტებთან არსებობს თეოლოგიური ფაკულტეტები. ქვეყანაში 45 უმაღლესი და საშუალო სასულიერო სემინარიაა. გარდა ამისა, რელიგიურ ორდენებს აქვთ გახსნილი პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო სასულიერო სკოლები გოგონებისა და ვაჟებისათვის. ამრიგად, როგორც ამ ფაქტებიდან ჩანს, განათლების დარგში ეკლესიის როლი დიდია და იგი არათუ მცირდება, არამედ იზრდება.

მნიშვნელოვანია ეკლესიის როლი პერიოდულ გამოცემებში. პოლონეთში გამოდის 60 კათოლიკური პერიოდული გამოცემა. 1980—88 წწ. პოლონეთში ქაღალდის წარმოება შემცირდა, მაგრამ ამას არავითარი

გავლენა არ მოუხდენია საეკლესიო გამოცემების ტირაჟზე, პირიქით, ის გაიზარდა. რომის პაპის იოან პავლე II-ის წყალობით პოლონეთში ვრცელდება ვატიკანის გაზეთი „ოსსერვატორ რომანო“ 150 ათასიანი ტირაჟით. ყოველდღიურად პოლონურ ენაზე ერთსაათიანი სამლოცველო გადმოცემაა ვატიკანიდან. პოლონეთის ეკლესიის მეთაური ვიშინსკი, მისი სიკვდილის შემდეგ კი ი. გლემპა ფართოდ იყენებდნენ თავიანთი საჭიროებისათვის ვატიკანის ძლიერ რადიოგადაცემას (მათ ვერ მიაღწიეს ტელევიზიით ან რადიოთი გამოსვლების უფლებას ქვეყნის შიგნით).

1981 წლის ოქტომბრიდან კონფრონტაციისაკენ სწრაფი მოძრაობა დაიწყო. საგაფიცვო მოძრაობამ მიიღო კატასტროფული მასშტაბები.

1981 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა. „სოლიდარობის“ მიერ მოწყობილმა განუწყვეტელმა ეკონომიკურმა გაფიცვებმა კატასტროფული მდგომარეობის ზღვარზე დააყენა ქვეყანა. მოსახლეობის ცხოვრების დონე დაეცა 1960 წლის დონემდე. 1981 წლისათვის ეროვნული შემოსავალი წინა წლებთან შედარებით 15 პროცენტით შემცირდა, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაცია 12,9 პროცენტით, ხელფასის ფონდი კი 24,7 პროცენტით გაიზარდა. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 11 თვის განმავლობაში 1887,5 მილიონი ზლოტით გაიზარდა. აქედან ნახევარიც არ იყო უზრუნველყოფილი საქონლით. 10 თვის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 14 პროცენტით დაეცა, მშენებლობაში—21 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება 40 მლნ. ტონით (21,4 პროცენტით) შემცირდა მეშახტეთა გაფიცვების გამო.

ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკამ დიდი ზიანი განიცადა, ვინაიდან ქვანახშირზე მოდიოდა ამ დარგის უზრუნველყოფის 80 პროცენტი. ქვანახშირის ექსპორტი 41 მლნ ტონიდან 16 მლნ. ტონამდე შემცირდა. ქვანახშირის ნაკლოვანებამ დიდი ზარალი მიაყენა მრეწველობის წამყვან დარგებს და სამშენებლო მასალის გამოშვებას. 23 ცემენტის ქარხნიდან მხოლოდ ნახევარი მუშაობდა, რამაც გამოიწვია საბინაო მშენებლობის დაცემა. „სოლიდარობის“ მიერ ორგანიზებული გაფიცვების გამო მარტო 1980 წლის აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში ქვეყანას სახალხო მეურნეობიდან დააკლდა 70 მლრდ ზლოტის -ღირებულების საქონელი, რაც სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სოციალური საჭიროებისათვის გაღებულის მესამედს უდრიდა. პსრ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს 200 მლრდ ზლოტის დეფიციტი ჰქონდა, ასეთი ტენდენციის განვითარების შემთხვევაში კი მოსალოდნელი იყო მისი 800 მლრდ ზლოტამდე გა-

ზრდა. ყველაფერი ეს კი განუწყვეტელი, გაჭიანურებული გაფიცვების შედეგი იყო.

1981 წლის თებერვალში შედგა პგმპ-ის პლენუმი, რომელმაც 1980—81 წლების ეკონომიკური კრიზისის მთელი პასუხისმგებლობა „სოლიდარობას" დააკისრა. აღინიშნა, რომ გაფიცვების შედეგად „1981 წელს ყოველთვიურად ქვეყანამ ვერ მიიღო წინა წელთან შედარებით 3,8 მლნ ტ. ქვანახშირი, 275 ათასი ტ. ცემენტი, 11 ათასი სარეცხი მანქანა, 52 ათასი რადიომიმღები და ტელევიზორი, 7600 მსუბუქი მანქანა, 405 ტრაქტორი, 1,5 მლნ. მეტრი ქსოვილი, 1,5 მლნ. წყვილი ფეხსაცმელი, 3 ათასი ტ. ფოსფორის სასუქი". 24%-ით დაეცა პოლონეთის ექსპორტი, რის გამოც ვალუტის შემოსავალი 4,5 მლრდ ზლოტით შემცირდა. პლენუმზე სრულიად სამართლიანად იყო მითითებული, რომ ხელფასის გაზრდა თავისთავად არაფერს აძლევს ხალხს, თუ იგი საქონლის წარმოებითა და ეკონომიკის ზრდით არაა უზრუნველყოფილი. ეს მხოლოდ ინფლაციის გაზრდას გამოიწვევს. სახელმწიფო ასეთ შემთხვევაში გადაიქცა საქველმოქმედო ინსტიტუტად, ფული, რომელსაც არიგებდა, არ იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი[1].

1981 წელს ვარშავაში ცუდი მომარაგების გამო გაიზარდა რიგები არა მარტო მაღაზიებში, არამედ ინგლისის, ავსტრიის, შვეიცის, გფრ-ის და სხვა დასავლეთის ქვეყნების საელჩოებთან (ძირითადად ახალგაზრდებისა), რომელიც საზღვარგარეთ წასვლა სურდათ. ახალგაზრდობის ემიგრაციამ საზღვარგარეთ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა მკვეთრად გაზარდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი პოლონეთში, საჭურსათო ბარათები ხორცზე არ გაუქმდა. 1981 წლის აგვისტოში შემცირდა სურსათის გაცემის ნორმა. ეს „სოლიდარობამ" გამოიყენა და გაშალა გაფიცვები ლოზუნგით: „მნიშვნელობა არა აქვს საიდან აიღებს მთავრობა პროდუქტებს, მან უნდა გამონახოს იგი, მთავრობას უნდა, რათა ხალხმა იშიმშილოს". ამრიგად, მომარაგებაში უკმარისობის გამოყენებას „სოლიდარობა" ცდილობდა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის და იგი 1981 წლის მთელი შემოდგომისა და

[1] 1981 წლისათვის პოლონეთში კარგი მოსავალი იყო. მარცვლეული მოიწიეს 20 მლნ. ტონა (2 მლნ. ტონით მეტი წინა წელთან შედარებით), შაქრის ჭარხალი 16 მლნ. ტ. (5 მლნ. ტონით მეტი), კარტოფილი 43 მლნ ტონა (17 მლნ-ზე მეტი). 1981 წლისათვის პოლონეთში იყო 22 მლნ. ღორი (უფრო მეტი, ვიდრე ევროპის რომელიმე ქვეყანაში) და 13 მლნ-ზე მეტი მსხვილფეხა საქონელი. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მომარაგება სურსათით მკვეთრად შემცირდა.

ზამთრის დასაწყისში ეწეოდა მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიას, აწყობდა დემონსტრაციებს, გაფიცვებსა და გამოსვლებს. ამ დროს არც ერთი დღე არ გასულა ისე, რომ „სოლიდარობას“ არ მოეწყო გამოსვლები პარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ.

1981 წლის 17 დეკემბრისათვის „სოლიდარობამ“ დანიშნა დიდი დემონსტრაცია, რომელიც ხელისუფლებისათვის ბრძოლის უშუალო ეტაპის დასაწყისად უნდა გადაქცეულიყო. 17 დეკემბერს ვარშავაში და ქვეყნის სხვა ცენტრებში უნდა მოწყობილიყო დემონსტრაციები, იქმნებოდა მებრძოლი ჯგუფები ასეულებისა და ათასეულებისაგან, რომელნიც უნდა ჩაბმულიყვნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

მოსალოდნელი ხისხლისღვრის თავიდან აცილების საბაბით, პსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და პკმპ-ის პირველმა მდივანმა ვოიცეხ იარუზელსკიმ (ამ თანამდებობაზე მან მ. კანია შეცვალა 1981 წლის ოქტომბერში, იგი აირჩია პარტიის მე-4 პლენუმმა 1981 წლის 13 დეკემბერს) შემოიღო სამხედრო მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით თავის დემაგოგიით აღსავსე მიმართვაში პოლონელი ხალხისადმი მან განაცხადა: „ჩვენი სამშობლო აღმოჩნდა ეფსკრულის წინაშე. ნანგრევებში ექცევა მრავალი თაობის მიღწევები და ფერფლისაგან აღდგენილი სახლი. სახელმწიფო სტრუქტურები სწყვეტენ მოქმედებას. ჩამქრალ ეკონომიკას ყოველდღიურად სულ ახალ დარტყმებს აყენებენ. ცხოვრების პირობები ალხს მძიმე ტვირთად აწვება მხრებზე. ოთოეულ საწარმოში, მრავალ პოლონურ ოჯახში ავადმყოფური გათიშულობაა ვამეფებული. შეუწყვეტელი კონფლიქტების, გაუგებრობისა და სიძულვილის ატმოსფერო იწვევს ფსიქოლოგიურ გაპარტახებას. გაფიცვები, საგაფიცვო მიმზადება. პროტესტების აქციები გადაიქცა ცხოვრების ნორმად. ქვეყანაში ფართოდ ვრცელდება თავხედური დანაშაულობის, ძარცვისა და თავდასხმის ტალღა“.

1981 წლის 13 დეკემბერს შემოიღეს სამხედრო წესები. „სოლიდარობის“ მრავალი ლიდერი დააპატიმრეს.

1983 წლის მარტში პსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩესლავ კიშჩაკმა სეიმს მოახსენა, რომ განვლილი 15 თვის განამვლობაში გაუქმებულ იქნა 700 არალეგალური ჯგუფი, კონფისკებულია 1310 პოლიგრაფიული მოწყობილობა, მათ შორის 368 საბეჭდი მანქანა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა არალეგალური ორგანიზაცია და ჯგუფი ლიკვიდირებულია. ამის შემდეგაც ხშირი იყო ცალკეული არალეგალური ჯგუფების გახსნა და მათი ხელმძღვანელობის დაპატიმრება ანა, აგრეთვე, „სოლიდარობის“ იმ ყოფილი ლიდერების დაპატიმრება,

რომელნიც - არალეგალურად საქმიანობდნენ, კერძოდ, გარდეკის, ფრაჰინიუკის, ლისპასის და სხვ.

უშუალოდ სამხედრო მდგომარეობის შემოღების შემდეგ პოლონეთის ოპოზიციური ჯგუფები შეეცადნენ საყოველთაო გაფიცვის მოწყობას, მოუწოდებდნენ მასებს „წინააღმდეგობის გაწევისაკენ.“ 1982 წლის მაისსა და ივნისში მათ შეძლეს გამოსვლების მოწყობა ქუჩებში, აგვისტოში კი 66 ქალაქში მოაწყეს დიდი გამოსვლები, რომლებშიც 130 ათასი კაცი მონაწილეობდა.

ასეთ ვითარებაში მთავრობა სოციალურ პოლიტიკაში დიდ ყუარადღებას აქცევდა ეკონომიკური კრიზისის შედეგების თანაბრად განაწილებას მოსახლეობის ყველა ფენაზე. ამ მიზნით 1982 წელს გატარდა რეფორმები: ოჯახების დასახმარებლად, გაუქმდა სკოლის სახელმძღვანელოებზე ფასის გადახდა, გაიზარდა პენსიები მოხუცებულებისა და ინვალიდებისათვის, გაიზარდა ვეტერანთა უფლებები, მატერიალური დახმარება ახალგაზრდობისა და სტუდენტებისათვის.

1982 წლიდან დაიწყო ეკონომიკური რეფორმის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით სეიმმა მიიღო ოთხი კანონი სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ამ კანონებით გარანტირებული იყო თანასწორუფლებიანობა სამივე სექტორისა: სახელმწიფოსი, კოოპერატიულისა და კერძისა; რეგულირებულია მიწით სარგებლობის საკითხები, უზრუნველყოფილია სტაბილურობა გლეხთა მეურნეობისათვის. ამავე დროს, მთავრობამ გააძლიერა ბრძოლა სამხედრო მდგომარეობის კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ. ამის გამო მარტო ერთი წლის განმავლობაში 387 განაჩენი იქნა გამოტანილი.

1982 წლის ნოემბერში დაპატიმრებული ლ. ვალენსა გაანთავისუფლეს პატიმრობიდან.

მთავარმა სამხედრო პროკურატურამ 1983 წლისათვის დაამთავრა „სოლიდარობის“ ხელმძღვანელების საქმეთა გამოძიება: ანჯეა გვიაზდის (გდანსკი), სეველინა იავორსკოვასის (ვარშავა), ვარიანა იურჩიკის (შეცინი), კაროლია მოდძელევსკის (ვროცლავი), გეეგოჟა პალკის (ლოძი), ანჯეა როსპლოხოვსკის (კატოვიცი) და იანა რულოვსკასის (ბიგდოჩი). მასალები „კოს-კორის“ ფუძემდებლების — იაცეკ კურონის, ადამ მიხნიკის და სხვების საქმეზე 35 ტომისაგან შედგება. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ჰუმანური თვალსაზრისით უფლება მიეცათ საზღვარგარეთ წასულიყვნენ, რათა ამით განთავისუფლებულიყვნენ სისხლის სამართლის დანაშაულისაგან.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1982 წლის 12 დეკემბერს, სამხედრო მდგომარეობა პსრ-ში გაუქმდა.

საშინაო ოპოზიციური ძალების ცდები, რომ 1985 წლის 13 ოქტომბერს დანიშნული სეიმის არჩევნების ჩატარება ჩაეშალათ და ბოიკოტი გამოეცხადებინათ, მარცხით დამთავრდა.

არჩევნები ჩატარდა. გამოცხადდა, რომ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა დაახლოებით 78 პროცენტი (20,4 მილიონი). სეიმში სულ 460 დეპუტატი აირჩიეს. აქედან 245 პგმპ-ის წევრი (ე. ი. სეიმის მთელი დეპუტატთა 53,3%). ახლად შეკრებილმა სეიმმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ზ. მესნერი, სეიმის თავმჯდომარედ კი აირჩიეს გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე რ. მალინოვსკი. ეს არჩევნები რომ ფალსიფიცირებული იყო აქას მოწმობს 1989 წლის ივნისში ჩატარებული არჩევნების შედეგები.

1986 წლის ივნისში ჩატარდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობა, რომელსაც წინ უძღოდა პარტიის პროგრამის საყოველთაო განხილვა და დისკუსია, რომელთა მსვლელობაში ჩამოყალიბდა პროგრამის საბოლოო ვარიანტი. ვ. იარუზელსკის მიერ ყრილობაზე ნათქვამი სიტყვებით, რომ ვთქვათ, ესაა სიმართლის პროგრამა საზოგადოების, სახელმწიფოს და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ და იმედები სიძნელეების დაძლევისა, დაჩქარებული მოძრაობის წინმსვლისა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პარტიის ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო ხალხის ანტიპარტიული განწყობილება და ცდილობდა ხელისუფლების შენარჩუნებას.

მიუხედავად მოსახლეობის აშკარა ანტისაბჭოთა განწყობილებისა ყრილობაზე ითქვა, რომ პოლონელი კომუნისტები კიდევ უფრო განამტკიცებენ მეგობრობას და ყოველმხრივ თანამშრომლობას სკკპ-სა და სხვა პარტიებთან. მარტო სსრ კავშირის დახმარებით, როგორც აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა ამ ყრილობაზე გამოსვლისას, აგებული პოლონური საწარმოები აწარმოებენ 10-ჯერ მეტ თუჯს, 7-ჯერ მეტ ფოლადს. ვიდრე მთელი ომამდელი პოლონეთი. სსრ კავშირთან საავჭრო ურთიერთობა უზრუნველყოფს პოლონეთის ნავთობზე მოთხოვნის 95 პროცენტს, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნების 100 პროცენტს, ბამბაზე მოთხოვნების 75%. საბჭოთა კავშირს შემოაქვს პოლონეთიდან მთელი საბჭოთა იმპორტის პოლონური საავტო-სამშენებლო მანქანების 40%, პოლონური წარმოების გოგირდმჟავის ქარხნების მოწყობილობების 100%. სსრკ-მა პოლონეთში შეიძინა 800 სხვადასხვა დანიშნულების საზღვაო გემი.

1986 წლისათვის პოლონეთის დავალიანება კაპიტალისტური ქვეყნებისადმი 31,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ეს ვალები, აღნიშნა ვ. იარუზელსკიმ მცდარი პოლიტიკის შედეგი იყო როგორ-

აღებული კრედიტების, ასევე მისი გამოყენების მხრივაც. „ჩვენ ეცხოვრობდით ჩვენს შესაძლებლობაზე ზევით. კრედიტების ბაზაზე არ შეიქმნა საექსპორტო პოტენციალი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სწრაფად დაგვეფარა კრედიტები, სტიმული მისცემოდა ეკონომიკას ინტენსიური განვითარებისათვის. საგარეო დავალიანების პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ პოლონეთის ეკონომიკის საექსპორტო სიმძლავრის სწრაფი გაზრდის შეშვეობით“. ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული ეკონომიკური პრობლემაა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას.

1986 წლის 10 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩ. კიშჩაკმა განაცხადა, რომ ყველა პოლიტიკური პატიმარი პოლონეთში განთავისუფლებულია. მან ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეუპოვარი ბრძოლით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებმა უზრუნველყვეს შინაპოლიტიკური ვითარების ნორმალიზება.

როცა იღებდნენ გადაწყვეტილებას ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლების შესახებ, აღნიშნა მინისტრმა, პსრ-ის ხელისუფალნი ხელმძღვანელობდნენ, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიის X ყრილობით საბოლოოდ დამთავრდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის პერიოდი 80-იანი ლების პირველ ნახევარში. ასეთი განცხადება იმას ნიშნავს, რომ მთავრობა თვალებს ხუჭავდა ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე.

ამავე დროს ჩ. კიშჩაკმა თქვა, რომ ოპოზიციის ზოგიერთი მოღვაწე დაუყოვნებლივ შეეცადა აეღორძინებინა თავისი ძველი, დროსოჭმული კონცეფციები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება პოლონეთის საზოგადოების ინტერესებს. მათი მოწოდებანი დღეს არ შეესაბამება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების რეალობებს. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილებისადმი ყოველ საფრთხეს თანამიმდევრულად ჩანასახშივე მოვსპობთ—მუქარით, განაცხადა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან პოლონეთის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები უფრო დაბალი იყო, ვიდრე წინა წლებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთო წარმოების 3 პროცენტით შემცირების გამო (მაგ. 1987 წ.). ქვეყანაში კვლავ გრძელდებოდა ფასების ზრდა (საშუალოდ 23%-ით გაიზარდა 1987 წ.), ინფლაციის პროცესი და დაძაბულობა საშინაო ბაზარზე განსაკუთრებით სურსათის პროდუქტებზე. მთავრობამ მიიღო ღონისძიებები ფასების ზრდის გამო ნაწი-

ლობრივი კომპენსირებისა, კერძოდ, გაიზარდა ხელფასი, პენსიები და დახმარებები, მაგრამ იმ ოდენობით არა, როგორც ამას პროფკავშირები მოითხოვდნენ. 1987 წელს პარტია გადავიდა ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპზე, რომლის აუცილებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ პარტიის IX ყრილობის (1981 წ. ივლისი) შემდეგ დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ ვერ გამოიღო მოსალოდნელი შედეგი. ეკონომიკური ზრდის ტემპები გათვალისწინებულზე უფრო ნელი იყო. ფასების მუდმივმა ზრდამ და ინფლაციამ გააუარესა მოსახლეობის ზოგიერთი ფენების მდგომარეობა. ძალზე მწვავე პრობლემად რჩებოდა პოლონეთის დავალიანება დასავლეთის ქვეყნებისადმი. პოლონეთი მარტო პროცენტების სარგებელს ყოველწლიურად 4 მლრდ დოლარს იხდის. 1987 წლისთავის კაპიტალისტური ქვეყნების ვალუტით ვალი შეადგენდა 39,2 მლრდ დოლარს (1986 წ. კი— 33,5 მლრდს). საყურადღებოა, რომ 70-იანი წლების დასაწყისში ვალი იყო 47 მლრდ დოლარი. პოლონეთმა უკვე 50 მლრდ დოლარი გადაიხადა — ასე გაიზარდა პროცენტებით ეს ვალი. 1988 წ დარჩენილი იყო გადასახდელი 38 მლრდ დოლარი.

1987 წ. 29 ნოემბერს შედგა საერთო-ეროვნული რეფერენდუმი ეკონომიკური რეფორმისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომლის დროსაც ხმის მიცემის მონაწილეებს განესაზღვრათ თავიანთი დამოკიდებულება გათვალისწინებული გარდაქმნების ტემპებისა და მასშტაბებისადმი. რეფერენდუმში მონაწილეობდა ხმის მიცემის უფლების მქონეთა 68 პროცენტი. რომელთა უმრავლეობამ მოითხოვა ეკონომიკის გაჯანსაღება, სახელმწიფოს საქმეებსა და ქვეყნის გამგებლობაში ფართოდ მონაწილეობა. მაგრამ რეფერენდუმის შედეგები სავალდებულო არ გახდა იმის გამო, რომ სეიმის მიერ საგანგებოდ რეფერენდუმის მიმართ მიღებულ ხმის მიცემის პრინციპებში ნათქვამია, რომ ხმის მიცემის უფლებათა მქონე მოქალაქეთა 50%-ზე მეტმა უნდა დაუჭიროს მხარი გარდაქმნებს, აქ კი 50%-ზე ცოტათი ნაკლებმა დაუჭირა მხარი.

მიუხედავად რეფერენდუმის შედეგებისა სეიმმა კორექტივები შეიტანა მთავრობის პროგრამის რეალიზაციაში რეფორმების შესახებ, რათა შეასუსტოს სოციალური შედეგების სიმწვავე მისი გატარების ტემპების შემცირების ხარჯზე. ამავე დროს გამოცხადდა, რომ რეფორმის უფრო ჩანგრძლივი ვადით განხორციელების გამო უფრო დიდხანს გაგრძელდება ინფლაცია, ნაკლებად იმოქმედებს წარმოების სტიმულირების ფაქტორები.

მიიღეს საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის ღონისძიებანი. 1987 წ. ნოემბერში შეიქმნა მოქალაქეთა უფლებე-

ბის დაცვის რწმუნებულთა ინსტიტუტი, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოებისაგან, ემორჩილება მხოლოდ სეიმს და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა უფლებების დაცვას სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უკანონო მოქმედებისაგან. 11 საოლქოდროში ფორმირებულ იქნა მოქალაქეთა საკონსულტაციო კონვენტები, რომელნიც თავისი მიზნებით შეეწყობიან საკონსულტაციო საბჭოს.

1988 წლის ნოემბერში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა მეჩისლავა რაკოვსკი, რომელიც, შეეცადა მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას ეკონომიკური საფუძვლების შესაცვლელად. საქმე იმაში იყო, რომ მისივე აღიარებით, დღევანდელ პარტიულ აქტივს მცირე მიმდევრები ჰყავს ახალგაზრდობაში, რომელიც სკეპტიკურადაა განწყობილი და ძირითადად დაკავებულია თავისი პირადი ცხოვრებისეული, ძალზე რთული პრობლემით. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1988 წლის განმავლობაში საქონელი გაძვირდა 60 პროცენტით. ამავე დროს შეუკავებლად, უკონტროლოდ იზრდებოდა კერძო სექტორის ხელფასი და შემოსავალი. ამის შედეგად კატასტროფულად იზრდება ინფლაცია. თვით პსრ-ის ბეჭდვითი საქმის მინისტრის ეჟი ურბანის აღიარებით, ეკონომიკური რეფორმებით რომ სწრაფად მივიღოთ დადებითი ეფექტები, საჭიროა დიდი რადიკალიზმი და თანამიმდევრობა, საზოგადოება კი არ მიდის ამაზე, მის შედეგებზე, ფასების გაზრდაზე და ა. შ. ბევრ საწარმოში აყენებენ ხელფასის მომატების მოთხოვნებს გაფიცვების მუქარით, მაგრამ ხელფასების გაზრდა ფულის შემდგომ ინფლაციას გამოიწვევს, რასაც უდავოდ მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვება. ე. ურბანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოპოზიციასთან გამართული დიალოგი, „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ არავის არ დააინტერესებს, თუ ინფლაცია არ შეჩერდა და მაღაზიის ცარიელი თაროები საქონლით არ გაივსო. ე. ურბანმა ისიც აღნიშნა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, თუ რაიმე ქმედითი ცვლილებები არ მოხდა, სეიმში მალე უმცირესობაში აღმოჩნდება. 1989 წლის დასაწყისისათვის ეს უმრავლესობა უზრუნველყოფილი იყო ორი მოკავშირე პარტიის გაერთიანებული გლეხთა და დემოკრატიული პარტიების მხარდაჭერის წყალობით.

ე. ურბანის აღიარებით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის „გავლენა მცირდება, ხოლო ხელისუფლების რეალიზაციის ფორმები, რომელსაც აქამდე იყენებდნენ, მოძველდა“. მოხდა პოლიტიკურ ორიენტაციაში ცვლილებები. ოპოზიცია ფაქტობრივად ორ ნაწილადაა გაყოფილი“. ერთი ნაწილი თვლის, რომ სოციალიზმის

რეფორმების გზით შენარჩუნება შეუძლებელია და ამიტომ საჭიროა მისი ახალი წყობილებით შეცვლა. მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ რეფორმებისა და გარდაქმნების გზით სოციალიზმი შეიძლება მისაღები გახდეს ქვეყნისათვის—ასეთ ვითარებაში კითხვა ასე დგას—იქნება თუ არ იქნება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია. ახლა უკვე ნათელი გახდა, რომ სოციალიზმის აშენება ქვეყანაში შეუძლებელი იქნება მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მტკიცე მხარის დაჭერის გარეშე, რომ დიდ გარდაქმნებს და რეფორმებს პარტია ვერ განახორციელებს ხალხის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ პარტიის პოლიტიკური მისია იმაში მდგომარეობს, რომ დიალოგისა და შეთანხმებების მეშვეობით შექმნას ქვეყანაში ხალხის და საზოგადოებრიობის დიდი ნაწილის ანტიკრიზისული სიტუაცია და იბრძოლოს ქვეყნის განახლებისათვის. მაგრამ პგმპ-ის ავტორიტეტი კატასტროფიულად დაეცა, რის გამოც მას არ შეეძლო ქვეყნის გამგებლად დარჩენილიყო.

მთავრობას გამართული ჰქონდა დიალოგი კათოლიკურ ეკლესიასთან, რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, დიდი გავლენით სარგებლობს ქვეყანაში. მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარია. მთავარობის დიალოგი ეკლესიასთან მიზნად ისახავდა შეთანხმების მიღწევას უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხების ირგვლივ, მაგრამ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პრინციპის საფუძველზე.

საყურადღებოა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X პლენუმმა, რომელიც 1989 წლის იანვარში შედგა, ყურადღება მიაქცია მორწმუნეთა პრობლემას პარტიაში. აღნიშნა, რომ ეს პრობლემა დიდი ხანია დგას, მაგრამ მას ყურადღებას არ აქცევდნენ და ცდილობდნენ იგი არ შეენიშნათ, თითქოს იგი არ არსებობდა. ახლა უკვე საკითხი ასე დაისვა, რომ რელიგიისადმი დამოკიდებულება პარტიის წევრის პირადი, კერძო საქმეა. რომ ღმერთისადმი რწმენა არ უნდა იყოს შეფერხება პარტიაში შესვლისათვის. მაგრამ პარტიის წევრისათვის დაუშვებელი იქნება პოლიტიკური კლერიკალიზმი.

პლენუმმა ძალზედ მწვავე ვითარებაში ჩაიარა. პლენუმზე გამოსვლისას ვ. იარუზელსკიმ აღნიშნა: „X პლენუმი მიმდინარეობს განსაკუთრებულ, ქვეყნისათვის, გარდატეხის პერიოდში. ახლა პოლონეთი ის აღარაა, რაც ათი, ხუთი და თვით ერთი წლის წინ იყო. ქვეყანაში ღრმა ცვლილებები ხდება რომელიც პოლონელი ხალხის ხარისხობრივი ახალი ცხოვრების გამოსახულებაა. ასეთი სწორი შეფასების შემდეგ მან განაცხადა: „პგმპ უკანასკნელ წლებში სოციალისტური განახლების გზით მიდის, ცხოვრების ყველა სფეროში ახორციელებს გენერალურ

გარდაქმნებს". ამასთანავე ვ. იარუზელსკი იძულებულ გახდა ეღიარებინა რომ „პარტია გადაჭრით უარს ამბობს სტერეოტიპებზე. აზრთა და შეხედულებების სხვადასხვაობა ფასდება როგორც ბუნებრივი და საჯარგებლო. იგი ამდიდრებს და არა აღატაკებს პარტიას". პლენუმზე დააყენეს საკითხი პარტიის როლისა და ადგილის შესახებ სახელმწიფოში და საზოგადოებაში, აგრეთვე, პარტიის სტრუქტურისა და მისი მოღვაწეობის მეთოდები. ეროვნული თანხმობის, დიალოგის და კომპრომისის ფილოსოფია. მაგრამ, რა თქმა უნდა, არ უნდა ჰქონდეს ადგილი ანარქიას, შეუწყნარებლობას. უნდა ცნობილ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესების სხვადასხვაობა, ოპოზიციურობა და ოპოზიცია, როგორც პოლიტიკური სისტემის ელემენტი.

პოლიტიკური და პროფკავშირული პლურალიზმის დოკუმენტის მიღებისას ცკ-ის ბევრი წევრი გამოვიდა ოპოზიციასთან, მათ შორის ყოფილი „სოლიდარობის" ზომიერ ფრთასთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, თითქმის მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელებული დისკუსიის დროს ფ. იარუზელსკიმ რამდენიმეჯერ აიღო სიტყვა და არგუმენტები და მოსაზრებები მოიყვანა ასეთი თანამშრომლობის აუცილებლობაზე. დავა ისე დაიძაბა, რომ ვ. იარუზელსკიმ დააყენა მისდამი ნდობის საკითხი და განაცხადა თავის მზადყოფნაზე, თუ ეს საკითხი დადებითად არ გადაწყდებოდა, გადამდგარიყო პგმპ-ის ცკ-ის პირველი მდივნისა და პსრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. მას შეუერთდნენ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრები: პრემიერ-მინისტრი მ. რაკოვსკი, შინაგან საქმეთა მინისტრი ჩ. კიშჩაკი, თავდაცვის მინისტრი ფ. სავიცკი, ვ. იარუზელსკიმ ცკ-ის წევრებს სთხოვა ჩაეტარებინათ მათდამი ნდობის საკითხისადმი კენჭის ყრა. ხმის მიცემის დროს ხელმძღვანელებმა დატოვეს სხდომის დარბაზი. ნდობის ხმა მისცა პრაქტიკულად ცკ-ის პლენუმის ყველა მონაწილემ ოთხის გამოკლებით, რომელთაც თავი შეიკავეს. ერთხმად იქნა მიღებული პლენუმის დადგენილება, მაგრამ დოკუმენტი პლურალიზმის პოზიციის საკითხზე დამტკიცდა დიდი და ხანგრძლივი დავისა და შესწორებების შემდეგ. 143 კაცმა დადებითი ხმა მისცა, 32 წინააღმდეგი გამოვიდა, 14 თავი შეიკავა. X პლენუმზე აშკარად გამოვლინდა ორი მიმართულება. ერთნი, ძველი აზროვნების მომხრენი, გათიშვის მოტრფიალენი არიან, მაგრამ გათიშვამდე ვერ გაბედეს წასვლა. მეორენი მომხრენი იყვნენ, აზროვნებდნენ შექმნილი ვითარების შესაბამისად, უკან მიხედვის და ძველი სქემების გარეშე სინამდვილის მთელი სირთულის ხედვით. გაიმარჯ-

ვა ცკ-ის ბსოლუტური უმრავლესობის პოზიციამ. ცკ-ის წევრების უმრავლესობა იმედს არ კარგავდა, რომ თავისი გაბედული ნაბიჯებით პარტია კვლავ მოიპოვებს ავტორიტეტსა და ნდობას ხალხში. პარტიული და სახელმწიფო აპარატის ზოგიერთი წარმომადგენელი ძნელად ელევოდა ბრძანებლურ-ბიუროკრატიულ სისტემას. ვერ აღიქვამდა ყველაფერს იმას, რაც მოაქვს ცხოვრებაში ფართო დემოკრატიას. სწორედ ამის გამო ამ საკითხთთან დაკავშირებით თქვა ვ. იარუზელსკიმ: „არ შეიძლება წინსვლა უკან მობრუნებული თავით". მან აღნიშნა, რომ პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რევოლუციური ხასიათისაა. პარტიამ მტკიცედ თქვა უარი პოლიტიკური და ეკონომიკური ხელისუფლების ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სისტემით გადაწყვეტაზე. ვ. იარუზელსკიმ შემდეგნაირად დააკონკრეტა ასეთი სახის სახელმწიფოს არსი: „ფუნდამენტური დემოკრატია. სეიმის, სახალხო საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება, წარმომადგენელთა ორგანოების უზენაესობა აღმასრულებელ ორგანოებზე". პლურალიზმის ფორმულა უნდა ასახავდეს ინტერესების მრავალფეროვნებას და სიმძლავრეს და, აგრეთვე, ცალკეული ჯგუფებისა და საზოგადოებრივი წრეების პოლიტიკურ ორიენტაციას და რწმენას. ხელს უნდა უწყობდეს წინააღმდეგობებისა და დავის მოგვარებას ერის უმაღლესი ფასეულობისათვის ზიანის მიყენების გარეშე სახელმწიფო სტრუქტურის ჩარჩოებში და უფლებების შესაბამისად და არა მის საწინააღმდეგოდ.

პგმპ-ის ცკ მზადაა დიალოგი გამართოს და შეთანხმების ფორმულა გამოინახოს ყოველ კონსტრუქციულ პოლიტიკურ ძალასთან, თუ იგი არსებული კონსტიტუციის მომხრეა. პგმპ-ის ცკ-ს აუცილებლად და შესაძლებლად მიაჩნია ჩართოს პოლიტიკურ სისტემაში კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც იმოქმედებს ისეთ ფორმებში, როგორც: საზოგადოება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების პოლიტიკური კლუბი, სეიმის ახალი მოწვევის დეპუტატთა კლუბი.

პგმპ-ის ცკ მომხრეა ძლიერი და დამოუკიდებელი პროფკავშირული მოძრაობისა. პარტია მომხრეა იმ პრინციპისა, რომ პროფკავშირები ისეთები იყვნენ, როგორიც მშრომელ ხალხს უნდა. პლენუმმა საჭიროდ ჩათვალა პარტიის ცკ-სა და პოლიტბიუროს შემადგენლობაში დიდ ცვლილებებზე წასულიყო დროის მოთხოვნების შესაბამისად.

1988 წ. ბოლოს პოლონეთის თავდაცვის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციისა და სამხედრო

ბიუჯეტის შემცირების შესახებ. ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ფ. სავიცკიმ დაწვრილებით ილაპარაკა განიარაღების ფილოსოფიისა და თავდაცვის დოქტრინის შესახებ, რომლითაც ამჟამად ხელმძღვანელობენ პოლონეთი, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ფ. სავიცკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთში დაშალეს ორი მექანიზებული დივიზია, რამოდენიმე სხვა სამხედრო ნაწილი, მათ შორის საავიაციო და საარტილერიო, რის შედეგადაც არმიის რიცხვი 15 ათასი კაცით შემცირდა, შეიარაღებიდან მოიხსნა დიდი რაოდენობის თვითმფრინავი, ტანკი, არტილერიის დანადგარი და სხვა ტექნიკა. სამხედრო ბიუჯეტის შემცირება 7,7 პროცენტიდან 5,5 პროცენტამდე გათვალისწინებული იყო საერთო-სახელმწიფოებრივ ბიუჯეტში. თავდაცვის მრეწველობის დიდი ნაწილი თავის წარმოებას გამოიყენებს ბაზრის საქონლის დასამზადებლად. ფ. სავიცკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის ასეთი ნაბიჯი შეესაძლებელი გახდა სოციალისტური ქვეყნებისა და, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის მშვიდობისათვის მოღვაწეობის შედეგად, რომელმაც ხელსაყრელი პირობები შექმნა ორ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის ნდობისა და დიალოგის განმტკიცებაში. მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების ცალმხრივი ნაბიჯები იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი თავისი ქვეყნის დაცვისადმი უზრუნველნი გახდნენ. პოლონეთი ერთადერთი სახელმწიფოა ევროპაში, რომლის დასავლეთის საზღვრებს ზოგიერთები ჯერ—კიდევ სათუოდ ხდიან. ამიტომ რესპუბლიკას უნდა ჰყავდეს თავისი თავდაცვის საკმაო პოტენციალი და კოორდინირებას უნდა ახდენდეს თავის მოკავშირეებთან.

1989 წ. 27 იანვარს პოლონეთში მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მთავრობის სამპარტიულ კოალიციას, ერთი მხრივ, და პროფკავშირებისა (უპირველეს ყოვლისა, „სოლიდარობას") და რელიგიურ ოპოზიციას შორის, მეორე მხრივ, დაიწყება დიალოგი მრგვალ მაგიდასთან. ასეთი დიალოგი დაგეგმილი იყო 1988 წელსაც, მაგრამ ორივე მხარეს შორის არსებული დიდი წინააღმდეგობების შედეგად იგი არ შედგა. ასეთი შეხვედრა დაიწყო 1989 წლის თებერვალში იმ პირობით, რომ მასზე ყველა შეკრებილი უნდა გამსჭვალული იყოს ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვით. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ მ. რაკოვსკიმ ოპოზიციას რამდენიმე მინისტრის თანამდებობა შესთავაზა, მათ შორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა, მაგრამ ოპოზიციამ ჯერჯერობით არ მიიღო მთავრობის ეს წინადადება, მაგრამ დათანხმდა მრგვალ მაგიდასთან დიალოგზე. ის-

იც აღსანიშნავია, რომ ლ. ვალენსას პოზიციაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. მან, მაგალითად, ასეთი განცხადებები გააკეთა: „პასუხისმგებლობა პოლონეთის წინაშე, ჩვენი მომავლისათვის ჩვენ გვავალებს თავი შევიკავოთ გაფიცვებისაგან, მითუმეტეს, რომ არსებობს შანსი ქვეყნისადმი ახალი დამოკიდებულებისა". „ჩვენ მისჯილი გვაქვს ეროვნული შეთანხმება". „ბლოკირების გაკეთება, წაჩხუბება და თვით მუშტი-კრივიც ადვილია. ახლა ჩვენ უნდა ვისწავლოთ პოზიციური მუშაობა". „გარანტიაა პგმპ-ის ცკ-ის X პლენუმის გადაწყვეტილებები". „სოლიდარობას" სურს იყოს პროფკავშირი და არა „პოლიტიკური პარტია". „თანხმობა აშენებს, უთანხმოება ანგრევს" და ა. შ.

1989 წლის დამდეგისათვის პოლონეთის მთავრობამ პროფგაერთიანება „სოლიდარობას" ნება დართო ლეგალურ საქმიანობაზე.

1988 წლის მიწურულში პოლონეთის სეიმმა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღო უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების შესახებ. მთავრობის მიერ წამოყენებული ეკონომიკური სტრატეგიის არსს თუ ორი სიტყვით დავახასიათებთ— იგი შემდეგში მდგომარეობს: „თავისუფლება—თანასწორუფლებიანობა—კონკურენცია". ეს ნიშნავს ბაზრის მექანიზმის განვითარებას, განმტკიცებას და ერთდროულად მასზე ადმინისტრაციულ-ბრძანებლური გადაწყვეტილებების სფეროს შეზღუდვას. ამიერიდან პოლონეთში ეკონომიკის ყოველი სექტორი—სახელმწიფო, კოოპერატიული თუ კერძოთანასწორი უფლებით სარგებლობენ, რაც შემდეგს ნიშნავს: ყველას ერთნაირი უფლება და მოვალეობა აქვს, რომელიც ეკონომიკურ სფეროშია დაკავებული, კონკურენცია ეკონომიკური ცხოვრების ისეთი წესია, რომელიც უკეთესს შესაძლებლობას გვაძლევს და თვითონაც და საზოგადოებაც მოგებული დარჩეს.

მიღებული კანონი საწარმოების ფინანსური მეურნეობის შესახებ, რომლითაც საწარმოების ქონება ორ ნაწილად იყოფა: სახელმწიფოს ხაზინის კუთვნილებად და ქარხნის, ფაბრიკის, გაერთიანების კუთვნილებად, თუ იგი გადახდილია მოგებით. შემდეგი კანონია შემოსავლიდან გადასახადების შესახებ. ეს კანონი არავის არ აძლევს პრივილეგიას, არც ვინმეს ზღუდავს—სახელმწიფო საწარმო იქნება თუ კოოპერატიული, კერძო საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, თუ საააქციონერო საზოგადოებისა. ქვეყანაში ცხრა კომერციული ბანკი გაიხსნა, რომელნიც კრედიტებს მისცემენ მას, ვისაც ასეთი სურვილი ექნება.

1988 წლის დეკემბრის ბოლოს პოლონეთის სეიმმა მიიღო მთელი რიგი კანონები, რომლის მთავარი ამოცანა იყო ძირეული ეკონომი-

კური გარდაქმნები. ლიკვიდირებულ იქნა მმართველობის აპარატის არა მარტო ზედმეტი რგოლები ან წამგებიანი საწარმოები, როგორიც, მაგალითად, იყო გდანსკის გემთსაშენი ქარხანა (პოლონეთის ოპოზიციის ძირითადი დასაყრდენი), არამედ ის საუწყებო უფლებრივი აქტები, რომელნიც ახალ ვითარებაში ხელს უშლიან დამოუკიდებლობის და მწარმოებლურობის განვითარებას. გამოთვალეს, რომ 60-იანი წლების ბოლოსათვის ასეთი 90 ათასი ნორმატიული აქტი იყო, 1988 წლის ბოლოსათვის კი 10 ათასამდე დარჩა, მაგრამ ისინიც საკმარისია იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ პრინციპს „რაც არ არის აკრძალული, ნებადართულია“ და მის წინააღმდეგ გამონახონ ისეთი პარაგრაფი, რომელიც ინიციატივიანი პირების წამოწყებას ჩაშლის. ამიტომაა, რომ ახალი მთავრობა მ. რაკოვსკის მეთაურობით ენერგიულად შეუდგა ასეთი დოკუმენტის გავლენას და გაუქმებას, რომელიც პროგრესული წამოწყებების ერთგვარ მუხრუჭად იქცა. მარტო 1988 წლის დეკემბერში იუსტიციის სამინისტროში ასეთი სახის 3609 აქტი გაიგზავნა გასაუქმებლად, რომელნიც ბიუროკრატების ხელში ახალი წამოწყებების საწინააღმდეგო კანონი იყო.

სეიმმა 1988 წ დეკემბრის ბოლოს მრავალი მნიშვნელოვანი კანონი მიიღო, რომელიც თავისუფალი მოქმედების საშუალებას ანიჭებდა ფხიან მეურნეს. ერთ-ერთ ასეთ კანონად, რომელსაც „ეკონომიკის კონსტიტუცია“ უწოდეს, არის კანონი—„სამეურნეო მოღვაწეობაში დანაშაულის შესახებ“. აქ ის კი არაა ჩამოთვლილი, თუ რის გაკეთება შეიძლება, არამედ ის, რომ ადამიანს, რომელსაც სურს მეურნეობას მოჰკიდოს ხელი, უბრალოდ, არავისი ნებართვა არ ესაჭიროება. გამონაკლისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონცესიის საკითხი დგება. კანონი დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკის მრავალ სახელმწიფო სექტორზე—სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო, თანაც ყველა სექტორი თანასწორუფლებიანია უფლებრივობასა და ვალდებულებებში, მათ შორის საგადასახადო პოლიტიკაში. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ სახელმწიფო ორგანოები აღარ განახორციელებს „ზედამხედველობა-მეთვალყურეობას“ ან „უფლების დართვას“ მათ საქმიანობაში. ადმინისტრაციის როლი დაყვანილია სამეურნეო ერთეულის აღრიცხვაში, მაგრამ მათთვის შეფასების მიცემის გარეშე ამ ერთეულის ეფექტურობის შესახებ. ყოველ მოქალაქეს, რომელსაც სახსრები და სურვილი აქვს საქმეს მოჰკიდოს ხელი, შეუძლია განცხადებიდან თავისი გადაწყვეტილების შესახებ ორი კვირის გასვლის შემდეგ, შეუდგეს თავის საქმეს. ასეთივე ლიბერალურია მეორე კანონი—„სამეურნეო მოღვაწეობის შესახებ საზღვარგარეთის მხარის მონაწილეობით“. საქციონერო საზოგადოება უცხო-

ეთის კაპიტალისა და მოქალაქის მონაწილეობით შეუძლიათ შექმნან ნებისმიერმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა. უცხოური კაპიტალის ოდენობის განსაზღვრის ყოველგვარი შეზღუდვები გაუქმებულია — იგი შეუძლია 100 პროცენტიანი იყოს. მერეული საააქციონერო საზოგადოების შემოსავალზე მცირდება გადასახადის ოდენობა. ისინი თავისი მოღვაწეობიდან პირველი სამი წლის განმავლობაში გადასახადებს არ იხდიან და ეს შეღავათები შეიძლება ექვს წლამდე გაგრძელდეს. მესამე კანონია „პსრ-ის სახელმწიფო დაგეგმვის ლიკვიდაციის შესახებ", რომლის ნაცვლად იქმნება დაგეგმვის ცენტრალური სამმართველო, რომლის ფუნქცია იქმნება მხოლოდ პერსპექტიული გეგმების შემუშავება და მათი რეალიზაციის ანალიზი. იგი თავისუფალი იქნება მიმდინარე სამეურნეო პროცესებისა და ყოველგვარი რეზერვების განაწილებისაგან. ამით ბოლო ეღება მეურნეობაზე ბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას.

კარდინალური ცვლილებები მოხდა საინვესტიციო პოლიტიკაში. მიღებულია გადაწყვეტილება იმაზე, რომ უარი თქვან მსხვილი კაპიტალური დაბანდების მქონე ობიექტების მშენებლობაზე, რომელსაც მრავალი წლის მუშაობა სჭირდება და გამონთავისუფლებული სახსრები გადასცნენ ბაზრის საქონლის წარმოების გაზრდისათვის მომქმედ ობიექტებს, არსებული საწარმოების მოდერნიზაციისათვის, სამშენებლო საქმის გაფართოებისათვის. იცვლება, აგრეთვე. საბანკო სისტემა—იქმნება ცხრა ახალი ბანკი, საქმიანი ადამიანები სურვილისამებრ აირჩევენ იმ ბანკს, რომელიც უკეთ მოემსახურება მათ.

გამოიცა კანონი, აგრეთვე, სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით ხორცის და მარცვლეულის შესყიდვაზე და მათ გადამუშავებაზე. ახლა სახელმწიფო მეურნეობებს, კოოპერატივებს, ხელოსნებს შეუძლიათ თავიანთი სასაკლაოები და საამქროები შექმნან ძეხვეულის წარმოებისათვის, წისქვილები, პურის საცხობები და ა. შ. ეს იმის პირობებს შექმნის, რომ შემცირდება პროდუქტების გზა მომხმარებლისადმი, გაივსება ბაზარი და თანდათანობით შეიქმნება იმის პირობები, რომ უარი თქვან ხორცისა და ხორცის პროდუქტების რეგლამენტაციაზე. პირობები აქ ასეთია: გლეხებისაგან ხელშეკრულებით ნედლეული შეიძლება შეისყიდონ სახელმწიფო ფასებში და მზა პროდუქციაც შემდეგ უნდა გაყიდონ სახელმწიფო ფასებში. იქნება თუ არა ფასები უფრო იაფი, ვიდრე ამ დროისათვის იყო? პოლონეთის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ რომ იქნება, ვინაიდან ახალ პირობებში გაიზრდება ხორცის პროდუქტები და კონკურენციის შედეგად ფასები შემცირდება, გამოირიცხება ტრანსპორტის ხარჯების დიდი ნაწილი. აღ-

ნიშნული კანონების გამოცემის შემდეგ აღორძინებას იწყებენ პატარა ხორცის გადამმუშავებელი და რძის საამქროები, რომლითაც ერთ დროს განთქმული იყო პოლონეთი. ხდება კოოპერირება საქონლის საკლავების, საშაშხეების, წისქვილის, ზეთსახდელების გლეხთა მეურნეობების ირგვლივ, რომელნიც თავის მხრივ ხელს ჰკიდებენ მსხვილფეხა საქონლის, ცხვრების, ღორების, ქათმების მოშენებას, ე. ი. ხდება სურსათის და მისი ადგილებზე გადამუშავების დეცენტრალიზაცია, თავისუფალი რეალიზაციისა და ბაზრის უხვად მომარაგების მიზნით.

მართლაც, პოლონეთის სამხედრო ქარხნებმა დაიწყეს მინი ტრაქტორების გამოშვება. მარტო 1989 წლისათვის 2 ათასი მინი ტრაქტორი გამოუშვეს, რომელნიც დიდი მოწონებით სარგებლობენ კოოპერატორ და კერძო გლეხთა შორის. სამხედრო ქარხნებმა დაიწყეს, აგრეთვე—გაზის ქურების, წვენ საწურების სხვადასხვა სამზარეულო ნივთების, თივის სათიბების, სოფლის მეურნეობის ავიაციის წარმოება. ასეთი ავიაციის გამოშვებაში დიდი გამოცდილება აქვს მელცის ქარხანას, რომელმაც 32 წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში 11,5 ათასი ცალი ასეთი თვითმფრინავი გაყიდა.

გარდაქმნები მარტო ეკონომიკაში კი არა ხდება. მინისტრთა საბჭომ გამოსცა განკარგულება მოქალაქეებისათვის საზღვარგარეთის პასპორტების გაცემის პრინციპების შესახებ, რომლითაც გაუქმდა ძველი წესები. ახლა საზღვარგარეთის პასპორტი ყველა მსურველს ეძლევა ორი, ხუთი, ათი წლის ვადით, როგორც ამას მოქალაქე მოისურვებს. საზღვარგარეთის პასპორტი მოქალაქის ბინაში ინახება და როცა მას მოესურვება საზღვარგარეთ წასვლა, არავითარი ნებართვა ამისათვის არაა საჭირო, მივა სალაროსთან, აიღებს ბილეთს და, სადაც უნდა იქ ვაემგზავრება.

მთავრობა ლ. ვალენსას მომხრეებთან დიალოგის დროს „მრგვალ მაგიდასთან“ იმაზე ლაპარაკობდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ფორმები მოძველდა, რომ საჭიროა გარდაქმნები. ორივე მხარემ ხანგრძლივი დიალოგის შედეგად. რომელიც 1989 წლის თებერვალ-მაისში გრძელდებოდა „მრგვალ მაგიდასთან“, მიაღწია შეთანხმებას იმაზე, რომ არჩევნები არ უნდა იყოს კონფრონტაციული, რომ მთავრობის კოალიციას—პგმპ-ას, გაერთიანებულ გლეხთა პარტიას (გგპ) და დემოკრატიულ პარტიას (დპ) სეიმში ექნებათ დეპუტატთა ადგილების არანაკლებ 65%. ხოლო სენატში, რომელიც ორივე მხარის შეთანხმებით აღდგენილ იქნა, ადგილები განაწილდებოდა თავისუფლად. არჩევნების პირველი ტური ჩატარდა 4 ივნისს. მთავრობის კოალიციამ სასტიკი მარცხი განიცადა, მათ შორის პგმპ-ის პოლიტბი-

ეროს წევრებმა მ. რაკოვსკიმ (მან 1986 წლის ნოემბრიდან დაიკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა); ფ. სავიცკიმ, ჩ. კიშაკმა, ა. მედოვიჩმა და სხვებმა ვერ მიიღეს საჭირო რაოდენობის ხმები. რაც შეეხება ოპოზიციას, მან პირველსავე ტურში მიიღო მისთვის გათვალისწინებული ადგილების 35% სეიმში, ხოლო სენატში უკვე პირველ ტურში მიიღო 100 ადგილიდან 92.

სეიმში დარჩენილი 295 ვაკანტური დეპუტატის ადგილისათვის ბრძოლა მთავრობაში შემავალ კოალიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მეორე ტურში (18 ივნისს). მისი შედეგები ასეთია—სენატის 100 ადგილიდან 99 „სოლიდარობის" წარმომადგენლებმა მიიღეს, 1 ადგილი კი უპარტიო ჰენრიკ სტოკლოსმა მიიღო, რომელიც კერძო მეწარმეა.

მილიონობით პოლონელმა, რომელიც უკმაყოფილო იყო გაჭიანურებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით (ფასები შაქარზე, ბენზინზე, არაყზე. თამბაქოზე ახლად გაზრდილი იყო. მარტო 1988 წელს ფასები 60%-ით გაიზარდა) თავისი უკმაყოფილება დემონსტრაციულად გამოხატა იმით, რომ მასობრივად ხმა მისცა ოპოზიციურ პარტიებს. მ. რაკოვსკი და პგმპ-ის ცკ-ის სხვა წევრები, არც სეიმში და მით უმეტეს სენატში არ აირჩიეს. ასე, რომ მთავრობის კოალიციამ დაკარგა სეიმში ადგილების უმრავლესობა, რომელიც მას მანამდე ჰქონდა. ამრიგად, სეიმისა და სენატის არჩევნები არახელსაყრელი აღმოჩნდა მთავრობის კოალიციაში შემავალი პარტიებისათვის და, უპირველეს ყოვლისა, მმართველი—პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისათვის (პგმპ), რომელმაც დიდი მარცხი განიცადა. ასეთია მწარე სინამდვილე და ეს პოლონელმა კომუნისტებმა გულახდილად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღიარეს.

არჩევნების შემდეგ ლ. ვალენსამ განაცხადა—„სოლიდარობა" კარგია მხოლოდ ბრძოლის დროს, რადგან იგი აერთიანებს ყველა სახის პოლიტიკურ მიმდინარეობებს.

პგმპ-ის ცკ-ის XIII პლენუმმა პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ვ. იარუზელსკი. მან ჯერ უარი თქვა და თავის მხრივ კანდიდატად დაასახელა შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიტბიუროს წევრი ჩ. კიშჩაკი.

18 ივლისს ვ. იარუზელსკი დათანხმდა პრეზიდენტის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე. 19 ივლისს პოლონეთის პარლამენტის—სეიმისა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე (დეპუტატთა 51%-ის 270 ხმით 233-ის წინააღმდეგ. 34-მა თავი შეიკავა) რამდენიმე დეპუტატმა ოპოზიციიდან დემონსტრატიულად უარი თქვა ხმის მიცემაზე არჩევნების პროცედურის არადემოკრატიულო-

ბის გამო. ვ. იარუზელსკი 6 წლის ვადით აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად[1], ეროვნული კრების გადაწყვეტილებით კენჭისყრა იყო ღია და სახელობითი.

ვ. იარუზელსკის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სახელმწიფო საბჭო დათხოვნილად გამოცხადდა. მისი ფუნქციები გადაეცა პრეზიდენტს და ხელისუფლების სხვა ორგანოებს. ვ. იარუზელსკი სახელმწიფო საბჭოს თითქმის 4 წელიწადს მეთაურობდა. პსრ-ის კონსტიტუციით პრეზიდენტს ირჩევენ 50%-ის პლუს 1 ხმით და ზუსტად ასე მოხდა მისი არჩევა—ერთი ხმის უპირატესობით.

სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურაში პრეზიდენტს უკავია უმაღლესი გარანტის მდგომარეობა სახელმწიფოს სტაბილურობისა და მისი საერთაშორისო კავშირების დაცვაში. კონსტიტუციით პრეზიდენტი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. მას ფართო რწმუნებულება აქვს. სახელმწიფოს უშიშროებისა და სტაბილურობის შენარჩუნების მოტივით მას შეუძლია გამოაცხადოს სამხედრო და საგანგებო მდგომარეობა, დაითხოვოს პარლამენტი. პრეზიდენტის ხელმოწერის გარეშე არც ერთი კანონი არ ჭევა მოქმედებაში. სეიმმა რომ მეორე განხილვის შედეგად დაამტკიცოს და ძალაში შევიდეს პრეზიდენტის მიერ შეჩერებული კანონი, საჭიროა, დეპუტატთა ხმების ორი მესამედი.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ვ. იარუზელსკიმ განაცხადა, რომ ძალებს არ დაიშურებს მასზე დაკისრებული მძიმე მოვალეობის შესასრულებლად, რომ იგი იქნება თანხმობის, ყველა პოლონელის წარმომადგენელი. მან უპირველეს ამოცანად გამოაცხადა ცხოვრების მატერიალური პირობების პრობლემის გადაწყვეტა, ამ მიზნით ეკონომიკის ეფექტიანობის მაღალი დონის მიღწევა. მან განაცხადა, რომ მომხრეა ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნისა, რომელიც ამ რთულ ამოცანებს გადაჭრის. პრეზიდენტმა მთავრობის შედგენა დაავალა ჩ. კიშჩაკს. იგი საამისოდ ბევრს ეცადა, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირეს არა მარტო „სოლიდარობამ", არამედ მოკავშირე პარ-

---

[1] ვ. იარუზელსკი 1923 წელსაა დაბადებული. დამთავრა რიაზანის სამხედრო სასწავლებელი და 1943 წლიდან საბჭოთა ტერიტორიაზე მომქმედ პოლონეთის ჯარში იბრძოდა ფაშისტური გერმანიის ჯარების წინააღმდეგ. მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში ვისლაზე, ვარშავის განთავისუფლებაში, ბრძოლებში ოდერსა და ელბაზე. მან ომის შემდეგ დაამთავრა პოლონეთის გენერალური შტაბის აკადემია. 1960 წლიდან პოლონეთის ჯარების მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსია, 1962 წლიდან—თავდაცვის მინისტრის მოადგილე. 1968—1983 წწ — თავდაცვის მინისტრი, 1981 წლის თებერვლიდან—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1964 წლიდან პგმპ-ის ცკ-ის, 1971 წლიდან კი—პოლიტბიუროს წევრი, 1981 წ. 18 ოქტომბრიდან—პირველი მდივანი. 1985 წელს იგი დაინიშნა პსრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ.

ტიებმა—გაერთიანებულმა გლეხთა პარტიამ და დემოკრატიულმა პარტიამ, რომელთაც შეცვალეს თავიანთი ორიენტაცია, „სოლიდარობის“ მხარეზე გადავიდნენ და მხარი დაუჭირეს „სოლიდარობის“ მიერ წამოყენებულ კანდიდატს ტ. მაზოვეცკის, რომელიც ამ ორგანიზაციის გაზეთის რედაქტორია. პარლამენტმა დაამტკიცა მისი კანდიდატურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და მას დაევალა „ფართო კოალიციის“ მთავრობის შექმნა, რომელშიც ყველა პარტიის წარმომადგენლები შევიდნენ, რათა ერთიანი ძალით გადაეჭრათ ის რთული პროცესები, რომელთა წინაშეცა დგას ქვეყანა.

ასეთ რთულ შიდა ვითარებაში 9—11 ივლისს პოლონეთში ვიზიტით იყო აშშ-ის პრეზიდენტი ჯ. ბუში, რომელიც შეხვდა ვ. იარუზელსკის, გამოვიდა სენატისა და სეიმის გაერთიანებულ სხდომაზე, ჩავიდა გდანსკში, სადაც შეხვდა ლ. ვალენსას. გასაკვირი არაა, რომ სწორედ პოლონეთზე გაამახვილა ამერიკის პრეზიდენტმა ყურადღება. ევროპაში გამგზავრების წინ მან განაცხადა, რომ მისი ვიზიტი არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად პოლონეთში სიტუაციის გამწვავებას. პირიქით, სურვილია ცხადყოს ამერიკის ინტერესი პოლონეთისადმი და მხარი დაუჭიროს იმ მისწრაფებას, რომელიც ამ ქვეყანაშია აშშ-თან და დასავლეთთან მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

რა მისცა პოლონეთს ბუშის ვიზიტმა?

სეიმისა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლისას ბუში შეჰპირდა პოლონეთს 325 მილიონი დოლარით დახმარებას სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის, 15 მილიონ დოლარს კრაკოვის გარემოს დაცვისათვის და 100 მილიონ დოლარს კერძო სექტორის აღორძინებისათვის. „სოლიდარობის“ ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, რომ პოლონეთის სახალხო მეურნეობის გამოჯანსაღებისათვის საჭირო იქნება 10 მლრდ დოლარი. ბუშმა პოლონეთის პარლამენტში გამოსვლისას მოუწოდა მათ მომჭირნეობა გამოეჩინათ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, მაგრამ იმასაც შეჰპირდა, რომ განიხილავდა სასრწაფრო დახმარების გაწევის საკითხს ქვეყანაში შექმნილი სოციალური დაძაბულობის გამო.

13 ივლისს ვ. იარუზელსკიმ მიმართა პარიზში შეკრებილ ყველაზე უფრო განვითარებული სახელმწიფოების—„შვიდეულის“ ლიდერებს თხოვნით განეხილათ პოლონეთისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის საკითხი, რათა ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსულიყო. დიდმა „შვიდეულმა“ ხუთი წლით გადაუვადა პოლონეთს ვალის გადახდა და ამოსუნთქვის საშუალება მისცა მას.

1990 წლის 28—29 იანვარს შედგა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის XI ყრილობა, რომელიც აღმოჩნდა უკანასკნელი მისი 41 წლის განმავლობაში არსებული ისტორიისა. ამ პარტიის უკანასკნელმა პირველმა მდივანმა მეჩისლავ რაკოვსკიმ ყრილობის დახურვის წინ წაიკითხა ყრილობის დელეგატთა უმრავალესობის მიერ მიღებული ბოლო დუკომენტი, რომელშიც სათქვამია: ისტოოია განსჯის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სამართლიან მემკვიდრეობითობას. ამ პარტიის ღვაწლი მართლაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ომის შემდგომ აღორძინებაში, დაბრუნებული მიწებისათვისებაში, განვლილ პერიოდში ქვეყნის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფაში. მაგრამ არც ის უნდა იყოს დავიწყებული, რომ ამ პარტიის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მისი ხელმძღვანელობა უხეშად არღვევდა დემოკრატიულ პრინციპებს. მიმართავდა უმართებულო რეპრესიებს, კონფლიქტი ჰქონდა მუშათა კლასთან, ახორციელებდა იძულებით კოლექტივიზაციას, ინტელიგენციის პაუპერიზაციას, ქმნიდა ეკონომიკურ და საზოგადოებრივ კრიზისებს.

პარტიის XI ყრილობის დელეგატებს ერთდროულად ჰქონდათ პოლონეთის მემარცხენე ძალების ახალი პარტიის დამფუძნებელი კონგრესის მანდატი. 1639 მოარჩეული დელეგატიდან 1174 დელეგატმა მონაწილეობა მიიღო ახალი პარტიის შექმნაში, რომელიც ხმების უმრავლესობით მიენიჭა პოლონეთის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატია (პრსდ). დანარჩენი დელეგატები (100 კაცი) კი შეკრიბა მეზობელ დარბაზში (უპარტიოებიც) და გამოაცხადა სოციალ-დემოკრატიული კავშირის შექმნა, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს სეიმის ყოფილი ვიცემარშალი თადეუშ ფიშბაჰი. ამრიგად, გამართლდა ხმები, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია რამდენიმე პარტიად დაიშლებოდა. პოლონეთის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო პარტიის წესდება, რომელიც უარყოფს დემოკრატიულ ცენტრალიზმს, პროლეტარიატის დიქტატურას, სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს და აღიარებს შიდაპარტიულ დემოკრატიას, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის პროგრამის პლატფორმების შესაძლებლობას. ალტერნატიული არჩევნების შედეგად პოლონეთის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს 36 წლის ალექსანდრე კვასნევსკი, რომელიც ქვეყანაში ფართოდაა ცნობილი. პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივნად კი აირჩიეს 40 წლის ლეშეკ მილერი, რომელიც ადრე ასევე ახალგაზრდობის ლიდერი იყო, უკანასკნელ დროს კი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პო-

ლიტბიუროს წევრი და მეორე მდივანი. კონგრესმა მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღო, რომელთა შორის აღსანიშნავია დოკუმენტი, რომელიც ეხება მის მოკავშირეებთან კეთილმეზობლური და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას. ეს დოკუმენტი მოითხოვს, აგრეთვე, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ძირეულ გარდაქმნას და ვარშავის ხელშეკრულების ფუნქციების შეცვლას. დოკუმენტში იმის მოთხოვნაცაა, რომ ომის შემდგომი დადგენილი საზღვრები უცვლელი დარჩეს, კვლავაც ავითარებდნენ კეთილმეზობლურ ურთიერთობას მოსაზღვრე ქვეყნებთან და ასევე ურთიერთობას ევროპაში არსებულ მემარცხენე გაერთიანებებთან და სოციალისტურ ინტერნაციონალთან.

1990 წლისათვის ეკონომიკური მდგომარეობა პოლონეთში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კერძო სექტორმა ფართოდ გააჩაღა თავისი საქმიანობა, რის წყალობითაც კერძო, თუ სახელმწიფო თანხები გაივსო ყველა საჭირო საქონლით. 1990 წლისათვის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ გაძლიერდა მოთხოვნა პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებისათვის. რამაც ვ. იარუზელსკი აიძულა დათანხმებულიყო რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაზე. არჩევნები არტენატიული იყო. კანდიდატებით წამოყენებული იყვნენ ვალენსა, მოზავეკი და სხვები. არჩევნები ჩატარდება 1990 წლის დეკემბერში. ხმების დიდი უპირატესობით არჩეულ ლ. ვალენსა.

საგარეო პოლიტიკა

პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მიერ გამოცხადებული მანიფესტის შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა მთავრობის შექმნის პირველივე დღიდან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, ხოლო მის ძირითად მიმართულებად—მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება. მანიფესტში ნათქვამი იყო: »მტკიცე კავშირი ჩვენს უახლოეს მეგობრებთან—საბჭოთა კავშირთან და ჩეხოსლოვაკიასთან—პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები იქნება. პოლონეთის საგაოაეო პოლიტიკა იქნება დემოკრატიული. რომელიც დაეყრდნობა კოლექტიური უშიშროების პრინციპებს«.

საბჭოთა კავშირის წინადადებით პოტსდამის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც პოლონეთმა დაიბრუნა თავისი დასავლეთის მიწები და მისი საზღვარი გავიდა ოდერზე და ნოისზე. ამ მიღწეულის განმტკიცება გადაიქცა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ

დაეშვათ. რათა გერმანიას როდისმე კიდევ დაერღვია პოლონეთის საზღვრები, მშვიდობა და უშიშროება ევროპაში. გდრ-ის პოზიცია პოლონეთის დასავლეთის საზღვრებისადმი ჩამოყალიბდა 1950 წლის 6 ივლისს პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებაში, რომელიც სცნობდა პოტსდამის გადაწყვეტილებებს პოლონეთის დადასავლეთის საზღვრების შესახებ. რაც შეეხება გფრ-ს, მან უარი თქვა ამ საზღვრების ცნობაზე, რაც დაძაბულ ურთიერთობას ქმნიდა პოლონეთსა და გფრ-ს შორის. ომის შემდეგ დადგენილი საზღვრების ცნობისათვის ბრძოლას პოლონეთი საბჭოთა კავშირთან ერთად აწარმოებდა 25 წლის განმავლობაში. ამ მიმართულებით იგი ყოველმხრივ მსარს უჭერდა საბჭოთა კავშირის ინიციატივას და, თავის მხრივ, აყენებდა მთელ რიგ წინადადებებს. ბოლოს, 1969 წლის 17 მაისს, პოლონეთმა წამოაყენა წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ გფრ-თან, რომლითაც ეს უკანასკნელი იცნობდა საზღვრებს ოდერსა და ნოისზე. პოლონეთსა და გფრ-ს შორის 1970 წლის 7 დეკემბერს ვარშავაში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება. რომლითაც გფრ სცნო პოლონეთის საზღვრები. ამ ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა პოლონეთის უდიდეს წარმატებას.

სახალხო პოლონეთი ყოველთვის იბრძოდა „ცივი ომის" წინააღმდეგ და უშიშროების ისეთი სისტემის შექმნისათვის. რომელიც მტკიცედ დაამკვიდრებდა მშვიდობის საქმეს, კერძოდ საერთოევროპული კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის. ამ საკითხში პოლონეთის უმნიშვნელოვანეს ინიციატივას წარმოადგენს 1957 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რაპაცკის მიერ წამოყენებული გეგმა უატომო ზონის შექმნის შესახებ ცენტრალურ ევროპაში, რომელიც მოიცავდა პოლონეთს. ჩეხოსლოვაკიას, გდრ და გფრ. მართალია, ეს გეგმა დასავლეთის სახელმწიფოების უარყოფითი პოზიციის გამო არ განხორციელდა, მაგრამ მან ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ევროპაში. 1960 წელს პოლონეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა წინადადება დასახელებული ოთხი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თერმოატომური იარაღის ლიკვიდაციის შესახებ. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა ეს წინადადებაც უარყვეს.

პოლონეთის მთავრობამ თავისი წვლილი შეიტანა უშიშროების და თანამშრომლობის სამივე ეტაპის სამუშაოების წარმატებით დაგვირგვინებაში. ამასთანავე პოლონეთი იბრძოდა იმისათვის. რათა პოლიტიკური დაძაბულობის შენელებასთან ერთად მომხდარიყო სამხედრო დაძაბულობის შენელებაც. პოლონეთი მონაწილეობს ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებისა და შე-

იარაღებული ძალების შემცირების შესახებ და თავისი წვლილი შეაქვს ამ მოლაპარაკების წარმატებით დაგვირგვინებისათვის. პოლონეთი მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის ყველა სამშვიდობო ინიციატივას.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლასთან ერთად ევროპასა და მთელ მსოფლიოში, პოლონეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საქმეს არა მარტო სოციალისტურ, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებთანაც. 1972 წელს ე. გერეკი საფრანგეთში ყოფნის დროს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება პოლონეთსა და საფრანგეთს შორის 10 წლის ვადით ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე იაროშევიჩი ვიზიტით იყო შვეიცარიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, დანიასა და ისლანდიაში და მთელი რიგი ხელშეკრულებები და შეთანხმებები დადო ამ ქვეყნებთან.

1973 წლის სექტემბერში პოლონეთის ინიციატივით ქალაქ გდანსკში შედგა ბალტიის ზღვის ქვეყნების წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც დასაწყისი გახდა ბალტიის ზღვის რაიონში თანამშრომლობის პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტისა. პოლონეთი თავის ურთიერთობას ავითარებდა ინგლისთან, იტალიასთან, ბელგიასა და სხვა ქვეყნებთან.

1972 წელს ვარშავაში ვიზიტად იმყოფებოდა აშშ-ის პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომლის დროსაც დაიდო შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. აქტიურდება პოლონეთის სახელმწიფოს კონტაქტები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან.

პოლონეთი იბრძოდა საერთშორისო კონფლიქტების კერების ლიკვიდაციისათვის. მხარს უჭერდა ვიეტნამელი და ინდო-ჩინეთის ხალხების ბრძოლას. იგი მონაწილეობდა საერთაშორისო კომისიებში—კორეის, სამხრეთ ვიეტნამის და ლაოსის საკითხებზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებულ ძალებში ახლო აღმოსავლეთში.

70—80-იან წლებშიც პსრ-ის საგარეო პოლიტიკური კურსი საერთაშორისო არენაზე საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან შეთანხმებული მოქმედების კურსი იყო. ამის ნათელი მაგალითია პსრ-ის პარტიის, მთავრობისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელების მრავალრიცხოვანი მეგობრული, საქმიანი ვიზიტები საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, ასევე მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელთა საპასუხო ვიზიტები პოლონეთში.

პოლონეთის დელეგაცია ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიებისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მუშაობაში. 1975 წელს ე. გერეკი ვიზიტით იყო გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში, ვიეტნამსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ხელი მოაწერა შეთანხმებას 1976—1980 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და საქონლის ბრუნვის გაფართოების შესახებ.

1979 წლის ბოლოსათვის პოლონეთი და სსრ კავშირი მონაწილეობდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ჩარჩოებში არსებულ 80 შეთანხმების რეალიზაციაში წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების დარგში და ამ მიმართულებით პოლონეთმა, როგორც სსრ კავშირთან, ასევე ჩეხოსლოვაკიასთან და უნგრეთთან ხელი მოაწერა შეთანხმებებს ჩმელნიცკის ატომური ელექტროსადგურის (სსრ კავშირი) მშენებლობაში მონაწილეობის შესახებ, საიდანაც 1984 წლიდან პოლონეთი ყოველწლიურად იღებს 6 მლრდ კვტ საათ ენერგიას. 1975 წ. პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ათი წლის ვადით კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.

დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის ორიენტაციის შედეგი ის იყო, რომ პოლონეთმა დიდი სესხები აიღო მათგან და პროცენტები ამ სესხებზე ყოველწლიურად დიდ გადასახადს შეადგენდა. ამასთანავე 1980—1981 წწ. პოლონეთის ამბების შემდეგ აშშ-მა და დასავლეთის სხვა ქვეყნებმა სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური სანქციები გამოიყენეს პოლონეთის წინააღმდეგ, რის გამოც პოლონეთი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1982 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებმა გადაუვადეს პოლონეთს კრედიტების გადახდის ვადა და უარი თქვეს კრედიტებისაგან პროცენტის მიღებაზე.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ახალმა ხელმძღვანელმა ვ. იარუზელსკიმ კვლავ აიღო კურსი საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთგვარად შესუსტებული ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის ნატოს ქვეყნების მიერ პოლონეთის მიმართ გამოცხადებული ეკონომიკურ-ფინანსური სანქციების საწინააღმდეგოდ სოციალისტური ქვეყნები ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ პოლონეთს ეკონომიკური სიძნელეების დაძლევისათვის. ინფლაციის მოვლენების შესუსტებისათვის. საყურადღებოა, რომ პოლონეთის მოსახლე-

ობაში 500 მლრდ ზლოტი ჰქონდა, მაგრამ მისი ბრუნვაში გაშვება შეუძლებელი გახდა საქონლის სიჭიროის გამო. სოციალისტური ქვეყნები ცდილობდნენ ამ მიმართულებით პოლონეთისათვის დახმარების გაწევას.

1982 წლის ივნისში პოლონეთმა და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობისა და საბჭოთა კავშირის მიერ ვარშავაში 23 კმ სიგრძის მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ, რომელიც საბოლოოდ უნდა დამთავრდეს 1995 წელს.

1982 წელს საბჭოთა კავშირმა პოლონეთს ხელსაყრელ პირობებში მისცა კრედიტი, ხოლო 1983 წელს საბჭოთა მთავრობამ პოლონეთს დამატებით მიაწოდა საქონელი და ქმედითი დახმარება აღმოუჩინა მსუბუქი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრის გაფართოებაში.

პოლონეთმა გააფართოვა ურთიერთობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და მთელი რიგი ხელშეკრულებები დადო სავაჭრო-ეკონომიკურ-ფინანსურ დარგში გდრ-თან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, იუგოსლავიასთან. პოლონეთის საგარეო ეკონომიკური კავშირის დასავლეთის ქვეყნებიდან ხელახლად ისევ სოციალისტურ ქვეყნებზე ორიენტაციის მიზანი ის იყო, რომ პოლონეთს დაეძლია ის სიძნელეები, რომლებიც შეიქმნა ნატოს ქვეყნების მიერ პოლონეთისადმი გამოცხადებული ეკონომიკური სანქციების გამო.

1984 წლის მაისში თ. იარუზელსკი ოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირსა და პსრ-ას შორის 2000 წლამდე ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ხანგრძლივადიან პროგრამას, რომელიც როგორც ვ. იარუზელსკიმ აღნიშნა, იგი თითქოს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სიმტკიცეზე მეტყველებს.

იმავე წლის იანვარში მთავრობათაშორისო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კომისიამ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში ხელი მოაწერა სსრ კავშირსა და პსრ-ას შორის 1990 წლამდე წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის განვითარების დარგობრივ პროგრამის ელექტრო-ტექნიკურ, კავშირგაბმულობის, დაზგათმშენებლობისა და ინსტრუმენტალური მრეწველობის დარგებში და აგრეთვე მშენებლობის, გზის, კომუნალური მანქანათმშენებლობის დარგებში, ასევე ხელმოწერილია მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამაზე 1990 წლის პერიოდამდე აეროსამრეწველო კომპლექსის დარგში. სსრ კავშირმა და პსრ-ამ მრავალ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, მათ შორის პოლონეთში „ჟარნოვეცის“ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე (1983 წ.

აპრილში), სსრ კავშირის ტერიტორიაზე გაზის მაგისტრალური ხაზის მშენებლობაზე (მაისში), გაზსადენი „კომპრონი—ბრესტი—ვარშავის მშენებლობაზე; სსრ კავშირის მონაწილეობაზე პოლონეთის მეტალურგიული ობიექტების მშენებლობის დასრულებაში; სპეციალიზაციასა და კოოპერაციის შესახებ ავტომობილების მშენებლობის, მძიმე მანქანათმშენებლობის დარგებში; მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ სათბობისა და ენერგიის ეკონომიის პრობლემების საკითხებში (1983 წ. ნოემბერში). 1983 წ. საბჭოთა კავშირმა პოლონეთს მისცა შეღავათიანი კრედიტები. 1983 წ. საქონლის ბრუნვამ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის შეადგინა 10 მლრდ მანეთი. მათ შორის პოლონეთის საქონლის ექსპორტი 4.8 მლრდ (1982 წ. შეადგინა—4,1 მლრდ), ხოლო ექსპორტი სსრ კავშირიდან—4,9 მლრდ მანეთი, 1983 წ. მან შეადგინა შესაბამისად 4.8 მლრდ და 5.3 მლრდ; 1984 წ. საქონლის ბრუნვა გაიზარდა 11,4 მლრდ მანეთამდე, ექსპორტი სსრ კავშირში—5,3 მლრდ, ხოლო პოლონეთში სსრ კავშირიდან 6,1 მლრდ მანეთი. 1985 წ. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საქონლის ბრუნვამ შეადგინა 12,04 მლრდ მანეთი, მათ შორის პოლონეთის ექსპორტმა სსრ კავშირში შეადგინა — 5.5 მლრდ, ხოლო იმპორტმა საბჭოთა კავშირიდან პოლონეთში—6.5 მლრდ მანეთი. სსრ კავშირს პირველი ადგილი ეკავა პოლონეთის საგარეო ვაჭრობაში .1986 წელს პოლონეთ—სსრ კავშირის სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 12,94 მლრდ მანეთი, მათ შორის პოლონეთის ექსპორტმა სსრ კავშირში შეადგინა—6,13 მლრდ მანეთი, სსრ კავშირისამ პოლონეთში კი—6,81 მლრდ მანეთი. 1987 წელს სავაჭრო ბრუნვამ სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის შეადგინა 12,87 მლრდ მანეთი. პოლონეთმა მნიშვნელოვნად გააფართოვა სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან—გდრ-თან, ჩეხოსლოვაკიასთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, კუბასთან და სხვებთან.

უკვე 1984 წ. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის პროფილთან ახლოს მდგომი 63 საწარმოს შორის დამყარდა ურთიერთობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრეწველობის ისეთ ახალ დარგებში თანამშრომლობას, როგორიცაა მიკროელექტრონიკა, რობოტების ტექნიკა, წარმოების ავტომატიზებული სისტემა და ა. შ.

გაფართოვდა აგრეთვე პოლონეთის ეკონომიკური თანამშრომლობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. მაგალითად, უკვე 1984 წელს პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის საქონლის ბრუნვამ შეადგინა 1 მლრდ 825 მლნ მანეთი. ჩეხოსლოვაკიამ უკვე 1984 წელს მეორე

ადგილი დაიკავა პოლონეთთან (საბჭოთა კავშირის შემდეგ) ვაჭრობაში. ამავე წელს 15%-ით გაიზარდა საქონლის ბრუნვა პოლონეთსა და რუმინეთს შორის და მომდევნო წლებშიც ტენდენცია ზრდისა გრძელდებოდა. 1984 წელს ბულგარეთთან საქონლის ბრუნვა 10%-ით გაიზარდა, 10%-ზე მეტად კი—კუბასთან. შემდგომში ამ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის მატების ტენდენცია საგრძნობლად მნიშვნელოვანი იყო. პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენადაა მიჩნეული ვ. იარუზელსკისა და მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ვარშავაში 1985 წ. აპრილში, რომლის დროსაც ხაზი გაესვა ამ ორ ქვეყანას შორის ყოვლისმომცველი თანამშრომლობა, განმტკიცების პრინციპულ კურსს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის აუცილებლობას, რომ ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რათა დაცვან მშვიდობა და უშიშროება ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში. აღინიშნა რა ფაშიზმზე გამარჯვების 40 წელი, ხაზი გაესვა იმას, რომ ამ გამარჯვების ისტორიული გამოცდილება ეაკვეთილი უნდა გახდეს იარაღის ჟღარუნისა და რევანშისტული მოწოდებების მოყვარულთათვის დასავლეთ გერმანიაში, რომელნიც ცდილობენ სათუო გახადონ ომის შედეგად დადგენილი საზღვრები ევროპაში.

1985 წლის მეორე ნახევარში პოლონეთსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ხელმოწერილია 1986—1990 წლების სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაციის ოქმები.

1985 წ. მნიშვნელოვნად გააქტიურდა კონტაქტები პოლონეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. პოლონეთში ჩამოვიდა ჩინეთის პრემიერის მოადგილე ლი პენი (მაისში), რომლის დროსაც ხელმოწერილია პოლონეთ-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმება 1986—1990 წლებისათვის.

1986 წლის თებერვალში ზ. მესნერის ვიზიტის დროს მოსკოვში სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის ხელმოწერილ იქნა მთელი რიგი შეთანხმებები, მათ შორის პოლონეთში 4000 მეგავატის სიმძლავრისა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე. ნ. ი. რიჟკოვის ვიზიტის დროს (ოქტომბერში) პოლონეთში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ორი ქვეყნის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის პირდაპირი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირის დამყარებისა, ერთობლივი სამეურნეო ორგანიზაციების შექმნისა და საქონლის ბრუნვის გაზრდის შესახებ. 1986 წლის ბოლოს პირდაპირი კავშირი დამყარდა 97 საბჭოთა და 104 პოლონურ გაერთიანებასა და საწარ-

მოებს შორის და აგრეთვე 45 საბჭოთა და 47 პოლონურ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს შორის.

პოლონეთმა მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობის წინადადებებს საუკუნის ბოლომდე ბირთვული და სხვა მასობრივი მოსპობის იარაღის მოსპობაზე. პოლონეთის მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

პოლონეთი ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა განიარაღებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ ევროპაში. კერძოდ, 1987 წ. ვ. იარუზელსკიმ, სსრ-ის მთავრობის სახელით, წამოაყენა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების შემცირებისა და ნდობის განმტკიცების კოორდინირებული პროგრამა ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების თანდათანობით შემცირების გზით იმ რაიონში, სადაც ერთმანეთისადმი დაპირისპირებულია ორი სამხედრო დაჯგუფება. იგი მოიცავს ცხრა სახელმწიფოს ტერიტორიას: გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, გფრ-ის, ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის და დანიისას.

1987 წელს პირდაპირ თანამშრომლობას ახორციელებდა სსრ კავშირისა და პოლონეთის 150 სამრეწველო საწარმო, 100 სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და 55 უმაღლესი სასწავლებელი თითოეული მხარისა. 1986 წლის ოქტომბერში სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო ორგანოების შექმნისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად გადაიდგა პირველი ნაბიჯები ერთობლივი საწარმოების შექმნისათვის. 1987 წლის იანვარში სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მაგისტრალური გაზსადენის იამბურგ—სსრ კავშირის დასავლეთის საზღვრამდე გაყვანისა და პოლონეთის ბუნებრივი გაზის გრძელვადიანი მიწოდების შესახებ.

1987—1988 წწ. ვაიზარდა პოლონეთის ის ქალაქები და ვოევოდები, რომელნიც სსრ კავშირის რესპუბლიკებთან, მხარეებთან, ოლქებთან და ქალაქებთან თანამშრომლობენ. ადგილობრივი კავშირის განვითარების ახალ ფორმად გადაიქცა ქალაქ ბელოსტოკში გამართული პირველი პოლონეთ-საბჭოთა ბაზრობა.

1987 წელს პოლონეთსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მთელი რიგი ეკონომიკური, სავაჭრო და სხვა სახის შეთანხმებები დაიდო და მრავალი ურთიერთ მეგობრული და საქმიანი ვიზიტი მოეწყო. გრძელდებოდა ურთიერთობის გაფართოება ჩინეთთან. 1987

წლის ივნისში პოლონეთში ვიზიტით იყო ჩინეთის პრემიერი ჯაო ცზიანი და საგარეო საქმეთა მინისტრი (მარტში). პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ოკეხოვსკი იყო ჩინეთში (ნოემბერში).

1988 წლისათვის საქონლის ბრუნვამ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის მიაღწია 13 მლრდ მანეთს. საბჭოთა კავშირის მიერ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან დადებული 1100 საავარო შეთანხმებიდან 380 პოლონეთზე მოდის. საბჭოთა კავშირს ნედლეულის რესურსების ექსპორტის სამი მეოთხედი მოდის პოლონეთზე. კერძოდ, პოლონეთში ყოველწლიურად შეგვაქვს 15 მლნ ტონა ნავთობი, 7 მლრდ კუბომეტრი ბუნებრივი გაზი, 100 ათასზე მეტი ტონა ბამბა, 6,5 მლრდ კვტ/საათი ელექტროენერგია. მეტალურგიულ ნედლეულში, ცელულოზის, სახერხი მასალების, ქაღალდის, ისევ როგორც ზემოთ ჩამოთვლილ რესურსებზე, პოლონეთის მოთხოვნების 80-დან 100 პროცენტამდე კმაყოფილდება ჩვენი მიწოდებით. პოლონეთში იშვიათად მოიძებნება ისეთი ოჯახი, სადაც არ იყოს საბჭოთა მაცივარი ან ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, ფოტოაპარატი, ან საათი, ყოველი მესუბუქე მანქანა, რომელიც აქ ყოველ მესამე ოჯახს აქვს, ბუშაობს სსრკ-ს მიერ მიწოდებული ბენზინით და სხვ. ამიტომ სსრკ ეკონომიკურ კავშირს პოლონეთთან დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

პოლონეთიდან ჩვენ ვიღებთ არანაკლებ მნიშვნელოვან საქონელს, მაგალითად, პოლონურ ელექტროტექნიკურ მოწყობილობებს, რკინიგზის ვაგონებს, აღჭურვილობა კვების მრეწველობისათავის აკმაყოფილებს ჩვენი მოთხოვნების 20—25 პროცენტს, საზღვაო გემებისა—10 პროცენტს. პოლონურ მოწყობილობებზე საბჭოთა კავშირში აწარმოებენ გოგირდის მჟავის თითქმის ნახევარს, შაქრისა და მერქნის ნათალის, ფილების თითქმის ნახევარს.

პოლონეთის ტერიტორიაზე შექმნილია ექვსი ერთობლივი საწარმო. რომელთაგან სამი—ქარხანა საყოფაცხოვრებო ქიმიის და კოსმეტიკისა „მირაკულუმი“ კრაკოვში, „ფინბესი“ ოსტშეშევეში, რომელიც დაზგათმშენებლობის ქარხანაა, საგამომცემლო-პოლიგრაფიული საწარმო „ორბიტა“, რომელიც უკვე უშვებს პროდუქციას. ერთობლივი კოოპერაციის შედეგია ჩვენი ანტონოვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და საავიაციო ქარხნის პოლონეთში (მელცში) შექმნილი ერთობლივი საკონსტრუქტორო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა აგრარული თვითმფრინავის ახალი პროექტი. კოოპერაცია ბიგდოშმინსკმა შექმნა ველოსიპედის გაუმჯობესებული მოდელი, აგრეთვე, პირველი პოლონური მოტოციკლეტის მოდელები.

1989 წელს ხელმოწერილი საქონელბრუნვისა და ფულის გადახდის შესახებ შეთანხმება სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის ითვალისწინებს უპირატესად მანქანებისა და მოწყობილობების ხვედრითი წონის გაზრდას ვაჭრობაში და, აგრეთვე, საზღვრისპირა ვაჭრობისა და პირდაპირი კავშირის გაზრდას ორი ქვეყნის სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის. 1989 წლისათვის საქონლის გაცვლას ახორციელებდა 210 უნივერმაღი და სავაჭრო წერტი, რომელთა წლიური საქონლის ბრუნვა 300 მილიონ მანეთადაა შეფასებული. 1989 წლის 1 იანვრიდან პირდაპირი კავშირი დამყარდა საზღვარგარეთის პარტნიორებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი პროდუქციით ვაჭრობის უფლება აქვს საბჭოთა კავშირის ნებისმიერ საწარმოს წინასწარ რაიმე ნებართვის აღების გარეშე. ამ დროისათვის უკვე 400-მდე ასეთი სახის თანამშრომლობის წყვილი ჩამოყალიბდა. როგორც ვხედავთ პოლონეთი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია ვაჭრობაში.

ამრიგად, როგორც მოყვანილი მასალები ცხადყოფენ, 70-იან წლებში ერთგვარად შეფერხებული ურთიერთობა პოლონეთის ეკონომიკისა და ვაჭრობის დასავლეთის ქვეყნებისადმი ორიენტაციის გამო, რამაც ერთგვარი გართულებები შექმნა სახალხო მეურნეობაში, 80-იანი წლებიდან პოლონეთი კვლავ სოციალისტურ ქვეყნებზე იყო ორიენტირებული და მნიშვნელოვანი წარმატებებიც იყო მოპოვებული.

ურთიერთობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან და განვითარებად სახელმწიფოებთან

70-იან წლებში პოლონეთმა გააქტიურა ურთიერთობა და ფართო კონტაქტები დაამყარა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებთან—აშშ-თან, ავსტრიასთან, სკანდინავიის ქვეყნებთან. 1974 წელს ოქტომბერში პგმპ-ის ცკ-ის პირველი მდივანი ე. გერეკი ვიზიტით იყო აშშ-ში. სადაც ხელი მოაწერა აშშ-ის პრეზიდენტთან ერთობლივ განცხადებას სსრ-ასა და აშშ-ის ურთიერთობის პრინციპების შესახებ და შეთანხმებას პოლონეთ-ამერიკის ეკონომიკური საბჭოს დაარსების, აგრეთვე, შეთანხმებებს ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის, ენერგეტიკის დარგში ერთობლივი კვლევის, დამუშავებისა და საერთო ფონდის შექმნის შესახებ, მეცნიერების და ტექნიკის პროგრამაში ერთობლივი სამუშაოების შესრულებისათვის. 1974 წ. ნოემბერში ე. გერეკი და პრემიერ-მინისტრი პ. იაროშევიჩი ვიზიტით იყვნენ ფინეთში, ა. იაროშევიჩი იმყოფებოდა ავსტრიაში (ოქტომ-

ბერ-ნოემბერში), ხოლო პოლონეთში ვიზიტით იყო შვეიცის პრემიერმინისტრი უ. პალმე (აპრილში). 1974 წ. ივლისში დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა პოლონეთსა და პორტუგალიას შორის.

პოლონეთის დელეგაცია აქტიური მონაწილეა ჰელსინკის საერთო ევროპული თათბირისა (1975 წ. აგვისტოში). ჰელსინკში მოეწყო შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციასთან, სადაც მიღწეული იქნა გადაწყვეტილება შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც მოაგვარებდა ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საკითხებს და მოახდენდა თანამშრომლობის რეგულირებას. მალე ამის შემდეგ 1975 წ. ოქტომბერში ვარშავაში ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ასეთ შეთანხმებებს, რომელნიც რატიფიცირებულია 1976 წ. მარტში.

პოლონეთი აფართოებდა ურთიერთობას აგრეთვე საფრანგეთთან. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ. ესტენის (1975 წ. ივნისში) ვიზიტს პოლონეთში, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს მთელ რიგ დოკუმენტსა და შეთანხმებას, კერძოდ, დეკლარაციებს მეგობრული თანამშრომლობის შესახებ და კულტურის, მეცნიერების, ინფორმაციისას და ადამიანებს შორის ურთიერთობის დარგში პრინციპებისა და, აგრეთვე, შეთანხმებას ეკონომიკური თანმშრომლობის შესახებ. 1975 წლის ივლისში პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით იყო აშშ-ის პრეზიდენტი ჯ. ფორდი, რომლის დროსაც განიხილეს აშშ-სა და პოლონეთს შორის ურთიერთობის მდგომარეობა. აღინიშნა, რომ მასში მიღწეულია პროგრესი, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. ივლისში პოლონეთში ვიზიტით იყო აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების შესახებ. სექტემბერში კი პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პორტუგალიის პრეზიდენტი ფ. კოშტა გომეში, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

1979 წ. ე. გერეკი (სექტემბერში) ვიზიტით იყო საფრანგეთში. ხოლო გ. იაბლონსკი—ბელგიაში (სექტემბერში), სადაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორი ქვეყნის წვრილი და საშუალო საწარმოების თანამშრომლობის შესახებ მესამე ქვეყნის ბაზრებზე. ამავე წელს პოლონეთში ვიზიტით იყვნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი (აგვისტოში), ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი (სექტემბერში) და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (ივლისში),

ხოლო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდა ფინეთში (ივნისში). აშშ-ში (ივლისში), ესპანეთში (ნოემბერში), გფრ-ში (დეკემბერში).

1979 წელს პოლონეთში ავსტრიის კანცლერის ბ. კრაისკის (ნოემბერში) ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ორი ქვეყნის წვრილ და საშუალო საწარმოებს შორის და ოქმს თანამშრომლობის გაფართოების შესახებ მესამე ქვეყნის ბაზარზე.

1979 წლის ივლისში პოლონეთში ვიზიტით იყო რომის კათოლიკური ეკლესიის პაპი იოან პავლე II (რომის პაპის თანამდებობაზე არჩევამდე იგი იყო პოლონეთის კარდინალი, კრაკოვის არქიეპისკოპოსი კაროლ ვოიტილის სახელით). იოანე პავლე II ვიზიტის შედეგად პოლონეთსა და კათოლიკურ ეკლესიასა და პოლონეთსა და ვატიკანს შორის მოგვარდა ურთიერთობანი.

80-იანი წლების დასაწყისში პოლონეთში შექმნილ დაძაბულ ვითარებას, მთავრობაში მომხდარი ცვლილებებსა და სამხედრო წესების შემოღებას დასავლეთის ქვეყნებმა უპასუხეს ეკონომიკური სანქციების შემოღებით და ცდილობდნენ პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, მხარს უჭერდნენ ოპოზიციურ ძალებს და ხელს უშლიდნენ ვითარების ნორმალიზაციას ქვეყანაში. სამხედრო წესების შემოღების შემდეგ პოლონეთში აშშ-ის მთავრობამ პოლონეთის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვა საგანგებო ღონისძიებების გაუქმება და გამოაცხადა ეკონომიკური სანქციების შემოღება პოლონეთის წინააღმდეგ. 1982 წლის ოქტომბერში პოლონეთის მთავრობის მიერ შემოღებულ კანონს პროფკავშირების შესახებ, რომლითაც იკრძალებოდა „სოლიდარობა“ და სხვა არასახელმწიფო პროფკავშირები, ამერიკის მთავრობამ უპასუხა პოლონეთისათვის აშშ-თან ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის გაუქმებით. აშშ-ის მაგალითს ნატოს სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს. ეკონომიკური სანქციების გარდა ნატოს ქვეყნებმა პოლოენთის წინაღმდეგ გააჩაღეს ფართო იდეოლოგიური კამპანია. 1982 წ. გფრ-ის ტერიტორიაზე 326 რადიოგადამცემი და 37 ტელესადგური მუშაობდა, ძირითადად ამერიკული, რომელნიც პოლონეთისათვის გადასცემდნენ წამქეზებლურ პროგრამებს. ასეთივე გადაცემებს ეწეოდნენ დასავლეთის სხვა სახელმწიფოებიც. ამ ანტიპოლონური კამპანიის საპასუხოდ პოლონეთის მთავრობამ გადახედა აშშ-თან დადებულ სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებას, (დეკემბერი, 1982 წ). მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოსთან და ამერიკის მთავრობის სხვა სააგენტოებთან, რომელნიც ან-

ტიპოლონურ გადაცემებს ეწეოდნენ ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტი შესახებ. თითქოს ამით აშშ-ს დააკლდებოდა რამე. ასეთი გადაწყვეტილება უფრო პოლონეთისათვის იყო საზიანო.

ამასთან ნატოს დაჯგუფებაში შემავალი ქვეყნები კვლავ განაგრძობდნენ ნორმალურ ურთიერთობას პოლონეთთან. მაგალითად, 1982 წ. პსრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიზიტით იყო საფრანგეთში (თებერვალში), იტალიასა და ვატიკანში (ივლისში), საბერძნეთში (ნოემბერში).

შემდგომშიც აშშ-ისა და ნატოს მთელი რიგი ქვეყნების ანტიპოლონურმა პოლიტიკამ გამოიწვია განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის მკვეთრი შემცირება. პოლონეთის მიმართ გრძელდებოდა პოლიტიკური ბოიკოტი, ეკონომიკური და პროპაგანდისტული აქციები. პოლონელი ეკონომისტების გამოანგარიშებით, დასავლეთის ქვეყნების მიერ გამოცხადებული სანქციების გამო პოლონეთის ეკონომიკამ მარტო 1983 წელს 7.5 მლრდ დოლარის რაოდენობის ზარალი ნახა. პოლონეთის მთავრობამ არაერთხელ დაგმო აშშ-ის და გფრ-ის მთავრობის სანქციების პოლიტიკა და სხვა მტრული აქციები პოლონეთის მიმართ. პოლონეთში, სანქციების შემდეგ პირველად იყო ნატოს წევრი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ა. პაპანდრეუ (1984 წ. ოქტომბერი). იმავე წლის დეკემბერში პოლონეთში ჩამოვიდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ანდრეოტი, ხოლო 1984 წლის თებერვალში პოლონეთს ესტუმრნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი და ივლისში კი იუნესკოს გენერალური მდივანი. ამ ვიზიტებმა ხელი შეუწყო პოლონეთის მიმართ დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გამოცხადებული ეკონომიკური სანქციების თანდათანობით შესუსტებას. 1984 წლის აგვისტოში აშშ-ს მთავრობამ განაცხადა თავის გადაწყვეტილებაზე ზოგიერთი დისკრიმინაციული ღონისძიებების გაუქმების შესახებ პოლონეთის მიმართ, კერძოდ. პოლონეთსა და ამერიკას შორის საჰაერო მიმოსვლაზე და, აგრეთვე, მეცნიერულ თანამშრომლობაზე, მაგრამ მთელი რიგი პოლიტიკური პირობების საფუძველზე. იმავე თვეში პოლონეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ საპასუხო განცხადებაში ნათქვამია, რომ იგი უარყოფს და შემდგომაც არ მიიღებს ნებისმიერი დიქტატის პოლიტიკას პოლონეთის მიმართ. მხოლოდ პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა, მათ შორის. სანქციებისა და პროპაგანდისტულ აგრესიაზე უარის თქმა და იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც პოლონეთმა განიცადა ამ სანქციების გამო (1984 წ. „სანქციებისაგან“ მიყენებული ზარალი უკვე 13 მლრდ დოლარს შეადგენ-

და) შექმნის პირობებს ეკონომიკასა და სხვა დარგებში თანამშრომლობაზე. ამ დროს დასავლეთ გერმანიაში გაჩაღებული ანტიპოლონური კამპანიის გამო პოლონეთის მთავრობამ არაერთხელ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რევანშისტული და მილიტარისტული ტენდენციები გფრ-ში საშიშროებას ქმნის უშიშროებისა და მშვიდობის საქმისათვის ევროპაში და მთელ მსოფლიოში.

1984 წ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეას 39-ე სესიამ მიიღო პოლონეთის მიერ წამოყენებული რეზოლუციის პროექტი „საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში ნდობის განმტკიცების შესახებ".

1985 წელს აშშ-ისა და ნატოს ზოგიერთი ქვეყნის მიერ პოლონეთის მიმართ სანქციების გაგრძელების კურსთან ერთად კონტაქტების ერთგვარი გამოცოცხლებაც მოხდა პოლონეთსა და ზოგიერთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. კერძოდ, მაისში, ვარშავაში იტალიის პრემიერ-მინისტრს ბ. კრაქსის საუბარი ჰქონდა ვ. იარუზელსკისთან, დეკემბერში კი პარიზში ვ. იარუზელსკი შეხვდა ფ. მიტერანს. პოლონეთში ვიზიტით იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრები გფრ-ისა (მაისში), დიდი ბრიტანეთისა (აპრილში), იაპონიისა (ივნისში), ხოლო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდა ავსტრიაში, იტალიაში, ვატიკანში (ივნისში), ფინეთში (დეკემბერში).

1985 წ. 7 დეკემბერს პოლონეთსა და გფრ-ს შორის ხელმოწერილ ხელშეკრულების 15 წლისთავთან დაკავშირებით ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ ვარშავაში ვიზიტით იმყოფებოდა გფრ-ის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანტი, რომლის დროსაც აღინიშნა ამ ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ევროპაში.

1986 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობასთან ურთიერთობა ნორმალიზებული გახდა, მაგრამ აშშ კვლავ განაგრძობდა ეკონომიკურ სანქციებს. მხოლოდ 1987 წლის თებერვალში აშშ-მა გააუქმა 1981 წლის დეკემბრიდან შემოღებული ეკონომიკური სანქციები. როგორც ვ. იარუზელსკიმ განაცხადა თავის ინტერვიუში იტალიურ გაზეთ „ტემპოსთან". ამ ეკონომიკურმა სანქციებმა პოლონეთს 15 მლრდ დოლარის ზარალი მიაყენა.

1986 წლის ივლისში პოლონეთის მთავრობამ აშშ-სა და ინგლისის მთავრობასთან მიაღწია შეთანხმებას პოლონეთის ვალის დაფარვის განვადების შესახებ. საერთოდ, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ერთგვარი პოზიტიური ცვლილებები ხდება აშშ-სა და მისი

მოკავშირეების დამოკიდებულებაში პოლონეთის მიმართ. 1987 წლის სექტემბერში პოლონეთში ვიზიტით იყო აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, რომლის დროსაც ხელმოწერილია შეთანხმება მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. რაც შეეხება ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, ამ დროისათვის იგი ჯერჯერობით უმნიშვნელო იყო. ამაზე ბაარს უპერდა პოლონეთის ოპოზიციას, რამაც თავისი გამოხატულება, კერძოდ, იმაში ჰოვა, რომ 1987 წლის ივლისში ამერიკის კონგრესმა 1 მლნ დოლარი გამოყო არალეგალური ოპოზიციური პროფკავშირების „სოლიდარობისათვის". 1987 წელს ვ. იარუზელსკი ვიზიტით იყო იტალიაში და ვატიკანში (იანვარში). იაპონიაში (ივნის-ივლისი), საბერძნეთში (ნოემბერში), ხოლო ბ. ოჟეხოვსკი კი—ინგლისში (დეკემბერში). პოლონეთში კი, იმყოფებოდნენ იაპონიის პრემიერ-მინისტრი (იანვარში), ავსტრიის კანცლერი (სექტემბერში), საგარეო საქმეთა მინისტრები: ესპანეთისა (მარტში), საფრანგეთისა (აპრილში), კანადისა (მაისში), ნიდერლანდებისა (აგვისტოში), დანიისა და ავსტრიისა (ნოემბერში), ბელგიისა (მაისში), რომის პაპი იოანე პავლე II (ივნისში), რომელიც ვ. იარუზელსკის შეხვდა.

1987 წლის დეკემბერში პოლონეთსა და 17 მთავარ დასავლეთის კრედიტორს, ე. წ. გაერთიანებულ „პარიზის კლუბს" შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის შესაბამისად პოლონეთის მიერ 1986—1988 წლებში დასავლეთის ქვეყნებისათვის 8.8 მლრდ დოლარის გადახდა 10 წლით გადაიდო. 1988 წლის ბოლოსათვის პოლონეთის ვალი შეადგენდა 38 მლრდ დოლარს.

1989 წლისათვის პოლონეთის მთავრობა კვლავ აწარმოებდა მოლაპარაკებას „პარიზის კლუბთან", აგრეთვე ამ კლუბის წევრებთან ორმხრივობის საფუძველზე იმის შესახებ, რომ პოლონეთის ვალი გაიყოს ნაწილ-ნაწილად და კიდევ განვადდეს მათი ნაწილ-ნაწილ გადახდა, რათა პოლონეთმა შეიძლოს საერთაშორისო საავალუტო ფონდის კრედიტების გამოყენების შესაძლებლობა. ბანკირები თანახმა იყვნენ კრედიტების მიცემაზე, მაგრამ აშკარად მოითხოვდნენ პოლონეთში არსებული წესების შეცვლას.

70—80-იან წლებში პოლონეთი ავითარებდა ურთიერთობას მესამე სამყაროს ქვეყნებთანაც. პოლონეთში იმყოფებოდნენ ლიბიის პრემიერ-მინისტრი ა. ჯელუდი (1974 წ. თებერვალში) და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაცია ი. არაფატის მეთაურობით (1974 წ. აგვისტოში). მიღებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ პოლონეთი კვლავაც დაუჭერს მხარს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. ბ. იაროშევიჩი იმყოფებო-

და ირანში (1974 წ. ნოემბერში), რომლის დროსაც ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ვაჭრობის შესახებ 1975—1979 წწ. და მემორანდუმი ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში ურთიერთგაგების შესახებ.

1979 წ. პსრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გ. იაბლონსკი ეწვიტით იყო მექსიკასა და კოსტა-რიკაში (ოქტომბერ-ნოემბერში), ხოლო პოლონეთში კი იყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი (ივნისში), ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრი (სექტემბერში). პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კი იმყოფებოდა ლიბიაში (მარტში), იორდანიასა და სირიაში (ოქტომბერში). ამავე წელს პოლონეთმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩადთან (იანვარში), სეიშელის კუნძულებთან (თებერვალში), მავრიკიასთან (აპრილში), ეკვატორულ გვინეასთან (ივნისში). სან-მარინოსთან (დეკემბერში).

1982—1988 წწ. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდა კოლუმბიაში. ვენესუელაში (1982 წ. ოქტომბერში), ინდოეთში. კუვეიტში (1982 წ. ნოემბერში), ხოლო პოლონეთს ეწვია ლიბიის ხელმძღვანელი მ. კადაფი (1982 წ. სექტემბერში). ხოლო ნიგერიაში, ბენიაში, ანგოლაში (1983 წ. აპრილში), ინდონეზიაში. კამპუჩიაში, ტაილანდში (1983 წ. აპრილი) იმყოფებოდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

1984 წელს პოლონეთში ვიზიტით იყო ანგოლის პრეზიდენტი დოს სანტუში. იემენის პრემიერ-მინისტრი ა. ნ. მუხამედი (1984 წ. ნოემბერში). ნიკარაგუას პრეზიდენტი დ. ორტეგა (1984 წ. ივნისი), კამპუჩიის ხელმძღვანელობა. 1985 წ. კი ვ. იარუზელსკი იმყოფებოდა ინდოეთში და მოლაპარაკება ჰქონდა რ. განდისთან (თებერვალში), შემდეგ ლიბიაში (ნოემბერ-დეკემბერში). ალჟირში, ტუნისში (დეკემბერში).

პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებენ განვითარებადი ქვეყნები. 1986 წელს პოლონეთში იმყოფებოდა ზიმბაბვეს პრეზიდენტი (ივნისში), ინდოეთის პრეზიდენტი (ნოემბერში). არგენტინის ვიცე-პრეზიდენტი (ივნისში), ხოლო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ოჟეხოვსკი იმყოფებოდა მექსიკაში. ეგვიპტეში, მალტაში (მაისში), სინგაპურში. ფილიპინებში (ოქტომბერში). ხოლო 1987 წლის თებერვალში კი ირანში, ზ. მესნერი კი ეგვიპტეში (აპრილში). ამავე წელს პოლონეთში იმყოფებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები ინდოეთისა (აპრილში), ეთიოპიისა. ავღანეთისა, ტაილანდისა (მაისში, ურუგვაისა (სექტემბერში).

1989 წელს თებერვალში პოლონეთსა და ირანს შორის დადებული შეთანხმებით ირანს აღნიშნულ წელს პოლონეთში უნდა შეეტა-

ნა 1 მლნ ტონა ნავთობი, პოლონეთს კი მონაწილეობა უნდა მიეღო ომისაგან დაზარალებული ირანის ეკონომიკის აღდგენასა და მოდერნიზაციაში. ამის შესახებ განაცხადა ვარშავაში პრესკონფერენციაზე პოლონეთში ვიზიტად მყოფმა (1989 წ. თებერვალში) ისლამური ირანის პრემიერ-მინისტრმა პ. მუსავიმ. მისივე სიტყვებით, მომდევნო წელს ირანი კიდევ უფრო გაზრდის პოლონეთში ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მიწოდებას.

თ ა ვ ი VIII

რუმინეთის რესპუბლიკა[1]

§ 28. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება რუმინეთში

მეორე მსოფლიო ომის წინ რუმინეთში გაძლიერდა ჰიტლერული გერმანიის გავლენა, რასაც 1938 წლის თებერვლიდან მეფის დიქტატურის დამყარება მოჰყვა. მეფე კარლოს II გააუქმა 1923 წლის კონსტიტუცია. ძალაში შესული ახალი კონსტიტუციით ლიკვიდირებულ იქნა ყველა ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი, რომელსაც ადრინდელი კონსტიტუცია ფორმალურად მაინც ცნობდა. რუმინეთის გაბატონებულ კლასებმა თავისი ქვეყანა გადააქცეს ფაშისტური გერმანიის ძარცვის ობიექტად. მათ 1939 წლის მარტში ფაშისტურ გერმანიასთან დადებული კაბალური ეკონომიკური შეთანხმებით რუმინეთის ეკონომიკა მთლიანად ჰიტლერელებს დაუმორჩილეს.

ჰიტლერული გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისთანავე რუმინეთი ადგილობრივი ბურჟუაზიისა და მემამულეების მხარდაჭერით გადაიქცა გერმანიის ერთ-ერთ მთავარ, ნედლეულისა და სურსათის მიმწოდებელ ქვეყნად. საბჭოთა მთავრობამ, ისარგებლა რა ევროპაში შექმნილი დაძაბული ვითარებით, 1940 წლის ივნისში მოსთხოვა რუმინეთს, რათა მას დაებრუნებინა 1918 წელს შეერთებული ბესარაბია და აგრეთვე სსრ კავშირისათვის გადაეცა უკრაინელებით დასახლებული ჩრდილოეთ ბუკოვინა. რუმინეთის მთავრობა იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა.

1940 წლის 30 აგვისტოს ვენის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ფაშისტურმა გერმანიამ და იტალიამ რუმინეთს მოსთხოვეს. უნგრეთისათვის გადაეცა ჩრდილოეთ ტრანსილვანია (45 ათასი კმ²). ამ და-

---

[1] თანამედროვე რუმინეთის ტერიტორია შეადგენს—237,5 ათას კმ². მოსახლეობა—23 მლნ. (1988 წლის 1 იანვრისათვის). დედაქალაქია ბუქარესტი (2,2 მლნ. მცხოვრები).

ნაკარგის ანაზღაურებას რუმინეთს ჰიტლერი ჰპირდებოდა საბჭოთა კავშირის ხარჯზე.

რუმინეთის მთავრობის ასეთმა „გულუხვობამ“ ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია და მეფის საწინააღმდეგო ვამოსვლები დაიწყო. ასეთ ვითარებაში რუმინეთის რეაქციამ 1940 წლის 4 სექტემბერს ხელისუფლების სათავეში ჩააყენა ჰიტლერის აგენტი გენერალი ი. ანტონესკუ. მან მეორე დღესვე გააუქმა კონსტიტუცია და აშკარა ფაშისტური დიქტატურა დაამყარა. ხელისუფლების კონსოლიდაციის მიზნით თავიდან მოიშორეს სახელგატეხილი მეფე კარლოს II, რომლის ადგილას დააყენეს ახალგაზრდა მემკვიდრე მიხაი. ფაქტობრივად მთელი ძალაუფლება გენერალ ანტონესკუს ხელში გადავიდა, რომელმაც ქვეყნის შიგნით დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ აშკარა ტერორი გააჩაღა. 1940 წლის აგვისტოში ბულგარეთმა რუმინეთს მოსთხოვა თავისი ყოფილი ტერიტორიის—დობრუჯის უკან დაბრუნება. ბოლაპარაკება ამ საკითხზე 1940 წლის 7 სექტემბერს რუმინეთსა და ბულგარეთს შორის დადებული ხელშეკრულებით დამთავრდა, რომლის მიხედვით რუმინეთმა მას დაუბრუნა ბალკანეთის მეორე ომის დროს რუმინეთის მიერ ბულგარეთისათვის 1913 წელს წართმეული, ბულგარელებით დასახლებული ტერიტორია სამხრეთ დობრუჯუ. ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ანტონესკუს ფაშისტურმა მთავრობამ რუმინეთი გერმანიისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად გადააქცია და ჰიტლერელების მითითებით საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის ამზადებდა. რუმინეთის რეაქციას ჰიტლერელები პირდებოდნენ მოლდავეთს და უკრაინის დიდ ნაწილს.

1940 წლის მაისში გერმანიასა და რუმინეთს შორის დაიდო ე. წ. „ნავთობის პაქტი“, რომლითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობდა გერმანიისათვის ყოველწლიურად მიეწოდებინა 3 მლნ ტონა ნავთობი, მსოფლიოს ბაზარზე არსებული ფასების მხოლოდ 33%-ის ღირებულებით. რუმინეთი აკმაყოფილებდა გერმანიის სამხედრო მოთხოვნებს ნავთობზე 30%-ით. ვინაიდან ამ ხელშეკრულებამ არა მარტო მშრომელების, არამედ ბურჟუაზიის აღშფოთებაც გამოიწვია, ანტონესკუ თავისი რეჟიმის განმტკიცებას გერმანიის მხარდაჭერით ცდილობდა. ამ მიზნით 12 ოქტომბერს გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებით მან რუმინეთში მოიწვია ჰიტლერელების „სამხედრო მისია“, რომლის რაოდენობა 1941 წლისათვის 200 ათას კაცამდე გაიზარდა. ანტონესკუს ფაშისტური რეჟიმი ქვეყნის გამგებლობას გერმანელთა ხიშტებზე დაყრდნობით ფიქრობდა. „სამხედ-

რო მისია“ შეუდგა რუმინეთის ჯარების გაწვრთნას თანამედროვე ყაიდაზე. ახალი სამხედრო ტექნიკის შესაბამისად.

1940 წლის ნოემბერში ანტონესკუმ ხელი მოაწერა ე. წ. ანტიკომინტერნის პაქტს, რომლითაც იგი ფაშისტურ ბლოკს შეუერთდა.

რუმინელი ხალხის ბრძოლა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ

ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პირველსავე დღეს რუმინეთი ომში ჩაება ჰიტლერული გერმანიის მხარეზე და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყვანა 1 მილიონი ჯარისკაცი. ომის მსვლელობაში ანტონესკუს მთავრობა, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, არაერთხელ ახდენდა თავისი ჯარების შევსებას. რუმინეთის ფაშისტებსა და გაბატონებულ კლასებს მიზნად ჰქონდათ დასახული გაეფართოვებინათ რუმინეთის საზღვრები დნესტრამდე და ბუგამდე. რუმინეთის დამღუპველი პოლიტიკა არ პოულობდა ხალხთა მასების მხარდაჭერას და იწვევდა ომის საწინააღმდეგო მოქმედებას. მრავალი რუმინელი ჯარისკაცი ტყვედ ბარდებოდა საბჭოთა ჯარებს, ან დეზერტირობდა. ჯარისკაცების დეზერტირობამ იმდენად ძასობრივი ხასიათი მიიღო, რომ 1943 წლის 14 აპრილს რუმინეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით დეზერტირები უნდა შეეპყროთ, უკან დაებრუნებინათ და ორივე ხელისგულზე ამოეწვათ „დ—ი“, ე. ი. დეზერტირი.

ანტონესკუს ფაშიატური მთავრობა დიდი სიმკაცრით ახშობდა ომის საწინააღმდეგო ყოველგვარ მოძრაობას. რუმინეთის კომპარტია ჯერ კიდევ 1924 წლიდან იმყოფებოდა ღრმა იატაკქვეშ და დევნას განიცდიდა. მიუხედავად სისხლიანი ტერორისა, ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო მოძრაობა რუმინეთში განსაკუთრებით საბჭოთა ჯარების სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ ღებულობს ფართო ხასიათს. 1941 წლის 6 სექტემბერს რუმინეთის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა მშრომელებს შეექმნათ ეროვნული ფრონტი, გაეერთიანებინათ ყველა ანტიფაშისტური ძალა ჰიტლეოელების ქვეყნიდან გადასაღევნად და ანტონესკუს ფაშისტური მთვრობის დასამხობად. 1943 წლის დასაწყისში ქვეყნის დემოკრატიული და ანტიფაშისტური ორგანიზაციები გაერთიანდნენ „პატრიოტულ ანტიფაშისტურ ფრონტში“. მასში კომუნისტებთან ერთად, შევიდა 1933 წლიდან არსებული და კომუნისტებთან თანამშრომლობაში მყოფი გლეხთა დემოკრატიული ორგანიზაცია „მიწათმოქმედების ფრონტი“ პეტრუ გროზას მეთაურობით, აგრეთვე პატრიოტების კავშირი, ტრანსილვანიელ უნგრელთა დემოკრატიული ორგანიზაცია „მადოსი“, სოციალ-დემოკრატიული პარტია და სხვები. „პატ-

რიოტულმა ფრონტმა“ მიიღო მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ანტონესკუს მთავრობის დამხობას, ჰიტლერელების განდევნას ქვეყნიდან, დემოკრატიული მთავრობის შექმნას და რუმინეთის გაერთიანებას ანტიჰიტლერულ კოალიციაში. „პატრიოტულმა ფრონტმა“ 1943 წლის იანვარში არალეგალურად დაიწყო თავისი გაზეთის „თავისუფალი რუმინეთის“ გამოცემა. 1943 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირში მყოფმა რუმინელმა ანტიფაშისტებმა და სამხედრო ტყვეებმა შექმნეს თუდორ ვლადიმირესკუს სახელობის მოხალისეთა დივიზია, რომელიც საბჭოთა ჯარებთან ერთად იბრძოდა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ.

საბჭოთა ჯარების რუმინეთის საზღვრებთან მიახლოებამ ძალზე დააშინა რუმინეთის ბურჟუაზიული პარტიები. ბრატიანუს ხელმძღვანელობით არსებული ეროვნულ-ლიბერალური და მანიუს ხელმძღვანელობით არსებული ეროვნულ-ცარიანისტული პარტიები შეუერთდნენ 1944 წლის ივნისში ახლად შექმნილ ეროვნულ დემოკრატიულ ბლოკს იმ მიზნით, რომ ომის შემდეგ შეენარჩუნებინათ ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმი,. საბჭოთა მთავრობამ 1944 წლის 12 აპრილს წინადადება მისცა რუმინეთს დაზავების შესახებ, მაგრამ ანტონესკუმ უპასუხოდ დატოვა ეს წინადადება. იასი-კიშინევთან საბჭოთა ჯარების მიერ 1944 წლის 20 აგვისტოს გერმანელ-რუმინელი ჯარების დაჯგუფების განადგურებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა რუმინელი ხალხის წარმატებითი ბრძოლისათვის ფაშისტების წინააღმდეგ. მეფე მიხაიც გაემიჯნა ფაშისტურ მთავრობას. 23 აგვისტოს მეფის სასახლეში დააპატიმრეს დიქტატორი ანტონესკუ და მისი რეჟიმის წევრები, ხოლო აჯანყებულებმა და მის მხარეზე გადასულმა ჯარებმა დაიკავეს დედაქალაქის ყველა სტრატეგიული პუნქტი. გერმანელებმა დაბომბეს ბუქარესტი და თავიანთი ჯარებით დაიწყეს შეტევები. დედაქალაქში მყოფი ფაშისტებიც შეეცადნენ ამით ესარგებლათ და ძალაუფლება დაებრუნებინათ, მაგრამ დემოკრატიულმა და პატრიოტულმა ძალებმა, რომელთაც ბუქარესტში მყოფი საბჭოთა სამხედრო ტყვეებიც შეუერთდნენ, მოიგერიეს გერმანელთა ჯარების შემოტევები ბუქარესტზე, ამავე დროს ბუქარესტში განაიარაღეს ჰიტლერელები და რუმინელი ფაშისტები ახალი მთავრობა მეფის ადიუტანტ სანატესკუს მეთაურობით. სანატესკუს მთავრობაში მეფის გენერლებსა და მოხელეებთან ერთად შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენლებიც. მთავრობამ შემდეგი ვალდებულება აიღო: კავშირი უნდა გაეწყვიტა.

ფაშისტურ ბლოკთან და გაერთიანებულიყო ანტიჰიტლერულ კოალიციაში, გაეწმინდა ტერიტორია ჰიტლერელთა ჯარებისაგან და განეხორციელებინა დემოკრატიული გარდაქმნები.

რუმინეთმა 25 აგვისტოს ომი გამოუცხადა გერმანიას. 31 აგვისტოს საბჭოთა ჯარები თ. ვლადიმირესკუს სახელობის მოხალისეთა დივიზიასთან ერთად ბუქარესტში შევიდნენ.

რევოლუციური ძალების ბრძოლა სახალხო დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად

1944 წლი 23 აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ დემოკრატიულმა ძალებმა გაშალეს ბრძოლა ქვეყანაში ღრმა სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებისათვის. დემოკრატიული ძალების წარმატებებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1944 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში რუმინეთისა და ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილ დაზავებას, რომელიც ითვალისწინებდა ფაშიზმის სრულ ლიკვიდაციასა და სახელმწიფო აპარატის დემოკრატიზაციას. დაზავების პირობებით გარანტირებული იყო რუმინეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. რუმინეთმა ვალდებულება იკისრა, ომში ჩაბმულიყო ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე და გერმანიისა და უნგრეთის წინააღმდეგ გამოეყვანა არანაკლებ 12 დივიზიისა. დაზავების პირობები ითვალისწინებდა აგრეთვე 1940 წლის „ვენის არბიტრაჟის" გადაწყვეტილების გაუქმებასა და ჩრდილოეთ ტრანსილვანიის რუმინეთისათვის დაბრუნებას. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რომ რუმინეთს ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინა ის დიდი ზარალი, რომელიც მიაყენა მისმა ჯარებმა სსრკ-ს ქვეყანას. კერძოდ, რუმინეთს უნდა გადაეხადა საბჭოთა კავშირისათვის 300 მილიონი დოლარი და დაებრუნებინა ყველა ის ფასეულობანი და სხვადასხვა საქონელი, რომელიც საბჭოთა ტერიტორიიდან გაეტანეს რუმინეთში. მაგრამ რუმინეთის რეაქცია, რომელმაც დემოკრატიული ძალების სისუსტის გამო 23 აგვისტოს ამბების შემდეგაც შეინარჩუნა თავისი პოზიციები ქვეყანაში, საბოტაჟს უცხადებდა დაზავების პირობებს. 1944 წლის აგვისტოდან 1945 წლის მარტამდე რუმინეთში შეიცვალა სამი კაბინეტი. მათ შორის ორს სათავეში ედგა გენერალი სანატესკუ, ერთს კი გენერალი რადესკუ. ამ მთავრობაში ადგილების უმრავლესობა ზედა ფენების ხელში იყო. მასში აქტიურ როლს არსულებდნენ ბრატიანუს ეროვნულ-ლიბერალური და მანიუსცარანისტული პარტიები.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მთავრობა ხელს უშლიდა დაზავების პირობების შესრულებას, ქვეყნის დემოკრატიზაციას. დემოკრატიულმა ძალებმა დაიწყეს ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის 1944 წლის ოქტომბრისათვის დემოკრატიულმა ძალებმა ნაცვლად ეროვნულ-დემოკრატიული ბლოკისა, შექმნეს ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი. რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: კომპარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, „მიწათმოქმედთა ფრონტი", „პატრიოტების კავშირი", „მადოსი", პროფკავშირული ორგანიზაციები, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ეროვნულ-ლიბერალური პარტიიდან გამოყოფილი თათარესკუს ჯგუფი და აგრეთვე ეროვნულ-ცარანისტული პარტიიდან გამოყოფილი ალექსანდრესკუს ჯგუფი. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრონტმა წამოაყენა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: სახელმწიფო აპარატისა და არმიის გაწმენდას ომის დამნაშავეთაგან. მათ დასჯას, დაზავების ზუსტ შესრულებას, აგრარული რეფორმის გატარებას და ა. შ. რუმინეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენები. კლასობრივი ძალების ასეთ რთულ სტრუქტურაში კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალის ერთ ფართო კოალიციად გაერთიანება, ამ კოალიციის სათავეში მოქცევა და მისი გამოყენება ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო უპირველეს ყოვლისა, აგრარული საკითხის გადაწყვეტა. რუმინეთში არსებობდა მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 12 ათას მემამულეს იმდენივე რაოდენობის მიწის ფლობა ჰქონდა, რამდენიც 2.5 მილიონ გლეხთა ოჯახს. მარტო სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა 150 ათასი ჰექტარი სახნავი და ტყის მასივის მიწა. გლეხობა ჯერ კიდევ განიცდიდა ნახევრად ფეოდალური ხასიათის ექსპლოატაციას. მემამულეები შეადგენდნენ ქვეყნის რეაქციის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს. მათ ხელში იყო არმიისა და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობა.

კომუნისტებმა, მრავალმილიონიანი გლეხობის თავის მხარეზე მიმხრობის მიზნით მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და გლეხთა შორის დანაწილების ლოზუნგი წამოაყენეს. გლეხთა კომიტეტებმა თვითონ იწყეს ქვემოდან მემამულეთა მიწების დატაცება და ურთიერთშორის დანაწილება. კომპარტიამ აქტიურად დაუჭირა მათ მხარი და წამოაყენა ლოზუნგი: „მიწა დამმუშავებელს". რუმინეთში იმართე-

ბოდა მიტინგები, კრებები, დემონსტრაციები ქვეყნის დემოკრატიზაციის ლოზუნგებით. ხალხი მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის გაწმენდას რეაქციონერებისაგან. მაგრამ რადესკუმ უარი თქვა ხალხთა ამ მოთხოვნების შესრულებაზე. ერთ-ერთი ასეთი 600 ათას კაციანი მიტინგი, რომელიც პროვოკაციულად, ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ორგანიზებულ იქნა კომპარტიის მიერ 1945 წლის 24 თებერვალს ბუქარესტში და სხვა ცენტრებში, რადესკუს მთავრობის ბრძანებით დახვრეტილ იქნა ფრონტიდან გამოძახებული ჯარის მიერ. ამ საზარელმა აქტმა გამოიწვია ხალხთა მასების საყოველთაო მღელვარება, რამაც აიძულა რადესკუ გაქცეულიყო. მან ჯერ ინგლისის საელჩოს შეაფარა თავი, შემდეგ კი ამერიკის თვითმფრინავით საზღვარგარეთ გაიქცა. 1945 წლის 6 მარტს მეფე იძულებული გახდა დათანხმებულიყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის მთავრობის შექმნაზე. კომუნისტების ცდები, რომ თვითონ მოქცეულიყვნენ ხელისუფლების სათავეში უშედეგოდ დამთავრდა, ფრონტმა მთავრობის მეთაურად აირჩიეს პეტრუ გროზა. საყურადღებოა, რომ პ. გროზა ადრე მსხვილი მემამულე და კაპიტალისტი იყო. 20-იან წლებში იგი რამდენჯერმე აირჩიეს პარლამენტში დეპუტატად. ბურჟაზიულ მთავრობაში მას ორჯერ მინისტრის პოსტიც კი ეკავა. პ. გროზა სათავეში ჩაუდგა „მიწათმოქმედთა ფრონტს". იგი მომხრე იყო კომუნისტებთან თანამშრომლობისა. რადესკუს რეაქციული მთავრობის დამხობა, დემოკრატიული ფრონტის მთავრობის შექმნა და ამ საქმეში მშრომელთა წარმატებები შესაძლებელი გახდა საბჭოთა ჯარების მხარდაჭერის წყალობით.

დემოკრატიული გარდაქმნები. აგრარული რეფორმა

რეაქციული რეჟიმ-ს დამხობასა და ახალი მთავრობის შექმნას, რომლის შემადგენლობაში კომუნისტებიც შევიდნენ (მათ ხელში გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტრო). უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დემოკრატიულ ფრონტს ამოფარებული კომუნისტები შინაგან სამინისტროს იყენებდნენ თავისი მეტოქეების მოსპობისათვის. მთავარი სამხედრო დამნაშავენი ანტონესკუს მეთაურობით გასამართლებულ და დასჯილ იქნენ სიკვდილით. ძველი ფაშისტური აპარატი მთელი თავისი მმართველობის ორგანოებით ლიკვიდირებულ იქნა.

1945 წლის 23 მარტს გამოიცა აგრარული კანონი, რომლითაც სამხედრო დამნაშავეებისა და ფაშისტებთან თანამშრომლობაში მყოფი პირების მიწები კონფისკებულ იქნა. კანონით მიწის მფლობელობა დაშვებული იყო 50 ჰექტარამდე, ხოლო ამ დაწესებულ ნორმაზე ზემოთ კი უსასყიდლოდ გადადიოდა სახელმწიფოს ხელში. აგრარული

რეფორმის შედეგად მემამულეებს ჩამოერთვათ 1,468 ათასი ჰექტარი მიწა და განაწილდა 918 ათას ღარიბ გლეხთა ოჯახებს შორის. მიწის ყიდვა-გაყიდვა შეიზღუდა. კულაკები იძულებულნი გახდნენ დაებრუნებინათ გლეხებისათვის ის მიწები, რომელიც მათთვის ვალში ჰქონდათ წართმეული. რეფორმის შემდეგ გლეხთა მეურნეობა 12,7%-ით გაიზარდა, რაც შეადგენდა 400 ათას ახალ მეურნეობას. მიწა მიიღო აგრეთვე 500 ათასზე მეტმა წვრილმა მეურნემ, რომლის შედეგად მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამრიგად, ამ რეფორმის შედეგად მიწის დიდი ნაწილი გადავიდა მშრომელი გლეხობის ხელში და სოფლად საშუალო და წვრილი გლეხთა მეურნეობა ძირითად მეურნეობდა გადაიქცა. რუმინეთში ამ რეფორმის შემდეგ მოისპო მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა. მაგრამ უკვე დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული მეურნეობების მოშლამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტების მკვეთრად დაცემა და ფასების ზრდა.

1945 წლის ზაფხულში მეფე მიხაილ პეტრუ გროზას მთავრობას წაუყენა მოთხოვნა გადადგომის შესახებ. მან იგი უარყო და თითქოს არჩევნების გზით იდგა ხელისუფლების სათავეში განუცხადა, რომ ხალხის ნებასურვილითაა ხელისუფლების სათავეში და მხოლოდ მათი სურვილით გადადგება. ამის საპასუხოდ მეფემ უარი განაცხადა ხელი მოეწერა მთავრობის დადგენილებაზე. რათა ამით არაკონსტიტუციური ხასიათი მიეცა გარდაქმნილი ღონისძიებებისათვის.

1945 წლის 8 ნოემბერს კონსერვატორულმა ძალებმა მეფე მიხაის დაბადების დღის ზეიმის მომიზეზებით სამეფოს სასახლესთან და მთელ რიგ ადგილებში მოაწყვეს დემონსტრაცია, რომლის დროს მოხდა შეტაკებები და რამდენიმე კაცი დაიღუპა. მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოში შემავალმა დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს პეტრუ გროზას არაკონსტიტუციური მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ, მოითხოვეს მისი გადადგომა და მხარი დაუჭირეს მეფის „გაფიცვას“. ეს „გაფიცვა“ გრძელდებოდა 5 თვის განმავლობაში.

1946 წლის პარლამენტის არჩევნები

1946 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რომლის დროსაც ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის საწინააღმდეგოდ გაერთიანდნენ მანიუს ეროვნულ-ცარანისტული პარტია და შემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ტიტელ პეტრუსკუს მეთაურობით. საყურადღებოა, რომ არჩევნები მიმდინარეობდა მთავრობის მიერ 1946 წლის 13 ივლისს მიღებული საარჩევნო კანონის საფუძველზე. ეს

კანონი აწესებდა საყოველთაო საარჩევნო სისტემას. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას პირველად რუმინეთის ისტორიაში ღებულობდნენ ქალები და სამხედრო მოსამსახურეები.

არჩევნებმა, გამარჯვება დემოკრატიულ ფრონტს მოუტანა. გამოცხადდა, რომ მან მიიღო ყველა ამომრჩევლების ხმის 80%. დემოკრატიული ფრონტის პარტიებმა პარლამენტში მიიღეს 377 ადგილი, რეაქციამ კი მხოლოდ 35 ადგილი. არჩევნების საფუძველზე კვლავ შეიქმნა დემოკრატიული ფრონტის მთავრობა პეტრუ გროზას მეთაურობით.

ახალი მთავრობა ძალზე მძიმე პირობებში შეუდგა თავის მოღვაწეობას. 1945—1946 წლებში ქვეყანაში დიდი მოუსავლიანობა იყო. ამას ზედ ერთვოდა ისიც, რომ მკვეთრად იყო შემცირებული რქოსანი საქონელი (1945 წელს 1942 წელთან შედარებით თითქმის 30%-ით შემცირდა). კულაკებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით, გლეხების მძიმე მდგომარეობით და მათგან ჩალის ფასად ყიდულობდნენ მიწებს; ბურჟუაზია შექმნილი ვითარების გამოყენებას არსებული მთავრობის წინააღმდეგ შეტევისა და მისი დამხობისათვის ცდილობდა. ქვეყანაში ფულის საშინელი ინფლაცია დაიწყო. 1947 წლისათვის ქვეყანაში 48 ათასი კერძო საწარმო იყო 40 მილიარდი ლეის კაპიტალით. ამასთანავე, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთის კაპიტალის, უპირატესად ინგლის-ამერიკისა და გერმანიის კაპიტალისტების ხელში იყო. უცხოური კაპიტალი კონტროლს უწევდა ნავთობის მრეწველობის 92%, გაზისა და ენერგეტიკის—95, მეტალურგიის—74 და ქიმიური მრეწველობის—72%-ს. ომისაგან დანგრეული იყო ქვეყნის მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შედეგად უმუშევართა რაოდენობა საშიშ დონეს აღწევდა. საჭირო იყო ფაბრიკა-ქარხნების სწრაფად აღდგენა და უმუშევრობის ლიკვიდაცია. მაგრამ საშინაო ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი, საბოტაჟს უცხადებდნენ მთავრობის ღონისძიებებს და ასეთი გზით ცდილობდნენ ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, რომ ახალ მთავრობას არ შეუძლია შექმნილ ეკონომიკური სიძნელეებიდან თავის დაღწევა. კაპიტალისტების საბოტაჟის შედეგად 1947 წლისათვის უმოქმედოდ იდგა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების მეხუთედი ნაწილი.

შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი იყო სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენა.

1946 წლის დეკემბრის ბოლოს გამოიცა კანონი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. 1947 წელს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო რეორგანიზებულ იქნა და მის ნაცვლად შეიქმნა მრეწველობის ძირითადი დარგების სახელმწიფო სამრეწველო სამმართველო. მონოპოლიური გაერთიანებანი ლიკვიდირებულ იქნა. სამრეწველო სამმართველო ხელმძღვანელობდა საწარმოების მომარაგებას ნედლეულითა და მოწყობილობებით. სპეციალური კანონით სახელმწიფო კონტროლი დაწესდა კერძო საწარმოებზე, რომლის მფლობელები ვალდებული იყვნენ მომჭირნეობით გამოეყენებინათ ნედლეულის მარაგი და მკაცრად დაეცვათ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასები. ახალი საგადასახადო კანონით გაუდიდდა გადასახადი მდიდარ ფენებს და შეუმცირდა მშრომელებს.

1947 წელს გატარდა აგრეთვე ფულის რეფორმაც, რომელიც აშკარა კლასობრივი ხასიათისა იყო. 1 მილიონი ძველი ლეი იცვლებოდა სტაბილიზებულ 50 ახალ ლეიზე. მუშა-მოსამსახურეებს შეეძლოთ გაეცვალათ სამ მილიონამდე, გლეხებს—5 მილიონამდე, დანარჩენებს—მხოლოდ 1 მლნ. ლეი. რეფორმამ დიდი დარტყმა მიაყენა სპეკულანტებს, რომლებიც ომის დროს ხალხის ვაჭრვების ხარჯზე იყვნენ გამდიდრებულნი. ქალალდის ფულის უზარმაზარი თანხა, რომელიც ბურჟუაზიას ეკუთვნოდა, გადაუხურდავებელი დარჩა და ხმარებიდან ამოიღეს.

ყველა ამ ღონისძიების გატარებამ შედეგები გამოიღო. 1947 წლის ბოლოსათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ ომამდელ დონის 61%-ს მიაღწია. მაგრამ ქვეყანა მაინც დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა. ამ გაჭირვების ჟამს საბჭოთა კავშირმა იმ მიზნით, რომ რუმინეთში თავისი გავლენა გაეძლიერებინა მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება გაუწია რუმინეთს. საბჭოთა მთავრობამ რუმინეთს უსასყიდლოდ გადასცა: ორთქლმავლები, ვაგონები, გემები, აწვდიდა რუმინეთის მრეწველობისათვის აუცილებელ ნედლეულს, რომლის შედეგად ნედლეულის ნაკლებობის გამო გაჩერებული საწარმოები კვლავ ამუშავდა. რუმინეთი განთავისუფლდა დაზავების პირობებით გათვალისწინებული სარეპარაციო თანხის ანგარიშზე საბჭოთა კავშირისათვის სურსათის მიწოდებისგან. 1947 წლისათვის ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა.

პარიზის ზავი

1947 წლის 10 თებერვალს ხელმოწერილ იქნა პარიზის ზავი, რომელმაც განამტკიცა და განავითარა მოსკოვში 1944 წლის 12 სექტემბერს დადებული დაზავების შეთანხმება. პარიზის ზავით რუმინეთის საზღვრები დაწესდა ისე, როგორც იგი 1941 წლისათვის იყო, გარდა რუმინეთ-უნგრეთის საზღვრებისა. „ვენის არბიტრაჟის" გადაწყვეტილება გაუქმდა და რუმინეთს უკან დაუბრუნდა უნგრეთის მიერ უკანონოდ მითვისებული ტერიტორია. საყურადღებოა, რომ „ვენის არბიტრაჟის" გადაწყვეტილებით (1940 წ. სექტემბერი) რუმინეთის ტრანსილვანია ორ ნაწილად გაიყო, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი ფაშისტებმა უნგრეთს მიაკუთვნეს. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვრები დაწესდა ამ ორ ქვეყანას შორის დადებული 1940 წლის 28 ივნისის შეთანხმების საფუძველზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა რუმინეთში მყოფი მოკავშირეთა ჯარების 90 დღის განმავლობაში გაყვანას. ამასთანავე საბჭოთა კავშირს უფლება ეძლეოდა რუმინეთში იმდენი რაოდენობის ჯარები ჰყოლოდა, რამდენიც საჭირო იქნებოდა ავსტრიაში მყოფი საბჭოთა ჯარების კომუნიკაციებს ხაზის დასაცავად.

მონარქიის ლიკვიდაცია და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადება

მრავალპარტიული სისტემის წინააღმდეგ მთელი რიგი ნაბიჯები გადაიდგა. მაგალითად, გამოცხადდა, რომ 1947 წლის ზაფხულში უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა სახალხო რეჟიმის დამხობას. ამ შეთქმულების სათავეში თითქოს იყვნენ ეროვნულ-ლიბერალური და ეროვნულ-ცარანისტული პარტიები, რომლებიც მოქმედებდნენ მემარჯვენე სოციალისტებისა და მთავრობის წევრების, ალექსანდრესკუს და თათარესკუს, ჯგუფთან ერთად, რომ შეთქმულთ თითქოს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ დამყარებული ამერიკა-ინგლისის დაზვერვასთან, ღებულობდნენ მათგან მითითებებსა და ინსტრუქციებს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პარტიები პარლამენტის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე დათხოვნილ იქნა და შეწყდა მათი არსებობა. ეროვნულ-ცარანისტული პარტიის ლიდერებმა შექმნეს იატაკქვეშა, ნახევრად სამხედრო ხასიათის ორგანიზაციები. ამ პარტიის ლიდერები 1947 წელს შეეცადნენ საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ, იქ ემიგრან-

ტული „მთავრობა“ შეექმნათ და რუმინელი ემიგრანტებისა და დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერით აშკარა ბრძოლა დაეწყოთ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ შეთქმულთა ჯგუფი, ეროვნულ-ცარანისტული პარტიის ვიცე-თავმჯდომარის ი. მიხალაკეს მეთაურობით, აეროდრომზე დააკავეს, სასამართლოს წინაშე წარდგნენ და უსაფუძვლოდ დაისაჯნენ. ამის შემდეგ, პარლამენტის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე ყველა ბურჟუაზიული პარტია აიკრძალა. 1947 წლის ნოემბერში მთავრობიდან გადადგნენ ბურჟუაზიული პარტიების უკანასკნელი წარმომადგენლები. 1947 წლის 30 დეკემბერს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე მიღებულ იქნა აქტი მეფის გადაყენებისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მეფე მიხაი იყო უმსხვილესი მემამულე და კაპიტალისტი, მის ხელში იყო 150 ათასი ჰექტარი მიწა, 160 სასახლე, ნავთობის უმსხვილესი კომპანია და მილიონობით აქციები მრეწველობის მთელ რიგ დარგებში.

§ 24. რუმინეთი 40-იანი წლების გოლოდან 60-იან წლებამდე

მუშათა პარტიების გაერთიანება და ერთპარტიული მმართველობის დამყარება

სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მემარჯვენეების ძალით ჩამოშორების შემდეგ, ტიტელ პეტრესკუს მეთაურობით, ეს პარტია კომუნისტური პარტიის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პოზიციებზე დადგა, რამაც შექმნა პირობები მუშათა ამ ორი პარტიის გაერთიანებისათვის. 1948 წლის 21 თებერვალს ბუქარესტში შედგა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელმაც შექმნა ერთიანი პარტია „მუშათა პარტიის“ სახელწოდებით. ახალ არჩეულ ცკ-ის შემადგენლობაში შევიდნენ ორივე პარტიის ხელმძღვანელები, გენერალურ მდივნად კი აირჩიეს კომპარტიის ძველი ხელმძღვანელი გეორგი გეორგიუ-დეჟი[1]. მუშათა ერთიანი პარტიის შექმნამ მნიშვნელოვნად გაადვილა კომუნისტური დიქტატურის დამყარება რუმინეთში.

---

[1] გეორგი გეორგიუ-დეჟი კომუნისტურ პარტიაში შევიდა 1930 წელს. 1933 წელს მას მიესაჯა 12 წლით საკატორღო სამუშაო. წლების განმავლობაში იგი ციხესა და საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა. ომის შემდეგ იგი სათავეში უდგება კომუნისტურ პარტიას.

გარდაქმნითი ღონისძიებანი რუმინეთში

1948 წლის მარტში რუმინეთში ჩატარდა დიდი ეროვნული კრების არჩევნები, რომლის დროსაც სახალხო დემოკრატიის ფრონტმა, ოფიციალური მონაცემებით მიიღო აძომრჩეველთა ხმების 93%. დიდმა ეროვნულმა კრებამ იმავე წლის 13 აპრილს მიიღო სახელმწიფოს ძირითადი კანონი—რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის საფუძველზე 1948 წლის 11 ივნისს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი იმ საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ, სადაც 50-ზე მეტი მუშა მუშაობდა. ნაციონალიზებულ იქნა აგრეთვე ტრანსპორტი, ბანკები და სადაზღვევო საზოგადოებები, რომლებიც ეკუთვნოდა როგორც რუმინეთის, ასევე საზღვარგარეთის კაპიტალისტებს. მაგრამ ნაციონალიზაცია შეეხო მხოლოდ მსხვილ და საშუალო საწარმოებს. წვრილი საწარმოები ჯერ კიდევ კერძო პირების ხელში რჩებოდა. ნაციონალიზაციის ჩატარების შედეგად სოციალისტური სექტორის ხელში ვადავიდა ქვეყნის სამრეწველო წარმოების 90%. წარმოების ძირითადი საშუალებების ნაციონალიზაციამ ძირი გამოუთხარა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობას. ამასთანავე ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული წარმოების ურთიერთობა მოიშალა, რამაც შეფერხებები გამოიწვია საქონლის მომარაგებაში.

1948 წელს ნაციონალიზებული მრეწველობის ხელმძღვანელობისა და შემდგომი განვითარების მიზნით შეიქმნა სახელმწიფო საგეგმო კომისია, რომელმაც შეიმუშავა ქვეყნის განვითარების გეგმები, თავდაპირველად, 1949—1950 წლებში, რუმინეთის ეკონომიკის განვითარება ერთწლიანი გეგმების საფუძველზე ხორციელდებოდა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა. პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება

1949 წლიდან დაიწყო რუმინეთის სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა. მოსამზადებელ სამუშაოებს ამ მიზნით პარტია უფრო ადრე შეუდგა. უკვე 1948 წლის შემოდგომაზე სახელმწიფომ შექმნა პირველი 76 მანქანა-ტრაქტორების სადგური, რომელიც სოფლად სოციალისტური გარდაქმნის ერთ-ერთ ტექნიკურ დასაყრდენ ბაზად გადაიქცა. 1949 წლიდან კი იწყება კოლექტიურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლის პროცესი საბჭოთა მოდელის მიხედვით. სოფლად არსებული მეურნეობების მოშლამ გამოიწვია სურსათის პროდუქტების წარმოების დაცემა და დიდი შეფერხებები ქალაქის მომარაგებაში.

სოფლის კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის დაწყებისა და ერთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულების შემდეგ 1950 წლის დეკემბერში მოწვეულმა პარტიის პლენუმმა, შემდეგ კი დიდმა ერ-ოვნულმა კრებამ, მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების პირ-ველი ხუთწლიანი გეგმა (1951—1955 წწ.), რომლის მთავარ ამოცანად გამოცხადდა სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების აგება. იგი უნდა განხორციელებულიყო ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივი-ზაციის გზით. გეგმა ითვალისწინებდა ხუთწლედის ბოლოსათვის მრეწველობაში კაპიტალისტური ელემენტების მთლიან ლიკვიდაციას, ხოლო ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად შე-ზღუდვას. გეგმა ითვალისწინებდა ხუთწლედის ბოლოსათვის სამრეწ-ველო წარმოების გადიდებას 2,5-ჯერ.

1950 წლის ოქტომბერში პარტიის ცკ-ის პლენუმმა მიიღო დად-გენილება ქვეყნის ელექტროფიკაციის გენერალური გეგმის შესახებ 1951—1960 წლებში. ამ ხნის განმავლობაში რუმინეთში უნდა აგე-ბულიყო 13 თბო და 24 ჰიდროელექტროსადგური, რის შემდეგ ქვეყ-ნის ენერგეტიკული სიმძლავრე 4-ჯერ გაიზრდებოდა.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ხუთწლიანი გეგმა წარმატე-ბით განხორციელდა, რომლის შედეგად სამრეწველო წარმოება 1938 წელთან შედარებით 2,9-ჯერ გადიდდა. აივო 100-მდე მსხვილი სა-წარმო, 20 ახალი ელექტროსადგური, 200-მდე საწარმო კი გაფარ-თოვდა და აღიჭურვა უახლესი ტექნიკით.

მრეწველობის ზრდას ხუთწლედში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობა, რის გამოც შეიქმნა დისპროპორცია. ამასთან დაკავშირებით 1953 წლის აგვისტოში რუმინეთის მუშათა პარტიის ცკ-ის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის ტექნიკით უზრუნველყოფის მიზნით ქვეყანაში 16 სოფლის მეურნეობის მანქანების საწარმოების შექმნას. ამ საქ-მეში რუმინეთს დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა.

1952 წელს გატარდა ფულის ახალი რეფორმა და ფართო მოხმა-რების საგნებზე ფასების შემცირება.

1947 წელს გატარებული ფულის რეფორმით ძირითადად შეძ-ლებული კლასები გაძარცვეს, ამ რეფორმით კი მთელი ხალხი გაძა-რცვეს. 1954 წელს გაუქმდა სურსათზე არსებული საბარათო სის-ტემა.

დაშვებულ იქნა შეცდომები, განსაკუთრებით კოლექტივიზაცი-ის განხორციელების დროს. კერძოდ, უკანონოდ დააპატიმრეს და გა-მოსაიების და გასამართლების გარეშე დახვრიტეს კომუნისტური პარ-

ტიის ძველი მოღვაწე ლ. პატრაშკანუ და სხვა მრავალი მოღვაწე. 1968 წლის აპრილში შემდგარმა პარტიის ცკ-ის კომიტეტის პლენუმმა რეაბილიტაცია მოახდინა ლ. პატრაშკანუსა და სხვა მოღვაწეებისა.

1952 წლის კონსტიტუცია

1952 წლის სექტემბერში დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული ახალი კონსტიტუციის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აცხადებდა დიდ ეროვნულ კრებაა, რომელსაც ირჩევდა ყველა მოქალქე, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე 4 წლის ვადით. დიდ ეროვნულ კრებებს შორის პერიოდში უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა მის მიერ ამორჩეული დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმი. კონსტიტუციით უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ ითვლებოდა მინისტრთა საბჭო, რომელიც ინიშნებოდა დიდი ეროვნული კრების მიერ არჩევნების შედეგების მიხედვით და პასუხისმგებელი იყო მის წინაშე. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებად კონსტიტუცია აწესებდა ადგილობრივ საბჭოებს, რომელსაც 2 წლის ვადით ირჩევდნენ. კონსტიტუცია მუშათა პარტიას აცხადებდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელ ძალად, რაც ამ პარტიის დიქტატურის ოფიციალურად დამყარებას ნიშნავდა. 1965 წლამდე, ე. ი. გარდაცვალებამდე ქვეყნის დიქტატორი იყო გ. გეორგიუ-დეჟი.

1965 წლის ივლისში შედგა რუმინეთის მუშათა პარტიის IV ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიის სახელწოდების კომუნისტურ პარტიად შეცვლის შესახებ, რის შემდეგ შეიცვალა აგრეთვე ყრილობების ნუმერაცია, დაწყებული რუმინეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობიდან (1912 წ.). ამის გამო 1965 წელს შემდეგი რუმინეთის მუშათა პარტიის ყრილობა, რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობად გამოცხადდა.

გარდაცვლილი გ. გეორგიუ-დეჟის ნაცვლად ყრილობამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩია ნ. ჩაუშესკუ. პარტიის IX ყრილობამ გამოაცხადა, რომ რუმინეთში მთლიანად გაიმარჯვა სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ ქალაქად და სოფლად. ყრილობამ განიხილა და მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა 1966—1970 წწ., აგრეთვე—ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის პროექტი 1966—1975 წლებისათვის.

ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება, რომელშიც აღნიშნულია, რომ პარტიაში მუშაობის სახელმძღვანელო ორგანიზაციულ პრინციპად მიღებულია დემოკრატიული ცენტრალიზმი, კოლექტიუ-

რი ხელმძღვანელობა, ყველა კომუნისტის მიერ პარტიის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვის უზრუნველყოფა. ყრილობამ დაადგინა, რომ ყოველ კომუნისტს შეუძლია მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი პოლიტიკური თანამდებობის დაკავება. ამ გადაწყვეტილებას უხეშად არღვევდა თვითონ ნ. ჩაუშესკუ, რომელსაც რამოდენიმე თანამდებობა ეკავა.

ყრილობამ მოიწონა კონსტიტუციის ახალი პროექტი, რომელიც 1965 წლის აგვისტოში დაამტკიცა დიდმა ეროვნულმა კრებამ. ახალმა კონსტიტუციამ რუმინეთი სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა.

კონსტიტუცია აცხადებდა მოქალაქეების თანასწორუფლებიანობას მიუხედავად სქესისა, რწმენისა, რასისა და ეროვნების[1]. დიდი ეროვნული კრება ფორმალურად ახორციელებდა კონტროლს მუდმივად მოქმედ სახელმწიფო ორგანოზე, სახელმწიფო საბჭოზე, მინისტრთა საბჭოზე, უმაღლეს სასამართლოზე და პროკურატურაზე. გ. გეორგიუ-დეჟის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წლიდან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს კივუ სტოიკა, 1967 წლიდან კი ნ. ჩაუშესკუ, 1965 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ი. მაურერი აირჩიეს.

§ 23. რუმინეთი ნ. ჩაუშესკუს პირადი დიქტატურის პერიოდში

ცვლილებანი მმართველობის სისტემასა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში

1969 წლის მარტში დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი თავდაცვის საბჭოს დაარსების შესახებ. ამ კანონის მიხედვით თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი, რომელიც ამავე დროს, იქნებოდა რუმინეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ჩაუშესკუ.

1974 წლის 28 მარტს რუმინეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად დააწესა პრეზიდენტის პოსტი, რომელშიც გაერთიანდა შემდეგი ფუნქციები. სახელმწიფოს მეთაურისა, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთა-

---

[1] რუმინეთში რუმინელების გარდა ცხოვრობენ: რუსები, უკრაინელები, უნგრელები, ბელორუსები, ებრაელები, ბერძნები, გერმანელები, ხორვატები, თურქები და სხვა ეროვნებები ტრანსილვანიის ტერიტორიაზე, სადაც უნგრელები კომპაქტურად არიან დასახლებულნი. შექმნილია უნგრეთის (მადიართა) ავტონომიური ოლქი, რომლის ცენტრია ქალაქი ტირგუ-მურეში.

ვარსარდლისა, თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად, ამავე დღეს აირჩიეს კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ. ამრიგად, ნ. ჩაუშესკუმ დაამყარა თავისი განუსაზღვრელი, დიქტატორული მმართველობა.

რუმინეთში მეოთხედი საუკუნე მძვინვარებდა ნ. ჩაუშესკუს დიქტატორული რეჟიმი, რომელიც ეყრდნობოდა არნახულად გაზრდილ რეპრესიის აპარატს. მის დროს რუმინეთი სულ უფრო ღრმად ეფლობოდა ავტორიტარულ რეჟიმში და ცხოვრობდა ჩაუშესკუს მითითებებით. მან მთლიანად დაუმორჩილა თავის ამბიციებს პარტიაც და სახელმწიფო აპარატიც. ასიათასობით ინფორმატორის მეშვეობით ადამიანთა მოძრაობაზე თვალყურის დევნება ხდებოდა კომფუტირებული სისტემით, ულტრათანამედროვე მიყურადების აპარატურით, უახლესი ტიპის შეიარაღებით—აი როგორი იყო დიქტატორის ხელისუფლების მატერიალური დასაყრდენი. პროპაგანდისტული მანქანა, რომლის მსგავსი თანამედროვე სამყაროში ძნელად მოიძებნება, თავის ძირითად მიზნად სახავდა პრეზიდენტის პიროვნების განდიდებას და მისი მოჩვენებითი ეროვნული და საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას. ჩაუშესკუს წინააღმდეგ რაიმე სახით გამოსვლას დაუნდობლად ახშობდნენ, დაწყებული მეშახტეთა გაფიცვით ჟიუს ველზე 1977 წელს და დამთავრებული „ექვსთა წერილით"[1].

როდესაც რუმინეთის მეზობელ ქვეყნებში ცვლილებები ხდებოდა, იმარჯვებდა დემოკრატიული ტრადიციები აღმოსავლეთ ევროპაში, რუმინეთში ყოველივე ეს ცხადდებოდა როგორც „სოციალიზმისადმი ღალატი". რკპ-ის ცკ-ის პოლიტიკმასკომის სხდომაზე ნ. ჩაუშესკუმ (1989 წ. 14 დეკემბერს) განაცხადა: „... რაც ახლა მოხდა დასტდება გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიასა და ბულგარეთში, რაც ადრე მოხდა პოლონეთსა და უნგრეთში, ორგანიზებულია საბჭოთა კავშირის მიერ ამერიკისა და დასავლეთის დახმარებით".

ნ. ჩაუშესკუს და მის ხროვას ეგონათ, რომ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებდნენ თავიანთ დიქტატორულ რეჟიმს. მათ სოციალიზმის იდეალს გამოაცალეს თავისი არსი, დაამახინჯეს მისი ფუნდამენტური ფასეულობა. 70-იან წლებში რუმინეთმა სხვა სოციალისტური ქვეყნების წაბაძვით 11 მილიარდ დოლარამდე ვალი აიღო დასავლეთის ბანკებიდან.

---

[1] 1989 წ. დასაწყისში რუმინეთის კომპარტიის ყოფილმა ექვსმა ლიდერმა ღია წერილი მისწერეს ნ. ჩაუშესკუს, რომელშიც მას ბრალი დასდეს რუმინეთის ეკონომიკის მოშლაში და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ტერორში. ექვსივე გამოაცხადეს დასავლეთის აგენტებად და დააპატიმრეს.

ამ ვალებით განახორციელეს მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროექტები, ისეთები, როგორიცაა მსხვილი ნავთობქიმიური კომპლექსებისა და ფოლადსასხმელი ქარხნების, გემების სვლის არხის აშენებლობა, ორმლითაც დუნაის აუზის გზა შავი ზღვისაკენ მნიშვნელოვნად შეიკვეცა. მაგრამ ბევრმა რამემ, რისთვისაც უზარმაზარი თანხები დაიხარჯა, არ გაამართლა და მაშინ, 1981 წელს ნ. ჩაუშესკუმ განაცხადა, რომ 1990 წლისათვის ვალები უნდა მთლიანად დაფარონ ამ მიზნით ნ. ჩაუშესკუმ ბრძანება გასცა აბსოლუტურად ყველაფერი გაეტანათ საზღვარგარეთ, რის გატანაც შეიძლებოდა: ბუნებრივი რესურსები, სამომხმარებლო საქონელი, კვების პროდუქტები. ამ. ყოვლისმომცველმა ექსპორტმა მაღაზიის თაროები მთლიანად დააცარიელა, დაიწყო დიდი რიგები, სოფლებში კი—შიმშილი.

ასეთ ვითარებაში მთავრობა სასტიკად კრძალავდა რაიმე სახის კონტაქტებს დასავლეთის დიპლომატებთან. გფრ-ის მთავრობამ 1988 წელს თავისი ელჩი გაიწვია ბუქარესტიდან იმის გამო, რომ რუმინეთის უშიშროების ორგანოებმა სასტიკად სცემეს დასავლეთ გერმანიის კონსულის მეუღლეს, რის შემდეგ იგი საავადმყოფოში მოხვდა, ხელისუფლებამ კი ბოდიშის მოხდის ნაცვლად განაცხადა, ამ ქალმა თვითონ გამოიწვია ინციდენტიო. 1988 წელს აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა კონგრესს აცნობა, რომ ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით რუმინეთი აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. ამერიკის კონგრესში წინადადება შეიტანეს, რათა, რუმინეთთან, სადაც ირღვეოდა ადამიანის უფლებები, გაეწყვეტილიყო აშშ-თან ვაჭრობაში სელშეწყობის რეჟიმი. მაგრამ ჩაუშესკუმ დაასწრო ამერიკის კონგრესს და თვითონ განაცხადა უარი ასეთ პრივილეგიებზე.

საბჭოთა ხალხმა ცოტა რამ იცოდა ჩაუშესკუს დროინდელ რუმინეთზე, ვინაიდან სიმართლის დაწერას რუმინეთში შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნევდნენ. განსაკუთრებით გაბერილი იყო ჩაუშესკუსა და მისი ხროვის ყალბი მონაცემები ეკონომიკურ მიღწევებზე. თუმცა ადრინდელ პერიოდში ერთხანს რუმინეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს რომ მიაღწია ეს ეჭვს არ იწვევს. ბოლო წლებში მომხდარ ჩავარდნებს კი, თურმე ხალხს უმალავდნენ და ყალბ ცნობებს აწვდიდნენ ეკონომიკური მიღწევების შესახებ. ასე მოხდა, მაგალითად, 1989 წელს, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დარგში „მიღწევების“ მაჩვენებლები გამოაქვეყნეს. ჩაუშესკუს ჯგუფი სოფლის მეურნეობის ყველა ერთეულს აიძულებდა ყალბი ცნობები მიეცათ. საშუალო მონაცემების თაობაზე. ნ. ჩაუშესკუმ განაცხა-

და, რომ თითქოს ამ წელს მოწეული მარცვლეული 60 მილიონ ტონას შეადგენდა, სინამდვილეში კი 18,23 მილიონი ტონა ყოფილა, ე. ი. ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე ჩაუშესკუს აპარატის ყალბისმქმნელთა მონაცემებშია. სიმინდის საშუალო მოსავალი 8-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ოფიციალური მონაცემებით, ხორბლის—2,5-ჯერ, შაქრის ჭარხლისა—4-ჯერ, კარტოფილიც—თითქმის 6-ჯერ, ნაკლები, მარცვლეულის საერთო მოსავალი კი 4-ჯერ ნაკლები ყოფილა, ვიდრე გამოცხადდა, რამაც მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში დიდი შეფერხებები გამოიწვია.

ყოველგვარ პოლიტიკურ უთანხმოებას ჩაუშესკუს უშიშროების ორგანოები სასტიკად ახშობდნენ. უცხოეთთან ურთიერთობა მინიმუმამდე დავიდა. მაგრამ ასე როდი იყო ყოველთვის. 60-იანი წლების მეორე ნახევარსა და 70-იან წლებში ნ. ჩაუშესკუ ატარებდა დამოუკიდებელ კურსს. რუმინეთის დამოუკიდებელი პოლიტიკის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო 1968 წელს ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში თავისი ჯარების შეყვანაზე უარის თქმა. სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ნ. ჩაუშესკუს არ გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან (1967 წლის ომის შემდეგ). რუმინეთში ხშირად ჩადიოდნენ კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელები. ამერიკის პრეზიდენტი ნიქსონი, ფორდი და კარტერი, რომელთაც ჩაუშესკუ შეხვდა ბუქარესტსა თუ ვაშინგტონში, ხოტბას ასხამდნენ მას. 70-იან წლებში რუმინეთში თავისუფლად იყიდებოდა უცხოური წიგნები და გაზეთები, არ იზღუდებოდა უცხოური რადიოსადგურების გადაცემები. ხალხს თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდა რუმინეთში ჩასულ უცხოელებთან. მაგრამ 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელებისა თუ ტურისტების ჩასვლა რუმინეთში იშვიათობად იქცა. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები თანდათან მლიქვნელებად გადაიქცნენ. პოეტთა ერთი ნაწილი ქების ლექსებს მიუძღვნიდა ჩაუშესკუს. წიგნებში, გაზეთებსა და ჟურნალებში ხოტბას ასხამდნენ მას. უცხოური წიგნების, გაზეთების, თუ ჟურნალების გაყიდვა რუმინეთში აიკრძალა. რუმინეთის მკვიდრნი დაავალდებულეს პოლიციისათვის ეცნობებინა უცხოელებთან თავიანთი ყოველგვარი კონტაქტის შესახებ. ახდენდნენ მანქანების რეგისტრაციას და ა. შ.

1988 წელს დასავლეთში ხმა გავრცელდა იმის შესახებ, რომ ჩაუშესკუმ ააღორძინაო 24 წლის წინათ მიღებული გეგმა რუმინეთში არსებული 14 ათასი სოფლიდან ნახევრის განადგურებისა და მათ ად-

გილას 500 აგროსამრეწველო ცენტრის მშენებლობის შესახებ. ასეთი გეგმის განხორციელების თეორიულ საფუძვლად გამოცხადდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება „ახალი სოციალისტური ადამიანის ფორმირების შესახებ“ რუმინელებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განსხვავების ლიკვიდაციის გზით. დასავლეთის ინფორმაციის ცნობით, ეს გეგმა ითვალისწინებდა რუმინეთის სოფლის ტრადიციული წყობის ლიკვიდაციას, მრავალრიცხოვანი ეკლესიების, პატარა ქალაქების დანგრევას. უნგრეთმა დაგძო აღნიშნული გეგმა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო რუმინეთში მცხოვრები ორმილიონნიანი უნგრელის ასიმილაცია.

ნ. ჩაუშესკუს ავტორიტარული მმართველობის მთავარ დასაყრდენად გადაიქცა უშიშროების ორგანო, რომელიც განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული. ამ ორგანოს თანამშრომლები განსაკუთრებულ მომარაგებაზე იყვნენ. ხელფასიც ბევრად გაეზარდათ. 70-იან წლებში პრეზიდენტის მიერ მიღებული დეკრეტის საფუძველზე, უშიშროების ორგანოები უსმენდნენ მათთვის საეჭვო პირების ტელეფონით საუბარს, მისაყურადებელ აპარატს დგამდნენ მათ სახლსა თუ სამსახურში, ამოწმებდნენ მათ პირად მიმოწერას, წერილებს და ა. შ. ჩაუშესკუს დიქტატურის ყველაზე მახინჯი და დამახასიათებელი თვისება იყო თავისი ნათესავებისა და ახლობლებისაგან შექმნილი მმართველთა კლანი. მათ აწინაურებდა უმაღლეს თანამდებობებზე პარტიულ, სახელმწიფო და პროფკავშირულ აპარატში, არმიაში, ახალგაზრდობის ორგანიზაციაში, სახელმწიფო დაგეგმვის ორგანიზაციაში, ინფორმაციის საშუალებებში. ნათლიმამური დამოკიდებულება საშუალებას აძლევდა ჩაუშესკუს მთელი ხელისუფლება თავის ხელში მოექცია. ძალზედ უბადრუკად გამოიყურებოდა „ტრიუმვირატი“ ნ. ჩაუშესკუს, მისი მეუღლის ელენე ჩაუშესკუსა და მათი უმცროსი შვილის ნიკუს სახით. ეს „ტრიუმვირატი“ ფაქტობრივად წყვეტდა პარტიისა და ქვეყნის ყველა საქმეს. ელენე ჩაუშესკუ თავის თავს თვლიდა რუმინეთის არა მარტო პირველ ქალად, არამედ ულამაზეს ქალადაც. იგი ხშირად დადიოდა პარიზში, სადაც ზღაპრულ თანხას ხარჯავდა პლასტიკური ოპერაციისათვის, თანამედროვე მორთულობისა და კოსმეტიკისათვის. ყველა ამ ხარჯს სახელმწიფო ხაზინა ანაზღაურებდა. ჩაუშესკუს ოჯახის მიერ შვეიცარიის ბანკში მოთავსებული დიდი თანხა შავი დღისათვის იყო გათვალისწინებული.

ნ. ჩაუშესკუს მეუღლე ელენე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო, მას უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა მეუღლის პოლიტიკის განსაზღვრაში. სწორედ ის ხელმძღვანელობდა ტიმიშოა-

რაში ხალხის წინააღმდეგ რეპრესიებს, რომლის დროსაც ასობით ადამიანი დაიღუპა. ელენე შედიოდა პოლიტბიუროში. ნ. ჩაუშესკუს ორმოცზე მეტ ნათესავს დიდი თანამდებობები ეკავათ ქვეყანაში.

ახალგაზრდობაში ნიკუმ „სახელი გაითქვა" თავაშვებულობით, ქეიფით, დროსტარებითა და საგზაო შემთხვევებით, რომელიც ხშირად ფეხით მოსიარულეთათვის ტრაგიკულად მთავრდებოდა, რაზეც იგი არავითარ პასუხს არ აგებდა. მამა მას თავის მემკვიდრედ ამზადებდა. როდესაც დასავლეთის კორესპონდენტებმა ნიკოლაი ჩაუშესკუს ჰკითხეს—მართალია თუ არა ეს ხმები, მან უპასუხა—ეს არაა გამორიცხული, „თუ ხალხი ამას მოისურვებს".

ნ. ჩაუშესკუს უფროსი შვილი — ვალენტინი მეცნიერ-ფიზიკოსი იყო. მამის პოლიტიკა მასში ზიზღს იწვევდა. იგი დაქორწინდა არარუმინელზე და მთლიანად ჩამოშორდა მამის ოჯახს. ნ. ჩაუშესკუს ქალიშვილმა ზოიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს „სახელი გაითქვა" როგორც რესტორნების, ცეკვებისა და ღვინის მოყვარულმა. მისი თავვადასავლებისათვის ბოლო რომ მოეღოთ, იგი გაათხოვეს.

თვითონ ნ. ჩაუშესკუ ბუნებით ეჭვიანი და მშიშარა კაცი იყო. მას ეშინოდა, რომ არ მოეწამლათ და უცხოეთში მოგზაურობის დროს თან დაჰყავდა მზარეული და მიჰქონდა შემოწმებული პროდუქტები. სადილს წინასწარ დეგუსტატორს ამოწმებინებდა.

ომიანი წლების დასაწყისში ნ. ჩაუშესკუს პოზიციები და გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდა. იგი ვერ ამჩნევდა, რომ ხალხსა და მის კლანს შორის უფსკრული გაითხარა. მას ეგონა, რომ თავის კლანზე, უშიშროების ორგანოებზე და არმიაზე დაყრდნობით უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ექნებოდა. ნ. ჩაუშესკუმ უფრო გაზარდა თავისი პირადი დაცვის რაოდენობა და გაატარა უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებები გზებსა და ქუჩებზე გასვლისას, ან საზოგადოებასთან შეხვედრისას. რკპ ცკ-ის შენობიდან სპეციალური მიწისქვეშა გასასვლელი გათხარეს ნ. ჩაუშესკუსათვის. მისი პირადი რეზიდენცია ტბის პირას, დედაქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, მუდმივი გულმოდგინე ზედამხედველობაში იყო. თვითონ რეზიდენციაში ყოველთვის იყო ასაფრენად გამზადებული ვერტმფრენი, ხოლო ტბაზე მუდამ მორიგეობდა გლისერი.

რუმინეთის რევოლუციის ხანძარი დაინთო ტიმიშოარაში, მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მეხუთე ქალაქში, რომელიც ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ბუქარესტიდან 500-ზე მეტი კილომეტრის დაშორებით. 1989 წლის 15 დეკემბერს ტიმიშოარაში შედგა მოსახლეობის მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაცია ადგილობ-

რივი დისიდენტის ლასლო ტეკეშის ქალაქიდან გასახლების გამო. ღამე ქალაქის მოსახლეობა კვლავ გამოვიდა და ცენტრი და ტიმიშოარას მთავარი მოედანი ხალხით გაივსო. ამ მასობრივი მანიფესტაციის ანტიდიქტატორული ხასიათი აშკარა იყო: ლოზუნგებს ტირანის წინააღმდეგ სულ უფრო ძასობრივად გაიძახოდნენ შეკრებილები. ნ. ჩაუშესკუს ხელმძღვანელობით შემდგარმა რუმინეთის კომპარტიის ცკ-ის პოლიტიკმასკომის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ „სროლის“ შესახებ (კვირას, 17 დეკემბერს, 17 საათსა და 30 წუთზე). ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ტიმიშოარას ქუჩებში უიარაღო ხალხის წინააღმდეგ ჯარმა ცეცხლი გახსნა. ტანკები ხალხში შეიჭრნენ და სრესდნენ ბავშვებს, ქალებს, ახალგაზრდებს, მოხუცებს. ეს დაუნდობელი სისხლიანი ხოცვა-ულეტვა იყო. აქ დამატებით გამოგზავნილმა სახელმწიფო უშიშროების ნაწილებმა მთელი ქალაქი, რომელსაც საყოველთაო გაფიცვა მოდებოდა, გაჩხრიკეს. მოკლულთა გვამები დაწვეს ქალაქიდან მოშორებით, რათა კვალი წაეშალათ. ქალაქში ჩამოწვა საშინელი სიჩუმე. მაგრამ ეს იყო სიჩუმე დიდი ქარიშხლის წინ. ამასთანავე, ჩაუშესკუს ხროვამ შეიმუშავა მასების ყოველგვარი მოქმედების ჩახშობის სამხედრო-პოლიტიკური გეგმები. მთელ ქვეყანაში ხორციელდებოდა საგანგებო ღონისძიებანი. საწარმოებსა და დაწესებულებებში ძალაში შევიდა დაცვის საგანგებო რეჟიმი. ქალაქებში მოქმედებდნენ „წესრიგის დაცვის“ სპეციალური პატრულები. რუმინეთმა დახურა საზღვრები. ათასობით ადამიანი ბლოკირებული აღმოჩნდა სასაზღვრო პუნქტებში. სამანქანო გზებზე მიმოსვლა, საჰაერო და სატელეფონო კავშირი მეზობელ ქვეყნებთან შეწყდა.

ნ. ჩაუშესკუ იმდენად დარწმუნებული იყო გამოსვლების ჩახშობაში, რომ ირანში გაემგზავრა, მაგრამ 20 დეკემბერს მან შეწყვიტა ვიზიტი და დაბრუნდა ბუქარესტში. იმავე ღამეს პრეზიდენტის დეკრეტით ქვეყანაში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა. იმავე ღამესვე ნ. ჩაუშესკუ გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით, იგი ცდილობდა გაემართლებინა ტიმიშოარაში დატრიალებული სისხლისღვრა იმ მოტივით, რომ თითქოს ქვეყანას ემუქრება დანაწილება და რომ ეს გამოსვლები თითქოს ორგანიზებული იყო „უცხოელი რეაქციონერი იმპერიალისტებისა და შოვინისტური წრეების, დაზვერვის სამსახურის მიერ“. 21 დეკემბერს ცკ-ის მითითებით ბუქარესტში უნდა მოწყობილიყო დედაქალაქის მუშებისა და მშრომელების მიტინგები ცკ-ის შენობის წინ სცენარით—„დიდი ბელადისადმი, ხალხის ყვე-

ლაზე საყვარელი შვილისადმი ნ. ჩაუშესკუსადმი“ მხარდაჭერით, რომელსაც უნდა დაენახვებინა ყველასათვის, რომ ნ. ჩაუშესკუ ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ 21 დეკემბერს ბუქარესტში მოწყობილი მიტინგი საბედისწერო აღმოჩნდა დიქტატორისათვის. ეს მიტინგი განსაკუთრებით ახალგაზრდობის თავგანწირული მოქმედების წყალობით გადაიზარდა საყოველთაო აჯანყებაში. ამ დღისათვის სპეციალურად მომზადებული უშიშროების ორგანოების ჯარები, რომელნიც შეიარაღებულნი იყვნენ ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით დაერივნენ ხალხს და გაფანტეს, მაგრამ უნივერსიტეტის შენობასთან თავმოყრილი სტუდენტობა ცეცხლის გახსნის შემდეგაც არ დაიშალა და უიარაღოდ ხელჩართული ბრძოლა გამართა ნ. ჩაუშესკუს ერთგულ უშიშროების ჯარებთან. მთელი ბუქარესტი აღდგა კბილებამდე შეიარაღებული უშიშროების ჯარების წინააღმდეგ, უიარაღონი უკან არ იხევდნენ. 22 დეკემბერს აჯანყებაში ებმებოდნენ სულ ახალი და ახალი ძალები. უშიშროების ჯარები შეავსეს „იანიჩართა“ სპეციალური ჯგუფებით და ახალი პოზიციები დაიკავეს რკს-ის ცკ-ის შენობასთან, საიდანაც ნ. ჩაუშესკუ პირადად ხელმძღვანელობდა რევოლუციის ჩახშობის ოპერაციებს. ათასობით აჯანყებული დაეცა ამ ბრძოლაში, უიარაღო ხალხს დაუნდობლად ხვრეტდნენ. უშიშროების ჯარებმა აჯანყებული ახალგაზრდები ალყაში მოაქციეს. 22 დეკემბერს ბუქარესტის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, პროტესტი განაცხადეს ახალგაზრდობის დახვრეტის გამო და აჯანყებულებს შეუერთდნენ, ხოლო ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ვასილე მილმა უარი თქვა შეესრულებინა ჩაუშესკუს ბრძანება უიარაღო ხალხის წინააღმდეგ ცეცხლის გახსნაზე, რის გამოც იგი თავის კაბინეტში მოკლეს. ოფიციალურად კი გამოცხადდა, რომ თითქოს მან თავი მოიკლა. ამ ცნობას არავინ არ დაუჯერა, მაგრამ იგი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ არმია ხალხს მიმხრობოდა. ჯარისკაცები და ოფიცრები ხალხის მხარეზე გადავიდნენ, რის შემდეგ ძალთა თანაფარდობა ხალხის სასარგებლოდ შეიცვალა. არა მარტო სამხედრო, არამედ მორალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. მაგრამ კონტრრევოლუციას ბრძოლა არ შეუწყვეტია. იგი მოქმედებდა დიქტატორის გეგმის შესაბამისად. ათასობით პირველი კლასის მსროლელი ჩასაფრდა საგანგებოდ მომზადებულ ბინებში, რომელნიც კოდის კავშირებით იყო აღჭურვილი, აქ იყო იარაღის და ტყვია-წამლის რეზერვები, კოშკურები, ქალაქის ვრცელზონების სათვალთვალოდ, ცალკეული ობიექტების ურთიერთ დამაკავშირე-

ბელი მიწისქვეშა გვირაბები. სპეციალური ჯავშანტრანსპორტიორე-ბი—ყველაფერი ეს კონტრრევოლუციონერების განკარგულებაში იყო. ბუქარესტი და სხვა ქალაქები შვიდი დღე-ღამის განმავლობაში იყო ბრძოლის ასპარეზად გადაქცეული. დაინგრა უნივერსიტეტის ცენტ-რალური ბიბლიოთეკა ხელთნაწერებისა და იშვიათი წიგნების უნიკა-ლური კოლექციებით, ძალზედ დაზიანდა რუმინეთის ხელოვნების მუ-ზეუმი, დაინგრა ან დაზიანდა ასობით შენობა. მაგრამ ყველაზე დი-დი დანაკლისი მაინც ათიათასობით დაღუპული ახალგაზრდა იყო.

ქალაქში ინტენსიურად მოქმედი ტერორისტები, რომელთაც და-დებული ჰქონდათ ფიცი, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ დიქტატორის სიცოცხლის დასაცავად, დიდ საშიშროებას წარმოადგენდნენ. ამით აიხსნება სასწრაფოდ მოწყობილი სასამართლო პროცესი, დიქტატო-რის და მისი ცოლის სიკვდილით დასჯის განაჩენი და მისი სისრულ-ეში მოყვანა—ყველაფერს ამას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნე-ლობა ჰქონდა. ამის შემდეგ დიქტატორისადმი ერთგულების ფიცმა დაკარგა მნიშვნელობა და ტერორისტებმა შეწყვიტეს ბრძოლა. ამრი-გად, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც, შედარებით, მშვიდობიანი მეთოდებით მიმდინარეობდა ბრძოლა და ასევე მშვიდობიანად ხორციელდებოდა დემოკრატიზაციის პროცესი, რუმინეთში რევოლუცია მოხდა აჯანყების გზით, რომელმაც დაამხო ჩაუშესკუს საძულველი დიქტატურა და გახსნა თავისი ქვეყნის ის-ტორის ახალი გვერდი. რუმინეთის კომპარტია თავის ძველ შეცდო-მებთან ერთად უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გა-იგივებული იყო ჩაუშესკუს დიქტატურასთან და თავის შიგნით ვერ შექმნა მინიმალური ოპოზიციაც კი, რის გამოც იგი ჩამოგდებულ დიქტატორთან ერთად ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს. მისი და-ბრუნება პოლიტიკურ ასპარეზზე სხვა სახელწოდებით და განსხვავე-ბული კონცეფციებით უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ახლად აღმოცე-ნებული პარტიებისათავის, რომელნიც უკვე ჩაებნენ ქვეყნის პოლი-ტიკურ ბრძოლაში.

დიქტატორის დამხობა რუმინელ ხალხს ძალზედ დიდი მსხვერპ-ლის ფასად დაუჯდა. სხვადასხვა ცნობით, დაღუპულთა საერთო რაო-დენობა 70—80-ათას კაცს აღწევს, თუმცა შემდეგ გამოცხადდა, რომ ეს ციფრი გადაჭარბებულია, მაგრამ თუ რამდენად—არაა ცნობილი. ჩაუშესკუს დამხობისა და დახვრეტის შემდეგ ძალაუფლება ხელთ აიღო ეროვნული ხსნის ფრონტმა, რომლის საბჭოს თავმჯდომარე გა-

ხდა იონ ილიესკუ[1]. ამ ფრონტმა მაშინვე გამოაცხადა პლურალიზმის პრინციპები, ყველა ხელმძღვანელის არჩევითობა არაუმეტეს ორი ვადით. შეუდგა ახალი კონსტიტუციის შემუშავებას. ი. ილიესკუ გაემიჯნა კომუნისტურ პარტიას და განაცხადა, რომ იგი არ იზიარებს კომუნისტურ იდეოლოგიას და იმოქმედებს ყოველგვარი იდეოლოგიისა და თეორიის გარეშე, ხალხთა ინტერესების შესაბამისად. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა პ. რომანი, ხოლო 1990 წლის დამდეგს ი. ილიესკუ აირჩიეს დროებით პრეზიდენტად პარლამენტის არჩევნების ჩატარებამდე. მაგრამ რუმინელი ხალხი არ ცხრება; გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები ახალი მთავრობის წინააღმდეგაც ანტიკომუნისტური ლოზუნგებით გრძელდება.

1990 წ. 20 მაისს რუმინეთში შედგა პრეზიდენტისა და საკანონმდებლო კრების ორივე პალატის—დეპუტატთა პალატის და სენატის არჩევნები. არჩევნებს მეთვალყურეობდნენ ოპოზიციური პარტიებისა და უცხოეთის სააგენტოების წარმომადგენლები. არჩევნები ჩატარდა წყნარ ვითარებაში, არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

აშშ-ს სახელმწიფოთა დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბაუჩერმა განაცხადა, რომ „არჩევნები რუმინეთში იყო თავისუფალი, მშვიდობიანი და ჩატარდა ენთუზიაზმის ატმოსფეროში". ნიუ-მექსიკოს შტატის გუბერნატორმა გ. კერატეზმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუმინელებმა ამ არჩევნების დროს დემოკრატიისაკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგეს. არჩევნები კეთილსინდისიერად ჩატარდაო. არჩევნების შედეგები შემდეგნაირია. პრეზიდენტად აირჩიეს ეროვნული ხსნის ფრონტის ლიდერი ი. ილიესკუ, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების 86,88 პროცენტი. ეროვნულ-ლიბერალური პარტიის წარმომადგენელმა რ. კიმპიანუმ—მიიღო 9.61 პროცენტი, ხოლო ეროვნულ-ცენტრისტული, ქრისტიანული და დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა ი. რაციუმ—3.56 პროცენტი. ეროვნული ხსნის კანდიდატებმა გაიმარჯვეს აგრეთვე საკანონმდებლო კრების ორივე პალატის არჩევნებში. მათ დეპუტატთა პალატაში მიიღეს ხმების 68.9 პროცენტი, ხოლო სენატში—68,82 პროცენტი. ი. ილიესკუმ არჩევნების შემდეგ განაცხადა: რუმინეთი კვლავაც შეინარჩუნებს მეგობრულ ურ-

---

1 იონ ილიესკუ დაიბადა 1931 წელს კომუნისტის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი. მუშაობდა ახალგაზრდობის მოძრაობაში. შემდეგ—რკ.-ის რკ-ის აპარატში. 1967 წ. ახალგაზრდობის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პირველი მდივანია. 1971 წ. რკპ ცკ-ის მდივანია იდეოლოგიის დარგში. მაგრამ შემდეგ იგი ნ. ჩაუშესკუმ შეოისხა და ტიმიშოარაში უბრალო თანამდებობაზე გაგზავნა იმის გამო, რომ იგი არ ეთანხმებოდა ნ. ჩაუშესკუს კურსს. დღეისათვის ი. ილიესკუ ქვეყნის პრეზიდენტად არის არჩეული. აჯანყების დროს კი სათავეში ედგა ეროვნული ხსნის კომიტეტს.

თიერთობას საბჭოთა კავშირთან, დარჩება ვარშავის ხელშეკრულების და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრად, „მანამდე, ვიდრე ისინი იარსებებენ“. რაც შეეხება ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას, ჩვენ ამ საქმეში მივმართავთ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებას“.

რუმინეთის პარლამენტში „ისტორიულმა“ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ 2 დეპუტატის ადგილი მიიღო, ხუთი ადგილი კი მიიღო ახლად შექმნილმა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ სოციალ-დემოკრატიულმა და სოციალისტურმა პარტიებმა, მათ შორის ვერც ახლად აღდგენილმა „ისტორიულმა“ სოციალ-დემოკრატიულმა და ვერც კომუნისტურმა პარტიებმა, ვერ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების იმდენი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა მათი წარმატებისათვის. პირიქით არჩევნებმა ცხადყო, რომ ამ პარტიებმა დაკარგეს გავლენა მასებზე. არჩევნების შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა მაშინვე გააჩაღეს ოპოზიციურმა ძალებმა, რომელთაც ბუქარესტში მოაწყვეს გრანდიოზული გამოსვლები და შეეცადნენ ჩამოეგდოთ არჩევნებში გამარჯვებული ხელმძღვანელები. ოპოზიციონერებს მხარი დაუჭირეს სტუდენტებმა. მთავრობამ მხარდაჭერისათვის მეშახტეებს მიმართა. შეტაკებები მთავრობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეს შორის ნისლისმღვრელური ბრძოლებით დამთავრდა. ილიესკუმ შეძლო ხელისუფლების შენარჩუნება. მაგრამ ოპოზიცია არ ცხრება და ბრძოლები კვლავ გრძელდება.

საგარეო პოლიტიკა

ომისშემდგომი რუმინეთის საგარეო პოლიტიკა ძირეულად განსხვავდება ომამდელისაგან. რუმინეთი თავის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას აგებდა მშვიდობისა და მეგობრობის საფუძველზე. რუმინეთი შედიოდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. რუმინეთი, უმეტეს შემთხვევაში რთული საერთაშორისო სადავო საკითხების გადაჭრის დროს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად გამოდიოდა. რუმინეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე შეიტანა განსახილველად საკითხი „ახალგაზრდობის აღზრდის ღონისძიებების შესახებ ხალხთა შორის მშვიდობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით“. ამ საკითხს მხარი დაუჭირა დელეგაციების უმრავლესობამ და იგი 1961 წლის დეკემბერში მიიღეს.

1957 წლის სექტემბერში რუმინეთის მთავრობამ ბალკანეთის ქვეყნებს გაუგზავნა მიმართვა კულტურული თანამშრომლობის ორგანიზაციის შესახებ, ამ რაიონში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით. რუმინეთის მთავრობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და შეუერთდა სამი სახელმწიფოს მოსკოვის ხელშეკრულებას, ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ. 1963 წლის აგვისტოში რუმინეთმა ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და მიესალმა საბჭოთა მთავრობის მიმართვას, სადავო, ტერიტორიული საკითხების გადაჭრისას ძალის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

60-იანი წლების მეორე ნახევარში იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც რუმინეთის მთავრობამ ზოგიერთ საერთაშორისო საკითხში სხვა სოციალისტურ ქვეყნებისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავა, განსაკუთრებით, ჩეხოსლოვაკიის ამბებთან დაკავშირებით.

1970 წლის ივლისში საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ეს ხელშეკრულება 1948 წლის თებერვლის ხელშეკრულების გაგრძელებაა, საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის, 1970 წლის ხელშეკრულების შესაბამისად გამოცხადდა, რომ ორივე ქვეყნის შორის კვლავ ვითარდება ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა დარგებში, სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობის, თანასწორობისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. ახალ ხელშეკრულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული სოციალისტური ქვეყნების ერთობისა და შემჭიდროების, მათი როლის შესახებ საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და იმპერიალისტური აგრესის ალაგმვის საქმეში. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ევროპის უშიშროების მთავარ წანამძღვარს წარმოადგენს ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შედეგად დადგენილი საზღვრების ხელშეუხებლობა და ურყეობა. საბჭოთა კავშირმა და რუმინეთმა ვალდებულება იკისრეს ერთმანეთისათვის დახმარება გაეწიათ, მათ შორის სამხედროც, თუ ერთ-ერთ მათგანს, რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი თავს დაესხმის. ორივე მხარე შეთანხმდა აგრეთვე ურთიერთშორის კონსულტაციები აწარმოონ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე, ერთიანი პოზიციის შემუშავების მიზნით.

1970 წელს საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის დაიდო მთელი რიგი ახალი შეთანხმებებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებას. მაგალითად, ხელმოწერილია ოქმი (სექტემბერში) ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინაციისათვის 1971—1975 წწ., შეთანხმება რუმინეთ-საბჭოთა კავშირს შორის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის მიერ რუმინეთისათვის 1971—1975 წლებში კომპლექსური მოწყობილობების მიწოდებისა და ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ, შავი და ფერადი, მეტალურგიული, ქიმიური, ნავთობქიმიის, მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მშენებლობაში, სსრ კავშირში რკინის მადნის ნედლეულის წარმოების განვითრებაში თანამშრომლობის შესახებ.

1971—1975 წლებში რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის საერთო შოცულობამ მიაღწია 5,3 მლრდ მანეთს, რაც 40%-ით მეტია წინა ხუთწლედთან შედარებით. საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით რუმინეთში ომის შემდეგ აიგო 100-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და ობიექტი ეკონომიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ნავთობგადამუშავება, ქიმია. იგი იძლევა რუმინეთში ელექტროენერგიის, მილების, კოქსის, ქიმიური სასუქებისა და სხვების ნახევარზე მეტს.

რუმინეთი აფართოებდა თავის თანამშრომლობას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სადაც 1970—1973 წლებში იმყოფებოდა რუმინეთის რამდენიმე დელეგაცია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. ბოდნარაშემის მეთაურობით და მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. რედულესკუს მეთაურობით. 1970 წელს ჩინეთმა რუმინეთს მისცა შეღავათიან პირობებში ხანგრძლივვადიანი კრედიტი. 1973 წელს კვლავ ვითარდებოდა რუმინეთ-ჩინეთის ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა დარგებში. სექტემბერში ე. ბოდნარაშემი კვლავ იყო ჩინეთში და იგი პეკინში მიიღო ჯოუ ენ-ლაიმ[1]. ნოემბერში ჩინეთში იმყოფებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. პეცანი. 1973 წლის აპრილში ბუქარესტში შეიქმნა რუმინეთ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება.

რუმინეთ-ჩინეთის თანამშრომლობა გაფართოვდა ყველა დარგში, მათ შორის პარტიული ხაზითაც. 1972 წლის აპრილში რუმინეთისა

---

[1] ჯოულ ენ-ლაი გარდაიცვალა 1976 წლის 9 იანვარს.

და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბუქარესტ-პეკინის ავიახაზის გახსნისა და მათ მოქალაქეთა ამ ხაზით საჰაერო მგზავრობის შესახებ.

რუმინეთი ფართო და მჭიდრო ურთიერთობას ახორციელებდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან პარტიულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ და თითქმის ყველა დარგში.

სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად რუმინეთმა ხელი მოაწერა სსრ კავშირში კიემბაევის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატის მშენებლობაში მონაწილეობაზე. რუმინეთსა და ბულგარეთს შორის ხელმოწერილია შეთანხმება დუნაიზე ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის შესახებ.

რუმინეთის საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი 50% (1973 წ.) მოდიოდა სოციალისტურ ქვეყნებზე, აქედან 25%—საბჭოთა კავშირზე. რუმინეთ-საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობამ 1973 წელს 1.1 მლრდ მანეთი შეადგინა, 1974 წელს კი ეს თანხა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დიდი საგაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული რუმინეთს განვითარებად ქვეყნებთან. 1970 წლის დამდეგს 1960 წელთან შედარებით ამ ქვეყნებთან რუმინეთის ვაჭრობა 4.6-ჯერ გაიზარდა. 1973 წელს განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა რუმინეთის მთელი საგარეო ვაჭრობის 20%. ამავე წელს რუმინეთმა ამ ქვეყნებთან 50-ზე მეტი სამთავრობო ეკონომიკური შეთანხმება და ხელშეკრულება დადო.

ფართო საგაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებულ რუმინეთს აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1970 წლისათვის რუმინეთის საქონელბრუნვა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, 1960 წელთან შედარებით, 4-ჯერ გაიზარდა. რუმინეთს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე ფართო საგაჭრო ურთიერთობა აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, საფრანგეთთან, ინგლისთან, იტალიასთან. რუმინეთმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საგაჭრო ურთიერთობა ისრაელთან. მაგალითად, 1967—1970 წლებში იგი გაიზარდა 3-ჯერ. რუმინეთი საგარეო ვაჭრობის კავშირის დარგში იყენებს საწარმოო კოოპერირების ფორმებს კაპიტალისტური სახელმწიფოების კერძო ფირმებთან, მათ შორის შერეული საზოგადოების შექმნას, პროდუქციის წარმოების და გასაღებისათვის მესამე სამყაროს ქვეყნებში. 1973 წელს რუმინეთი გამოვიდა ინიციატორად „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის და ცდილობდა მათგან მიეღო საბაჟო და სხვა სახის

შეღავათები ორმხრივი და მრავალმხრივი გაფართოებისათვის განსაკუთრებით შემდეგ დარგებში: საავტომობილო, საავიაციო, ელექტროგამომთვლელი მანქანების წარმოებაში და სხვ. რუმინეთი, გარდა ამისა, ცდილობს გააფართოოს შერეული საწარმოო და სავაჭრო საზოგადოებებისა და შერეული ბანკების შექმნა „საერთო ბაზრის" ქვეყნების ფირმების მონაწილეობით და გაზარდოს ამ ქვეყნებში ექსპორტი. 1973 წლისათვის რუმინეთთან საქონელბრუნვაში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მეორე ადგილი დაიკავა (სსრ კავშირის შემდეგ). „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან რუმინეთის ექსპორტში უფრო დიდი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის ნედლეულს და სურსათს, აგრეთვე ნავთობის პროდუქტებს, ალუმინს. შავ ლითონს, იმპორტში კი—მანქანა-მოწყობილობას. „საერთო ბაზრის" ქვეყნების მინისტრთა საბჭომ 1973 წლის ივნისში სცნო რა რუმინეთი „განვითარებად ქვეყნად", დაადგინა, რომ მასზე გავრცელებულიყო საერთო საბაჟო პრეფერენციების[1] სისტემა.

სავაჭრო ურთიერთობასთან ერთად რუმინეთი ფართო დიპლომატიურ და საქმიან ურთიერთობას ავითარებს კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან. 1970 წელს რუმინეთში იმყოფებოდნენ სუდანის, კონგოს სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტები და ირანის შაჰი.

რუმინეთი მონაწილეობდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის პირველ, მეორე და მესამე ეტაპების თათბირებში და მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების შესახებ.

რუმინეთი სოლიდარობას უცხადებდა ვიეტნამელი და ინდოჩინელი ხალხების სამართლიან ბრძოლას და დიდი აღფრთოვანება გამოთქვა ამ ხალხების გამარჯვებასთან დაკავშირებით; მოითხოვა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 და 1973 წლების რეზოლუციის საფუძველზე.

აზიის ამ რაიონში 1973 წელს ახალი კონფლიქტის აღმოცენების შემდეგ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ებანი (ნოემბერში) იმყოფებოდა რუმინეთში, ხოლო რუმინეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ 13 არაბულ ქვეყანაში.

1974 წელს რუმინეთს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 115 სახელმწიფოსთან.

---

[1] პრეფერენცია ნიშნავს საბაჟო შეღავათებს, უპირატესობის მინიჭებას, ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

მთელი მომდევნო ხუთწლედების განმავლობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა რუმინეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას, უპირატესად სოციალისტურ და, აგრეთვე, განვითარებულ კაპიტალისტურ და მესამე სამყაროს განვითარებად ქვეყნებთან. ისიც აღსანიშნავია, რომ, თუ რუმინეთს სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში აქტიური სალდო ჰქონდა, კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში მას მუდმივად პასიური სალდო აქვს. მაგრამ სამაგიეროდ ყოველწლიურად იზრდებოდა რუმინეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. მაგალითად, თუ იგი 1978 წელს შეადგენდა 77,4 მლრდ ლეის, 1979 წელს შეადგინა 92,3 მლრდ ლეი. საგარეო ვაჭრობის მოცულობა წლიდან წლამდე და ხუთწლედიდან ხუთწლედამდე სულ ფართოვდებოდა ყველა სახელმწიფოსთან და, უპირატესად, სოციალისტურ ქვეყნებთან. მაგალითად, 1980 წელს რუმინეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობა 1975 წლის დონესთან შედარებით 2,1-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1985 წლისათვის კი 1980 წელთან შედარებით—2.6-ჯერ.

ექსპორტის 55%-ს შეადგენს მანქანები და მოწყობილობები. ტრანსპორტის საშუალებები, ქიმიური და სხვა სამრეწველო საქონელი. იმპორტის 50%-ს შეადგენს ნედლეული და სათბობი, რომლებიც რუმინეთს შემოაქვს ვალუტაზე. მაგალითად, რუმინეთმა 1980 წელს შემოიტანა 15,9 მლნ. ტონა ნავთობი, 3,1 მლნ. ტონა კოქსი, 117 ათასი ტონა ბამბა. 16 მლნ ტონა რკინის მადანი. სოციალისტურ ქვეყნებზე მოდიოდა რუმინეთის საგარეო ვაჭრობის 40 პროცენტზე მეტი, საბჭოთა კავშირზე კი—მთელი რუმინეთის ვაჭრობის მეექვსედი ნაწილი. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საგარეო ვაჭრობაში 40 პროცენტი ეკავა მანქანებსა და მოწყობილობებს.

განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა რუმინეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 20—25%. რუმინეთი, მაგალითად, 1979 წლისათვის მონაწილეობდა 80 სხვადასხვა სახალხო მეურნეობის ობიექტის მშენებლობაში 50 განვითარებად ქვეყანაში, სადაც მუშაობდა 15 ათასი რუმინელი სპეციალისტი, ხოლო 1985 წლისათვის რუმინეთის მონაწილეობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაფართოვდა. 1984 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. დესკალესკუ იმყოფებოდა ერაყში, თურქეთში, ეგვიპტეში, ხოლო რუმინეთში ჩამოვიდნენ ანგოლის, ნიკარაგუას, ტოგოს, გვინეის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები. რუმინეთს უკვე წლების განმავლობაში დამყარებული აქვს ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან პარტიულ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი ხაზით.

რუმინეთს 1984 წლის ბოლოსათვის დამყარებული ჰქონდა დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა 140 ქვეყანასთან.

1984 წლისათვის საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ეკონომიკური კავშირის საკითხები განიხილეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა მოსკოვში (ივნისსა და დეკემბერში) და ბუქარესტში (იანვარ-თებერვალი).

რუმინეთი ფართოდ ავითარებს საგაჭრო ურთიერთობას განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რომლებზეც მოდის რუმინეთის ძთელი საგარეო ვაჭრობის 34%. ასეთი ურთიერთობა ვითარდებოდა კაპიტალისტურ ქვეყნების კერძო ფირმებთან ისეთ დარგებში, როგორიცაა: მსუბუქი მანქანების, დიზელის ძრავების, ახალი მოდელების ტრაქტორების, ელექტრო-გამოთვლითი მანქანების, თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების, ატომური ენერგეტიკისა და სხვ. მარტო 1979 წელს რუმინეთმა კაპიტალისტური ქვეყნებიდან შემოიტანა მთელი მანქანებისა და მოწყობილობების იმპორტის 40%: რუმინეთს 500-ზე მეტი შეთანხმებები აქვს დადებული კერძო კაპიტალისტურ ფირმებთან საწარმო კოოპერაციების შესახებ. რუმინეთის ტერიტორიაზე ეს უცხოური ფირმები აგებენ ძთელ რიგ საწარმოო ობიექტებს და მოქმედებენ მათი შერეული საწარმოსაზოგადოებები.

საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების ევროპაში განლაგებასთან დაკავშირებით 1983 წელს რუმინეთში გაიშალა მასობრივი მოძრაობა მშვიდობისათვის. გამართულ მიტინგებზე აშშ-ისა საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა ქვეყნების საელჩოების მისამართით იღებდნენ მიმართვებს.

80-იან წლებში რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ ურთიერთობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა შრომის დანაწილებას, სპეციალიზაციასა და კოოპერირებას გადამმუშავებელ მრეწველობაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამ ორ ქვეყანას შორის ამ დარგში დადებული თანამშრომლობის გრძელვადიანი ხელშეკრულება 1990 წლის პერიოდამდე. 1983 წლისათვის დასრულდა ხელის მოწერა 15 პროგრამაზე, რომელიც მოიცავს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებს. 1983 წლისათვის საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენდა 3.3 მლრდ მანეთს, 1984 წ.—3,7 მლრდს, ხოლო რუმინეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში სსრ კავშირზე მოდიოდა 22%. ამასთანავე ეკონომიკური და საგაჭრო ურთიერთობის გაფართოების პროცესი ამ ორ ქვეყანას შორის შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. 1984 წ. სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის დაიდო შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ რუმინეთში კ-26 ტიპის ვერტმფრენის და მისი სათადარიგო ძრავების, რედუქტორებისა და სხვა სათადარიგო ნაწილების მიწოდების შესახებ

და სსრ კავშირში რუმინეთის მიერ 1984—1988 წლებში გაზის ობიექტების მშენებლობაში მონაწილეობაზე და ამის ანგარიშზე რუმინეთისათვის გაზის მიწოდებაზე. სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის მიღწეულია შეთანხმება 1986—1990 წწ. რუმინეთისათვის საბჭოთა ნავთობის მიწოდებაზე. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით რუმინეთში იზრდებოდა მოთხოვნილება სათბობ-ნედლეულის და ენერგეტიკულ რესურსებზე. 1985 წლის მარტში რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებს ამ ორ ქვეყანას შორის 1986—1990 წწ. საქონელბრუნვის გაზრდას 30 მლრდ მანეთის ოდენობით (ე. ი. ყარსულ ხუთწლედთან შედარებით 70 პროცენტით). 1986 წლის მაისში რუმინეთმა და სსრ კავშირმა ხელი მოაწერეს გრძელვადიან პროგრამას 2000 წლამდე ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაზე და პროგრამას 1986—1990 წწ. კულტურისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობის შესახებ.

რუმინეთ-ჩინეთის ურთიერთობა 80-იანი წლების მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა და ფართოვდებოდა, ეწყობოდა ამ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ურთიერთვიზიტები.

რუმინეთი აფართოვებდა ურთიერთობას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ხშირი იყო ვიზიტი რუმინეთის ხელმძღვნელებისა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში და საპასუხო ვიზიტი—ყოფილ ქვეყნების უმაღლესი ხელმძღვნელებისა რუმინეთში, რომლის დროსაც დაიდო რუმინეთსა და ამ ქვეყნებს შორის მთელი რიგი შეთანხმებები თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ ეკონომიკის, კულტურისა და სხვა დარგებში.

80-იანი წლების მეორე ნახევარშიც ფართოვდებოდა კონტაქტები რუმინეთსა და განვითარებად ქვეყნებს შორის რუმინეთის უმაღლესი ხელმძღვანელების ვიზიტების წყალობით. მაგალითად, 1987 წ. თურქეთში, ეთიოპიაში, ზიმბაბვეში, მოზამბიკში, ზამბიაში, სომალიში, მალტაში, ეგვიპტეში, სუდანში, კვიპროსში, პაკისტანში, რომლის დროსაც ამ ქვეყნების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს საავტორო-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაზე. ეს ვიზიტები რუმინეთის უმაღლესი ხელმძღვანელებისა განვითარებად ქვეყნებში და ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა საპასუხო და საქმიანი ვიზიტები რუმინეთში 70—80-იან წლებში ძალზედ აქტიური და საქმიანი იყო, რის შედეგადაც რუმინეთმა განვითარებადი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 100-ზე მეტ ქვეყანასთან დაამყარა ურთიერთობა.

რუმინეთი აფართოვებდა ურთიერთობას განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1983 წ. რუმინეთსა და აშშ-ს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ აშშ-ის სენატმა 12 თვით გააგრძელა რუმინეთში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი ვაჭრობაში. ამაკე წელს რუმინეთში ვიზიტით იყო ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში (სექტემბერში) და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი (დეკემბერში).

1987 წლის ივნისში აშშ-ის კონგრესმა რუმინეთში „ადამიანის" უფლებების დარღვევის" გამო ექვსი თვით შეაჩერა რუმინეთის მიმართ ვაჭრობაში არსებული უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი. ჯ. დესკელესკუს მთავრობამ აშშ-ის ეს ნაბიჯი დაახასიათა როგორც „მტრული აქტი რუმინეთის მიმართ", რომელიც ეწინააღმდეგება რუმინეთ-ამერიკის ურთიერთობის „განვითარებას". ნ. ჩაუშესკუს დიქტატურის დამხობის შემდეგ რუმინეთი ანვითარებს ურთიერთობას მეზობელ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან.

თ ა ვ ი IX

უნგრეთის რესპუბლიკა[1]

§ 26. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება უნგრეთში

უნგრეთის განთავისუფლება ფაშისტური რეჟიმისაგან

უნგრეთის ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ ჰორტის ფაშისტურმა დიქტატურამ ქვეყანა გახადა ჰიტლერული გერმანიის აგრესიის მონაწილე სახელმწიფოდ. 1941 წლის ივნისში უნგრეთი ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და აწარმოებდა მის წინააღმდეგ ომს. ომმა ძალზე დიდი ზიანი მიაყენა უნგრეთს. ქვეყანას ძარცვავდნენ როგორც უნგრელი, ასევე გერმანელი ფაშისტები. ფრონტზე იღუპებოდა ასეული ათასობით ადამიანი. ჰორტისტების ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებოდნენ ხალხთა სულ ახალი და ახალი ძალები. უნგრეთის დემოკრატიული ძალები მიუხედავად მძიმე ტერორისა და დევნისა, ღრმა იატაკქვეშ თავგანწირულად იბრძოდნენ ფაშისტური რეჟიმისა და მძარცველური ომის წინააღმდეგ. 1942 წლის თებერვლიდან ბუდაპეშტში არალეგალურად გამოდიოდა კომპარტიის გაზეთი „თავისუფალი ხალხი", რომელიც ხალხს მოუწოდებდა ებრძოლა უსამართლო. უნგრეთის ხალხის ინტერესებისათვის საწინააღმდეგო

[1] თანამედროვე უნგრეთის ტერიტორია უდრის 93 ათას კვ. კმ. მოსახლეობა 10.640 ათასი (1988 წლის 1 იანვრისათვის). დედაქალაქი ბუდაპეშტი 2,1 მილიონი მოსახლეობა.

ომისა და ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. თვით ისეთმა პარტიებმა, როგორიც იყო სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია, როდესაც ნათელი გახდა, რომ ომი წაგებულია, მოითხოვეს უნგრეთის ომიდან გამოსვლა და ზავის დადება. სტალინგრადთან და კურსკთან ჰიტლერელების დამარცხებისა და უნგრეთის ჯარების დიდი ნაწილის ვორონეჟთან მოსპობის შემდეგ, უნგრეთის მმართველი ხროვა ჰორტის მეთაურობით (1943 წლის იანვარში), საბჭოთა ჯარებს სწრაფად წინ წაწევით დაშინებული შეეცადა ომიდან გამოსულიყო და ინგლისთან და აშშ-თან სეპარატული ზავი დაედო, რათა მათი ჯარების დახმარებით ძველი რეჟიმი შეენარჩუნებინა.

გერმანიისათვის ეს ცნობილი გახდა და უნგრეთის, როგორც მოკავშირის შენარჩუნების მიზნით, 1944 წლის 21 მარტს ესესელთა ნაწილებმა მოახდინეს მთელი უნგრეთის ოკუპაცია. ამის შემდეგ ქვეყანაში გაიშალა საწინააღმდეგო მოძრაობა. 1944 წლის მაისში შეიქმნა უნგრეთის დამოუკიდებლობის ანტიფაშისტური ფრონტი, უნგრეთის ფრონტის სახელწოდებით, რომელშიც შეერიენ კომპარტია[1], სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია და ეროვნულ-გლეხთა პარტია. უნგრეთის ფრონტში შემავალმა პარტიებმა იკისრეს ვალდებულება ერთიანი ბრძოლის წარმოებისა ჰიტლერელებისა და უნგრელი ფაშისტების წინააღმდეგ. გამოქვეყნებულ „უნგრელი ერის დემოკრატიული პარტიების მანიფესტში“ ჩამოყალიბებული იყო უნგრეთის ფრონტის პროგრამა: დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული უნგრეთის შექმნა, მიწის რეფორმის და სხვა დემოკრატიული გარდაქმნების გატარება. კომპარტიამ შექმნა სამხედრო კომიტეტი, შეუდგა შეიარაღებული ჯგუფების შექმნას და წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციას. უნგრეთში შეჭრა საბჭოთა ჯარებმა 1944 წლის სექტემბერში დაიწყეს. ჰორტი და მისი ბრბო შეეცადნენ თავისი რეჟიმის გადარჩენას დასავლეთის სახელმწიფოების დახმარებით. ამ მიზნით ჰორტმა თავისი წარმომადგენლები გაგზავნა მოკავშირეთა შტაბში ნეაპოლის მახლობლად. ჰორტისტებს უნდოდათ გაეგოთ, შეიძლებოდა თუ არა ჰქონოდათ ინგლის-ამერიკის იმედი უნგრეთში მათი არმიის წითელ არმიაზე ადრე შესვლისა. მაგრამ ჰორტის დამქაშები დარწმუნდნენ, რომ ინგლის-ამერიკის ჯარებისათვის გზა ბალკანეთისაკენ ჯერ შორს იყო, ვინაიდან ისინი ძალზე ნელა მიიწევდნენ წინ. ამის შემდეგ ჰორტი იძულებული

---

[1] კომინტერნის დათხოვნის შემდეგ უნგრეთის კომუნისტური პარტია რეორგანიზებულ იქნა მშვიდობის პარტიად. 1944 წლის სექტემბერში კომპარტია კვლავ აღდგა უნგრეთის კომუნისტური პარტიის სახელწოდებით.

გახდა თავისი დელეგაცია მოსკოვში გაეგზავნა იმ მიზნით, რათა დაზავების პირობები გაეგო. წინასწარი დაზავების პირობები მოსკოვში 1944 წლის 11 ოქტომბერს მოწონებულ იქნა ჰორტის წარმომადგენლების მიერ და 15 ოქტომბერს ჰორტმა რადიოთი გამოსვლისას განაცხადა, რომ უნგრეთი გამოდის ომიდან, მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია გერმანელებისაგან თავისი საზღვრების დასაცავად. ჰორტი გადადგა და მალე იგი გერმანელებმა მოიტაცეს, მის ადგილს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ფაშისტური ნილაშისტების პარტიის მეორე ლიდერი ფერენც სალაში. ამრიგად, ჰორტისტები ისე გამოვიდნენ ომიდან, რომ გერმანელებს იმაშიც კი არ შეუშალეს ხელი, რომ, შემდეგ მაინც არ გამოეყენებინათ უნგრეთის ჯარი და ტერიტორია თავისი მიზნებისათვის. ამის შედეგი ის იყო, რომ გერმანიის მოკავშირედ ომის ბოლომდე მხოლოდ ნილაშისტური უნგრეთი რჩებოდა. უნგრეთის ჯარები დააქუცმაცეს წვრილ შენაერთებად და განალაგეს გერმანელთა ჯარების შენაერთებს შორის, მხოლოდ პირველი არმია, რომელიც კარპატებში იდგა, გენერალ-პოლკოვნიკ ბელა მიკლოშის სარდლობით 18 ოქტომბერს საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდა. უნგრეთის ხალხთა მასები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ნილაშისტებსა და გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტებს, გმირულად იბრძოდნენ ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ხალხთა მასების ბრძოლის ძირითადი ფორმა ამ დროს იყო ფაშისტური მთავრობის ღონისძიებებისადმი საბოტაჟი, მოსახლეობის ევაკუაციის წინააღმდეგ გერმანიაში; მუშებისა და ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის აქტიური ბრძოლა გერმანიაში ქარხნების გატანის ან განადგურების მიზნით; არმიიდან მასობრივი დეზერტირობა. არმიაში გაწვევისათვის თავის არიდება და ბოლოს პატრიოტების შეიარაღებული ბრძოლა. ფაშისტებმა გამოაცხადეს მამაკაცების საყოველთაო მობილიზაცია 12-დან 70 წლის ასაკამდე, არმიაში ან სამხედრო სამსახურში გაგზავნის მიზნით.

1944 წლის 30 ნოემბერს უნგრეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა „უნგრეთის დემოკრატიული აღმშენებლობისა და აღორძინების პროგრამა“. კომპარტიამ გაითვალისწინა ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, მთავარ ამოცანად წამოაყენა ფართო ეროვნული კოალიციის შექმნის მოთხოვნა უნგრელი და გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ქვეყნის აღდგენისა და დემოკრატიული გარდაქმნების მიზნით.

უნგრეთის განთავისუფლებულ ქალაქში სეგედში დაიწყო მოლაპარაკება წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს შორის, რომელიც დამთავრდა 1944 წლის 2 დეკემბერს უნგრეთის დამოუკიდებლობის ეროვნული ფრონტის შექმნით, რომელშიც შევიდნენ კომ-

პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია, ეროვნულ-გლეხთა პარტია, და აგრეთვე პროფკავშირები. ამრიგად. ქვეყნის ძირითადმა პარტიებმა თავის ხელში აიღეს სახელმწიფო ხელისუფლება. 2 დეკემბერს მიღებული პროგრამა თავისი შინაარსით იყო ეროვნული, დემოკრატიული, ანტიფაშისტური და ანტიფეოდალური ხასიათისა. მისი ამოცანა იყო ფართო საფუძველზე გაერთიანებინა მუშები, დემოკრატიული ინტელიგენცია და ანტიფაშისტურად განწყობილი ბურჟუაზიის ნაწილი.

1944 წლის დამლევსა და 1945 წლის დასაწყისში გერმანელთა ჯარები უკან დახევისას ყველაფერს ანადგურებდნენ. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე კოალიციურ საფუძველზე იქმნებოდა სოფლის, ოლქების, ქალაქის ეროვნული კომიტეტები, როგორც ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც მოქმედებდნენ უნგრეთის დამოუკიდებლობის ეროვნული ფრონტის სახელით. ვინაიდან ცენტრალური მთავრობა და ორგანოები ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, ადგილობრივი ეროვნული კომიტეტები მთელ ძალაუფლებას თავის ხელში იღებდნენ.

კომპარტია თავისი სისუსტის გამო, ამ ეტაპზე სხვა პარტიებთან ბლოკში მოქმედებდა, მაგრამ უკვე ახლა ცდილობდა ამ ბლოკის ხელმძღვანელ ძალათ თვითონ გამხდარიყო.

12 დეკემბერს დებრეცენში შეიქმნა დროებითი ეროვნული კრების მოწვევის მოსამზადებელი კომისია, რომლის ხელმძღვანელობით განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ჩატარდა არჩევნები. ეროვნული კომიტეტების ადგილებზე აყენებდნენ დეპუტატებს და დეპუტატის მანდატებს აძლევდნენ მათ, ვისაც ასახელებდნენ ქალაქისა და დიდი სოფლების სახალხო კრებებზე.

1944 წლის 21—22 დეკემბერს დებრეცენში გაიხსნა დროებითი ეროვნული კრების პირველი სესია. მისი შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: კომპარტიას, სოციალ-დემოკრატიულ, ეროვნულ გლეხთა პარტიებთან და პროფკავშირებთან ერთად ჰქონდათ ადგილების 62.6%, ხოლო მათთან კოალიციაში მყოფ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიასთან ერთად ჰქონდათ ადგილების 90%.

1944 წლის 22 დეკემბერს დროებითმა ეროვნულმა კრებამ აირჩია პოლიტიკური საბჭო, რომელიც 22 წევრისაგან შედგებოდა. მასში შევიდნენ: კომპარტიის 4, სოფლის წვრილმეურნეთა პარტიის 5, სოციალ-დემოკრატული პარტიის 4, ეროვნულ გლეხთა პარტიის 3 წარმომადგენელი და ა. შ.

პოლიტიკურმა საბჭომ თავის ხელში აიღო სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები და პრემიერ-მინისტრად აირჩია უნგრეთის პირვე-

ლი არმიის ყოფილი სარდალი ბელა მიკლოში, რომელიც ომის დროს საბჭოთა ფრონტზე მოქმედებდა, ხოლო 1944 წლის ძემოდგომაზე საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდა. დროებით კოალიციურ ეროვნულ მთავრობაში შეეიდნენ კომპარტიის 3, სოციალ-დემოკრატიული პარტიის 2, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის 2 და ეროვნულ გლეხთა პარტიის 1 წარმომადგენელი. მართალია, მთავრობის შემადგენლობა უფრო მემარჯვენე გამოდგა, ვიდრე პარლამენტი. საქმე იმაში იყო, რომ საბჭოთა არმია უნგრეთის განთავისუფლებისათვის მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა ჯერ კიდევ ძლიერი მტრის წინააღმდეგ, ამიტომ ვერ ბედავდა კომუნისტებისათვის ამჟარად მხარის დაჭერას.

1944 წლის 28 დეკემბერს უნგრეთის მთავრობამ გააუქმა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებები და ომი გამოუცხადა მას. მოსკოვში გაიგზავნა უნგრეთის ეროვნული კრების დელეგაცია, რომელმაც 1945 წლის 20 იანვარს ხელი მოაწერა დაზავებაზე სსრ კავშირთან, აშშ-თან და ინგლისთან. დაზავების პირობებით უნგრეთს მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის წინააღმდეგ ომში და გამოეყვანა არანაკლები რვა დივიზიისა, გაეყვანა თავისი ჯარები და მოხელეები დაპყრობილი ტერიტორიიდან: რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და იუგოსლავიიდან, უნგრეთის 1937 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ საზღვრებში, განეიარაღებინა და დაეტყვევებინა უნგრეთში მყოფი გერმანელთა ჯარები, დაეპატიმრებინა და გაესამართლებინა სამხედრო დამნაშავენი, დაეთხოვა ყველა ფაშისტური და პროფაშისტური პარტია, ნაწილობრივ აენაზღაურებინა ზარალი—300 მილიონი დოლარით, აქედან 200 მილიონი საბჭოთა კავშირისათვის 6 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა. უქმდებოდა, აგრეთვე, ვენის არბიტრაჟის (1938 და 1940 წლების) გადაწყვეტილებები. ხელმოწერილ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ დაზავების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებდა მოკავშირეთა საკონტროლო კომისია საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და აშშ-ის წარმომადგენლობის მონაწილეობით. კონტროლს ახორციელებდა კომისია კ. ე. ვოროშილოვის თავმჯდომარეობით.

საბჭოთა ჯარების შენაერთებმა ბუდაპეშტისთვის ალყის შემორტყმა დაამთავრეს 25 დეკემბრისათვის და გააფრთებული ბრძოლების შემდეგ 1945 წლის 13 თებერვლისათვის გაანთავისუფლეს იგი. უნგრელი ფაშისტები ჰიტლერელ ჯარებთან ერთად უკან დახევისას, მოტყუებულნი ჰიტლერის მიერ მოკლე ხანში „სასწაული იარაღის" გამოყენებაზე, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ჯარებს, რასაც ამაო მსხვერპლი მოჰყვა. უნგრეთის მთლიანი განთავისუფლება საბჭოთა ჯარებმა 1945 წლის 4 აპრილისათვის დაამთავრეს.

დროებით მთავრობაში შემავალი წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები და თვით ჰორტისტული გენერალი ბელა მიკლოში ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ დაზავების პირობების შესრულება. დროებითმა მთავრობამ გერმანიას ომი 1944 წლის 28 დეკემბერს გამოუცხადა და თავისი ეს გადაწყვეტილება 1945 წლის 20 იანვარს დაადასტურა. მაგრამ ზოგიერთი მინისტრი, განსაკუთრებით ყოფილი ჰორტისტული გენერლები აჭიანურებდნენ ჯარების შექმნას, მხოლოდ კომუნისტების დაჟინებითი მოთხოვნით 1 თებერვალს გამოაცხადეს ჯარების მობილიზაცია. ნაცვლად დაპირებული 8 დივიზიისა შეიქმნა 2 დივიზია. ეს 2 დივიზიაც ძალზე დაგვიანებით გაიგზავნა ფრონტზე და იმ დროს ჩავიდა, რომ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაც ვერ მოასწრო, ვინაიდან ომის დამთავრებამ მოუსწრო. დროებით მთავრობაში უმრავლესობას მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები შეადგენდნენ, სწორედ მათი დაჟინებული მოთხოვნით და ხელმძღვანელობით დაიწყო ქვეყანაში ღრმა გარდაქმნითი ღონისძიებების განხორციელება. 1945 წლის თებერვლის დამლევს გამოიცა დადგენილება ფაშისტური ხასიათის პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციების დათხოვნისა და ფაშისტების სწარმოებისა და ქონების კონფისკაციის შესახებ. დაითხოვეს აგრეთვე ჟანდარმერია და პოლიცია, რომლის ნაცვლად იქმნებოდა ახალი დემოკრატიული მილიცია. ყველა საწარმოებში იქმნებოდა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლებიც, ადგილებზე ახორციელებდნენ ეროვნული კომიტეტების მითითებებს, ხელმძღვანელობდნენ ეკონომიკის აღდგენას, იცავდნენ მუშათა ინტერესებს და ზღუდავდნენ კაპიტალისტების საქმიანობას, აწესებდნენ წარმოებებზე კონტროლს.

რესპუბლიკის დამყარება და ხალხთა მასების ბრძოლა საერთო დემოკრატიული რევოლუციისათვის

უნგრეთში გერმანელი და ადგილობრივი ფაშისტების ბატონობამ და ომმა ძალზედ გააპარტახა ქვეყანა. სახალხო მეურნეობის აღდგენის, ფაშისტური იდეოლოგიით მოწამლული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განკურნებისა და ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლის წარმოება.

1945 წლის მარტში, ე. ი. ომის დამთავრებამდე დროებითმა მთავრობამ მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც კონფისკებულად ცხადდებოდა სამშობლოს გამყიდველების, ომის დამნაშავეებისა და ფაშისტთა მეთაურების მიწები. ამ რეფორმით აგრეთვე უნდა მოსპობილიყო მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა და იგი მშრომელ

გლეხობას შორის განაწილებულიყო. მსხვილ მემამულეებს, რომელთაც 100-ზე მეტი ჰოლდი[1] მიწა ჰქონდა, ჩამოეჭრათ გამოსყიდვის საფუძველზე. აგრარული რეფორმის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის ღარიბებმა, რომლებიც სარგებლობდნენ ნუშათა კლასის აქტიური მხარდაჭერით. აგრარული რეფორმის გატარების შედეგად მსხვილი მიწათმფლობელობა უნგრეთში ლიკვიდირებულ იქნა. კონფისკებული მიწებიდან 3258738 ჰოლდი მიწა (ე. ი. 58,2%) კერძომფლობელობაში გადაეცა ულიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს; 26,1% მიწებისა (უმთავრესად ტყის მასივი) გადავიდა სახელმწიფოს ხელში; 422 ათასი ჰოლდი საძოვარი მიწები (7,6%) გახდა საზოგადოებრივ საკუთრებად, დანარჩენი მიწები სხვადასხვა საზოგადოებრივი მიზნებისათვის იქნა გამოყენებული. რეფორმის გატარების შემდეგ 584 893 მოჯამაგირემ, სოფლის მუშამ და მცირე მიწის მქონე გლეხმა, საშუალოდ თითოეულმა მიიღო 5,1 ჰოლდი მიწა. მემამულეთა მიწათმფლობელობა 100 ჰოლდზე ზევით და კულაკური 200 ჰოლდზე ზევით. ლიკვიდირებული იქნა ამ რეფორმამ ძირეულად შეცვალა სოფლის კლასობრივი სახე. ლატიფუნდიების, ე. ი. მსხვილი მიწათმფლობელობისა და „სამი მილიონი ღატაკის" ქვეყანა გადაიქცა საშუალო წარმოების ქვეყნად. აგრარულმა რეფორმამ საბოლოოდ მოსპო ფეოდალიზმის გადმონაშთები, ლიკვიდაცია უყო ღარიბი გლეხების ექსპლოატაციას მემამულეების მხრივ და გლეხების დამოკიდებულებას მემამულეებისადმი. საგლეხო რეფორმის დიდმნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ რეაქციის მთავარი წყარო—მსხვილი მიწათმფლობელი კლასი მოსპო, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის, ვინაიდან ამ ღონისძიებით რეაქციას გამოეცალა თავისი დასაყრდენი ძალა სოფლად მემამულეთა და მსხვილ მიწათმფლობელთა სახით.

რეფორმის შემდეგ სოფლად გაიზარდა საშუალო გლეხთა მეურნეობა 78,4%, ხოლო მათ ხელში იმყოფებოდა ქვეყნის საუკეთესო მიწების 40%, საერთოდ კი მშრომელი გლეხობის ხელში იყო კერძო სექტორის მიწების 80%. გლეხობამ მარტო მიწა კი არ მიიღო, არამედ მათ გაუნაწილდათ 70 მილიონი კვ. მეტრის საცხოვრებელი ფართი და ხანეურნეო ნაგებობა, 160 ათასი სოფლის მეურნეობის და 250 ათასი სხვა მანქანები, განთავისუფლდნენ 1 მილიარდზე მეტი ფორინტის ვალიდან და ა. შ. ამავე დროს ამ რეფორმის უარყოფითი შედეგი ის იყო, რომ მან ბოლო მოუღო განვითარებულ მეურნეობებს, რამაც შეფერხებები გამოიწვია ქალაქის მომარაგებაში პროდუქტებით.

ამრიგად, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე და შემდგომ პერიოდ-

---

[1] ერთი ჰოლდი უდრის 0,57 ჰექტარს.

შიც მოიპო ჰორტისტული და ნილაშინტური რეჟიმი და შემოღებულ იქნა სახელმწიფოს მმართველობის დემოკრატიული ორგანოები. 1945 წლის ზაფხულისათვის საერთო დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები ქვეყანაში გადაწყვეტილი იყო.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იყო მემარცხენეთა ფრთა, რომელიც კომუნისტურ პარტიასთან ერთად იბრძოდა ორივე პარტიის ერთიანი მოქმედებისათვის მთავრობაში, პროფკავშირებში და საქარხნო კომიტეტებში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერები ომის დროს მხარს უჭერდნენ მუშათა ამ ორივე პარტიის ერთიან მოქმედებას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთო დემოკრატიული რევოლუციის წარმატების საქმეში. მაგრამ ომის დამთავრებისა და რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ვითარებაში, როდესაც კომუნისტებმა უნგრეთში მყოფი საბჭოთა სარდლობის აშკარა მხარდაჭერით დაიწყეს ბრძოლა ხელისუფლების თავის ხელში მთლიანად აღებისათვის, მემარჯვენე სოციალისტები სულ უფრო და უფრო იხრებოდნენ ბურჟუაზიული პარტიების მხარეზე და გამოდიოდნენ მათთან თანამშრომლობის მომხრედ.

სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია ჰორტისტული რეჟიმის დროს კულაკების ინტერესებს ასახავდა, აგრეთვე მას მიყვებოდა მდიდარი გლეხობის ნაწილი, წვრილი და საშუალო ბუზჟუაზიის, მემამულეებისა და ინტელიგენციის ის ნაწილიც, რომელიც დასავლეთის ორიენტაციის მომხრედ გამოდიოდა. ეს პარტია ომის დამთავრებამდე თავშეკავებულად მოქმედებდა იმ იმედით, რომ იგი შეძლებდა უნგრეთის განვითარების შეჩერებას საერთო-დემოკრატიული რევოლუციის ბურჟუაზიულ ჩარჩოებში.

ეროვნულ-გლეხთა პარტია, რომელიც 1939 წელს შეიქმნა ძირითადად ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხთა ფენების ინტერესებს ასახავდა და ფაქტიურად თავისი მოღვაწეობა მან ომის შემდეგ დაიწყო. ამ პარტიაში დიდი გავლენით მემარცხენეები სარგებლობდნენ, რომლებიც კომუნისტებთან თანამშრომლობის მომხრედ გამოდიოდნენ.

მთავრობაში მყოფი მემარჯვენე, ფაქტიურად ჰორტისტული რეჟიმის მომხრე ელემენტები ბელა მიკლოშის მეთაურობით საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებასა და მემარცხენე ძალებთან ბლოკზე თავისი ტყავის გადასარჩენად წავიდნენ და ომის შემდეგ ჰორტისტული რეჟიმის რესტავრაციაზე ფიქრობდნენ.

ეროვნული პარტიების მთავარ ძალას წარმოადგენდა სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია, რომელიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა ქალაქის, განსაკუთრებით კი სოფლის საშუალო

და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებსა და ინტელიგენციას შორის. კომუნისტური დიქტატურის თავიდან აცილების ძირითად დასაყრდენ ძალას სწორედ ეს პარტია წარმოადგენდა და ქვეყნის ეროვნულმა ძალებმა სწორედ ამ პარტიის ირგვლივ იწყეს გაერთიანება. მათ მხარს უჭერდა აგრეთვე კათოლიკური ეკლესია, რომლის მეთაურად უნგრეთში (კარდინალად) რომის პაპმა, პიუს XII, 1945 წლის სექტემბერში დანიშნა იოზეფ პეშა, რის შემდეგ მან მინდსენტის სახელი მიიღო. კარდინალი მინდსენტი სათავეში ჩაუდგა უნგრეთის ეკლესიას და თავის ქადაგებებში მორწმუნე უნგრელებს მოუწოდებდა კომუნისტებისათვის ხმა არ მიეცათ და მხარი დაეჭირათ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიისათვის. მინდსენტი გამოდიოდა აგრეთვე ჩამორთმევა-წართმევის წინააღმდეგ.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ეროვნული პარტიები და უპირველეს ყოვლისა სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიების წარმომადგენლები და აგრეთვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ კომპარტიის იზოლირებას. კომპარტიამ, არა ჰქონდა რა იმედი არჩევნებში წარმატებისა, წინადადება მისცა უნგრეთის ეროვნულ ფრონტში შემავალ პარტიებს, რომ არჩევნებში ერთიანი სიით გამოსულიყვნენ. მართალია, ამას კომპარტიამ ვერ მიაღწია, მაგრამ უნგრეთში მყოფი საბჭოთა სარდლობის ზეგავლენით იმას მაინც მიაღწია, რომ სოციალ-დემოკრატებთან. ეროვნულ-გლეხთა პარტიასთან და სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიასთან დადო შეთანხმება უნგრეთის ხალხისადმი ერთობლივი მიმართვის შესახებ. ამ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ პარტიები არჩევნებში ცალ-ცალკე სიებით გამოდიან, მაგრამ ინარჩუნებენ ერთიან მოქმედებას და შექმნიან კოალიციურ მთავრობას, რომლის ამოცანა იქნება: აგრარული რეფორმის დამთავრება, სპეკულაციისათვის ბოლოს მოღება, ხალხის პურით უზრუნველყოფა, სახელმწიფო აპარატის რეაქციონერებისაგან გაწმენდა, წიაღისეულისა და ელექტროსადგურების ნაციონალიზაცია და ა. შ. მაგრამ ეროვნული პარტიები ხელს აწერდნენ რა ამ მოწოდებას, სრულებითაც არ ფიქრობდნენ კომუნისტებთან ერთ ბლოკში გამოსვლას. ასეთ დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა ომის შემდგომი პირველი არჩევნები. იგი ჩატარდა 1945 წლის საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც აცხადებდა საყოველთაო, პირდაპირ და ფარული ხმის მიცემას. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მიიღო ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტმა (5,160 ათასმა კაცმა).

არჩევნებში მონაწილეთაგან ყველაზე მეტი ხმები—57% მიიღო სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიამ, კომუნისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების—17—17% თი-

თოეულმა. ეროვნულ გლეხთა პარტიამ მიიღო ხმების 7%.

ამრიგად, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია გამოვიდა პირველ ადგილზე. საქმე იმაში იყო, რომ ამ პარტიამ შეძლო თავის მხარეზე გლეხობის მიმხრობა. იგი საარჩევნო კამპანიის დროს კომპარტიას სრულიად სამართლიანად ბრალს სდებდა იმაში. რომ მას უნდა კოლმეურნეობების შექმნა, გლეხობისათვის მიწის წართმევა და ყველას ერთ „საერთო ქვაბში" გაერთიანება გლეხთა შორის იმედები სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიისადმი არსებობდა და ამ პარტიას ისინი თავისი ინტერესების ამსახველად თვლიდნენ.

15 ნოემბერს შექმნილ კოალიციურ მთავრობაში 18 წევრიდან 9 ადგილი სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიას ერგო. 4-4 კომუნისტურსა და სოციალისტურ პარტიებს და ერთი ეროვნულ გლეხთა პარტიას. პრემიერ-მინისტრი გახდა ზოლტან ტილდი. აღსანიშნავია, რომ კომუნისტებმა მთავრობაში საბჭოთა სარდლობის ზეგავლენით დაიკავეს ეტად მნიშვნელოვანი უბანი—შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომუნისტების ზეგავლენით 1945 წლის დეკემბერში ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი 1946 წლის 1 იანვრიდან ქვანახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზებულ იქნა შახტები, მაღაროები და აგრეთვე ხუთი უმსხვილესი მეტალურგიული და მანქანათსაშენი კომბინატი და ა. შ. 1946 წლის 1 თებერვალს უნგრეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ზ. ტილდი, ხოლო მისი მოადგილე პარტიის ხაზით და იდეოლოგი ფერენც ნადი გახდა პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის ეროვნული ძალები, მათ შორის ყოფილი მემამულეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის არჩევნებში გამარჯვებას და მოითხოვდნენ ჩამორთმეული მიწების უკან დაბრუნებას. ხოლო მოხელეები კი საბოტაჟს უცხადებდნენ სახელმწიფო აპარატის წმენდას. ჰორტისტული მოხელეები ჯერ კიდევ ბოგინობდნენ ზოგიერთ სოფლის ადგილობრივ ორგანოებში და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ გლეხთა შორის მემამულეთა მიწების დანაწილებას, ხოლო ზოგიერთ ადგილებში კი, განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ. იქამდეც მიდიოდნენ, რომ გლეხებს ართმევდნენ მიწებს. მაგალითად, უკვე 1946 წლის იანვრისათვის ზოგიერთ ოლქში 20 პროცენტამდე განაწილებული მიწა უკან დაუბრუნეს ძველ მფლობელებს. თავი წამოყვეს აგრეთვე ფაშისტებმაც. მემარცხენე ძალებს შორის არჩევნების შემდეგ ერთიანობა დაირღვა და სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-გლეხთა პარტიაში სწორედ ის ძალები გაძლიერდნენ, რომლებიც კომუნისტებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი არჩევნებში თავისი წარუმატებლობის მთავარ მიზეზად სწორედ კომუნისტებთან თანამშრომლობასა და საბჭოთა კავშირთან მეგობ-

რულ ურთიერთობას თვლიდნენ, მოითხოვდნენ ამ თანამშრომლობისა და ურთიერთობის გაწყვეტას და ინგლის-ამერიკაზე ორიენტაციას.

ეროვნული ძალების აშკარა გამოსვლას და მათი ერთიანი ფრონტით მოქმედებას კომუნისტებისა და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ აბრკოლებდა უნგრეთში მყოფი საბჭოთა ჯარები, ამიტომ ბრძოლა მათ შორის მიმდინარეობდა შეიარაღებული შეტაკების გარეშე, მაგრამ კლასთა ბრძოლის მწვავე ფორმებში—სამინისტროებში, მთავრობაში, პარლამენტში, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, დაწესებულებებსა და წარმოებებში.

ასეთ ვითარებაში კომპარტიის მთავარი ამოცანა იყო თავისი მომხრე ძალების გაერთიანება და ეროვნული ძალების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით ბრძოლა. კომუნისტების დიდი მეცადინეობის შედეგად 1946 წლის მარტის დამდეგს შეიქმნა ე. წ. მემარცხენე ბლოკი, რომელშიც კომუნისტებთან ერთად შევიდნენ სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-გლეხთა პარტიის მემარცხენეები და პროფკავშირები. კომუნისტებმა ე. წ. მემარცხენეები სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის შიგნითაც გამონახეს იშტვინ დობის მეთაურობით, რომელიც მათ თავისი კარიერისტული მიზნებისათვის მიემხრო.

კომპარტიამ წამოაყენა ლოზუნგი: „მიწას არ დავაბრუნებთ!“, ამავე დროს კომპარტიამ გლეხებს მოუწოდა, რათა მათ ებრძოლათ თავისი მიწის დასაცავად, გაეწმინდათ ადგილობრივი ორგანოები ყოფილი ჰორტისტული და ნილაშისტური ხელმძღვანელობისაგან. მართლაც კომუნისტებმა ათასობით გლეხი ჩამოიყვანეს ბუდაპეშტში და მოაწყვეს დემონსტრაცია ლოზუნგით „ვინც მიწას ხელს ახლებს, მოკვდება“. მემარცხენე ბლოკმა წარმოაყენა თავისი მოთხოვნები: მიწის რეფორმის ბოლომდე მიყვანა, სახელმწიფო აპარატისა და ადგილობრივი ორგანოების გაწმენდა რეაქციონერებისაგან, მძიმე მრეწველობისა და ნავთის საბადოების ნაციონალიზაცია, ბანკებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება, პროფკავშირების მონაწილეობა სახელმწიფო აპარატში და ა. შ.

1946 წლის 7 მარტს ბუდაპეშტში, მემარცხენე ბლოკის მოწოდებით გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც 400 ათასი მუშა მონაწილეობდა. დემონსტრანტებმა მოითხოვეს მემარცხენე ბლოკის პროგრამის განხორციელება. დემონსტრანტების მიერ მოწყობილ მიტინგზე კომუნისტების მიერ თავს მოხვეულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „მუშებისა და გლეხების ერთიანი ძალით დავიცავთ აგრარულ რეფორმას, არც ერთ მტკაველ მიწას არ დავაბრუნებთ“.

მთავრობის ხელმძღვანელი ფერენც ნადი იძულებული გახდა ოფიციალურად განეცხადებინა, რომ აგრარულ რეფორმას არ გადასინჯავდნენ. მიეღო მემარცხენე ბლოკისა და ბუდაპეშტის მიტინგის მონაწილეთა მოთხოვნა ყველაზე უფრო რეაქციონერი წარმომადგენლების მთავრობიდან და პარლამენტიდან განდევის შესახებ, პარლამენტიდან გაძევებული იქნა 21 დეპუტატი.

1946 წლის შემოდგომაზე შედგა უნგრეთის კომპარტიის III ყრილობა, რომელმაც პარტიის წინაშე მთავარ ამოცანად დასახა კაპიტალიზმის შემდგომი შეზღუდვისათვის ბრძოლა.

1946 წელს გატარდა ფულის რეფორმა. შემოღებული იქნა ოქროთი უზრუნველყოფილი ფულის ახალი ერთეული—ფორინტი, რომელმაც ბოლო მოუღო ფულის ინფლაციას, ნაციონალიზებული იქნა, ან დაწესდა სახელმწიფო კონტროლი ელექტროსადგურებზე, მსხვილ წარმოებებზე.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, რომელიც კომუნისტების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, მრავალპარტიული სისტემის ლიკვიდაციის მიზნით 1946 წლის დეკემბერში შეთითხნეს ბრალდება შეთქმულების შესახებ. ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად გამოიყვანეს სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის ხელმძღვანელობა. გამოძიებამ განაცხადა, რომ შეთქმულების ორგანიზატორები იყვნენ ბელა ვარგი და ფერენც ნადი. ეს უკანასკნელი დასასვენებლად შვეიცარიაში იმყოფებოდა. მან უარით უპასუხა წინადადებას უნგრეთში დაბრუნებაზე და გადადგა. სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის სათავეში მოექცნენ მემარცხენეები იშტვან დობის მეთაურობით. მემარჯვენეების განადგურების შემდეგ მემარცხენეებმა მოითხოვეს პარლამენტის არჩევნების ვადაზე ადრე ჩატარება, ვინაიდან მასში ძალების განლაგება მემარცხენე პარტიების სასარგებლოდ შეიცვალა. ქვეყანაში ჯერ კიდევ იყო რამდენიმე პარტია, რომლის იმედი ჰქონდა ქვეყნის ეროვნულ ძალებს. ეს პარტიები იყვნენ „კათოლიკური სახალხო პარტია“, „უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტია“ და „სოციალ-დემოკრატიული პარტია“. ამ უკანასკნელი პარტიის ლიდერები ვერ ბედავდნენ კომუნისტების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლებს. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ დათანხმებულიყვნენ კომპარტიის წინადადებაზე საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ. ამ ბლოკში აღნიშნული პარტიების გარდა შეიდნენ ეროვნულ გლეხთა პარტია და მემარცხენეები სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიიდან.

კომუნისტების მიერ ორგანიზებულ არჩევნებში, 1947 წლის 31 აგვისტოს, გამოცხადდა, რომ ხმების უმრავლესობა (69,2%) მიიღო მემარცხენე პარტიების ბლოკმა. აქედან, კომუნისტურმა პარტიამ მი-

იღო ყველაზე მეტი ხმა (21,8%), ოპოზიციურმა პარტიებმა ერთად მიიღეს ხმების 39,8%. ამ არჩევნებში სრვადასხვა მაქინაციების გამო სერიოზული მარცხი განიცადა სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიამ, რომელმაც 1945 წლის არჩევნებთან შედარებით 2 მლნ ხმით ნაკლები მიიღო. ამ პარტიის ყოფილი ლიდერების მემარცხენეებით შეცვლის შემდეგ მისი გავლენა გლეხობაში დაეცა. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 14%.

არჩევნების შედეგების მიხედვით შეიქმნა მთავრობა, რომელშიც კომუნისტებმა წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს. არჩევნების შემდეგ დაჩქარდა ერთპარტიული, კომუნისტური მმართველობის დამყარება. ოპოზიციონერები იყვნენ მემარჯვენე სოციალისტები პეიერის მეთაურობით, უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტია და კათოლიკური ეკლესია კარდინალ მინდსენტის მეთაურობით. უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტიის მოღვაწეობა აკრძალულ იქნა, პეიერი საზღვარგარეთ გაიქცა, ხოლო მისი მომხრეები დააპატიმრეს.

1948 წელს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა კიდევ ერთი „შეთქმულება" შეთითხნეს, ამჯერად ეკლესიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომლის სათავეში იდგა კარდინალი მინდსენტი. იმავე წლის დეკემბერში მინდსენტი და მისი ჯგუფიც დააპატიმრეს.

მუშათა ორი პარტიის გაერთიანება

სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მემარჯვენეების განდევნის შემდეგ 1948 წლის ივნისში კომუნისტური და სოციალისტური პარტიები გაერთიანდნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიად.

1948 წლის ზაფხულში დამთავრდა „გარდატეხის წელი" უნგრეთის რევოლუციური პროცესის განვითარებაში. ვინაიდან ამ წელს სახელმწიფო ხელისუფლებიდან განდევნეს ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მათი მომხრეები და დაამყარეს კომუნისტური დიქტატურა.

§ 27. უნგრეთი 50-00-იან წლებში. ერთპარტიული დიქტატურის დამყარება

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია

1949 წლის მაისში უნგრეთში ჩატარდა ეროვნული კრების რიგგარეშე არჩევნები. არჩევნების წინ მშრომელთა პარტიამ შექმნა უნგრეთის სახალხო ფრონტი, რომელშიც შევიდნენ: მშრომელთა პარტია, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია, ეროვნულ გლეხთა პარტია,

სხვა მრავალრიცხოვანი პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები. გამოცხადდა, რომ სახალხო ფრონტს ხმა მისცა ამომრჩეველთა 95,6%-მა. პირველად უნგრეთის ისტორიაში აირჩიეს პარლამენტი, რომელშიც ბურჟუაზიისა და მემამულეთა არც ერთი წარმომადგენელი არ იყო.

1949 წლის 20 აგვისტოს უნგრეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად და მიღებულ იქნა უსრ-ის კონსტიტუცია. კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აცხადებდა ერთპალატიან სახელმწიფო კრებას, რომელსაც ირჩევდნენ 4 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა მინისტრთა საბჭო, რომელიც ფორმალურად იყო პასუხისმგებელი სახელმწიფო კრების წინაშე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოოპერირება

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 1946 წელს ჩატარდა ნაციონალიზაცია, ან დაწესდა სახელმწიფო კონტროლი შახტებზე, ელექტროსადგურებსა და მსხვილ საწარმოებზე.

1947 წლის შემოდგომიდან 1948 წლის ზაფხულამდე ნაციონალიზებულ იქნა აგრეთვე ყველა სამრეწველო საწარმო, სადაც მუშაობდა 100-ზე მეტი კაცი. 1949 წლის დეკემბერში ეროვნული კრების დეკრეტით კი ნაციონალიზებულ იქნა ყველა სამრეწველო საწარმო, სადაც 10-ზე მეტი კაცი მუშაობდა. ამის შემდეგ სოციალისტური სექტორი მრეწველობაში შეადგენდა 91,1%-ს.

სოციალისტური სექტორის შექმნის შემდეგ მრეწველობაში მთავრობა დაადგა ქვეყნის ეკონომიკის საბჭოთა მოდელის მსგავს გეგმაზომიერი განვითარების გზას. 1949 წლისათვის გამოცხადდა, რომ განახორციელა სამწლიანი გეგმა (1947—1949 წწ.). რომლის მთავარი ამოცანა იყო ომის დროს განადგურებული მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. 1949 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა 40%. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მიუახლოვდა ომამდელ დონის.

1949 წლის დეკემბერში სახელმწიფო კრებამ მიიღო პირველი ხუთწლიანი გეგმა (1950—1954 წწ.).

პირველი ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანა იყო: ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება, უპირატესად მძიმე მრეწველობის. განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობის განვითარება, ტრანსპორ-

ტის მოდერნიზაცია, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და მისი მექანიზაცია, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, უნგრეთის აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევა.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მატიას რაკოშის მეთაურობით, არ გაითვალისწინა ქვეყნის რეალური შესაძლებლობანი და მოახდინა პირველი ხუთწლიანი გეგმის ისედაც მაღალი მაჩვენებლების გადასინჯვა, მისი გაზრდის მიზნით. 1951 წლის თებერვალში ეს გადასინჯული გეგმა მოიწონა უნგრეთის მშრომელთა პარტიის XI ყრილობამ, ხოლო მაისში დაამტკიცა იგი სახელმწიფო კრებამ. ახალი გეგმით სამრეწველო პროდუქცია 86,4%-დან უნდა გაზრდილიყო 240%; მანქანათმშენებლობის წარმოება 125-დან — 290%, მეტალურგიისა—95-დან—162%; სოფლის მეურნეობის პროდუქცია — 42,4-დან — 54%, საერთოდ ცხოვრების დონე ნაცვლად 35%-ისა 50%-ით. გეგმის პირველი ვარიანტით უნდა აგებულიყო 263 საწარმო, მეორე ვარიანტით 341.

მიუხედავად ასეთი გაზრდილი, არარეალური ვალდებულებისა, უნგრელი ხალხის თავდადებული შრომის შედეგად პირველ ხუთწლედში მიღწეულ იქნა გრანდიოზული წარმატებები. ააგეს 75 უმსხვილესი სამრეწველო საწარმო. ხოლო 100-ზე მეტის რეკონსტრუქცია ჩატარდა. მწყობრში ჩადგა ათობით ახალი შახტი და მაღარო. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები—ხელსაწყოთმშენებლობის, გემთმშენებლობის, ავტოსატრაქტორო, ბოქსიტ-ალუმინის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის და ა. შ. გაყვანილ იქნა ახალი გზები, არხები, აიგო მრავალი ხიდი, შეიქმნა ახალი ინდუსტრიული ქალაქები და რაიონები—დუნაივაროში, ბეკეკეაროში, კომლო, ბორშოდი და სხვები.

პირველ ხუთწლედში სამრეწველო საწარმოები იზრდებოდა გიგანტური ტემპებით—ყოველწლიური საშუალო მატება 25% შეადგენდა. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1954 წლისათვის სამჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. მრეწველობის ხვედრითი წონა ხუთწლედის ბოლოს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში 50-დან 64%-მდე გადიდდა.

მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი საშუალოდ 20%-ით გაიზარდა, ხოლო ეროვნული შემოსავალი—50%.

უნგრეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

ივნისის პლენუმის შესაბამისად გადანაწილდა კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, რომლის მთავარი მიზანი იყო მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, ხოლო მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების შენელება. 1953 წლის ბოლოს, ისევე როგორც სსრ კავშირში მოხდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დაწყება, დაიწყო კერძო ინიციატივის წახალისება მსუბუქ მრეწველობაში, ვაჭრობაში და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ადგილობრივი საბჭოების ნებართვით ხელოსნებმა და ვაჭრებმა მიიღეს პატენტები. გამოიცა ბრძანებულება ამინისტიის შესახებ, ლიკვიდირებულ იქნა ინტერნირების სისტემა, აიკრძალა მოქალაქეების გასახლება ბუდაპეშტიდან და სხვა ქალაქებიდან სოციალური ნიშნის მიხედვით. ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება და ნაკლოვანების გამოსწორება დაევალა იმრე ნაგს, რომელიც გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მაგრამ რაკოშ-გერეს ჯგუფი დემორალიზირებულ გავლენას ახდენდა პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელ და რიგით წევრებზე. მ. რაკოში სიტყვით ცნობდა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პიროვნების კულტის დაძლევას პარტიულ და სახელმწიფო ცხოვრებაში. მაგრამ სინამდვილეში მან ვერ შეძლო ამ გზით წასვლა. ვერ შეძლო ახლებურად. ახალი მოთხოვნების შესაბამისად თავისი მუშაობის გარდაქმნა. რაკოშ-გერეს ჯგუფი ოპორტუნიზმთან ბრძოლის საბაბით ძველებური დოგმატური და რეპრესიების გზით მოქმედებდა და ამით თავისი ძველი პოლიტიკის გამართლებას ცდილობდა.

1955 წ. მარტსა და აპრილში მოწვეულმა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაზღვრა, რომ იმრე ნაგი როგორც უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ისეთი პოლიტიკური შეხედულებებისაა. რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკას, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ინტერესებს. პლენუმმა იმრე ნაგი გამოიყვანა პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და დაითხოვა ყველა იმ თანამდებობიდან, რომლებიც მას ეკავა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა ანდრაშ ჰეგედიუში.

1956 წლის ივლისში შემდგარმა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა შექმნილი ვითარება, მოხსნა მ. რაკოში ცკ-ის პირველი მდივნობიდან და გამოიყვანა პოლიტბიუროს შემადგენლობიდან. ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანეს

რაციები მოთხოვნით—ხელისუფლების სათავეში გასულიყო იმრე ნადის ჯგუფი, რომლის გავლენა სტუდენტთა შორის დიდი იყო.

23 ოქტომბერს ღამით სახელმწიფო უშიშროების ნაწილებსა და აჯანყებულებს შორის დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა, რომლის შემდეგ უკანასკნელებმა ხელთ ჩაიგდეს რადიოსადგური, რკინიგზის სადგურები, იარაღის რამდენიმე საწყობი. აჯანყებულების მხარეზე თავის შენაერთებით გადავიდა პოლკოვნიკი პ. მალეტერი.

23 ოქტომბრის ღამეს ე. გერეს ხელმძღვანელობით შედგა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცკ-სა და მთავრობის სხდომა. მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა მთავრობისათვის აჯანყების ლიკვიდაციაში დახმარების თხოვნის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა გაეწია ასეთი დახმარება. უნგრეთში მყოფმა საბჭოთა ჯარებმა ბუდაპეშტში შესვლის ბრძანება მიიღეს და ღამის სამ საათზე შეავიდნენ დედაქალაქში. აჯანყებულებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და საბჭოთა ჯარებმა ყოველგვარი გასროლის გარეშე დაიკავეს სადგურები, პარლამენტის შენობა, სადაც მთავრობა იმყოფებოდა, ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა საელჩოს შენობა.

ამასთანავე, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცკ-ში, პოლიტბიუროსა და მთავრობის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები. პრემიერ-მინისტრი გახდა იმრე ნადი. 24 ოქტომბერს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, შეიქმნა სამხედრო საველე სასამართლოები, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. იმრე ნადმა და მისმა მომხრეებმა დაიკავეს რა ცკ-ის, პოლიტბიუროს და მთავრობის ხელმძღვანელი ადგილები, ფაქტიურად დაშალეს უნგრეთის მშრომელთა პარტია.

იმრე ნადის ბრძანებით ციხიდან გაანთავისუფლეს კარდინალი მინდსენტი, რომელმაც მაშინვე გააჩაღა ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და თავისი გამოსვლისას რადიოთი მოუწოდა „ღმერთმორწმუნე“ უნგრელებს აჯანყებისაკენ, არსებული რეჟიმის ლიკვიდაციის მიზნით.

27 ოქტომბერს იმრე ნადმა შექმნა კოალიციური მთავრობა, რომელშიც შეავიდნენ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიისა და ეროვნული გლეხთა პარტიის ყოფილი ლიდერები. იმრე ნადის მოადგილე გახდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი, შემდეგ კი პრეზიდენტი (1946 წ.) ზოლტან ტილდი. იმრე ნადმა თავის გამოსვლაში რადიოთი 27 ოქტომბერს ხალხთა ეს გამოსვლები „დიდ დემოკრატიულ ეროვნულ მოძრაობად“ გამოაცხადა, რომლის ამოცანა იყო „ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიღწევა.

29 ოქტომბერს უნგრეთის მთავრობის თხოვნით საბჭოთა ჯარები გამოყვანილი იქნენ ბუდაპეშტიდან.

1 ნოემბერს ი. ნადის მთავრობამ გამოაცხადა უნგრეთის ვარშავის ხელშეკრულებიდან გამოსვლისა და „ნეიტრალიტეტის" შესახებ და მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით, რათა მას დაეცვა უნგრეთის „ნეიტრალიტეტი". 3 ნოემბერს გაერომ დანიშნა უნგრეთის საკითხის განხილვა.

აშშ-ის და ინგლისის საელჩოებმა ბუდაპეშტში დაამყარეს პირდაპირი კავშირი ოპოზიციონერებთან, აქეზებდნენ მათ და ჰპირდებოდნენ დახმარებას. აშშ-ის პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა 25 ოქტომბრეს პრესისათვის განცხადებაში აღნიშნა. რომ „შეერთებული შტატები უნგრეთში ამჟამად მიმდინარე ამბებს უყურებს როგორც უნგრელი ხალხის მისწრაფებების ინტენსიურ გამოვლენას თავისუფლებისაკენ". შემდეგ კი დ. ეიზენჰაუერი იმრე ნადის მთავრობას 20 მლნ დოლარით დახმარებას შეჰპირდა.

დასავლეთ გერმანიაში განლაგებული ნატოს ბაზებიდან წითელი ჯვრის თვითმფრინავებით მოეწყო ე. წ. „საჰაერო ხიდი" ვენა-ბუდაპეშტი, რომლითაც დასავლეთ გერმანიიდან და ავსტრიიდან უნგრეთში გადაიყვანეს 20 ათასზე მეტი ემიგრანტი, ყოფილი ოფიცრები და ჯარისკაცები, ჰორტისტული და ნილაშისტური პარტიებიდან.

ნოემბრის დასაწყისში მდგომარეობა უნგრეთში კატასტროფული გახდა. აჯანყებულები სასტიკად უსწორდებოდნენ არსებული რეჟიმის მომხრეებს. იმრე ნადმა უნგრეთის მშრომელთა პარტია დათხოვნილად გამოაცხადა და მის ნაცვლად გადაწყვიტა შეექმნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია.

ბუდაპეშტში და სხვა სამრეწველო ცენტრებში მთელი ეკონომიკური ცხოვრება პარალიზებული აღმოჩნდა. შეწყდა სამრეწველო საწარმოების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა.

25 ოქტომბერს უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ე. გერე გაანთავისუფლა პირველი მდივნობიდან და მის ნაცვლად იანოშ კადარი აირჩია, მაგრამ მალე ამის შემდეგ იმრე ნადის მოქმედების შედეგად, უნგრეთის მშრომელთა პარტია დაიშალა.

აჯანყებულთა ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გახდა 1956 წლის 4 ნოემბერს მოსკოვის მითითებით შექმნილი ახალი უნგრეთის რევოლუციური სოციალისტურ მუშათა პარტია, რომლის მოთავე იყო იანოშ კადარი. იმავე დღეს შეიქმნა ე. წ. მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც გამოვიდა აჯანყების წინააღმდეგ. თავის განცხა-

დებაში ახლად შექმნილმა მთავრობამ და პარტიამ დაადასტურეს უნგრეთის კომუნისტების ერთგულება მუშათა კლასისა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის თავიდან აცილების საბაბით სინამდვილეში კი აჯანყებულთა მოქმედებისათვის ბოლოს მოღების მიზნით ი. კადარის თვითმარქვია მთავრობამ, რომელიც საბჭოთა ჯარების განლაგებაში იყო, 5 ნოემბერს დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირს.

7 ნოემბერს საბჭოთა ტანკები შეიჭრნენ ბუდაპეშტში. შეიყვანეს ი. კადარიც და დასვეს ხელისუფლების სათავეში. წითელმა არმიამ მიუხედავად აჯანყებულთა გააფთრებული წინააღმდეგობისა, მოკლე ხანში გაანადგურა მათი ძალები. აჯანყებულებმა ბუდაპეშტთან 160 კაცი დაკარგეს. უნგრეთის სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი 22 მილიარდ ფორინტს შეადგენდა, რაც ქვეყნის წლიური ეროვნული შემოსავლის მეოთხედი იყო. 1957 წლის 1 თებერვლამდე სოციალისტურმა ქვეყნებმა უნგრეთს გაუწიეს მატერიალური დახმარება 700 მლნ. ფორინტის რაოდენობით. უნგრეთს მიეცა გრძელვადიანი სასაქონლო და ფულადი კრედიტი და რამდენიმე მილიონი მანეთის აუნაზღაურებელი დახმარება, რომელიც მთლიანად 2.5 მლრდ მანეთს შეადგენდა (ვალუტით).

ამავე დროს დაიწყო სასტიკი რეპრესიები. ი. ნადი გამოიტყუეს იუგოსლავიის საელჩოდან და მის ოთხ მომხრესთან ერთად ჩამოახრჩეს. აღიძრა 13 ათასი საქმე. 300 კაცი ჩამოახრჩეს, 200 ათასი კაცი ემიგრაციაში წავიდა, ათასობით ციხეში ჩაყარეს, მათ შორის დღევანდელი პრეზიდენტი არპად გენცი, რომელსაც მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. ამ რეპრესიების მთავარი ორგანიზატორი იყო საბჭოთა ელჩი უნგრეთში იური ანდროპოვი.

6 ნოემბრის ბრძანებულებით გაუქმდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო დამზადების სისტემა, რომელიც არახელსაყრელი იყო გლეხებისათვის, იგი აფერხებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზრდას, ვინაიდან გლეხებს არ ჰქონდათ მატერიალური დაინტერესება. მთავრობამ დააფინანსა არსებული და ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის კოოპერატივები და მიაწოდა ტექნიკა. კოოპერატივის წევრთათვის დაწესდა პენსიები. ყველა ამ ღონისძიებამ უნგრეთის სოფლის მეურნეობა კრიზისიდან გამოიყვანა.

აჯანყების დროს საზოგადოებრივმა სექტორმა სოფლის მეურნეობაში დიდი ზარალი განიცადა: 1957 წლისათვის იგი 21-დან 10%-მდე შემცირდა. საწარმოო კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიშალა.

მართალია, უნგრეთის ტერიტორიის 90% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მისი ფართობი იმდენად მცირეა, რომ ერთ სულზე ნახევარი ჰექტარი მოდის.

1957 წელს უნგრელმა ხალხმა ძირითადად მოახერხა ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგება.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცკ-ის თებერვლის (1960) პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარების ღონისძიებების შესახებ, რომლის შემდეგ სოფლის მეურნეობის კოოპერირება უფრო სწრაფი ტემპით წავიდა და 1961 წელს ძირითადად დამთავრდა.

1964 წლის ბოლოს უნგრეთის სოციალისტური პარტიის ცკ-მა სასწრაფო ღონისძიებები მიიღო სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის. 1966 წელს პარტიის ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკური რეფორმის შესახებ. რომლის განხორციელება 1968 წლის იანვრიდან დაიწყო. .რეფორმის საფუძველზე ეკონომიკური ფუნქციების დიდი ნაწილი გამოვიდა მთავრობისა და სამინისტროების რწმუნებიდან და გადაეცა საწარმოებსა და საბჭოებს. ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებში რჩებოდა ძირითადი სახალხო მეურნეობის პროპორციების მეცნიერული განსაზღვრა და ხანგრძლივვადიანი გეგმების შემუშავება. ამრიგად. დაგეგმვის ცენტრალიზება, როგორც ეკონომიკის ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპი, რჩებოდა, მაგრამ იგი ითვალისწინებდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის უფრო ფართოდ გამოყენებას. ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების მიზნით ძლიერდებოდა სტიმულირების ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა საკრედიტო პოლიტიკა, სამეურნეო ანგარიში, მოგებები და ა. შ.

სამეურნეო რეფორმა საწარმოთა დაინტერესებას იწვევდა მოგების გაზრდაში. ამასთანავე, რეფორმა ხელს უწყობდა საწარმოების ეკონომიკურ შეჯიბრებას ბაზარზე, რომლის დროსაც ისინი იძულებულნი არიან შეამცირონ თავიანთი საწარმოო დანახარჯი, გაუმჯობესონ საქონლის ხარისხი. ტექნოლოგია და პროდუქციის რენტაბელობა.

§ 20. უნგრეთი 70-იან—80-იან წლებში

70-იანი წლების მეორე ნახევარი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისათვის პოლიტიკური ამბებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1975 წლის მარტში ჩატარებული უნგრეთის სოციალისტური

მუშათა პარტიის XI ყრილობა. აპრილში ქვეყანამ აღნიშნა ფაშისტური უღლიდან განთავისუფლების 30 წლისთავი. დასრულდა მეოთხე ხუთწლიანი გეგმა (1971—1975 წწ.).

განვლილი 30 წლის განმავლობაში უნგრეთის განთავისუფლებიდან ქვეყანაში მნიშვნელოვანი წარმატებები აღინიშნა. 1975 წლისათვის ეროვნული შემოსავალი 1938 წელთან შედარებით 5,1-ჯერ გაიზარდა, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება—11-ჯერ, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციისა—1,6-ჯერ.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად 1975 წელს ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 400 მლრდ ფორინტი და იგი ხუთწლედის მანძილზე 35%-ით გაიზარდა (გეგმით გათვალისწინებული იყო 30—32%-ით ზრდა), სამრეწველო წარმოება—37%-ით (გეგმით 32—34%), სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა—18%-ით (გეგმით 16—16%). მოსახლეობის რეალური შემოსავალი გაიზარდა ისე, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული—25%-ით. ხუთწლედში უნგრეთში აშენდა 483 ათასი ბინა (გეგმით 400 ათასი), რითაც დასრულდა ჯერ კიდევ 1960 წელს მიღებული 15-წლიანი საბინაო მშენებლობის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო უნგრეთში 1 მლნ ახალი ბინის აგება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მეოთხე ხუთწლედში, განსაკუთრებით ორ უკანასკნელ წელიწადს, ძალზედ რთულ საგარეო პირობებში მიმდინარეობდა, რომლებიც გამოწვეული იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისით, მან უარყოფითი გავლენა მოახდინა საქონელბრუნვის პროპორციაზე კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში. ფასები კაპიტალისტური ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე უფრო მეტად გაიზარდა (კაპიტალისტურ ქვეყნებზე მოდის უსრ-ის მთელი საგარეო ვაჭრობის მესამედი), ვიდრე უნგრეთის ექსპორტის საქონელზე. რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა უნგრეთის საგაჭრო ბალანსზე.

პარტიის XI ყრილობამ გაითვალისწინა რა ეს გარემოება, ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ უფრო თანამიმდევრულად განეხორციელებინათ საშინაო რეზერვების მთლიანი გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კურსი, ფაბედულად აღეკვეთად სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაში უარყოფითი მხარეები, განემტკიცებინათ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დეკემბრის სესიაზე მიიღეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა (1976—1980 წწ.). რომელიც ითვალისწი-

ნებდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ტემპების დაჩქარებას, წარმოების სტრუქტურის სრულყოფას. საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ნედლეულის, სათბობისა და მასალების მომჭირნეობას, სახელმწიფო ორგანოების მიერ მართვის გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო ეროვნული შემოსავლის გაზრდა 30—32%, სამრეწველო წარმოებისა—33—35%, სამშენებლო საქმის მოცულობისა—30—33%, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა 16—18%, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლისა 18—20%.

ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა უსმპ-ის XI ყრილობა, რომელიც ჩატარდა 1975 წლის 17—22 მარტში. ყრილობამ შეაჯამა X ყრილობიდან (1970 წ.) განვლილი პერიოდის შედეგები და განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ამოცანები როგორც ახალ ხუთწლედში, ასევე პერსპექტიული გეგმის მიხედვით 15—20 წლის განმავლობაში.

ყრილობამ ქვეყნის თანამედროვე ეტაპი (რომელსაც იხილავდა უნგრეთის კომუნისტების ფორუმი) მცდარად დაახასიათა როგორც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეტაპი და ხაზგასმით აღნიშნა სოციალისტურ გეგმურ მეურნეობაში სახელმწიფო საკუთრების განმსაზღვრელი როლი. ყრილობამ განაცხადა, რომ „მიწა, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, წარმოადგენს ეროვნულ საკუთრებას". ყრილობაზე ჩამოყალიბებულ იქნა ფიზიკურ და გონებრივ შრომას, სოფელსა და ქალაქს და კლასებს შორის არსებული განსხვავების დაძლევის ამოცანები.

ეკონომიკურ დარგში დაყენებული იყო ამოცანა 15—20 წლის განმავლობაში ეროვნული შემოსავლის 2—2,5-ჯერ გაზრდისა, სამრეწველო წარმოების—2,5—3ჯერ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობისა — 1,5—2-ჯერ, მოსახლეობის მოხმარების გაზრდისა კი 2—2,5-ჯერ.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების მსვლელობაში უნგრელ ხალხს მოუხდა მთელი რიგი სიძნელეების დაძლევა, რომელმაც თავი იჩინა ხუთწლედის პირველ სამ წელიწადს (1976—1978 წწ.). მაგრამ მომდევნო წლებში (1978—1980 წწ.) იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის გაზრდით კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან უნგრეთის ვაჭრობა შემცირდა 51 მილიარდიდან (1978 წელს) 22 მილიარდ ფორინტამდე 1980 წ.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად, ოფიციალური

მონაცემებით, სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1980 წელს 19%-ით გადააჭარბა 1975 წლის დონეს. შრომის ნაყოფიერება განვლილ პერიოდში 25%-ით გაიზარდა, რის შედეგადაც დასაქმებულთა რაოდენობა 89 ათასი კაცით შემცირდა. ყველაზე დიდი მატება იყო ენერგეტიკულ (32%-ით) და ქიმიურ მრეწველობაში (39%). 1980 წელს მოპოვებულ იქნა 25,7 მლნ. ტ. ქვანახშირი, 2 მლრდ. ტ. ნავთობი, 6 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, წარმოებულ იქნა 23,9 მლრდ კვტ საათის ელექტროენერგია, 3,8 მლნ. ტ. ფოლადი, 3 მლნ. ტ. პროკატი. 15%-ით გაიზარდა ავტობუსების წარმოება, რომელმაც 1980 წლისათვის შეადგინა 12.4 ათასი მანქანა. ქიმიურ მრეწველობაში 1.5-ჯერ გაიზარდა მინერალური სასუქების წარმოება, 2,6-ჯერ—პლასტმასების წარმოება. მარტო 1980 წლისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა შვიდი მსხვილი ობიექტი, მათ შორის ტისაის მსხვილი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ნავთობსადენი „ადრია“, ცემენტის ქარხანა ბელატფალე და სხვ. გაიზარდა ცალკეული დარგებისა და საწარმოების განვითარების დიფერენციაცია, უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა ის საწარმოები, რომელშიც აწარმოებდნენ თანამედროვე, მაღალრენტაბელურ პროდუქციას, ხოლო არაეფექტური პროდუქციის გამოშვება მცირდებოდა, ან მთლიანად იხურებოდა.

განვლილ პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ყოველწლიური წარმოება 15 პროცენტით გაიზარდა წინა ხუთწლედთან შედარებით, მათ შორის მესაქონლეობა—20%-ით. მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 11%-ით და შეადგინა 12,5 მლნ. ტონა. ხორცის და მარცვლეულის წარმოებით 1 სულ მოსახლეზე უნგრეთი მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში ჩადგა. ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 40,6 ცენტნერი 1 ჰექტარზე, სიმინდისა—48,6 ცენტნერი.

1980 წლის დეკემბერში სახელმწიფო კრებამ მიიღო კანონი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ (1981—1985 წწ.), რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული შემოსავლის გაზრდას 14—17%-ით, სამრეწველო წარმოების მოცულობისას—19—21%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციისას—12—15%-ით. ეს რეალური შემოსავალის გაზრდა ერთ სულ მოსახლეზე გათვალისწინებული იყო 6—7%-ით. დაისახა 5 დღიან სამუშაო კვირაზე თანდათანობითი გადასვლის ამოცანები.

პარტიის XII ყრილობამ, რომელიც 1980 წლის 24—27 მარტს შედგა, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ეკონომიკური პოლიტიკა შემდეგნაირად განსაზღვრა: მთავარი ამოცანა ისაა, რომ უფრო ნელი ტემპების ზრდის მეშვეობით გარდაიქმნას წარმოების სტრუქტურა, ამა-

ღლდეს ხარისხი და კონკურენტუნარიანობა პროდუქციისა და საბოლოო ჯამში, გაიზარდოს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა, შეიქმნას ბაზა მომავალში მისი უფრო სწრაფი ტემპით განვითარებისათვის.

მეექვსე ხუთწლედში გრძელდებოდა ეკონომიკის მართვის სრულყოფის ღონისძიებანი. შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფის მიზნით შემოღებულ იქნა ხელფასის ხუთი ჯგუფი შრომის პირობების საფუძველზე: მძიმე, მავნე და საშიში პირობების მიხედვით. 1984 წლის 1 იანვრიდან არსებითი ცვლილება შეიტანეს მოსახლეობის შემოსავლის რეგულირების სისტემაში, შემოიღეს გადასაადების ახალი სისტემა. რომელიც ითვალისწინებს გადასახადების შემცირებას, გადასახადის ოდენობის უნიფიკაციას, გადასახადების დაწესებას პირადი შემოსავლის სხვადასხვა ძუხლის მიხედვით. ხელფასი მოემატათ სკოლის მასწავლებლებსა და საბავშვო ბაღის აღმზრდელებს (სექტემბრიდან), ვაჭრობისა და კვების ძრეწველობის მუშაკებს (ივლისიდან). მრეწველობასა და მშენებლობაში დასრულდა 40 საათიან სამუშაო კვირაზე გადასვლა. ამავე დროს გაიზარდა ფასები ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე, თევზზე, კონსერვებზე, საარეცხის ფხვნილზე, ავტომანქანებზე მომსახურების ზოგიერთ სახეზე. ბაზრის ფასების ინდექსი 1984 წლისათვის გაიზარდა 8,3%-ით (1983 წელს—7.5%-ით). ფასების ზრდის ნაწილობრივი კომპენსაციის სახით გაიზარდა პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები ბავშვებზე. შემცირდა ფასები ზოგიერთ სამრეწველო საქონელზე, იმპორტულ საათებზე.

11%-ით გაიზარდა ჩუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ 1984 წლისათვის მათი საშუალო ხელფასი შეადგენდა 5510 ფორინტს (1983 წელს კი 5240 ფორინტს), კოოპერაციული გლეხობისა—4840 ფორინტს (1983 წ. 4670 ფორინტს).

უნგრეთში ბინებით მოსახლეობის უზრუნველყოფა წარმოებდა გეგმაზომიერად. გრძელვადიან საფუძველზე უნგრელთა მილიონზე მეტმა ოჯახმა ახალმოსახლეობა იდღესასწაულა იმის შედეგად, რომ წარმატებით განხორციელდა საბინაო მშენებლობის 15 წლის პერსპექტიული პროგრამა, რომელიც 1975 წელს დამთავრდა. მისი ლოგიკური განგრძობა იყო მეორე პროგრამა. მის შესაბამისად უკვე 450 ათასზე მეტმა ოჯახმა მიიღო ბინების გასაღები 1975—1980 წწ.

მეორე პერსპექტიული პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში უნგრელთა 1.2 მილიონმა ოჯახმა მიიღო ახალი ბინები.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის უნგრეთმა პირველმა დაიწყო ეკონომიკური რეფორმა და მიაღწია იმას, რომ გადაიქცა ევროპული

დონის განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გამოყენების წყალობით უნგრეთმა მიაღწია მსუბუქი მრეწველობის ამაღლებას, დაბალ ფასებს კვების პროდუქტებზე, ტრადიციული მოხმარების სფეროს განვითარებას, ცხოვრების დონის ამაღლებას, შთამბეჭდავ წარმატებებს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების დარგში. 1968 წლიდან დაწყებული ცნობილი სამეურნეო რეფორმის განხორციელების რამოდენიმე ხნის შემდეგ, უნგრეთში თავი იჩინა იმ წინააღმდეგობებმა, რომლებიც დამახასიათებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, დინამიკური ტემპებით რომ ავითარებს თავის ეკონომიკას: ექსტენსიური განვითარების პოტენციალი ამოიწურა და დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, საწარმოო სტრუქტურის მოდერნიზაციის საკითხი. მაგრამ წარმოების სტრუქტურის მოდერნიზაცია მოითხოვდა ფულად სახსრებს—ასე დაიწყო უნგრეთმა სესხების აღება დასავლეთის ქვეყნებიდან და მისმა დავალიანებამ 1989 წლის დასაწყისში 18 მლრდ დოლარს მიაღწია. საქმე ის არის, რომ აღებული სესხები აქ რაციონალურად კი არ გამოიყენეს ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის, არამედ არამწარმოებლურად. (ეს ეხება სესხების ნაწილს). სხვანაირად რომ ვთქვათ, მრეწველობამ ვერ აითვისა ასეთი დიდი რაოდენობის სესხები და მისი ნაწილი მოხმარებაში გაუშვეს. ამიტომაა, რომ დავალიანებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ქვეყნის ექსპორტის წლიურ მოცულობას. ასე დაგროვდა დიდი ვალი. უნგრეთის მთავრობა ამ ბოლო წლებში ყველანაირად ცდილობდა ექსპორტის გაზრდას და მიაღწია, რომ ქვეყნის ეროვნული შემოსავალის 40%-ის რეალიზაცია უცხოეთის ბაზარზე ხდება. ბოლო წლებში უნგრეთმა საქმიანი და სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა საერთო ბაზრის ქვეყნებთან, სამხრეთ კორეასთან, ისრაელთან, ალბანეთთან და მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან.

1987 წელს უნგრეთის საკანონმდებლო კრებამ მიიღო ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ მკაცრ ღონისძიებებს: ამჟამად უკვე განხორციელებულ საგადასახადო, საბანკო, ხელფასის რეფორმებს, წამგებიანი საწარმოების ლიკვიდაციას, ფასების მოწესრიგებას, სახელმწიფო დოტაციების შემცირებას. მაგრამ ეკონომიკის სტაბილიზაციის ამ ღონისძიებებს მოჰყვა ცხოვრების დონის დაცემა, სტრუქტურული უმუშევრობის შექმნა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უნგრეთს არასაკმარისი სამეურნეო რესურსები აქვს, რომლის გამოყენებით იგი ვერ შეძლებდა თავისი ეკონომიკის წარმატებების დიდი ხნით უზრუნველყოფას.

1987—1989 წლებში ფასების მოწესრიგებას მოჰყვა სიძვირის ზრდა ყოველდღიური მოხმარების საგნებზე და ხალხთა მდგომარეობის გაუარესება.

ფასების გაზრდის მთავარ მიზეზად გამოცხადებულია უნგრეთის ეკონომიკის გადასვლა მთლიან სამეურნეო ანგარიშზე, შემცირება და მოკლე ხანში მთლიანი გაუქმება სახელმწიფო დოტაციებისა წამგებიანი საწარმოებისათვის, სამომხმარებლო ფასების და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. იგეგმება, რომ მომავალში სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს ბაზრის ფასები, რეალური ფასები, რომლებიც დამოკიდებული იქნება მოთხოვნასა და წინადადებაზე.

დოტაციების შემცირებაზე მთავრობას უბიძგებს ქვეყნის მძიმე ფინანსური მდგომარეობა. მართალია, 1987 წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტი 1988 წელს 35 მლრდ ფორინტიდან 20,4 მლრდ ფორინტამდე შემცირდა, 1989 წლის ფინანსურ წელს მაინც გათვალისწინებული იყო დეფიციტი 20 მლრდ ფორინტით. ძალიან მწვავედ დგას საგარეო დავალიანების დაფარვის, მისი გაზრდის არ დაშვების საკითხი.

1988 წლის ბოლოს უნგრეთის მთავრობის კომისიამ პრემიერ-მინისტრის მიკლოშ ნემეტის მეთაურობით შეიმუშავა სახელმწიფო დოტაციების შემცირების სპეციალური პროგრამა, რომელიც ოთხ წელზეა გათვალისწინებული. 1993 წლისათვის ახლანდელი უზარმაზარი დოტაცია 215 მლრდ ფორინტის რაოდენობით 82 მლრდ ფორინტამდე უნდა შემცირდეს. სახელმწიფო დოტაციები სამ მუხლად იყოფოდა: არარენტაბელური საწარმოების წაგების დასაფარავად, ექსპორტის მხარდასაჭერად და გასაფართოებლად, დაბოლოს ყველაზე დიდი დოტაცია—სამომხმარებლო ფასებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. საყურადღებოა, რომ მთავრობამ არაერთხელ მიიღო გადაწყვეტილება დოტაციების შესამცირებლად, მაგრამ 1980—1988 წლებში დოტაციების რაოდენობა სამჯერ მეტი გახდა. ასეთი მდგომარეობა, ეკონომისტების აზრით, იწვევს ეკონომიკის პარალიზებას

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგები იქნება ფასების ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების ღონის დაცემა. ამიტომ გასაგებია, რომ ღონისძიებების განხორციელება არ იქნება პოპულარული. სრულიად უნგრეთის პროფკავშირებმა მთავრობასთან გამართული მოლაპარაკების დროს იმედი გამოთქვა, რომ დოტაციების შემცირების დროს (წინასწარი მონაცემებით 98 მლრდ დოლარით) მთავრობამ თანხის ნაწილი გამოიყენოს არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისათვის, არამედ, აგრე-

თვე, ხელფასის გაზრდისათვის, სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ფასების გაზრდამდე პროფკავშირებსა და მთავრობას შორის მიღწეულია შეთანხმება 1989 წლიდან ხელფასების ცენტრალიზებული გაზრდისათვის 4,1 მლრდ ფორინტის რაოდენობით. მინიმალური პენსიების რაოდენობა განისაზღვრება 3500 ფორინტამდე. ცნობა ამის შესახებ ფასების გაზრდასთან ერთად გამოცხადდა.

1989 წლის 9 იანვრიდან უნგრეთში კიდევ გაიზარდა ფასები სამომხმარებლო საქონელზე 20—22 პროცენტით. ხორცზე, ხორცის პროდუქტებსა და კონსერვებზე ფასები გაიზარდა 15—16 პროცენტით. რძეზე და რძის პროდუქტებზე—40 პროცენტით, ცხიმზე, მარგარინზე—15 პროცენტით. საერეცს ფხვნილზე—8 პროცენტით, ბავშვთა საკვებზე—8 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები წამალზე (82 პროცენტით) და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. მაგალითად, ავტობუსის ბილეთის ფასი გაიზარდა ბუდაპეშტში 87 პროცენტით, ქალაქგარეთ—60 პროცენტით. მსუბუქ მანქანებზე ფასები გაიზარდა 25 პროცენტით. განსაკუთრებით გაიზარდა ფასები კომუნალურ მომსახურებაზე, მაისიდან კი—გათბობაზე 290 პროცენტით. 1990 წ. 1 იანვრიდან ფასები ცენტრალურ გაზეთებზე გაიზარდა ორნახევარჯერ.

ოფიციალური მონაცემებით, 1990 წლის 9 იანვრიდან საშუალო ოჯახს ბავშვების ჩათვლით, თავისი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის მოუხდება დახარჯოს 800 ფორინტით მეტი, ვიდრე მანამდე. ამ დროისათვის უნგრეთის ძირითადი სამუშაო ადგილის საშუალო ხელფასია 7 ათასი ფორინტი (1000 ფორინტი=52.63 კაპ). ამ ხელფასში არაა გათვალისწინებული დამატებები და შემოსავალი შეთავსებითი სამუშაოდან, რომელიც ხშირად ძირითადი ხელფასის ნახევრამდე აღწევს. 10 მილიონიან უნგრეთში 2 მილიონი პენსიონერია, რომელნიც ფასების ახალი გაზრდის შედეგად აღმოჩნდნენ ოფიციალურად აღიარებულ სიღარიბის ზღვარზე. პენსიის დამატებები ორჯერ ნაკლებია აუცილებელ თანხაზე, რომელიც აანაზღაურებდა ყოველდღიური მოხმარების საგნებზე ფასების გაზრდას. მრავალშვილიანი ოჯახებიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვინაიდან 1988 წელს გატარებულმა საგადასახადო რეფორმამ გააუფასურა ბევრი დამატება და ნამატი, რომელსაც იღებდნენ ზეგანაკვეთური მუშაობით.

უნგრეთის სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით ცხოვრების საარსებო მინიმუმი განსაზღვრულია 3230 ფორინტით—180 მანეთამდე. 1982 წ. საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი ჰქონდა ოჯახის 6 პროცენტს, 1989 წლის იანვრისათვის კი 10—პროცენტს. ამ საკითხზე მომუშავე ცკ-ის კომისიამ აღნიშნა, რომ მეურ-

ნეობის საბაზრო პირობების გაძლიერება აუცილებლად გამოიწვევს შემოსავალში შემდგომ დიფერენციაციას. ამის გამო მოსალოდნელია სოციალური დაძაბულობაც. ამიტომ უნდა შემუშავდეს სოციალური პოლიტიკა მისი შესუსტებისათვის.

1989 წლის 9 იანვარს ძალაში შესულმა სამომხმარებლო ფასების მომატების ღონისძიებებმა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია. მათ არ დაეთანხმა პროფკავშირთა სრულიად უნგრეთის საბჭოს პრეზიდიუმი. მიღებულ განცხადებაში ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებულია სახელმწიფო დოტაციების შემცირება, ესოდენ რადიკალური ღონისძიებების მიღება კიდევ უფრო გაზრდის ფასებს დაგეგმილთან შედარებით. იგი გაამწვავებს გარკვეული კატეგორიის მშრომელთა, პენსიონერთა, აგრეთვე, მოსახლეობის იმ ფენების მატერიალურ სიძნელეებს, რომლებიც საარსებო მინიმუმის დონეზე ნაკლებად ცხოვრობენ. ამავე დროს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გამწვავებული ვითარების მიუხედავად, პროფკავშირის წევრებმა, ქვეყნის მთელმა მოსახლეობამ უნდა გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ მათმა მოქმედებამ საფრთხე არ შეუქმნას სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობას უნგრეთში.

მოსახლეობის და, უწინარესად, პროფკავშირების რეაქციამ მიღებულ ღონისძიებებზე ცენტრალური ადგილი დაიკავა უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. ნემეტის გამოსვლაში ბუდაპეშტის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. უწოდა რა ფასების მომატებას იძულებითი ღონისძიება, მან თქვა, რომ დოტაციების შემცირების პროგრამის გეგმაზომიერი განხორციელების გარეშე ამჟამად შეუძლებელია სტაბილიზაციის მიღწევა, ნაბიჯის წინ გადადგმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე. მთავრობა არ გააუქმებს ფასწარმოქმნის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამავე დროს იგი შრომითი უკუგების, ეფექტიანი შრომის ზრდისაგან მოწყვეტით ხელფასის დაუსაბუთებელი ზომატების წინააღმდეგია. ვინაიდან ამას შეიძლება მოჰყვეს ქვეყანაში ინფლაციის ახალი ტალღა.

1989 წლის 1 იანვარს უნგრეთში შემოიღეს დახმარება უმუშევრებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ ოფიციალურად აღიარა უნგრეთში არსებული უმუშევრობა. უკვე სამი წლის წინ ნათელი გახდა, როცა მთავრობამ 1986 წელს გამოსცა ბრძანებულება წამგებიანი, არარენტაბელური საწარმოების ლიკვიდაციის შესახებ, რომ უნგრეთში უმუშევრობა დაიწყებოდა 1987 წელს შემოიღეს კანონი შრომითმოწყობისა და გადამზადებისათვის დახმარების შე-

სახებ, მაგრამ 1989 წლამდე ყველა თავს არიდებდა „უმუშევრობის“ სიტყვის ხმარებას. 1989 წლის კანონის შემოღებით უმუშევრობა უნგრეთში უკვე აღიარებულია.

უნგრეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით იმათთვის, ვინც დაკარგა სამუშაო, დახმარება გათვალისწინებულია 50—70 პროცენტის ოდენობით საშუალო ხელფასიდან. ვინც თავისი სურვილით განთავისუფლდა სამუშაოდან, ის ნაკლებ დახმარებას მიიღებს იმათთან შედარებით, ვინც შემცირებაში მოჰყვა. ნახევარი წლის შემდეგ დახმარება 10 პროცენტით მცირდება. უმუშევარს დახმარება შეუწყდება იმ შემთხვევაში, თუ ის არც ერთ წინადადებას არ მიიღებს პროფილის მიხედვით ან პროფილთან ახლოს მდგომი სამუშაოს შესახებ, რომელიც მისი საცხოვრებელი ადგილიდან მაქსიმუმ 1,5 საათის სასიარულო მანძილზეა. დახმარება, ისე როგორც ხელფასი, იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ახდევინებენ. აგრეთვე, ხუთპროცენტიან საპენსიო ფონდის ანარიცხს. ერთი წლის შემდეგ დახმარება უმუშევრობისათვის შეწყდება და იმ პირს, ვინც ვერ მოეწყო სამუშაოზე, შეუძლია იმედი ჰქონდეს სოციალური დახმარებისა.

1988 წლის უნგრეთის პარლამენტის ზაფხულის სესიის დროს რამდენიმე დეპუტატმა მოითხოვა სამხედრო ხარჯების შემცირება. ითვალისწინებდნენ რა იმას, რომ საერთაშორისო ვითარება გაუმჯობესდა და დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შენელდა, აგრეთვე, ქვეყნის ფინანსურ სიძნელეებს, დეპუტატთა სახელმწიფო კრებამ მიზანშეუწონლად ჩათვალა სამხედრო ბიუჯეტის ძველ დონეზე შენარჩუნება და ხმა მისცა მის შემცირებას 5 მლრდ ფორინტით. 1988 წელს 240 კაცით შემცირდა თავდაცვის სამინისტროს აპარატი.

1988 წლის ბოლოს უნგრეთის სახალხო კრების ზამთრის სესიამ დაამტკიცა 1989 წლის ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვან სამხედრო ხარჯების 17 პროცენტით შემცირებას. თვით 1988 წლამდე საზოგადოებრიობას წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, თუ რამდენი იხარჯებოდა სამხედრო მიზნებისათვის. პირველად სამხედრო ხარჯების შესახებ ცნობილი გახდა 1987 წ. პარლამენტის მიერ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს. მაშინ სამხედრო ხარჯებმა შეადგინა 33,2 მლრდ ფორინტი, ანუ ბიუჯეტის 4,8 პროცენტი. შეწყდა სტუდენტების გაწვევა ჯარში. 1989 წლის აგვისტოდან უმაღლეს დამთავრებულებს ჯარში 1 წლით იწვევდნენ (1 1/2 წლის ნაცვლად), ისიც მხოლოდ უმაღლესის დამთავრების შემდეგ. კიდევ ერთი სიახლეა. სამხედრო სამსა-

ხურში. წვევამდელს, რომელიც რელიგიური ან მორალური მოტივით უარს ამბობს ჯარში სამსახურზე იარაღით ხელში, ამიერიდან უფლება აქვს ორი წლის ნაცვლად სამხედრო სამსახურში სამ წელს იმსახუროს (ჰოსპიტალში ან საავადმყოფოში). სამხედრო ბიუჯეტის შემცირების შემდეგ მთელი რიგი სამხედრო საწარმოები გადავლენ სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაზე.

გარდაქმნები შეეხო უნგრეთის საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებულ სოფელსაც. 1988 წლისათვის უნგრეთის სოფლებმა 750 მილიონი დოლარის სუფთა მოგება მიიღეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის შედეგად. უნგრეთის აგროსამრეწველო კომპლექსის მიერ წარმოებული პროდუქციის მესამედი იგზავნება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. შიდა ბაზარი, როგორც წარსულ წლებში, მთლიანადაა უზრუნველყოფილი ყველა სახის სურსათით. მართალია, ამ ბოლო დროს მოხმარება მცირდება ფასების განუწყვეტელი ზრდის გამო, მიუხედავად იმისა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზების ფაქტორია და ეს უნგრული მოდელი სოფლის მეურნეობაში ყველაზე დამაჯერებლად და საერთაშორისო თვალსაზრისითაც აღიარებულად ითვლებოდა, ამჟამად დღის წესრიგში დგას მისი შეცვლა. სრულიად უნგრეთის სოფლის მეურნეობის კოოპერაციული წარმოების გენერალური მდივნის იანოშ ელეკის სიტყვებით რომ ვთქვათ, უნგრეთში არსებული სოფლის მეურნეობის კოოპერატივები ძალიან ჰგავს კოლექტიურ მეურნეობებს, რომელიც ქვეყანაში იქმნებოდა ნებაყოფლობის დარღვევით, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს „ამძრავ ღვედებს“ და ამიტომ საჭიროა მისი შეცვლა ერთპიროვნული ფერმერული მეურნეობით. 40-იანი წლების ბოლოს ჩატარებული კოლექტივიზაცია მართლაც წააგავდა ჩვენში ჩატარებულ კოლექტივიზაციას: უნგრეთშიც ადგილი ჰქონდა „გაკულაკებას“, იძულებითობას, ადმინისტრირებას. მაგრამ 50-იანი წლების ბოლოს ჩატარებული მასობრივი კოოპერირების დროს შეცდომები გათვალისწინებულ იქნა—ყურადღების ცენტრში იყო სოფლად ყველაზე უფრო ავტორიტეტული მეურნე, რომელსაც ხშირად თავმჯდომარედ ირჩევდნენ; გლეხები გადაცემული მიწისათვის რენტას იღებდნენ. ერთდროულად წყდებოდა პენსიების საკითხი კოოპერატორებისათვის. 60-იანი წლების დამდეგიდან უნგრეთში კოოპერატივების თავმჯდომარეებს მხოლოდ ფარული კენჭისყრით ირჩევდნენ. კოოპერატორების პირად მეურნეობებს კი არ ზღუდავდნენ, არაფერს, პირიქით, ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ. ბევრ კოოპერატივში

შეიძლება ინდივიდუალური მეურნეობისათვის აგრონომისა და ზოოტექნიკოსის შტატები. სწორედ კოოპერატიული და ინდივიდუალური ინტეგრირებული მეურნეობისა და ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვის შედეგია ის, რომ უნგრეთმა მოკლე დროში გადაწყვიტა თავისი სასურსათო პრობლემა, გადაიქცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიორ ქვეყნად.

1988 წ. უნგრეთში ყველაზე დიდი მოსავალი მიიღეს მისი მთელი ისტორიის მანძილზე. მიუხედავად ამისა, მთავრობამ მაინც გასაღების ფასები სურსათზე. ხორბალი საშუალოდ 55 ცენტნერი მიიღეს ჰექტარზე—ერთ სულზე გაანგარიშებით 1,5 ტონა ხორბალი მოდის. მაგრამ მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მესამედი (უპირატესად მესაქონლეობისა) წარმოებულია წვრილ ფერმებში და საკარმიდამო სექტორის მიერ.

ქვეყანაში შრომის განაწილების მეტად რაციონალური ფორმები ჩამოყალიბდა. ხორბალი, სიმინდი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი მოჰყავთ უპირატესად მსხვილ კოოპერატივებს, სახელმწიფო მეურნეობებს. წვრილი მწარმოებლები კი იძლევიან ნახევარზე მეტ ხორცს, სოლანა და ბოსტნეულის 60%-ს, თაფლის 100 პროცენტს და ა. შ. 1.4 მლნ ადამიანი წვრილი ფერმების წყალობით სოფელთანაა დაკავშირებული. ისინი იჯარით იღებენ მიტოვებულ მიწებს კოოპერატივებისაგან. ასეთ პრაქტიკას მსხვილი კოოპერატივები და სახელმწიფო მეურნეობები ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მიმართავენ. ამასთან, ქვეყანაში 100-მდე კოოპერატივი და სახელმწიფო მეურნეობაა, რომლებმაც 1988 წელი ზარალით დაამთავრეს და ეს არაა პირველი შემთხვევა. ასე მეორდება წლების განმავლობაში. ამიტომ გადაწყდა, რომ ასეთი წამგებიანი მეურნეობების ბაზაზე შეიქმნას ამხანაგობები, საოჯახო ფერმები. ამრიგად, 1989 წლიდან უნგრეთის სოფლის მეურნეობაში შემდეგნაირი მდგომარეობა იქმნება: მეურნეობის კომბინირებული და ინდივიდუალური მეთოდები, მათი ურთიერთმოქმედება, მხოლოდ მომგებიანი მეურნეობისათვის მხარის დაჭერა. მართალია, უნგრეთმა გაასწრო სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (გარდა გდრ-სა) წარმოების ეფექტიანობით, მაგრამ იგი მესამედით ჩამორჩება ავსტრიას და უფრო მეტად—დანიასა და ბელგიას, სადაც მაღალმექანიზებული ფერმერული მეურნეობაა. მაგრამ უნგრეთში რომ ფერმერული მეურნეობა შექმნან, რომელიც შეძლებს პროდუქციის ექსპორტისათვის რენტაბელურ წარმოებას, საჭესი მიწა ერთ ოჯახზე 50 ჰექტარად უნდა დაყონ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმიწოდ დატოვონ 300 ათასი გლეხ-კოოპერატორი. სად წავლენ ისინი? ქალაქად ისედაც ზედმეტია არაკვალიფიციური სამუშაო ძალა.

ახლანდელი მდგომარეობა, როდესაც საზოგადოებრივი მეურნეობიდან კარგ შემოსავალს სტიმულირებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემას ემატება გლეხთა საკარმიდამო ნაკვეთებიდან არც თუ ცუდი შემოსავალი, გლეხებისათვის სელსაყრელია. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში სოფლის ყველა მეურნეობა როდია. არის ისეთი მეურნეობა, სადაც მწირი მიწაა ან მეურნეობა ცუდად წარიმართება და კოოპერატორ გლეხთა შემოსავალიც დაბალია. ამის გამო ასეთ მეურნეობებში ადამიანები არ გრძნობენ თავიანთ თავს მიწის პატრონად, მათ შორის გავრცელდა კმაყოფაზე ყოფნის ფსიქოლოგია. ასეთ ადგილებში საწარმოო კოოპერატივებს ითხოვენ და მის ადგილას ქმნიან უმდაბლეს კოოპერატივებს, სადაც მიწის განსაზოგადოება უფრო ნაკლებია.

კოოპერატივები, შედარებით უკეთეს მეურნეობებშიც თავის თავს აღცთუ ცუდად ანაზღაურებულ, მაგრამ უფრო დაქირავებულ მუშებად თვლიან, ვიდრე მიწის პატრონად. აქ, გამოსავალი ისეთივეა, როგორც ჩვენთან გავრცელებული — მიწის იჯარითა და ნარდად აღების წესის დამკვიდრებით. ასეთმა დანერგილმა ფორმებმა კარგად გაამართლა უნგრეთის ისეთ შრომატევად კულტურებში, როგორიცაა მევენახეობა, მებაღეობა. მაგრამ იქ, სადაც ინდუსტრიულ ტექნოლოგიაა დანერგილი, ათას ჰექტარიან მასივებში კვლავაც გამოიყენებენ კოოპერატიული წარმოების უპირატესობას. ეს ეხება ხორბლის, სიმინდის, მზესუმზირასა და შაქრის ჭარხლის წარმოებას. მაგრამ საჭიროა ბოლო მოეღოს ადმინისტრაციულ-ბრძანებლურ სისტემას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთში უკვე დიდი ხანია აღარ უბრძანებენ კოოპერატორებს, თუ როდის დათესონ, როდის აიღონ მოსავალი და ა. შ.

უნგრეთის მთავრობამ ახლა კურსი აიღო სახელმწიფო დოტაციების შემცირებაზე ყველა დარგში. ამასთანავე, სწრაფად იზრდება ფასები სოფლის მეურნეობის მანქანებზე, სასუქებზე, ელექტროენერგიაზე და სხვ. მოგებები კი სოფლის მეურნეობის კოოპერატორებისა, ისე როგორც შესასყიდი ფასები მარცვლეულზე, ხორცზე, რძეზე, ჯერჯერობით მტკიცეა. უკვე ასობით მეურნეობა იძულებულია უარი თქვას სასუქების ოპტიმალურ ნორმაზე. ბევრს უბრალოდ არ შეუძლია გაფართოებული კვლავწარმოება. უნგრეთის მთავრობა ისწრაფვის გააუქმოს დოტაციები და რეალური შესასყიდი ფასები დაწესოს, მაგრამ ყველაფერზე დოტაციების გაუქმებამ, (მაგალითად, რძეზე) გამოიწვია ფასების იმდენად გაზრდა, რომ მოხმარება კატასტროფულად დაეცა. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შესასყიდი ფასების თანდათანობით გაზრდა.

ამასთანავე, სახელმწიფო სუბსიდიების სრული გაუქმების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება საზღვარგარეთ, კერძოდ, დასავლეთში, სადაც სახელმწიფო სუბსიდიები არსებობს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღება. რაც შეეხება შიდა ბაზარს, აქ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაბალ ფასებს კი არ დაუჭიროს მხარი, (მაგალითად, რძის პროდუქტებზე) არამედ, ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს.

უსმპ-ის ცკ-ის გენერალურმა მდივანმა კ. გროსმა 1989 წ. დედაქალაქის პარტიულ აქტივზე გამოსვლისას გაილაშქრა რა „მიწის ხელახალი გადანაწილების“ მოთხოვნის წინააღმდეგ, ხაზი გაუსვა უნგრეთის სოფლისათვის კოლექტივიზაციისა და კოოპერირების მნიშვნელობას, რომ სწორედ ამის წყალობითაა, რომ უნგრეთის აგრარული დარგი ევროპულ დონეზე გამოვიდა და უზრუნველყო მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება. „მიწის ახალი რეფორმა,—აღნიშნა კ. გროსმა, — კოოპერატიულ სისტემაზე უარის თქმა, ფერმერული სისტემის შექმნა—ყველაფერი ეს არაა მისაღები უნგრეთისათვის, ვინაიდან ასეთი მიდგომა დაღუპავდა არა მარტო მიღწეულ შედეგებს, არამედ შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს მთელი ქვეყნისათვის“.

როგორც არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, ეკონომიკური რეფორმები ადრე თუ გვიან იწვევენ რეფორმებს პოლიტიკურ სტრუქტურაში. ასე მოხდა უნგრეთშიც. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უნგრეთის კომუნისტებს მანამდეც აუცილებლად მიაჩნდათ ქვეყნის დემოკრატიზაცია, რაც ერთგვარი მასტიმულიზებელი ფაქტორი ხდება ეკონომიკური აყვავებისათვის. ბიუროკრატიულ-ბრძანებლურმა სისტემამ აქ, ისე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, უკვე დრო მოჭამა. ამიტომაა, რომ ეკონომიკური რეფორმის პარალელურად მიმდინარეობს პოლიტიკური გარდაქმნები, მთელი რიგი უფლებრივი ნორმებისა და კანონების განახლება და ახლის შემუშავება: უნგრეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა: საგარეო ვალმა, ინფლაციამ, ფასების ზრდამ გამოიწვია უკმაყოფილებისა და საზოგადოების პოლიტიკური აქტივობის ზრდა. უკვე მიღებულია კანონები კრებებისა და მიტინგების ჩატარების, გაერთიანებების, კერძო-მეურნეო საზოგადოებებისა და ასოციაციების შექმნის შესახებ. მუშავდება კანონები არჩევნების, პროფკავშირების, გაფიცვების, ეროვნული უმცირესობისა და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

1987 წლის ივნისში უსრ-ის სახელმწიფო საბჭომ (პარლამენტმა

ქ. ნემეტი[1] აირჩია უსრ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ პენსიაზე გასულ პ. ლოშონცის ნაცვლად), ხოლო კაროი გროსი[2] აირჩია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ (დ. ლაზარის ნაცვლად, რომელიც აირჩიეს უსმპ-ის გენერალური მდივნის მოადგილედ). სახელმწიფო კრებამ დეკემბრის სესიაზე შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციაში, რომელიც მიზნად ისახავს პარლამენტის ხელმძღვანელური როლის გაზრდას საკანონმდებლო მოღვაწეობაში. 1988 წლის მაისში ჩატარდა სრულიად უნგრეთის სმპ-ის კონფერენცია, მის მიერ შექმნილმა ცკ-ის პლენუმმა პოლიტბიუროს და სამდივნოს ახალი შემადგენლობა აირჩია. პარტიის გენერალურ მდივანი გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კაროი გროსი, ხოლო ი. კადარი — პარტიის თავმჯდომარე, ურ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახდა უპარტიო, სახელმწიფო კრების დეპუტატი. თ. შტრაუბი (1914 წ. დაბადებული).

1988 წლის მაისში შემდგარი სრულიად უნგრეთის პარტიული კონფერენციის შემდეგ ქვეყანაში გაფართოვდა საჯაროობა, დაიწყო პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაცია, პლურალიზმის განვითარება, მაგრამ 1989 წლის დამდეგამდე უნგრეთში თვლიდნენ, რომ პოლიტიკური პლურალიზმი უნდა განხორციელდეს ერთპარტიული სისტემის ფარგლებში სამამულო სახალხო ფრონტის (სსფ) დამოუკიდებელი როლის ამაღლებით. სსფ თავის რიგებში აერთიანებს ყველა პატრიოტულ ძალას, მათ შორის ისეთებსაც, რომელნიც მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე არა დგანან.

1988 წელს უნგრეთში შეიძლება უწოდოთ „ალტერნატიური ორგანიზაციების წელი" — ახალი გაერთიანებები, კლუბები, პარტიული ჯგუფები და თვით პარტიებიც კი შეიქმნა და მათი რაოდენობა თითქმის ყოველდღიურად იზრდება. მარტო კულტურის დარგში გაერთიანებულ ორგანიზაციათა რაოდენობამ 150-ს გადააჭარბა. შეიქმნა დამოუკიდებელი პროფკავშირებიც, ახალგაზრდობის ალტერნატიული პოლიტიკური კავშირები, ისტორიული საზოგადოებები. მათ შორის აღსანიშნავია „მემარცხენე ალტერნატივა", რომელიც 1988 წლის სექტემბერში შეიქმნა, ხოლო ნოემბერში გამოაცხადა თავისი არსებობის შესახებ. მისი პირველი ნაბიჯები იმაში გამოიხატა, რომ დაიწყო 1987—1988 წწ. „რეფორმების პროგრამის" განხილვა და კრი-

---

1. ქ. ნ ე მ ე ტ ი 1922 წ. დაიბადა, 1945 წ. პარტიაში შევიდა, 1962—1965 წწ. და 1974—1985 წწ. იყო უსმპ-ის მდივანი, 1985—1987 წწ.—გენერალური მდივნის მოადგილე, 1988 წ. პენსიაზე გაუშვეს.

2 ქ. გროსი 1930 წელსაა დაბადებული, 1948 წ. შევიდა პარტიაში. 1974—1979 უსმპ ცკ-ის განყოფილების გამგეა, 1985 წ. მარტიდან პოლიტბიუროს წევრია, 1984—1987 წწ. ბუდაპეშტის პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანია.

ტიკა. კერძოდ, ისინი ქადაგებენ იმას, რომ „80-იანი წლების მეორე ნახევარში უნგრეთი ღრმა კრიზისში აღმოჩნდა“. ისინი თავიანთ თავს განახლებულ მარქსისტებს უწოდებენ და თვლიან „მარქსისტულ თეორიას XX საუკუნის დამლევის საზოგადოებრივ იდეალად“, მაგრამ მათ აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა (მათ შორის უნგრეთში) არ მიაჩნიათ მარქსიზმის განსახიერებად. მათი აზრით, არც მოდერნიზებულ სტალინიზმს (სახელმწიფო სოციალიზმს), არც კერძო კაპიტალისტურ საბაზრო მეურნეობას არ შეუძლია საზოგადოების ღირსეული განვითარება. გამოსავალია—თვითმართველობა, მშრომელი ხალხის თვითორგანიზაცია, საზოგადოების მშენებლობა ქვემოდან ზემოთამდე. ეკონომიკაში სამივე ფორმა—სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი—თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა არსებობდეს.

დღეისათვის „მემარცხენე ალტერნატივაში“ გაერთიანებულნი არიან ახალგაზრდა მეცნიერები და სტუდენტები.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის (უსმპ) 1988 წლის მაისში შემდგარ კონფერენციაზე მრავალპარტიული სისტემის შესახებ ლაპარაკი იყო როგორც ერთ-ერთ ალტერნატივაზე პარტიის მორიგი XIV ყრილობის შემდეგ. მაგრამ პოლიტიკური პროცესი ქვეყანაში მკვეთრად დაჩქარდა. მთავრობის მიერ წამოყენებული თავდაპირველი კანონპროექტი გაერთიანების შესახებ უარყოფილ იქნა სსფ-ის მიერ და გამოიწვია ფართო საზოგადოებრიობის მკაცრი კრიტიკა. ამის შემდეგ, 1989 წლის 11 იანვარს, მიიღეს გადამუშავებული კანონპროექტი, რომელმაც მოქალაქეებს უფლებები მიანიჭა გაერთიანებებსა და პოლიტიკური პარტიების შექმნაზე, მაგრამ პარტიის შექმნის პროცედურა დაწვრილებით რეგლამენტირებულია სპეციალური კანონით პარტიების შესახებ, რომელიც სახელმწიფო კრების წინაშე განსახილველად წარადგინეს 1989 წლის მეორე ნახევარში. 1989 წლის 9 იანვარს, ე. ი. ორი დღით ადრე კანონის მიღებამდე, საინიციატივო ჯგუფმა გამოაცხადა უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის განახლების შესახებ. საინიციატივო ჯგუფმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ფაქტობრივად სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ შეუწყვეტია არსებობა, ვინაიდან 1948 წელს „კომუნისტებთან გაერთიანდა მხოლოდ უკიდურესად მემარცხენე ფრთა“. „სოციალ-დემოკრატები აცხადებენ თავიანთ მზადყოფნას, მომავალში ითანამშრომლონ სხვა პარტიებთან პარლამენტალური დემოკრატიის საფუძველზე. წამოაყენეს მოთხოვნა პროფკავშირების ერთიანობისა და დამოუკიდებლობის შესახებ. სოციალ-დემოკრატები ჯერჯერობით თავის რიგებში რამოდენიმე ასე-

ულ წევრს აერთიანებენ. მეორე საინიციციატივო ჯგუფმა გამოაცხადა ტრადიციული სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის (სწმპ) აღორძინების საჭიროება. საყურადღებოა, რომ ამ პარტიამ 1945 წლის ნოემბრის არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების 57 პროცენტი. სწმპ-ის აღორძინების ინიციატორებმა განაცხადეს, რომ მათი პარტია ოფიციალურად არ აკრძალულა, ამიტომ იგი არ საჭიროებს რეგისტრირებას. ეს პარტია, მათი მონაცემებით, ოთხი ათას წევრს აერთიანებს, მაგრამ მისი ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ მოკლე ხანში ამ პარტიის რიგები 100 ათასამდე გაიზრდება. ამ პარტიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ისინი არ გამოდიან სოფლად ჩამოყალიბებული საწარმოო კოოპერატიული სისტემის წინააღმდეგ.

უნგრეთის ხელმძღვანელობის აზრით, ყველაზე დიდი პოლიტიკური მომავალი სხვა პარტიებთან შედარებით აქვს უნგრეთის დემოკრატიულ ფორუმს, რომელიც 1989 წლის დამდეგს თავის რიგებში 15 ათას წევრს, ძირითადად ინტელიგენციას, აერთიანებდა. რომელთაც თავიანთი განყოფილებები აქვთ ყველა ოლქსა და ქალაქში. ფორუმი, მათი ხელმძღვანელების თქმით, დგას „სახალხო-ეროვნულ პოზიციაზე“ და მზადაა მთელი რიგ საკითხების გადაწყვეტაში ითანამშრომლოს უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიასთან. ფორუმი მოითხოვს ახალი კონსტიტუციისა და პარტიის შესახებ ახალი კანონების ფორსირებულ მიღებას, პარლამენტის ვადამდე დათხოვნას და ეროვნული დამფუძნებელი კრების მოწვევას.

სტუდენტთა ორგანიზაცია „ახალგაზრდა დემოკრატების კავშირი“ — „ფიდესი“ აკრიტიკებს პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობას (სადაც დეპუტატების 70%-ზე მეტი უსმპ-ის წევრია) ცხოვრებიდან ჩამორჩენის გამო, „ფიდესი“ გამოდის თავისუფალი არჩევნების მომხრედ, რომელიც უნდა გადაიქცეს უფლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედად.

1989 წლის 10—11 თებერვალს გაიმართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის რიგგარეშე პლენუმი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა პარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი კაროი გროსი. მან აღნიშნა, რომ ქვეყანა განიცდის ახალ, უფრო დაძაბულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს, რომელიც უკვე დიდი ხანია გრძელდება. ეს კრიზისი,—აღნიშნა კ. გროსმა,—თავის გამოხატულებას. პირველ რიგში, პოულობს ცხოვრების დონის დაცემაში, სულ უფრო მეტი ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გაუარესებაში. საგანგებოდ დაჩქარდა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, ადგილი აქვს მრავალ ახალ, უჩვეულო მოვლენას. კ. გროსმა აღნიშნა, რომ შექმნილი რთული ვითარება იმითაცაა გამოწვეული, რომ მასობრივი

ინფორმაციის საშუალებებში მომუშავე ზოგიერთი მუშაკი გამოდის პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. უბედურება ის კი არაა, რომ ისინი შეგნებულად ბერავენ მოვლენებსა და ფაქტებს და ყველაფერში ბრალს სდებენ პარტიას, ან მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელებს ცალკეულ პირებს უკანონო ან ამორალური საქციელის გამო, ხშირად ისინი ცრუ ამბებსაც ავრცელებენ. პოლიტიკური კრიზისული მდგომარეობის გაღრმავების მიზეზად კ. გროსმა დაასახელა ოპოზიციური ძალების წამქეზებლური მოღვაწეობა. ოპოზიციური ორგანიზაციების ექსტრემისტული ფრთა ამწვავებს სიტუაციას, გამოდის თანამშრომლობის წინააღმდეგ, მათ გავლენაში მოხვედრილ ადამიანებს განაწყობს არსებული წყობილების წინააღმდეგ. მათ, უპირველეს ყოვლისა, სურთ - რამდენიმე ჯგუფად გათიშონ უსმპ-ია—„რეფორმისტულ ფრთად", „სტალინურ ფრთად" და დაასუსტონ ცენტრი. ამრიგად, ისინი ცდილობენ უსმპ-ის გავლენის შეზღუდვას, რათა ამ პარტიას ჩამოშორებულნი მათ შეუერთდნენ. კ. გორსმა აღნიშნა, რომ ჩვენ ილუზიები არ უნდა გვქონდეს, ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ექსტრემისტულ ნაწილს—როგორც მათი გამოსვლების მიხედვით გაკეთებული დასკვნებიდან ჩანს — სოციალიზმის განახლება კი არა, მისი ლიკვიდაცია სურს მშვიდობიანი საშუალებებით. კ. გროსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელი ვითარების გამწვავებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, უსმპ-ის ცკ-ის წევრის ი. პოჟგაის განცხადებამ უნგრეთის რადიოთი (1989 წ. 28 იანვარს), რომელშიც ახლებური შეფასება მიეცა 1956 წლის ამბებს. ამ განცხადებამ საგანგებოდ ძლიერი გამოძახილი და აღელვებული დისკუსიები გამოიწვია საზოგადოების ფართო ფენებში. კ. გროსმა აღნიშნა, რომ მარტო მან მოკლე ხანში 500 წერილი მიიღო, რომელთა დიდ ნაწილს მთელი კოლექტივები აწერენ ხელს. პროტესტის ნიშნად ასობით ადამიანმა პარტბილეთი ჩააბარა. წერილის ბევრი ავტორი და ორგანიზაცია გაემიჯნა განცხადების ფორმას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც თანახმა არიან 1956 წლის ამბების ძველ შეფასებაში. პლენუმის დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხად სწორედ 1956 წლის ამბების შეფასების განხილვა იყო. ამ საკითხის შესასწავლად სპეციალურად შექმნილია უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. ბერენდის ხელმძღვანელობით მომუშავე ქვეკომისია, რომელმაც პლენუმს მოახსენა თავისი მუშაობის შედეგები. ადრე უცნობი საარქივო დოკუმენტების შესწავლის შედეგად ამ კომისიამ საჭიროდ ცნო კორექტივები შეეტანა 1956 წ. ამბების შეფასებაში. აღინიშნა, რომ 1953—1956 წწ. უნგრე-

თის მშრომელთა პარტიის ცდები, განთავისუფლებულიყო რაკოშის დიქტატურისაგან, წარუმატებლად დამთავრდა. რაკოშ-გერეს გამარჯვებამ ის გამოიწვია, რომ ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. უკანონოდ რეპრესირებული ლ. რაიკის დასაფლავებამ 1956 წლის 6 ოქტომბერს დეტონატორის როლი შეასრულა რაკოშ-გერეს ბრბოს თვითნებობის გამო აღშფოთებულ ხალხთა მასებში. ბუდაპეშტისა და სხვა ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ ახალგაზრდები, ინტელიგენცია, მათ შეუერთდნენ მუშები. კომისიის დასკვნის მიხედვით, ამ ეტაპზე გამოსვლები ატარებდა ხალხთა აჯანყების ხასიათს ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგ და ითვალისწინებდა სოციალიზმის განახლებას დემოკრატიულ საფუძველზე. მაგრამ შემდეგ გერეჰეგედიუშის მთავრობის უმოქმედობისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების გამო მოვლენებმა სხვაგვარი ხასიათი მიიღო. მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ და შეტევაზე გადავიდნენ კონტრრევოლუციური ძალები, რომელნიც რევანშის წყურვილით იყვნენ შეპყრობილნი. თავიანთი მამულების დაბრუნებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ყოფილი მემამულეები. აგრეთვე დეკლასირებული და ლუმპე-ელემენტები. 1956 წლის ნოემბრის დამდეგისათვის კონტრრევოლუციურმა ძალებმა უპირატესობას მიაღწიეს.

უსმპ-ის ცკ-ის პლენუმმა მოისმინა რა ქვეკომისიის მუშაობა, ძირითადად დაეთანხმა მას. მაგრამ ხაზი გაუსვა იმას. რომ საჭიროა ამ საკითხის შემდგომი შესწავლა და მისი ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოტანა.

1989 წლის 12 თებერვალს უნგრეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, სახელმწიფო კრების სესიამ მიიღო კანონები მოქალაქეთა უფლებების შესახებ გაერთიანებებისა და ასოციაციების შექმნაზე და მიტინგებისა და კრებების ჩატარებაზე. ამ კანონების მიღებას წინ უძღოდა ფართო საზოგადოებრივი დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდა ათეულ ათასობით ადამიანი.

1989 წლის გაზაფხულზე უნგრეთში შეიქმნა 1956 წლის ტრაგიკული ამბების შემსწავლელი ახალი, უპარტიოთა კომისია და ამ ამბებს 1989 წლის ივნისში პირველად ეწოდა სახალხო აჯანყება, ამავე დროს გამოცხადდა იმრე ნადის რეაბილიტაცია. იგი გამართლებულად გამოაცხადეს დანაშაულის უქონლობის გამო. 1958 წლის ივნისში დახურულ პროცესზე ბუდაპეშტში უნგრეთის ტრიბუნალმა 62 წლის ი. ნადს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. თავის უკანასკნელ სიტყვაში მან რწმენა გამოთქვა, რომ უნგრელი ხალხი, საერთაშორისო მუშათა კლასი მას გაამართლებენ. „ი .ნადის ტრაგედია—ეს ჩემი პირადი ტრა-

გედიაცაა",—განაცხადა ცოტა ხნით ადრე თავის უკანასკნელ ინტერვიუში იანოშ კადარმა.

16 ივნისს ბუდაპეშტის ერთ-ერთ სასაფლაოზე შედგა ი. ნადისა და მისი მომხრეების—ი. სილადის, გ. ლოშანცის, შ. გიმეშის და პ. მალატერის ნეშტების ხელმეორედ დასაფლავების ცერემონიალი. ამავე დღეს მოეწყო მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი გრანდიოზული მიტინგი, რომელიც უსმპ-ამ ჩაიფიქრა როგორც ეროვნული შერიგების ლონისძიება, მაგრამ შინაგანი ოპოზიციისა და ემიგრაციის ზოგიერთმა წრეებმა იგი გადააქციეს პოლიტ-კურ დემონსტრაციად უნგრეთის მთავრობის, პარტიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1956 წლის ტრაგიკული ამბების შეფასებამ გამოიწვია აზრთა წინააღმდეგობა. უსმპ-ის პლენუმზე 1989 წლის თებერვალს ნათქვამია, რომ აჯანყების უკანასკნელ სტადიაში გაძლიერდა კონტრრევოლუციური გამოვლენა. მაგრამ უნგრეთის პრესას ძირითადად მიაჩნია, რომ 1956 წლის შემოდგომაზე უნგრეთში მოხდა ნამდვილი რევოლუცია, სალხის აჯანყება სტალინური და რაკოშისტული მმართველობის წინააღმდეგ, ხოლო ანტისოციალისტური, კონტრრევოლუციური ტენდენციები არ იყო განმსაზღვრელი. ი. ნადს უწოდებენ „უნგრული განახლების". „ნაციონალური კომუნიზმის" სულიერ მამას, დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული გზით განვითარების სიმბოლოს. საბჭოთა ჯარების უნგრეთში შეყვანის შეფასებისას წერენ, რომ საბჭოთა მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელები ვერ გაერკვნენ შექმნილ სიტუაციაში, ფიქრობდნენ მხოლოდ სოციალიზმის გადარჩენაზე; შეშფოთებული იყო რა თავისი უშიშროების უზრუნველყოფით კონტინენტზე და სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შენარჩუნებით აღმოსავლეთ ევროპაში, საბჭოთა მთავრობა აჩქარდა თავისი ჯარების შეყვანით, რითაც დაიმსახურა უნგრელი ხალხის სიძულვილი. მაგრამ არამართებული და არაისტორიული იქნება 1956 წლის ამბების შეფასება დღევანდელი მიდგომით, როდესაც საბჭოთა კავშირი გმობს ძალისმიერი მეთოდებით საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას.

ისტორიულმა გამოცდილებამ ახლა ცხადყო სოციალიზმის ერთიანი მოდელის წარმოდგენების დამღუპველობა და მიგვიყვანა მისი მრავალვარიანტული განვითარების დასკვნამდე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბუქარესტში 1989 წლის ივნისში შეკრებილმა ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა განაცხადეს: „არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა უკარნახოს მეორე ქვეყანას, თუ როგორ უნდა იცხოვროს და არ უნდა ჰქონდეს პრეტენზიები მოსამართლის ან არბიტრის როლზე".

ახლა პოლიტიკური რეფორმების შესახებ. ამ ბოლო დროს უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ ნებაყოფლობით თქვა უარი ხელისუფლების მონოპოლიაზე და დათანხმდა მრავალპარტიული სისტემის შემოღებას. ქვეყანაში აღმოცენდა 1945 წლის დროინდელი პარტიები: სოციალ-დემოკრატიული, სოფლის წვრილმეურნეთა პარტია, გლეხთა პარტია და სხვ. ოპოზიციური პარტიები და ორგანიზაციები ათამდეა. მაგრამ მათ ჯერ არა აქვთ მტკიცე პოზიციები საზოგადოებაში. თუმცა ზოგიერთი მათგანი ქადაგებს ბურჟუაზიული, პარლამენტარიზმის დაბრუნებას. დათანხმდა რა ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემის შემოღებაზე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია დღეისათვის მაინც ყველაზე უფრო დიდ, მრავალრიცხოვან და ორგანიზებულ პარტიას წარმოადგენს და დიალოგი აქვს ეამართული ოპოზიციურ პარტიებთან. 1988 წლის კონფერენციაზე პარტიის ლიდერი, გენერალური მდივანი გახდა კ. გროსი. ხოლო ადამდგარი. კადარისათვის შემოღეს პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა. 1 წლის შემდეგ ის ავადმყოფობის გამო გადადგა ამ თანამდებობიდან და მის ადგილზე აირჩიეს რ. ნეიერში. მოხდა სხვა ცვლილებებიც. პოლიტბიურო გაუქმდა. მის ნაცვლად ამიერიდან იმოქმედებს პოლიტიკური აღმასრულებელი ბიურო 21 კაცის შემადგენლობით. შეიქმნა პარტიის ახალი ორგანო—პრეზიდიუმი 4 კაცის შემადგენლობით. მასში შეიდნენ რ. ნეიერში, გენერალური მდივანი კ. გროსი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ნემეტი და სახელმწიფო მინისტრი ი. პოჟგაი, რომელიც პარტიამ რესპუბლიკის პრეზიდენტის კანდიდატად დაასახელა.

უნგრეთში ლიკვიდირებულია რაიკომები. პარტიის შიგნით მრავალი მიმდინარეობა შეიქმნა სხვადასხვა პლატფორმით. პლენუმმა გადაწყვიტა 7 ოქტომბრისათვის XIV ყრილობის მოწვევა. 1989 წელს ჩატარებულმა სოციალურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ პარტიის ვავლენა ხალხის თვალში დაეცა. 1987 წ. ის თავის რიგებში აერიანებდა 880 ათას წევრს. 1989 წ. გაზაფხულზე—780 ათასს, ივლისში კი—750 ათასს. 1986 წლამდე პარტიაში ყოველწლიურად შედიოდა 30—35 ათასი კაცი, 1988 წელს 13 ათასი შეიდა, დინამიკა დაცემისაკენ იხრება. თუ უსმპ-ის შანსებზე ვიტყვით—მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებს თუ არა პარტია ისეთი პროგრამის შემუშავებას. რომელიც ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

1989 წლის ოქტომბერში შედგა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIV ყრილობა. ყრილობაზე მოხდა განხეთქილება.

შეიქმნა ახალი პარტია—უნგრეთის სოციალისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელი გახდა მ. ნემეტი, ხოლო უსმპ-ის ლიდერად კვლავ დარჩა კ. გროსი. ამ პარტიის გავლენა კატასტროფულად ეცემა, ხოლო მის ლიდერს წინა საარჩევნო კამპანიაში ამომრჩევლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლაპარაკიც არ აცალეს და ფიზიკურადაც კი შეეხნენ.

უნგრეთის თანამედროვე ეკონომიკის მდგომარეობის შეფასებისას სპეციალისტები თვლიან, რომ დღესდღეობით წარმატებები უდავოა: გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობა, შრომის ეფექტიანობა. ბაღაზიებში საკმარისია კვებისა და მრეწველობის პროდუქტები, მაგრამ ეკონომიკამ, წარმოების მოძველებული სტრუქტურის გამო, ამოწურა თავისი შესაძლებლობა. უნგრული საქონელი ბევრად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტების დონეს და დასავლეთის ბაზრებზე კონკურენციას ვერ უწევს სხვა ქვეყნებს. ეს კი არა და სოფლის მეურნეობის პროდუქციამაც ვერ გაუძლო ისეთ ქვეყნებთან კონკურენციას, როგორიცაა: პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი და თურქეთი. უნგრული საქონელი ხშირად წაგებით იყიდება. რაც ძირს უთხრის სახალხო მეურნეობას.

1989 წლისათვის უნგრეთის ვალი 12 მლრდ დოლარს შეადგენდა. ეს თანხა ორჯერ აღემატება წლიურ ექსპორტს. 1988 წელს პროცენტებმა აღებულ კრედიტებზე შეადგინა 3 მლრდ დოლარი. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ეროვნული შემოსავალი ვერ ფარავს მოხმარებას. იზრდება დავალიანების მოცულობა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ამასთანავე, იზრდება საზოგადოებრივი მოხმარება, რაც იწვევს ინფლაციის ზრდას. უნგრელი ეკონომისტების აზრით, ახლა უნგრეთში ტექნიკური დაქვეითების პირობებში კონკურენციისუუნარო საქონლის ჭარბი წარმოების კრიზისია დასავლეთთან შედარებით. ამიტომ უნგრეთს დასავლეთიდან კრედიტები კი არ ესაჭიროება. არამედ დახმარება უფრო ეფექტიანი ეკონომიკის შექმნისათვის. ქვეყანაში საწარმოთა 10 პროცენტამდე არარენტაბელურია (სულ 7 ათასი მსხვილი და საშუალო სამეურნეო ერთეული და 3 ათასი სამრეწველო კოოპერატივია). სამი წლის წინათ მიღებული კანონით გაკოტრების შესახებ შემუშავებულია პრინციპები არარენტაბელური საწარმოების ლიკვიდაციისათვის. გადაწყდა, რომ 1992 წლისათვის დოტაციები 60—70 პროცენტით შეამცირონ. 1988 წელს მრავალმა არარენტაბელურმა საწარმომ შეწყვიტა თავისი საქმიანობა. სახელმწიფო დოტაციები შეუწყდათ სასურსათო საქონელს, ნედლეულს, სათბობს, (მპორტულ საქონელს. ამას მოჰყვა ფასების

ზრდა, რის შედეგადაც მოსახლეობის რეალური შემოსავალი დაეცა, გაიზარდა სოციალური დაძაბულობა.

უნგრეთში თავბრუდამხვევი სიჩქარით იცვლება ქვეყნის სახე. უკანასკნელ წლებში გაიხსნა აქციების ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ბირჟა. კერძო საწარმოებმა 500-მდე მუშის დაქირავებისა და საწარმოების მთელი აქციების (100%-ით) დასავლეთის კაპიტალებისათვის მიყიდვის უფლება მიიღეს. უნგრეთი სოციალისტურ ქვეყნებს შორის პირველი იყო, რომელმაც დაამყარა კონტაქტი „საერთო ბაზართან" და ხელი მოაწერა ბრიუსელში შეთანხმებას ვაჭრობაში და სხვა ეკონომიკურ დარგებში თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ უნგრეთის ეკონომიკა ეკონომიკურ-ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო ვერ პასუხობს „საერთო ბაზრის" მოთხოვნებს. ძათ დონემდე მიღწევა დაგეგმილია 20 წლის განმავლობაში, თუ კონკურენტები ერთ დონეზე გაჩერდებიან.

1990 წლის 25 მარტს უნგრეთში გამართულ პარლამენტის არჩევნებში ორმა პარტიამ—უნგრეთის დემოკრატიულმა ფორუმმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 25 პროცენტი, თავისუფალი დემოკრატების კავშირმა—20 პროცენტი. მესამე ადგილი დაიკავა დამოუკიდებელმა წვრილ მეურნეთა პარტიამ—12,94 პროცენტი. უნგრეთის სოციალისტურმა პარტიამ მიიღო ხმების 10,39 პროცენტი. კომუნისტებმა მხოლოდ—3,67 პროცენტი.

ზოგიერთ საარჩევნო უბანში, სადაც 5—8 კანდიდატი წამოაყენეს, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საჭირო რაოდენობის ხმები და 8 აპრილს განმეორებითი არჩევნები ჩატარდა.

არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ სოციალ-დემოკრატიულმა და სოციალისტურმა პარტიებმა. მათ შორის ვერც ახლად აღდგენილმა „ისტორიულ", სოციალ-დემოკრატიულმა და ვერც კომუნისტურმა პარტიებმა ვერ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების იმდენი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა მათი წარმატებისათვის. პირიქით არჩევნებმა ცხადყო, რომ ამ პარტიებმა დაკარგეს გავლენა მასებზე. მაგალითად. უნგრეთის სოციალისტებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს (8,5 პროცენტი ამომრჩეველთა ხმებისა), ხოლო უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ (ე. ი. ყოფილმა კომუნისტებმა), რომელიც 1956 წლიდან იდგა ხელისუფლების სათავეში და „ისტორიულმა" უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (უსდპ) ვერ გადალახეს 5—პროცენტიანი ბარიერი და ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს პარლამენტში. ამავე წელს ჩატარებულ პრეზიდენტის არჩევნებში წარმატებას მიაღწია უპარტიომ. 1956 წელს რეპრესირებულმა, არპად გენცმა.

ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციის შემდეგ სახალხო უნგრეთის მთავარი ამოცანა იყო თავი დაეღწია საგარეო პოლიტიკური იზოლაციისაგან. ჯერ კიდევ პოტსდამის კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა აშშ-ის და ინგლისის მთავრობებს, რათა დამყარებულიყო დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან. მაგრამ ინგლის-ამერიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ გერმანიის ყოფილ მოკავშირეთა ქვეყნებში და მათ შორის უნგრეთშიც არ არსებობს ავტორიტეტული მთავრობები და მათ არა აქვთ ინფორმაციები ამ ქვეყნების შესახებ, უარი თქვეს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე. ინგლის-ამერიკის მთავრობები უნგრეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საფასურად ცდილობდნენ ამ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას, რათა არ დაეშვათ სახელმწიფოს გამგებლობის სათავეში კომუნისტების მოქცევა და მისი სოციალისტური გზით განვითარება. ისინი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს უნგრეთში მიმდინარე ცვლილებებს და არაერთხელ შეეცადნენ ზეგავლენა მოეხდინათ მასზე.

საგარეო-პოლიტიკური იზოლაციიდან თავის დაღწევაში უნგრეთს დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა.

1945 წლის 25 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ინიციატივით აღსდგა დიპლომატიური ურთიერთობა უნგრეთთან.

1945 წლის ნოემბრის არჩევნებში სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიისა და ბურჟუაზიული ძალების წარმომადგენლებმა დასავლეთის სახელმწიფოებს იმედი მისცეს, რომ უნგრეთში ბურჟუაზიულ წყობილებას შეინარჩუნებდნენ, ამიტომ აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა მასთან. ამის შემდეგ ისინი ყოველმხრივ აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ უნგრეთის ბურჟუაზიულ-მემამულეურ ძალებს. ინგლის-ამერიკას სურდა, რათა უნგრეთი საშინაო პოლიტიკაში დამყარებოდა კაპიტალიზმს, ხოლო საგარეო პოლიტიკაში აეღო დასავლეთის ორიენტაცია. დასავლეთის სახელმწიფოები, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ცდილობდნენ უნგრეთისათვის კაბალური სანაცვლო პირობები მოეხვიათ თავს. მაგრამ საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერის შედეგად ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. 1947 წლის 10 თებერვალს დადებული პარიზის ზავით უნგრეთის სახელმწიფო საზღვრები დაწესდა 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ფარგლებში უნგრეთს უნდა გადაეხადა დაზავებით გათვალისწინებული რეპარაციები.

1948 წელს უნგრეთმა დადო ხელშეკრულება მეგობრობისა, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, 1949 წელს კი ჩეხოსლოვაკიასთან და აგრეთვე მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანიზაციაში. უნგრეთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. უნგრეთი სოლიდარობას უცხადებდა კორეელ და ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და თავისი წვლილი შეჰქონდა მათ წარმატებებში. უნგრეთმა სხვა ქვეყნებთან ერთად ხელი მოაწერა 1955 წელს ვარშავის ხელშეკრულებას. 1950—1955 წლებში უნგრეთმა მნიშვნელოვნად განავითარა ურთიერთობა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1955 წელს უნგრეთი მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. უნგრეთი თავის საგარეო პოლიტიკაში სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად უპირველეს ყოვლისა, იბრძოდა დასავლეთის სახელმწიფოების და სსრკ-ს მიერ გაჩაღებულ „ცივი ომის“ პოლიტიკის წინააღმდეგ.

მრავალ საერთაშორისო კონგრესზე, თათბირებსა და ფორუმებზე უნგრეთი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად გამოდიოდა მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრედ, მხარს უჭერდა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. განსაკუთრებული ყურადღება ეჭცეოდა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის კანმტკიცებას. უნგრეთი მონაწილეობას ღებულობდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ყველა სხდომაზე, რომელიც ეხებოდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხების განხილვას. ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის, ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების, შეიარაღების შემცირებას და სხვ.

უნგრეთის მთავრობა ფართო ღონისძიებებს ღებულობდა, არაბეთისა და სხვა განვითარებად ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი პრინციპების საფუძველზე გააფართოვოს თავისი ურთიერთობა. იგი ავითარებს ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკის, მეცნიერების და ტექნიკის დარგში. ცდილობს მის გამოყენებას მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებისა და დაძაბულობის შენელებისათვის) საერთაშორისო არენაზე და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის. ამ მხრივ უნგრეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ავსტრიასთან, ფინეთთან, ნორვეგიასთან. გფრ-თან.

უნგრეთს ფართო საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. 1974 წლის დამლევისათვის უნგრეთს დი-

პლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 105 სახელმწიფოსთან.

ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად მკვეთრად გაიზარდა საგარეო ვაჭრობა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უნგრეთის მოთხოვნების ორი მესამედი ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებზე იფარება იმპორტის ხარჯზე. 1967 წელს უნგრეთსა, სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დაიდო ხელშეკრულება ნავთსადენ „მეგობრობის" უფრო ეფექტიანად გამოყენების შესახებ, საბჭოთა კავშირიდან უნგრეთში ნავთის მიწოდების გაზრდის მიზნით. ამ შეთანხმების განხორციელების შედეგად უნგრეთის ტრანსპორტის ხარჯები ნავთის გადაზიდვაში რკინიგზის ხარჯებთან შედარებით ყოველწლიურად შემცირდა 30 მლნ ფორინტით. უნგრეთსა და პოლონეთს შორის, პოლონეთის ტერიტორიაზე უნგრეთის ტექნოლოგიით ქვანახშირის მოპოვების გაზრდისათვის შეიქმნა ერთობლივი სააქციონერო საზოგადოება „ჰალდექსი".

1967 წელს უნგრეთ-საბჭოთა კავშირს შორის 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით დაიდო ახალი ხელშეკრულება 20 წლის ვადით. ასეთივე ხელშეკრულებები დადო უნგრეთმა გდრ-ან (1967 წ.), პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან (1968 წ.) და ბულგარეთთან (1969 წ.). უნგრეთს საგარეო ვაჭრობა აქვს 100-ზე მეტ ქვეყანასთან, მაგრამ საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი 65% (1970 წ.) მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე, აქედან საბჭოთა კავშირზე 35%.

1970 წელს საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება 1971 — 1975 წლებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა საქონლის ბრუნვის გაზრდას 1,6-ჯერ, მან 5 წლის განმავლობაში შეადგინა 9,3 მლრდ მანეთი. 1973 წელს საქონლის ბრუნვის მოცულობამ პირველად გადააჭარბა 2 მლრდ მანეთს.

1973 წელს ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო ახალი შეთანახმებები წარმოების სპეციალიზაციის შესახებ: ქიმიის, ნავთობქიმიის, ქიმიურ, მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგებში.

პუდაპეშტის სამხრეთ ნაწილში დაგეგმილი იყო ახალი დიდი ხიდის აგება, რომელსაც სამი ხაზი ექნება მოძრაობისა ორივე მიმართულებით. ამ ხიდის მშენებლობა საბჭოთა კავშირის დახმარებით განხორციელდა.

უნგრეთის საწარმოები მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მსუბუქი და ქიმიური მრეწველობის, საფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის რეკონსტრუქციაში. უნგრეთი მონაწილეობს საბჭოთა

სასურსათო პროგრამისა და კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში 1986—2000 წლებში.

საბჭოთა კავშირში უნგრეთმა შეიძინა 160 ათასი მსუბუქი და 10 ათასზე მეტი სატვირთო მანქანა, აგრეთვე. ტრაქტორები, მინერალური სასუქები. საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით გაფართოვდება პაკშის ატომური ელექტროსადგურის სიმძლავრე.

ამ ორ ქვეყანასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან უნგრეთს ხელმოწერილი აქვს 300-ზე მეტი შეთანხმება წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შესახებ და, აგრეთვე. სხვა მრავალი შეთანხმება წარმოების გაზრდისა და ურთიერთმიწოდების გაფართოების შესახებ ისეთი ნაწარმისა, როგორიცაა მიკროელექტროტექნიკა, ტექნოლოგიური ხელსაწყოები, რობოტები და ძანიპულატორები.

ყოველწლიურად ფართოვდება უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობა. 1986 წლის ივნისში შესრულდა 30 წელი საბჭოთა კავშირ-უნგრეთს შორის დადებული შეთანხმებისა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათასმა უნგრელმა სპეციალისტმა მიიღო განათლება საბჭოთა კავშირში. მარტო 1986 წლისათვის საბჭოთა კავშირში მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 800 უნგრელი სტუდენტი. ასევე მრავალი ჩვენი ახალგაზრდა იღებდა უმაღლეს განათლებას უნგრეთში. განსაკუთრებით. სოფლის მეურნეობის დარგსა და ტექნიკურ მეცნიერებაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერთა ძალების კოოპერაციას. ერთობლივად მიმდინარეობს 200-ზე მეტი თემის შესწავლა. რომელიც ისეთ მნიშვნელოვან დარგებთანაა დაკავშირებული. როგორიცაა მიკროელექტროტექნიკა. ბიოტექნიკა, ავტომატიზაცია, კოსმოსის კვლევა და, აგრეთვე, საზოგადოებრივი მეცნიერების დარგი.

უნგრეთი აფართოვებდა ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობას და კონტაქტებს მაღალ დონეზე ყოფილ სოციალისტურ და ანვითარებად ქვეყნებთან, რომლებთანაც 1976—1988 წწ. განმავლობაში ხელმოწერილია მრავალრიცხოვანი შეთანხმება: ვაჭრობის გაფართოების. ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ და ა. შ.

უნგრეთი ძალზე აქტიურად იღვწოდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ვაფართოებისათვის. ამ მიზნით ეწყობოდა უმაღლეს დონეზე შეხვედრები როგორც უნგრეთის ხელმძღვანელებისა დასავლეთის განვითარებულ

ქვეყნებთან ვიზიტის გზით, ასევე ამ ქვეყნების ხელმძღვანელების საპასუხო ვიზიტების მეშვეობით.

1987 წლის ბოლოსათვის უნგრეთს 139 ქვეყანასთან ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა.

1988 წელს უნგრეთის საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა ძალზედ აქტიურობით, კერძოდ, კაროი გროსი და მ. ნემეტი იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირში. რომლის დროსაც ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კონცეფცია 15—20 წლის განმავლობაში და 1991—1995 წლების სახელმწიფო გეგმების კოორდინაციის შესახებ. 1989 წ. თებერვალში საბჭოთა დელეგაციის უნგრეთში ყოფნის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. ვ. ტალიზინის მეთაურობით მიღწეულია შეთანხმება, რომ გააგრძელონ ორ სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობა.

1988 წელს უნგრეთის ხელმძღვანელები ვიზიტით იყვნენ აშშ-ში, კანადაში, ინგლისში, საფრანგეთსა და ესპანეთში. უნგრეთმა ხელი მოაწერა სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებას ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან, ანუ „საერთო ბაზართან“.

1989 წლის 31 იანვარს უნგრეთმა და სამხრეთ კორეამ დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. ამრიგად, უნგრეთი პირველი სოციალისტური ქვეყანა იყო, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა სამხრეთ კორეასთან. ამის საპასუხოდ კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პროტესტის ნიშნად ნოტა წაუყენა უნგრეთს, რომელშიც ნათქვამია, რომ მან გადაწყვიტა შეასუსტოს უნგრეთთან ურთიერთობა ელჩის რანგიდან რწმუნებულამდე. გაიწვია თავისი ელჩი ბუდაპეშტიდან და უნგრეთსაც მოსთხოვა იგივე ვაეკეთებინა. უნგრეთის მთავრობამ საპასუხო განცხადებაში აღნიშნა, რომ სამხრეთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება არაა მიმართული ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ და უნგრეთი ყოველთვის მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს ორივე კორეის მშვიდობიანი გზით გაერთიანებას.

საბჭოთა კავშირს და უნგრეთს შორის სქონელბრუნვაში სსრკ-დან უნგრეთში საქონლის მიწოდების 70 პროცენტს შეადგენს საბჭო-ნედლეულის საქონელი, რომლისათვისაც დამახასიათებელია ფასების ცვალებადობა. თუ, მაგალითად, 70-იან წლებში და 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა ნავთობზე და ნედლეულზე ფასები მაღალი იყო, საბჭოთა კავშირს უნგრეთთან ვაჭრობაში ჰქონდა აქტი-

ური სალდო და დისბალანსის აღმოფხვრა ხდებოდა საბჭოთა მხარის მიერ უნგრეთის ტრადიციული საქონლის შესყიდვით.

80-იანი წლების ნახევრიდან სიტუაცია ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაში ძირეულად შეიცვალა. ფასები სათბობზე და ნედლეულზე მკვეთრად დაეცა, რის გამოც უკვე 1987 წლიდან საბჭოთა ექსპორტის ღირებულება უნგრეთში შემცირდა. ამიტომ საბჭოთა მხარემ ამ ბოლო დროს მიიღო ზომები. რათა გაიზარდოს უნგრეთში საბჭოთა ექსპორტი მანქანებისა და მოწყობილობების ხარჯზე. კერძოდ, გაიზარდა უნგრეთში საბჭოთა მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების მიწოდება, მაგრამ საბჭოთა მხარე მთლიანად ვერ აკმაყოფილებს უნგრეთის მოთხოვნებს საჭირო რაოდენობის თანამედროვე მსუბუქი და სატვირთო მანქანებისა და ტრაქტორების მიწოდებაზე. 1989—1990 წწ. გათვალისწინებულია საბჭოთა მანქანათმშენებლობის ინდუსტრიის ნაწარმის მიწოდების გაზრდა უნგრეთში 17%-ით. გაიზრდება, აგრეთვე, საბჭოთა მაცივრების, ტელევიზორების, სარეცხი მანქანების მიწოდება.

1986 წ. ნოემბერში უნგრეთსა და სსრ კავშირს შორის ხელმოწერილია შეთანხმება ორივე ქვეყნის ერთობლივი სამეურნეო ორგანიზაციების შექმნისა და მუშაობის პრინციპების, გაერთიანებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარების შესახებ.

1988 წლის ბოლოსათვის 150-ზე მეტი შეთანხმება იყო დადებული ასეთი კავშირის შესახებ. გარდა ამისა, შექმნილია 12 ერთობლივი საწარმო. მათ შორის სამედიცინო და ელექტრომოწყობილობებისა. ფეხსაცმლებისა და სხვა დარგში.

საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის საქონელბრუნვა წელიწადში შეადგენს 10 მლრდ მანეთს. საბჭოთა კავშირზე მოდის უნგრეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მესამედი. საბჭოთა კავშირში იგზავნება უნგრეთის მანქანათმშენებლობის თითქმის ნახევარი და სოფლის მეურნეობის ექსპორტის 40 პროცენტი.

1988 წ. შეიქმნა ერთობლივი უნგრეთ-სსრ კავშირის პირველი საეაჭრო სახლი „აზიმუტი", რომლის მთავარი ამოცანაა პარტნიორობის ფორმების გზა გახსნან და ერთობლივი შეხების წერტილები ეძიონ. „აზიმუტი" დააარსეს სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგებისა და მისმა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებამ და უნგრეთის საკრედიტო ბანკმა. „აზიმუტი" არსებული ფინანსური სახსრებისა და უნგრეთის საკრედიტო ბანკის მეშვეობით განახორციელებს საბჭოთა კავშირში ცალკეული საწარმოების დაფინანსებას. კრედიტების და-

ფარვა მოხდება მზა პროდუქციის მიწოდებით უნგრეთში ან მესამე ქვეყანაში. გათვალისწინებულია ერთობლივი საწარმოების შექმნა, ოცამდე უკვე შექმნილია. ინერგება, აგრეთვე, თანამშრომლობის პროგრესული ფორმები, რომელნიც დაფუძნებულია სამეურნეო ანგარიშზე. უნგრეთის დიპლომატიური აქტივობა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, უნგრეთის საგარეო პოლიტიკა ხდება სრულიად დამოუკიდებელი.

თ ა ვ ი X

ჩეხეთ-სლოვაკეთის რესპუბლიკა[1]

§ 30. საერთო დემოკრატიული რევოლუციის დაწყების ეტაპი

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლა თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის

ჰიტლერულ გერმანიასთან ინგლის-საფრანგეთის მიუნხენის სამარცხვინო გარიგების შედეგად მესამე რაიხის შემადგენლობაში შევიდა სუდეტის ოლქი — სტრატეგიულად და მრეწველობის მხრივ უმნიშვნელოვანესი, ოდითგანვე ჩეხეთის მიწების კუთვნილი სასაზღვრო რაიონები. დასავლეთის სახელმწიფოების დათმობებით გათავხედებული ჰიტლერული გერმანია ამითაც არ დაკმაყოფილდა და 1939 წლის მარტში მთელი ჩეხოსლოვაკია მიიტაცა. ჩეხეთი, მორავია და სილეზია ჰიტლერმა გამოაცხადა „ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატად". იმიერკარპატის უკრაინა და სლოვაკიის დიდი ნაწილი გადაეცა ჰორტისტულ უნგრეთს, ხოლო სლოვაკიის დანარჩენ ტერიტორიაზე შეიქმნა მარიონეტული სლოვაკიის სახელმწიფო, რომლის სათავეში ჰიტლერმა ჩააყენა თავისი აგენტი, სლოვაკელი ფაშისტი ტისო. ამ ტრაგიკულ დღეებში ჰიტლერულ გერმანიას დასავლეთის ქვეყნებმა და საბჭოთა კავშირმა განუცხადეს კატეგორიულად, რომ ისინი არასოდეს არ ცნობენ ჩეხოსლოვაკიის მიტაცებასა და დანაწილებას. სლოვაკიაში ჰიტლერელებმა თავისი დამქაშების მეშვეობით მოახდინეს მასობრივი გაწვევა. იმ მიზნით, რომ ისინი საზარბაზნე ხორცად გამოეყენებინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ

[1] ტერიტორია—127.9 ათასი კმ², მოსახლეობა—15,600 ათასი (1986 წ.). დედაქალაქი—პრაღა (1.2 მილიონი მცხოვრები). ჩეხოსლოვაკიის საზღვრები 84% მოდის სსრკ-ზე, პოლონეთზე, უნგრეთსა და გფრ-ზე, 16%—ნეიტრალურ ავსტრიაზე.

სლოვაკელი ჯარისკაცები საბჭოთა ჯარებს მასობრივად ბარდებოდნენ ტყეებიდ, ან ტყეში გაბოდნენ პარტ ზანეიად.

ჰიტლერელებმა ჩეხეთში სისხლიანი ტერორი გააჩაღეს, მაგრამ ხალხს ქედი არ მოუხრია მტრის წინაშე და მაშინვე აქტიურად ჩაება ბრძოლაში ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე და ღრმა ...ატაკქვეშ შეჰქმნა ებრძოლი ორგანიზაციები. 1939 წელს ჩეხოსლოვაკიის კომპარტია გაიყო ჩეხეთისა და სლოვაკიის კომპარტიებად. პარტიზანული რაზმები ჩამოყალიბდნენ ჩეხოსლოვაკიის თითქმის ყველა კუთხეში— სლოვაკიაში, ჩეხეთის სამხრეთში, მორავიაში, სილეზიაში, ტაბორის რაიონში და ჩაებნენ ბრძოლაში ოკუპანტების წინააღმდეგ. ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის ივლისში ლონდონში მყოფ ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტულ მთავრობასთან დადო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ერთიანი წარმოების შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა საბჭოთა ტერტორიაზე ჩეხოსლოვაკიის ეროვნული არმიის ჩამოყალიბებას. მალე ამის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილები, რომლებიც 1943 წლის დასაწყისიდან თვით ომის დამთავრებამდე საბჭოთა ჯარებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ. ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები. შეიქმნა იატაკქვეშა ორგანიზაციები. ამის საპასუხოდ 1941 წელს ჰიტლერელებმა საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლა გაძლიერდა. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ დაიწყო ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლის ახალი ეტაპი.

1943 წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტულ მთავრობასა და საბჭოთა მთავრობას შორის 20 წლის ვადით დაიდო შეთანხმება მეგობრობისა და ომის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან მიახლოებასთან პარტიზანული მოძრაობა ფაშიზმის წინააღმდეგ მასობრივ ხასიათს იღებს. პარტიზანული მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერდება სლოვაკიაში, სადაც შეიქმნა სლოვაკიის ეროვნული საბჭო. მან მიზნად დაისახა საყოველთაო სახალხო აჯანყების მოწყობა ტისოს მთავრობის დამხობისა და ფაშისტების განდევნის მიზნით. ამას ჰიტლერმა 1944 წლის 29 აგვისტოს უპასუხა თავისი ჯარების შეყვანით სლოვაკიაში. იმავე დღეს სლოვაკიის ეროვნული საბჭოს მოწოდებით, რომელშიც ქვეყნის დემოკრატიული და პატრიოტული ძალები იყვნენ გაერთიანებული, სლოვაკიაში დაიწყო სახალხო აჯანყება. აჯანყებულებს ამ

დროს ჰყავდათ პარტიზანთა 42 ბრიგადა 80 ათასი მეომრით. აჯანყების ცენტრი გახდა ქალაქი ბანსკაბისტრიცა. აჯანყებულებმა გაანთავისუფლეს სლოვაკიის ტერიტორიის დიდი ნაწილი და განთავისუფლებულ ტერიტორიაზე შექმნეს ეროვნული კომიტეტები, რომლებიც ძალაუფლებას ადგილებზე თავის ხელში იღებდნენ. ჰიტლერელებმა აჯანყებულების წინააღმდეგ დასძრეს „ესესელთა" 8 დივიზია. სს-ლებმა მხოლოდ 28 ოქტომბრისათვის მოახერხეს აჯანყებულთა ცენტრის ხელთ ჩაგდება, მაგრამ სამაგიეროდ 50 ათასი კაცი დაკარგეს და ამასთანავე ვერც პარტიზანთა ძალების განადგურება შეძლეს. აჯანყებულებმა ორგანიზებულად დაიხიეს უკან, თავი შეაფარეს მთებს და კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას. საბჭოთა სარდლობამ, იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწია აჯანყებულთათვის, დააჩქარა შეტევები დუკელის უღელტეხილზე და ოქტომბერში საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიის არმიასთან ერთად ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ამავე დროს აჯანყებულთა დასახმარებლად საბჭოთა თვითმფრინავებმა სლოვაკიის ტერიტორიაზე გადაიყვანეს ჩეხოსლოვაკიის მთელი ბრიგადა.

ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარების მირ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის განთავისუფლების მსვლელობაში, ძალაუფლებას ხელში იღებდნენ ეროვნული კომიტეტები, რომლებიც ქვეყნის თანდათანობით განთავისუფლებისას წინააღმდეგობის გამწევ ხელმძღვანელ ორგანოებიდან გადაიქცნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებად. ამ კომიტეტებში, მოსკოვის მხარდაჭერით ხელმძღვანელობა კომპარტიის ხელში იყო. კომიტეტების ინიციატივით შეიქმნა სარაონო და სამაზრო კომიტეტები. ეროვნულმა კომიტეტებმა დიდი როლი შეასრულეს ადგილობრივი სახალხო-დემოკრატიული აპარატის შექმნაში. ისინი ნიშნავდნენ თავის რწმუნებულებს ქარხნებსა და ფაბრიკებში, კონტროლს აწესებდნენ ყველა დაწესებულებაზე.

საბჭოთა სარდლობის მითითებით შეიქმნა ეროვნული ფრონტი, რომელშიც მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას წამყვანი ადგილი ეკავა. ეროვნულ ფრონტში გაერთიანდნენ: ჩეხეთის კომპარტია, სლოვაკიის კომპარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია და აგრეთვე მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები — რევოლუციური პროფკავშირები, ახალგაზრდათა, გლეხთა და კოოპერაციული ორგანიზაციები. 1945 წლის აპრილში, როდესაც ქვეყნის განთავისუფლება თითქმის დამთავრებული იყო, ეროვნულ ფრონტში შევიდნენ ბურჟუაზიული პარტიები — ეროვნულ-სოციალისტური, კათოლიკური ანუ „სახალხო" პარტია და სლოვაკიის დემოკრატიული პარტია. ბურჟუაზიული პარ-

ტიის ლიდერები ბენეშის მეთაურობით, იმის შიშით, რომ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე კომუნისტების ხელში აღმოჩნდებოდა მთელი ძალაუფლება, იძულებულნი გახდნენ ჩასულიყვნენ მოსკოვში და ახალი მთავრობის შექმნის საკითხზე მოლაპარაკება გაემართათ კომპარტიის წარმომადგენლებთან კ. გოტვალდთან (რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა). 1945 წლის 4 აპრილს ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტული მთავრობის ძველი კაბინეტი გადადგა. შეიქმნა ეროვნული ფრონტის მთავრობა მემარცხენე სოციალ-დემოკრატ ზ. ფირლინგერის მეთაურობით.

ეროვნული ფრონტის პირველ მთავრობაში შევიდნენ: ჩეხეთის კომპარტიის, სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-სოციალისტური და კათოლიკური პარტიების სამ-სამი წარმომადგენელი. სლოვაკიის ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო 9 ადგილი, აქედან 5 სლოვაკიის კომპარტიამ მიიღო. პრემიერ-მინისტრის მოადგილის ორი ადგილი მიეცათ ჩეხეთისა და სლოვაკიის კომპარტიებს. ვინაიდან პრაღა ფაშისტებისაგან ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული, ახალი მთავრობის რეზიდენცია გახდა ქ. კოშიცი, სადაც 5 აპრილს გამოქვეყნდა მთავრობის პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებდა ფართო სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების გატარებას როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე ეკონომიკის დარგში. პროგრამით გათვალისწინებული იყო ყველა სამხედრო დამნაშავის დასჯა, ფაშისტური და ანტისახალხო პარტიების და ორგანიზაციების აკრძალვა, ადგილობრივი ხელისუფლების ეროვნული კომიტეტებისათვის გადაცემა, ქალების თანასწორუფლებიანობა, არჩევნების უფლების მინიჭება ყველა 18 წლის მოქალაქეთათვის, დემოკრატიული არმიის შექმნა და ა. შ. ეკონომიკურ დარგში პროგრამა ითვალისწინებდა გერმანელი და უნგრელი კაპიტალისტების, მემამულეებისა და სამშობლოს გამყიდველების ქონების კონფისკაციას, აგრარული რეფორმის გატარებას, ბანკების, შახტების და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციას. კოშიცის პროგრამა აცხადებდა, რომ ჩეხოსლოვაკია იქნებოდა ორი თანასწორუფლებიანი ხალხის ჩეხებისა და სლოვაკების სლავური სახელმწიფო.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია განსაკუთრებით კი პრაღა. გერმანიის სარდლობას გადაქცეული ჰქონდათ წინააღმდეგობის გამწევ ძლიერ დასაყრდენ სიმაგრედ. ბერლინის დაცემის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მყოფ ჰიტლერულ სარდლობასა და ამერიკის სარდლობას შორის გაიმართა საიდუმლო მოლაპარაკება, რომლის მთავარი მიზანი იყო, არ შეეშვათ საბჭოთა ჯარები პრაღაში, ხოლო ჩეხოსლოვაკიის დასავლეთის რაიონები კი აშშ-ის ჯარებს ჩაეგდოთ

ხელთ. ამ ამოცანის განხორციელებისათვის გერმანიის სარდლობა ფიქრობდა საბჭოთა ჯარების შეტევების შეჩერებას პრაღისთან, რათა უზრუნველეყოთ თავისი ჯარების უკან დახევა დასავლეთისაკენ. ამ მიზნით ჩეხოსლოვაკიის ჩრდილოეთიდან პრაღისაკენ უკან იხევდა გერმანელთა 1 მილიონიანი არმია ფელდმარშალ შერნერის მეთაურობით. კომპარტიის ხელმძღვანელობით შექმნილმა ეროვნულმა კომიტეტმა 5 მაისს მოაწყო პრაღის მშრომელების აჯანყება. აჯანყებულებმა ხელთ ჩაიგდეს ქალაქის რამდენიმე რაიონი. ქუჩებსა და ქალაქის სანაპიროებში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა აჯანყებულებსა და ფაშისტთა ჭარბ ძალებს შორის, რის გამოც აჯანყებულთა მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. უკრაინის პირველმა სატანკო შენაერთებმა, რომლებიც ბერლინში იმყოფებოდნენ, მიიღეს ბრძანება, რათა დახმარება აღმოეჩინათ აჯანყებულთათვის. მათ ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ბერლინიდან პრაღამდე გაიარეს ძნელი მთიანი ადგილები, ცენტრალური ჩეხეთი, 9 მაისს შეიჭრნენ პრაღაში და გაანადგურეს იქ გამაგრებული ჰიტლერელები. საბჭოთა ჯარებმა გაღაარჩინეს პრაღა განადგურებას. რომელიც ვანზრახული ჰქონდათ გერმანელებს.

10 მაისს ეროვნული ფრონტის მთავრობა პრაღაში გადავიდა.

აგრარული რეფორმა

1945 წლის მაისსა და ივნისში მთავრობამ გამოსცა დეკრეტები, რომლებითაც ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებ გერმანელი და უნგრელი მემამულეების, კულაკების და ავრეთვე სამშობლოს გამყიდველთა მიწები ცხადდებოდა კონფისკებულად და გადადიოდა ეროვნული მიწის ფონდში. საყურადღებოა, რომ გერმანელ და უნგრელ მემამულეებს ჩეხოსლოვაკიაში ჰქონდათ 2 მილიონამდე ჰექტარი საუკეთესო მიწა. კონფისკებული მიწები ძალზე უმნიშვნელო ფასად შეეძლოთ შეესყიდათ უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს. ამასთანავე პატარა ოჯახებს შეეძლოთ შეეძინათ არაუმეტეს 8 ჰექტარი, დიდ ოჯახებს კი—10 ჰექტარი მიწა. ომში მონაწილენი მიწებს იღებდნენ უფასოდ. შეძენილი მიწები გადადიოდა შემძენლის კერძო მფლობელობაში, მაგრამ კანონი კრძალავდა მიწის გაყიდვას ან მისი იჯარით გაცემას. ეროვნული კომიტეტის მიერ შექმნილი გლეხთა კომისიები აგრარული რეფორმის გატარებისას ძალზე დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ,

ანსაკუთრებით სლოვაკიაში. ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები (ეროვნულ-სოციალისტური და კათოლიკური) და სლოვაკიის ე. წ. დემოკრატიულ-ბურჟუაზიული პარტიის ხელმძღვანელობა, რომლებიც ეროვნული ფრონტის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ, ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩეხეთისა და სლოვაკიის მსხვილი მაგნატების დაცვას, აგრარული რეფორმის შეზღუდვას მხოლოდ გერმანელი და უნგრელი მემამულეთა მიწების კონფისკაციით.

მრეწველობის ნაციონალიზაცია

ეროვნული ფრონტის მთავრობაში მყოფი ბურჟუაზიული პარტიები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ კოშიცის ეკონომიკური პროგრამის იმ მუხლის ცხოვრებაში გატარებისათვის, რომელიც ეხებოდა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიის ინტერესებს და ძირს უთხრიდა მსხვილი კაპიტალის ეკონომიკურ პოზიციებს ქვეყანაში. მაგრამ მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, კომუნისტები გადაჭრით მოითხოვდნენ კოშიცის პროგრამის ცხოვრებაში თანამიმდევრულ გატარებას. 1945 წლის 19 მაისს გამოიცა დეკრეტი ოკუპაციის პერიოდში შექმნილი ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობის გაუქმებისა და მტერთან თანამშრომლობაში მყოფი პირების ქონებაზე სახალხო მმართველობის შემოღების შესახებ. 1945 წლის მაისში შეიქმნა მრეწველობის ეროვნული სამმართველო, რომლის ხელში გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები გერმანელი და უნგრელი კაპიტალისტებისა და აგრეთვე სამშობლოს გამყიდველი ადგილობრივი ბურჟუაზიის ქონება. ეროვნულმა სამმართველომ თავის ხელში აიღო ქვეყნის მრეწველობისა და ბანკების 11% და დაზღვევის საზოგადოების დიდი ნაწილი. ამასთანავე კერძო საწარმოებზე დამყარდა მუშათა კონტროლი.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგაც მსხვილი ბურჟუაზია და საზღვარგარეთის კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ ძლიერად ინარჩუნებდა პოზიციებს. 1945 წლის შემოდგომაზე კომპარტიამ ბრძოლა გააჩაღა ქვეყნის მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის. 1945 წლის 24 ოქტომბერს დეკრეტით „მაღაროების და სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ“ სახელმწიფოს მთლიან საკუთრებაში გადავიდა ენერგეტიკული, ქვანახშირის, მეტალურგიული, სამხედრო და ქიმიური მრეწველობის ძირითადი ნაწილი. ხოლო დანარჩენ დარგში ნაციონალიზაცია შეეხო იმ საწარმოებს, სადაც 150-დან 500-მდე კაცი მუშაობდა. ერთდროულად ნაციონალიზებულ იქნა სააქციონერო ბანკები და დაზღვევის

სალარეები. ამ ნაციონალიზაციის შედეგად სახელმწიფო სექტორის ხელში გადავიდა მთავარი სამრეწველო წარმოების 80%. ამ ღონისძიების ჩატარების შედეგი ის იყო, რომ ქვეყანაში სამუდამოდ იქნა ლიკვიდირებული მსხვილი კაპიტალის პატრონობა და მის ნაცვლად შეიქმნა სოციალისტური სექტორი ეკონომიკაში. რაც შეეხება წვრილ და საშუალო საწარმოებს, ისინი კვლავ რჩებოდნენ მეწარმეების მფლობელობაში, მაგრამ აქაც არსებობდა მუშათა კონტროლი, რომელსაც ახორციელებდნენ საფაბრიკო-საქარხნო საბჭოები. მიუხედავად ამ უდიდესი გარდაქმნებისა, ბურჟუაზიის პოზიციები ქვეყანაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო. ფაქტიურად ჯერჯერობთ მათ ხელში რჩებოდა მთელი საგარეო და საშინაო ვაჭრობა. ამავე დროს ბურჟუაზიული პარტიები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ აგრარული რეფორმის და ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარებას, რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას, საბოტაჟს უცხადებდნენ მთავრობის ღონისძიებებს და ყოველმხრივ ცდილობდნენ მის ჩაშლას. ბრძოლა ძალზე გამწვავდა 1946 წლის მარტში დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარების დროს. ამ გაყალბებულმა არჩევნებმა წარმატება მოუტანა კომუნისტებს. მათ ყველაზე მეტი ხმები მიიღეს სხვა პარტიებთან შედარებით. კომუნისტებმა 300 ადგილიდან მიიღეს 114 დეპუტატის ადგილი დამფუძნებელ კრებაში. არჩევნების შედეგების შესაბამისად მთავრობას სათავეში ჩაუდგა კ. გოტვალდი. კომუნისტებმა მიიღეს 9 ადგილი მთავრობაში, მათ მხარს უჭერდა 2 უპარტიო და 3 სოციალ-დემოკრატი მინისტრი, მაგრამ მთავრობაში ბურჟუაზიულ პარტიებსაც სერიოზული პოზიციები ჰქონდათ. მათ მიიღეს 12 მინისტრის ადგილი, აქედან ერთი ვიცე-პრემიერის ადგილი. საკანონმდებლო კრების არჩევნებმა ისიც ცხადყო, რომ ბურჟუაზიული პარტიების გავლენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო ქვეყანაში. ამ მხრივ ყველაზე მეტად საგულისხმო იყო სლოვაკიის დემოკრატიული პარტიის წარმატება, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო. სლოვაკიაში გავლენიანი იყო ეროვნულ-სოციალისტური პარტიაც, რომელსაც მხარს უჭერდნენ ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზია, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და მუშათა კლასის ნაწილი. ქალაქისა და სოფლის საშუალო ბურჟუაზიულ ფენებზე, ვაჭრებზე, ხელოსნებზე, კათოლიკურ სამღვდელოებაზე, დიდი გავლენით სარგებლობდა სახალხო პარტია. ეს სამივე ბურჟუაზიული პარტია კი შედიოდა ეროვნულ ფრონტში და მთავრობაში, მოჩვენებით თანამშრომლობდა კომუნისტებთან, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რათა ჩამოეშორებინა კომუნისტები ხელისუფლებისაგან და შეექმნა სუფთა ბურჟუაზიული მთავ-

რობა. ამ ბურჟუაზიულ პარტიებს იმედი ჰქონდათ როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო მხარდაჭერისა.

ბურჟუაზიულმა პარტიებმა და კაპიტალისტ-მინისტრებმა ქვეყანაში კამპანია გააჩაღეს, რათა ჩეხოსლოვაკიას ამერიკის დახმარება მიეღო და „მარშალის გეგმაში" შესულიყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში აღნიშნულ პერიოდში მოუსავლიანობა იყო, საბჭოთა მთავრობამ 600 ათასი ტონა მარცვლეული და საკვები მიაწოდა ჩეხოსლოვაკიელ ხალხს და ჩაშალა საშინაო და საერთაშორისო ძალების ცდები დასავლეთის ქვეყნების მიერ ჩეხოსლოვაკიის „მარშალის გეგმაში" შეყვანისა. დაზარალებული გლეხების დახმარების გაწევის მიზნით მთავრობის წევრმა კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს გადასახადებით მილიონერების საგანგებო დაბეგვრის შესახებ. კომუნისტი დეპუტატები მოითხოვდნენ, რათა მილიონერები დაებეგრათ 6,5 მილიონი კრონით. ბურჟუაზიული მინისტრები გამოვიდნენ აღნიშნული წინადადებების წინააღმდეგ. ხალხმა კომუნისტური პრესის საშუალებით შეიტყო იმ მინისტრების გვარები, რომლებიც გამოდიოდნენ მილიონერების დასაცავად. ამის შემდეგ ბურჟუაზიული პარტიის მინისტრები და სოციალ-დემოკრატები ხალხში ფავლენის დაკარგვისა და მათგან მთლიანი იზოლირების შიშით იძულებულნი გახდნენ 1947 წლის ოქტომბერში ხმა მიეცათ მილიონერების დაბეგვრაზე. დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა ამ დროს გრადეცკის პროგრამის ირგვლივ, რომელიც ითვალისწინებდა მსხვილი მიწათმფლობელების ლიკვიდაციას. მართალია, ბურჟუაზია წინააღმდეგი იყო ამ რეფორმის განხორციელებისა, მაგრამ ამ საკითხშიც სსრკ-ის ზეგავლენით იძულებული გახდა უკან დაეხია და 1947 წლის ივნისში ხმა მიეცა მისი დამტკიცებისათვის. პროგრამა მემამულეთა სახნავი მიწის მფლობელობას ზღუდავდა 50 ჰექტარამდე. ის პირები, რომლებიც უშუალოდ არ იღებდნენ მონაწილეობას მიწის დამუშავებაში, ჰკარგავდნენ მიწის მფლობელობის უფლებას. მემამულეთა მიწებზე არსებული საიჯარო გადასახადები სანახევროდ შემცირდა, შეიქმნა სახელმწიფო-სატრაქტორო კოოპერატივები. გლეხთა ყველა გადასახადი შეიცვალა ერთი საერთო სოფლის მეურნეობის გადასახადით. გადასახადებისაგან განთავისუფლდნენ ღარიბი გლეხები. ხოლო მემამულეები და კულაკები კი დიდი გადასახადებით დაბეგრეს. ამრიგად, აგრარული რეფორმის ამ მეორე ეტაპზეც მემამულეთა მიწათმფლობელობა კი არ მოისპო, არამედ შეიზღუდა. მემამულეთა ხელში იყო 1.5 მლნ. ჰექტარი მიწა, ხოლო კულაკები ფლობდნენ მთელი დასამუშავებელი მიწების 25%-ს და 60 ათას მოჯამაგირეს უწევდნენ ექსპლოატაციას.

1948 წლის თებერვლის ამბები და ერთპარტიული დიქტატურის დამყარება

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ხალხის თავის მხარეზე მიმხრობის მიზნით აყენებდა საკითხს ქვეყნის შემდგომი გარდაქმნითი ღონისძიებების გატარებაზე სოციალისტური გადასვლელად. ჩეხოსლოვაკიაში ბურჟუაზია ძემარჯვენე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხარდაჭერით მთავრობაში და სახელმწიფოს სხვა ორგანოებში, ცდილობდა რაც არ უნდა დაჯდომოდა. ხელთ ჰქონდა ხელმძღვანელობა ქვეყნის გამგებლობაში კომპარტიისთავის, შეელანა მისი ავტორიტეტი და სახელი, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა მისი ხელმძღვანელობის უნარი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში, ჩამოეშორებინა მუშათა კლასისაგან — ნაკლები და საშუალო გლეხობა. მშრომელი ინტელიგენცია. ბურჟუაზიამ შეთქმულების ხელსაყრელი მომენტად ჩაიჩნია 1947 წლის მოუსავლიანობა, ამის გამო გამოწვეული სიძნელეები და საზღვარგარეთის მხარდაჭერითა და წაქეზებით 1947 წლის ზაფხულიდან შეუდგა შეთქმულების მზადებას არსებული რეჟიმის დაჯხობის მიზნით. იმის გამო, რომ სლოვაკია ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, აქ მუშათა კლასი ჩეხეთთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო. მართალია, ეროვნულ ფრონტში სლოვაკიის კომპარტიასთან ერთად სლოვაკიის დემოკრატიული პარტიაც შედიოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობა ბურჟუაზიის ხელში იყო და იგი დიდი გავლენით სარგებლობდა გლეხთა უმრავლესობაზე. დემოკრატიულ პარტიას მხარს უჭერდა კათოლიკური ეკლესიაც, რომელიც ასევე მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებდა სლოვაკელ გლეხთა უმრავლესობაზე. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ბურჟუაზიამ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ შეტევის დაწყება სლოვაკიიდან განიზრახა, მაგრამ კომუნისტების ხელმძღვანელობაში მყოფმა უშიშროების ორგანოებმა შეთითხნილი ბრალდება ამბოხების შესახებ წაუყენეს სლოვაკიის დემოკრატიულ პარტიას პრემიერ-მინისტრის მოადგილის იან ურსინის მეთაურობით. მაგრამ, როდესაც საქმე მივიდა „შეთქმულთა“ დასჯაზე, მათ დასაცავად გამოვიდნენ ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები მთავრობასა და ეროვნულ კრებაში, აგრეთვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები. ყოველგვარი რეფერენდუმისა და არჩევნების გარეშე 1947 წლის ნოემბერში სლოვაკიაში ახალი მთავრობა შეიქმნა. მართალია, ახლად შექმნილ მთავრობაში სლოვაკიის დემოკრატიულმა პარტიამ კვლავ შეინარჩუნა თავისი პოზიციები, მაგრამ მან დაკარგა უმრავლესობა, რომლის დიდი ნაწილი დააპატიმრეს

ან ხელმძღვანელობიდან ჩამოაშორეს. ახალი გამოსვლების ერთგვარი ნიშანი გახდა აშშ-ის ელჩის (ჩეხოსლოვაკიაში) შტეინგარდის განცხადება პრაღის აეროდრომზე 19 თებერვალს, როდესაც ის ჩამოვიდა აშშ-დან, რომ მის მთავრობას იმედი არ დაუკარგავს იმაზე, რომ ჩეხოსლოვაკია შევა „მარშალის გეგმაში". ფაქტობრივად ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიის მთელ მოქმედებას კ. გოტვალდის მთავრობის წინააღმდეგ შტეინგარდი წარმართავდა. შეთქმულთა მთავარი მიზანი იყო ჩეხოსლოვაკიაში კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული ძალაუფლების რესტავრაცია.

ევროპის სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით (გდრ-ის გარდა) ჩეხოსლოვაკია განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანას წარმოადგენდა და ამის გამო აქ ბურჟუაზიის პოზიციები და გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო. ომამდელ ჩეხოსლოვაკიაში ფაშისტური ან ნახევრადფაშისტური კი არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის სისტემა არსებობდა. ამიტომ იყო, რომ კომუნისტური პარტია აქ ბურჟუაზიის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. ბურჟუაზიისა, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა ქვეყნის გამგებლობის თუ ბრძოლის ყოველგვარ ხერხებში. მათ შორის პარლამენტალიზმიც. 1948 წლის 20 თებერვალს ბურჟუაზიული პარტიების 12 მინისტრი გადადგა მთავრობიდან იმ იმედით, რომ გამოიწვევდა მთავრობის კრიზისს, ხელს შეუწყობდა შეთქმულთ. გათიშავდა ეროვნულ ფრონტს და დაამხობდა კ. გოტვალდის მთავრობას. ბურჟუაზია იმედოვნებდა, რომ პრეზიდენტი ბენეში შეძლებდა კ. გოტვალდის მთავრობის გადაყენებას და ახალი მთავრობის შედგენას კომუნისტების მონაწილეობის გარეშე. მაგრამ ბურჟუაზიამ ვერ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გოტვალდის მთავრობის მხარეზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის მუშათა შეიარაღებული მილიცია. ადგილობრივი ეროვნული კომიტეტები და ბოლოს არმია. იმავე დღეს, ე. ი. 20 თებერვალს შეიკრიბა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დასკვნა გააკეთა, რომ ბურჟუაზიული მინისტრები არ უნდა დაბრუნდნენ მთავრობაში. იმავე ღამის ცკ-მა მოახდინა პარტიის წევრების და მუშათა კლასის მობილიზება.

ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთების გამოსვლა მუშათა გათიშვის შედეგად ჩაიშალა. 23 თებერვალს შედგა საერთო რესპუბლიკური ორგანიზაციების და ეროვნული ფრონტის წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება ეროვნული ფრონტის რიგების გაწმენდის შესახებ ოპოზიციონერებისაგან და გამთიშველებისაგან. რეორგანიზებული ეროვნული ფრონტის შემადგენლობაში შევიდნენ საერთო ეროვნული ორგანიზაციები—პროფკავშირები,

ახალგაზრდათა ორგანიზაციები, გლეხთა კავშირები, კოოპერატივები. შეიქმნა ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტი. შეთქმულთა ზურგს უკან მდგარი პრეზიდენტი ბენეში ფიქრობდა, რომ ოპოზიციონერი მინისტრების მიერ ხელოვნურად გამოწვეული მთავრობის კრიზისის შედეგად იგი აიძულებდა ყველა მინისტრს, რომ გადამდგარიყო და შემდეგ დახმარებოდა შეთქმულებს მათთვის საჭირო მთავრობის შექმნაში. მაგრამ ბენეში იძულებული გახდა ანგარიში გაეწია კომპარტიის მოთხოვნებისათვის. მან მიიღო ოპოზიციონერი მინისტრების გადადგომა და, თავის სურვილის გარეშე, 1948 წლის 25 თებერვალს დაამტკიცა ახალი მთავრობა. ახალი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ კომუნისტები კ. გოტვალდის მეთაურობით. ოპოზიციონერი ეროვნულ-სოციალისტური სახალხო პარტია და სლოვაკიის დემოკრატები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე, შეთითხნილი ბრალდებით როგორც „საზღვარგარეთის იმპერიალისტების დაქირავებული აგენტები". ისინი არა მარტო განდევნეს მთავრობის შემადგენლობიდან. არამედ ჩამოაშორეს აღნიშნული პარტიების ხელმძღვანელობასაც. ზოგიერთ მათგანს შეეშინდა სამსჯავროს წინაშე წარდგომისა და საზღვარგარეთ გაიქცა. ამრიგად. ოპოზიცია იზოლირებული და განადგურებული იქნა. ბურჟუაზია მთლიანად განიდევნა ხელისუფლებიდან. თებერვლის ამბების შემდეგ დამთავრდა სახალხო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის განვითარების პირველი პერიოდი, ე. ი. პერიოდი დემოკრატული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისა და ერთპარტიული დიქტატურის დამყარებისა.

ამრიგად. 1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ სახალხო დემოკრატიული რეჟიმი გადაეცა თავისი განვითარების მეორე პერიოდში—პროლეტარიატის დიქტატურის ეტაპზე. ფაქტობრივად კომუნისტების პატარა ჯგუფის დიქტატურაზე.

§ 31. ჩეხოსლოვაკია 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იან წლებში. ერთპარტიული დიქტატურის დამყარება

1948 წლის მარტში კ. გოტვალდის მთავრობამ საკანონმდებლო კრებაში წარადგინა ჩეხოსლოვაკიის შემდგომი გარდაქმნების სიტყვიერებაში კი შეძლებული კლასების ძარცვის პროგრამა. ეს პროგრამა მოწონებულ იქნა და მთავრობა მაშინვე შეუდგა მის განხორციელებას. ამ პროგრამის საფუძველზე მთავრობამ იმ საწარმოების ნაციონალიზაცია ჩაატარა, სადაც 50-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე მუშაობდა. სახელმწიფომ თავის ხელში აიღო საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ეს იყო მრეწველობის ნაციონალიზაციის მეორე ეტაპი, რომლის შედეგად საზოგადოებრივი სექტორი საგრძნობლად

გაიზარდა და შეადგინა 95%. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი კიდევ უფრო განმტკიცდა და ბურჟუაზიული ეკონომიკური პოზიციები სამუდამოდ მოისპო. 1948 წლის მარტში საკანონმდებლო ეროვნულმა კრებამ გლეხთა მოთხოვნების შესაბამისად მიიღო აგრარული რეფორმის გაფართოების ახალი კანონი. 50 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობზე ქონების უფლება დაშვებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მიწის მესაკუთრე თვითონ ამუშავებდა მას თავის ოჯახით და არ იყენებდა დაქირავებულ შრომას. აგრარული რეფორმა ტარდებოდა პრინციპით: „მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს“, ხოლო დადგენილ ზომაზე მეტი მიწები უნდა ჩამორთმეოდათ. ჩამორთმეულ მიწებზე მთავრობა მიწის მფლობელებს უხდიდა კომპენსაციებს და უმნიშვნელო ფასებში აძლევდა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს. ამ რეფორმის შემდეგ მშრომელი გლეხობისა და სახელმწიფოს ხელში გადავიდა 4 მლნ. ჰექტარზე მეტი მიწა. ეს იყო აგრარული რეფორმის მესამე ეტაპი, რომლის შედეგად სოფლად სამუდამოდ იქნა ლიკვიდირებული მემამულეთა კლასი და ცენტრალური ადგილი დაიკავა საშუალო გლეხმა. აგრარულ რეფორმასთან ერთად ტარდებოდა მიწის ნაწილობრივი ნაციონალიზაცია. 1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ გოტვალდის მთავრობამ დაჩქარა კონსტიტუციის შემუშავება.

9 მაისს პრაღის განთავისუფლების სამ წელთან დაკავშირებით საკანონმდებლო ეროვნულმა კრებამ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია ერთხმად დაამტკიცა.

ახალი კონსტიტუცია იურიდიულად აკანონებდა ყველა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში მოხდა მისი განთავისუფლების შემდეგ. კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება გადადიოდა ეროვნული კრების ხელში, რომელსაც ირჩევდნენ 6 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაურად ცხადდებოდა პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევდა ხალხი კი არა, არამედ ეროვნული კრება 7 წლის ვადით, უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ კი პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობა. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იღებდა ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა 18 წლის ასაკიდან. 1948 წლის 30 მაისს შედგა ეროვნული კრების არჩევნები, რომლის დროსაც ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა პარლამენტში ყველა ადგილი მიისაკუთრა. 1948 წლის ივნისის დასაწყისში პრეზიდენტი ბენეში გადადგა. ეროვნულმა კრებამ 1948 წლის 14 ივნისს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია კ. გოტვალდი. 15 ივნისს პრეზიდენტმა

კ. გოტვალდმა კომუნისტ ა. ზაპოტოცკის დაავალა ახალი ეროვნული ფრონტის მთავრობის შედგენა. ახალ მთავრობაში კომუნისტებმა მიიღეს 15 ადგილი. ეროვნული ფრონტის სხვა პარტიებმა—6 ადგილი. მას შემდეგ, როდესაც ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ჩამოშორებულ იქნა მემარჯვენე ხელმძღვანელობა 1948 წლის 27 ივნისს პრაღაში შედგა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამაერთიანებელი კონფერენცია. ორივე პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე ერთ კომუნისტურ პარტიად გადაიქცა.

1948 წლის სექტემბერში გაერთიანდნენ ჩეხეთის და სლოვაკიის კომპარტიები ჩეხოსლოვაკიის ერთ კომპარტიაში. ჩეხეთისა და სლოვაკიის კომპარტიებმა გაერთიანების შემდეგ შეინარჩუნეს თავიანთი ცენტრალური კომიტეტები.

მრეწველობის განვითარება

ომამდელ ჩეხოსლოვაკიაში ეკონომიკური თვალსაზრისით ყველა რაიონი თანაბრად არ იყო განვითარებული. სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი იყო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. სლოვაკიას თითქმის ათასი წლის განმავლობაში არ ჰქონია თავისი სახელმწიფოებრიობა და ცალკე ოლქადაც არ ყოფილა იგი გამოყოფილი, როდესაც იმყოფებოდა უნგრეთის უღლის ქვეშ. აქ ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიის დროსაც არავის არ უზრუნია ეკონომიკის განვითარებაზე და, პირიქით, ყოველთვის ცდილობდნენ მისი განვითარების შეფერხებასა და სლოვაკიის აგრარულ-დანამატ ქვეყნად დატოვებას. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ მიუხედავად ინდუსტრიის მაღალი განვითარებისა, ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკია საერთოდ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კაპიტალისტურ ევროპას ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოებით. 1918—1937 წწ. ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკური ზრდის ტემპები უფრო დაბალი იყო, ვიდრე ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისა, მაგალითად. მისი სამრეწველო წარმოების მოცულობა საშუალოდ წელიწადში ეხოლოდ 1—2%-ით იზრდებოდა. ამასთანავე, მეორე მსოფლიო ომამდე მსუბუქი და კვების მრეწველობა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში შეადგენდა 60 პროცენტს, ხოლო მრეწველობის სხვა დარგები, განსაკუთრებით მძიმე და მანქანათმშენებლობის მრეწველობა, შედარებით სუსტად იყო განვითარებული. მაგალითად, მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა საერთო წარმოებაში მხოლოდ 16%-ს შეადგენდა. მრეწველობის ძველი სტრუქტურა არ შეესაბამებოდა ქვეყნის თანა-

მედროვე გეგმაზომიერი განვითარების მოთხოვნებს. აქ მთავარი ამოცანა იყო არა სამრეწველო ბაზის შექმნა, არამედ მრეწველობაში მემკვიდრეობით მიღებული დისპროპორციის ლიკვიდაცია. ამიტომ ტრადიციული, მსუბუქი მრეწველობის (შუშის, ფაიფურის, სელის, ტყავის, ფეხსაცმლის) დარგების განვითარებასთან ერთად, საჭირო იყო უფრო სწრაფი ტემპით მძიმე მრეწველობის განვითარება, ქვა-ნახშირის, რკინის, ფოლადის, ენერგეტიკისა და მანქანათმშენებლობის წარმოება, რომელიც ნაკლებად განვითარებული იყო. ჯერ კიდევ ადრე მიღებული ორწლიანი, 1947—1948 წლების გეგმის ამოცანა იყო სახალხო მეურნეობის აღდგენა ძველ სამრეწველო ბაზაზე. ეს გეგმა წარმატებით შესრულდა უკვე 1947 წელს. სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე მიღწეულ იქნა. აღსდგა აგრეთვე ტრანსპორტი. ორწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ და ღრმა სოციალ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა ქვეყანაში პირობები შექმნა ეკონომიკის განვითარების პერსპექტიულ დაგეგმვაზე გადასვლისათვის. 1949 წლის მაისში მოწვეულმა კომპარტიის IX ყრილობამ პარტიის გენერალურ ხაზად სოციალიზმის მშენებლობა გამოაცხადა. ყრილობამ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა შეიმუშავა 1949—1953 წ.წ., რომლის მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა. პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ეკონომიკაში სოციალისტური სექტორის პოზიციების გაძლიერებას, კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვას მეურნეობის ყველა დარგში და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე სლოვაკიის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. ჩეხოსლოვაკიაც განიცდიდა სიძნელეებს იმ მხრივ, რომ მას არასაკმარისი ოდენობით ჰქონდა საკუთარი ნედლეულის ბაზა, კერძოდ ნავთობი და ლითონი, რომლის შევსება ჩეხოსლოვაკიას ფართო საგარეო ვაჭრობით უხდებოდა. პირველი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა. სამრეწველო წარმოებამ ხუთწლედის შესრულების შედეგად ომამდელ დონეს (1937 წ.) გადააჭარბა 2,1-ჯერ. ტრადიციული სამრეწველო დარგების პროდუქციის წარმოება 70%-ით გაიზარდა. ამდენითვე გაიზარდა მრეწველობის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში. უპირატესად იზრდებოდა მძიმე ინდუსტრია, კერძოდ, 3,3-ჯერ გაიზარდა. ხუთწლედის განმავლობაში მწყობრში ჩადგა 24 მანქანათმშენებლობის ქარხანა და 12 ელექტროსადგური, რომელთა შორის აღსანიშნავია უმსხვილესი ელექტროსადგური მდ. ვლტავაზე. ომამდელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 3-ჯერ, ფოლადისა—2-ჯერ, ნავთობისა—7-ჯერ და ა. შ. მნიშვნელოვანი იყო წარმატებები სლოვაკიაში,

სად-ც აკებულ ან რეკონსტრუირებულ იქნა ასობით საწარმო. ამის შედეგად მნიშვნელოვნად ვაიზარდა სლოვაკიის ხვედრითი წონა მთელი სასელმწიფოს სამრეწველო წარმოებაში. აგრარული. ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან, სლოვაკია ქვეყნის მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რაიონად გადაიქცა.

1954—1955 წლებში წარმატებით ხორციელდებოდა ქვეყნის მეურნეობის განვითარების ერთწლიანი გეგმები.

გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში

პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის მიზნით. მაგრამ მისი გარდაქმნის პროცესმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი შემცირება ომამდელ დონესთან შედარებით. ამასთანავე, პირველ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები მკვეთრად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების. ნედლეულის წარმოების და მრეწველობის პროდუქტების წონასწორობა გათანაბრება ხდებოდა საგარეო ვაჭრობით, რომელსაც სამრეწველო საგნების ექსპორტით უნდა უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა.

სოფლის გადაყვანა სოციალიზმზე ძალზედ რთული პროცესი იყო. იგი იყოფოდა რამდენიმე ეტაპად. ჩკპ-ამ გამოიყენა საბჭოთა კოოპერირების მოდელი. მაგრამ ამავე დროს იგი გამომდინარეობდა ქვეყანაში არსებულ ძველი კოოპერირების ტრადიციიდან. მიწის რეფორმების ჩატარების შედეგად 1945—1948 წწ. უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებმა მიიღეს ასი ათასამდე ჰექტარი მიწა. მიწის კაპიტალისტური და მემამულური მფლობელობა მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა. 1949 წლიდან იწყება ერთიანი სოფლის მეურნეობის კოოპერატივების შექმნა. შეიქმნა ოთხი ტიპის ერთიანი სოფლის მეურნეობის კოოპერატივი. პირველი ტიპის კოოპერატივებში მიწა კოოპერატივის წევრის კერძო მფლობელობაში რჩებოდა. მიჯნები მიწის კერძო ნაკვეთებს შორის რჩებოდა, მაგრამ დამუშავება ხდებოდა ერთად, მოსავალს კი ყველა ცალ-ცალკე, თავისი ნაკვეთიდან იღებდა. მეორე ტიპის კოოპერატივებში მიწა გაერთიანებული იყო. მიჯნები არ იყო, მაგრამ აქაც კოოპერატივის წევრი მიწის კერძო მფლობელობას ინარჩუნებდა. შემოსავლის განაწილება ხდებოდა დახარჯული შრომისა და კოოპერატივში შეტანილი მიწის ფართობის მიხედვით.

მესამე ტიპის კოოპერატივში მიწაც და ინვენტარიც საერთო იყო. შემოსავალი ნაწილდებოდა ძირითადად შრომადღეების მიხედვით და ნაწილობრივ მიწის ფართობის მიხედვითაც. მეოთხე ტიპის კოოპერატივებში შემოსავლის განაწილება მხოლოდ შრომადღეების მიხედვით ხდებოდა. ხუთწლედის ბოლოს სოფლის მეურნეობის კოოპერატივების რიცხვი 8 ათასამდე გაიზარდა, აქედან უმრავლესობა მესამე და მეოთხე ტიპის კოოპერატივები იყო. 1953 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა ქვეყნის სახნავი მიწების საერთო ფართობში 44%-ს შეადგენდა.

სოფლის მეურნეობის კოოპერირების დროს დაშვებულ იქნა მთელი რიგი შეცდომები: ხშირად ირღვეოდა გლეხთა კოოპერატივებში შესვლის ნებაყოფლობითი პრინციპი, ადგილი ჰქონდა ადმინისტრირების გზით გლეხების კოოპერატივებში შეყვანას. სუსტად წარმოებდა გლეხთა შორის ახსნა-განმარტება კოოპერატიული მეურნეობის შესახებ. ოპოზიცია ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა სიძნელეები სოფლის მეურნეობაში და პროდუქტების წარმოების შემცირების შედეგად საცალო ვაჭრობაში ფასების ერთგვარი ზრდა. გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბული ვითარების გამო მოსკოვის მოთხოვნით მთავრობა იძულებული იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით გამოეყო გაუთვალისწინებელი დამატებითი სასესრები, რს გამოც სიძნელეები შეიქმნა ხალხთა კეთილდღეობის ზრდაში. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ირღვეოდა კოლექტიურ ხელმძღვანელობის პრინციპები, ადგილი ჰქონდა კანონმდებლობის დარღვევას, ხალხის ერთგულ და გამოჩენილ მოღვაწეთა დაუსაბუთებელ დაპატიმრებებს.

1953 წლის მარტში გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის პარტიის ცკ პირველი მდივანი და რესპუბლიკის პრეზიდენტი კ. გოტვალდი, რის შემდეგ პრეზიდენტად აირჩიეს ა. ზაპოტოცკი, ხოლო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ა. ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარე—ვ. შიროკი. 1957 წელს გარდაიცვალა ა. ზაპოტოცკი და პრეზიდენტად ა. ნოვოტნი აირჩიეს.

1956 წლის ივლისში მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის კონფერენციამ დაამტკიცა 1956—1960 წწ. მეორე ხუთწლიანი გეგმა. მისი მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დამთავრება და სოფლის მეურ-

ნეობაში სოციალისტური სექტორის გაბატონება წვრილ სასაქონლო სექტორზე. მეორე ხუთწლედი სამრეწველო წარმოების გადიდებას 54%-ით ითვალისწინებდა, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოებისას კი—27%-ით. ჩეხოსლოვაკიის მეორე ხუთწლიანი გეგმა უკვე მაშინ კოორდინირებული იყო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის გეგმებთან. ჩეხოსლოვაკიაში შეტი ყურადღება ეთმობოდა იმ დარგების განვითარებას, რომლის ტრადიციები უფრო ძლიერი იყო ქვეყანაში.

ჯერ კიდევ 1958 წლის ივნისში მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XI ყრილობამ განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიაში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ლიკვიდირებულია და სოციალიზმის საფუძვლები ძირითადად აგებულია. მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების ძირითადი შედეგი ის იყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში ადრევე არსებობდა მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელშიც სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

საყურადღებოა, რომ თუ პირველი ხუთწლედის ბოლოს გამოცხადდა, რომ სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობამ გაიმარჯვა მრეწველობაში, ტრანსპორტში, საშინაო და საგარეო ვაჭრობაში, მეორე ხუთწლედის ბოლოს გამოცხადდა, რომ მან გაიმარჯვა სოფლის მეურნეობაში. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში მეორე ხუთწლედში 2-ჯერ მეტად გაიზარდა და 1960 წლისათვის 70%-ს შეადგენდა. 1960 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხელში იყო ქვეყნის მთელი დამუშავებული მიწების 87%.

სამრეწველო წარმოება მეორე ხუთწლედში 66%-ით გადიდდა და ოთხჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობა კი 11%-მდე გაიზაოდა.

1960 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა საერთო ეროვნულ შემოსავალში 93%-ს შეადგენდა. დიდმა წარმატებებმა სახალხო მეურნეობაში პირობები შექმნა ხალხის ცხოვრების დონის სწრაფი ამაღლებისათვის. მთავრობა სისტემატურად ატარებდა ფასების დაკლებას საქონელზე. იზრდებოდა ხალხის ცხოვრების დონე. 1958—1960 წლებში მშრომელთა რეალური ხელფასი გაიზარდა 12%-ით. მარტო 1960 წლისათვის საზოგადოებრივი მოხმარების ფონდისათვის (კაპიტალური დაბანდების გარეშე) გამოყენებული იყო 16 მილიარდი კრონი, რაც ფაქტიურად ნიშნავდა მოსახლეობის შრომითი შემოსავლის გაზრდას დაახლოებით 17%-ით. მარტო სას-

წავლო სახელმძღვანელოების გამოცემის, საბავშვო ბაღებისა და ბაგების შესანახად სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად გამოყოფილი იყო 400 მილიონი კრონი. განუხრელად იზრდებოდა ხარჯები მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. 1959—1960 წლებში მოხუცებულობის პენსიებისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა დამატებით 400 მილიონი კრონით. მეორე ხუთწლედში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ბინების მშენებლობა. ამ დროს ბინებით მშრომელთა უზრუნველყოფის საკითხი ჩეხოსლოვაკიაში თითქმის გადაწყდა. ცხოვრების დონით, ხალხის განვითარებითა და აღზრდით, ჯანმრთელობის დაცვით და სოციალური უზრუნველყოფით ჩსსრ უკვე მეორე ხუთწლედში, ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში.

1960 წლის კონსტიტუცია

1960 წლის 9 ივლისს მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის კონფერენციამ, სოციალისტური გარდაქმნების დამთავრებისა და გადასვლითი პერიოდის ყველა ძირითადი ამოცანის არასწორად შეჯამების შემდეგ განაცხადა, რომ სოციალიზმმა ჩეხოსლოვაკიაში მთლიანად გაიმარჯვა. კონფერენციამ მოიწონა ახალი სოციალისტური კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 11 ივლისს მიიღო ეროვნულმა კრებამ და რომელიც გახდა სახელმწიფოს ძირითადი კანონი. სახელმწიფოს ახალი სახელწოდება ჩეოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა თავიდან ბოლომდე არასწორ და ყალბ პრაქტიკულ და თეორიულ მონაცემებზე იყო დამყარებული.

1960 წლის კონსტიტუცია აღიარებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს, მაგრამ ამავე დროს ფორმალურად ინარჩუნებს მრავალპარტიულ სისტემას. ჩსსრ-ს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა ეროვნული კრება (პარლამენტი), ხოლო სახელმწიფოს მეთაურად—პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ ხუთი წლის ვადით. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული კრების წინაშე.

1961 წლის დამდეგს მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის კონფერენციამ მიიღო მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტი (1961—1965 წწ.), რომელიც ითვალისწინებდა სამრეწველო წარმოების გადიდებას 56%-ით, სოფლის მეურნეობის წარმოებისას კი—21%-ით. მესამე ხუთწლედი ითვალისწინებდა გლეხთა მეურნეობის წარმოების კოოპერირებას. გეგმის მიხედვით ხალხთა ცხოვრების დონე უნდა ამაღლებულიყო 1/3-ით. 1962 წლის დეკემბერში შედგა ჩეხოსლოვა-

კიის კომპარტიის XII ყრილობა, რომელმაც განვლილი გზის წარმატებებთან ერთად მიუთითა აგრეთვე ისეთ სიძნელეებზე, როგორიც იყო დისპროპორციის არსებობა სახალხო მეურნეობის განვითარებაში, შეუსაბამობა რესურსებსა და მოთხოვნილებებს შორის, სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების ჩამორჩენილობა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების არსებობა და ა. შ. ყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ 1961—1962 წლებში ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმები მრეწველობისა და სოფლის შეურნეობის მთელ რიგ დარგებში ვერ შესრულდა. შემცირდა აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობების ზრდის ტემპები, რომლის ძირითად მიზეზად დაასახელეს წარმოებაში ხელით შრომის დიდი ხვედრითი წონა და წარმოებული საქონლის მაღალი თვითღირებულება. ჩკპ-ამ მიზანშეწონილად ცნო შეეცვალა მესამე ხუთწლიანი გეგმა და 1963 წლისათვის შეადგინა განსაკუთრებული წლიური გეგმა, ხოლო 1964—1970 წლებისათვის ახალი შვიდწლიანი გეგმა, აგრეთვე პერსპექტიული გეგმა მომავლისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იყო როგორც ხარვეზები, ასევე მიღწევები. მაგრამ, 1963 წელს სამრეწველო წარმოება შემცირდა იმ მიზეზით, რომ 1962—1963 წლებში ძალზე ცივი ზამთარი იყო, მისგან გამოწვეული მატერიალური ზარალი 15 მლრდ კრონს შეადგენდა. მკაცრი ზამთრის გამო ტრანსპორტსა და მთელ რიგ საწარმოებში მოხდა შეფერხებები. ამიტომ 1963 წლის გეგმაში შეტანილ იქნა შესწორებები დავალებათა შემცირების მიზნით. ეს სიძნელეები მომავალ 1964 წელს დაძლეულ იქნა და სამრეწველო წარმოება წინა წელთან შედარებით 4%-ზე მეტად გაიზარდა. 1965 წლისათვის კი 1964 წელთან შედარებით 8 პროცენტამდე გაიზარდა. მაგრამ, 1965 წლისათვის ეროვნული შემოსავლის მოცულობამ ვერ მიაღწია დაგეგმილს უმთავრესად მატერიალური ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის გამო (6—7% ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,4 პროცენტისა). ამის გამო ეროვნული შემოსავალი 3,5 მლრდ კრონით შემცირდა. ზარალი სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის გეგმის შეუსრულებლობის გამო შეადგენდა 3,5 მლრდ კრონს. 1965 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1964 წელთან შედარებით გაიზარდა 4%-ზე მეტად, ე. ი. უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ეროვნული შემოსავალი. ამრიგად, 1965 წელსაც არახელსაყრელი შეფარდება იყო ეროვნული შემოსავლის ტემპების ზრდასა, ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტებსა და მატერიალურ დანახარჯებს შორის. წინა პერიოდის არახელსაყრელი განვითარების პირობები, ბუნებრივია ვერ იქნა დაძლეული ერთი—ორი წლის განმავლობაში.

1966 წლის მაისში მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, წინა ხუთწლედში, დაახასიათა, როგორც უპირატესად ექსტენსიური, ე. ი. ისეთი, როცა მუდმივად იზრდებოდა ნედლეულის, მასალების, ენერგიის, სამუშაო ძალისა და კაპიტალური დაბანდების მოხმარება პროდუქციის ერთეულების წარმოებაში. ამის შედეგად კი იზრდებოდა ხარჯები კვლავწარმოების გაცდენისათვის და მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, ხოლო ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა იზღუდებოდა. ამიტომ, 1966—1970 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული იყო წონასწორობის აღდგენა ეროვნული შემოსავლის შექმნასა და გამოყენებაში, რაც ნიშნავდა საწარმოო დაგროვების ნორმების გაზრდას. გეგმა ითვალისწინებდა იმ წარმოებისა და დარგების გაძლიერებულ განვითარებას, რომელიც რენტაბელური იყო და პროდუქციის ხარისხითა და ტექნიკური დონით არ ჩამორჩებოდა მსოფლიო სტანდარტებს, ხოლო ნაკლებად ეფექტიანი საწარმოები უნდა ლიკვიდირებულიყო. ყრილობამ წამოაყენა ამოცანა სახალხო მეურნეობის კონსოლიდაციის პროგრამის განხორციელებისა და უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის გზით მისი თანდათანობითი გარდაქმნის. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ცხოვრებაში მართვის ახალი სისტემის კომპლექსური გატარება, ეროვნული შემოსავლის შემდგომი ზრდა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება.

მართვისა და დაგეგმვის ახალი სისტემის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1965 წ.) პლენუმმა. ეს სისტემა ხასიათდებოდა მეტისმეტი ცენტრალიზებულობით და ძირითადად ეყრდნობოდა ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ მეთოდებს. ასეთი სისტემა განვლილ პერიოდში აჩქარებდა ინდუსტრიალიზაციის პროცესსა და მრეწველობის სტრუქტურულ გარდაქმნას, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გაზრდის და საზოგადოების მოხმარების ცვლილებების პირობებში იგი უკვე აღარ შეესაბამებოდა ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებს, ვინაიდან არასაკმაოდ მოქნილი გამოდგა სტიმულირების ეფექტური მეთოდებისა და სამრეწველო წარმოების მყარი ზრდისათვის. მართვის ახალი სისტემა უპირატესად ითვალისწინებდა მართვის ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურზე გადასვლას და სასაქონლო ფულადი მეურნეობის ისეთი კატეგორიების მთლიან გამოყენებას, როგორიცაა—ფასები, მოგებები, ხელფასი,

.კრედიტი, პროცენტი და ა. შ. საწარმოებს ეძლეოდათ შედარებით უფრო მეტი ადმინისტრაციული, ქონებრივი და ოპერატიული დამოუკიდებლობა; საწარმოების, კოლექტივების მოღვაწეობა და მათი შრომის ანაზღაურება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიღწეულ ეკონომიკურ შედეგებზე. საწარმოოს განკარგულებაში დარჩებოდა საერთო შემოსავლის მოცულობის ნაწილი, რომელიც დადგინდებოდა საერთო შემოსავლიდან მატერიალური დანახარჯების გამოკლებისა, ამორტიზაციის ანარიცხებისა და, აგრეთვე. სახელმწიფოსათვის წინასწარ დადგენილი გადასახადების პროცენტების ფორმით და კრედიტების ნაწილის დაფარვის შემდეგ. საერთო შემოსავლის ის ნაწილი წარმოებას დარჩებოდა და მოქმედი ეკონომიკური წესების შესაბამისად განაწილდებოდა თვითონ წარმოების მიერ მშრომელთა დაჯილდოების, ტექნიკური განვითარებისა და სარეზერვო ფონდში, ვინაიდან მატერიალური დანახარჯების შემცირების გამო საერთო შემოსავალი და მასთან ერთად ხელფასის ფონდიც იზრდება, წარმოება დაინტერესებულია ნედლეულის, ენერგიისა და სხვა მატერიალური სახსრების ეკონომიაში, ძირითადი და საბრუნავი ფონდის უფრო სრულად გამოყენებაში. იმ მიზნით რათა, წარმოებაში საერთო შემოსავალი არ გაზრდილიყო ფასების გაუმართლებელი ზრდით, ფასებზე კონტროლს განახორციელებდნენ დაგეგმვის ცენტრალური ორგანოები.

ეკონომიკის გეგმური მართვის ახალმა სისტემამ პრაქტიკაში თანდათანობით იწყო დანერგვა 1966 წლის იანვრიდან. მისი მექანიზმის სრულყოფის მიზნით ჯერ კიდევ 1965 წელს ტარდებოდა ფართო ეკონომიკური ექსპერიმენტი 440 წარმოებაში, აქედან 144 სამრეწველო საწარმო იყო, 39—საშენებლო ორგანიზაცია და სამშენებლო მასალების საწარმოები, 80—შიდა სავაჭრო ორგანიზაცია და სხვ.

1965 წლის პირველ ნახევარში ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩატარდა სახალხო მეურნეობის დარგების ორგანიზაციული გარდაქმნა. წარმოების კონცენტრაციის შედეგად მრეწველობაში, მშენებლობასა და საშინაო ვაჭრობაში საწარმოო-სამეურნეო ერთეულების რიცხვი შემცირდა 234-დან 99-მდე, აქედან 74—ორგანიზებულია ტრესტების ბაზაზე. ამ საწარმოებთან ერთად სამინისტროების გამგებლობაში იმყოფებოდა აგრეთვე 80 სხვა სპეციალიზებული ერთეული, კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციები და სხვ. ჩსსრ-ის ეროვნული კრების ნოემბრის სესიამ (1965 წ.) სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივ მეთოდებზე გადასვლასთან დაკავში-

რებით მიიღო გადაწყვეტილება ზოგიერთი სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ, მაგალითად, მატერიალური მრეწველობის სამინისტრო გაერთიანდა მძიმე და საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროსთან, ერთიან მძიმე მრეწველობის სამინისტროდ, შეიქმნა აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის სამინისტრო. ამასთანავე გაუქმდა სათბობი მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო და საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტრო. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ბანკი გამოიყვანეს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან და იგი გადაიქცა დამოუკიდებელ ორგანიზაციად. გადაწყვეტილება სამეურნეო რეფორმის მთლიანი გატარების შესახებ 1967 წლის იანვრიდან იყო გათვალისწინებული.

§ 32. 1968 წლის პოლიტიკური კრიზისი

ეკონომიკის მართვის ახალი სისტემის დანერგვამ და მისგან გამოწვნულმა დროებითმა სიძნელეებმა გამოაცოცხლა ოპოზიციური ელემენტები. მათ დაიწყეს მთელი განვლილი პერიოდის კრიტიკა. ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ის გარემოება, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში 1966—1967 წლების დამლევიდან განვითარებისა და განმტკიცების ტენდენციებთან ერთად დაირღვა წონასწორობა და გაიზარდა დაძაბულობა ეკონომიკაში, რის შედეგად 1967 წლის დამლევიდან გაძლიერდა ინფლაციური ტენდენციები. ხელფასი და საერთოდ, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მზა პროდუქციის გამოშვება. ამის გამო მოსახლეობის მოთხოვნები ბაზარზე წინ უსწრებდა რესურსების შექმნას მათი დაკმაყოფილებისათვის. გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საწარმოებისათვის დოტაციების მოცულობის რაოდენობა და სუფსიდიების მიცემა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ახალი კაპიტალური დაბანდების დიდი მასშტაბები და სახსრების დაქსაქსვა. გარდა ამისა შეესუსტდა პასუხისმგებლობა ეკონომიკის ხელმძღვანელობაში და შრომის დისციპლინა. საერთოდ ეკონომიკის განვითარების შედეგები 1968 წლისათვის, როგორც მიუთითებდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, არადამაკმაყოფილებელი იყო. მზა პროდუქციის გამოშვების ტემპების დაცემას მოჰყვა მდგომარეობის გამწვავება საშინაო ბაზარზე, ინფლაციისა და სტიქიურობის ტენდენციების ზრდა. მართალია, ეროვნული შემოსავალი გაიზარდა თითქმის 6,8%-ით, მაგრამ სამრეწველო პროდუქციის ტემპების ზრდა შენელდა და წინა წელთან

შედარებით 1968 წელს შეადგინა 5,5% (1965—1967 წწ.), საშუალოდ 7,5 პროცენტი წელიწადში.

ამ დროს პარტიისა და სახელმწიფო აპარატის მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებები. ხანგრძლივი დროის მანძილზე არ წყდებოდა მომწიფებული ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები.

ნაციონალიზმი, კარჩაკეტილობა, შუღლი, უნდობლობა, ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად აღმოფხვრილი. ოპოზიციური ელემენტები ნაციონალიზმის არსებობის გამოყენებას ცდილობდნენ. კერძოდ, ცდილობდნენ ჩეხებსა და სლოვაკებს შორის შუღლის გაღრმავებას. საქმე იმაში იყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში ყოველთვის როდი იყო დაცული ჩეხებისა და სლოვაკების თანასწორუფლებიანობის პრინციპი მაგალითად. 1968 წლის მარტამდე ბრატისლავა ითვლებოდა სლოვაკიის არა დედაქალაქად. არამედ საოლქო ცენტრად. არ იყო პროპორციულად დაცული ჩეხებისა და სლოვაკების წარმომადგენლობა ცენტრალურ მთავრობაში.

1968 წლის იანვარში შედგა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის პოლიტიკის პრინციპული საკითხები, რომელთა შორის აღსანიშნავია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კვლავაც უზრუნველყოთ პარტიის ხელმძღვანელი როლი ქვეყნის მართვაში. პლენუმმა განიხილა ადრე დაშვებული შეცდომები და დასახა გზები მათი გამოსწორებისათვის, პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის. პლენუმმა მიზანშეუწონლად ცნო ერთი პიროვნების მიერ ორი თანამდებობის შეთავსება—ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პირველი მდივნისა და რესპუბლიკის პრეზიდენტისა. პირველი მდივნის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს ა. ნოვოტნი, ხოლო მის ნაცვლად აირჩიეს ა. დუბჩეკი. 30 მარტს ჩსსრ პრეზიდენტად, გადამდგარ ა. ნოვოტნის ნაცვლად, აირჩიეს ლუდვიგ სვობოდა. მარტში და აპრილში ჩატარდა ჩკპ-ის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც კვლავ განიხილა პარტიისა და საზოგადოებაში თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები და მიიღო ჩკპ-ის მოქმედების პროგრამა, რომელიც კომპრომისული იყო და წარმოადგენდა მემარჯვენე ძალებისადმი დათმობას.

შეიქმნა ახალი მთავრობა ჩერნიკის მეთაურობით. ცვლილებები მოხდა, აგრეთვე ეროვნული კრების შემადგენლობაში და ეროვნული ფრონტის ცკ-ში. ჩეხოსლოვაკიის ოპოზიციამ თავისი აქტიური მოღვა-

წეობა უშუალოდ იანვრის პლენუმის შემდეგ გააჩაღა. ასევე პარტიის და მთავრობის ახალი ხელმძღვანელობა, როგორც შემდეგ გამოირკვა, არ აპირებდა პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებას.

ოპოზიციონერებმა დაიწყეს კრიტიკა მთელი განვლილი პერიოდისა, აკრიტიკებდნენ გეგმურ მეურნეობას, ხოტბას ასხამდნენ სტიქიურობას მეურნეობაში. მათ შექმნეს სხვადასხვა სახის ორგანიზაციები, კლუბები, კერძოდ, „აქტიური უპარტიოების კლუბი", „231 კლუბი" და სხვ. ისინი ლეგალურად უპირისპირდებოდნენ კომუნისტურ პარტიას. გარდა ამისა, შეიქმნა არალეგალური ორგანიზაციები და იატაკქვეშა შეიარაღებული რაზმები. ყოფილმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმაც აქტიური საქმიანობა გაანაღეს თავისი პარტიის აღსადგენად. თვით კომპარტიის შიგნით ჩამოყალიბდა დაჯგუფება, რომელიც ფაქტობრივად ერთიანი ფრონტით გამოვიდა პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ.

ოპოზიციურმა ძალებმა წამოაყენეს აგრეთვე ლოზუნგები: ჩეხოსლოვაკიის „დამოუკიდებლობის აღდგენის" და „დამოუკიდებელი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის" შესახებ.

8 მაისს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთის, გდრ-ის და პოლონეთის მუშათა და კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელმაც განიხილა საერთაშორისო აქტუალური საკითხები და აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარება. შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ შემდგომშიც განახორციელებენ ღონისძიებებს ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შემჭიდროებისათვის და ერთმანეთისათვის დახმარების გაწევის გზით შეასრულებენ თავის პროლეტარული „ინტერნაციონალიზმის" ვალდებულებებს, ე. ი. შეიყვანენ ჯარებს.

ამავე ქვეყნების პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრა მოეწყო ვარშავაში 14—15 ივლისს ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარების განსახილველად. შეხვედრის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს ჩსსრ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თითქოს მათი ქვეყნის შიდა კონტრრევოლუციას კავშირი ჰქონია დამყარებული იმპერიალისტურ ცენტრებთან. იღებდა მათგან მხარდაჭერას და დახმარებას და ამზადებდა კონტრრევოლუციურ გადატრიალებას. შეხვედრის მონაწილენი თავის წერილში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას მოუწოდებდნენ გადამწყვეტი და გადაუდებელი ღონისძიებების მიღებაზე კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ და

აცხადებდნენ თავის მზადყოფნას ძმური დახმარების გაწევაზე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიმართ საერთო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ვალდებულების შესრულებაში, ე. ი. ჩეხოსლოვაკიაში ინტერვენციის მოწყობაში.

მაგრამ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა უარყო ხუთი სოციალისტური ქვეყნის წერილში მოცემული ჩეხოსლოვაკიის ამბების შეფასება.

აღნიშნული ხუთი სოციალისტური საბჭოთა ქვეყნის პარტიის ხელმძღვანელებმა 3 აგვისტოს ბრატისლავაში მოაწყვეს თათბირი ჩეხოსლოვაკიის პარტიის წარმომადგენლებთან ერთად, სადაც მიღებულ იქნა განცხადება. ამ დოკუმენტში აშკარადაა ჩამოყალიბებული სსრკ-ს აგრესიული პოლიტიკა, რომ თითქოს სოციალისტური მონაპოვარის განმტკიცება და დაცვა, ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის წინსვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკაცრად და თანმიმდევრულად ვიხელმძღვანელებთ და დავიცავთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო კანონზომიერებას, და უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასის ავანგარდის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელურ როლს.

მაგრამ, ბრატისლავას თათბირის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ოპოზიციამ უფრო გააქტიურა თავისი საქმიანობა. ქვეყნის მთელმა ოპოზიციამ გაილაშქრა ქარხანა „ავტო-პრაღის“ 99 მუშის წერილის წინააღმდეგ, რომელიც გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა. ამ წერილში თითქოს მუშები გამოვიდნენ სოციალისტური მონაპოვრის დაცვისა და ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა ხალხის მეგობრობის მომხრედ.

ოპოზიციონერები ჩეხოსლოვაკიაში მოითხოვდნენ სახალხო მილიციის დათხოვნას და ამ მიზნით მოსახლეობაში დაიწყეს ხელმოწერის შეგროვება მოთხოვნით, მილიციის დათხოვნის შესახებ. სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად მოიშალა. კომპარტიაში ხელმძღვანელობას თანდათანობით ხელში იღებდნენ ოპოზიციონერები. ოპოზიციონერების მიერ შექმნილი ლეგალური ორგანიზაციები და კლუბები, განსაკუთრებით „უპარტიოთა კლუბი“, ცდილობდნენ თავისი თავი ღაეპირისპირებინათ კომპარტიისათვის და ძალაუფლება თვითონ აეღოთ ხელში. ჩეხოსლოვაკიის საზღვრები ვამოაცხადეს სოციალისტური ქვეყნების საერთო საზღვრებად და 21 აგვისტოს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრმა ხუთმა სოციალისტურმა ქვეყანამ—სსრკ, უნგრეთმა, ბულგარეთმა, პოლონეთმა და გდრ-ამ შეიყვანეს თავისი ჯარები ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური მონა-

პოვრის საშინაო და საგარეო რეაქციის ხელყოფისაგან დაცვის მოტივით.

1969 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ჩსსრ ეროვნული კრების სესიის მიერ ჯერ კიდევ 1968 წლის 27 ოქტომბერში მიღებული კონსტიტუციური კანონი ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შექმნის შესახებ. ჩეხოსლოვაკია გადაქცა ფედერაციად, რომელიც შედგებოდა ორი თანასწორუფლებიანი—ჩეხეთის და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკებისაგან. თითოეულ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა: ჩეხეთში — ჩეხეთის ეროვნული საბჭო, სლოვაკიაში—სლოვაკიის ეროვნული საბჭო, ხოლო ჩსსრ-ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა—ფედერალური კრება, რომელიც ორი პალატისაგან შედგება—სახალხო პალატისა და ეროვნებათა პალატისაგან. ჩსსრ-ის აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფება ფედერალური მთავრობის ხელში, ხოლო რესპუბლიკებში: ჩეხეთში და სლოვაკიაში ადგილობრივი ეროვნული მთავრობების ხელში. ფედერალური მთავრობისა და ფედერალური კრების გამგებლობაშია: საერთო სახელმწიფოერივი. თავდაცვის. ფინანსების და საგარეო პოლიტიკის საკითხები. მთელი 1969 წლის მანძილზე ჩსსრ სახელმწიფო ორგანოების მიერ ტარდებოდა ღონისძიებანი ქვეყნის ფედერალური მოწყობის მიზნით.

1969 წლის 17 აპრილს მოწვეულმა პლენუმმა ა. დუბჩეკი მოხსნა ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობიდან და მის ნაცვლად აირჩია ჰუსტავ ჰუსაკი. აირჩიეს აგრეთვე ცკ-ის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა.

1969 წ.იანვრის პლენუმმა მიიღო დადგენილება ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობიდან ო. ჩერნიკის და კ. პოლაჩეკის გადადგომის შესახებ. ისინი ერთდროულად გადადგნენ ჩსსრ-ის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის და პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. ჩკპ-ის პრეზიდიუმის წევრობიდან და სლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობიდან გადადგა შ. სადოვსკი. სლოვაკიის კომპარტიის პირველ მდივნად აირჩიეს ი. ლენარტი.

1970 წლის მარტში პარტიის რიგებიდან გაირიცხა ჩკპ-ის ცკ-ის ყოფილი ხელმძღვანელები: ი. სმრკოვსკი, ფ. კრიგელი, ი. შპაჩეკი. ი. ბორუკა, ზ. მდინარეი, ბ. შიმონი და სხვები ჩკპ-ის ცკ-ის 1970 წლის ივნისის პლენუმმა „მემარჯვენე ოპორტუნისტული მოღვაწეობის გამო“ პარტიის რიგებიდან გარიცხა ჩკპ-ის ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი დუბჩეკი, ხოლო ჩსსრ-ის ფედერალური მთავრობ-ს

ყოფილი თავმჯდომარე ჩერნიკი 1970 წლის დეკემბერში გარიცხეს პარტიიდან.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოებიდან განდევნეს ოპოზიციონერები, ზოგიერთი ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც საგანგაშო დღეებში შეიქმნა და ოპოზიციური ელემენტების ბუდედ გადაიქცა, დახურულ იქნა. კერძოდ, ყოველდღიური გაზეთები „ფურცლები", „სტუდენტთა ფურცლები", ჟურნალი „პოლიტიკა" და ა. შ.

ფედერალური კრების ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე 15 ოქტომბერს ფედერალური კრების ხელმძღვანელი თანამდებობებიდან მოხსნეს ა. დუბჩეკი და ი. სმრკოვსკი. ფედერალური კრების თავმჯდომარედ აირჩიეს დ. ჰანესი, ეროვნული პალატის თავმჯდომარედ — ვ. მიგალიკი, სახალხო პალატის თავმჯდომარედ—ს. პენნიგეროვი. ფედერალურმა კრებამ მიიღო კანონი ორივე პალატის რწმუნების ვადის გაგრძელების შესახებ. 1970 წლის თებერვლიდან ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო პარტიული ბილეთების გამოცვლის კამპანია, რომლის დროსაც სპეციალურად შექმნილი კომისიები ინდივიდუალურ გასაუბრებას აწყობდნენ პარტიის ყველა წევრთან. ამ გასაუბრების დროს პარტიის ყველა წევრი იძლეოდა ახსნა-განმარტებას თავისი მოღვაწეობისა და პოზიციის შესახებ, რომლის შემდეგ კომისიას მხოლოდ იმის უფლება ჰქონდა, რომ წამოეყენებინა თავისი დასაბუთებული წინადადება პარტიული ბილეთის გაცემის ან არ გაცემის შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილება კი საერთო პარტიულ კრებას გამოჰქონდა, მათ ამტკიცებდა ზემდგომი პარტიული ორგანო.

ამ ღონისძიებების შედეგად 1968 წლის 1 იანვართან შედარებით პარტიის რიგებიდან განდევნეს 473 ათასზე მეტი კაცი (ე. ი. 28%). მაგრამ პარტია მაინც მასობრივ პარტიად დარჩა და ამ დროისათვის თავის რიგებში აერთიანებდა 1200 ათას წევრს.

§ 33. ჩეხოსლოვაკია 1972—1980 წწ.

1971—1975 წლებში ჩეხოსლოვაკია იღვწოდა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის (1971—1975 წწ.) განხორციელებისათვის და ეკონომიკის აღმავლობისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზით.

კომუნისტებმა ზარ-ზეიმით აღნიშნეს ბურჟუაზიული ოპოზიციისე 1948 წლის თებერვალში გამარჯვების თარიღის — 25 წლისთავი. განვლილი 25 წლის პერიოდისათვის ნიშანდობლივია ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სამრეწველო ძალების წარმატებები. 1948

წლიდან 1972 წლამდე სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 7,6-ჯერ, მათ შორის მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა 16-ჯერ, ქიმიური მრეწველობისა—თითქმის 19-ჯერ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით ჩეხოსლოვაკიას ამ დროს მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა ერთ სულ მოსახლეზე მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების ღირებულებით.

სოფლის მეურნეობაში, აღნიშნულ პერიოდში, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,4-ჯერ. მიუხედავად იმისა, რომ განვლილ პერიოდში 3-ჯერ შემცირდა მუშათა ძალები სოფლად და ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის სათესი ფართობი, მაგრამ 30%-ით გაიზარდა პროდუქციის წარმოება, ვიდრე ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში იყო. ერთ სულ მოსახლეზე კვების პროდუქტების მოხმარებით ჩეხოსლოვაკიას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ევროპაში. ამ წარმატებებთან ერთად სახალხო მეურნეობაში არის მოსაგვარებელი პრობლემებიც. ასეთ პრობლემებად სპეციალისტები ასახელებენ იმას, რომ მთლიანად არაა გამოყენებული რეზერვები საზოგადოებრივი შრომის ეფექტურობის ამაღლებისათვის, არასაკმარისად არის ვამოყენებული ძირითადი ფონდები, წარმოების სტრუქტურაში მთელი რიგი ნაკლოვანებებია.

1973 წლის მარტში ვადა გაუვიდა პრეზიდენტის რწმუნებებს და 22 მარტს ჩსსრ ფედერალურმა კრებამ ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე (სახალხო პალატა და ეროვნებათა პალატა) მომდევნო ხუთი წლის ვადით კვლავ ლუდვიგ სვობოდა აირჩია.

1974 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სლოვაკიის ეროვნული აჯანყების იუბილეს აღნიშვნა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული ფრონტის[1] მიერ 1974 წლის მაისში გამოქვეყნებული მიმართვა ხალხისადმი შრომისა და საზოგადოებრივი ინიციატივის გაშლის შესახებ ამ ღირშსანიშნავი თარიღის აღსანიშნავად.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა წარმატებით განახორციელა. ხუთწლიანი გეგმის ამოცანები ზოგიერთ დარგში გადაჭარბებით შესრულდა. ხუთი წლის განმავლობაში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 32%-ით, სამრეწველო წარმოება—38%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა—14%-ით. აშენდა 614 ათასი ბი-

[1] ჩსსრ-ის ეროვნულ ფრონტში, რომლის სათავეში ჩაჰ იდგა, შედიოდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური პარტია, ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტია, სლოვაკიის თავისუფლების პარტია, სლოვაკიის აღორძინების პარტია, რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობა, ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი, ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის მეგობრობის კავშირი და სხვა მასობრივი ორგანიზაციები.

ნა (გეგმით 500 ათასი ბინა იყო გათვალისწინებული). სამრეწველო პროდუქციის მატების 87% მოდის შრომის ნაყოფიერების ზრდის ანგარიშზე.

1971—1975 წწ. მარცვლეულის საშუალო მოსავალი შეადგენდა 34.4 ცენტნერს 1 ჰექტარზე. მიღწეულია ქვეყნის თვითკმარობა ყველა ფაფა კარაქით, კვერცხითა და ძირითადად ხორცით.

სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარების წყალობით შეიქმნა პირობები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მეხუთე ხუთწლედში საშუალო ხელფასი გაიზარდა 18%-ით, მოსახლეობის ფულადი საერთო შემოსავალი—26%-ით. ხუთწლედის ბოლოს საშუალო ყოველთვიური ხელფასი სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორში შეადგენდა 2306 კრონს. ასეთია იმ დროის ოფიციალური მონაცემები

1975 წლის ნოემბერში ფედერალურმა კრებამ მიიღო კანონები: სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც 1976 წლის 1 იანვრიდან პენსიები გაეზარდა 3 მლნ. კაცს 3,3 მლრდ კრონის საერთო თანხით და ყველა მშრომელისათვის, მათ შორის კოოპერაციული გლეხობისათვის შემოღებული იქნა პენსიებით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა.

1975 წლის 29 მაისს, ლ. სვობოდას სერიოზული და ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, რაც არ აძლევდა მას საშუალებას შეესრულებინა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები, ჩკპ-ის ცკ-ისა და ეროვნული ფრონტის ცკ-ის წინადადებით ფედერალურმა კრებამ პრეზიდენტად აირჩია ჰუსტავ ჰუსაკი.

1975 წელს ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა აღნიშნა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებისა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავი. ჩსსრ ფედერალური წყობის შექმნის კანონის მიღების 10 წლისთავის აღნიშვნასთან ერთად 1975 წლის ოქტომბერში ხალხმა იზეიმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნის 60 წლისთავი. 30 წლის განმავლობაში ჩეხეთისა და სლოვაკიის ხალხებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში, ცხოვრების დონის ამაღლებაში. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1948 წელთან შედარებით გაიზარდა 8-ჯერ (სლოვაკიაში—16-ჯერ), ეროვნული შემოსავალი—5-ჯერ, სოფლის მეურნეობის—2-ჯერ. 1978 წლის ივლისში ჰ. ჰუსაკმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „თავისი წარმოების პოტენციალით, ცხოვრების, განათლებისა და კულტურის დონით ჩეხოსლოვაკია დღეისათვის განეკუთვნება მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვს“ ეს განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს.

ჩსსრ-სათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1978 წ. მაგისტრალური გაზსადენის „სოიუზის“ დამთავრებას, ეს გაზსადენი გადიჭიმა „ორენბურგიდან ჩსსრ-მდე“. ამ გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიაც.

1978 წ. ზოგიერთი ცვლილებები გატარდა საცალო ფასების სისტემაში. 11 ნოემბრიდან გაიზარდა საცალო ფასები შაგარ სასმელებსა და ღვინოზე (საშუალოდ 25%-ით), ამასთან, შემცირდა ზოგიერთი ბერკის მსუბუქი მანქანების ფასები. 1979 წლის იელისში გაიზარდა გათბობისა და მომსახურების ზოგიერთი სახეობის ფასები, კერძოდ, ბენზინზე, ენერგიისა და გათბობის სხვა სახეობაზე (50%). ლიკვიდირებულ იქნა დოტაციები ბავშვთა ტანსაცმლის ფასებზე (ეს თანხა გადაირიცხება ბავშვების დასახმარებლად). გაიზარდა ტარიფები კავშირგაბმულობის მომსახურებაზე, მათ შორის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ტარიფები (100%). ამასთანავე, 1 აგვისტოდან გაიზარდა პენსიების მინიმალური ოდენობა. დახმარებები ბავშვებისათვის და ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისათვის. 600-დან 780 კრონამდე გაიზარდა მარტოხელა პენსიონერების მინიმალური პენსიები, 1100-დან 1300 კრონამდე კი—პენსიებია დაოჯახებული პენსიონერებისათვის. შემოღებულ იქნა დამატებები 30 კრონის ოდენობით სხვა სახის პენსიებზე, მათ შორის მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, ნამსახურეობის გამო. პენსიების გაზრდა ანალოგიურად ყველა პენსიონერს შეეხო (3 მლნ-ზე მეტ კაცს) და შეადგინა 1,2 მლრდ კრონი. გაიზარდა ყოველთვიური დახმარება ბავშვებზე (ერთ ბავშვზე—40-დან 140 კრონამდე, ორ ბავშვზე—430-დან 550 კრონამდე, სამ ბავშვზე—880-დან 1030 კრონამდე). ბავშვებზე დახმარების ფონდმა გადააჭარბა 2,6 მლრდ კრონს წელიწადში. ერთდროულად გაიზარდა ხელფასი საბავშვო ბაღებისა და ბაღების აღმზრდელებისათვის, დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის. მედიცინის დაბალი პერსონალისათვის, ცვლის მომუშავეთათვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის.

1979 წელს ჩსსრ პარტიისა და მთავრობის მთელი ყურადღება კონცენტრირებული იყო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე. ჩკპ არ მალავდა სიძნელეებს, რომლებიც ქმნიდა პრობლემებს მეურნეობაში. ეთ-ერთ ასეთ პრობლემად მიჩნეულია წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დაბალი ტემპები, პროდუქციის არასაკმარისი მაღალი ხარისხი. 1979 წლიდან ჩსსრ-ის მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი, რომლებიც მიზ-

ნად ისახავდა იმ ქარხნების პროდუქციის გამოშვების შემცირებას, რომელიც არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. 1979 წლის მარტში თეძდგარმა ჩკპ-ის ცკ-ის პლენუმმა განიხილა სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობის განვითარების საკითხები, შეიმუშავა ღონისძიებათა მთელი სისტემა ამ დარგში არსებული არასელსაყრელი ტენდენციების, კერძოდ, ხუთწლედით დასახული ტემპების ჩამორჩენის გამო. ღონისძიებები ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ქიმიზაციის დონის ამაღლებას, მისი განვითარებისათვის ახალ დაფინანსებას, კადრებით უზრუნველყოფას.

1979 წელს მთავრობამ შეიმუშავა თბობისა და ენერგიის რაციონალურად მოხმარების ხანგრძლივვადიანი პროგრამა, რომელშიც მოცემულია სტრატეგიული მითითება—მთლიანად გამოიყენონ საკუთარი ენერგოწყაროები, უპირველეს ყოვლისა, მურა ნახშირი, მნიშვნელოვნად შემცირდეს თბობისა და ენერგიის ხარჯვა, ფართოდ გამოიყენონ ბირთვული ენერგეტიკა და ამ მიმართულებით სსრ კავშირთან თანამშრომლობა.

ზოგიერთი არსებული სიძნელეების მიუხედავად 1980 წ. ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა შეასრულა მეექვსე ხუთწლიანი გეგმა (1976—1980 წწ.). ამ ხუთწლედში ეროვნული შემოსავალი 1975 წელთან შედარებით გაიზარდა 20,2%, სამრეწველო წარმოების მოცულობა—25, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია—9%-ით.

1978 წლიდან ჩსსრ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ხორციელდებოდა ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ექსპერიმენტი. 1980 წელს შეჯამდა ამ ექსპერიმენტის შედეგები და აღინიშნა, რომ ამ საქმეში დიდი წარმატებებია მიღწეული, მაგრამ საჭიროა კიდევ მთელი ძალების მობილიზება შემდგომი წარმატებების უზრუნველყოფისათვის.

1980 წელს, პრეზიდენტის რწმუნების ვადის გასვლასთან დაკავშირებით მომავალი ხუთი წლის ვადით კვლავ ჰ. ჰუსაკი აირჩიეს.

1981 წლის აპრილში შედგა ჩკპ-ის XVI ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა მეშვიდე ხუთწლიანი გეგმა (1981—1985 წწ.). ყრილობამ რეალურად შეაფასა რა ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია, ეკონომიკური ზრდის უფრო დაბალი ტემპები დასახა, ვიდრე წინა ხუთწლედებში იყო, რათა არ გამოეწვია დისპროპორცია და განეხორციელებინა მთელი რიგი ღონისძიებები ქვეყნის მეურნეობის შეგუებისა გართულებულ საერთაშორისო და საშინაო ეკონომიკურ პირობებთან. მეშვიდე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ხუთწლედის

ბოლოსათვის ეროვნული შემოსავლის გაზრდა 14—16%-ით, სამრეწველო პროდუქციისა—18—20%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა—დაახლოებით 10%-ით. როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ამ შეტად მოკრძალებული გეგმის საფუძველია ეკონომიკის ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, არსებული საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენება, სათბობისა და ნედლეულის რესურსების ეკონომიკურად ხარჯვა, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში უფრო აქტიური მონაწილეობა. მთელი მეშვიდე ხუთწლედის პერიოდში ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართოდ დანერგვაზე.

მეშვიდე ხუთწლიანი გეგმა ხორციელდებოდა საშინაო და, განსაკუთრებით, საგარეო გართულებულ ვითარებაში. 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგს, საერთაშორისო ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, გაძლიერდა დასავლეთის სახელმწიფოების დისკრიმინაციული პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების მიმართ; გაუარესდა მსოფლიო კონიუნქტურა, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენდა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის განვითარებაზე, მათ შორის მისი ექსპორტის ეფექტიანობაზე რესურსების ბაზების განვითარებაზე, უპირველეს ყოვლისა, საიმპორტო ნედლეულისა და სათბობის გაძვირების გამო. განვითარების ექსტენსიური ტენდენციების თანდათანობით დაძლევის შედეგად შესუსტდა ეკონომიკური განვითარების ტემპები განსაკუთრებით შვიდწლიანი გეგმის პირველ ორ წელიწადს. ეკონომიკის ბალანსირების უზრუნველყოფის მიზნით მეშვიდე ხუთწლიან გეგმაში შეიტანეს ცვლილებები მისი შემცირების მიმართულებით, შეიზღუდა კაპიტალური დაბანდებები და იმპორტი. დაიწყო წარმოების და მოხმარების სტრუქტურის გარდაქმნა, მათ შორის ფასების რეგულირება. ამ ღონისძიებათა მიღებისა და გატარების შედეგად უკვე 1983 წ. მიღწეულ იქნა მდგრადი ეკონომიკური ზრდის დინამიკის აღდგენა. მეშვიდე ხუთწლედში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 11.5%-ით, შრომის ნაყოფიერება—9, სამრეწველო წარმოება—14.8%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა — 9,7%-ით. მიღწეულ იქნა ცხოვრების დონის შენარჩუნება და მისი ამაღლება. 1985 წ. ბოლოსათვის, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, 1968—1969 წლების პოლიტიკური კრიზისის დაძლევიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკური პოტენციალი და ხალხის ცხოვრების დონე. საერთო ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 80 პროცენტით, შრომის საზოგადოებრივი წარმოება—

70%-ით, სამრეწველო წარმოება გაიზარდა 95 პროცენტით, სოფლის მეურნეობა—34 პროცენტით. განვლილი 15 წლის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირადი მოხმარება (45 პროცენტით), საზოგადოებრივი მოხმარება—106 პროცენტით. მოსახლეობის რეალური შემოსავალი გაიზარდა ნახევარზე მეტად, ყოველმა მესამე ოჯახმა ახალი ბინა მიღო. განმტკიცდა მოსახლეობის სოციალური გარანტიები, გაიზარდა განათლების დონე და მშრომელთა კვალიფიკაცია, ყოველმხრივ ამაღლდა მათი კულტურული დონე. მაგრამ ამ დადებით ძვრებთან ერთად ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომლებმაც განსაკუთრებით თავი იჩინეს სახალხო მეურნეობის ისეთ პროცესებში, როგორიცაა თანდათანობით გადასვლა ახალ, უფრო რთულ პირობებზე, კერძოდ, ინტენსიური განვითარების გზაზე. ნელა ხორციელდება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა პრაქტიკაში, პროდუქციის განახლება, მისი ხარისხის ამაღლება. ყველაფერი ეს კი იწვევს საგარეო ვაჭრობის გაცვლის დაბალ ეფექტიანობას. მთელი რიგი სირთულეებია კაპიტალურ მშენებლობაშიც. დაეცა ძირითადი ფონდების ეფექტიანობა. ამის მიზეზად მიჩნეულია მართვაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ეკონომიკის განვითარების ექსტენსიური მეთოდები.

1970 წ. ჩეხოსლოვაკიის ხვედრითი წონა მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში შეადგენდა 1,21%-ს (მოსახლეობის წილი 0,4%), ხოლო 1987 წ. — მხოლოდ 0,93%. საქმე იმაშია, რომ საწარმოო ფონდი მოძველდა. ეს უკვე ერთგვარ შეშფოთებას იწვევს. ჩეხოსლოვაკიაში აქამდე მოქმედებდა ექსტენსიური (ე. ი. რაოდენობრივი) განვითარების მოდელი, რომელიც თავის დასაწყისს 50-იან წლებში იღებს. „ცივი ომი", რომელსაც თან სდევდა შეზღუდვები და ემბარგო ვაჭრობაში დასავლეთიდან, ჩეხოსლოვაკიას აიძულებდა შეექმნა თავისი საკუთარი დარგები, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიამ, ისე როგორც სხვა ახალგაზრდა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, ზოგიერთ მექანიკურად გადაიღეს საბჭოთა კავშირის პრაქტიკიდან. ხშირად ეაუმართლებლად უგულებელყოფდნენ თავის საკუთარ ტრადიციებსა და გამოცდილებას. ჩეხოსლოვაკიას ახლაც წამყვანი ადგილი უკავია ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის, მაგრამ იგი აღარ შედის, როგორც ეს ომამდე იყო, ათ განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოთა რიგებში. 60-იანი წლებიდან ჩეხოსლოვაკიამ, ისე როგორც სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, იწყეს ჩამორჩენა კაცობრიობის საერთო განვითარებიდან, კერძოდ შრომის ნაყოფიერებაში, პროდუქციის

ხარისხში, ტექნიკურ პროგრესში, საერთაშორისო ვაჭრობაში, სპეციალიზაციაში... მაშინდელ სოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის ჩეხოსლოვაკიაში იგრძნობა ეკონომიკის ტემპების ზრდის დაცემა ან შენელება და, შესაბამისად, ცხოვრების დონის დაცემა. ყველაფერმა ამან სოციალისტურ ქვეყნებში გამოიწვია სოციალური და ეროვნული კონფლიქტების, გაფიცვებისა და დანაშაულებების ზრდა, იმედის გაცრუება, რწმენის დაკარგვა სოციალიზმის უპირატესობაზე კაპიტალიზმთან შედარებით. დასავლეთის იდეოლოგები ამ მოვლენებს სოციალიზმის კრიზისად მიიჩნევენ, ჩვენთან კი—სტალინური ან ნეოსტალინური საზოგადოებრივი სისტემის კრიზისად, სისტემისა, რომელიც თავს მოახვიეს მათ და ბრმად გადაიღეს ჩვენგან. მაშინ თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში ხდებოდა დრომოჭმული მმართველობის ღია ან ფარული შეცვლა და ტარდებოდა არსებითი გარდაქმნები სოციალისტურ ქვეყნებში. მაგრამ რით დამთავრდა ყველაფერი ეს—უკვე გვაჩვენა ისტორიამ.

ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა მმართველობის ვეებერთელა სისტემა, რომლის გამოყენებისას სხვადასხვა კლასები და დამნაშავე ჯგუფები თავიანთი ინტერესებისათვის ცდილობდნენ; აღმოცენდა პროტექციონიზმი და ჩრდილოვანი ეკონომიკა. სიტყვა და საქმე ხშირად ერთმანეთს არ შეესაბამებოდა და ეს ხდებოდა საზოგადოების იმედის გაცრუების მიზეზი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, მიუხედავად მის მიერ დაშვებული შეცდომებისა მაინც ებღაუჭებოდა ხელისუფლებას. ცკ-ის VII პლენუმმა (1987 წ. დეკემბერში) უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის კურსი აიღო. ამ პლენუმზე მიღებული პროგრამა ითვალისწინებდა დემოკრატიზაციას, კომუნისტური პარტიის, ეროვნული ფრონტის, ეროვნული კომიტეტების (ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების), მთელი პოლიტიკური სისტემის მოღვაწეობის სრულყოფას.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური რეფორმა ჩეხოსლოვაკიაში ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო. უკვე 1957 წლის პლენუმმა განიხილა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხი, მაგრამ ქვეყანამ, რომელსაც ისეთი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ სხვაზე ადრე გამოსულიყო „ექსტენსიურ-ადმინისტრირების“ სიტუაციიდან, რათა გაეფართოებინა საწარმოების დამოუკიდებლობა, ფართოდ დაენერგა საბაზრო ურთიერთობა ვერ განახორციელა ეს ამოცანა როგორც საშინაო, ასევე საგარეო მიზეზების გამო.

გარდაქმნები ეკონომიკურ ცხოვრებაში, ლ. ადამეცის სიტყვებით,

რომ ვთქვათ, იმაში მდგომარეობს, რომ „შევცვალოთ თანაფარდობა“ „ა“ და „ბ“ ჯგუფებს შორის, დინამიკურად გავშალოთ პროგრესული მიმართულება და, პირიქით, შევკვეცოთ ის, რომელიც ნაკლებად ეფექტიანია და ენერგიისა და ნედლეულის დიდ ხარჯებს მოითხოვს. ჩვენ ორივე ამის დიდ ნაკლებობას განვიცდით... პირველ გამოცდილებას ჩვენ დღეისათვის მივიღებთ ურანის მოპოვების შემცირებით...“. საყურადღებოა, რომ ჩეხოსლოვაკიას პრაქტიკულად არ გააჩნია საკუთარი რკინის საბადოები და ამავე დროს ფოლადის წარმოებით (15 მლნ ტონა) ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. სხვადასხვა დარგი მუშაობს ფაქტობრივად საწყობების შევსებისათვის და დღეს შექმნილი მარაგები მთელი წლისაა. ამასთანავე, თანამედროვე, პროგრესული და ქვეყნისათვის მეტად საჭირო პროდუქციის წარმოების დანერგვა ნელა მიმდინარეობს. სამეურნეო წარმოების ახლანდელი მეთოდები იმდენად დამღუპველად მოქმედებს გარემოზე, რომ შეუძლია ძირი გამოუთხაროს თვით ბუნების მაცოცხლებელ ძალებს, რომ არაფერი ვთქვათ თვით ადამიანებზე. ჩეხოსლოვაკიის ყოველ მოქალაქეზე მოდის ნარჩენების დაახლოებით 35 ტონა წელიწადში. ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის თითქმის 32% ცხოვრობს ეკოლოგიურად უსუფთაო რაიონში. ქვეყანაში დაზიანებულია სატყეო მარაგის მესამედზე მეტი. ხშირად გაუმართლებელი ფართომასშტაბიანი მშენებლობისა და წიაღისეულის მოპოვების ფართობის გაზრდის შედეგად 1948 წლიდან სახნავი მიწის ფართობი 12%-ით შემცირდა. დღეისათვის ჩეხოსლოვაკიაში 1 სულ მოსახლეზე მოდის 0,3 ჰექტარი ფართობი—ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ევროპაში. სავალალოა, რომ საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობით ჩეხოსლოვაკია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა.

ჩეხოსლოვაკიაში კოოპერატივებს სახალხო მეურნეობაში ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. აქ მოქმედებდა 850-მდე საწარმოო, ასევე სამშენებლო და სამომხმარებლო კოოპერატივები: საცალო საქონლის ბრუნვის 40%-ის რეალიზება კოოპერატიულ ვაჭრობაზე მოდიოდა. საბინაო კოოპერატივები ორჯერ მეტ ბინებს აშენებდნენ თავიანთი სახსრებით, ვიდრე სახელმწიფო. 1658 სოფლის მეურნეობის კოოპერატივი ამუშავებდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სავარგულების 65%-ს. კოოპერატიულ სექტორში დაკავებული იყო ქვეყნის მთელი მშრომელების 13,3%. კოოპერატივების უმრავლესობა მოქნილი რენტაბელური საწარმოები იყო და ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მთავრობის ყველა გადაწყვეტილება კოოპერატივების შესახებ სარეკომენდაციო ხასიათისა იყო.

1989 წლის ოქტომბერში შედგა ჩკპ-ის მორიგი პლენუმი. პრესკონფერენციაზე მ. იაკოშის მოხსენების გამო აღინიშნა, რომ ოპოზიციური ჯგუფების საქმიანობა ჩეხოსლოვაკიაში აშკარად „ინტერნაციონალიზებული“ ხდება და მხარდაჭერას პოულობს არა მარტო დასავლეთიდან, არამედ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების სხვადასხვა ოპოზიციური და ლეგალური ძალებიდან, განსაკუთრებით პოლონეთისა და უნგრეთისაგან.

§ 34. 1989 წლის ამბები ჩეხოსლოვაკიაში „ხავერდოვანი რევოლუცია“

1989 წელს, ისევე როგორც სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ჩეხოსლოვაკიაშიც თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა მოვლენები. 1989 წლის ბობოქარი მოვლენები სხვა პირობებში საკმარისი იქნებოდა ათეული წლების განმავლობაში. ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები განცვიფრებას იწვევს მთელ მსოფლიოში თავისი დინამიურობითა და სიახლით. მანამდე ხომ სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები ერთგვაროვანი, უინტერესო, დამახინჯებული და სიყალბით აღსავსე იყო.

1989 წლის შემოდგომაზე ჩეხოსლოვაკიაში ფართოდ გაიშალა ხალხთა მასების ფართო მოძრაობა ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის. პრაქტიკამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ისტორიის განვითარება დემოკრატიისაკენ არ შეიძლება დასამარდეს და დოგმად გადაიქცეს. თუ რამდენად ხდება წარსულის დაგმობა, ამაზე მეტყველებს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის იმ ხუთი სახელმწიფოს განცხადება 1989 წლის დეკემბერში, რომელთაც 1968 წელს შეიყვანეს თავიანთი ჯარები ჩეხოსლოვაკიაში. ამ განცხადებაში დაგმობილია „ხუთეულის“ მიერ 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანა.

ჩეხოსლოვაკიელ ხალხს ათი დღე დასჭირდა იმისათვის, რომ ძირეულად შეეცვალა ვითარება ქვეყანაში. იგივე მოვლენებისათვის კი პოლონელებმა მთელი ცხრა წელი იბრძოლეს, უნგრელებმა—ორი წელი, აღმოსავლეთ გერმანელებმა—ექვსი კვირა. ამასთანავე უცხოელი და ადგილობრივი მიმომხილველები ერთსულოვნად აღიარებენ ცვლილებების არა მარტო თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარებას, არამედ განსაცვიფრებელ დისციპლინას ნახევარმილიონიანი მომიტინგეებისა პრაღაში, მანიფესტაციებისა ბრატისლავში, ბრნოში და სხვა ქალაქებში; სასიხარულო განწყობილება სუფევდა ამ გადასვლების დროს. ყველა ერთხმად აღიარებს ჩეხოსლოვაკიელ ხალ-

ხის მიერ ამ ბობოქარ დღეებში გამოვლენილ უმაღლეს პოლიტიკურ კულტურას. ეს კამოვლინდა აგრეთვე 27 ნოემბერს გამოცხადებულ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დროს. სწორედ ამ ამბით დაიწყო დემოკრატიული რევოლუციის პირველი დღე. ამას წინ უძღოდა 18 ნოემბერს სტუდენტობის მიერ დემოკრატიული ცვლილებების მოთხოვნით მოწყობილი დემონსტრაცია, რომელიც დაარბიეს მთავრობის უშიშროების ძალებმა. შეტაკებების დროს რამდენიმე სტუდენტი დაიღუპა, რამაც გამოიწვია სტუდენტთა მღელვარება და ხალხთა საყოველთაო უკმაყოფილება.

ჩკპ 41 წლის განმავლობაში შეუცვლელად იდგა ხელისუფლების სათავეში. ამ ხნის განმავლობაში კომუნისტთა მცირე ჯგუფმა ხელთ ჩაიგდო ძალაუფლება და მოახდინა საზოგადოების ყველა მხარის — პოლიტიკურის, ეკონომიკურის, კულტურულის და სულიერი ცხოვრების მონოპოლიზაცია. ამ ჯგუფმა მიითვისა აგრეთვე მონოპოლიური უფლება „ჭეშმარიტებაზე". იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ არცთუ იშვიათად, ხელისუფლებას სათავეში ექცეოდნენ არაკომპეტენტური პირები, რომელთაც არ ჰქონდათ საჭირო ზნეობრივი ღირსებები, გასაგები იქნება ხალხთა მასების უკმაყოფილება. ხალხი დაიღალა დაპირებებისაგან, სიტყვასა და საქმეს შორის მუდმივი შეუსაბამობისაგან, უკეთესი ცხოვრების მოლოდინისაგან. ფაქტობრივად უფსკრული აღმოცენდა ხალხსა, პარტიის აპარატსა და მის რიგით წევრებს შორის. არ არსებობდა კადრების წამოყენებისა და განახლების დემოკრატიული მექანიზმი. მაღალი წრეები კი სარგებლობდნენ რა იმით, რომ ქვეყნის კონსტიტუციით კპ-ას მონოპოლიზებული ჰქონდა ხელისუფლება, გაანგრძობდნენ თვითნებობას. პიროვნება, რომელსაც თანამდებობაზე წამოაყენებდნენ, მას სიკვდილამდე ინარჩუნებდა, არაფერს არ კარგავდა და მიაჩნდა, რომ ვინაიდან ხელისუფლება კონსტიტუციით მონოპოლიზებულია, არავითარ თვითნებობაზე პასუხს არ აგებს.

17 ნოემბრის ამბების მეორე დღესვე ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მოძრაობა კომუნისტების საწინააღმდეგო ახალი პარტიის შესაქმნელად. სტუდენტთა და დემოკრატიული ძალების ხელმძღვანელობით შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამოქალაქო ფორუმი", რომელმაც სწრაფად მოიპოვა გავლენა და გადაიქცა მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად. „სამოქალაქო ფორუმმა" გააერთიანა ინტელიგენცია, ქალაქისა და სოფლის მშრომელების დიდი ნაწილი და რამდენიმე დღეში გადაიქცა მასობრივ პოლიტიკურ ძალად. მისი ლოზუნგია—„ჩვენ გვინდა თავისუფალ, დემოკრატიულ, აყვავებულ ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრება". 27 ნოემბერს ფორუმმა მოაწყო საყოველ-

თაო პოლიტიკური გაფიცვა მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. გაფიცულებმა ორი ძირითადი მოთხოვნა დააყენეს. ხელისუფლებია „სამოქალაქო ფორუმისათვის“ გადაცემა, შემდეგ კი თავისუფალ• არჩევნების ჩატარება. ხალხის საყოველთაო მოთხოვნის შედეგად ძველი მთავრობა გადადგა. 10 დეკემბერს შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მარიან ჩალფა. მანამდე მას ძველ მთავრობაში მთავრობის მეთაურის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. მართალია, მ. ჩალფა კომუნისტი იყო. მაგრამ ახალი მთავრობა ჩკპ-ის კონტროლს კი არ ექვემდებარებოდა, რადგან მასში კომუნისტები უმცირესობას წარმოადგენენ, არამედ „სამოქალაქო ფორუმს“. მ. ჩალფა გავიდა კომპარტიის რიგებიდან.

28 დეკემბერს შედგა ჩეხოსლოვაკიის ფედერალური კრების სესია, რომელმაც კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა. ამოიღო მუხლი კომპარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის დახურულობისა და ხელმძღვანელობის ყოველ ორ თვეში მასში შემავალი ყველა პარტიის წარმომადგენლების მიერ რიგრიგობით შეცვლის, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის აუცილებელი სწავლების გაუქმების შესახებ.

28 დეკემბერს ფედერალური კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე დუბჩეკი გადამდგარ ს. კუკრალას ნაცვლად. ა. დუბჩეკ• 1963—1967 წლებში სლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი იყო, 1968 წლის იანვარში აირჩიეს ჩკპ-ის პირველ მდივნად, მაგრამ საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ იგი გადააყენეს და მალე პარტიიდან გარიცხეს. 1970 წლიდან მუშაობდა მექანიზატორად სლოვაკიის სატყეო მეურნეობაში პენსიაზე გასვლამდე. ა. დუბჩეკი პროფკავშირებიდანაც გარიცხეს და მთელი 18 წლის განმავლობაში მის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ. 17 ნოემბერს სტუდენტთა გამოსვლის დროს ა. დუბჩეკი პრაღაში პოლიციამ დააკავა. ა. დუბჩეკმა განაცხადა, რომ იგი აღარ შევა კომპარტიაში, საიდანაც იგი გარიცხეს. მისი აზრით ჩეხოსლოვაკიას მომავალში უფრო მეტად შვეიცის პოლიტიკური სისტემის მოდელი გამოადგება.

29 დეკემბერს ფედერალურმა კრებამ ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია, „სამოქალაქო ფორუმის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვაცლავ ჰაველი[1]. ამრიგად, პირველად 40 წლის განმავლობაში ქვეყნის პრეზიდენტი გახდა არაკომუნისტი — პროფესიით

---

[1] ვაცლავ ჰაველი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი, დაიბადა პრაღაში 1936 წლის 5 ოქტომბერს. 1955 წელს შევიდა ჩეხეთის უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკურ ფაკულტეტზე პრაღაში. 1961 წ. მუშაობდა თეატრში

მწერალი და დრამატურგი. ახლად მოქმედი კონსტიტუციით ქვეყნის პრეზიდენტს 5 წლის ვადით ირჩევს ფედერალური კრება და მის წინაშეა პასუხისმგებელი. პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ყოველი მოქალაქე, რომელიც არის ფედერალური კრების დეპუტატი (21 წლის ასაკიდან). პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მას აღარ შეუძლია იყოს არც მთავრობის, არც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. პრეზიდენტის რწმუნებაში შედის ფედერალური კრების სესიის მოწვევა, დახურვა და დათხოვნა, იგი ითვლება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, ნიშნავს მთავრობის მეთაურსა და წევრებს, სახელმწიფო მაღალი თანამდებობების პირებს, ელჩებს, გენერლებს ასევე უმაღლესი სასწავლებლის თვით პროფესორებსა და რექტორებსაც კი. არ შეიძლება პრეზიდენტის საქმიანობის გამო მისი სასამართლო დევნა. მაგრამ პრეზიდენტს არ შეუძლია სამხედრო მდგომარეობის ან ომის გამოცხადება ფედერალური კრების ნებართვის გარეშე.

მართალია, დეკემბრის ამბების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ დაკარგა მონოპოლია ხელისუფლებაზე და მისი ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა (ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ხანს კომპარტია დატოვა 160 ათასამდე კაცმა) და პარტიის შიგნით გათიშვაც კი იყო მოსალოდნელი, მაგრამ 1989 წლის 20—21 დეკემბერს შემდგარ კომპარტიის რიგგარეშე ყრილობაზე გათიშვა თავიდან იქნა აცილებული. ყრილობამ განაცხადა, რომ იგი წყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას პარტიის იმ ყოფილ წევრებთან, რომელთაც ხელი შეუწყეს პარტიის დეფორმაციას, სახელი გაუტეხეს როგორც პარტიას, ასევე სოციალიზმს მთლიანად. პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს ლადისლავ ადამეცი. ყრილობამ მიიღო პარტიის მოქმედების პროგრამა „დემოკრატიული სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის“ პროგრამის სახელწოდებით. მიუხედავად იმისა, რომ კომპარტია შიდა კრიზისს განიცდის, მას ბევრი მომხრე ჰყავს ქვეყანაში და მომავალ ფედერალური კრების არჩევნებში წარმატების იმედი ჰქონდა, მაგრამ უსაფუძვლოდ.

დრამატურგად. შემდეგ რეჟისორის ასისტენტად. 1967 წ. დაამთავრა თეატრალური ფაკულტეტი პრაღის მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების აკადემიაში. ვ. ჰაველი 1968 წლის გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისთვის რეპრესირებული იყო. 1970—1989 წლამდე ვ. ჰაველი საშჯერ იჯდა ციხეში.

ვ. ჰაველი აქტიურად გამოდიოდა ადამიანის უფლებების დასაცავად და იყო მრავალი ორგანიზაციის წევრიც და ხელმძღვანელიც. 1989 წ. ვ. ჰაველს მიენიჭა ქ. ტულუზის (საფრანგეთი) საპატიო დოქტორის ტიტული. ვ. ჰაველი ცნობილია, როგორც მწერალი და დრამატურგი, იგი მრავალი პიესისა და რამდენიმე წიგნის ავტორია.

1989 წ. 17 ნოემბრის ამბების შემდეგ, როცა ჩეხოსლოვაკიაში დემოკრატიული გარდაქმნები დაიწყო, ვ. ჰაველი „სამოქალაქო ფორუმის“ გამოჩენილი მოღვაწე გახდა. 1989 წლის 29 დეკემბერს დეპუტატთა ფედერალურმა კრებამ ვ. ჰაველი აირჩია პრეზიდენტად.

1990 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ფედერალური კრების არჩევნები, რომელმაც. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება მოუტანა „სამოქალაქო ფორუმს“, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო. მოულოდნელი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიის კპ-ის მიღწევები. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 14 პროცენტი. სასტიკი მარცხი განიცადეს ისტორიულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა, რომელთაც ხანგრძლივი რევოლუციის შემდეგ განაახლეს თავისი საქმიანობა. მთავრობას კვლავ ყოფილი კომუნისტი ჩალფა ჩაუდგა სათავეში.

ახალმა მთავრობამ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა მეზობელ ქვეყნებთან, გახსნა საზღვრები ავსტრიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ჩეხოსლოვაკიაში ამ ბოლო დროს მრავალი პარტია შეიქმნა, რომელთა ჭორის აღსანიშნავია სოციალ-დემოკრატიული, გლეხთა პარტიები და სხვ.

ქვეყანაში მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის მთელი, ომის შემდგომი ისტორიის ხელახალი გააზრების პროცესი. ამას მოწმობს დავა ქალაქების, ქუჩების, მოედნების სახელების გადარქმევის შესახებ. მარტო პრაღაში ასეთ ობიექტთა სიაში შეტანილია კ. გოტვალდის ხიდი, ოქტომბრის რევოლუციის მოედანი, დედაქალაქის მეტროს ლენინის სახელობის სადგური... წითელარმიელთა მოედანი ახლა ატარებს პრაღელი სტუდენტის იან პალახის სახელს, რომელმაც 1969 წელს თავი დაიწვა პოლიტიკური პროტესტის ნიშნად.

პრეზიდენტის დეკრეტით შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრიობის ისტორიის სპეციალური სამეცნიერო კომისია, იქმნება რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ტ. მასარიკის სახელობის ინსტიტუტი.

საგარეო პოლიტიკა

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკური კურსი განსაზღვრა კოშიცის პროგრამამ, რომლის ცენტრალურ ხაზად მაშინ გამოცხადდა საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა. ჩეხოსლოვაკიის ძმური კავშირმა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან თავისი გამოხატულება პოვა ორმხრივი ხელშეკრულებების დადებაში მეგობრობასა და კავშირის შესახებ.

ამ თანამშრომლობის შედეგი იყო ის, რომ ჩეხოსლოვაკიამ მხარდაჭერა ჰპოვა მაშინდელ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისაგან თავის სამართლიან მოთხოვნებზე, დასავლეთის ქვეყნების მიმართ, გაუქმებულად ეცნოთ მიუნხენის სამარცხვინო გარიგება.

ოპოზიციურმა ძალებმა ჩეხოსლოვაკიაში 60-იან წლებში წამოიწყეს ჯერ ფარული, შემდეგ კი აშკარა შეტევები ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირისა და ურთიერთობის წინააღმდეგ, მის ნაცვლად აყენებდნენ ნაციონალიზმს, ანტისაბჭოთა კურსს და ლოზუნგებს ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის „სპეციფიკური ხაზის“ აუცილებლობის შესახებ.

ახალმა ხელმძღვანელობამ გ. ჰუსაკის ძეთაურობით კვლავ აღადგინა მჭიდრო კავშირი და მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1970 წლის 6 მაისს პრაღაში დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. იგი ითვალისწინებს ორივე ქვეყნის ვალდებულებას ერთად აწარმოონ ბრძოლა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, ევროპაში ეფექტური უშიშროებისა და თანამშრომლობის სისტემის შექმნისათვის. ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე ქვეყნის ეკონომიკურ, საგაჭრო, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ თანამშრომლობას.

ჩეხოსლოვაკია სოციალისტური ქვეყნების გარდა ავითარებდა ორმხრივ ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გფრ-თან 1973 წელს (დეკემბერში) პრაღაში დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მთავარი შინაარსი ის იყო, რომ გაუქმდა მიუნხენის სამარცხვინო გარიგება.

1975 წლის იანვარში ჩეხოსლოვაკიასა და გფრ-ას შორის დაიდო, აგრეთვე, ხელშეკრულება ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური კოოპერაციის შესახებ.

1974 წლის დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის მეორე უშუალო მეზობელთან ავსტრიასთან, ზოგიერთი ფინანსური და ქონებრივ-უფლებრივი საკითხების მოგვარების შესახებ. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ მათ შორის ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის არ არსებობს ხელშემშლელი ფაქტორები.

ინგლისელ პარტიელებთან ურთიერთობის ერთგვარი შეყოვნების შემდეგ, 1974 წელს კვლავ გაჯანდა ნაბიჯები ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობის განახლებისათვის. საყურადღებოა, რომ ინგლისსა და ჩეხოსლოვაკიას შორის არსებობს ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობა. ჩეხოსლოვაკიასთან ვაჭრობაში კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ინგლისს მეორე ადგილი უკავია.

ურთიერთობის ნორმალიზება ხდება აგრეთვე აშშ-თან, განსაკუთრებით სახელმწიფო მდივნის როჯერსის ვიზიტის შემდეგ პრაღაში 1973 წლის ივლისში, როდესაც ორივე მხარემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ლიკვიდაცია უყონ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ხელშემშლელ ფაქტორებს. 1974 წლის 5 ივლისს აშშ-სა და ჩეხოსლოვაკიას ორივე დაიდო შეთანხმება ფინანსურ საკითხებში ზოგიერთი მოუგვარებელი პრეტენზიების გადაწყვეტის შესახებ. ამავე წლის შემოდგომაზე უნდა დადებულიყო შეთანხმება, რომლითაც ჩეხოსლოვაკიას უნდა გადაეხადა კომპენსაციები ჩეხოსლოვაკიაში არსებული ამერიკული ქონების ნაციონალიზაციის გამო, ხოლო აშშ-ს კი უნდა დაებრუნებინა ჩეხოსლოვაკიის ოქრო, რომელიც დაკავებული იყო აშშ-ის მიერ. მაგრამ ამ ხელშეკრულების რეალიზაციას ხელი შეუშალა ამერიკის კონგრესის მიერ 1974 წლის 20 დეკემბერს მიღებულმა სავაჭრო კანონმა. აშშ-ის რეაქციულმა წრეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ხელი შეეშალათ ჩეხოსლოვაკიის ოქროს დაბრუნებისათვის, რომელიც ნაცისტებმა ომის დროს გაიტაცეს.

ჩეხოსლოვაკია მხარს უჭერდა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ჩეხოსლოვაკია ავითარებს თავის ურთიერთობას განვითარებად ქვეყნებთან. მას სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასთან.

ჩსსრ თანმიმდევრულად ახორციელებდა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების პოლიტიკას, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და ერთსულოვნების განმტკიცებაში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებაში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოველმხრივ განმტკიცებაში.

1978 წლის მაის-ივნისში ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტით იყო სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომლის დროსაც მოეწყო მოლაპარაკება როგორც ორივე ქვეყნის გრძელვადიანი სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროგრამის 1990 წლამდე შემუშავებაზე, ასევე საერთაშორისო პრობლემების საკითხების განხილვაზე. გ. ჰუსაკი 20 ივლისს მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ყირიმში, ხოლო ლ. შტროუგალი კი უფრო ადრე (მაისში) იყო მოსკოვში და შეხვედრა ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან.

1978 წ. ჩსსრ-ს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პირველ

საერთაშორისო კოსმოსური ფრენის ეკიპაჟში სსრ კავშირის კოსმონავტ ა. ა. გუბარევთან ერთად ჩეხოსლოვაკიელი კოსმონავტის ვ. რემეკას (მარტში) გაფრენა კოსმოსში.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ნ. კოსიგინის ვიზიტს ჩეხოსლოვაკიაში (1979 წლის მაისში), სადაც მონაწილეობა მიიღო ატომური ელექტროსადგურის მშენებელთა საზეიმო სხდომაზე იძსლოვსკ-ბოგუნიცში (აიგო საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით). სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, რომელნიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში იყვნენ გაერთიანებული, ჩეხოსლოვაკიამ, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის ჩარჩოებში, დადო შეთანხმება (მარტში) სსრ კავშირის ტერიტორიაზე ხმელნიცკის 4 მლნ კვტ სიძლიერის ატომური ელექტროსადგურის ერთობლივი მშენებლობის შესახებ.

1979 წელს ჩეხოსლოვაკიასა და სსრ კავშირს შორის 20-მდე ორმხრივი შეთანხმება დაიდო წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ. ამ თანამშრომლობაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი წარმოებაში ახალი მოწყობილობის დანერგვას ისეთ დარგებში, როგორიცაა ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა, ელექტრონიკა და გამოთვლითი ტექნიკა.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკურ საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებზე, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიების მუშაობაში და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სხვა ერთობლივ ღონისძიებებში. ავრეთვე მონაწილეობდნენ სკკპ და სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ მოწვეული ყრილობების მუშაობაში.

სსრ კავშირ-ჩეხოსლოვაკიას სამთავრობათაშორისო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის XXIII სხდომაზე პრაღაში (1982 წლის დეკემბერში) დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი ორივე ქვეყნის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესებაზე. გადაწყდა თანამშრომლობის განვითარება მსუბუქი და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის დარგში, ორივე ქვეყნის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის პირდაპირი საწარმოო კავშირის განვითარება და ა. შ.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1983 წლიდან აშშ-ს დაგეგმილი ჰქონდა საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე (სექტემბერში), სადაც აღნიშნულია, რომ ეს ორივე სახელმწიფო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოები იძულებული გახდებიან. თუ აშშ უარს არ იტყვის დასავლეთ ევროპაში რაკეტების განლაგებაზე, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფისა და სამხედრო პარიტეტის შენარჩუნების მიზნით გლობალური მასშტაბით მიიღონ კონკრეტული ღონისძიებები. 1983 წ. ოქტომბერში სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება მუშაობის დაწყების შესახებ ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების განლაგებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების თაობაზე. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჩკპ-ის ცკ-ის ნოემბრის პლენუმმა მოიწონა ჩეხოსლოვაკიასა და სსრ კავშირს შორის დადებული აღნიშნული შეთანხმება. მას შემდეგ, როდესაც აშშ-მა დაიწყო საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპაში, ჩეხოსლოვაკიასა და სსრ კავშირს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ასევე სახის საბჭოთა რაკეტები განალაგეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე.

1985 წლის მაისში შედგა გ. ჰუსაკის ვიზიტი საბჭოთა კავშირში, მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ ვანაცხადა ურთიერთმზადყოფნა სამოკავშირეო ურთიერთობის და ორივე ქვეყნის ხალხების მეგობრული ურთიერთობის განვითარებაზე. გამოცხადდა, როგორც მიღებული იყო, აზრთა მთლიანი ერთიანობა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე, გამოითქვა რწმენა იმის აუცილებლობაზე, რომ კვლავაც განმტკიცებინათ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება.

1985 წელს ხელი მოაწერეს „სსრ კავშირსა და ჩსსრ შორის გრძელვადიან ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამას 2000 წლამდე". ვ. ჰუსაკი მონაწილეობდა მოსკოვში საიუბილეო ეროვნული გამოფენის „ჩეხოსლოვაკია—1985" საზეიმო გახსნაში. ნოემბერს პრაღაში შედგა გ. ჰუსაკის და მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა, რომლის დროსაც აღინიშნა ამ ორივე სახელმწიფოს—ჩკპ-ის და სკკპ-ის ურთიერთმოქმედებისა და ყველა დარგში ინტენსიური კავშირის მაღალი დონე. ამავე წელს ჩსსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნეუპეკი მოსკოვში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა (იანვარ-თებერვალში). ოქტომბერში ჩსსრ და სსრ კავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს სახალხო

მეურნეობის გეგმების კოორდინაციის შესახებ, ხოლო დეკემბერში (1986—1990 წწ.) — საკონსულტაციისა და საგადამხდელო ხასიათის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ვაჭრობის ერთობლივი ბრუნვის გაზრდას წინა ხუთწლედთან შედარებით დაახლოებით სამჯერ.

1987 წლის 16 ნოემბერს მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ლ. შტროუგალს.

საუბრის დროს გამოითქვა კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკური თანამშრომლობის ნაყოფიერი განვითარების გამო. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ინტეგრაციის რეზერვები, რომლებსაც შეიცავს ორივე ქვეყნის საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალები, იმის საშუალებას იძლევა, რომ გადაწყდეს უფრო დიდი ამოცანები, არსებითად ამაღლდეს ჩვენს ქვეყნებს შორის შრომის რაციონალური დანაწილების დონე.

ლ. შტროუგალმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიაში დიდი ინტერესითა და სიმპათიით ადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირში მიმდინარე ღრმა ცვლილებებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილება, მისი მტკიცე გადაწყვეტილება—მიაღწიოს სოციალიზმის განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურს, ჩეხოსლოვაკიელი მშრომელებისათვის საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითია. მან ილაპარაკა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნასთან დაკავშირებულ გეგმებზე. ამ დროებითი განცხადების სიუალზე მალე გამომქეყნდა.

მეშვიდე ხუთწლედში კვლავ გრძელდებოდა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, განსაკუთრებით, სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში. 1985 წლისათვის ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან ვაჭრობაში შეადგენდა 74 პროცენტს (1980 წ. კი 65% იყო). ჩეხოსლოვაკიის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა არასოციალისტურ ქვეყნებთანაც უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე წინა წლებში, თანაც ასეთ ქვეყნებთან ექსპორტი ბევრად სჭარბობდა იმპორტს, რამაც გამოიწვია ჩსსრ-ის საგარეო სავალუტო ვალის მნიშვნელოვნად შემცირება.

ჩეხოსლოვაკია მეგობრულ და მჭიდრო ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობას განამტკიცებდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან, რომელიც ხორციელდებოდა როგორც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ასევე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ჩარჩოებში და ორმხრივი ურთიერთობის შედეგადაც. თითქმის ყოველწლიურად ხდება შეხვედრები ურთიერთვიზიტების

შედეგად უმაღლეს პარტიულ და სამთავრობო დონეზე, რომლის დროსაც დებდნენ მთელ რიგ შეთანხმებებს.

ჩეხოსლოვაკიასა და ამ ქვეყნებს შორის დაიდო მთელი რიგი შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებენ ეკონომიკური, ტექნიკური და სავაჭრო ხასიათის თანამშრომლობის განვითარებას. 1973 წელს ჩეხოსლოვაკიის ექსპორტის 70% მოდიოდა სოციალისტურ ქვეყნებზე.

1975 წელს გ. ჰუსაკისა და ლ. შტროუგალის ჰელსინკში ყოფნის დროს, სადაც ხელმოწერილ იქნა ცნობილი ჰელსინკის დასკვნითი აქტი უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ, ჩსსრ-ის ორივე ხელმძღვანელი შეხვდა პსრ-ის, უსრ-ის, ბსრ-ის, გდრ-ის, რუმინეთისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელებს. იმავე წელს მოეწყო ჩსსრ-ის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ვიზიტი. გ. ჰუსაკის მეთაურობით ბულგარეთში (იანვარში), ლ. შტროუგალისა—რუმინეთში (სექტემბერში) და იუგოსლავიაშია (დეკემბერში), ხოლო ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდნენ ბსრ-ის დელეგაცია ს. თოდოროვის მეთაურობით (სექტემბერში), ვიეტნამის დელეგაცია—ლე ზუანის მეთაურობით (ოქტომბერში). ამ ვიზიტების დროს მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს მათ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების შესახებ.

1978—1986 წწ. განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდებოდა ურთიერთობის გაფართოება სოციალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში, რამაც თავისი გაწხორციელება პოვა ურთიერთვიზიტებში, რომელთა დროსაც დაიდო მხარეებს შორის მთელი რიგი ორმხრივი შეთანხმებები.

ჩეხოსლოვაკიამ ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა განვითარებად ქვეყნებთან მათი შექმნის პირველივე დღიდან და განუხრელად და შეუცვლელად ახორციელებდა თავის დაპირებებს.

განვითარებად ქვეყნებს შორის ჩსსრ-ის ყველაზე უფრო დიდ სავაჭრო პარტნიორად 60—70-იან წლებში იყო ინდოეთი და ეგვიპტე. 1973 წლის დეკემბერში მოეწყო გ. ჰუსაკის ვიზიტი ინდოეთში, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს ეკონომიკურ შეთანხმებას და ოქმს ჩსსრ-სა და ინდოეთს შორის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ჩეხოსლოვაკია მხარს უჭერდა არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, გამოდიოდა და გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების ხაბჭოს 1967 და

1973 წლების რეზოლუციების პრაქტიკულად განხორციელების მხარდასაჭერად ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გადაჭრის მიზნით.

1973 წლის სექტემბერში ჩილეში მომხდარი კონტრევოლუციური გადატრიალებისა და პინოჩეტის სამხედრო რეჟიმის დამყარების შემდეგ ჩეხოსლოვაკიამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ამ ქვეყანასთან. ამავე წელს ჩსსრ-ამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გვინეა-ბისაუსთან (ოქტომბერში), ფილიპინებთან (ოქტომბერში) და სინგაპურთან (ნოემბერში), 1974 წელს კი — ტაილანდთან (მარტში) და პორტუგალიასთან (ივნისში). 1974 წელს ლ. შტროუგალი იმყოფებოდა ინდოეთში (დეკემბერში), სირიაში (ნოემბერში), ხოლო ჩსსრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი კი — პერუში და არგენტინაში (ოქტომბერი), ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვიდნენ ლიბიის პრემიერ-მინისტრი ა. ს. ჯელუდი და ბანგლადეშის საგარეო საქმეთა მინისტრი (მაისში). ჩსსრ განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილს უწევდა ტექნიკურ დახმარებას მრეწველობისა და ენერგეტიკის შექმნაში. მაგალითად, სირიის პრეზიდენტის ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტის დროს (1975 წლის სექტემბერში) ორივე მხარემ ხელი მოაწერა ეკონომიკური თანამშრომლობის, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და ხანგრძლივვადიან სავაჭრო შეთანხმებებს. ჩეხოსლოვაკიის აქტიური როლი საერთაშორისო საქმეში აღნიშნა პრაღაში ვიზიტის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა (აპრილში).

1975 წელს ჩსსრ-ამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა იამაიკასთან (ივნისში), მოზამბიკთან, სან-ტომასთან, პრინსიპთან, მალაგაშის რესპუბლიკასთან. კუნძულ მწვანე კონცხის რესპუბლიკასთან (ოქტომბერში), ანგოლასთან (ნოემბერი), ნიგერთან და ირლანდიასთან (დეკემბერში).

80-იანი წლების პირველ ნახევარშიც ჩსსრ-სა და მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის ურთიერთობა სულ უფრო ფართოვდებოდა, ხოლო ვიზიტები ჩსსრ-ის ხელმძღვანელებსა და მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის ჩვეულებრივ ტრადიციად იქცა. მაგალითად, 1981 წლის სექტემბერში ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია იმყოფებოდა ლიბიაში, ეთიოპიასა და იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის დროსაც ამ ორ უკანასკნელთან ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს ურთიერთმეგობრობასა და თანამშრომლობის შესახებ, ხოლო ლიბიასთან კი—ოქმს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ. ჩეხოსლოვაკიაში ავღანეთის ხელმძღვანელობის ყოფნის დროს (ივნისში),

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრობასა და თანამშრომლობაზე. ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდნენ ანგოლისა და მოზამბიკის ხელმძღვანელები (ოქტომბერი) ჟ. ე. დოს სანტოსის და ს. მაშელას მეთაურობთი. მოზამბიკის პრეზიდენტმა ს. მაშელამ და გ. ჰუსაკმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ჩსსრ-სა და მოზამბიკს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ. ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტით იყო, აგრეთვე, ნიგერიის საგარეო საქმეთა მინისტრი (აპრილში). თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პრაღაში ყოფნის დროს (ივნისში) ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას 1981—1985 წწ. ავტომობილების საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ და კულტურულ გაცვლის პროგრამას. ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვიდა, აგრეთვე, კამპუჩიის საგარეო საქმეთა მინისტრი (ივლისში), უფრო ადრე კი ჩკპ-ის დელეგაცია მონაწილეობდა კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის IV ყრილობის მუშაობაში. მარტში ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ოქმს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენლობის გახსნაზე ჩსსრ-ში.

1982 წელს მ. კადაფის ჩსსრ-ში ყოფნის დროს (სექტემბერი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჩსსრ-სა და ლიბიას შორის მეგობრობასა და თანამშრომლობაზე. მომდევნო წლებშიც ჩეხოსლოვაკიასა და მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის ურთიერთობა აღმავალი გზით მიდიოდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჩეხოსლოვაკია აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს განვითარებადი ქვეყნების მიმართ, ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას უწევს მათ, ეხმარება მთელი რიგი ობიექტების მშენებლობაში, კადრების აღზრდაში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. ბუნებრივია, რომ ჩსსრ-ის ასეთი პოლიტიკა დიდი მოწონებითა და მხარდაჭერით სარგებლობს განვითარებად ქვეყნებში, თუნდაც იმის გამო, რომ ამ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა აგებულია თანასწოროობისა და ურთიერთხელსაყრელი პრინციპების საფუძველზე, რის გამოც ამ ქვეყნების ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასთან ურთიერთხელსაყრელია და იგი სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება.

ჩსსრ აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, აქტიურად მონაწილეობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში. მთელი რიგი წინადადებებით გამოდის ამ მიმართულებით.

1973 წელს დამთავრდა ჩსსრ-სა და გფრ-ს შორის ჯერ კიდევ 1971 წლიდან დაწყებული ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკება ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. 1973 წლის დეკემბერში, ჩეხოსლოვაკიაში გფრ-ის მაშინდელი კანცლერის ვილი ბრანდტის ვიზიტის დროს, ორივე მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ჩსსრ-სა და გფრ-ს შორის ურთიერთობაზე, რომლითაც 1938 წლის მიუნხენის სამარცხვინო გარიგების გადაწყვეტილება გაუქმებულად და ორივე სახელმწიფოს შორის არსებული საზღვრების ხელუხლებლობა ცხადდება. ორივე სახელმწიფოს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ამ ხელშეკრულების დადებამ შექმნა პერსპექტივები დასახელებულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარებისათვის ყველა სფეროში.

1973 წ. ივლისში ჩსსრ-ში ოფიციალური ვიზიტით იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი, რომლის დროსაც განიხილეს ჩეხოსლოვაკია-ამერიკის საკონსულო შეთანხმება. ჩსსრ-ამ გააფართოვა ურთიერთობა ფინეთთან და ავტრიასთან. ფინეთთან ურთიერთობა გაღრმავდა და განვითარდა განსაკუთრებით 1974 წლის სექტემბერს ამ ქვეყანაში გ. ჰუსაკის მეგობრული ვიზიტის შემდეგ. 1974 წლის დეკემბერში ჩსსრ-სა და ავსტრიას შორის დაიდო ხელშეკრულება ზოგიერთი ფინანსური და ქონებრივ-უფლებრივი, ამ ქვეყნებს შორის არსებული წინაალმდეგობანი აღმოიფხვრა და შეიქმნა პირობები მათ შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ჩსსრ-სა და აშშ-ს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად დაიდო შეთანხმება ზოგიერთი ფინანსური საკითხის გადაჭრის თაობაზე, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის მიერ ამერიკის საკუთრების ნაციონალიზაციის შედეგად კომპენსაციების გადახდის შესახებ და ნაცისტების მიერ ომის დროს მიტაცებული ჩეხოსლოვაკიის კუთვნილი ოქროს უკან დაბრუნებაზე, ივლისში შეთანხმება პარაფირებულ იქნა, მაგრამ მისი ხელმოწერა 1984 წელს არ შედგა.

ჩსსრ-ამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1975 წ. ჰელსინკის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევასა და მის წარმატებით დამთავრებაში. ჰელსინკში გ. ჰუსაკი და ლ. შტროუგალი შეხვდნენ და ორმხრივი თათბირი და საუბარი გამართეს გფრ-ის, ინგლისის, ავსტრიის, ფინეთის, ნორვეგიის, პორტუგალიის, დანიის, იტალიისა და ბელგიის სახელმწფოსა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. ლ. შტროუგალი ვიზიტით იყო საფრანგეთში (ნოემბერი), სადაც ხელი მოაწერა საფრანგეთ-ჩსსრ შეთანხმებას ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ 10 წლის ვადით. 1975 წლის იანვარში კი ჩსსრ-სა და გფრ-ას შორის დაიდო შეთანხმება ეკონომიკური, სამ-

რეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ. ჩსსრ-ამ და პორტუგალიამ კი მარტში ხელი მოაწერეს გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებას.

აშშ-ის დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო ჩსსრ-ის მიმართ, რაც გამოიხატებოდა „ვაჭრობის შესახებ 1974 წლის კანონის" ზოგიერთი დებულებით, ჩსსრ-სა და აშშ-ს შორის ნორმალური ურთიერთობის განვითარებას ხელი ეშლებოდა. ჩსსრ-ის და გფრ-ის ურთიერთობა კი, პირიქით, საგრძნობლად უმჯობესდებოდა. ამას ხელი შეუწყო ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელების ვიზიტებმა გფრ-ში. 1978 წლის თებერვალში ჯერ ბ. ხლეუპეკი იმყოფებოდა გფრ-ში, ხოლო შემდეგ მოეწყო გ. ჰუსაკის (აპრილში) პირველი ოფიციალური ვიზიტი გფრ-ში. ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც ორივე ქვეყნის ხელმძღვანელის მიერ უნდა უზრუნველყოფილიყო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება ევროპაში. დაიდო, აგრეთვე, მთავრობათაშორისო შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ჩსსრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნეუპეკი იმყოფებოდა ავსტრიაში (მაისში), პორტუგალიაში (ივნისში), ესპანეთში. ჩსსრ-სა და ესპანეთს შორის დაიდო გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება 1978—1980 წწ. (მარტში) და ჩეხოსლოვაკია-ესპანეთის შეთანხმება კინემატოგრაფიის დარგში თანამშრომლობის შესახებ (ივლისში). ჩსსრ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის დაიდო შეთანხმება (მარტში) კულტურისა და განათლების დარგში გაცვლის პროგრამის შესახებ 1978—1980 წლებში. ჩსსრ-ამ გააფართოვა ურთიერთობა იაპონიასთან, განსაკუთრებით იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის პრაღაში ვიზიტის დროს (1978 წლის ნოემბერში). ამას შემდეგ მოჰყვა ლ. შტროუგალის ვიზიტი იაპონიაში (1979 წლის ნოემბერში). ბ. ხნეუპეკის ვიზიტის დროს ესპანეთში (მარტში) ჩსსრ-სა და ესპანეთს შორის დაიდო შეთანხმება კულტურული თანამშრომლობისა და საერთაშორისო საავტომობილო მოძრაობის შესახებ. მეზობელ სახელმწიფოსთან საქმიანი ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას ხელი შეუწყო ვენაში ლ. შტროუგალის შეხვედრამ კანცლერ ბ. კრასკისთან (იანვარში), ავსტრიის პრეზიდენტის რ. კირხშლეგერის (მარტში) და საგარეო საქმეთა მინისტრის (ნოემბერში) შეხვედრებმა პრაღაში. ამავე წელს პრაღაში ჩამოვიდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კ. კარამანლისი (ოქტომბერში).

1979 წლის ბოლოსათვის ჩეხოსლოვაკიას დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული ჰქონდა 124, 1986 წ. კი 127 სახელმწიფოსთან. ლ. შტროუგალის ვიზიტის დროს საბერძნეთში (1980 წ.

ოქტომბერში) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური, სამრეწ-ველო და ტექნიკური თანამშრომლობის და ჯანმრთელობის დარგში თანამშრომლობის შესახებ. პრაღაში გფრ-ის საგარეო საქმეთა მი-ნისტრის გენშერის ვიზიტის დროს (დეკემბერში) დაიდო შეთანხმე-ბა—ორმხრივი გადასახადებით დაბეგვრის შეჩერებაზე. მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსე-ბობის, ურთიერთპატივისცემისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლო-ბის პრინციპების საფუძველზე.

1981 წ. დეკემბერში ჩსსრ-სა და ავსტრიას შორის დაიდო ხუთ-წლიანი სავაჭრო შეთანხმება. ხნეუპეკი საქმიანი ვიზიტით იყო გფრ-ში (დეკემბერში), ხოლო ჩეხოსლოვაკიაში [illegible] ფინეთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი (მაისში). ხანგრძლივი მოლაპარაკება ჩსსრ-სა, ერთი მხრივ, და აშშ-სა და ინგლისს შორის, მეორე მხრივ, 1981 წლის ნოემბერ-დეკემბერში საბოლოოდ დამთავრდა შეთანხმე-ბით-ჩეხოსლოვაკიისაგან გერმანელების მიერ მოტაცებული ოქროს უკან დაბრუნებაზე—აშშ-დან და ინგლისიდან, სადაც ის ინახებოდა. 1982 წლის თებერვალში კი ოქრო დაუბრუნდა ჩეხოსლოვაკიას. ამავე წელს გ. ჰუსაკი პირველი ოფიციალური ვიზიტით იყო ავსტრი-აში (ნოემბერში), რომლის დროსაც დაიდო მთელი რიგი მთავრობა-თაშორისო შეთანხმებანი ურთიერთსაინტერესო საკითხების მოგვა-რების შესახებ, აგრეთვე, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში თანამშრო-მლობისა და საბაჟო საკითხების ურთიერთთანამშრომლობის შესა-ხებ. ლ. შტროუგალის ვიზიტის დროს ფინეთში (ოქტომბერში) ხე-ლი მოაწერეს გრძელვადიან პროგრამას ეკონომიკურ, სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაზე 1985 წლამდე. 1982 წელს ბ. ხნეუპეკი იმყოფებოდა ავსტრიაში (მაისში), ლუქსემბურგში (ივლისში), იაპონიაში (ოქტომბერში). ოქტომბერში პრაღაში გაიხსნა საფრანგეთის ბანკის „სოსიეტე ჟენერალის“ წარმომადგენლობა. 1983 წელს ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტით იყვნენ საგარეო საქმეთა მინი-სტრები—გფრ-ისა (თებერვალში) და დანიისა (სექტემბერში); ხოლო ბ. ხნეუპეკი იმყოფებოდა იაპონიაში (აპრილი), ესპანეთში (სექტემ-ბერი), იტალიაში (დეკემბერი). 1983 წლის ოქტომბერში ვილიამს-ბერგში (აშშ) შედგა ჩეხოსლოვაკია-ამერიკის ეკონომიკური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც აშშ-მა კვლავ უარი უთხრა ჩეხოსლოვაკიას უპირატესი ხელშეწყობის რეჟი-მის მიცემაზე.

1983 წლის ნოემბერში ჩსსრ-სა და საფრანგეთს შორის დაიდო

გრძელვადიანი ხელშეკრულება ტექნიკური და სამრეწველო კოოპერაციისა და მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ ენერგეტიკული მშენებლობის დარგში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 38-ე სესიაზე მიიღეს ჩსსრ-ის რეზოლუციის პროექტი-ახალგაზრდობის უფლებების შესახებ, რომელშიც ყურადღება განსაკუთრებით არის გამახვილებული ახალგაზრდობის უფლებებზე, შრომასა და განათლებაზე.

1985 წლის სექტემბერში ჩსსრ-ისა და გდრ-ის მთავრობებმა ერთობლივი წერილი გაუგზავნეს გფრ-ის მთავრობას ცენტრალურ ევროპაში ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

ეს მოყვანილი მრავალრიცხოვანი ფაქტები ცხადად ღაღადებს იმაზე, თუ რა აქტიურ საგარეო პოლიტიკურ კურსს ახორციელებდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებთან. თანამშრომლობის ასეთი აქტიური კურსი ხელს უწყობდა მშვიდობიანი და ჯანსაღი ურთიერთობის დამყარებას რეგიონსა და მთელ მსოფლიოში.

„ხავერდოვანი უსისხლო რევოლუციის“ შემდეგ შექმნილმა ახალმა მთავრობამ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა მოსაზღვრე ქვეყნებთან. გახსნა საზღვრები ავსტრიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი I

გარედან თავსმოხვეული სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა

§ 1. განვითარების ეტაპები 3
§ 2. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო 3
§ 3. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია 17
26

თ ა ვ ი II

ალბანეთის სოციალისტური რესპუბლიკა . . . .

§ 4. ალბანეთი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში . . . 34
§ 5. სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობიდან გადახვევის კურსი 39

თ ა ვ ი III

ბულგარეთის რესპუბლიკა . . . .

§ 6. ერთპარტიული დიქტატურის დამყარება ბულგარეთში . 49
§ 7. ბულგარეთი 1949-1960 წწ. . 61
§ 8. ბულგარეთი 60-80-იან წლებში 66
§ 9. 1989 წლის ამბები ბულგარეთში 74

თ ა ვ ი IV

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა . . . .

§ 10. ანტიფაშისტური წყობილების შექმნა აღმოსავლეთ გერმანიაში 89
§ 11. გდრ 40-50-იან წლებში 105
§ 12. გდრ 50-80-იან წლებში 114
§ 13. 1989 წლის ამბები გდრ-ში 130

თ ა ვ ი V

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა

§ 14. სახალხო რევოლუციის გამარჯვება და განმტკიცება . . 150
§ 15. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა 153
§ 16. 1989 წლის ამბები იუგოსლავიაში 168

თ ა ვ ი VI

კუბის რესპუბლიკა . . .

§ 17. კუბელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. რევოლუციის გამარჯვება . . 192
§ 18. კუბა 60-80-იან წლებში 210

თ ა ვ ი VII

პოლონეთის რესპუბლიკა

§ 19. დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება პოლონეთში 233
§ 20. პოლონეთი 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იან წლებში 242
§ 21. სამეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომები 248

§ 22. პოლონეთის სახალხო
80-იანი წლების ბოლო

რუმინეთის რესპუბლიკა
§ 23. სახალხო დემოკრატიული
§ 24. რუმინეთი 40-იანი წლები
§ 25. რუმინეთი ნ. ჩაუშესკუს

უნგრეთის რესპუბლიკა
§ 26. სახალხო-დემოკრატიული რ
§ 27. უნგრეთი 50-60-იან წლებში
§ 28. 1956 წლის სახალხო აჯანყება
§ 29. უნგრეთი 70-იან—80-იან წლებ

ჩეხეთ-სლოვაკეთის რესპუბლიკა
§ 30. საერთო დემოკრატიული რევოლ
§ 31. ჩეხოსლოვაკია 40-იანი წლების
პარტიული დიქტატურის დამყარებ
§ 32. 1968 წლის პოლიტიკური კრიზისი
§ 33. ჩეხოსლოვაკია 1972-1989 წწ.
§ 34. 1989 წლის ამბები ჩეხოსლოვაკიაში